

ივ. არჯევანიძე

თბილისიდან  
აღაზნის  
ველისაკენ

მხარეთმცოდნეობითი  
ნარკვევი

სასულიერო გამომცემლობა  
«საბჭოთა საქართველო»

19 • თბილისი • 58

რედაქტორი მ. ტყემალაძე  
მხატვარი გ. გორდელაძე  
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ან. ლვინიაშვილი  
კორექტორი ნ. ფაქულიძე

გადაეცა წარმოებას 15/XI-56 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 22/I-58 წ. ანაწყოების ზომა 6X10.  
ქალაქის ზომა 60X92. სასტამბო თაბახი  
24. სააღრ.-საგამომც. თაბახი 17.61+0,41 ჩაქვ-  
რა. საავტორო თაბახი 17,58. ტირაჟი 3.000.  
უე 00305. შეკვ. № 638.

ფასი 7 მან. 30 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვას  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

\*


Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ნენელი

I

---

თბილისიდან  
გომბორამდე





## ავტორისაგან


წინამდებარე მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ნარკვევის — „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ“ — გამოცემით ჩვენ მიზნად ვისახავთ გავაცნოთ საბჭოთა ფართო მკითხველს საქართველოს დედაქალაქ თბილისის და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარის (გარე და შიდა კახეთის) გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და სიმდიდრეები, ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავალი, მისი კულტურული მემკვიდრეობა, შემოქმედება, ხალხის ზოგიერთი დამახასიათებელი და საყურადღებო ადათ-ჩვევები (წარსულიდან) და ის უდიდესი წარმატებები, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, აგრეთვე საბჭოთა ხალხების — პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით.

ნარკვევის შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით საკუთარი დაკვირვებებითა და ჩანაწერებით, რომლებსაც რიგი წლების განმავლობაში ვაწარმოებდით აღწერილი მხარის შესწავლის დროს, აგრეთვე გამოქვეყნებული მასალებითა და ლიტერატურით.

წიგნს თან ერთვის მითითებანი გამოყენებულ ლიტერატურულ წყაროებზე, ტექსტის ბოლოში ჩვენ დავუთეთ შენიშვნა-განმარტებები, ჩვენ მიერ შედგენილი შემოკლებული ბიბლიოგრაფია (ქართული და რუსული წყაროების).

ამ პოპულარულ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არა აქვს. ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ეს პირველი ცდაა გარედან შიდა კახეთის მხარეთმცოდნეობითი აღწერისა და ამიტომ იგი უნაკლო არ იქნება.

ავტორი დიდი მადლობითა და სიამოვნებით მიიღებს მკითხველისაგან ყოველგვარ სამართლიან და საქმიან შენიშვნა-მითითებას და შესაძლებლობის ფარგლებში ეცდება მათ გამოსწორებას.



## თავი I

### თბილისის წარსული და აწმყო

საქართველოს თხუთმეტსაუკუნოვან დედაქალაქ თბილისს — ისტორიული დიდების ქალაქს — ფრიად საყურადღებო წარსული და მეტად საინტერესო აწმყო აქვს.

აქ უხსოვარ დროიდან დაიწყო ქართველი ხალხის მაჯისცემა; V—VI საუკ. მიჯნაზე საფუძველი ჩაეყარა ქართველი ხალხის საქალაქო ცხოვრების ახალ კერას — საქართველოს სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული წინსვლის უმნიშვნელოვანეს ცენტრს.

აქ, ამ ქალაქის მისადგომებთან და უძველესი ციხის კედლებთან მრავალ საუკუნეთა მანძილზე არა ერთხელ დანთხეულა გმირ წინაპართა სისხლი შემოსეულ მტრებთან — დამპყრობლებთან მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლებში;

აქ XVIII საუკუნის დამლევეს საბოლოოდ გადაწყდა „ზედი ქართლისა“, როდესაც საქართველოს გამოძახილზე დიდმა რუსეთმა მეზობლობისა და მეგობრობის ნიშნად თავისი მფარველი ხელი გამოუწოდა გარეშე მტრებთან ომებსა და ბრძოლებში სისხლისაგან, დაცლილ და განაწამებ ქართველ ხალხს;

აქ XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველი ხალხი, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, კულტურული და ეკონომიური განვითარების ახალ გზას დაადგა;

აქ XIX საუკუნის დამლევეს ცარიზმისა, ბურჟუაზიისა და მემა-

მუღეების წინააღმდეგ საბრძოლველად ცნობილი რუსი მარქსისტების აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა რევოლუციური ბრძოლის ძლიერი კერები;

აქ XX საუკუნის მესამე ათეულის დამდეგს, ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბოლოოდ დაამხო ქართველი მენშევიკების ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილება და ააფრიალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი წითელი დროშა და ამ დროიდან მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების ბრწყინვალე ხანას.

და დღეს უკვე:

ბრწყინავს ახალი თბილისი,  
ქველი ქალაქი ქართული,  
აუვადებელი, გაშლილი,  
ამაყად წელგამართული.  
ძმური კავშირით შეკრული  
მომქმე ხალხების კერებთან,  
ერთ დიდ ოჯახში შესული  
დიდ საბჭოეთის ერებთან.

—

თბილისი ტურფა მშენებმა  
საბჭოთა ქვეყნის მხარეთა,  
თაეისუფალი, ამაყი  
დგას კომუნისტების კარებთან.

(ირ. აბაშიძე).

## თბილისის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

ქალაქი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია 41°, 43', 43'' ჩრდ. განედისა და 44°, 48 აღმ. გრძივ. (გრინვიჩით).

ზღვის დონიდან თბილისის ტაფობი 404 მეტრის სიმაღლეზეა. მდინარე მტკვარი, რომელიც ქალაქს ჩამოუდის, ამ ტაფობს ორ, ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულ ნაპირებად ჰყოფს. მისი მარცხენა ნაპირი უფრო გაეკეპებულია, ვიდრე მარჯვენა.

მტკვრის მარჯვენა ნაპირს თბილისში ახასიათებს ძლიერ განვითარებული რელიეფი; მთის კლდოვანი ფერდობები, რომლებიც ცი-



ცხოვრობდა დაექანებთან მდინარე მტკვრისაკენ (მთაწმინდა, სოლოლაკისა და თელეთის ქედები), მრავალ ადგილას დასერილია პატარა-პატარა მდინარეებითა და ხეობებით (მდ. ვერა, ვარაზის ხევი, ამანაანთ ხევი, დაბახანე ანუ ლელვთა ხევი, იგივე წავკისის წყალი ანუ წავკისის ხევი).

თბილისისა და მისი უახლოესი მიდამოების რელიეფის სირთულე იმით უნდა აიხსნას, რომ ქალაქი ორი ოროგრაფიული სისტემის საზღვარზე მდებარეობს.

მისი მარჯვენა ნაპირის მთის კალთები და მალღობები დასავლეთისაკენ მიემართებიან და სამხრეთ-კავკასიონის (ანუ მცირე კავკასიონის) მთიანეთს წარმოადგენენ, ხოლო მარცხენა ნაპირისა კი — კავკასიონის მთების განშტოებათა გაგრძელებას და მათ დანაოჭებულ ზოლს.

თბილისიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 120 კილომეტრის მანძილზე, ლამაზად ამართულია კავკასიონი თოვლით შემკული მწვერვალებით, ხოლო დასავლეთით კი ქართლ-იმერეთის ქედი (სურამის ქედი), რომელიც კავკასიონს მესხეთის ქედთან აკავშირებს და წარმოადგენს შავი და კასპიის ზღვების წყალგამყოფს. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან თბილისი შემოფარგლულია თრიალეთის ქედით, რომელიც ბორჯომთან იწყება; თბილისის მახლობლად იგი ორ შტოდ იყოფა — ერთი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ქ. მცხეთამდე, მეორე კი სოღანლულის მთაგრეხილის სახით წყდება თბილისის ქვედა ნაწილში.

აღმოსავლეთით თბილისის ჰორიზონტი ღიაა. აქვე მახლობლად იწყება გარდაბნის ველი, რომელიც გადადის აზერბაიჯანის ვაკეზე და კასპიის ზღვასთან წყდება.

ჩრდილო-დასავლეთით ქალაქი შემოფარგლულია საბურთალოსა და დიდმის მალღობებით, სამხრეთ-დასავლეთით — მთაწმინდით, ჩრდილო-აღმოსავლეთით — მახათის მთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი — თრიალეთის ქედის განშტოებით (სოღანლულისა და თელეთის მთებით).

თელეთისა და სოლოლაკის მთების კალთებზე მკაფიოდაა გამოხატული შორეული წარსულის გეოლოგიური პროცესებისა და ვულკანური მოქმედების ისეთი ნიშნები, რომლებმაც განსაზღვრულ ხანაში თავისი კვალი დააჩნიეს არა მარტო თბილისის ახლო მიდამოების კონფიგურაციას, არამედ შესამჩნევი როლი შეასრულეს კავკასიონის წარმოქმნაშიც.

თელეთის ქედი დაფარულია მონოგენური ტიპის მრავალი ვულ-

კანით, მათ შორის გამოირჩევიან შეენაბადა, „დათიკას გორა“, სო-  
ლანლული.

თელეთისა და სოლანლულის მალღობებს ისტორიულად თბილი-  
სის ბუნებრივი ციხე-სიმაგრის როლი განეკუთვნა აღმოსავლეთის  
და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან შემოსეული მტრების წინააღ-  
მდეგ ბრძოლებში.

ამ მთების მწვერვალებსა და კალთებზე დღემდე შემორჩენილია  
უძველესი ციხე-კოშკების ნაშთები, რომლებიც უსიტყვო მოწმენი  
არიან ჩვენი მშობლიური ქვეყნის გმირულ-ტანჯული წარსულისა  
და გარეშე თავდამსხმელებთან ქართველი ხალხის მრავალსაუკუნო-  
ვანი თავგანწირული და მამაცური ბრძოლების სამშობლოს დამოუ-  
კიდებლობისა და კულტურის შენარჩუნებისათვის.

ქალაქ თბილისის დაარსებას და მჭიდროდ დასახლებას ხელი  
შეუწყო მისი მიდამოების მდიდარმა ბუნებრივმა პირობებმა —  
ტყეებით შემკულმა თელეთის ქედმა, საუკეთესო ჰავამ და წყალმა.

XIX საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქალაქ თბილისის და  
მისი მიდამოების ტერიტორიაზე (დიდუბე, ჩულურეთი, დილომი, ავ-  
ლაბარი, ღრმა-ღელე, ავჭალა, გლდანი, თელეთის ქედი, წაკვისი,  
კუმისი, სოლანლული, ნავთლული) სხვადასხვა დროს შემთხვევით  
აღმოჩენილი და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული კულტუ-  
რული ფენები, ნაირფეროვანი ნივთები (კაყის ისრები, ობსი-  
დიანის ნაკეთობები), პირუტყვის ჩონჩხები, კერამიკული ნაწარმოე-  
ბი, აღკაზმულობანი ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ XIV — XII სს.  
ძვ. წ. აღრ., ე. ო. II ათასეულის მეორე ნახევარში აქ ეკონომიუ-  
რად საკმაოდ შეძლებულ და კულტურულად დაწინაურებულ ხალხს  
უცხოვრია, რომელიც ინტენსიურად მისდევდა სოფლის მეურნეო-  
ბას, კერძოდ, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მაგრამ დროთა  
ვითარებაში ცხოვრების პირობები შეიცვალა, ტყეები გაიკაფა, რა-  
საც წყაროების დაშრობაც მოჰყვა და მოსახლეობაც იცვლიდა სა-  
ცხოვრებელ ადგილს. ამ მიდამოებიდან ჩვენს დრომდე მოაღწია მხო-  
ლოდ არქეოლოგიურმა და ისტორიულმა ძეგლებმა, რომელთა მი-  
ხედვით ირკვევა ამ ადგილების უწინდელი მოსახლეობის ვინაობა  
და მისი ნივთიერი კულტურა.

არქეოლოგიური დაზვერვების და ზოგან კი საცდელი გათხრე-  
ბის შედეგად ამ ადგილებში აღმოჩენილი იყო საგუბარები, თიხის  
მილები, სათივანები, სარწყავი იარაღები, რომელთა მეშვეობით იმ-  
დროინდელი მოსახლეობა თავიანთ ბალ-ვენახებს რწყავდა.

ამ ადგილების შესწავლას საბოლოო ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია და სოფელ ტაბახმელას, ზემო-წყნეთის, კიკეთის, დედების, ელბის და XVII ს. დანგრეული სოფლის კარაპნელას მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარებინა (1921—1923 წწ.). ამის შედეგად ბევრი საინტერესო რამ აღმოჩნდა და მათ შორის უძველესი დროის სამარხები (8 ცალი ყუთი), რომელიც აღწერილია არქეოლოგ ე. პჩელინას მიერ 1928 წელს (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბილ., 1950, გვ. 147—162).

თბილისის ანასიათებს კონტინენტალური ჰავა — ცხელი ზაფხული და შედარებით მსუბუქი (თბილი) ზამთარი. ცივი ზამთარი თბილისში იშვიათად იცის.

თბილისის ჰავის საშუალო ტემპერატურა +12 C. თვით ქალაქის სახელწოდებაც ზოგიერთი ავტორი უკავშირებს სიტყვა „თბილს“, რომლითაც ხასიათდება თბილისის გოგირდოვანი წყაროები.

თბილისის თერმული, გოგირდოვანი წყაროები ძველთაგანვე ცნობილია. მათი სამკურნალო თვისებები აღწერა ჯერ კიდევ გამოჩენილმა ბერძენმა ისტორიკოსმა სტრაბონმა I საუკ. ძველ წელთაღრ., მათ შესახებ მოიპოვება ცნობები აგრეთვე VII, IX, X საუკუნეების უცხოელი მოგზაურებისა და მწერლების შრომებში<sup>1</sup>.

მოგზაური აბულ-კასიმ იბნ-ხაუკალი, რომელმაც X საუკუნეში მოიარა კავკასიის მთელი რიგი ქალაქი და მათ შორის თბილისი, წერდა: „თბილისი გარშემორტყმულია თიხის ორმაგი ზღუდეებით, რომლებსაც სამი კარი აქვთ. ქალაქი მდიდარია სურსათ-სანოვავით, კარგად არის გამაგრებული... მასში აბანოებია მსგავსად ტივერიადის (გალიღია) აბანოებისა; მათში წყალი დულს უცეცხლოდ, ქალაქი მდ. მტკვარზე მდებარეობს“<sup>2</sup>.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი ისტორიოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს ამ აბანოებს: „ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამა. არის მათა აბანონი ექვსნი და დიდშენნი, ავაზიანნი, მარადის მომდინარე ცხელი წყალი“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 52).

ძველად თბილისელი „დაბალჩები“ (მეტყავეები) გოგირდოვან წყალს იყენებდნენ ტყავების დარბილება-დასამუშავებლად, იმ დრომდე, სანამ ხმარებაში შემოდებული არ იქნა დამთრიმლავი ნივთიერება.

თბილისის სახელგანთქმული გოგირდის აბანოები არც დიდი

რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ყურადღების გარეშე დარჩა. 1829 წელს არზრუშში მიმავალმა პოეტმა გზად თბილისის აბანოებიც ნახა და ალტაცებაში მოვიდა; „ჩემს დღეში არაფერი უკეთესი არ შემხვედრია, — წერს პუშკინი, — არც რუსეთში და არც ოსმალეთში, რაც მე თბილისის აბანოებში ვნახე“.

თბილისის თერმული წყლის გამოსასვლელები, როგორც პროფ. ი. ბ. კაპარავას უკანასკნელი გამოკვლევებიდან ჩანს, „იმყოფებიან დაბახანის ხეობის გასწვრივ, სეიდ-აბადის ანტიკლინალის ჩრდილოეთის ფერდობზე, მისი ცენტრალური ნაწილის მახლობლად; გეოლოგიური თვალსაზრისით იგი მიეკუთვნა ეოცენის ქვემო-ლუტეტის ქვე-სართულს.“

თერმული წყალი გამოსავალს პოულობს ნაპრალებში, რომლებსაც ამ რაიონში სხვადასხვა მიმართულება აქვთ; ნაპრალები უმეტეს შემთხვევაში შევსებულია კალციტებით, არის აგრეთვე კაჟი და ცეოლიტები“.

თერმულ-გოგირდოვანი წყაროების უმეტესი ნაწილი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო მისი უმცირესი ნაწილი (2-3 წყარო) მარცხენა ნაპირზე მდებარეობს („გოგილოს აბანო“).

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე გოგირდის აბანოები კერძო პირების საკუთრებას შეადგენდა. არავინ ზრუნავდა მათ კეთილმოწყობასა და მინერალური ნაკადების მასიური საშუქრნალო დანიშნულებით გამოყენებაზე.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ თბილისის გოგირდოვანი აბანოების ბალნეოლოგიურ კურორტად გარდაქმნის საკითხიც დადებითად გადაწყდა. ამ მიმართულებით დიდი სამუშაოები ჩატარდა და უკვე 1938 წლის დამდეგისათვის საფუძველი ჩაეყარა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტის ძირითად ბაზას — სააბაზანო შენობის მთავარი კორპუსის სახით.

## ისტორიული წარსულიდან

ქალაქი თბილისი პირველად ლიტერატურაში მოხსენებულია IV ს. მეორე ნახევრის (დაახლოებით 368 წელს) ამბებთან დაკავშირებით, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვარაზ ბაკურის დროს სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველო თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქციეს.

თბილისის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა პირობებმა, აგრეთვე იმანაც, რომ იგი უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე (ბიზანტია — საქართველო — სომხეთი. — ირანი — ინდოეთი)

მდებარეობდა, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელი შეუწყო ციხე-ქალაქად მის გადაქცევას.

საქართველოს ცენტრად — სატახტო ქალაქად — თბილისი გახდა V — VI საუკუნის მიჯნაზე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც იბერიის სამეფოს უძველესმა სატახტო ქალაქმა მცხეთამ და მასთან ციხე არმაზმა თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა უკვე დაკარგეს.

თბილისის უძველესი ციხე-ზღუდეების დღევანდლამდე შემორჩენილი ნანგრევები მრავალი სისხლიანი ბრძოლის უსიტყვო მოწმეა.

ქალაქის დასაპყრობად ილაშქრებდნენ არა მარტო საქართველოს უახლოესი მეზობელი სახელმწიფოები — ირანი, თურქეთი, არამედ მის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოზავებული ურდოებიც კი.

VI საუკუნეში თბილისი ჯერ ირანის პიტიახშის, შემდეგ მარზპანის ადგილსამყოფელი გახდა; ისინი აქედან განაგებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებს.

VI საუკუნის დამდეგისათვის თბილისი საკმაოდ გაშენდა და უკვე აიგო „ზარის ეკლესია“ (XVII საუკუნიდან ანჩისხატად წოდებული), ხოლო VI—VII საუკუნეების მიჯნაზე კი — სიონის ტაძარი. უკვე 627 წელს ბიზანტიის იმპერატორი ირაკლი, რომელიც ეომებოდა სპარსელებს, მოადგა თბილისს, აიღო მისი ციხე, ხოლო ქალაქი დაარბია და მისი მოსახლეობა კი გაძარცვა.

ამავე (VII) საუკუნეში თბილისში დამკვიდრდა ქართლის ერისმთავარი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალურ სათავადო სამფლობელოებს მეთაურობდა; ამავე საუკუნის დამლევს საქართველოს შემოესიენ არაბები; VIII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მათ თბილისში დააარსეს თავიანთი საამირო<sup>3</sup>, რომლის გამგებლობაში მთელი აღმოსავლეთი საქართველო შევიდა.

მიუხედავად ამისა, ქართლის ერისმთავარი კვლავაც დარჩა. ქალაქ თბილისისა და მასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი ექვემდებარებოდა საქართველოს კათალიკოსს.

IX საუკუნიდან არაბთა საამიროებსა და მათ ცენტრალურ ხელისუფლებას, ე. ი. ხალიფას შორის განხეთქილება მოხდა. ამ დროიდან თბილისი გადაიქცა არაბთა ცენტრალური ხელისუფლებისა და მის პროვინციულ-ადმინისტრაციულ პირთა უთანხმოების ასპარეზად.

853 წ. 9 აგვისტოს ბულა-თურქმა იერიშით აიღო თბილისის ციხე-ქალაქი (კალა), რომელშიც ამ დროს გამაგრებული იყო ხალიფას

ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ამირა საჰაკი<sup>4</sup>. ამ ლაშქრობის შემდეგ ქალაქი დაწვეს. არაბული წყაროების მიხედვით, ამ ომის დროს ქალაქში 50.000 მცხოვრები დაიღუპა.

X საუკუნის შუა წლებიდან თბილისის ამირები ხალიფასაგან დამოუკიდებელი ფეოდალები გახდნენ. მაგრამ ასეთ გარემოცვაში თბილისის არსებობა საქართველოს დანარჩენ ნაწილებიდან მოწყვეტით შეუძლებელი ხდებოდა მით უფრო, რომ ამ პერიოდში უკვე მზადდებოდა ნიადაგი/ საქართველოს გაერთიანებისათვის. ვაქრები საქართველოს გაერთიანების იდეას ემხრობოდნენ, ვინაიდან ქალაქ თბილისში ვაქრობის განვითარება ქვეყნის დანარჩენ ნაწილებიდან მოწყვეტით შეუძლებელი გახდა.

საქართველოს ფაქტიური გაერთიანება, როგორც ცნობილია, დაიწყო 1027—1072 წწ., როდესაც ბაგრატ IV რამდენჯერმე მიიტანა იერიში თბილისზე (ბაგრატი ამ დროს დროებით უფლისციხეში იმყოფებოდა).

ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა იმ დრომდე, სანამ არაბების ამირა საქართველოს მეფის ბაგრატის მეხარკედ არ გახდა (იგი ყოველწლიურად უხდიდა საქართველოს მეფეს 44.000 დინარს).

თბილისიდან საბოლოოდ განდევნა მტერი მხოლოდ დავით აღმაშენებელმა; 1127 წელს მან დაიპყრო დედაქალაქი და ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა სამეფო ტახტი<sup>5</sup>.

ამ დროიდან (XI—XIII სს.) დაიწყო ქალაქის აღორძინების პერიოდი. თბილისი ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ქალაქად იქცა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

ჯერ დავით აღმაშენებლის და შემდეგ თამარის მეფობის დროს (XII ს. დამლევი XIII საუკ. დამდეგი) საქართველოს როგორც შინაური მოღალატეები, ისე გარეშე მტრები განადგურებულ და დამორჩილებულ იქნენ და, ამგვარად, სახელმწიფოებრივ-ეროვნულმა აღორძინებამ, ფეოდალიზმის პირობებში, უმაღლეს წერტილს მიაღწია. თბილისს მეტოქე არ ყავდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. განვითარდა საგარეო ვაქრობა, რომელიც უმთავრესი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით წარმოებდა: აღმოსავლეთში (ინდოეთი), სამხრეთში (სომხეთი — ირანი — არაბეთი), ჩრდილოეთში (რუსეთი). მთავარი სავაჭრო, სავაჭრო-სატრანზიტო გზები მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა და მისივე სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა. ამიერკავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ქალაქთა შორის აღებ-მიცემობაში მთავარი მნიშვნელობა თბილისს ეკუთვნის, როგორც მთელი საქონელბრუნვის ცენტრს.

ქალაქის ასეთ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ამ დროისათვის საქართველოში საკმაოდ აღდგენილმა სოფლის მეურნეობამ და საგრძნობლად განმტკიცებულმა ხელოსნურმა წარმოებამ. ცნობილია, რომ უკვე IX — X სს. და შემდეგ XIII საუკუნის დამდეგს თბილისი ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა.

ამავე პერიოდში სახელმწიფოს ყურადღების გარეშე არ დარჩენილა განათლების საკითხებიც. საქართველოს სხვადასხვა ადგილზე და მათ შორის თბილისში დაარსდა სასწავლებლები (თბილისის ფილოსოფიური სემინარია, იყალთოს, გრემის და გელათის აკადემიები), ყურადღება ექცეოდა უსახლკართო და ქვრივ-ობლების მოწყობას. ორმოცი ახალგაზრდა ფეოდალური ფენიდან წარიგზავნა სახელმწიფო ხარჯზე ბიზანტიაში (კონსტანტინოპოლში) განათლების მისაღებად. ქართველმა ხალხმა ამ პერიოდში მსოფლიო მეცნიერებას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, ხელოვნებას მრავალი შედეგრი შემატა. დიდმა შოთა რუსთაველმა, ჩახრუხაძემ, შავთელმა, თმოგველმა, ხონელმა და მრავალმა სხვამ შექმნეს მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები.

ასეთ ვითარებაში საქართველოს დედაქალაქმა მრავალი ხალხი მიიზიდა და სულ მოკლე ხანში ერმრავალი გახდა. თბილისის ძველმა ცენტრმა ველარ დაიტია სწრაფად გაზრდილი მოსახლეობა. ხალხი გარეუბნებში გავიდა; დროთა ვითარებაში გარეუბნები ქალაქის ფარგლებში მოექცა და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო მმართველობამ ციხის კედლებიც გააფართოვა; ქალაქის ზღუდეები მტკვრის ხეობით ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით გასწია და სწრაფად გაზრდილი ქალაქის ეს ტერიტორია კედლებში მოიფარგლა. ამ დროის თბილისი საგრძნობლად გაშენდა — აიგო მრავალი ლამაზი სახლი. საქართველოში ფართო გასაქანი მიეცა გზების, წყალსადენების, სარწყავი რუების (არხების) მშენებლობას (თბილისის, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენები, სამგორის, ივრის, ალაზნის, გრემის, დავით გარეჯის სარწყავი არხები), აშენდა ახალი სასახლეები, ციხე-ქალაქები, მრავალი ტაძარი, რომლებიც მორთო შუასაუკუნეებისათვის სახელგანთქმული ქართული ქანდაკებით, ჩუქურთმა-ხეულით, განვითარდა მხატვრულ ნაკეთობათა მოსაქმეობა (კერძოდ მინანქრობა).

ქალაქი თბილისი გამდიდრდა, აგრეთვე, სამხედრო-საეარჯიშო ხასიათის ნაგებობებით, რომლებიც გამოიზნული იყო გუბატონებული კლასის (უმაღლეს წოდებათა ფეოდალების) გასართობად.

გაიმართა „ასპარეზი“ (იქ, სადაც ამჟამად 26 კომისრის სახელობის ბაღია), მშვილდ-ისრების სატყორცნო მოედანი, აგრეთვე ბურჟუაზიის (ლელოს) სათამაშო ადგილი — „საბურთალო“, ხოლო დიდუბის გაშლილ მინდორზე კი მოეწყო „ცხენის ტერაზი“ (იპოდრომში) ცხენთა ჯირითისათვის, „ყაბახი“ და სხვა გასართობები.

1223 წლიდან, თამარის სიკვდილის შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა. 1226 წელს საქართველოს შემოესია ხვარაზმის შაჰი ჯელალ-ედ დინი მანგუბერტი, რომელსაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართველმა ხალხმა; მტერმა ვერ დაიმორჩილა ქართველები, ვერც თბილისი აიღო. მაშინ შაჰმა მიმართა ლალატს; მოკლე ხანში მიიმხრო ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი და თბილისი დაიპყრო. ხვარაზმელებმა თბილისში იბატონეს ხუთი წელი (1231 წლამდე)<sup>6</sup>. შემდეგ საქართველოში შემოიჭრნენ მონღოლები, რომლებიც 100 წლამდე მბრძანებლობდნენ. მათ დიდი ზიანი მიადევენს ქვეყანას; საგრძნობლად დააქვეითეს საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და კულტურულად.

XIV საუკუნის ოციან წლებიდან, როდესაც მოხდა საქართველოდან მონღოლების გაძევება, საქართველოსა და მის დედაქალაქში დაიწყო აღდგენითი პერიოდი.

მალე თბილისი იმდენად განმტკიცდა, რომ ზომის პაპმა იოანე XXII მახლობელი აღმოსავლეთის კათოლიკე — ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი სმირნიდან თბილისში გადმოიტანა.

ცნობილია, რომ ევროპული კაპიტალი ამ დროისათვის გაძლიერდა და ჯვაროსნული ომების შემდეგ თავისი მოქმედებისათვის უფრო ფართო ასპარეზი მოიპოვა და აღმოსავლეთშიაც გზა გაიკაფა — კერძოდ მოახერხა, აგრეთვე, თბილისთან საქმიანი კავშირის გაბმა, რამაც ხელი შეუწყო ქალაქის აღებ-მიცემობის გამოცოცხლებას.

საქართველოში მონღოლების ყოფნა მოხერხებულად გამოიყენა გიორგი V (ბრწყინვალემ); 1318 — 1346 წწ. მან მონღოლების ხელისუფალთა წარმომადგენლების მეშვეობით, შექმნა საქართველოსათვის ხელსაყრელი ეკონომიური ბაზა, ამასთანავე აღადგინა ქვეყანა ძველ საზღვრებში.

მაგრამ დიდხანს როდი გასტანა ამ მდგომარეობამ. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს სატახტო ქალაქს უბედურების ახალი ქარიშხალი დაატყდა. თბილისმა იმ ხანად ზედიზედ გადაიტანა რამდენიმე გამანადგურებელი თავდასხმა უცხოელ დამპყრობლებისაგან: თემურ-ლენგის



(ანუ ლანგ თემურის) 1380 — 1403 წწ., შემდეგ თავრიზის მფლო-  
ზელის ჯეჰან-შაჰის (1440 — 1444 წწ.); 1477 წელს საქართველოს  
ძემოესია ირანადან უზუნ-ჰასანი 40 ათასი მეომრით. საქართველო-  
ში მან 1478 წლამდე, სიკვდილამდე იბატონა.

ქართველებმა ისარგებლეს უზუნ-ჰასანის სიკვდილით, თბილის-  
მყოფი სპარსელი ჯარები ამოელიტეს და ქალაქი დაიბრუნეს.  
1488 წელს იაყუბ-ყაენის ბრძანებით თბილისს შემოესია მისი ჯარი  
ხალილ-ბეგის სარდლობით, მაგრამ ქართველთა გამირული ბრძო-  
ლების შემდეგ მტერი დამარცხდა და უკუქცეულ იქნა.

1490 წელს სპარსელებმა კვლავ გაიმეორეს თბილისზე შემოსე-  
ვა, მაგრამ უშედეგოდ.

ამას დაემატა კიდევ ისიც, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში  
(1453 წელს) ოსმალებმა ბიზანტია დაამხეს, კონსტანტინოპოლი  
აიღეს, მთელი მცირე აზია და ბალკანეთის ნახევარკუნძული ხილთ  
იგდეს და შავი ზღვის სანაპიროების ფაქტიური მფლობელნი  
გახდნენ.

ამეზარ საგარეო ვითარებაში თბილისი მოწყდა დასავლეთ ქვეყ-  
ნების მსოფლიო მნიშვნელობის საეკპრო ცენტრებს და საერთაშო-  
რისო საქონელობრუნვას.

საქართველოს მეზობლად ოსმალეთის სახელმწიფოს შექმნის  
შემდეგ, ირანსა და ოსმალეთს შორის სასტიკი ბრძოლა გაიჰართა  
საქართველოს დასაჰყრობად.

1522 — 1606 წწ. ირანელებსა და ოსმალეთს შორის განუწყვე-  
ტილი ბრძოლების პერიოდია საქართველოში პირველობისათვის.

1606 წელს შაჰ-აბასმა დაარღვია ოსმალეთთან დადებული  
ხელშეკრულება და მრავალრიცხოვანი ჯარით დაიწყო ლაშქრობა  
საქართველოზე. 1609 — 1616 წწ. ირანელთა შემოსევის უსაშინლე-  
სი წლებია; შაჰ-აბასი მუსრს ავლებდა მოსახლეობას, ანგრევდა  
ქალაქებს, აუწერელი ზიანი მიაყენა დედაქალაქ თბილისს. ამ  
მრისხანე მტარვალმა მრავალი ქართველი სოფელი აჰყარა და ძალ-  
მომრეობით ირანში — ფერეიდანსა და მაზანდარანში გადაასახლა.  
გადასახლებულთა რიცხვი 100 ათას კაცს აღემატებოდა. მიუხედა-  
ვად ამისა, შაჰმა ქართველი ხალხი მაინც ვერ დაიმორჩილა. სამ-  
კვდრო-სასტიკოცხლო ბრძოლა ქართველებსა და ირანელებს შორის  
გაგრძელდა შაჰ-აბასის დამცობამდე.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის პირველ  
მეოთხედამდე თბილისს შესამჩნევი აღორძინება დაეტყო. XVII  
საუკუნის 70-იან წლებში (1672 — 73 წწ.) ფრანგმა მოგ-

ზაურმა შარდენმა, რომელმაც დაათვალიერა თბილისი, აღნიშნა, რომ იგი „კარგად გამაგრებული, მკიდროდ დასახლებული ქალაქია, მასში ბლომად მოიპოვება მთელი რიგი ლამაზი სახლი, ხოლო მის მიდამოებში სასახლეები ბაღ-წალკოტებით, თვით შუა ქალაქში კი გაცხოველებული ვაკრობა წარმოებს“. იმ დროის თბილისი გადაიქცა ვაკრობისა და ხელოსნობის მსხვილ ქალაქად. სადაც მზადდებოდა საბრძოლო იარაღი, ხმალ-ხანჯალი, თოფის წამალი, ქურქლეული, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და ნაკეთობანი, საკრავები, ბამბულის ქსოვილები; სოვდაგრები ვაკრობდნენ ხორბლით, ბამბით, აბრეშუმით, ძვირფასი ბეწვეულით, ტყავეულით, ღვინით, სურსათ-სანოვავით; კახეთისა და ქართლის ღვინოები გაჰქონდათ სასღაარგარეთაც; ქართლსა და კახეთიდან ოსმალეთში დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ აბრეშუმსა და ენდროს (საქართველოს ენდრო იმ ხანებში ინდოეთშიაც საღებოდა). ამავე დროს ოსმალეთსა და ირანიდან თბილისში შემოჰქონდათ მზა ნაწარმი. საქონელი შემოდოდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც. შირვანის სახანო თბილისს აწვდიდა თევზეულსა და ხიზილალას, ერევნის სახანო — მარილს, თევზს, ოსმალეთი — საქმელ ზეთს.

ამავე დროის მონაკვეთში სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ასპარეზზე თავი იჩინა ლეონტი მელიქიძემ, რომელიც მოღვაწეობდა არჩილ მეფემ, თეიმურაზ I, პოეტმა დავით გურამიშვილმა, სახელგანთქმულმა ლექსიკოლოგმა, მწერალმა და სწავლულმა რედაქტორმა სულხან-საბა ორბელიანმა, ისტორიკოსებმა ბერძე ეგნატაშვილმა, პაპუნა ორბელიანმა, გორგიჯანიძემ, ვახუშტი ბატონიშვილმა, ომან ხერხეულიძემ, მათ შორის ვახტანგ VI შვილი ვახუშტი ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი, მასთან ცნობილი მეცნიერი გეოგრაფ-ისტორიკოსი და კარტოგრაფი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც (მოსკოვში), სადაც მან, საქართველოდან წასვლის შემდეგ (1724 წლიდან), სიკვდილამდე იმოღვაწა. იგი იქ ყოფნისას დაუკავშირდა მოსკოვის უნივერსიტეტს და დიდ რუს მეცნიერ ლომონოსოვს. საქართველოს სამეურნეო ეკონომიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურის ზრდა-განვითარებას.

სწორედ ამ პერიოდში (1707 წ.) მოეწყო თბილისში სტამბა, რომელშიც 1709 წელს დაიბეჭდა სამღვთო სჯულის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა შრომები: ღრამატიკები, სახელმძღვანელოები, მეცნიერული შრომები; ვახტანგ VI რედაქტორობით დაისტამბა დიდი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, დაიწერა საქართველოს ისტორია XIV-XVIII სს., რომლის შედგენაში

ცხოველი მონაწილეობა მიიღო „სწავლულ ადამიანთა კომისიამ“ ვახუშტის მეთაურობით:

თბილისში მიიპყრო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება; საქართველოსა და თბილისის: შესასწავლად ეწყობოდა ექსპედიციები, მივლინებები (ტურნეფორი, გმელინი, გულდენსტედტი და სხვები).

მაგრამ XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველოს და თბილისის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ჩამოვარდა „ძნელბედობის ხანა“, რომელმაც 1747 წლამდე გასტანა: „ლეკიანობა“ ძალიან გამწვავდა, იგი ქვეყანას უსაზღვრო ზიანს აყენებდა.

პირველყოელისა ლეკებმა ქართლ-კახეთის სოფლები ააწოკეს, შემდეგ ოსმალეთის არმია, ისმაილ ფაშას სარდლობით, 1723 წელს შემოესია ქართლსა და თბილისს (1724 წ.) დაიძრა რა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დასაპყრობად. ოსმალების მოქმედება პასუხი იყო რუსეთის მეფე პეტრე პირველისა და ვახტანგ VI ურთიერთ შეთანხმებაზე ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით მოქმედების შესახებ, მაგრამ, ამ დროს, მიუხედავად დაპირებისა, რუსეთი მოკლებული იყო საშუალებას დახმარებოდა ქართლის მეფეს შემოსეული მტრის განდევნაში. ამის გამო ვახტანგი, რომელიც ამ დროს შიდა ქართლში იმყოფებოდა, იძულებული გახდა თავისი ცოლ-შვილით, ნათესავებითა და მთელი ამალით საქართველოდან რუსეთში გადახვეწილიყო და იქ შეეფარებია თავი (1724 წლის 15 ივლისს) იმ ვარაუდით, რომ რუსეთის მეფე მას დაეხმარებოდა საქართველოსა და თბილისის განთავისუფლებაში. მაგრამ საგარეო პოლიტიკის სიტუაციაში მომხდარი ცვლილებების გამო, ვახტანგ მეექვსისადმი დანაპირები რუსეთის მეფემ ვერ შეასრულა.

1723 წლიდან საქართველო და პირველ რიგში თბილისი ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელ ქვეშ ჩავარდა. ამ მდგომარეობამ გასტანა 1734 წლამდე, სანამ ოსმალები ირანელებმა (ნადირ-შაჰის მეთაურობით) არ განდევნეს.

საქართველოს „მხსნელმა“ ნადირ-შაჰმა საქართველოში 1747 წლამდე იბატონა. მან განიზრახა ქართველი ხალხის (ქართლ-კახეთის) გამოუსლომანება; მაგრამ ვერ მიაღწია ამ ზრახვების განხორციელებას; კახეთსა და ქართლში მრავალმა აჯანყებამ იფეთქა. მართალია, შაჰი ცეცხლითა და მახელით უსწორდებოდა აჯანყებულებს. მაგრამ ხალხმა მეოგარი წინააღმდეგობა გაუწია და მტერს არ დამორჩილდა. გამძინავარებულმა ნადირ-შაჰმა თბილისი დააბრია. ირანელთა ასეთ თარეშს ქართლსა და კახეთში ქვეყნის ეკონომიუ-

რი დაქვეითება მოჰყვა. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველი ფეოდალები ურთიერთ ბრძოლას აღრმავებდნენ და მოწინააღმდეგე ფეოდალების გლეხობას ავიწროებდნენ, ანადგურებდნენ, ტყვეებად ჰყიდდნენ; იგივე მებატონეები არც „საკუთარ“ ყმებს ინდობდნენ; „ურჩ“ ყმებს ისინი ყიდდნენ, ხოლო მათ სარჩო-საბადებელს კი თვითონ ითვისებდნენ.

ყველაზე უმძიმეს და უძლიერეს ზიანს კი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით კახეთში და ქიზიყში, ე. წ. „ლეკიანობა“ აყენებდა.

1744 წელს ქართლში თეიმურაზ II, ხოლო კახეთში — მისი შვილი, ერეკლე II გამეფდა, უკანასკნელმა, თეიმურაზ II სიკვდილის შემდეგ, 1762 წლიდან ქართლისა და კახეთის ტახტი დაიკავა და მეფობდა 1798 წლის 11 იანვრამდე. ამ პერიოდში საქართველოს ცხოვრებაში მრავალი ფრიად საყურადღებო სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიება ჩატარდა, რამაც საგრძნობლად განამტკიცა საქართველოს საზღვრები, მმართველობა და სამხედრო თავდაცვისუნარიანობა. ამ დროის მონაქვეთში საბოლოოდ გადაწყდა „ბედი ქართლისა“, რამაც შემდეგში (XIX ს.) დიდი გავლენა იქონია საქართველოს ყველა დაქსაქსული პროვინციის (ანუ სამთავროს) გაერთიანებაზე.

ერეკლე დიდ რუსეთს დაუკავშირდა და მისი მეშვეობით და დახმარებით საქართველოს დაუძინებელი გარეშე მტრები ალაგმა; 1783 წლის 24 ივნისს ციხე გეორგიევსკში რუსეთის და საქართველოს (ქართლ-კახეთის) სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება (ტრაქტატი), რომლის ძალით აღიარებული იყო რუსეთის სამუდამო მფარველობა საქართველოზე და უკანასკნელის ერთგულება რუსეთის სახელმწიფოსადმი.

საქართველოს მომავალი ბედ-იღბალის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლესა და მის დარბაზს იმედი ჰქონდათ, რომ ამით ისინი სამუდამოდ გაათავისუფლებდნენ თავიანთ ქვეყანას გარეშე მტრების ძალმომრეობიდან და უზრუნველყოფდნენ მშვიდობიან პირობებში ქვეყნის აღორძინებასა და აყვავებას.

XVIII საუკუნის 60-იან წლებიდან მის დამლევამდე ქართველმა ხალხმა შეძლო აღედგინა დარბეული ქალაქები და სოფლები; პირველ ყოვლისა ეს აღდგენითი პროცესი თბილისს დაეტყო.

ამ პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ხარჯზე სწავლა-განათლების შემოღება, რასაც მანამდე კერძო ხასიათი ჰქონდა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით თბილისში გაიხსნა ფილოსოფიური სემინარია (ანჩისხატის ეკლესიის გალავანში), რომელმაც იარსება 40 წლის განმავლობაში

(1755 — 1795 წწ.), სანამ მას ალა-მაჰმად-ხანის ველური ხელი არ შეეხო; დაარსდა, აგრეთვე, სემინარია ეალაქ თელავში (1782 წ.). ამ სასწავლებლებმა ქვეყანას მისცეს ცნობილი სწავლულები: ვარლამი, დავით ოქეჯოვი, გიორგი, დოითეოზ ნეკრესელი, ააბროსი ნეკრესელი, სტეფანე რუსთველი, იოანე ბოდბელი, იოანე ხელაშვილი, არსენ თფილელი და მრავალი სხვა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ბოლო ხანებში თელავის მახლობლად — შუამთის მონასტერთან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელმაც დიდხანს იარსება (ამ სასწავლებელში XIX საუკუნის პირველ ნახევარში სწავლობდა, სხვათა შორის, შემდეგში ცნობილი პოეტი, აგრონომი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი). სემინარიების გარდა, თბილისში გაიხსნა მთელი რიგი სხვა სასწავლებლები, რომელთა პროგრამა დაწყებითი სკოლების პროგრამას მიაგავდა; ასეთ სასწავლებელთა შორის განირჩეოდნენ: სიონის, ქაშვეთის, ანჩისხატის, კალოუზნისა და სხვა სკოლები. უფრო ადრე მთელ თბილისში მცხოვრებ სხვა ერებისათვის სკოლების გახსნასაც; ამავე პერიოდში ქალაქში დაარსდა სომხური და აზერბაიჯანული სასწავლებლები. 1778 წელს მოეწყო აგრეთვე რუსული ენის შემსწავლელი სკოლა, ერეკლე მეორის მიერ მოწვეული გაიოზის ხელმძღვანელობით, რომელსაც მოსკოვის სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

ამ ხანებში დაიწყო სამთო-მადნეულის მოპოვებითი სამუშაოები, გაშენდა (თუჯის, სპილენძის) მადნის დამამუშავებელი ქარხნები ჩათანში, ალავერდში, ახტალაში; შინა და საგარეო ვაჭრობის განვითარებას და ხელოსნობის განმტკიცებას როგორც თბილისში, ისე ქართლ-კახეთის დანარჩენ ქალაქებში საგრძნობი დახმარება გაეწია. ამასთან დაკავშირებით ხელოსნების, მოქალაქეებისა და სოფდაგრების უფლებრივი და ქონებრივი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი (ერეკლეს ბრძანებით 1770 წელს კვლავ ძალაში შევიდა ვახტანგ VI დროინდელი კანონი „საკუთრების ქალაქური წესისა“) <sup>7</sup>. მოწესრიგდა აგრეთვე ქალაქის მმართველობა, განისაზღვრა ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი; მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარდა ქართული ჯარის გარდაქმნის საქმეში.

ერეკლე II განზრახული ჰქონდა უფრო მეტი ორგანიზებით ეწარმოებინა ბრძოლა ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ. ამ მიზნით მან თავისი შვილის ლევანის (ცნობილი სარდალი) დახმარებით და უშუალო მონაწილეობით შექმნა მერივე (მორივე) ჯარი, რომელიც თავისი წყობით რეგულარულ ჯარს წარმოადგენდა<sup>8</sup>.

ერეკლეს საგანგებო ბრძანებით წარმოებდა დარიალის ხეობით მიმავალი საეპრო გზის აღდგენითი და შემკეთებელი სამუშაოები, რასაც უდიდესი მხიძენელიაა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან მოკლე გზით დასაკავშირებლად.

რუსეთის უმაღლესმა სახელმწიფო მმართველობამ საქართველოსთან ტრაქტატის დადება ისეთ დიდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ აქტად ჩათვალა, რომ რუსეთის მეფის ეკატერინე II-ის საგანგებო რესკრიპტით ამ აქტის აღსანიშნავად ჩამოსხმული იყო ბრინჯაოს საგანგებო მედალი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახულია ეკატერინე II პორტრეტი მეფის გვირგვინით და შემკულობით, ხოლო მეორეზე გამოსახულია გვირგვინი, ფარი, ხმალი, მანტია, რომლებიც სამეფო ტახტზეა განლაგებული; ფარის ერთ ნაწილში წარწერაა გაკეთებული რუსულად „ძფ. ირაკლის“, მეორე ნაწილში — „1783“, მათ შუა ჩამოხულია ვენზელი „ეკატერინე II“. მედლის ბოლოსაც განმეორებულია „1783“. მედალის ამავე მხარეზე გამოკეთილია (რუსულად) „სარწმუნოებას — ერთგულებას“ (ამ მედლის ცალი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკურ კაბინეტში).

ტრაქტატში შეტანილი ერთ-ერთი ვალდებულების შესაბამისად რუსეთმა 1783 წლის 3 ნოემბერს გამოგზავნა თბილისში რეგულარული ჯარის ნაწილები, ხოლო 1784 წ. 23 იანვარს ერეკლემ რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი დადო და დაჯილდოებულ იქნა რუსეთის სამეფო გვარეულობის ანდრია პირველწოდებულის ორდენით და ბრილიანტებით შექვილი ვარსკვლავით, ცისფერი ლენტითა და საორდენო ოქროს ჯაჭვით, ამავე დროს რუსეთის მეფისაგან მიიღო ოქროს გვირგვინი და სამეფო ინვენსტიტურის დანარჩენი ნიშნები.

საქართველოს რუსეთის ორიენტაციაზე გადაჭრით დადგომამ და ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ძლიერ შეაშინა ამიერკავკასიის სახანოები; ხანებს შიშის ზარი დაეკათ, ყველა იმას ფიქრობდა რომ თავი გადაერჩინა.

დარუბანდის, ყარაბაღის, ხოის ხანები ერთგულებას ეფიცებოდნენ რუსეთს; მორჩილება განუცხადეს აგრეთვე დალესტნის მთაწარემაც. მაგრამ საქართველოს მეზობლად მდებარე სახანოები ამ დბნეულობიდან მალე ოსმალეთმა გამოიყვანა, რომელიც ამ შემთხვევაში ირანისა და სახანოების „დამრავშეელის“ როლში გამოვიდა.

ოსმალეთის აგენტები „სარწმუნოებრივი ომისაკენ“ მოუწოდებდნენ ხალხს. ოსმალეთის ასეთმა პოლიტიკამ მალე ლეკებში გამოხმაურება ჰპოვა და მათ კვლავ განაახლეს თავდასხმები კახეთსა და ქარ-

თლზე. სხვა ხანებიც გადაუდგნენ საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ იკრიბებოდნენ (ომარ-ხანი ხუნძახის, განჯის, ერევნისა და სხვა ხანები).

1787 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთმა საქართველოდან თავისი ჯარი გაიწვია და, ამგვარად, საქართველო მარტომარტო დარჩა მისდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს შორის. ირანი კვლავ გეგმავდა საქართველოს დაპყრობას და მომავალში თავის გავლენის ქვეშ მის მოქცევას.

საგარეო ურთიერთობის ასეთი გართულებანი და სიძნელებები ერეკლეს შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს; რეაქციულმა თავადობამ თავაშვებული მოქმედება დაიწყო. ერეკლეს მიერ გამოცემულ საგლებო და სავაჭრო კანონებს ფეოდალები არ ცნობდნენ. ხელოსნებს ავიწროებდნენ, ლაშქარი არ გამოჰყავდათ. ამას დაემატა ერეკლეს ოჯახში შვილებს შორის უთანხმოებანი ტახტის მემკვიდრეობის საკითხში.

ამასობაში ირანში ყაჯართა დინასტია გამეფდა და ტახტი დაიკავა საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა ალა-შაჰმად-ხანმა. იგი ცდილობდა ქართლ-კახეთში ირანის უწინდებური გავლენა-ბატონობა დაემყარებინა და რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობა გაექარწყლებინა. ამ მიზნით ორჯერ მოსთხოვა ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და სამაგიეროდ პირდებოდა დიდ წყალობასა და პატივს. მაგრამ ერეკლემ მას ცივი უარი შეუთვალა. ამ სიტუაციაში, რასაკვირველია, ომი მოსალოდნელი იყო.

1783 წლის ხელშეკრულების თანახმად ერეკლემ რუსეთის სამეფო მმართველობას მასველი ჯარი და არტილერია მოთხოვა. სანაპირო ჯარების სარდალი გენერალი გუდოვიჩი ერეკლეს აიძულებდა, რომ ჯარს მალე მოგაშველებო, მაგრამ არსებითად იგი არაფერს არ აკეთებდა ამ მიმართულებით<sup>10</sup>. 1795 წელს ალა-შაჰმად-ხანი უკვე ამიერკავკასიისაკენ წამოვიდა. იგი ეჩმიაძინს შიადგა, მაგრამ იქ სომხეთის კათალიკოსმა დიდი ქრთამით მოიშორა და სექტემბერში მაჰმად-ხანი უკვე საქართველოს საზღვრებს მოადგა.

## კრწანისის ეპოპეა XVIII საუკუნის დამდეგს

ალა-შაჰმად-ხანი თბილისს მოადგა, საქართველო კი ამ დროს მოუშზადებელი აღმოჩნდა; მართალია, მეფე ერეკლემ სპირო თადარიგი დროულად დაიკირა, მაგრამ თავადური რეაქციის შედეგად 40.000 მეომრის ნაცვლად, ერეკლეს მხოლოდ 4.000 ჯარისკაცი ყავდა; არც

ბატონიშვილები იწუხებდნენ თავს, ან სულ მცირე ამალით მოდოდნენ დედაქალაქის დასაცავად.

ტყუილად კი არ აღინიშნა ხალხურ ლექსებში თავადების ასეთი მოლაღატური მოქმედება:

„თავადები დაერჩინენ,  
ერთად გააბეს მხარია,  
ხუთ-ხუთ თუმანს ქრთამს იღებდნენ  
არ გამოვიდა ჯარია“.

ეს ამბავი ხდებოდა იმ გაკვირვების დროს, როდესაც თბილისზე მტრის 35.000 მარტო ცხენოსანი ლაშქარი იყო მომდგარი.

1795 წ. 9 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი (ზოჯა-ხანი) სოღანლულის ვიწროებს მოადგა, იქ დაბანაკდა და დაზვერვებს შეუდგა; თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან იხიზნებოდა.

სასწრაფოდ და დიდი წვალებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი, იმერეთიდან სოლომონ მეფის მიერ ჩამოყვანილ ლაშქართან ერთად, 6.000 კაცს არ აღემატებოდა.

ჯარს სარდლობდა თვით ერეკლე, რომელიც მიუხედავად მოხუცებულობისა (იგი მაშინ 76 — 77 წლის ასაკში იყო) მოწინავეთა რიგებში თავგანწირულად ებრძოდა მტერს.

ძლიერი და გმირული კონტრიერიშით ქართველებმა მალე უკუაგდეს მტერი ქალაქის მისადგომებიდან და ბრავალი მათგანი ამოწყვიტეს.

ქალაქის ციხე კარგად იყო გამაგრებული.

ზარბაზნები მრისხანედ გადმოპყურებდნენ მტერს შავნაბადისა და თელეთის მწვერვალებიდან; სეიდაბადის ციხის 16 ზარბაზნა მტრის შეაგულში იყო დამიზნებული.

10 სექტემბერს დაიწყო პირველი დიდი ბრძოლა. მტერი კრწანისის მხრით გამოინდა და წინ მოიწვედა თავისი რაზმებით. მაჰმად-ხანს დიდი შიში ჰქონდა ერეკლესი — „არსად არ შემიტყუოს და არ გამიწყვიტოს ჯარია“. ხანი თურმე ამბობდა: „მე კარგად ვიცნობ ერეკლე-ხანსო, ის ნადირშაჰის მოწაფეა და რამე მახეს დამიგებსო“. იმიტომ ალა-მაჰმად-ხანი არავის ენდო, თვითონ ცხენით გაეცრა აღიღებულ მტევარში, მარცხენა ნაპირზე გავიდა და იქიდან დაზვერა კრწანისის ველი და თბილისის ციხის მისადგომები. ერეკლეც ფრთხილად იყო. ხანის ეს მანერი მას არ გამოპარვია. იმავე დამეს ერეკლემ თავისი ლაშქრის დიდი გადაჯგუფება მოახდინა და იმნაირად დააწყო რაზმები, რომ ირანელებისათვის საშუალება მოესპო ქართველებისათვის ალყა შემოერტყათ.

11 სექტემბერს დილიდანვე ბრძოლა განახლდა. ერეკლეს ცნობა



მოუვიდა, რომ ხანი ძლიერ შეშინდა 10 სექტემბრის ბრძოლით და დააპირა უკან დაბრუნებაო, მაგრამ მოსყიდულმა ქალაქის მელიქებმა — მოლაღატეებმა იმავე ღამეს თბილისის ციხიდან გააპარეს ირანის ელჩი მევენუნი, რომელმაც ფიცით დააჯერა მაჰმად-ხანი ერეკლეს ჯარის ნამდვილი მდგომარეობა.

ამ ცნობით გამხნეებულნი ხანი შეტევაზე გადავიდა და მთავარი ძალებით ქართველთა ჯარს კრწანისის მინდორზე შეეჯახა. ერეკლეს ბრძანებით პირველად მტერს ეკვეთა იოანე ბატონიშვილი თავისი რაზმით, რომელმაც ხელჩართულ ბრძოლაში მტრის შუაგული გაარღვია. მტერი შეკრთა... შაჰმა ახალი მამუელი გუნდები მონიშნულია. გაიმართა სისხლიანი, ხელჩართული ბრძოლა. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. იოანეს რაზმიც დაზარალდა, მაგრამ ამ დროს ერეკლემ მიაშველა ვახტანგ ბატონიშვილი შერჩეული რაზმით — სამასი არაგველითა და ფშავ-ხევსურით. ირანელებს ახალ-ახალი მამუელი გუნდები ემატებოდა. ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო... ამ დროს ცხენდაცხენ მტერს თავს დაესხა თვით შოხუცი ერეკლე თავის ლაშქრით და შეიჭრა მოწინააღმდეგის შუაგულში. მტერიც კი ალტაცებაში მოიყვანა ქართველი მეომრების თავგანწირულებამ.

„ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს და ვერც წარმოვიდგენდი ამისთანა გულოვან და გმირულ ლაშქარსო“ — წამოიძახა მაჰმად-ხანმა სწორედ იმ წუთში, როდესაც ერეკლემ და სოლომონმა (იმერეთის მეფემ) მცირერიცხოვანი რაზმით დაიპყრეს ის მალღობი, საიდანაც შაჰი თავის ჯარს სარდლობდა.

ქართველები ბრძოლით მისდევდნენ უკუქცეულ მტერს... მაგრამ ეს საბედისწერო აღმოჩნდა... ქართველთა ლაშქარი უთანასწორო ბრძოლაში გაწყდა. დაიღუპა მეომრებისა და სარდლების მეტი ნაწილი; ისედაც მცირერიცხოვანი ჯარი სუსტდებოდა, მტერს კი ახალ-ახალი გუნდები ემატებოდა. მალე ირანელებმა დაიწყეს იოანეს და ვახტანგ ბატონიშვილების რაზმების შემოვლა და ალყის შემორტყმა. ამ მიდამოებში ერეკლეც იმყოფებოდა; სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. ადვილი მოსალოდნელი იყო მეფის დატყვევებაც კი... უკვე ბინდდებოდა, სეიდაბადის ბოლოში ხელჩართული ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. ერეკლეს აქაც ვერ გაუძლო გულმა, მან უეცრად ცხენი შემოატრიალა, დეზი ჰკრა და ხმალამოღებული შეიჭრა მტრის გუნდში. როდესაც ეს სურათი დაინახეს მისმა შვილიშვილებმა და მახლობელმა სარდლებმა მიაშურეს და როგორც იქნა დააჯერეს მეფე ბრძოლის ველი დაეტოვებინა, რომ გააფთრებულ მტერს ტყვედ არ ჩავარდნოდა. ერეკლე მტეხის ხილით გაღმა გაიყვანეს და მთიულეთისაკენ გაამგზავრეს.

ქართველი ჯარი გაწყდა, სამასმა არაგველმა, ფშავ-ხევსურმა და თბილისის მრავალმა მოქალაქე-პატრიოტმა გმირულად დასდეს თავი სამშობლოსათვის; სასიკვდილოდ დაჭრილი ქართველთა არტილერიის სარდალი მაიორი გიორგი გურამიშვილი (ერეკლე II ნათლული) ზარბაზანზევე აკუწა მტერმა. უსაშინელეს სურათს წარმოადგენდა ამ დროს კრწანისის მინდორი. სწორია პოეტი, როდესაც ლაპარაკობს:

„ირეოდა ღრიანცელი  
ზურნისა და სროლის ხმაში,  
წამოვიდა უთვალავი  
ცოფიანი ყიზილბაში.  
ქართლის გულზე აღიმართა  
ირანელი აფიოის თათი,  
გაცედა ხმალი ქართველისა  
მოდიოდა ერთზე ათი.  
ჯართან ერთად ხმალი იპყრა  
ხელში ბევრმა ქალაქელმა  
და კრწანისზე თავი დასდო,  
ვით სამასმა არაგველმა“.

1795 წლის 12 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი თავისი ჯარით შემოესია ქალაქს და მუსრი გაავლო მთელ მოსახლეობას; ყველა ღირსშესანიშნავი შენობა, სასახლე, საწარმო, სტამბა, ეკლესიები, აბანოები, თოფხანა დაანგრია და გაანადგურა, ნანგრევებს კი ცეცხლი წაუკიდა. განსაკუთრებული სიმხეცე და ველურობა მტერმა გამოიჩინა ქალებისა და ბავშვების მიმართ. ძუძუმწოვარა ბავშვებს ფეხში ხელს კიდებდნენ და შუაზე ხლეჩდნენ.

ამ შემოსევის შედეგად 4 000 სახლიდან, ხანძრის შემდეგ, ქალაქში დარჩა 2 700 შენობა და მათ შორის ეკლესიების ობლად აშოლტილი კედლები, რომლებიც ცეცხლს გადაარჩენოდნენ. არ დაინდო მაჰმად-ხანმა აგრეთვე, ერეკლეს ულამაზესი სასახლე; მან პირადად გადაარჩევინა და მისი საკუთრა სასახლის განძეულობა, ქონების უძვირფასესი და საუკეთესო ნიმუშები, თვალ-მარგალიტი, ოქრო, სამეფო მორთულობის ყველა ნიშანი, რომლებიც ერეკლეს რუსეთის დედოფალმა გამოუგზავნა, უიშვინათესი სახელმწიფო-ისტორიული მნიშვნელობის საბუთები და მათ შორის 1783 წელს რუსეთთან დადებული ტრაქტატის ტექსტი (ხელმოწერილი რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლების მიერ და დამტკიცებული რუსეთის მეფის მიერ, ხელრთვით). გაძარცულ სასახლეზე შაჰმა ცეცხლი წააკიდებინა და გადააწვევინა.

მტერმა დაარბია და შეამტკვრა თბილისის მიდამოებიც (სოფ. ლილო, მარტყოფი, ნორიო, მცხეთა).

მამაცურად დაუხედნენ მტერს ნორიელი მოლაშქრენი. მათ სოფლის დიდი ციხიდან არათუ მოიგერიეს ალა-მაჰმად-ხანის აგენტურა დალესტნიდან შემოსეული 1.500 ლეკი, არამედ მრავალი მათგანი ამოწყვიტეს და უკუაგდეს; ლეკებმა ნორიოს ციხიდან დაიხიეს<sup>11</sup>.

თბილისის დარბევით ალა-მაჰმად-ხანმა და მისი სახით მთელი მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა ჯაერი იყარეს ერეკლეზე საქართველოს დიდ რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარებისა და მისი პროტექტორატის ქვეშ ჩაყენებისათვის.

ალა-მაჰმად-ხანის ასეთმა გამარჯვებამ ძლიერ გაახარა ოსმალეთი. ხონთქარმა მაჰმად-ხანს მილოცვაჲ კი გამოუგზავნა და თავის მხრით კავშირი და დახმარება შესთავაზა; დიდად კმაყოფილი დარჩა აგრეთვე საფრანგეთიც, ვინაიდან ამ ფაქტში ეს სახელმწიფოები რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ.

ამ სახელმწიფოებმა ამიერკავკასიიდან რუსეთის საბოლოოდ გასადევნად ალა-მაჰმად-ხანს ურჩიეს ერთი ასეთივე სიძლიერის შეტევის განმეორება საქართველოზე.

ქართველმა ხალხმა მწვავედ განიცადა თბილისის უსაშინელების ტრაგედია, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, რომ რუსეთის დახმარებით, ქვეყანა აღდგებოდა და მტერი აილაგებოდა.

თბილისში დაბანაკებულ ალა-მაჰმად-ხანსა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე ამ დროს ანანურში იდგა, დროის მოგებას ცდილობდა, მაგრამ მოლაპარაკების შინაარს რუსთა მენაპირე უფროს გენერალ გუდოვიჩს ატყობინებდა და მისგან სასწრაფო დახმარებას მოითხოვდა. არც ალა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობა.

თბილისში ხანი დიდხანს არ დარჩენილა. მოლაპარაკება არ იყო მოთავებული, რომ აიყარა და სასწრაფოდ ირანში წავიდა: „ერეკლე ხანი თბილისის დარბევას არ შემარჩენს და სამაგიეროს გადამიხდისო“.

ანანურიდან ერეკლე პირდაპირ თელავში გაემგზავრა, ხოლო თბილისში კი სოლომონ მსაჯული წარგზავნა.

პატარა ხნის შემდეგ, როცა კახეთში ყველა საკითხი მოაგვარა და ქალაქშიაც ავადმყოფობა (ჭირი) შენელდა, ერეკლე თბილისს დაბრუნდა.

1795 წლის დეკემბერში თბილისში შემოვიდა რუსეთის ჯარა.

მართალია, მან 3 თვით დააგვიანა, მაგრამ მაინც მაშველი ჯარის შე-  
მოსვლამ, ცოტა არ იყოს, გაამხნევა მოსახლეობა.

ალა-მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტი ხელიდან  
ხელში გადადიოდა, ბოლოს იგი ხელთ იგდო ბაბა-ხანმა, რომელმაც  
საქართველოს მიმართ თავისი ბიძის მაჰმადის პოლიტიკა განაგრძო.  
ქართლ-ქახეთში რეაქციური თავადობა პარპაშობდა, ხოლო ლეკები  
კი თავიანთ ავაზაკურ თავდასხმებს კვლავ განაგრძობდნენ; აწიოკე-  
ბული გლეხობა ტყეებში და მიუვალ ადგილებზე იხიზნებოდა, ვაჰარ-  
ხელოსნები თავს რუსეთისაკენ გაქცევით შველდნენ. ასეთ რთულ  
საგარეო და შინაურ არევ-დარევის გარემოცვას ვეღარ გაუძლო  
ღრმად მოხუცმა ერეკლემ და იგი 1798 წლის 11 იანვარს, 80 წლის  
ასაკს მიღწეული, გარდაიცვალა თელავში, სადაც უკანასკნელ დროს  
ცხოვრობდა (იგი დასაფლავებულია ივერიის უძველეს სატახტო  
ქ. მცხეთაში „სვეტი-ცხოველის“ ეკლესიის კანკელის წინ).

იმ არეულობაში ერეკლეს დაკარგვა ქართველი ხალხისათვის უსა-  
თუოდ აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო.

აკი იმიტომაც დასტირა მას ხალხმა მრავალ ლექსში; მოგვყავს  
ერთი მათგანი:

„ვერ გაიგევით ქართველნო,  
შეგეხსნა რკინის კარია...  
მზე დაგვიბრუნდა უკულმა,  
ჩავარდა შუა ზღვაშია,  
მთვარე დაბნელდა, გაშავდა,  
ალარ გვინათებს ცაშია...  
ატირდნენ წერილნი ვარსკვლავნი,  
ცამაც ღამალა ნაშია,  
არ გვიფრიალებს დროშები,  
არცა ქუხს ზარბაზნია...  
ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?  
გაუხმეს ენის ტარია.  
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,  
ძმა არის წილ-ნაყარია.  
შვილებს დაუგდო ბეგთარა —  
ფსა სისხლიანი ხმალია“ 12.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი უფროსი შვილი გო-  
ორგი ავიდა. ამდენ დარბევა-შევიწროების შემდეგ სახელმწიფოს  
მდგომარეობა გართულდა. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა  
ისიც, რომ ერეკლეს შვილებს შორის უთანხმოებანი გრძელდებოდა.  
ყველა ერთად გიორგი მეფეს აუმხედრდა; გიორგიმ პირად მცველ-

ბად. ლექთა რაზმი დაიჭირავა, რომლის შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც გადატაკებულ გლეხობას. იმავე დროს ამ რაზმელთა მოძმე ავაზაკებმა არათუ არ შეასუსტეს თავიანთი თარეში სოფლებში, პირიქით, უფრო გააძლიერეს.

გიორგი მეფემ ტახტზე ასვლა რუსეთის მეფეს შეატყობინა და მისგან დასტური ითხოვა; მაგრამ რუსეთმა პასუხი დაუგვიანა. ამავე დროს ირანის შაჰმა კვლავ გაიმეორა თავისი ნოტა საქართველოსადმი, რომელშიაც გადაწყვეტით მოითხოვდა საქართველოს და ირანს შორის ურთიერთობის აღდგენას. ამ ნოტას თვით ყაენის ელჩი მოჰყვა და შაჰის წერილი მოართვა გიორგის. შაჰი „სთხოვდა მეფესა — არა დაარღვიოს კავშირი ძველთა საქართველოსა მეფეთა ირანის ყაენთანა, რათა არ დაივიწყოს წყალობები, რომლითაც სავსე იყო საქართველო, რათა რუსთა არ მიანდონ სვე და ბედი თავისი. ყაენი აღუთქმიდა მფარველობასა თვისსა საქართველოსა ვილისტანზედა, სარწმუნოებისა მათისა არა-დევნასა, უფლებასა სახანოებთა ზედა ერევნისა, განჯისა და ყარაბაღისა, ვითარცა იყოს მეფისა ირაქლისა დროსა, და უკეთუ ისაჭიროებს მეფე ჯარისადა გამოგზავნასა 6 000 კაცისასა ყაენისა ხარჯითა დასაცველად გზათა, რომელიცა აქედნენ სავლელად ლექთა, ქვეყანისა ამოხრებელთა“.

გიორგი მეფემ ელჩი დიდი პატივით მიიღო და მაშინათვე წერილი მისწერა, რომლითაც „დაუმალველად და გამოცხადებულად აღიარა საჭიროება ქვეყნისა დასაცველად მიწოდებით და მიმართვით რუსთა ხელმწიფისადმი“ მეფე სწერდა: „ირანი შეგვექნა მდევნელად და მტერად ჩვენდა; დაივიწყა სისხლი მეფეთა ქართველთა ჯარისა დაღვრილისა ავგანისტანსა, ირანმან აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთი და იგივე სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა, მაიმედებს ქვეყნისა დამშვიდებასა. დარღვევა მათთან კავშირისა, არ შემოძლიან და ვერ შევირცხვენ პირსა და ვერც გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა; ყოველნივე სასულიერონი და საერონი გვაგმნი თხოულობენ რუსეთის ხელმწიფისა მფარველობასა“<sup>13</sup>.

ირანელების ნოტის ამბავი გიორგი მეფემ აცნობა საქართველოს სრულუფლებიან ელჩს რუსეთში გარსევან ჭავჭავაძეს და მოსთხოვა საკითხის დაჩქარებით გადაჭრა.

ამის სავასუხოდ 1799 წ. რუსეთის მეფემ პავლე I გამოუგზავნა გიორგი მეფეს, ტრაქტატის შესაბამისად, ტახტზე დამტკიცების სიგელი და სამეფო ნიშნები, აგრეთვე ცნობა მისი შვილის დავითის მემკვიდრედ აღიარების შესახებ, ამასთანავე საქართველოში წარმოაგლინა გენერალი ლაზარევის სარდლობით ჯარის ნაწილი 3000

კაცის შემადგენლობით; ამ ჯარს მოჰყვა რუსეთის ელჩი სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი (1799 წლის ნოემბერი).

საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ კვლავ ააღელვა ირანის შაჰი და მმართველობა. უკანასკნელი საქართველოსთან ომს აპირებდა და ამიტომ ჯარებს აგროვებდა.

რუსეთის მმართველი წრეები, რომლებმაც ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შეისწავლეს ქალაქ თბილისისა და ერთობლივ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდ სიკეთედ თვლიდნენ.

1800 წლის სექტემბერში რუსეთის მეფის მთავრობამ თბილისში გამმოგზავნა კიდევ ერთი პოლკი ჯარი გაძლიერებული არტილერიით. პოლკს სარდლობდა გენერალი გულიაიკოვი.

ბატონიშვილები კვლავ შფოთს განაგრძობდნენ, ერთმა მათგანმა — ალექსანდრემ (ერეკლეს შვილმა) ტახტის ხელში ჩასაგდებად გარეშე მტერიც კი შემოასია საქართველოს და თბილისის აღება მოინდომა. მან ხუნძახის მფლობელი ომარ-ხანი მოიპატიჟა თბილისის ასაკლებად. ომარ-ხანი 30 000 მეომრით წამოვიდა თბილისისაკენ, მაგრამ რუს-ქართველთა შეერთებულ სამხედრო ძალებს იოანე ბატონიშვილისა და გენერალ გულიაიკოვის სარდლობით შეეფეთა სოფელ ნიახურასთან (ს. კაკაბეთის მახლობლად, მდ. ივრის ნაპირზე); გამძაფრებულ სისხლი. ნ ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა.

თვით ომარ-ხანი ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა<sup>14</sup>. ამგვარად, საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი მიდამოები დარბევა-განადგურებას კიდევ გადურჩნენ.

გიორგი მეფე გარდაიცვალა 1800 წელს.

1800 წლის 22 დეკემბერს რუსეთის უმაღლესი მთავრობის ბრძანებით გაუქმებულ იქნა ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) სამეფო და საქართველო გამოცხადდა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად.

1801 წლის 16 თებერვალს რუსეთის ჯარების სარდალმა საქართველოში, თბილისში (სიონის ტაძარში) მოიწვია საქართველოს მთავრობის წევრები, მმართველობის წარმომადგენლები, მეფის კარის თავადები, ტაძარს შემოარტყა ჯარი და დამსწრეთ გამოუცხადა პავლე I რესკრიპტი საქართველოს სამეფოს გაუქმების შესახებ.

მაგრამ ამ აქტის საბოლოოდ გაფორმება დროებით შეჩერდა პავლე I სიკვდილის გამო (1801 წლის 11 მარტს).

საქართველოს რუსეთთან ფორმალური შეერთება მოხდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I რესკრიპტით 1801 წლის 12 სექტემბერს.

## თბილისი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ

ამგვარად XIX საუკუნის დამდეგისათვის დასრულდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის, არსებობა და მის ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

თავისთავად ცხადია, რომ XVIII საუკუნის საქართველოს ვითარება უკვე ისეთი გზით წარიმართა, რომ მას შესაძლებლობა აღარ ჰქონდა თავისი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას აშკარა საფრთხე მოელოდა ირანის შაჰისა და კულტურულად ჩამორჩენილ ოსმალთა სახონტქროს გარემოცვაში.

საქართველოსადმი ეს ორი მტრულად განწყობილი აგრესიული სახელმწიფო საქართველოში და მისი მეშვეობით მთელ ამიერკავკასიაში თავიანთი პეგემონიის განსამტკიცებლად ქართველი ხალხის ფიზიკურ მოსპობასა და ასიმილაციას ლაშობდნენ.

სახელმწიფო მოღვაწე ქართველი პატრიოტებისათვის ცხადი შეიქმნა, რომ ერთადერთი სწორუპოვარი გამოსავალი საქართველოს რუსეთთან შეერთება იქნებოდა; ამიტომ უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაჩქარდა ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის სათანადო ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოს რუსეთთან შეერთება უნდა ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად, ერთადერთ შესაძლებლობად, რომ ქართველი ხალხი რუსეთის ეკონომიურ და კულტურულ ვითარებაში ჩაბმულიყო და თავი დაეღწია იმ ჩამორჩენილობისაგან, რომელშიაც იგი იმყოფებოდა იმ დროისათვის უკვე კულტურულად სავსებით დაქვეითებული ოსმალეთისა და ირანის რკალში მოქცეული. რუსეთთან შეერთებით კი, როგორც აღნიშნა XIX საუკუნის დიდმა საზოგადო მოღვაწემ და პოეტმა ილია ჭავჭავაძემ „დამშვიდდა დიდი ხნის დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომებისა და ბრძოლებისაგან.“

„თქმა არ უნდა, — აღნიშნავდა პოეტი, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის ჩვენში დღეს არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კა-

რი განათლებისა და რუსულმანვე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გრძნებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენთაგანი რუსულ ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულ ჩვენთაგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მიმდევრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა დიდი რუსი ხალხის ბედს, რუსეთის წინამძღოლობითა და დახმარებით მრავალი ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა საერთო მტრებს — ცარიზმს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, არ მოიპოვა თავისუფლება.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ დააჩქარა აგრეთვე დიდი რუსი ხალხის მოწინავე ადამიანების, XIX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეების, დაახლოება საქართველოსა და ქართველ ჩაღწთან, მას მოწინავე ინტილექტუალისტთან; ამ დიდმა საერთაშორისო სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებამ ხელი შეუწყო, აგრეთვე, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, ეკონომიური პირობების, მისი უძველესი კულტურისა და ქართველი ხალხის ყოფის შესწავლის საქმეს.

ამ საკითხებში პირველობა ეკუთვნის XIX საუკუნის დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, რუსეთის გამოჩენილ მწერალს ა. ს. გრიბოედოვს, რომელმაც საქართველოში მ წელი გაატარა და ჩაესიდა კიდევ დიდ ქართველ პოეტს ალექსანდრე ჰავკავაძეს, ცოლად შეირთო რა მისი ქალიშვილი ნინო. თბილისიდან გრიბოედოვი დროგამოშვებით წინანდალში დადიოდა თავის სიამართან. გრიბოედოვმა თბილისშივე შექმნა თავისი ცნობილი თხზულებანი „საქართველოს დამე“, „რადომისტი და ზენობია“, „ყალიანჩი“.

ა. ს. გრიბოედოვი ზრუნავდა საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. მან შეადგინა პროექტი სამრეწველო-სავაჭრო კომბინატის, ე. წ. რუსეთ-ამიერკავკასიის კომპანიისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების მოპოვება და საწარმოო ძალთა განვითარება.

საქართველოში ჩამოდიოდნენ დიდი რუსი მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი ა. ს. პუშკინი (1829), მ. ი. ლერმონტოვი (1837), რუსეთის რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი ა. ა. შიშკოვი (1818 — 1824 წწ.), ცნობილი მწერალი-დეკაბრისტი კიუხელბეკერი, პოეტი-დეკაბრისტი ოდოევსკი (1837 — 1839 წწ.); ამ უკანასკნელმა საქართველოს 13 ლექსი მიუძღვნა, ერთში „საქართველოს დაქორწინება რუსეთის სამეფოზე“, ხაზგასმულია ქართველი ხალხის უსაზ-



ღვრო სიყვარული თავისი მოძმე დიდი რუსი ხალხისადმი; მწერალი ბესტუჟევი-მარლინსკი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსი მკითხველის დაახლოებაში კავკასიის ხალხებთან.

წარსული საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა პოეტი პოლონსკი, რომელმაც საქართველოში იცხოვრა 1846 წლიდან 1851 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი ლექსი შეთხზა, რომლებშიც დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერა საქართველოს ბუნების იშვიათი სილამაზე და მიმზიდველობა; განსაკუთრებული პატივით იხსენიებს პოეტი საქართველოს ისტორიისა და კულტურის მოღვაწეებს, აღფრთოვანებით აღწერს ქართველებს, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ხალხთაგანს. მან ლექსი უძღვნა გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჰავკავაძის ქალიშვილს — დიდი რუსი მწერლის ალ. გრიბოედოვის მეუღლეს ნინო ჰავკავაძე-გრიბოედოვას, დაწერა საქართველოს ცხოვრებიდან დრამატული ნაწარმოები, რომელსაც ეწოდა „დარეჯანი იმერეთისა“.

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა (საქართველოს სამხედრო გზით) რუსეთის და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის უდიდესი გენია ლ. ნ. ტოლსტოი. 1851 წელს მან სამსახური დაიწყო იუნკრად რუსეთის საარტილერიო ნაწილში, რომელსაც სარდლობდა მაშინ ცნობილი არტილერისტი პოდპოლკოვნიკი დიმიტრი მუსხელიშვილი (სოფელ მუხროვანში, თბილისის მაზრა); ამავე ნაწილში მან ჩააბარა გამოცდა და მიიღო ოფიცრის პირველი ჩინი. საქართველოში ტოლსტოის ჰყავდა მრავალი მეგობარი და თანმიმდევარი ქართველ მოწინავე ინტელიგენტთა შორის.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში (1886 — 1890 წწ.) თბილისში ჩამოვიდა დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი (იხ. შ. ს. ასლანიშვილი — პ. ი. ჩაიკოვსკი საქართველოში, თბ. 1940 წ.).

XIX საუკუნის დამლევს (1893 წელს) თბილისში იცხოვრა აგრეთვე დიდმა რუსმა დრამატურგმა ა. ნ. ოსტროვსკიმ, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ქართული დრამატურგიისა და თეატრისადმი.

ქალაქის ცხოვრებაში ახალი პირობების შესაბამისად მოხდა სოციალური და ეკონომიური ხასიათის შესამჩნევი ცვლილებები; დრომოკმული ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა, რომელიც XIX საუკუნის კარამდე შემორჩა, სწრაფად იხრწნებოდა და ადგილს უთმობდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მეურნეობას.

რუსეთთან შეერთების პირველსავე ოცეულში დაიწყო საქართველოში რუსეთის კაპიტალის დაზვერვები, რომელიც მიზნად ისახავდა

ერთი მხრივ ახლად შემოერთებულ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას და მასთან დაკავშირებით ბაზრების გამოვლინებას, და, მეორე მხრივ, რუსეთში გამომუშავებული ნაწარმის გასაღების ორგანიზაციას.

რუსეთის მეფის მთავრობისა და სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები თბილისის ხშირი სტუმრები გახდნენ. თბილისი ამ დროის მონაკვეთში წარმოდგენდა არა მარტო საგუბერნიო ქალაქს, არამედ ამიერკავკასიის, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი კავკასიის ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ ცენტრს, აგრეთვე, „სამეფო ხელისუფლების ცენტრს მთელ აზიაში“<sup>15</sup>.

თბილისი გადაიქცა კავკასიის ცენტრალური ხელისუფლების ადგილსამყოფელად (მეფისნაცვლისა და მის ქვემდებარებაში შემავალ ყველა სამმართველოს, უწყებათა და დაწესებულებათა ადგილად). თბილისმა დაიწყო ახალ პირობებში განვითარება, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან იგი უკვე აღარ განიცდიდა იმ საშინელ რბევა-აწიოკებას, რასაც წინათ, XVIII საუკუნის დამლევამდე, ხშირი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

XIX ს. თბილისის ისტორიას, კაპიტალიზმის განვითარების მთავარ მომენტებთან დაკავშირებით, ოთხ ძირითად პერიოდად ჰყოფენ<sup>16</sup>.

ამ პერიოდიზაციის მიხედვით, პირველ პერიოდში, რომელიც მოიცავს 1801 — 1840 წწ., წარმოებდა ცარიზმის მიერ თითქმის მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა და ათვისება.

ქალაქის აღდგენისა და მისი კეთილმოწყობის საკითხები ჯერ კიდევ დასმული არ იყო, ქალაქის ცენტრს არც ერთი შენობა არ შემატებია; მხოლოდ გარეუბანში აიგო სახელმწიფო დაწესებულების რამდენიმე შენობა, მათ შორის მთავარსარდლის სასახლე, რომელიც შემდეგში მეფისნაცვლის სასახლედ იქნა გადაკეთებული (ამჟამად პიონერთა სასახლე რუსთაველის პროსპექტზე); იგი აგებული იყო ე. წ. „ნიკოლოზის ამპირის“ სტილზე, სვეტებზე დაყრდნობით. კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც შემდეგში თბილისის ვაჟთა I კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთდა, არსენალი აიგო იქ, სადაც შემდეგში XIX საუკუნის 90-იან წლებში აშენდა არმიის სამხედრო სობორი, ხოლო ამჟამად კი მთავრობის სასახლეა ამართული, ორდონანს ჰაუსი (ეს შენობა აღარ არსებობს), კავკასიის არმიის მთავარი შტაბი; არც კერძო მოქალაქეების საცხოვრებელი სახლები აგებულა, მხოლოდ 30-იან წლების ბოლოს მოქალაქე ზუბალაშვილმა ააშენა ერთი უზარმაზარი (იმ პერიოდისათვის) ევროპული გარეგნობით მოპირკეთებული სამსართულიანი სახლი; იმ ადგილზე შემ-

დეგში თბილისის სასულიერო სემინარიის შენობა აიგო (პუშკინის ქუჩაზე), მანამდე კი მეფე ლეონის 80-ოთახიანი ქარვასლა მდგარა, რომელიც გამიზნული ყოფილა თბილისში ჩამოსული უცხოელებისა და სოვდაგრების მისაღებად (ეს შენობა შემოსეულ ოსმალებს დაურბევიათ 1724 წელს).

აღსანიშნავია, რომ ამ დროს თბილისი მისი განვითარების მცხოვრებთა რიცხოვრები ზრდის, ბიუჯეტის (საქონელობრუნვასთან დაკავშირებით) თვალსაზრისით და გარეგნული შეხედულებითაც არ შეცვლილა; უფრო ნაკლებად ჩანდა ეს ცვლილებები მის სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაში.

ამგვარად, 40-იან წლების დამდეგამდე, თბილისი თავისი გარეგნობით, მცხოვრებთა ყოფიბა და საქმიანობით არსებითად უფრო საშუალო საუკუნეების ქალაქს მიაგავდა, ვიდრე ბურჟუაზიულს; ქალაქში კვლავ განაგრძობდნენ თარეშს ფეოდალური დროიდან შერჩენილი თავად-აზნაურები „თავიანთი“ ყმა-გლეხებით, ფეხზე მოვაჭრეებით, ხელოსნებით, ამქრებით, კვლავ გრძელდებოდა ძველებური მამაპაპური ადათ-ჩვევები.

მეორე პერიოდი თბილისის კულტურულ და ყოფაცხოვრების საკითხში (1840 — 1865 წწ.) უფრო საინტერესო და ქმედითი იყო როგორც არსებითი, ისე გარეგნული ფორმების შეცვლაში. ამიერკავკასიაში 1840 წლიდან ახალ სამოქალაქო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით, სავაჭრო კაპიტალმა უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი და დაიწყო სამრეწველო კაპიტალის ჩასახვა. ქალაქის ცხოვრება-ვითარებაში როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის სავაჭრო კაპიტალი, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზია უკვე თამაშობს განსაზღვრულ, მაგრამ შესამჩნევ როლს. ამავე დროს სავაჭრო კაპიტალი თანდათან ჩაება მრეწველობაში, რომელიც ამ საუკუნის 60-იან წლებში ასე თუ ისე ქალაქის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ერთ-ერთ ფაქტორად გახდა<sup>17</sup>.

მეფის მთავრობა ცდილობდა მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას, რომ უფრო მეტად დაუფლებოდა ახლად შემოერთებულ მხარეს.


ამ პერიოდში მიმდინარეობდა უკვე ქალაქ თბილისის ცენტრალური ნაწილის ხელახალი დაგეგმვა, აგრეთვე მისი ერთი მცირედი ნაწილის ოდნავ კეთილმოწყობა; საფუძველი ჩაეყარა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (რასაკვირველია — „რუსიფიკატორულს“); წარმოებდა ქალაქის მარჯვენა ნაწილისა და გარეუბნის გადაკეთება ახალი გეგმის მიხედვით, მსგავსი ღონისძიებანი ტარდებოდა ქალაქის მარცხენა ნაპირზედაც (კუკია, ჩულურეთი); გაჰყავდათ

ახალი ქუჩები: მიხაილოვის (ამჟამად პლენანოვის) პროსპექტი, სანაპირო (ამჟამად კამოს ქუჩა); ქალაქის ახლად დაგეგმარებასთან დაკავშირებით სოლოლაკის მიდამოებში მრავალი ბალ-ვენახი და ხეხილის ბაღი გაიკაფა, მათ ადგილზე ახალი სახლები აიგო, გაყვანილი იქნა ახალი ქუჩები. ქალაქს მოემატა აგრეთვე ახალი ხიდები: მიხაილოვისა (შემდეგში ეორონცოვის სახელობის — ამჟამად კარლ მარქსის სახელობის) და მნაცაკანოვის; ძველებური „ყაბახის“ ნაცვლად გაშენდა ალექსანდრეს სახელობის მოედანი, ხოლო 50-იან წლებში ქალაქის ბაღი (ამჟამად 26 კომისრის სახელობის ბაღი); გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი, დაიწყო „კავკასიის კალენდარის“ ყოველწლიური გამოცემა და მთავრობის ოფიციალურ ორგანოს გაზეთ „კავკაზი“-ს გამოშვება. ორმოცდაათიან წლებში დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება, გაიხსნა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია.

ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო თბილისის მოსახლეობის საგრძნობ ზრდას და მისი კლასობრივ-წოდებრივი შემადგენლობის ცვლილებებს. გამოცოცხლების და აღორძინების გზას დაადგა ქართული ლიტერატურა და პრესა. ამ პერიოდში გამოიცა ქურნალი „ცისკარი“, გაზეთი „გუთნის დედა“, „საქართველოს მოამბე“.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ქ. თბილისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი, მოწინავე თაობა („შვილები“), ცნობილი „თერგდალეულები“, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ საზოგადო მოღვაწეთა რიგებს ამშვენებდნენ ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსები ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და სხვები.

XIX საუკუნის ყველაზე საყურადღებო პერიოდად ქალაქ თბილისის ცხოვრებაში მესამე პერიოდი უნდა ჩაითვალოს, რომელიც 1865 — 1885 წწ. მოიცავს; ამ დროს საქართველოს ყველა მსხვილ ქალაქში და მათ შორის თბილისშიაც განმტკიცდა და განვითარდა საეკპრო-სამრეწველო კაპიტალი, იგი გადაიქცა ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. ამავე პერიოდში (1864 წელს) აღმოსავლეთ საქართველოში გატარდა „საგლეხო რეფორმა“, რომელსაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით დაავგიანდა სამი წლით. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ყო-



სივრცის გეგმა XIX

ველწლიურად უფრო ინტენსიური ხდებოდა და ე. წ. „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ კი უფრო ჩქარი და აშკარა ხასიათი მიიღო.

ვ. ი. ლენინმა თავის ისტორიულ შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ბრწყინვალე ანალიზი გაუკეთა ამ პერიოდს. იგი წერდა: „რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობა მოხდა უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა. რეფორმის შემდგომ ეპოქაში ხდებოდა ერთის მხრით ძლიერი კოლონიზაცია კავკასიისა... მეორეს მხრით ხდებოდა განადგურება ადგილობრივი, დაძველებული შინამრეწველური სარეწებისა, რომელნიც ეცემოდნენ მოხკოვიდან მოტანილი ფაბრიკატების კონკურენციით. ეცემოდა ძველი წარმოება იარაღისა ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილი საქონლის კონკურენციის გავლენით. ეცემოდა შინამრეწველური ჩამოსხმა რკინისა რუსეთიდან მოტანილი საქონლის კონკურენციით. ეცემოდა აგრეთვე შინამრეწველური დამუშავება სპილენძისა, ოქროსი, ვერცხლისა, თიხისა, ქონისა და სოდის, ტყაეულის და სხვა, ყველა ეს პროდუქტი მზადდებოდა უფრო იაფად რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც თავიანთ საქონელს კავკასიაში გზავნიდნენ. ეცემოდა რქიდან ქიქების (ყანწების) კეთება ფეოდალური წყობილების დამსობით და ისტორიული ნადიმთა მოსპობით საქართველოში; ეცემოდა ბოხობების წარმოება, აზიური კოსტუმის ევროპული ტანისამოსით შეცვლის გამო; ეცემოდა გუდებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივ ღვინისათვის, რომელმაც პირველად დაიწყო გამოსვლა ბაზარზე გასასყიდად (განვითარდა „ბოჭკების“ წარმოება)... რუსეთის კაპიტალიზმი ითრევედა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრიალში, ანადგურებდა კავკასიის ადგილობრივი თავისებურების ნაშთებს, ძველ პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და ამ სახით ქმნიდა თავისი ფაბრიკატებისათვის ბაზარს“<sup>18</sup>.

გასული საუკუნის სამოციანი, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლები საქართველოში მრეწველობის და ვაჭრობის განვითარების გარდამტეხი წლები იყო.

რუსეთის კაპიტალის დანერგვას, მზა ნაწარმის გამსალბებელი ბაზრის გაფართოებას, აგრეთვე მრეწველობის ნედლეული ბაზის შექმნას მეტად შეუწყო ხელი მშვიდობიანმა პირობებმა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებამაც. უმთავრესად კი: კავკასიის ომის დამთავრებამ 1859 წელს (ჩუჩნეთ-დაღესტანის ომი), საგლეხო რეფორმის გატარებისას მუშახელის გაიაფებამ და რიცხობრივმა ზრდამ სოფლის ღარიბ გლეხობის ანგარიშზე; ხელისშემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზისა<sup>19</sup> და გზატკეცილების ვაყვანა, რომელთა მეშვეობით თბილი-

სი უფრო მკიდროდ დაუკავშირდა მეზობელ ქვეყნებს, მხარეებსა და ქალაქებს; ამ გზების გაყვანით შესამჩნევად გაიფადა ტვირთგადასაზიდი ღირებულება და ხელი შეეწყო საქონელბრუნვის გაღივებას; შემდეგ უკვე (1877 — 78 წწ.) რუსეთზე ბათუმის, ყარსის, ბაიაზეთის, ყაგიზმანის, ოლთისის, არტანის, ართვინის შემოერთებამ, აგრეთვე ქ. ფოთში კაპიტალური ნავსადგურის აგებამ (დამთავრდა 1878 წელს, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ნიკოლაძეს), ხელი შეუწყვეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ეკონომის განვითარებას.

თბილისი გადაიქცა ნამდვილ ბურჟუაზიულ ქალაქად. უკვე 1880 წლის ბოლოს ქალაქში მრავალი საეკონომიკური წამოწყება-დაწესებულება გაჩნდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა (უმათავრესად წვრილი ტიპის) რაოდენობა, საგრძნობლად იმატა აგრეთვე მოსახლეობის რიცხვმაც. საეკონომიკური წამოწყებათა რაოდენობა ამ დროის მონაკვეთში 3 ათასამდე ავიდა, წვრილწვრილი ფაბრიკა-ქარხნები 1500 ერთეულამდე, ხოლო ქალაქის მოსახლეობამ კი 130 ათას სულს მიაღწია<sup>20</sup>. გაიხსნა ბანკები კომერციული, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები, სასწავლებლები. 1864 წელს დაიწყო მოქმედება კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ, რომელმაც გამოსცა მასალები 12 ტომად, კავკასიის სამედიცინო საზოგადოებამ, 1867 წ. გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომლის წესდება 1865 წელს იყო დამტკიცებული (ხოლო ამ მუზეუმის არქეოლოგიურმა განყოფილებამ მუშაობა დაიწყო 1881 წლის 10 სექტემბერს რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის გახსნის დღეს), ამავე პერიოდში შეუდგა საქმიანობას რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, 1865 წელს დაარსდა თბილისის რეალური გიმნაზია (შემდეგში მას რეალური სასწავლებელი უწოდეს), აგრეთვე რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, თბილისის ქალთა I გიმნაზია, 1871 წელს ჩამოყალიბდა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი, 1872 წელს — მიხეილის სახელობის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელი.

70-იანი და 80-იანი წლები თბილისის ცხოვრებაში იმითაც არის საყურადღებო, რომ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ, მეცნიერებმა უკვე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ეკონომიური პირობების შესწავლისადმი. ამ დროიდან იწყება არქეოლოგიის დარგში ინტენსიური (და არა ეპიზოდური) მუშაობა. კავკასიის არქეოლოგიური მოყვარულთა საზღების მოწვევით სამოცდაათიან წლებში გერმანელი მეცნიერი ბაიერი აწარმოებს გათხრებს მცხეთაში — სამთავროს მინდორზე,

სადაც მან პირველმა ნეკროპოლი აღმოაჩინა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული არქეოლოგიური გათხრები საქართველოში უფრო ადრეც წარმოებდა (50—60-იანი წწ. დასავლეთ საქართველოში). მართალია, ბაიერნის გათხრები და მის მიერ გამოტანილი მეცნიერული დასკვნები, დათარიღებანი, რიგ შემთხვევაში ნაჩქარევი, მცდარი და არამეცნიერული აღმოჩნდა, რაც იმ პერიოდშივე იქნა გაკრიტიკებული რუს და ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსების მიერ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაიერნის გათხრებმა უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანვე მსოფლიო სახელი მოუპოვეს მცხეთა — სამთავროს უძველესი კულტურის მქონე ივერიის სამეფოს და განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ-ევროპის დიდ მეცნიერთა შორის.

სამთავროს გათხრებმა დააჩქარეს თბილისში „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ ჩამოყალიბება (1874 წ.), რომელმაც შეძლებისდაგვარად გულმოდგინე მუშაობა ჩაატარა არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის საქმეში, როგორც საერთოდ კავკასიაში, ისე განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიაზე. 1881 წელს მოხდა ამ საზოგადოების რეორგანიზაცია და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება“ (1881 — 1890 წწ.).

1881 წლის სექტემბერში, საქართველოს რუსეთთან შეერთების 30 წლის თავზე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ თაოსნობით, თბილისში მოწვეულ იქნა რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა, რომელსაც დაესწრო 95 დელეგატი და მრავალი სტუმარი. ყრილობა საზეიმოდ გაიხსნა კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის დიდ დარბაზში. დელეგატებად ბევრი სახელოვანი მეცნიერი იყო და მათ შორის გამოჩენილი მეცნიერი პროფ. რუდოლფ ვირხოვი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ თავის გაზეთში განსაკუთრებული აღტაცებით მოიხსენია. ილია წერდა: „ყველაზე შესანიშნავი ამ კრებაზე ბ-ნი ვირხოვია, გამოჩენილი მეცნიერი და მთელ ქვეყნიერებაზედ სახელგანთქმული. კაცი არ იყო კრებაზედ, რომ არ ეკითხა: აბა ერთი ვირხოვი რომელია, გვაჩვენეთო“. ილიამ ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ ეს დიდი მეცნიერი, ამავე დროს, დიდი პოლიტიკური მოღვაწეა და, რომ „იგი ბერლინის პარლამენტში ერთი ძლიერი მოპირდაპირეა ყოველად-შემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღომელი არისო“. რუსეთის ცნობილ მეცნიერებიდან ყრილობის დელეგატებად იყვნენ აკადემიკოსი ი. კ. გროტე, პროფესორები: ნ. ი. კოსტიმაროვი, ი. ვ. ცვეტაევი, დ. ი. ანუჩინი, დ. ა. ხვოლსონი, კ. პ. პატკანოვი, მ. ნ. სმირნოვი, ა. ე. ნი-



კიტსკი, ტიზენპაუზენი, ი. ტოლსტოი, ი. ვ. მუშკეტოვი, ა. ს. უვაროვი, დ. ი. ილოვაისკი, გ. ე. ფილიმონოვი, ვ. ფ. მილერი და სხვ. რუსეთის უნივერსიტეტის ქართველ პროფესორებიდან: დ. ჩუბინაშვილი, ილია ოქრომკვედლიშვილი (სერებრიაკოვი), ა. ცაგარელი, ცნობილი ისტორიკოსები და არქეოლოგები დ. ზ. ბაქრაძე, დ. პ. ფურცელაძე, ა. ნატროშვილი (ნატროვი), დ. ჯორჯაძე, არქეოლოგ-ტოპოგრაფი ნ. ი. წილოსანი (პოლკოვნიკი), ქართველ საზოგადო მოღვაწეებიდან და მწერლებიდან: გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი.

არქეოლოგიური ყრილობის მუშაობისადმი თბილისის მთელი კულტურული ფენა, მიუხედავად ეროვნებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. 19 სექტემბერს ქალაქის თვითმმართველობამ ყრილობის მონაწილეებს გაუმართა სადილი, რომელზედაც ქალაქის თავი მილოვი მიესალმა სტუმრებს და სთხოვა დახმარება, რომ თბილისში, როგორც მთელ კავკასიის ცენტრში, დაჩქარდეს უნივერსიტეტის გახსნა.

ყრილობის მუშაობა 10 დღე გაგრძელდა და დაიხურა 1891 წლის 21 სექტემბერს.

„...არცერთ სხვა ქალაქში რუსეთში — წერდა დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, — რაც კი ამგვარი კრება ყოფილა ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზედ, როგორც აქ, ტფილისში შეიყარა. შეიდასი კაცი მეტი დაესწრო, მაშინ როდესაც ამისთანა კრებაზედვე ყაზანში და კიევში ორასზე მეტი არ დასწრებია. ეს მათ უფრო საკვირველია, რომ ყაზანსა და კიევში უნივერსიტეტია და მამასადამე უფრო დიდძალი ხალხი უნდა დასწრებოდა“ (იხ. თხზულება, თბ. 1927 წ., გვ. 153).

ყრილობის დამთავრების წინა დღეს კავკასიის მეფისნაცვლას მოვალეობის დროებითმა აღმასრულებელმა ლევან მელიქიშვილმა სადილი გაუმართა ყრილობის მონაწილეებს. ამ სადილს დაესწრო 250 კაცი. სადილზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრ. ორბელიანმა და პროფ. დ. ჩუბინაშვილმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს დადებითი მხარეები საქართველოს და რუსეთის შეერთებისა მეცნიერების განვითარების დარგში. ყრილობის დღეგატების სახელით, საპასუხო სიტყვით გამოვიდა პროფ. ილოვაისკი. იგი ვრცლად შეეხო ამ ურთიერთობის დამყარების ისტორიას. და თავისი სიტყვა დააბოლოვა სადღეგრძელოთი: „...ბედმა გვარგუნა, რომ ეს ყრილობა დამთხვევოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების 80 წლის იუბილეს. მამ შევსვათ სადღეგრძელო, რათა ეს კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის სამარადისოდ იყოს განუყრელი, ურყევი და მტკიცე“.

მეორე დღეს, 21 სექტემბერს, ქართულმა საზოგადოებამ (ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ) ყრილობის დელეგატებს გაუმართა გამოსახოვარი მხატვრული საღამო, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი წერეთელი.

საქართველოს თეატრალურმა კომიტეტმა დაადგმევინა რაფერისთავის ორიგინალური ვოდევილი „ბიძასთან გამოხუმრება“, ცნობილი დრამატურგის აექსენტი ცაგარელის დრამიდან „მათიკო“ და კომედიიდან „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ თითო მოქმედება. სტუმრებს უჩვენეს ქართული ცეკვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6—7 განთქმულმა მოცეკვავემ და მათ შორის ტიტკო ვახვახიშვილმა. პროფ. ვირხოვიც კი ალტაცებაში მოიყვანა ამ ცეკვამ და მან მოიხზოვა ცეკვების განმეორება. მხატვრული ნაწილის შესრულების დროს სცენაზე გამოვიდა აკაკი და არქეოლოგებისადმი მიძღვნილი თავისი საკუთარი ლექსი წარმოსთქვა ქართულად, რამაც ალტაცებაში მოიყვანა სტუმრები (ეს ფაქტი აღნიშნულია აგრეთვე მოსკოვში 1887 წელს გამოცემულ V ყრილობის „შრომებში“).

მხატვრული ნაწილის დამთავრების შემდეგ სტუმრები მიწვეულ იქნენ ვახშამზე, რომელიც ბაღში გაიმართა.

ვახშმის დამთავრების წინ აკაკიმ ქართველი საზოგადოების სახელით არქეოლოგებს მადლობა გადაუხადა იმ ყურადღებისათვის, რომელიც მათ კავკასიისა და საქართველოს წარსულის შესწავლისადმი გამოიჩინეს<sup>21</sup>.

80-იანი წლები თბილისის ცხოვრებაში იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ამ პერიოდში თბილისის გარეგნული ვლფერიც საგრძნობლად შეიცვალა; დიდმა ყურადღება მიექცა ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშენიერების საქმეს. მართალია, ეს ღონისძიება უმთავრესად ქალაქის იმ ნაწილს შეეხო, სადაც შეძლებული კლასი — ბურჟუაზია და დიდი თანამდებობის მოხელენი ცხოვრობდნენ, მაგრამ მან მაინც გავლენა იქონია ქალაქის გამშენიერებაზე. 1883 წელს პირველად ამოძრავდა თბილისში „კონკა“ (ცხენოსანი რკინიგზა).

ჩატარდა აგრეთვე თბილისის ხელახალი დაგეგმარება, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა და ნავთის ლამპარებით განათება, წყალსადენის გაყვანა; მალე თბილისის ცენტრალურმა უბნებმა (გოლოვინის პროსპექტი, სოლოლაკი, სასახლის ქუჩა, მიხეილის პროსპექტი) ევროპული ქალაქის სახე მიიღო.



XIX საუკუნის თბილისი. შიხაილუვის (ამჟამად პლეხანოვის) პრისბიტერი და კონკა

## თბილისი XIX საუკუნის დამღვევიდან საქართველოში საბჭოთა ზედისუფლების დამყარებამდე

XIX საუკუნის თბილისის ისტორიის უკანასკნელი, მეოთხე პერიოდი იწყება 1885 წლიდან და მთავრდება 1899 წელს.

თბილისში სამრეწველო კაპიტალის ჩამოყალიბებას მოყვა მუშათა კლასის ზრდა; სწრაფად გაიზარდა მუშათა მოძრაობაც, რომელზედაც დიდი გავლენა იქონიეს თბილისში რუსეთიდან გადმოსახლებულმა რუსმა მარქსისტებმა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ხანმოკლე დროის განმავლობაში 1918 — 1921 წწ. იბატონეს მენშევიკებმა. მათი ბატონობა დაგვირგვინდა მუშების და მშრომელი გლეხობის უსასტიკესი ჩაგვრით, დევნით, გაღარიბებითა და მთელი ქვეყნის ეკონომიური პირობების მკვეთრი გაუარესებით; შიმშილი, ინფექციური დაავადებანი, რომლებითაც შეპყრობილი იყო ქალაქისა და სოფლის დამშუული მოსახლეობა, საუკეთესოდ ახასიათებდნენ მენშევიკების დიქტატურას საქართველოში. კონტრრევოლუციურმა მენშევიკურმა მთავრობამ, გამყიდველური და შემაროგებელი პოლიტიკით, მთლად დასცა ქვეყნის მეურნეობა, ხალხმა ვეღარ აიტანა მათი თავაშუებული თარეში და მრავალი აჯანყება მოაწყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყდა დუშეთის მაზრა, კახეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და საქართველოს სხვა კუთხეები. ქალაქ თბილისის მეურნეობა მთლად დაინგრა. ქუჩები ქუჩებს არ გავდა, სახლები — სახლებს, წყლის მიწოდება გაძნელდა, ელექტროდენი, საწვავი მასალის უქონლობის გამო, ხშირად არ იყო. ქალაქი ღამეობით ჩაბნელებული იყო, განშირდა ქურდობა და ყაჩაღობა, რომელსაც მენშევიკური გვარდია და მილიცია აშკარად ხელს უწყობდა. პური ქალაქს არ ყოფნიდა, ტრანსპორტი მწყობრიდან გამოვიდა, რკინიგზის მატარებლები დროგამოშვებით დადიოდა, ინგროდა გზატკეცილები, საგრძნობლად შემცირდა სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი, საქართველო განადგურების გზაზე იდგა...

### საბჭოთა პერიოდი

აჯანყებულმა მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ, რომლებსაც მხარი დაუჭირა ძღვევამოსილმა წითელმა არმიამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, დასცეს მენშევიკური მთავრობა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქ თბილისში და მთელ საქართველოში ააფრიალეს დიდი ოქტომბრის წითელი დროშა.

მეწვევიკების საქართველოდან განდევნით ქართველი ხალხი, სა-  
მუდამოდ განთავისუფლებული ყოველგვარ დამმონებელ-მჩაგვრე-  
ლებისაგან, ექსპლოატორებისაგან, მემამულეებისაგან, კაპიტალი-  
სტებისაგან, პოლიტიკური უფლებებისა და ეროვნული შევიწროვ-  
ებისაგან, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი  
ხალხის დახმარებით, შეუდგა ახალ, თავისუფალ, სოციალისტურ სა-  
ხელმწიფოს აგება-მოწყობას.

1921 წლის 25 თებერვლიდან თბილისის, როგორც საქართვე-  
ლოს სსრ დედაქალაქის, რეკონსტრუქცია, კეთილმოწყობა და მშე-  
ნებლობა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ მთავარ საზ-  
რუნავ საგნად გადაიქცა. ამ დღიდან ქალაქ თბილისის, ისე როგორც  
მთელი საქარველოს, ისტორიაში გადაიშალა ახალი, ბრწყინვალე  
და დაუვიწყარი ფურცელი.

თუ ადრე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თბილისთან  
მოახლოებისას მგზავრს თვალში ეცემოდა ზაფხულის მწვავე მზით  
ამომწვარი მიდამოები, მთაწმინდის კლდოვანი კალთები დამსკდა-  
რი ტინით, ან მახათის მთის ფერწასული, გაყვითლებული მალლობე-  
ბი, ხოლო თვით ქალაქის ქუჩები გახვეული იყო მტვრის ბულში,  
დღეს ქალაქი სულ სხვა სანახაობას წარმოადგენს. იგი დიდი საბჭოთა  
კავშირის ულამაზეს ქალაქთა სათვალავშია.

მტვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისეთმა ჩამორჩენილმა და  
მოუწყობელმა უბანმა, როგორც უწინ დიდუბე იყო, სწრაფად შე-  
იცვალა თავისი ძველებური ელფერი. დიდუბის გადაშლილი ვაკე,  
რომელზედაც წინათ აქა-იქ თუ შეხვდებოდით თითო-ოროლა ქობს-  
პატარ-პატარა ბაღებით, დღეს გადაიქცა ქალაქის ერთ-ერთ ინდუს-  
ტრიულ რაიონად.

საქართველოში შეიქნა ენერგეტიკული ბაზა (ზაპესი, რიონჰესი,  
ზრამჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევეჰესი და სხვა), დაიწყო დიდი სამრეწ-  
ველო მშენებლობა. მალე თბილისს შეემატა ახალი, ტექნიკის უკა-  
ნასკნელი სიტყვით აღქურვილი ფაბრიკა-ქარხნები.

წინა ხანებში მივიწყებული, ყოველგვარ კეთილმოწყობას მო-  
კლებული ქალაქის განაპირა უბნები (ღრმაღლე, ნაძალადევი, სა-  
ბურთალო, ვაკე, ავლაბარი, მამუკას სოფელი, ნავთლული, დელისი  
და სხვა) ამჟამად გამოცოცხლდნენ. ამ ადგილებში აშენდა მრავალი  
ფაბრიკა-ქარხანა, საცხოვრებელი სახლი, გაშენდა კეთილმოწყობილი  
ქუჩები, მოეწყო პარკები, ბაღები, ბაღნარები, და გაიხსნა სკოლები,  
კლუბები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამ-  
ბულატორიები, ბიბლიოთეკები, კულტურისა და დასვენების პარკე-

ბი, სტალიონები, საბავშვო გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი, ბაგები, საბავშვო ბაღები, მალაზიები და სხვა მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, გაყვანილ იქნა ტრამვაის ხაზები, მოძრაობს ქალაქის ავტოტრანსპორტი. ამჟამად უკვე ეს უბნები ქ. თბილისის კეთილმოწყობილ უბნებად გადაიქცნენ, სადაც ჩქეფს საბჭოთა ადამიანების — საწარმოთა მუშების, ინჟინრების, საბჭოთა ინტელიგენციის, ახალგაზრდობის ბედნიერი და დოვლათიანი ცხოვრება.

ამგვარად, მკვეთრად შეიცვალეს ელფერი არა მარტო ქალაქის ცენტრალურმა უბნებმა, არამედ მისმა გარეუბნებმაც. გალამაზდა ერთ დროს მიგდებული, ქუჩუკისა და ნაგვის ბუდედ ქცეული ე. წ. „მადათოვის“ ყოფილი კუნძული<sup>22</sup>, რომელზედაც ახლა საუკეთესო პარკია გაშენებული, და იგი წარმოდგენს სტალინის სახელობის სანაპიროს უმშვენიერეს ანსამბლის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს. გაჩნდა მრავალი ახალი უბანიც; მათ შორის წარმტაცია გმირთა მოედანი, გარშემორტყმული მწვანით მოკაზმული მთის ფერდობებით, რომლებზედაც ამართულია ერთი მხრივ, მრავალსართულიანი ლამაზი შენობები (საბურთალოსკენ), თბილისის სახელმწიფო ცირკი (მტკვრის მარჯვენა ნაპირას) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა ანსამბლი (ამჟამად მშენებლობის პროცესშია).

წინათ ძნელი იყო იმის წარმოდგენა, თუ აქ შესაძლებელი გახდებოდა ასეთი შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლის შექმნა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, საკმაოდ მაღალი მთის გაქრა და მტკვარზე ახალი ხილით ქალაქის მარცხენა მხარის უმოკლესი მაგისტრალით მარჯვენა მხარესთან დაკავშირება, მაგრამ ზვენს ბრწყინვალე ხანაში ეს ღონისძიება სწრაფად გატარდა.

ქალაქი საგრძნობლად და შეუდარებლად გაიზარდა. დღესდღეობით ქალაქ თბილისში უკვე 18 კეთილმოწყობილი მოედანია და 1500-ზე მეტი ქუჩა. მართალია, ზოგიერთი მათგანი მრავალი ათეული წლის ასაკისაა, მაგრამ დღესათვის განახლებული, ასფალტით და მწვანე ხე-ბუჩქებით შელამაზებული ეს უძველესი ქუჩები სრულიად ახალგაზრდად გამოიყურებიან. ქალაქის დიდ ზრდასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელ დროს გაიქრა სულ ახალი ქუჩები, რომელთა საშუალებით თბილისის გარეუბნები ცენტრს დაუკავშირდა.

ქალაქისაკენ ციცაბოდ დაქანებული მთაწმინდის (ძველად „იშიტურტუკად“ წოდებული) მთის კლდოვანი ფერდობები, ამჟამად უკვე გატყევებული და მწვანე ხე-ბუჩქებით შემკული ამაყად დამოკუთრებენ გაახალგაზრდავებულ დედაქალაქს.

სამურია ამ მიდამოების მზერა ადრე გაზაფხულთ, როდესაც აყვავებული, სურნელოვანი ხე-ბუჩქი და მრავალი მცენარეულობა ამკობს ამ არემარეს.

ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს შორის თვალს ხიბლავს თბილისის ულამაზესი ცენტრალური, გრძლად გაჭიმული და მწვეანე ხეებითა და ყვავილებით მორთულ-მოკაზმული ორი ქუჩა — რუსთაველის და პლენანოვის სახელობის პროსპექტები.


რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი ექვსი ქუჩის შესართავ ადგილზეა, სწორედ იქ, სადაც ამართულია დიდი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლი (აიგო 1937 წელს). ძეგლი გამოკვეთილია მთლიანი ქვის ლოდოდან და დამდგარია მარმარილოთი და ალგეთის ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე.

ძეგლის გასწვრივ მრავალი ახალი სახლი აიგო, რომელთა შორის თვალს იპყრობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მონუმენტური შენობა (1938 წ.). მისი წინა ფასადი გრანიტის რვა სვეტს ეყრდნობა და მოპირკეთებულია ალგეთის თლილი, მოყვითალო ფერის ქვის ფიქალებით. შენობის ვესტიბული და შესასვლელები გაფორმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოპოებულ მარმარილოთი და ძვირფასი ქვის ჯიშის ფილაქნებით.

ამ შენობაშივეა მოწყობილი ვ. ი. ლენინის მუზეუმი საუკეთესოდ გაფორმებული ექსპოზიციით.

მუზეუმის ფართო და საუკეთესოდ მოწყობილ დარბაზებში გამოფენილი მრავალი ღირსშესანიშნავი საბუთი, ფერწერითი სურათი, ხელნაწერი, წიგნი, ავტოგრაფების ფოტო-რეპროდუქცია, მაკეტი, პლაკატი, გაზეთი, ქანდაკება და სხვა მრავალი საბუთი და მასალა, ახასიათებს დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ინსტიტუტის გასწვრივ, რუსთაველის პროსპექტს გადმოჰყურებს მწვეანე ბალნარით გარშემორტყმული ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სტილიზებული შენობა (ამ შენობის აგება მავრიტანულ სტილზე დამთავრდა 1896 წლის 3 ნოემბერს, როდესაც აქ გაიხსნა თბილისის სახაზინო თეატრი). თეატრის ბალნარის ტერიტორიის ერთ მხარეზე ასაფლავია დიდი ქართველი ხელოვანები ზ. ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი და კოტე მარჯანიშვილი, ხოლო მეორე მხარეზე დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის (1840—1915) ქვაზე ამოკვეთილი ძეგლია აღმართული (ქანდაკება ი. ნიკოლაძისა). რუსთაველის პროსპექტის გაგრძელებაზე — ლენინის ორდენოსანი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი მდებარეობს (ამ თეატრების გარდა თბილისში კიდევ 9 თეატრია:




მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

კ. მარჯანიშვილის სახელობის ქართული დრამატული, ა. ს. გრიბოედოვის სახ. რუსული დრამის, ს. შაუმიანის სახ. საქ. სახელმწიფო სომხური დრამის, ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის, საქ. სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს სანიტარული კულტურის, ქართული და რუსული მოზარდმაცურებელის, აგრეთვე თოჯინებას თეატრები).

შ. რუსთაველის სახელობის თეატრის გასწვრივ, რუსთაველის პრ. და ჯორჯიაშვილის ქუჩ. კუთხეში ამართულია 5-სართულიანი სასტუმრო და რესტორანი „თბილისი“, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეზე ქუჩას გადმოჰყურებს ეკლარის თეთრი ქვით მოპირკეთებული





ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალაშვილის სახელობის ოპერისა და  
ბალეტის თეატრი

კავშირგაბმულობის სახლის ფასადი, ჯორჯიაშვილის ქუჩის გადაღ-  
მა მხარეზე, 26 კომისრის სახ., ბალის კუთხეში — შემოსასვლელთან,  
დადგმულია ქართველი დემოკრატი მწერლის ეგნატე ნინოშვილის  
(1859 — 1894) ძეგლი. ამავე ბალის გაგრძელებაზე მდებარეობს სა-  
ქართველოს სამხატვრო გალერეა, სადაც სისტემატურად ეწყობა  
ქართველი და მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა ხელოვნების მოლ-  
ვაწეთა მხატვრული შემოქმედების გამოფენები.

რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეზე — კავშირგაბმულობის სახლის გადაღმა თბილისის I საშუალო სკოლის შენობაა ყოფ. I კლასიკური გიმნაზია, რომელიც დაარსდა 1810 წელს. ამ გიმნაზიაში მრავალი საზოგადო მოღვაწე აღიზარდა და მათ შორის ილია ჭავჭავაძე. ამავე შენობაში მოთავსებულია საქართველოს პედაგოგიური მუზეუმი.

რუსთაველის პრ. და ფურცელაძის ქუჩის კუთხეში შ. რუსთაველის სახელობის კინოთეატრია, რომლის დარბაზი 1200 მაყურებელს იტევს. კინოთეატრის პირდაპირ (რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეზე) საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე მდებარეობს, მის სექტებიან ფასადს ამშვენებს ქვაზე ამოკვეთილი არქიტექტურული შემკულობანი.

მთავრობის სასახლის გადაღმა მხარეზე, ძველი სასახლის საფუძვლიანად რეკონსტრუირებულ შენობაში, მოთავსებულია პიონერთა სასახლე, რომელსაც ზედ აკრავს საუცხოოდ მოვლილი პარკი.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, რომელიც 7 ათასზე მეტ ბავშვს აერთიანებს, მუშაობა წარმოებს 5 ძირითადი განყოფილების მიხედვით: პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის, ტექნიკის, ნორჩ ნატურალისტთა, მხარეთმცოდნეთა და ფიზკულტურის. ყოველ განყოფილებას თავის მხრივ აქვს სხვადასხვა დარგის კაბინეტი და ყავს მასიური მუშაკი. ასეთი დარგობრივი განყოფილება 48-ზე მეტია.

1953 წლიდან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს შეემატა ენერგეტიკული კაბინეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შემსწავლელი წრით. ამჟამად ეწყობა პლანეტარიუმში, საგრძნობლად ფართოვდება სათამაშოების აღმნუსხველი, ეწყობა მუზეუმი, სადაც ექსპონირებული იქნება თბილისის მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები.

რუსთაველის პროსპექტის მოპირდაპირე მხარეზე, ოთხკორპუსიან ქართული სტილით მოპირკეთებულ შენობაში, მოთავსებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში 1852 წელს, როდესაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან დაარსდა მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი. წესდება კავკასიის მუზეუმისა დამტკიცდა 1865 წელს; მისი არქეოლოგიური განყოფილება გაიხსნა 1881 წლის 8 სექტემბერს V არქეოლოგიური ყრილობის გახსნის დღეს, ხოლო საქართველოს მუზე-

უმაღ იგი გადაკეთდა 1923 წლიდან). მუზეუმში წარმოებს დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შვიდი ძირითადი განყოფილების მიხედვით. ამ დიდ კულტურულ კერაში დაცულია მრავალი ღირს-შესანიშნავი კოლექცია და შენაკრები, როგორც საქართველოს, აგრეთვე კავკასიისა და მეზობლად მდებარე ქვეყნების მცენარეული საფარის გარეულ ცხოველთა სამყაროს, აზიისა და კავკასიის, როგორც განათხარი, ისე არსებული ფლორის, ფაუნის, გეოლოგიისა და მინერალოგიის ნიმუშები. მდიდარი კოლექციებია შეგროვილი, შესწავლილი და დაცული მუზეუმში ქვის და ბრინჯაოს ხანის, უძველესი დროის კულტურის, აგრეთვე, საქართველოს და მის მეზობლად მდებარე ქვეყნების შუასაუკუნეთა კულტურის შესახებ.

მრავალი და ფრიად საყურადღებო მასალა მოეპოვება მუზეუმს ეთნოგრაფიის დარგში; მუზეუმის საცავებში დაცულია უძვირფასესი პაპირუსები, ძველი ქართული და აღმოსავლეთ ქვეყნების ხელნაწერები საქართველოს შესახებ (ქართულ, ბერძნულ, ძვ. ებრაულ, სპარსულ, არაბულ, სანსკრიტულ, თათრულ და სხვა ენებზე). უძველესი, შუასაუკუნეებისა და ახალი საუკუნეების მონეტებით მდიდარია მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტი; ტანისამოსის საუკეთესო ნიმუშები, მრავალი სხვადასხვა დროისა და ასაკის ნივთები, ქიმიკანები, ცივი იარაღი, თოფები, ზარბაზნები, ეპიგრაფიკული, კერამიკული ძეგლები, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მხარეების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მრავალი კოლექციაა დაცული მუზეუმის ფონდებში.

მუზეუმის დარბაზებში მოწყობილია 9 გამოფენა: საბუნებისმეტყველო თემატიკაზე (საქართველოსი და კავკასიის ფაუნა), საქართველოს მატერიალური კულტურა ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში, საქართველოს უძველესი კულტურის კერები თრიალეთი — მცხეთა, საქართველოს ეთნოგრაფია, ქართული ტანისამოსი XIX ს. და საქართველოს შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრება.

ამ უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად, გაიხსნა გამოფენა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა“ და „საქართველოს ძველი და ახალი ყოფა“ (ეთნოგრაფიული გამოფენა).

გამოფენაზე ასახულია ქართველი ხალხის ძველი, რევოლუციამდელი და ახალი, სოციალისტური ყოფა და კულტურის განვითარების ეტაპები ძველი დროიდან თანამედროვე ხანამდე.

ამ გამოფენის პირველ ნაწილში მოცემულია ქართველი ხალხის მეურნეობის ის დარგები, რომლითაც მან თავის დროზე ძველ-

თავანვე გაითქვა სახელი მთელ იმდროინდელ მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს შორის; ეს არის ლითონწარმოება (ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის დამუშავების მრავალფეროვანი ხერხები), სოფლის მეურნეობა, კერძოდ მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მელვინეობა, მექურკლეობა და თიხის ნაწარმი (აგური, კრამიტი, თონეები, ქვევრები), მეფუტკრეობა, მეთევზეობა; საუკეთესოდ არის ასახული ნადირობა, საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, ცნობილი საქართველოს ბაზრები; კარდა ამისა გამოფენილია შრომის იარაღი: კავი, გუთნები ფარცხები, წალღები, ცული, თიხი, ბარი, ნიჩბები, არნაღები და სხვა მრავალი ნივთი; დროის შეფარდებით მოცემულია კარმიდამო თავის საცხოვრებლებით, სამეურნეო დამხმარე ნაგებობებით, სამოძრაო საშუალებანი (ტრანსპორტი), ჩაცმულობანი (ტანისამოსი), ამას მოსდევს ხალხური შემოქმედების გამომხატველი მუსიკალური საკრავები (სასულე, სიმებიანი) და ჩუქურთმა-ხეეულები. გამოფენიდან აშკარად ჩანს, რომ ლითონწარმოებისა და დამუშავების ხერხებს საქართველოში იცნობდნენ უძველეს დროიდან IX — VI სს. ძველი წელთაღრიცხვის.

მადნეულის გამდიდრების, ისე როგორც მადნის, კერძოდ, მისი გამოღობისა და რკინის მადნის მაღალღირსებამდე აყვანის ხერხს (ეცხლგამძლე ქვის ან ერთგვარი მიწის გარეგას) იმდროინდელ საქართველოში ამ დარგის ხელოსნები კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ კიდევ მუშაობაში. მელვინეობის დარგი წარმოდგენილია ღვინის დაყენების ფრიალ საყურადღებო უძველესი ქართული თითქმის ყველა ელემენტებით: ხის საწნახელით, საქაჯავით, ქვევრებით, თალარით, სარცხით. მაყურებლის თვალს იპყრობს გამოფენის ის ნაწილი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა თანამედროვე ხანაში და ის დიდი ცვლილებები, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. ლითონწარმოება (ანუ მეტალურგია), ქართული ფოლადი წარმოდგენილია ცალკე თემად რუსთავის — ქართული მეტალურგიის ქალაქის სახით, ასახულია ჭიათურის მარჯანეცი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქართული ავტომობილი მოცემულია ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და მის მიერ გამოშვებული პროდუქციის სახით, გაშლით არის მოცემული ქართული კერამიკული ნაწარმოები, განზოგადებულია სოფლის მეურნეობა: მემინდვრეობის სარწყავი სისტემის, მევენახეობა-მელვინეობის, მეცხოველეობის, ჩაის, ციტრუსების, მებოსტნეობა-მეხილეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის სახით; გამოფენაზე საპატიო ადგილი დაეთმო

თანამედროვე ჩაცმულობას (ტანისამოსს) და თანამედროვე ეროვნულ ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს.

ამ თემების ფონზე გამოფენაზე მონერჩებულად არის ასახული მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა-ცხოვრება.

კოლმეურნეთა საწარმოო ყოფასთან ერთად თვალსაჩინოდ ნაჩვენებია კოლმეურნე გლეხობის ბედნიერი და დოვლათიანი ცხოვრება; მრავალსართულიანი ქალაქის ტიპის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კლუბები, სააეადმყოფოები, ელექტროსადგურები, რადიო-კვანძები, სარწყავები. საგანგებო სტენდი აქვს მიძღვნილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეებს.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გარდა, ქ. თბილისში კიდევ სხვა ფრიად საყურადღებო მუზეუმია, მათ შორის გამოირჩევიან: თბილისის ისტორია-ეთნოგრაფიული (ყოფ. კომუნალური მუზეუმი), რომელიც დაარსდა 1923 წელს (მოთავსებულია კომკავშირის ხეივანზე № 11 სახლში), საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (ჯორჯიაშილის და ძნელაძის ქუჩის კუთხე), შინამრეწველობის მუზეუმი (ანჩხისხატის უძველეს ტაძრის შენობაში), თეატრალური მუზეუმი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (პუშკინის ქუჩა) და სხვა.

რუსთაველის პროსპექტი მთავრდება ვ. ი. ლენინის სახელობის ფართოდ გადაშლილ მოედნით; რომლის შუაგულ ადგილზე 1954 წ. 28 მაისს საფუძველი ჩაეყარა დიდი ლენინის ძეგლს (ძეგლის გახსნა მოხდა 1956 წლის 21 აპრილს). მოედანი გარშემორტყმულია სახელმწიფო დაწესებულებების შენობებით; მოედნის ბოლოს, ცენტრალურ ადგილზე ამართულია ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უძველესი შენობა (რომელიც აიგო XIX საუკუნის 40-იან წლებში), შენობის თავზე, მაღალ კოშკში ჩასმულია ქალაქის საათი.

ამ მოედანს ერთ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს.

XIX საუკუნის დამდეგისათვის ქ. თბილისში 11 მოედანი იყო. მათ შორის ყველაზე ფართო, მონერჩებულად, ცენტრალურ, მასთან მოძრაობისათვის ფრიად ხელსაყრელ ადგილზე სწორედ ეს მოედანი მდებარეობდა. იმ პერიოდში ქალაქ თბილისის გარდაქმნა ევროპულ სტილზე მხოლოდ ახლად იწყებოდა, ხოლო ამ მოედნის კეთილმოწყობაზე კი იმ პერიოდში არავინ ფიქრობდა, არც საამისო სახსრები მოიპოვებოდა.

თოვლის დნობის ან ნიაღვრების დროს, განსაკუთრებით კი გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს, როდესაც თბილისის კლიმატისათვის დამახასიათებელი დიდი ავდრიანობა იცის, სოლოლაკის ხეებიდან ჩამომდინარე ნიაღვრებს, ღვარცოფებს ამ მოედანზე მთებიდან ჩამოქონდათ ჩამონარეცხი ქვიშა, ღორღი და ლამი, რომელიც ავსებდა ხოლმე არა მარტო მოედანს, არამედ მთელ მის მიდამოს.

XVIII საუკუნის ბოლომდე ეს ადგილი თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა (ცენტრალურ ქალაქად მაშინ „კლდის უბანი“ იყო, ასე ეძახდნენ ძველი ციხის უბანს, ე. ი. სოლოლაკის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს).

1829 წელს ამ ადგილს ერევნის მოედანი ეწოდა რუსეთ-ირანის (1826 — 1828 წწ.) ომში რუსეთის ჯარის მიერ ერევნის ციხე-ქალაქის აღების აღსანიშნავად (მეფის რუსეთისათვის ამ ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ ჯარების სარდალმა გენერალმა პასკევიჩმა ფელდმარშლობა მიიღო ერევნის გრაფობის ტიტულით). გასული საუკუნის 30-იან წლებში ერევნის მოედანი ერთი მხრით პუშკინის ქუჩას ეკრა, რომლის გადაღმა მხარეზე მრავალი ჩაიხანა, ტრაქტირი, სამიკიტრო, ბაკი, ქალაღის სათამაშო სახლი იყო მოწყობილი. ერთ-ერთ ასეთ „ტრაქტირს“ ამ ქუჩაზე იგონებდა დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი თბილისში მისი ყოფნის დროს (1829 წელს არზრუმისაკენ გავლით).

40 — 50-იან წლების მიჯნაზე (1847 — 1851 წწ.) კავკასიაში მეფისნაცვლის თავად მ. ს. ვორონცოვის წინადადებით, ერევნის მოედანზე, რომელიც მდიდარმა სოვდაგარმა ვინზე გაბრიელ თამამშევმა ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა, გაშენდა სამსართულიანი სავაჭრო სახლი, რომლის შუაგულში მოთავსდა და საუკეთესოდ მოეწყო რუსული თეატრი; ამ თეატრმა იარსება 1851 წლიდან 1874 წლამდე, როდესაც იგი თბილისის ერთ-ერთმა სოვდაგარმა ბოროტი განზრახვით გადაწვა. ხანძრისაგან დაზარალებული და დაუშნობეული შენობა მალე მისმა პატრონმა გაბრიელ თამამშევმა, ნაჩქარევად შეაკეთა. ამ შენობაში მალაზიების და დაკაბების გარდა, პატარ-პატარა კუთხეებსაც კი აქირავებდა.

ამ უღამაზო შენობამ, რომელიც თბილისის საუკეთესო ცენტრალურ ადგილს იკავებდა, კარგახანს გასძლო. იგი დანგრეულ იქნა მხოლოდ 1933/34 წწ. ქალაქის გენერალური რეკონსტრუქციის ჩატარების დროს.

მოედნის მახლობლად (მის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში) მდებარეობს პუშკინის სახელობის ბაღნარი, ხოლო მის გასწვრივ კი ამართულია ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში „ნიკო-

ლოზის ამპირის“ (ანუ რუსული ამპირის) სტილზე აგებული მრავალსვეტებიანი შენობა, რომელშიც მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქციისა და განახლების შემდეგ, მოეწყო საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმი (იგი პირველად 1934 წელს დაარსდა „მეტეხის“ მუზეუმის სახელწოდებით — იმის გამო, რომ მეტეხის ყოფ. ციხეში მოეწყო). აღნიშნული მუზეუმი მდიდარია ისტორიულ-მეცნიერული ფონდებით, იგი ერთ-ერთი მსხვილი მუზეუმთაგანია საბჭოთა კავშირში. მისი კოლექციებისა და შენაკრებების ძირითად ფონდს შეადგენს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმიდან გადმოცემული კოლექციები.

შემდეგში ეს უძვირფასესი ფონდები შეივსო რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის ხელოვნების კოლექციებით, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებიდან ძღვნად გადმოგზავნილი ფრიად საყურადღებო და ფასდაუდებელი კოლექციებითაც. კომუნისტურ-პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ყურადღების შედეგად მუზეუმმა 1945 წელს პარიზიდან მიიღო (ლუვრის მუზეუმიდან) საქართველოს უმდიდრესი მხატვრული და ისტორიული კოლექციები, რომლებიც 1921 წელს მენშევიკების მთავრობამ თბილისიდან პარიზში გაზიდა. ეს კოლექციები შეტანილ იქნა მუზეუმის ძირითად ფონდში — უძველესი ქართული ხელოვნების განყოფილების მიხედვით. გარდა ამ ფონდებისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ყოფილმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მუზეუმს გადასცა ქართული საბჭოთა ხელოვნების მრავალი შენაკრები, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი საბჭოთა ხელოვნების გამოფენის მოწყობას.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნიდან ლამაზად შოჩანს სოლოლაკის ქედზე გადაშლილი „კომკავშირელთა ხეივანი“, რომლის თავზე აღმართულია ძველებური ციხის („შურის ციხის“) ნანგრევები, ხოლო ამ ხეივნის ბოლოში, საკმაოდ მოზრდილ ერთსართულიან აგურის შენობაში მოთავსებულია თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ყოფ. კომუნალური მუზეუმი) მრავალი ფრიად საყურადღებო და ძვირფასი შენაკრებით.

ამ მუზეუმის ექსპოზიციასზე წარმოდგენილია თბილისის ბუნებრივი პირობები, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, მუზეუმს მოეპოვება აგრეთვე მხატვრული სურათები, მაკეტები, ნახაზები, ფოტორეპროდუქციები, ალბომები როგორც ძველი თბილისის (XVIII—XIX სს.) ყოფაცხოვრებიდან, ისე თანამედროვე ქალაქის სოციალის-

ტური მშენებლობის შესახებ. მუზეუმში მოწყობილია რამდენიმე გამოფენა დაპირისპირების პრინციპზე აგებული „ძველი კაპიტალისტური და ახალი სოციალისტური ქალაქი“.


ღირსშესანიშნავ ადგილებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღი, რომელიც მდებარეობს სოლოლაკის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრილი ფერდობის ძირში, მდ. ლღვთა ხევის (დაბახანას) ხეობაში. აქ უხვად არის წარმოდგენილი მცენარეთა მრავალი ჯიში და სახესხვაობა არა მარტო საქ. სსრ, მეზობელ ქმური რესპუბლიკებისა და კავკასიისა მთლიანად, არამედ საზღვარგარეთა ქვეყნებისა, როგორცაა: იაპონიის, ჩინეთის, ჩრდილო ამერიკის, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისა და სხვ. ბოტანიკურ ბაღში საუცხოოდ არის წარმოდგენილი კლასიკური ნიმუში სიზბოსა და მცენარის შორის კავშირი. განსაკუთრებული პირობების გამო (ჩრდილოეთის ქარებისაგან დაცულია სოლოლაკის ქედით) ბოტანიკურ ბაღში ტემპერატურა 2° მაღალია, ვიდრე თბილისის პლატოზე, რაც ხელს უწყობს მრავალ ისეთ ექზოტიური მცენარის განვითარებას, რომელთა გახარება თბილისის პირობებში შეუძლებელი ხდება<sup>23</sup>.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თბილისის ფუნქულორჩი ანუ მთის რკინიგზა, რომელიც გაიხსნა 1905 წლის მარტის თვის დამლევს. იგი თბილისის ბარს აკავშირებს მთაწმინდის სერთან.

მთაწმინდის სერზე ამ 16 -- 17 წლის წინათ გაშენდა სტალინის საბელობის კულტურისა და დასვენების პარკი. პარკის მოწყობასთან დაკავშირებით გაფართოვდა და საუკეთესოდ გაფორმდა ფუნქულორჩის ზედა სადგური, რომელშიც მოთავსებულია კონტა, დიდი გემოვნებით შემკული დარბაზები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოთა, საბავშვო ოთახები, საბავშვო ბაგა, კაფე-რესტორანი; წინა შენობის ფართო ვერანდიდან დიდებული გადასახედია მთელ თბილისსა და ლამაზად გადაშლილ მის მიდამოებზე; აქედან მოჩანს დიდუბე — გლდანი — ავქალა, ჯარდაბნისა და სამგორის ველები, ხოლო მზიან ამინდში კი კავკასიონის თოვლით მოფენილი მთავარი ქედი, იალნოსა და ცივ-გომბორის მთები.

მრავალი ათასი წიწვიანი და ფოთლოვანი ხე-ბუჩქი, მარადმწვანე მრავალწლიანი მცენარეულობა, უამრავი სურნელოვანი ყვავილი სიამოვნებას გვრის ადამიანს; პარკში მრავალფეროვანი კულტურული გასართობები — ატრაქციონებია მოწყობილი. გაზაფხულიდან და ადრე შემოდგომის განმავლობაში აქ მხატვრულ-მუსიკა-





ს

თბილისის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი კუბზე

ლური საესტრადო ღონისძიებები ტარდება. სეზონურად მოქმედებს, აგრეთვე, კინოთეატრი და სხვა კულტურული გასართობები.

ფუნქიულორის ზედა პლატოს ჩამოსწვრივ, მთაწმინდის ძველი ეკლესიის გალავნის ტერიტორიაზე, მოეწყო საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. აქ დასაფლავებულია XIX საუკუნის დიდი პოეტები და საზოგადო მოღვაწენი დავით რექტორი (გვარად ალექსი-მესხიშვილი), რომელიც 1824 წელს გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, დ. გ. ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზ ცხევედაძე, ფილიპე მახარაძე და სხვები.

მთაწმინდის პანთეონის ცენტრში საგანგებოდ მოწყობილ, მარ-მარილოს ფილაქნებით მოპირკეთებულ აკლდამაში ასაფლავია XIX საუკუნის დიდი რუსი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვის (1795 — 1829) და მისი მეუღლის ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის გრიბოედოვას (1812 — 1857) ნეშტები.

ა. გრიბოედოვის ძეგლზე წარწერილია ოქროს ასოებით: Александр Сергеевич Грибоедов. Родился 1775 года января 4 дня, убит в Тегеране 1829 года января 30 д. ძეგლის მარცხენა კიდიტ ოქროს ასოებით გამოკვეთილია ქვაზე შემდეგი: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя“. „Незабвенному — его Нино“.

მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კარლ მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია ლამაზად მოპირკეთებულ, მონუმენტურ შენობაში (კეცხოველის ქ. № 5). იგი თბილისში უძველესი ბიბლიოთეკათაგანია, რომელიც დაარსდა გასული საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით და მათივე ნივთიერი დახმარებით. მისმა დამაარსებელმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა დიმიტრი ყიფიანმა, ზაქარია ერისთავმა, პოეტებმა ვახტანგ ორბელიანმა (ერეკლე II შვილიშვილმა), გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა დააარსეს ჯერ კერძო ბიბლიოთეკა, რომლის წესდება დაამტკიცებინეს კავკასიის მთავარმართებელს. პირველ ხანად ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო დიმიტრი ყიფიანის ბინაში, რომლის პატრონისათვის დაუქისრებიან მისი მოვლა-პატრონობა და გამგებლობაც. ბიბლიოთეკამ იარსება წელიწადნახევარი და შემდეგ დაიხურა, ხოლო მისი წიგნალი ფონ-

დი 510 ტომისაგან შემდგარი მისმა დამაარსებლებმა გადასცეს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც 1846 წლის დასაწყისში დაარსდა. ამ წიგნად ფონდს დამატებია მეფისნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ფონდიც. მაგრამ ამ ბიბლიოთეკის მუშაობა, ეტყობა, პრიმიტიულ ფორმებში დაყენებული არც იმ დროის კულტურულ საზოგადოებას აკმაყოფილებდა, რაც იმ პერიოდის პრესაში (გაზეთი „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“), აგრეთვე, თვით ამ ბიბლიოთეკის ოფიციალურ ანგარიშებშიც იყო აღნიშნული.

ასეთ მდგომარეობაში ბიბლიოთეკამ 1914 წლამდე იარსება, როდესაც იგი სხვა ამგვარ დაწესებულებებთან ერთად (სამხედრო მუზეუმი, სამხედრო საისტორიო განყოფილება, სამხედრო გამოფენა და სამოქალაქო დაწესებულებათა არქივები) დახურულ იქნა და შეიფუთა გასაზიდად ქ. თბილისიდან (1914 წელს დეკემბერში, როგორც ცნობილია, თბილისის მმართველ სამხედრო წრეებში პანიკა შეიქმნა და ევაკუაცია დაიწყო), მაგრამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელიც 51,000 წიგნს აღემატებოდა ამ გაზიდვას გადაარჩა, რადგანაც უკვე 1915 წლის იანვრიდან პანიკური განწყობილება მმართველ წრეებში შეჩერდა.


ყუთებში შეფუთული წიგნები გამომწვეურდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც იგი შეუერთეს საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ბიბლიოთეკას (1923 წელს). 1928 წლამდე ბიბლიოთეკა სასახლეში იყო მოთავსებული, შემდეგ 1929 წლამდე სამხედრო სობოროს შენობაში (იმ ადგილზე ამჟამად აღმართულია მთავრობის სასახლე), ხოლო შემდეგ, როცა ბიბლიოთეკამ მიიღო ის შენობა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო აგებული დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით არქიტექტორ კალგინის მიერ (ამ შენობაში უნდა მოთავსებულიყო საქართველოს სათავადაზნაურო ბანკი), იქ განაგრძო მუშაობა. 1953 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ. და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით ბიბლიოთეკას გადაეცა გვერდით მდებარე შენობა 1000 კვ. მეტრი ფართობით. საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდვითი გამოცემების საერთო რიცხვი 2.000.000 ტომს აღემატება, ხოლო ერთეულებში კი 4,5 მილიონზე მეტს აღწევს. გარდა ამისა საჯარო ბიბლიოთეკას (ამჟამად რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სახელწოდება მიენიჭა) აქვს დიდი და ფასდაუდებელი არქივი ხელნაწერების, საზოგადო მოღვაწეთა კერძო წერილებისა და სხვა ღირსშესანიშნავი საბუთები, რომლებიც განსაკუთრებულ პირო-

ბებშია დაცული ქართველოლოგიის კაბინეტის, ხელნაწერთა და იშვიათ გამოცემათა საცავებში.

1917 წლამდე დიდი ბრძოლა წარმოებდა მეფის მთავრობასთან თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად. 1911 წელს დაარსდა ქალებისათვის უმაღლესი ტიპის კერძო კურსები (კერძო პირთა თაოსნობით), რომლებიც შემდეგში ქალთა უმაღლეს კურსებად გადაკეთდა (1912 წელს), ხოლო უფრო გვიან კი მას „თბილისის კერძო უნივერსიტეტი“ ეწოდა, მაგრამ ამ უმაღლესი ტიპის სკოლადამთავრებულებს არავითარი უპირატესობანი არ ენიჭებოდათ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისში გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში), რომელიც მაშინ დროებით მოთავსდა რუსთაველის პროსპექტზე ერთ-ერთ პატარა შენობაში (რუსთაველის სახელობის თეატრის გვერდით).

ღირსშესანიშნავ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1918 წლის 26 იანვარი, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტებში გამოზრდილ ქართველ პროფესორთა, დოცენტთა, ასისტენტთა და ლაბორანტთა საინიციატივო ჯგუფმა, მენშევიკური მთავრობისაგან ყოველგვარი დახმარების გარეშე, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს უნივერსიტეტს და მოათავსა იგი ქართულ კერძო გიმნაზიის საგანგებოდ აგებულ შენობაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1 — იქ, სადაც ამჟამადაც იმყოფება). იმ პერიოდში უნივერსიტეტს მხოლოდ ორი ფაკულტეტი ჰქონდა; იგი დიდ შევიწროვებას განიცდიდა, რადგანაც მენშევიკური მთავრობა მას არავითარ სახელმწიფოებრივ სუბსიდიას არ აძლევდა. მაგრამ ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოიყვანა საქართველოში დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, რის შემდეგ უნივერსიტეტის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა; საგრძნობლად გაძლიერდა მისი ქონებრივი ბაზა; გადაყვანილ იქნა სახელმწიფო ხარჯზე; დღეისათვის სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 13 ფაკულტეტია, მრავალი კათედრით, ლაბორატორიით, კაბინეტით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით და დამხმარე სახელოსნოებით; მას აქვს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა. უნივერსიტეტს ამშვენებს ულამაზესი ყვავილნარი, რომლის შუაგულში (მთავარი შესასვლელის წინ), მარადმწვანე ხეებსა და ყვავილებს შორის აღმართულია ორი დიდი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის დამაარსებლების, ამავე უნივერსიტეტის პირველი რექტორების, პროფესორების — პეტრე მელიქიშვილის (1850 — 1927) და ივანე ჯავახიშვი-



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა  
ლის (1876 — 1940) საფლავის ძეგლები. ბაღნარის გასწვრივ — ვა-  
რაზის ხევის ნაპირზე საუკეთესოდ მოვლილი დენდროპარკია გაშე-  
ნებული, მრავალფეროვანი ხე-ბუჩქით და მრავალწლიანი მცენა-  
რით, მათ შორის ფრიად საყურადღებო ეკზოტიური და სითბოს  
მოყვარული მცენარეულობა ურევია, არა მარტო საქართველოს და  
კავკასიისა, არამედ სხვა ქვეყნებისაც.

უნივერსიტეტის შენობის მთავარ შესასვლელ კარებთან — კე-  
დელზე მარმარილოს დაჭაა მიკრული, რომელზედაც ოქროს ასო-  
ებით ამოკვეთილია შემდეგი წარწერა:

„უნივერსიტეტის შენობის აგების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე, მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ცხვედაძე, ხუროთმოძღვარი—მშენებელი სიმონ კლდიაშვილი. შენობის აგება დაიწყო 1900 წელს, დამთავრდა 1906 წელს“.

ამ ლაკონიურ წარწერაში მოცემულია უნივერსიტეტის მშენებლობის მოკლე ისტორია და ის დიდი დამსახურება მშრომელი ხალხის წინაშე, რომელიც მიუძღვის ამ საქმეში ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გარდა, დაარსდა კიდევ 10 უმაღლესი სასწავლებელი: ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ინსტიტუტები (რომლებიც უნივერსიტეტს გამოეყო), ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, ზოოვეტერინარული, უცხო ენების, ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო, და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები, რომლებშიაც იზრდება და თანამედროვე მეცნიერებას ეუფლება საბჭოთა ახალგაზრდობა.

უნივერსიტეტის დენდროპარკის ბოლოდან საუკეთესო ხედი იხსნება გმირთა მოედანზე. აქედან მოჩანს ამაღლებულ ბორცვზე აგებული თბილისის ცირკის მომრგვალო შენობა, თერაპეუტსართულიანი სახლი, სტალინის სახელობის სანაპირო, რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი ჩელუსკინელთა სახელობის გრძელი ქუჩა, რომლის ბოლოში კარგ ამინდში მზეზე ბრწყინავს თბილისის სადგურის ცენტრალური შენობის თავზე ისრისნაირად აწყვეტილი სახურავი. მაყურებლის თვალს იპყრობს, აგრეთვე, საბურთალოსაკენ მიმავალი სწორედ ის „საქართველოს სამხედრო გზა“, რომლის მეშვეობით ქართველი ხალხი ძველთაგანვე უკავშირდებოდა თავის მეზობელ რუს ხალხს.

მოპირდაპირე მხარეზე, ლენინის ქუჩის დასაწყისში, ამართულია აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მრავალსართულიანი საწარმოო კორპუსები; ვარაზის ხევის გადაღმა მხარეზე, მის მარჯვენა ნაპირზე გადაშლილია 65-ჰექტარიან ნაკვეთზე თბილისის ზოოლოგიური პარკი, რომელიც დაარსდა 1923 წლიდან. პარკში მწვანე ნარგავებს შორის ფართოდ არის გაშენებული გარეულ ცხოველთა სა-

განგებო სადგომები, ფრინველთა ეოლიერები, ფართო გალიები, აუზები, საგუბარები. ზოოპარკის მრავალ ცხოველთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ძუძუმწოვარი ცხოველების ნაირსახეობა; მათ შორის გამოირჩევა სპილო; ორჩლიქოვანებში: კაკასიური, უსურიის და ყირიმის ირმები, ფსიტები, ჯეირნები, შვლები, ზებუ, იაკი, ზებროიდი, აქლემები. მტაცებელ ცხოველთა შორის ყურადღებას იპყრობს: ლომები; ვეფხვები, ფოცხვერი, აფთარი, კაკასიური დათვი, თეთრი დათვები (პოლარული ქვეყნების მობინადრენი) და სხვა; ზოოპარკის ცოცხალ ექსპონატებს, ამ უკანასკნელ დროს, შეემატა ზღვის ლომი; საინტერესოა აგრეთვე, ზოოპარკში მაიმუნების სამყარო, რომელთა შორის ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და ზოოპარკში ცხოვრებას უკვე შეეგუენ და მრავლდებიან კიდევ კაპუცინები, ლაუნდრები, ჰამადრილები და რეზუსები.

ზოოპარკის სპეციალისტ-მეცნიერი თანამშრომლები ინტენსიურ ცდებს ატარებენ და დაკვირვებებს აწარმოებენ გარეულ ცხოველთა აკლიმატიზაციისა და მოშინაურების საკითხებზე. გარდა ამისა, წარმოებს მუშაობა გარეული ცხოველების სახალხო მეურნეობაში გამოყენების საშუალებათა შესასწავლად.

მწვანე ნარგავებით მოირთო ქალაქი. ამ რამდენიმე წლის წინათ მას მიემატა 125 ჰექტარზე გაშენებული პარკი ვაკეში, სადაც დაირგო ასეული ათასი ხე-ბუჩქი, მარადმწვანე გაზონები, ბორღურული მცენარეული, კვიპაროსი, ტუია, კედარი. ელდარის ფიჭვი; ფოთლოვანებიდან: ჭადარი, ნეკერჩხალი, იფანი, ალვის ხე, თელა და ბეკრი მრავალწლიანი მცენარე. დიდი სამუშაოები წარმოებს ამჟამად „თბილისის ზღვის“ ნაპირების გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. ამგვარად, თუ XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე თბილისის მწვანე ნარგავების ფართობი 120 ჰექტარს ძლივს აღწევდა, დღეისათვის მან 4000 ჰექტარს გადააჭარბა.

საუკეთესოდ მოეწყო თბილისის საგარეუბნო კურორტები — კოჯორი, კიკეთი, წყნეთი, დიღომი, გლდანი, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქთან კეთილმოწყობილი გზატკეცილებით. მწვანე ნარგავებით, ხეხილით შემკულია მათკენ მიმავალი გზები.

სამგორის ზედაარხის მეშვეობით ივსება თბილისის საგუბარი („თბილისის ზღვა“); იგი იძლევა ქალაქისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით დახრილი ფერდობების სისტემატური მორწყვის საშუალებას, ამასთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ამ უბნების გამწვანება და გატყევება.

ახლო მომავალში ხეხილის ბაღები მოეხვევა სწრაფმზარდ თბი-

ლისს. მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში მრავალი ახალი, ფრიად საყურადღებო და ლამაზი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო შეემატა ქალაქს. ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ქალაქის ფარგლებში მდ. ატკვარი გადაიხურა სამი მონუმენტური ხიდი: მეტეხის, რომელიც 1951 წლის 29 აპრილს გაიხსნა, სტალინის სახელობის ხიდი (ყოფ. ვერის ხიდი), ივი გაიხსნა 1952 წლის 21 დეკემბერს და დიღმის ხიდი, რომლითაც 1953 წლიდან დიდუბე სოფელ დიღომთან მოკლე გზით დააკავშირეს. ქალაქს მოემატა საფუძვლიანად რეკონსტრუირებული რკინიგზის საცალფეხო ხიდი, რომელმაც დააკავშირა ლენინისა და სტალინის სახელობის რაიონები.

დამთავრდა ბულანაურის წყალსადენი, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო ხარისხის სასმელი წყლით ახალ ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავს. ამ ახლო ხანებში დამთავრდა სპორტული საზ-ბა „ბურევესტნიკის“ სტადიონისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მრავალსართულიანი კორპუსების აგება ვაკეში; ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენისა და მისი ცალკე ინსტიტუტების შენობათა აგება საბურთალოზე — მდ. მტკვრისაყენ გადაწყურე კლდოვან მაღლობებზე. ორთაქალაში, მდ. მტკვარზე, 300 არაგველთა სახელობის ხიდის მახლობლად აიგო პიდროლექტროსადგური. მალე მტკვარზე მოეწყობა შიდასაქალაქო ნაოსნობა — მდინარის სატრანსპორტო მაგისტრალზე განზრახულია სამდინარო „ტრამვაის“ მიმოსვლის გახსნა. სტალინის სახელობის ხიდის დაღმა მხარეს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე აიგო 123-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მიასნიკოვის ქუჩაზე აშენდა 158-ბინიანი რვასართულიანი შენობა, რომელმაც დაამშვენა ქალაქის მარჯვენა ნაპირი. დელისში უკვე მთავრდება იპოდრომის (ცხენის ტერპის) აგება, რომელიც დაიტევს 10 ათას მაყურებელზე მეტს; დიდი სამრეწველო და კომუნალური საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს ქალაქის განაპირა უბნებში (ავჰალა, დიღომი, ღრმა-ღელე, საბურთალო, ნავთლული, კრწანისი, ბაგები, წყნეთი და სხვა), რომელთა დიდი ნაწილი უკვე ქალაქ თბილისის ფარგლებში მოექცა.

მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა თბილისის შემდგომ კეთილმოწყობას. ქალაქში უნდა შეიქმნას ულამაზესი არქიტექტურული ანსამბლები.

ასეთია დღეს თბილისი.



## სამგორის გარშემო

ქ. თბილისს უმოკლეს მანძილით თელავთან აკავშირებს გზატკეცილი, რომელიც მიემართება თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ბუნებრივი სიუხვით შემკული ცივ-გომბორის ქედით.

გზა გასდევს ქალაქის ერთ-ერთ სამრეწველო უბანს— ნავთლულს, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს სოფლად ითვლებოდა და აღწერილობაშიც ასე იხსენიებოდა.

გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს: „თბილისს სამხრეთ-აღმოსავლეთით არს ნავთლული, მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ იღების“<sup>1</sup>.

ნავთლულიდან სოფელ ნორიოსა და მარტყოფისაკენ მიმავალი გზის მარცენა მხარეს, თბილისიდან დაახლოებით 17—18 კილომეტრის მანძილზე, მთის სამხრეთით, დახრილი ფერდობის ძირში, მდებარეობს სოფელი დიდი-ლილო.

როგორც ვახუშტის ცნობიდან ჩანს, XVII—XVIII სს. ლილოელებს ცხოვრების ძალიან მძიმე პირობები ჰქონიათ, რადგან „აღმოსავლეთ თბილისსა არს ლილო, არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არა უმდინარო წყაროებითა და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი (აქ იგულისხმება კუკიის ყოფილი ტბები, რომლებიც „თბილისის ზღვამ“ დაფარა, — ი. ა.) და უთევზონი, მუროთა საესე; სხდების წერო და ბატი მრავალი“<sup>2</sup>.

მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ადამიანის მტკიცე ნებისყოფისა და დაუცხრომელი შრომის შედეგად ამ ადგილზე გაშენდა ბაღები, დაირგო კაკლის ხეები, გამრავლდა კურკოვანი ხეხილის ჯიშები, რომლებიც კარგ ნაყოფს იძლევა; ლილოს კოლმეურნე მოსახლეობა ფართოდ მისდევს აგრეთვე ხვნათესვას.

ამეკმად სოფელ დიდ-ლილოს გლეხობა გაერთიანებულია ი. ბ. სტალინის სახელობის საკმაოდ მძლავრ კოლმეურნეობაში და შეძლებულად ცხოვრობს. სამგორის სარწყავი არხის პირველი რიგის აგრევატების ამუშავებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის განვითარებამ უფრო ფართე ხასიათი მიიღო.

დიდ-ლილოს მოსახლეობის უმრავლესობა მესაქონლეობას მისდევდა; 1912 წელს აქ დაარსდა გლეხ მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“, რომელიც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა ამ მიმართულებით. ამ კოოპერატიულ წამოწყებას, რომელშიაც 1913 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო უკვე 71 წევრი 216 ძროხით, რომელთაგან იწველებოდა 91 ძროხა, თვალყურს ადევნებდა და ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კოოპერატიული სექცია. „ლილოს“ ამხანაგობის რძის ნაწარმი ქალაქ თბილისში ჩამოქონლდათ გასაყიდად. „ლილოს“ ამხანაგობის წევრები კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ და განაგრძობენ ამ დიდ და საპატიო საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდ-ლილოში მთელი რიგი კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულება მოეწყო; მათ შორის აღსანიშნავია სააუდიტო აფთიაქით, კულტურის სახლი ფართო ეზოთი, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, რომლებიც შესამჩნევ მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

დიდ-ლილოს ფრიად საყურადღებო წარსული აქვს. როგორც ამ სოფლის უახლოეს მიდამოებში აღმოჩენილი უძველესი ღროის ძეგლებიდან ჩანს, აქ ადამიანს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში (ენეოლითის ხანაში) უცხოვრია, მაგრამ გარეშე მტრებისაგან შეწუხებული და დარბეული მოსახლეობა აქედან XIII საუკუნეში აყრილა და საქართველოს სხვა კუთხეებში გაფანტულა. ხელახალი დასახლება ამ ადგილზე XVI საუკუნეში მომხდარა, რასაც, წერილობითი საბუთების გარდა, ამ ადგილებში დღემდე შერჩენილი მრავალი ნასახლარი, ნანგრევები ადასტურებენ.

არც ახლად დასახლებულებს მიეცა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. XVII საუკუნის დასაწყისში ლეკების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად მათ დაუტოვებიათ ეს ადგილი. 1758 წელს ერეკლე II დიდ-ლილოში აღრან-დეალეთის მხრიდან გადმოუსახლებია ხალხი, რომელსაც მაშინვე ქრისტიანობა მიუღია, შემდეგ შესდგომია სოფლის მოწყობას: გამოუყვანია სასძვლი წყალი (თიხის მილებით) <sup>3</sup>, აუგია ეკლესია და ამგვარად დამკვიდრებულა სა-

ცხოვრებლად ამ ადგილზე — საქართველოს დედაქალაქ თბილისის მახლობლად.

XIX საუკუნის დამდეგიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა რუსეთის ჯარმა 1810 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ გაილაშქრა საქართველოდან მიტაცებული ადგილების (მესხეთ-ჯავახეთი) დასაბრუნებლად, სოფ. დიდ-ლილოში გადმოსახლდა ნაწილი იმ ქართველებისა, რომელთაც ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის ჯარისათვის დახმარება აღმოუჩენია (ას კომლამდე). მაგრამ მიწის თავისუფალი ფართობის უქონლობის გამო გადმოსახლებულთა დიდი უმრავლესობა იძულებული გამხდარა ისევ ჯავახეთში დაბრუნებულიყო (1818 წ.), სადაც მოსაზღვრე სოფლებში დასახლდნენ (რუსეთის მიერ დაბრუნებულ ტერიტორიაზე), უმცირესი ნაწილი კი დიდ-ლილოში დამკვიდრდა.

დიდ-ლილოს მინდვრის გასწვრივ ლოქინის ხევს (ანუ ომანის ხევს), კრის შარაგზა, რომელიც ვაზიანზე გავლით სართიქალისაკენ მიემართება.

კახეთის რკინიგზის გაყვანამდე ამ ადგილზე, ისევე როგორც შარაგზის მთელ გაყოლებაზე (ორხევის, მარტყოფის, ვაზიანის, სართიქალის, საგარეჯოსა და სხვა ადგილებში), ნაჩქარევად აგებულ ქოხმახებში მოწყობილი იყო სადგურები, სადაც საგანგებო საჯინბოებში საფოსტო ცხენებს უცვლიდენ „დილიქნებს“, „პერეკლანოებს“ და „ომნიბუსებს“.

ზაფხულობით სიცხე-ჰაპანაქებაში ლოქინის ხევში ისვენებდნენ კახეთიდან თბილისში მომავალი ტვირთშიდავი და ღვინის ურმები, რაც მხატვრულად აქვს აღწერილი ილია ჭავჭავაძეს თავის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“.

ვაზიანი ეკუთვნის მარტყოფის მინდორს, ხოლო ლოქინი კი ნორიოსას.

ლოქინი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ალექსანდრე ჭავჭავაძემ მზითვად მისცა თავის ქალიშვილს სოფიოს, გათხოვილს ბარონ ნიკოლაიზე, რომელიც ერთ დროს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწედ იყო. აქ ნიკოლაიმ ხუტორული მეურნეობა გააპრობა. პირველყოვლისა მან გააშენა ქარსაცავი ზოლი საგანგებოდ დარგული კაკლის და ალვის ხეებისაგან (ლოქინში დიდი სიცხის გარდა საშინელი ქარიც იცის, რომელიც დასაუღეთიდან ქრის). გააშენა ვენახი, ხეხილის საკმაოდ მოზრდილი ბაღი, დათესა ენდრო; მალე დაიწყო ამ ადგილის გატყევება. ნიკოლაიმ იქვე მახლობლად მოაწყო აგრეთვე მესაქონლეობის ფერმა. გასული საუკუნის 60-იან წლებში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ იჯარით აიღო ამ მა-

მულის ნაწილი და მოაწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა პანსიონატით; მაგრამ სკოლამ დიდხანს ვერ იარსება. უტრანსპორტობისა და უსახსრობის გამო იგი დაიხურა.

შემდეგ პერიოდებში ეს მამული მოუვლელია და უპატრონობით თანდათან გაპარტახდა და უკვე XX საუკუნის დამდეგისათვის იქ ხსენებაც არ დარჩა იმისა, რასაც 60 — 70-იანი წლების ლიტერატურაში ვკითხულობთ.

ნორიო-მარტყოფი — ეს ორი დიდი სოფელი ერთმანეთთან და თბილისთან მკიდროდ არის დაკავშირებული <sup>4</sup>.

ამ სოფლების უახლოეს მიდამოებში დღესაც მრავალი უძველესი ძეგლი მოიპოვება, რომელიც ახასიათებს ქართველი ხალხის წარსულ გმირობას გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ამიტომ სანამ შევუდგებოდეთ გომბორისაკენ მიმავალი გზატკეცილის გასწვრივ ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერას, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ სოფლების თავგადასავალს და თანამედროვე მიღწევებს.

კახეთის გზაჯვარედინიდან (ვაზიანიდან) ნორიომდე 10 კილომეტრი, ხოლო მარტყოფამდე კი 5 — 6 კილომეტრი.

XIX საუკუნის დამდეგამდე ნორიო, მარტყოფი და საცხენისი<sup>5</sup> ქალაქ თბილისის მისადგომების ერთ-ერთ გადამწყვეტ სამხედრო გამაგრებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ დაღესტან-ლეკეთის მხრიდან შემოსეული მტრებისაგან სატახტო ქალაქის დასაცავად. ამიტომ თავის დროზე სოფ. მარტყოფს, როგორც მთელ ამ მიდამოს ცენტრს, მასთან შეფის მოურავისა და რუსთავის ქორეპისკოპოსის მთავარ სამყოფელს (ამ სამოურაოში შედიოდა აგრეთვე სოფ. ნორიო და საცხენისიც), მიენიჭა დროშა სასპასპეტოსანი. ამ ფაქტს ადასტურებენ ისტორიული საბუთებიც:

„აწ აქუსცა დროშა სასპასპეტო; და არიან ამის (ე. ი. რუსთავის ეპისკოპოსის — ი. ა.) სასპასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქიზიყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხენე ბრძოლასა“ <sup>6</sup>.

მარტყოფიდან ჩრდილო-დასავლეთით, იალნოს მთის ტყით შემკულ ფერდობის ძირში, მდებარეობს სოფელი საცხენისი. გადმოცემით, აქ ძველად იდგა სამეფო ცხენთა ჯოგი და სასპასპეტოს მთავარი საჯინიბოები იყო მოწყობილი. ამ მიდამოებში (ნორიო, მარტყოფი, საცხენისი) ლაშქრით იყო დაბანაკებული XVII საუკუნის განთქმული მხედართმთავარი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, ამ მიდამოს ხშირი სტუმარი იყო ხოლმე XVIII საუკუნის ცნობილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე ერეკლე მეორე, მისი მემკვიდრე, შემდგომ ქართლ-კახეთის მეფე — გიორგი XIII, რომ-

ლებიც ზაფხულს ხშირად მარტყოფის მალლობებზე ატარებდნენ და აქვე სალოცავშიც დადიოდნენ.

## ნორიო-მარტყოფის ისტორიული ძეგლები

ნორიო-მარტყოფის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიული ძეგლი, ნასოფლარი და ბრძოლის ადგილია.


სოფ. ნორიოდან ჩრდილო დასავლეთით, ხოლო მარტყოფიდან დასავლეთით, იალნოს მთის ერთ-ერთ კალთაზე, მდებარეობს V—VI საუკუნის ძეგლი — მარტყოფის ანუ ღვთაების (მამა ანტონის) მონასტერი.

ვახუშტის აღწერით: „...ქვეით ერთვის ამავე მარტყოფის წყალს ხევი, გამომდინარე კუხეთის მთისა, მიმდინარე აღმოსავლეთით დასავლეთად. ამ ხევსა ზედა არს სამხრით ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდშენი, გარ-ზღუდე-გოდლოსანი, მსგავსი ციხისა, კეთილშეუენიერ ადგილას. აქ დაადგრა იგ მამათაგანი ანტონი და პყო მონასტრად ესე. ხოლო თვით მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტო-მყოფი და აწ მარტყოფი“ (ვახუშტი — 95).

მარტყოფის მონასტრის დაარსება დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში) ფეოდალური წყობილების და სამონასტრო ცხოვრების დასაწყისის ხანასთან, ე. ი. როდესაც სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ახლად იკიდებდა ფეხს და ამის გამტარებლები ასურეთიდან დაბრუნებული ქართველი 13 „მამები“ (მისიონერები) იყვნენ<sup>7</sup>.

მონასტრის გალავნის ჩრდილოეთით ( $1/2$  კილომეტრის მანძილზე) მაღალი მთის მწვერვალზე ამართულია ქვიტიკრით ნაშენი. ერთი მაღალი სვეტი. კარგ ამინდში იგი მთაწმინდიდანაც მოჩანს. თქმულების თანახმად, ამ განაპირა სვეტში ცხოვრობდა მონასტრის დამაარსებელი ანტონი.

სამონასტრო ტერიტორიაზე თანდათან მოგვიანო ხანის შენობები გაჩნდა. ამ შენობების მახლობლად ფერდობზე ცივი წყაროა. გალავანს ამშვენებს მრავალსაუკუნოვანი კაკლის ფართოტოტებიანი ხეები. სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი, სადაც მონასტრის დამაარსებლის საფლავია დაცული, XVII საუკუნეში საქართველოში შემოსეულ შაჰ-აბაზსა და ლეკებს დაურბევიათ, შემდეგ კი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თავისი „კვალი“ ირანის შაჰს ნადირსაც დაუმჩნევია და მცირე ეკლესიის გუმბათზე



### მარტყოფის მამა ანტონის მონასტრის საერთო ხედი

ჯერის ფუძესთან ნახევარი მთვარე გაუკეთებინებია<sup>8</sup>. ნადირ-შაჰის ასეთი „სულგრძელობა“ და „ყურადღება“ ამ მონასტრისადმი სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც მან ქართლ-კახეთის გამუსლიმანება და ქართულ-ქრისტიანული ტაძრების მიზგითებად გადაკეთება მოისურვა. 1827 წელს მიწისძვრამ „მამა ანტონის“ დიდი ტაძრის გუმბათი დააზიანა და სახურავის ერთი მხარე დაანგრია. XIX საუკუნის ორმოციან წლებში (1840—1848 წწ.) საქართველოს ეგზარხოსმა ისიდორემ ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთებინა და აღადგინა; გადმოცემით, ძველი შენობის კედლებზე არსებული ფერწერა — ვახტანგ გორგასალისა და მეფე ბაგრატის პორტრეტული გამოსახულებით (ფრესკებით) შეკეთების დროს განადგურებულა.

სამონასტრო გალავნიდან სამხრეთ-დასავლეთით (მის მახლობლად) ტყეში მდებარეობს XVI საუკუნის (1527 წ.) ძეგლი — ღვთისმშობლის ეკლესია. იგი გადაპყურებს მღ. ნორი-ხევის ვიწრო ხეობას მარცხენა ნაპირიდან. ამ ნაპირზე 1910 წლის ზაფხულში დიდი ავღრების გამო ნორი-ხევის მოვარდნილმა ნიაღვარმა ჩამოანგრია კონგლომერატებიანი ნაპირი და ნიადაგის ზედაპირიდან და-

ახლოებით 4—5 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა ქვის სამარხები 8—10 ქვაყუთი, რომლებიც გადახურული იყო ბრტყელი ქვებით<sup>9</sup>.

მონასტრის მისასვლელ ფართო მოედანზე, ნორიო-მარტყოფის მიდამოებისაკენ გადამუხრე ფერდობის ამაღლებულ ადგილზე, ამართულია მაღალი კოშკის მსგავსი ავურიტ ნაშენი სამარეკლო; იგი აგებულია XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ. ამ სამარეკლოს ზარის ხმა კარგ ამინდში მკაფიოდ ისმოდა ნორიოში, მარტყოფში და სოფ. შეინდაძეში.

მარტყოფის მონასტრის სვეტიდან (აგრეთვე სამარეკლოდან) მთელ არემარეზე განსაკვიფრებელი ხედი იშლება. აქედან, როგორც ხელის გულზე, მოჩანს ქალაქი თბილისი, მთაწმინდა, კოჯორი, ნორიო-მარტყოფის მთელი მიდამოები, ტყეებსა და ხეობებზე ჩამავალი ბილიკები, შავნაბადა, ლოქინი, ვაზიანი, სამგორის, გარდაბნისა და მტკვრის ველები.

მონასტრის გარე გალავანში მოაგარაკეებისათვის საგანგებო ორსართულიანი შენობები აიგო (XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში). აქ, წარსულში, თბილისელი მოქალაქეები ოჯახებით ამოდიოდნენ სააგარაკოდ ზაფხულობით ან დროს გასატარებლად.

ეს ადგილი ცნობილია საუცხოო კლიმატური პირობებით; გარშემორტყმული ტყის გავლენით ჰაერის ტემპერატურის რყევადობა მცირდება, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მონაბერ ქარებისაგან ქედებითა და ტყეებით არის დაცული. საღამოობით იქ სიგრილეა, ხოლო დღის განმავლობაში სიცხე-პაპანაქება არ იცის. ეს ადგილი თბილისის მიდამოების ერთ-ერთ საუკეთესო კლიმატურ კურორტად ითვლება.

სოფელ ნორიოს ჩრდილო-დასავლეთით (2—3 კმ) მდ. ნორი-ხევის მარჯვენა ნაპირზე, წარსულში ქოჩორა ტყით დაფარული ქართლის ქედის ერთ-ერთი მთის ფერდობზე, შემორჩენილია ძველებური, ქონგურებიანი ციხე-კოშკის ნანგრევები. მის გარშემო აქა-იქ გაბნეულია ქვითკირის ნასახლარების, მარნებისა და სხვა სახის სამეურნეო შენობების ნაშთები. ხალხური გადმოცემით ძველად ამ ადგილზე ყოფილა სოფელი, რომელსაც გალავანი ჰქონია შემოვლებული და ამ ციხის სისტემაში ეს კოშკიც შედიოდა. ამ კოშკს ხალხი „ტაკაანთ კოშკს“ უწოდებდა<sup>10</sup>. აქვე მახლობლად „ტაკაანთ“ წმინდა გიორგის უფუმბათო ეკლესიის ნანგრევებია (უფრო კი მისალოცის ტიპისა).

„ტაკაანთ“ მზევრავი კოშკიდან უთვალთვალებდა მიდამოს, რომ მტერი (ლეკი) არ შემოპარულიყო და სოფელი არ აეწიოკებინა.

კოშკის გასწვრივ, ხშირი ტყით შემკული სერის ერთ-ერთ მდე-

ლოს ჩაღრმავებულ ადგილზე ორი ტბა მდებარეობს (დაჭაობებული ადგილი). ამ ადგილს „ნაომრის სერი“ ჰქვია. იგი ისტორიულა ბრძოლის ადგილია, რომლის შესახებ ხალხში დარჩენილია შემდეგი თქმულება:


„იმ ხანებში, როდესაც ჩვენი სოფელი ნორი-ხევის მარჯვენა ნაპირზე, ტყეში სახლობდა, შუა სოფელში ტაყაანთ კოშკი მდგარა, საიდანაც ზვერაგდნენ მიდამოს, რომ მტერი არსაიდან არ შემოპარულიყო. ერთხელ ლეკები კახეთს შემოესივნენ და გარე-კახეთისაკენ გამოემართენ მარტყოფისა და ნორიოს ასაკლებად და ასაწიოკებლად; ისეთნაირად გამოსულან, რომ ციხე-კოშკს ასცდენოდნენ და მისთვის ალყა შემოერტყათ ზემოდან; ცივზე გადმოსულან, გომბორის მთა გადმოულახავთ და იაღნოს სერით სოფელ შვინდაძეზე წამოსულან; აქედან საცალფეხო ბილიკით ღვთაების ტყით გადმოსულან გამოღმა, რომ სოფელს სერის მხრიდან მიპარვოდნენ, თავდასხმას კი ღამე ფიქრობდნენ. შუა ზაფხული იყო, ძლიერ ცხელოდა, ხალხი მინდვრად იყო გასული. ლეკები მოადგნენ ოუ არა სერს და ტბა დაინახეს, გაიხადეს ტანსაცმელი და შეუღდნენ ბანაობას.

ამ დროს ტყესა და სერებს კოკიტაანთ „წატურა“ დარაჯობდა. სერზე რომ ასულა „წატურა“ და მობანავე ლეკები დაუნახავს, მაშინვე სოფლისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი.

სოფელმა ფიცხლავ ქუდზე კაცი შეაგროვა და იარაღსხმული სერზე ავიდა. ლეკებმა ვერც კი მოასწრეს ტანზე ჩაცმა, რომ ნორიელები მათ თავს დაესხნენ და თავდაშხმელები სულ ერთიანად ამოწყვიტეს. ამ ამბის შემდეგ მთის სერს „ნაომრის სერი“, ხოლო ტბას კი „ნალეკარის ტბა“ დაერქვა<sup>11</sup>.

სოფელი ნორიო ამჟამად თბილისის საგარეუბნო რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელთაგანია. იგი ძველად ხუთ უბნად იყო დაყოფილი: ცოფურაანთ უბანი, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფე ერეკლემ დაასახლა (სოფლის ბოლოში)<sup>12</sup>, ციხის უძველესი უბანი (მოსახლეობა ციხის გარშემოა დასახლებული), ტაბლიანთ უბანი ნორი-ხევის მარცხენა მხარეზე, შუა. სოფელი და შედარებით ახალი უბანი — არაშენდა, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან გაშენდა. ამ უბნის გასწვრივ ნორიოს თავზე, ნორი-ხევისაკენ გადაწყურე გაშლილ ზეგანზე („ჯვარაზე“) კოშკის ნანგრევებია. ამ ტერიტორიის მდებარეობიდან ჩანს, რომ ეს კოშკი აგებული უნდა ყოფილიყო იმ პერიოდში, როდესაც ნორიელი მოსახლეობა საცხოვრებლად ახალ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულა (იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობს), ე. ი. XVII საუკუნის პირველ ნახევარში.





სოფ. ნორიო. სოფლის დიდი ციხე-გალავანი (XVIII საუკ.)

ეს მზვერავი კოშკი ეტყობა დაკავშირებული იყო, როგორც „ტაკანთ“ ციხე-კოშკთან, ისე სოფლის დიდ ციხესთანაც.

სოფელ ნორიოს ძველ უბანში (ციხისუბანში) მდ. ნორი-ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფლის ფართოგალავნიანი დიდი ციხე-სიმაგრე. მისი საკმაოდ განიერი კედლები რიყის ქვით არის ნაგები. გალავნის კედლები ამჟამად შერჩენილია მხოლოდ სამი მხრიდან (სამხრეთით — მთავარი კედელი შესასვლელი კარით, დასავლეთით და აღმოსავლეთით ყრუ კედლებია), ხოლო ჩრდილოეთის კედელი კი აღარ არსებობს, აქედან გალავანი ფარლალაა და ციცაბოდ დაქანებულ ნორი-ხევის ნაპირს გადაჰყურებს; ამ მხრიდანაც ერთ დროს ციხეს მაგარი კედელი ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ დროთა ვითარებაში აზვირთებულ ნორი-ხევს ჩამოუტრეცხია.

ციხის გადაღმა მხარეზე, ნორი-ხევის მარცხენა კიდით ტაბლიაანთ უბანია. ამ უბანში 1910 წლამდე მზეერავი კოშკი იდგა, რომლიდანაც მშვენივრად მოჩანდა მთელი ხეობა და ნორიოდან მარტყოფისაკენ მიმავალი გზა-ბილიკები, „მგლის უნახავი“ და „ლომეთის“ მინდერები.

ნორიოს ციხის გალავანში სხვადასხვა დროის მინაშენებია, რომლებიც, როგორც ჩანს, მეციხოვნე ჯარის სადგომებისათვის იყო გამიზნული. ციხის შესასვლელი კარების მახლობლად, დასავლეთის კედლის მთელ გაყოლებაზე, დიდი, ფართოაივნიანი დარბაზებია მიშენებული (ამ დარბაზებში 1910—1917 წწ. სოფლის კანცელარია იყო მოთავსებული). ციხის კედლებს მთელ სიგრძეზე, სიმეტრიული თანმიმდევრობით სათოფურები და მზეერავი ფანჯრები აქვთ ჩაყოლებული; ციხის კედლების ყოველ კუთხეს მომრგვალო კოშკები აქვს მიშენებული.


ნორიოს დიდი ციხის არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის მიხედვით მისი აგების დრო შესაძლებელია XVII საუკუნის პირველ მეოთხედით (შაჰ-აბასის შემოსევის შემდგომი პერიოდით) დათარიღდეს.

ციხის გალავანი იმდენად ფართო და გაშლილია, რომ აქ, უწინ, „შიშიანობის დროს“, იმდროინდელი სოფლის მთელი მოსახლეობა თავისი ქონებითა და ქირნახულით ეტეოდა.

ციხის მახლობლად, ამავე უბნის ცენტრში (კეუერაანთ-ბადრიძეების) ქვითა და აგურით ნაგები სამსართულიანი ქონგურებიანი საცხოვრებელი კოშკია ამართული. შესასვლელი კარი კოშკს სამხრეთის კედელში აქვს დაყოლილი. მეორე და მესამე სართულის კედლებში (შიგნიდან) ორ-სამ ადგილას ირმის შტოიანი რქებია ჩასმული. სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს აგურის ვიწრო კიბეები. ყოველი სართულის (მეორე სართულიდან დაწყებული) კედლები შეკრულია მუხის კოჭებით (სარტყელებით), დღის სინათლისათვის კოშკის კედლებს ვიწრო სარკმლები აქვთ გაკეთებული, ხოლო მტრის მოსაგერიებლად კი კოშკის კედლებში სათოფურებია დატანებული.

კოშკი გარეგნულად ლამაზ სანახაობას წარმოადგენს, მისი შიდა ფართობი ამჟამად გამოყენებულია საოჯახო-სამეურნო საჭიროებისათვის.

ეს კოშკი, როგორც საბუთებიდან ჩანს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აუგია მარტყოფელი და შემდეგ ნორიელი ბადრიძეების (კეუერაშვილების) ერთ-ერთ წინაპარს — ქრისტესია (ქრისტეფორე) ბადრიძეს; იგი ერეკლე მეორისა და გიორგი XIII მეფობის დროს



სოფ. ნორი. კევერანთ კოშკი (XVIII საუკ.)

ცნობილი მოღვაწე იყო; მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მწიგნობრობისა და სასტამბო საქმის მოწყობა-მოწესრიგებაში და ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისიდან ტყვედ გატაცებული ქართველი და სომეხი ოჯახების განჯის ციხიდან გამოხსნის საქმეში.

ქრისტესია კევერაშვილი, რომელსაც იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ იხსენიებს, თავის დროის უაღრესად განათლებული, გონებამახვილი, განვითარებული და გამჭრიახი ადამიანი ყოფილა; რომელსაც მმართველი წრეების დავალებით მოვლილი ჰქონდა მრავალი უცხო ქვეყანა, მათ შორის — ბაბილონი, ეგვიპტე, როდოსი, იერუსალიმი, ეფესოსი და სხვა ადგილები<sup>13</sup>.

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XIII ერთ-ერთ (1799 წ.) გუჯარში, რომელიც მას კარის ეკლესიის მოძღვრის, სოფელ ნორიოს

მცხოვრებ ქრისტიანთა ბაღრიძისათვის (იგივე კეცერაშვილი) მიუცია, ჩაწერილია შემდეგი: „შენ იმყოფებოდი რა მეფესთან (იგულისხმება ერეკლე II, — ი. ა.) ერთგულად და დაუღალავად ემსახურე მას ერევნის ლაშქრობაში; შემდეგ გაემგზავრე იერუსალიმს და, შეისწავლე რა სასტამბო საქმე, დაბრუნდი საქართველოში, სადაც ამ დროს დიდი ნაკლებობა იყო სამღვრთო რჯულის წიგნებისა; შენ დასტამბე 14.000 წიგნი მეტეხის ეკლესიაში; ხოლო როდესაც, აწ განსვენებული, მეფე ავადმყოფობდა, შენ მას 40 დღე ემსახურე.

ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი რომ ააწიოკა და გადაწვა, მრავალი ტყვე გაიტაცა და განჯის სახანოში წაასხა და იქ დასტოვა. იმავე წელს განსვენებულმა მეფემ, შეაგროვა ჯარი, გაილაშქრა განჯას და მიადგა მის ციხეს, რომლის გარშემო გადასწვა მიდამოები და მრავალი ხალხი დაატყვევა. ამის გამო განჯის ხანმა აღუთქვა (ერეკლეს) განჯის ციხეში დამწყვდეული ჩვენი ტყვეების დაბრუნება, ამასთან ხარკის გადახდაც იკისრა; ამ დროს შენ წარგზავნილი იყავი განჯას ამ ციხიდან ჩვენი ტყვეების გასანთავისუფლებლად. მეფის ბრძანება შენ პირნათლად შეასრულე: მოიარე იქ ყველა სახლი (ოჯახი) და დუქანი, სადაც კი გეგულებოდა გადაძალული ტყვეები და გამოიყვანე ციხიდან 700 ქრისტიანი ტყვე ოჯახები. როდესაც შამა ჩვენი მიიცვალა და მისი ნეშტი მცხეთაში უნდა გადაესვენათ, სადაც ამ დროს შავი ჭირი მძვინვარებდა, შენ უშიშრად, უიშვიათესი თავგანწირულებით, დათანხმდი ნეშთის გაცილებაზე და იქ — მცხეთაში — დარჩი 40 დღის განმავლობაში. შენ შეუდექი ჩვენს სამსახურს იმ დროს, როდესაც ჩვენ დროებით დავიქირავეთ 6 ათასი დიდესტნელი ჯარი; ჩვენ მათ შევპირდით (ქირას) საჩუქრად სპილენძს, მაგრამ იმ დროს, შავი ჭირის გამო, ჩვენი სპილენძის ქარხნები არ მოქმედობდნენ, ხოლო ბერძენი მექარხნეები კი ამ მიზეზით ზუთი დღით დაშლილიყვნენ; შენ, როგორც ბერძნული ენის კარგმა მცოდნემ, მოახერხე მათთან წასვლა და ჩამოყვანა, მალე აამუშავებინე სპილენძის ქარხნებიც. თბილისის დარბევის ქამს გადაიწვა აგრეთვე, სტამბაც, მაგრამ ჩვენ გვესაჭიროებოდა რა იგი, შენ შენი ლეწლითა და შრომით კვლავ აღადგინე სტამბა. ყველა ამ დამსახურებისათვის ჩვენ გიწყალობეთ შენ გლეხები სოფელ ნორიოში“<sup>14</sup>.

ბადრიძეების (კეცერაშვილების) ზოგიერთი ოჯახის გადმოსახლება ნორიოში ამ დროიდან უნდა ვიგულისხმოთ. ქრისტიანთა კეცერაშვილს დამსახურება მიუძღვის აგრეთვე თბილისის სტამბის აღდგენა-განახლების საქმეშიც.

ცნობილია, რომ 1724 წელი საბედისწერო იყო საქართველოსათ-

ვის (ქართლისათვის). ოსმალები ქართლს რომ შემოესიენ და, მეფე ვახტანგ VI მთელი ოჯახით რუსეთში გადისხვეწა, თბილისში მოწყობილი სასტამბო საქმეც მთლად მოიშალა.

ჯერ ქართლის მეფის თეიმურაზ II, შემდეგ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II დროს სტამბა უკვე დიდ საჭიროებას წარმოადგენდა.

ამ საქმის უკეთ დაყენებისათვის ერეკლე II იერუსალიმში მიუვლინებია ქრისტესია ბადრიძე (კეყერაშვილი) <sup>15</sup>.

თბილისში დაბრუნებისას ქრისტესია მღვდელს მეტეხის ეკლესიის გალავანში, როსტომ მეფის სასახლეში, სტამბა მოუწყვია, რომელშიც მრავალი წიგნი დაიბეჭდა როგორც სარწმუნოებრივი ხასიათის, ისე საერო შინაარსისა. ამავე სტამბაში ასოთამწყობად ქრისტესიას თავისი შვილი დავითი გაუწესებია.

1793 წელს მეფე ერეკლეს ქრისტესიასთვის სტამბის გამგებლობა დაუვალებია. ამის საპასუხოდ ქრისტესიას თავის ხარჯზე მრავალი წიგნი დაუბეჭდავს:

„მხედრულით დაუჯდომელი“ — 700 ცალი, „კიტაიას სიბრძნე“ — გაიოზ ნაცვლიშვილის თარგმანი 700 ცალი, ლოცვანი — 1.000 ცალი, სახარება — 1.000 ცალი, მარხვანი — 1.000 ცალი. „ესე ყოველნი ზემოხსენებულნი წიგნი დამიბეჭდავს, — წერს ქ. ბადრიძე, — ხარჯითა ჩემითა, აღსამალლებლად და განსაძლიერებლად უფლისა ჩემისა მეფისა ირაკლისა, და საოწნად ცოდვილისა სულისა ჩემისა, რომელიც მოკმედობს მხილველთაგან შენდობისა“ <sup>16</sup>.

1795 წლის 12 სექტემბერს თბილისში შემოქრილ ალა-მაჰმადხანს სტამბაც დაუნგრევია, მისი ნაწილები კი განჯაში გადაუგზავნია.

ირანელების თბილისიდან განდევნის შემდეგ სტამბის აღდგენა ისევ ქრისტესია ბადრიძეს მიანდევს (1796 წელი). როგორც იქნა, 1798 წელს მან სტამბა ააწყო და პირველყოვლისა დაბეჭდა გლოვა ერეკლე მეორისა და ქება გიორგი XIII ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით.

ასეთია მოკლედ თბილისის სტამბის თავგადასავალი, რომელთანაც XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მის დამღვეამდე უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართველი მესტამბე-მწიგნობარის ქრისტესია ბადრიძის (კეყერაშვილის) მოღვაწეობა.

სოფელ ნორიოს სამხრეთ-დასავლეთით დღემდე შეუსწავლელი მრავალი ძეგლი მოიპოვება. ასეთია, მაგალითად, უძველესი ნასახლარები „არწივის წყალზე“, იქვე ნაქალაქარი, ძეგლები „ფაშატრიხევის“ გაყოლებათზე; ფრიად საყურადღებოა უძველესი ხანის დღემდე

მუესწავლელი ძეგლები (ნანგრევების სახით) მოიპოვება ნორი-ხევის მარცხენა ნაპირზე; სხვათა შორის, ყურადღების ღირსია, აგრეთვე, საკმაოდ მოზრდილი თავკვეთილი ყოლიანული ტიპის ბორცვი, რომელიც, ჩვენი აზრით, ძველი ტიპის კოლექტიურ სამაროვანს წარმოადგებს. სოფ. ნორიოს, როგორც თბილისის მისადგომებიდან ერთ-ერთ საიმედო გამაგრებულ პუნქტს, როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე ბევრი რამ გადახდენია შემოსეული მტრებისაგან, ომის მრავალ ქარიშხალს გადაუვლია მის თავზე და არაფერი გასაკვირი არ იქნება, რომ ამ სოფლის ციხის გადაღმა მხარეზე, სამშობლოსათვის თავდადებული მეომრებისათვის აქ თავის დროზე მოეწყოს კოლექტიური სამაროვანი.

## თანამედროვე ნორიო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნორიოს ცხოვრებაში დიდი და საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა. აქ დაარსდა, განვითარდა და განმტკიცდა კოლმეურნეობები.

სოფ. ნორიოში 4 კოლმეურნეობა არსებობდა, მაგრამ 1950 წლიდან ისინი გაერთიანდნენ ლენინის სახელობის ერთ კოლმეურნეობაში, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. თუ ადრე, გაერთიანებამდე, სოფელ ნორიოს ოთხივე კოლმეურნეობას მხოლოდ 555 ჰექტარი მიწა ჰქონდა, დღეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შესძლო აეთვისებინა 1.400 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, 1951 წელს მან უკვე 1203 ჰექტარზე მიიღო 13,6 ცენტნერი ხორბალი ჰექტარიდან, ნაცვლად 6 ცენტნერისა, რასაც ადრე 1 დესეტინიდან ლებულობდნენ. მემინდვრეობის გარდა, ნორიოს კოლმეურნეობა მისდევს აგრეთვე მესაქონლეობას, მევენახეობასა და მებაღეობა-მეხილეობას.

1906 — 1913 წლებში ნაცრითა და ფილოქსერით გაპარტახებული ვენახების ნაცვლად, დღეს გაშენდა ახალი საკოლმეურნეო ვენახბალები ისეთ ადგილებსა და მინდვრებზე, სადაც ადრე წარმოდგენაც არ შეიძლებოდა, რომ იქ ვაზი გაიხარებდა. ორკლასიანი საეკლესიო სკოლის ნაცვლად გაიხსნა ახალი სკოლები (დაწყებითი, საშუალო, მუშა-აბალგაზრდობის საღამოს სკოლა); მოეწყო სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ნორიოს მაზლობლად, ძველთაგანვე განთქმულ აშკავეთისა და მათ მეზობლად მდიბარე „კალამაძეების“ წყაროებიდან 7 კილომეტრის მანძილზე (1922 — 23 წწ.) გამოყვანილ იქნა სოფელში წყალ-

სადენი, რომლითაც სარგებლობს სოფლის მოსახლეობა<sup>17</sup>, შუა სოფელში მოეწყო ძრავის წისქვილი, რომელიც აკმაყოფილებს ამ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას, გაიხსნა სააეადმყოფო სტაციონარით, მოქმედებს უნივერსალური და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრობები. დიდ-ლილოდან, ნორიოსა და მარტყოფამდე გაყვანილია რადიო სატრანსლაციო ქსელი. საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის გზები და ქუჩები, გაკეთდა თბილისისაკენ მიმავალი გზა, რომელზედაც მოძრაობს ავტოსარეისო ტრანსპორტი. ამ თხუთმეტი წლის წინათ ნორიოში დაიწყო მოქმედება ნავთის წარმოებამ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საკოლმეურნეო მეფრინველეობის (ქათმის და ინდაურის) მოშენება-განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო. საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის ქონებრივი ბაზა და განმტკიცდა მისი დოვლათიანობა.

ასეთია თანამედროვე ნორიო.

## მარტყოფი

თბილისიდან 25 კილომეტრის მანძილზე ნორიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით „მგლის უნახავი“-ს მინდვრის გასწვრივ (2,5 კმ-ზე) იაღნოს ქედის სამხრეთით დახრილ ფერდობის ძირში მდებარეობს სახელგანთქმული სოფელი მარტყოფი, რომელსაც ორი საკმაოდ მოზრდილი ხევი — ტევალის ხევი და ალიხევი — ჩამოუდის. სოფელი გარშემორტყმულია ბაღ-ვენახებით. ზღვის დონიდან იგი 600 — 650 მეტრის სიმაღლეზეა და ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს წარმოადგენს თბილისის საგუბერნიო სააგარაკო რეზერვებიდან<sup>18</sup>.

მარტყოფის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე მიდამოები უშუალოდ ეკვრის საქართველოს შუა ზონისათვის დამახასიათებელ მთიან ფოთლოვან ტყეებს. ამ ტყეების გავლენით სოფელ მარტყოფში მცირდება ჰაერის ტემპერატურის რყევადობა, განსაკუთრებით ზაფხულის თვეების მანძილზე აქ საუცხოო ჰაერია. ამის გამო, თბილისის მოსახლეობა მარტყოფს ძველთაგანვე საზაფხულო აგარაკად იყენებდა. ამჟამად მარტყოფის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მას, როგორც თბილისის მიდამოების უახლოეს აგარაკს, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მარტყოფს, რომელსაც წინათ აკრიანი<sup>19</sup> ერქვა, დიდი ისტორიული წარსული აქვს.

XVII საუკუნიდან მარტყოფს „მეინიკა დროშა სასპასსპეტოსა-

ნი“ და იგი იყო მიჩნეული მთავარ ადგილად „მემარცხენე ბრძოლი-სა“... სწორედ ამიტომ აქ ხშირად ჩამოდირიონენ ცნობილი და სახელ-განთქმული საქართველოს მხედართმთავრები, სარდლები, ამირ-სპასალარები.

სოფლის ზედა უბანში, ერთ ფართო მოედანზე, დღესაც ამარ-თულია ძველი მუხა, რომელსაც „ერეკლეს მუხას“ ეძახიან. ამ მუ-ხის ძირში უყვარდა თურმე დასვენება ქართლ-კახეთის მეფე ერეკ-ლე II. აქ, ამ სოფელში და მის მიმდებარეებზე, არა ერთხელ გადაწყ-ვეტილა „ბედი ქართლისა“. სოფლის ხეობებში, ქალებსა და მიმდ-ვრებზე გმირმა ქართველმა ხალხმა — მათ შორის მარტყოფ-ნო-რიელებმა, ბევრჯერ აგემეს მტერს „მწარე დღენია“. აქი კიდევ ამი-ტომ ემუქრებოდა მარტყოფს და ნორიოს საქართველოს ყველა მტერი — განსაკუთრებით კი ირანელი ხანები და შაჰები, ლეკები და ოსმალები.

შაჰ-აბასის შემოსევის დროს მარტყოფი და ნორიო მტერმა ძლი-ერ დაარბია; დახოცილ იქნა დიდძალი ხალხი; მრავალი ქალი და ბავშვი გამოეთხოვა წუთისოფელს, ხოლო ვინც გადარჩა, ტყვედ ჩა-უვარდა ველურ მტერს. მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრ-დობის, დიდი ნაწილი შაჰმა სპარსეთში ფერეიდანსა და მაზანდა-რანში გადაასახლა, ზოგი განჯის სახანოში, შექსა და შუშაში გაჰყიდა, ნაწილი კი ლეკებს ჩაუვარდათ ხელში. ფერეიდანში დღე-საც შერჩენილია ქართული სახელები იმ სოფლებისა, რომლებიდა-ნაც მოტაცებული იყვნენ ქართველები (ზემო და ქვემო მარტყოფი, ნინოწმინდა და სხვა სოფლები) <sup>20</sup>.

ერთ მარტყოფელზე, რომელიც ბავშვობიდანვე იქნა გატაცებული, სოფლიდან და უცხოეთში გაყიდეს, შემდეგი ცნობა მოიპოვება:

„... ხოლო შეითქვენ მეფე ირაკლი და შუშის ხანი იბრაიმ და წელსა 1778, ქ. კ. ს.: უფე: ადიღეს განჯა და დაიპყრეს შაჰმად ხან განჯისა სახლეულითურთ, რომელიც წარიყვანა იბრეიმ ხანმა შუ-შისამან ტყვედ. და დაადგინეს ორთავე გამგენი თვისნი, რომელიცა მეფემან ირაკლიმ დაადგინა ენდონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან-ბეგი, ხოლო იბრეიმ ხანმან დაადგინა ვეზირი თავისი აზრათ ყულიბეგ მარტყოფელი (ხაზი ჩვენია, — ი. ა.), რომელიც იპოებოდა ტყვეობითა მცირე აღზრდილი სახლსა იბრეიმ ხანისასა, და ესენი მართვიდნენ განჯას ურთიერთსა კითხვითა და ხარკსაცა, ჰყოფდნენ საშუალ (ოდ)“ <sup>21</sup>.

ამგვარად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, აზრათ ყული-ბეგი ჯერ კიდევ ბავშვობაში მარტყოფიდან ყოფილა მოტაცებული და შუშის სახანოში გაყიდული, სადაც ბავშვი შუშის ხანს უყიდა, გაუზრდია



და გაუმუსლიმანებია. ეს ფაქტი რაღაცა ბედნიერი გამოჩნაკლისია ტყვეთა ტაციობის ფონზე; მაგრამ რაოდენ მრავალი გოგო-ბიჭი, ანგვარადვე მოტაცებული, სამუდამოდ მოძორდა თავის მშობლიურ მიწაწყალს და გამოესალმა წუთისოფელს.

იმ შეგბნელ დროსა და გარემოებაში ასეთი მოვლენები იშვიათი არ იყო.

სოფ. მარტყოფის „აპარანის“ მინდორი<sup>22</sup> XVII საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარი დიდი და დაუვიწყარი ბრძოლის ადგილია. აქ 1623 წელს დიდი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის წისამძლოლობით მოხდა ყიზილბაშების გაწყვეტა<sup>23</sup>.

## კახეთის 1812 წლის ამბოხება და მარტყოფელები

ცარიზმის ზოგიერთი მექრთამე მოხელეებისა და მათთან ერთად ქართველ მემამულე თავად-აზნაურების მხრივ მშრომელი გლეხობის მიმართ თავხედობისა და ძარცვის შედეგად კახეთში 1812 წლის დამდეგიდან გლეხობის დიდმა ამბოხებამ იფეთქა, რომელიც არა მარტო კახეთის, არამედ ფშავ-ხევსურეთის, ერწო-თიანეთის და გარე-კახეთის გლეხობასაც მოედო.

ამბოხების დასაწყისში მარტყოფელებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს და ამის შედეგად „შიში მოელოდა ქალაქს (იგულისხმება თბილისი, — ი. ა.) სოფ. მარტყოფიდან. მდ. იორიდან მოყოლებული მარტყოფამდე მემამბოხეებმა ყველაფერი ხელთ იგდეს და ქალაქს ემუქრებოდნენ. პორტინაგინმა (რუსეთის ჯარის გენერალმა, კახეთის ამბოხების ერთ-ერთმა „დამწყნარებელმა“, — ი. ა.) მარტყოფს გააგზავნა ხერსონის პოლკის ბატალიონი ოთხი ზარბაზნით პოლკოვნიკ ტიხანოვსკის უფროსობით, თვითონ კი თბილისის გამაგრებას შეუდგა. საიდუმლო ადგილებში ყარაულები ჩააყენა და ზარბაზნები ბატარეებზე დაალაგა.

მარტყოფელებმა მოჰკლეს სოფელში ჩაყენებული ურიადნიკი იარკოვი და ორი ყაზახი. მარტყოფის პოსტის ხუთი ყაზახი შეიბრალებს და სიცოცხლე აჩუქეს, ესაა მხოლოდ, რომ რაც რამ ებადათ, წაართვეს და გაძარცულნი ტიხანოვსკის გაუგზავნეს“.<sup>24</sup>

გაცეცხლებულმა პოლკოვნიკმა ტიხანოვსკიმ ჯარს თავი მოუყარა და მარტყოფისაკენ გაემგზავრა. მემამბოხეებმა „მათკენ მიმავალი პოლკ. ტიხანოვსკის ჯარი რომ დაინახეს, ხაშმის გზას დაადგინეს და იარის ხეობისა იქ წავიდნენ. თვითონ მარტყოფელები, რაკი სიკითხის არას მოელოდნენ მათზე ამხედრებულ ჯარისაგან, საჩქაროდ აიბარგნენ და დედაბუდიანად შეეხიზნენ მთიან და ბუნებით მაგარ ხეობას.“

შუა-გულ თებერვალში მთავი ასვლა-დიდად სასიამოვნო არ იქნებოდა მარტყოფელ წვრილ-ფეხობისათვის, მაგრამ რა გაეწყობოდა, სადაც არა სჯობს, გაცლა უმჯობესია“<sup>25</sup>.

19 თებერვალს ხაშმის მეამბოხენი დამარცხდნენ. რუსეთის ჯარში მყოფი ზოგიერთი ქართველის დახმარებით მარტყოფელებს ეპატრიათ აჯანყებაში მონაწილეობა და საშუალება მიეცათ დაბრუნებოდნენ სოფელს.

## მარტყოფი XIX-ს და XX-ს პირველ ოცეულში

სოფ. მარტყოფი, ნორიო, საცხენისი და ახალსოფელი თებერვლის რევოლუციამდე ადმინისტრაციულად თბილისის მაზრის სართიქალის საბოქაულოში შედიოდნენ“<sup>26</sup>.

სოფლებს მართავდნენ მამასახლისები და „სუდიები“, რომლებსაც „ირჩევდა“ სოფლის ყრილობა, ხოლო ამტკიცებდა, სართიქალის ბოქაულის წარდგენით, მაზრის უფროსი.

ამ სოფლების გლეხობა ძირითადად მემინდვრეობას მისდევდა, მაგრამ დაქუცმაყებული ცალკე მეურნეობები თავს ვერ აბამდნენ ხენა-თესვას. მიწების საუყეთესო და დიდი ნაწილი კერძო მესაკუთრე-მემამულეების, სოფლის კულაკობის, ვაჭარ-მეევანშეების, თბილისიდან ჩასული მოიჯარადრეების ხელში იყო. ამ სოფლებს მშრომელი გლეხობის უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა როგორც მიწის ფართობის, ისე რქიანი და მეწველი საქონლის უქონლობის გამო; გარდა ამისა, მაშინ მარტყოფსა და ნორიოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მიწის დამუშავება ხდებოდა უმთავრესად პრიმიტიულ ფორმებში (ხის გუთანის, ფარცხის). ზაფხულობით გვალვიანი ურწყავი მძიმე ნიადაგიანი მიწის ნაკვეთების სახნავად საჭირო ხდებოდა შვიდი, რვა, ზოგჯერ ცხრა უღელი ხარკ-მეჩის შებმა. სათემო, საკმაოდ ძალა გამოღეულ მიწებს, ათეული წლების განმავლობაში სასუქი არ ხდებოდა და ამიტომ ძლიერ დაბალ მოსავალს იძლეოდა. საშუალოდ, და ისიც კარგმოსავლიანობის წელიწადში, თითო დღიურიდან (0,5 დესეტინა) იღებდნენ არა უმეტესი 9 — 12 ფუთისა (3 — 4 კოდი). ამიტომ იყო, რომ მარტყოფისა და ნორიოს საშუალო და ღარიბი გლეხობა, თიბვა და კალოობა რომ მოთავდებოდა, ლუკმაპურის საშოვნელად მიაშურებდა ხოლმე ქალაქს — „ფურგონებზე“ სამუშაოდ, დღიურ სამუშაოებზე „ლემენცებში“ (ასე ეძახდნენ გერმანელთა კოლონიებს), ყარაიაში, კახეთში — საუფლისწულო მამულებში და მემამულე-ვაჭრების ვენახ-ბაღებში სამუშაოდ, ან მეურმეებად ღვინის მზიდვად ურმებზე მუხრანში



(აბ 0161 — 6011) ფეხაღვრე რიგისადათა ფეხა თაგანდრე რიგ თაყინჯირაჲსა ლანდარბაჲსა

(ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულებში დღიურ სამუშაოებზე), გლდან-ში — თბილისელი ვაქრების დიდ ბოსტნებსა და ხილის ბაღებში სამუშაოდ, საიდანაც ქ. თბილისში ეზიდებოდნენ „ტრაქებით“ და „პოვოსკებით“ ბოსტნეულსა და ხილულს; განჯაში კერძო ვენახებში დღიურ სამუშაოებზე, გუმბრში რკინიგზის ლიანდაგზე, მიწის სამუშაოზე და მარილის სარეწავებზე და სხვაგან: ვინც საღ მოასწრებდა.

მართალია, მარტყოფელებსა და ნორიელებს კარმიდამოების მახლობლად პატარ-პატარა ვენახ-ბოსტნები ჰქონდათ გაშენებული, საიდანაც ცოტაოდენ ღვინოს წურავდნენ ოჯახში სახმარად, მაგრამ XIX საუკუნის დამლევისათვის (1886 — 1900 წწ.) ევროპული ქვეყნებიდან შემოტანილმა ვაზის ავადმყოფობამ — კრაქმა და ნაცარმა ისე დააზიანა ვენახები, რომ მათი მოსავალი საგრძობლად შემცირდა, ხოლო XX საუკუნის დამდეგს კი (1906 — 1913 წწ.) ვაზის საშინელმა სენმა — ფილოქერამ მთლიანად გაანადგურა ამ მხარის (ნორიელების, მარტყოფელების, ახალსოფლელების) ვენახები და ისედაც გაქირვებული ხალხის ქონებრივი მდგომარეობა მთლად დასცა.

ჩამორჩებოდა აგრეთვე სახალხო განათლების საქმეც. თითო 2-კლასიანი (საეკლესიო) სკოლა სოფელ ნორიოსა და მარტყოფში, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე არ წარმოებდა, რასაკვირველია, ვერ უზრუნველყოფდა სოფლებიდან გაუსვლელად დიდი სოფლების მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას. მაგრამ ღარიბ და საშუალო გლეხს მაშინ იმის შესაძლებლობა არ გააჩნდა, რომ მას თავისი შვილები აღსაზრდელად ქალაქში გაეგზავნა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც სოფლები ფაქტიურად გაუკაცურდა (40 წლის ასაკამდე ყველა მამაკაცის ჯარში გაწვევის გამო) და ამის შემდეგ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს მარტყოფისა და ნორიოს სოფლის მეურნეობა ძირფესვიანად მოიშალა და გაპარტახდა. ისედაც ჩამორჩენილი ტექნიკა გაცვდა და დაიმტვრა; მის შესაცვლელად არსად არაფერი არ იშოვებოდა. დიდად შემცირდა ნათესების ფართობი და შინაური მუშა და მეწველი პირუტყვის რიცხვი. ცხენი სოფელში იშვიათადლა მოიპოვებოდა და ისიც თუ ყავდა კულაკ ან ვაქარს (მედუქნეს). გლეხობას საოჯახო მოწყობილობის უქონლობა, სისტემატური შიმშილობა, სიტეტელე და სასოფლო-სამეურნეო იარაღების უქონლობა მძიმე ლოდად დააწვა. ხალხი დიდ სიღარიბესა და სიღატაკეს განიცდიდა.

ნორიოსა და მარტყოფის მცხოვრებლებს ასეთ ვითარებაში მოუსწრო საბჭოთა ხელისუფლებამ.

## მარტყოფი საბჭოთა პერიოდში

1921 წლის 25 თებერვლიდან სოფ. მარტყოფის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადასცა მიწა მშრომელ გლეხობას სამუდამო და უსასყიდლო სარგებლობაში, რითაც განხორციელდა მისი საუკუნოებრივი ოცნება. საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ დღიდანვე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყოველმხრივი დახმარება გაუწია გლეხობას მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის. ნაციონალიზებულ იქნა მიწა. რითაც მშრომელ გლეხობას ფართო შესაძლებლობა მიეცა ესარგებლა სახნავ-სათესით, საბალახე-სათიბებითა და სხვა საჭირო სახმარი მიწებით. მარტყოფში, ქვედაუბანში, ალიხევის ნაპირზე 1921 წლიდან დაარსდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი სახელოსნო, რომელიც იმ პერიოდში დიდ დახმარებას უწევდა სოფლის მოსახლეობას.

მალე გაიხსნა შეიღწეული, საფეიქრო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო კურსები, სადაც სოფლის ახალგაზრდობა სწავლობდა. წვრილი გლეხური დაქსაქსული მეურნეობები 1930 წლიდან კოლმეურნეობებში გაერთიანდა და შეუდგა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწყობასა და განმტკიცებას სასოფლო-სამეურნეო რთული მანქანა-იარაღების ფართო გამოყენების საშუალებით. მალე სოფ. მარტყოფში დაარსდა და მუშაობა გაშალა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, რომელიც უზრუნველყოფილია ტექნიკის უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, იარაღ-მასალებით. იგი დიდ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო სოფელს. 1949 — 50 წწ. მარტყოფში ჩატარდა კოლმეურნეობათა გაერთიანება (გამსხვილება). ამ დიდი ღონისძიების შედეგად ჩამოყალიბდა ორი მძლავრი კოლმეურნეობა — ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის, რომლებიც მეშინდღერეობის გარდა ფართოდ მისდევდნენ აგრეთვე მეცხოველეობასა და მათ შორის ტრადიციულ მეცხვარეობას; ახლახან მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა საკოლმეურნეო მეცხვარეობის ფერმებისათვის სოფ. საცხენისის მიდამოებში მოაწყო ცხვრის მექანიზებული პარსვის დანადგარი.

კოლმეურნეობის განმტკიცებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვის საქმეც.

უკვე 20 წელზე მეტია მარტყოფში მოქმედებს საავადმყოფო სტაციონარით, პოლიკლინიკა, რიგი საბავშვო, საყოფაცხოვრებო და

სავაჭრო დაწესებულებანი, აგრეთვე ფოსტა, ტელეფონი. აქვთ ბიბლიოთეკა, სამკითხველოები, კულტურის სახლი, კინოდანადგარი, სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კონცერტები და სხვა კულტურული გასართობები და სანახაობანი; შესამჩნევად გაუმჯობესდა გზების კეთილმოწყობის საქმე, შექანიზებულია სოფლის ტრანსპორტი. უწინდებური ტრანსპორტის პრიმიტიული ფორმები (ურემი, „ტაჩკა“, „პოვოსკა“) დღეს ძირითადად ავტომობილმა შეცვალა. მარტყოფსა და თბილისს შორის დადიან სარეისო ავტობუსები, საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის კულტურული დონე, გაუმჯობესდა მისი ქონებრივი მდგომარეობა და დოვლათიანობა.

თანამედროვე მარტყოფი ერთ-ერთი მოწინავე სოფელთაგანი გახდა თბილისის საგარეუბნო რაიონში.

## თბილისის საგარეუბნო რაიონში მარტყოფში

სოფლის ზედა ნაწილში — ბეჟანიშვილის უბანში, ცნობილი ისტორიული კაკლის ხე დგას. ასაკით იგი ძალიან დიდია — რამდენიმე ასეული წლისა. ამ ხეს არა აქვს ტანი (შტამბი); სამიტოტი უშუალოდ ფესვებიდანაა ამოსული და ფართოდ გაშლილია; ერთი ტოტაგანი სამჯერ ეყრება ნიადაგს და ისევე აღის მალლა (უკანასკნელი ცნობით ამ კაკლის ხის ერთი ტოტაგანი მომპალა და მისი პატრონი იძულებული გამხდარა მოეხერხა იგი). ამ ხის ძირში 1800 წლის 6 ნოემბერს დაისვენა რუსეთის არტილერიის სარდალმა გენერალ გულიაკოვმა, რომელიც ქართველ ლაშქართან ერთად (იოანე და ბაგრატ ბატონიშვილების სარდლობით) მიემგზავრებოდა ხუნძახიდან (დაღესტანი) დიდი ლაშქრით კახეთში შემოსეულ ომარ-ხანის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ომარ-ხანის ჯარი 1800 წლის 7 ნოემბერს სოფ. კაკაბეთის მახლობლად, ნიახურასთან, ძლიერ დამარცხდა, ხოლო თვით ომარი სასიკვდილოდ დაჭრილი ძლივს გადაარჩა ტყვეობას.

## ძველი და ახალი სამგორი

მარტყოფის მინდვრის ბოლოში, გზატკეცილის გაყოლებაზე, მის ორივე მხარეზე, ლოჭინის გადაღმა, ვაზიანის მიდამოებიდან იწყება სამგორის ველი. ეს სახელწოდება ველმა მიიღო თავისი ტერიტორიული მდებარეობის გამო — სამ გორას შუა 27.

ამ მიდამოს შესახებ ვახუშტის გეოგრაფიაში შემდეგი ცნობა მოიპოვება:

„არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა,

ვითარცა საგურამო. ჰავითა მშვენი. ხოლო საცხენისის და ლოკინის სამხრით არს სამგორის ველი და ჩადივარი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათის-ქალამდე და გარეჯის მთამდე“ (ვახუშტი, აღწერა...95).

სამგორის ველი უძველესი დროიდან მკიდროდ ყოფილა დასახლებული. როგორც ამ უკანასკნელ დროს სამი გორიდან ერთ-ერთის ე. წ. „კონხას გორის“ არქეოლოგიური გათხრებიდან გამოირკვა, აქ ბინადრობდა ხალხი ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე ათასეულში<sup>28</sup>.

გორაკი წარმოადგენს სამარხ ყორღანს. არქეოლოგიური გათხრების დროს უზარმაზარი ხელოვნური მიწაყრილის ქვეშ აღმოჩნდა მეორე, უკვე რიყის ქვით ნაგები ყორღანი, რომლის სიმაღლე 5,5 მეტრს, დიამეტრი კი 23 მეტრს უდრიდა. ნაგებობა შემოფარგლული ყოფილა ხის დიდი მორებით, ალბათ მისი წესიერი კონუსისებური ფორმის დასაცავად. ასეთი ქვის გუმბათის ქვეშ დატოვებულია თავისუფალი სივრცე — საკუთრივ სამარხი კამერა, სადაც აღმოჩნდა ოთხწახნაგოვანი შუბისპირი, სპილენძის ბრტყელი შუბისპირი ან სატევრისპირი, ქვის გახეხილი იარაღი და შავად მოჭიქული კერამიკული ქურჭლის ნატეხები.<sup>29</sup>

აქვე აღმოჩენილ იქნა კარგად შენახული მუხის დიდი მორებისაგან აგებული სწორკუთხა შენობა — სამარხი. საყურადღებოა ამ შენობის ერთი კუთხე, რომლის ძელები დაკავშირებულია ნაშთით ოსტატურად ამოჭრილი ბუდეებით. „ეს სრულიად უნიკალური, ოთხი ათასი წლის სიძველის შენობა უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო ტექნიკის ისტორიისათვის“<sup>30</sup>.

ამავე გორაკის ანუ ყორღანის სამხრეთით (7 კმ. მანძილზე) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაგნო ძველ სამაროვანს — მრავალი ქვაყუთით, რომლებშიც მოკრუნჩხული და ზურგზე მდებარე ჩონჩხები აღმოჩნდა.

თანჩაყოლილი ნივთების მიხედვით (ცვლის ქინძისთავეები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ყვავილის ფორჩის რკინის ქინძისთავეები ოქროში ჩასმული მარჯნის თავეებით) ეს სამარხები ჩვ. წელთაღრიცხვის III — IV საუკუნით დათარიღდა.

დღემდე აღმოჩენილი განათხარი ძეგლები უკვე საკმაოდ ნათელყოფენ ამ მიდამოებში ქართველთა მკიდრო მოსახლეობის მაღალ კულტურულ დონეს, როგორც ჩვ. წელთაღრიცხვამდელ პერიოდში, ისე III და IV საუკუნეებშიც.

მშვენიერი სანახაობა იყო სამგორის ველი უწინ, ადრე გაზაფხულზე; თოვლიანი ზამთარმოხდილი დედამიწა მრავალი ბალახოვანი მცენარითა და ყვავილით მოირთვებოდა, ლამაზად გამოიყურებოდა ველის მცენარეული საფარი, მაგრამ გავიდოდა თუ არა გაზაფხული და ზაფხულის მზის ცხელი სხივები გაათბობდნენ დედამიწას, ამ ველის მცენარეულობა უწყლობით ჰქნებოდა და ფერს კარგავდა. რჩებოდა მხოლოდ ეკლები და ისინიც საცოდავად, ყვითლად გამოიყურებოდნენ.

სამგორის ველის ტიპური ნიადაგები, ლოჭინისა და ვაზიანის მინდვრების ჩათვლით, თბილისამდე აღწევენ; ისინი ნახევარი რკალით გარსარტყიან ქალაქის ტერიტორიას, მთა „მანათას“, კუკიის ყოფილი ტბების მიმართულებით და მოპყევბიან მდ. მტკვარამდე.

სამგორის ველს, მართალია, უხვი ნაყოფის მომცემი ნიადაგი ახასიათებს, მაგრამ უწყლობის გამო იგი გამოუყენებელი რჩებოდა.

სართქალის ერთ-ერთმა კოლმეურნეობამ ამ რამდენიმე წლის წინათ საცდელად გაიყვანა სარწყავი არხი ველის ერთ-ერთ ნაკვეთზე და 1 ჰექტარიდან 20 ცენტნერი ხორბალი აიღო.

ეს ველი ძველთაგანვე ცნობილი იყო როგორც მაღალმოსავლიანი ადგილი, რომელსაც ხელოვნური რწყვა ესაჭიროებოდა, მით უფრო, რომ წვიმა ამ მიდამოში იშვიათი სტუმარია და წყაროებიც არსად მოიპოვება. ამ გატიტვლებულ-უტყეო, უდაბნოს ტიპის ველზე, ზამთარში ძლიერ ცივი ქარი იცის, მასთან ყინვაც  $16^{\circ}$  —  $18^{\circ}$  აღწევს.

ცდები სამგორის ველზე სარწყავი არხის გამოსაყვანად ძველთაგანვე იყო ჩატარებული. თამარ მეფის ბრძანებით XII საუკ. არხი („თამარ მეფისაგან აგებული რუ“) იქნა გაყვანილი კარგა დიდ მანძილზე (20 კილომეტრზე). ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით მოსახლეობაც გახშირდა, მოსავალიც კარგი მოდიოდა, მაგრამ ქართველი ხალხის შრომით აგებული ეს უდიდესი სამელიორაციო საშუალება, ისევე, როგორც ამ მიდამოს საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფლები, საქართველოში შემოსეულმა ბერქამ (1265 წ.), შემდეგ არა ნაკლებ მტარვალმა თემურ-ლენგმა, მთლად დაანგრევს და მოსპეს.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II სცადა არხის აღდგენა. ჩვენ დრომდე მოაღწია ამ არხის ნაშთმა, რომელიც ერთ დროს მცირე ტერიტორიას რწყავდა და ისიც XIX საუკუნის დამდეგიდან ჩამარხული აღმოჩნდა ქვიშისა და სილის ქვეშ (სოფ. მულანლოს მახლობლად შლადი გორაკის ჩამოზვავების გამო).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც რუსეთის ცარიზმმა უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში და



მთელი მისი ნაწილების ინკორპორაცია მოახდინა, კავკასიის მეფის-  
ნაცვალმა თავადმა მ. ს. ვორონცოვმა გასული საუკუნის 40-იან  
წლებში, შეადგინა პროექტი სამგორის სარწყავი არხის გამოსაყვა-  
ნად და დააწყებინა არხის მშენებლობა ძველი ტრასის ნაწილობრი-  
ვი გამოყენებით.

პროექტის ერთი ნაწილი 1848 წელს იქნა განხორციელებულ  
და ორი წლის განმავლობაში 2000-ჰექტარიანი მიწის ფართობი  
სართიქალის მიდამოებში იერიდან ირწყვებოდა, მაგრამ 1850 წელს  
არხის სათავის ჩამოზვავების გამო იგი წყობილებიდან გამოვიდა და  
ეს მცირე საირიგაციო საშუალებაც მოესპო გლეხობას.

იმ ადგილზე დარჩა მხოლოდ ბურჯების ნანგრევები, რომლებიც  
თბილისიდან თელავისაკენ მიმავალი გზატკეცილიდან მოჩანდა; სილ-  
ნალისაკენ მიმავალი გზატკეცილის ძველი ტრასის მახლობლად კი  
ამართული იყო ქვიდან გამოკვეთილი სვეტი, რომელსაც გაკეთებული  
ქმონდა შემდეგი წარწერა (რუსულ ენაზე): „დაწყებული მეფე ერეკ-  
ლე II-ის დროს, დამთავრებულ იქნა მისი იმპერატორობის უდი-  
დესობის კავკასიის ნაცვლის გრაფი ვორონცოვის დროს. მშენებელი  
იშენერი თავადი მუხრანსკი“.

მრავალი ათეული წლის მანძილზე სამგორის არხის აღდგენის  
საკითხმა მიიძინა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე,  
1921 წლის შემოდგომით, გარე-კახეთის სოფლების გლეხობის თა-  
ოსნობითა და კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელ-  
მძღვანელობითა და დახმარებით სამგორის მიდამოებში მდ. ივრის  
მახლობლად მოეწყო რამდენიმე შაბათობა ივრის არხის აღსადგენად;  
ერთი ამ შაბათობათაგანი პირადად ამ სტრიქონების ავტორსაც ახ-  
სოვს.

მაგრამ სამგორის სარწყავი პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა  
მოხდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით  
ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ინჟინერმა პეტრე მამრაძემ და-  
პროექტა ივრის (საირიგაციო) სარწყავი არხი და ეს პროექტი სა-  
კავშირო მთავრობამ, საბოლოოდ, ჯერ კიდევ მეორე სამამულო ომის  
დაწყებამდე, დაამტკიცა.

ივრის სარწყავი არხის აგება გადაწყვეტილ იქნა კომპლექსუ-  
რად.

სამგორის სარწყავი სისტემა შესაძლებლობას ქმნის აყვავებულ  
ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის ნამდვილ მოსავლიან პლან-  
ტაციებად გადაიქცეს 37 ათას ჰექტარზე მეტი, ერთ დროს გაუდაბ-

ნოებულის და აუთვისებელი მიწა, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისის აკრავს.

მდინარე იორის სათავედანვე მომდინარე წყალი დაგუბდა, რისთვისაც თიანეთის რაიონის სოფელ სიონთან მოეწყო სამგორის სარწყავი სისტემის მთავარი წყალსაგუბარი (მრავალწლიანი რეგულირებით), რომელიც თავისი ტევადობით 280 მილიონ კუბ. მეტრს აღწევს, ხოლო წყლის სარკე კი 11 კვ. კილომეტრს უდრის. ამ წყალსაგუბარის სიგრძე  $\frac{1}{2}$  კილომეტრით, ხოლო სიმაღლე — 65 მეტრით განისაზღვრა.

სიონის საგუბარიდან, დაწესებული განრიგის მიხედვით, წყალი ეშვება მდ. ივრის უსკერზე სოფელ პალდოსთან, რომელიც წყალსაგუბარიდან 22 კილომეტრითაა დაშორებული; წყალს აკავებენ და უშვებენ ზემო მაგისტრალურ სარწყავ არხში (სიგრძით 42 კილომეტრი), რომლიდანაც ირწყვის მის მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთები. ზედა მაგისტრალური არხი, რომლის სათავე მდ. იორთან მდებარეობს, მიემართება დასავლეთისაკენ თბილისის მეორე მძლავრ წყალსაგუბარამდე, რომლის საერთო ტევადობა 308 მილიონ კუბ/მეტრს უდრის, ხოლო წყლის სარკე 15 კვ. კილომეტრს აღწევს.

სიონის მთავარ საგუბართან მისივე წყალვარდნილებზე მოეწყო სიონის ჰიდროელექტროსადგური; შემდეგ აქედან წყალი ვარდნილებით ეშვება არხის მიმართულებით და სოფელ საცხენისთან ამოძრავებს ჰიდროელექტროსადგურს; ამავე პრინციპით ამოძრავდა მარტყოფის, მის ქვემოთ კი თეთრი-ხევის ჰიდროელექტროსადგურები<sup>31</sup>, რომლებიც ჩართულია რესპუბლიკის ენერგეტიკულ რკალში.

სამგორის ზედა არხის მშენებლობასთან დაკავშირებით, ივრის წყლის პირველი ნაკადი საზეიმოდ გახსნილმა თბილისის „ზღვამ“ (საგუბარმა) მიიღო 1951 წლის 4 ნოემბერს.

სამგორის სარწყავი, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და მის მაღალ საფეხურზე აყვანას, გაამშენიერებს სოფლებს და ფართო საშუალებას მოგვცემს თბილისის უახლოესი მიდამოების გატყეებისა და გამწვანებისათვის. ამასთანავე დააკმაყოფილებს წყლით სამრეწველო მოთხოვნილებასაც.

## სამგორის მომავალი

წინათ უდაბნოდ ქცეული ველი მისი გამოუყენებელი მიწებით, ათვისებული იქნება სასოფლო-სამეურნეო მრავალფეროვანი ტექნიკური კულტურებით; აყვავებულ ბალ-წალკოტად და აბიბინებულ

ველად გადაიქცევა სამგორი. ამით თბილისის გარშემო შეიქმნება მტკიცე და მალალნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო ბაზა მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, მეცხოველეობის და სხვა მრავალი დარგისათვის მათი ფართო განვითარების დიდი პერსპექტივით.

თბილისის წყალსაცავის მიდამოებში საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად უკვე გამოყოფილია 858-ჰექტარიანი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია მევენახეობის ორი საბჭოთა მეურნეობა, რომელთა ბაზაზე ეწყობა ყურძნის გადასამუშავებელი ქარხანა, აგრეთვე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა.

უახლოეს წლების მანძილზე აქ აყვავდება ვენახ-ბაღები და მათი პროდუქციით (ბალით, ალუბლით, ატმით, ტყემლით, გარგარით, საუკეთესო ყურძნის ჯიშებით) უზრუნველყოფილი იქნება თბილისის მოსახლეობა, გაჩნდება ახალი დასახლებული პუნქტები, კომეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ბალ-ვენახებს ქარსაცავი ხეების რკალი გარშემოერთყმის. მეურნეობასთან მოეწყობა დეკორაციული პარკები, რომლებსაც შეამკობს ფართოდ გაშლილი საყვავილე და მარადმწვანე მცენარეები. თბილისის მოსახლეობისათვის საზაფხულო დასვენების მოსაწყობად წარმოებს „თბილისის ზღვის“ ნაპირების კეთილმოწყობა და გასართობ და დასასვენებელ ღონისძიებათა გატარება.

სამხრეთ-დასავლეთის გავაკებული ნაპირის 90-ჰექტარიან ფართობზე გაშენდება კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. ამ ტერიტორიაზე განზრახულია „მწვანე თეატრის“, საზაფხულო კინო-თეატრის, ერთდღიანი დასასვენებელი სახლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აგება, აგრეთვე საცეკვაო, საბავშვო მოედნებისა და მრავალფეროვანი ატრაქციონების მოწყობა. ამ პარკის ხეივნებს გაალამაზებენ შადრევნები, პავილიონები, ქანდაკებანი.

პარკის გაგრძელებაზე გამოიყოფა ადგილები, რომლებიც გადაეცემა წარმოება-დაწესებულებებს და სასწავლებლებს საწყლოსნო სპორტული ბაზების მოსაწყობად.

დასავლეთის ნაპირის 30-ჰექტარიან ფართობზე გაიშლება ფიზკულტურული პარკი. აქ ეწყობა სანაოსნო და საცურაო სადგური დასასვენებელი ვერანდებით, საცურაო აუზებით, იახტკლუბით, პარკში დაგეგმილია აგრეთვე აიგოს სპორტული ღია დარბაზი და ფეხბურთის მოედნები, მსუბუქი ტანვარჯიშის სექტორები, სასროლო ტირი, ფრენბურთისა და კალათბურთის სათამაშო მოედნები.

კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სამხრეთ-და-

სავლეთით მოეწყო ბაზა, რომელიც ზამთრის პერიოდში მოემსახურება საციგაო სპორტის მოყვარულებს.

მაღალ ზეგანზე მოეწყო პიონერთა ბანაკი საგანგებო პლიაჟით 500 ბავშვისათვის.

ზღვის ნაპირის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აშენდება გამაჯანსაღებელი დაწესებულებები და აგარაკების შენობები. საგანგებო ტივებზე აიგება რესტორანი-სასადილო.

თბილისელებს საშუალება მიეცემათ ამ ნაპირებზე მოსვლისა ხუთი მიმართულებიდან — გაასფალტებული გზატკეცილებით, რომლებიც შეუერთდებიან წყალსაგუბარის („თბილისის ზღვის“) გარშემო გაყვანილ გზატკეცილს.

ამჟამად ივრის წყლით უკვე ირწყვის 16000 ჰექტარი მიწის ფართობი. ასეთნაირად გამოცოცხდება ჩვენი დედაქალაქის 25-კილომეტრიანი ზოლი სამგორის პირველი რიგის არხით გამოყვანილი სარწყავი წყლის საშუალებით.

მეექვსე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს ზემო-სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. იგი მორწყავს 41 ათას ჰა მიწის ფართობებს საგარეჯოს, ქაქრეთისა და თბილისის გარეუბნის რაიონებში, აგრეთვე საგრძნობლად გააუმჯობესებს მორწყვის საქმეს ზოგიერთ მეზობელ რაიონებშიც <sup>32</sup>.

## გარე კახეთის შუაგულში

სამგორის ველის ბოლოს გზატკეცილი სოფელ სართიქალაზე (საგარეჯოს რაიონი) გადის.

სოფელი სართიქალა მდ. ივრის ამდლებულ მარჯვენა ნაპირზე, ქ. თბილისისა და საგარეჯოს შუა (თბილისიდან 38 კილომეტრზე), რკინიგზის სადგურ იორის მახლობლად მდებარეობს.

ივრის სარწყავი არხის დამთავრებასთან დაკავშირებით ამ სოფელში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან გადმოსახლდნენ კოლმეურნეები და მოკლე ხანში სართიქალის მოსახლეობამ 7000 კაცს გადააჭარბა. სოფლის გაფართოებასთან დაკავშირებით საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა. კოლმეურნეთათვის 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი აშენდა. თვითეული სახლი ორი საცხოვრებელი ოთახისაგან შედგება თავისი სამზარეულო-სასადილოთი და პატარა აივნით; სახლს გარს არტყია საკარმიდამო ადგილი.

სოფლის გარშემო დარგულია ქარსაყავი ხეები, რომლებმაც უნდა დაიკვან სოფელი ჩრდილო-დასავლეთის მხრით მონაბერი ქარებისაგან, საგანგებოდ გაყვანილია წყალსადენი, რომელიც მოსახლეობას უზრუნველყოფს საუკეთესო სასმელი წყლით. აიგო ახალი შენობები, სადაც მოთავსდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, კლუბი 800-ადგილიანი დარბაზით, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა, ამბულატორია, პოლიკლინიკა.

ძველი სართიქალის ნაცვლად, ამჟამად ახალი საკოლმეურნეო სოფელი გაშენდა; სოფლის მშრომელი გლეხობა გაერთიანებულია XIX პარტყრილობის სახელობის მრავალდარგობრივ კოლმეურნეობაში, რომელიც ყველაზე მსხვილი და მალალმოსავლიანი კოლმეურნეობაა საგარეჯოს რაიონში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1953 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ორ მილიონ ორასი ათას მანეთს გადააჭარბა,

ზოლო სახნავ-სათესმა ფართობმა სამგორის ველზე 5000 ჰექტარს მიაღწია. ამ კოლმეურნეობის ძირითად დარგს მემინდვრეობა წარმოადგენს, რომელსაც 3200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს; მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობაში სხვა დარგებიც არ არის უგულვებელყოფილი; აქ თანაბრად შეფარდებული და განვითარებულია აგრეთვე ტრადიციული მევენახეობა, მეხილეობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მეფუტკრეობა.

კოლმეურნეების ენერგიული შრომის შედეგად კულტურულად დაყენებულმა და მექანიზებულმა მეცხოველეობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი. პირუტყვის მოვლა-შენახვისა და მოშენების გაუმჯობესებისათვის აიგო და კულტურულად მოეწყო საგანგებო სადგომები, აშენდა ახალი სასილოსე ორმოები, დაითესა სასილოსე კულტურები, ითესება ერთწლიანი და მრავალწლიანი საუკეთესო ბალახები. დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობას სართიქალის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები.

სამგორის სარწყავი არხის გაყვანის შემდეგ სართიქალის კოლმეურნეებმა პურეულის მოსავლის აღებაში დიდი მიღწევები მოიპოვეს.

სართიქალის გაღმა, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობენ საკმაოდ მოზრდილი სოფლები: პატარძეული, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, საგარეჯო, მანავი, ზოლო სართიქალიდან ჩრდილოეთით კი მევენახეობა-მელდინეობით ძველთაგანვე ცნობილი სოფელი ხაშში; მართალია, ამ სოფლების უმეტესობა ჩვენ მიერ აღსაწერი გზის მიმართულებიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს, მაგრამ, ვინაიდან ისინი გარე-კახეთის მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენენ, ამიტომ საკაროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ მათზეც.

პატარძეული, დანარჩენ სოფლებთან შედარებით, ახალი სოფელია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ვახუშტის გეოგრაფიაში იგი არ იხსენიება. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან იგი გარშემორტყმულია ფოთლოვანი ტყით შემკული მაღალი მთებით, რომელთა მწვერვალებსა და ხეობებში დღესაც ამართულია ძველებური ციხე-კოშკების ნანგრევები.

გადმოცემით, სოფელ პატარძეულისათვის XVIII საუკუნის დამდეგს საფუძველი ჩაუყარია ბაზალეთიდან გადმოსახლებულ რაქდენიმე ოჯახს; მათ ეკუთვინიან ყუმიტაშვილები, მამუჩაშვილები (რომელთა გვარი კამერალურ აღწერის დროს XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გადაუმახინჯებიან და მუჩიაშვილებად ჩაუწერიათ), პარუნაშვილები, ლაფერაშვილები (ძველად თევდორაშვილების გვარს ატარებდნენ), უტიაშვილები და უნაფქოშვილები.

ამ 5 — 6 ოჯახს დაუარსებია სოფელი, რომელიც დროთა ვითარებაში გაფართოვდა და განვითარდა.

ერეკლე მეფე პატარძელის ციხეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სწორედ ამიტომ 1758 წელს, როდესაც ლეკებს ივრის ხეობის სოფლები აუწიოკებიათ, აუოხრებიათ და პატარძელის ციხეც დაუნგრევიათ, ერეკლეს სწრაფად აღუდგენია იგი.

ამ ფაქტის შესახებ არსებობს შემდეგი გადმოცემა:

„პაატა თემურაშვილი (XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი გმირი — გლეხი, რომელმაც შეადგინა თავის ტოლამხანაგებიდან ძლიერი რაზმი, მხარში ამოუდგა ერეკლე II გარეშე მტრებთან ბრძოლებში და არ მოსცილებია მას ბოლომდე. იგი დაიღუპა 1795 წლის 11 სექტემბერს, სამას არაგველთან ერთად თბილისის დაცვის დროს შემოსეულ ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლებში). მეფე ერეკლესთან რომ გამოცხადებულა, არ გასულა ბევრა ხანი მეფე გამზადებულა პატარძელში გასამგზავრებლად. სწორედ იმ დროს პატარძელი ახლად დაენგრიათ ლეკებს და ერეკლეს განუზრახავს მისი დათვალიერება და აღდგენა. მეფეს წამოჰყოლია პაატა თავისი მეომრებით. პატარძელის მახლობლად მათ დაუნახავთ შებმული ურმები და იქვე რამდენიმე ლეკი. მეფეს ამალით აუჩქარებიათ სოფლისაკენ, უნახავთ, რომ ლეკები შემორტყმიან ციხეს და შიგ დამწყვდეული ხალხისაგან რაღაცას დაეინებით მოითხოვენ; მეფე და პაატა დაეცნენ ლეკებს, ისე იფრინეს, როგორც შვლებიო; ზოგი დახოცეს, ზოგი კი დაატყვევეს და ქალაქში წაიყვანეს. ამის შემდეგ ხალხი ციხიდან გამოსულა და უამბნიათ ერეკლესათვის, თუ როგორ აუოხრებიათ ლეკებს სოფლები, და რა დღე დაადგებოდათ, რომ შემთხვევით მეფე არ მობრძანებულყო.“

მეფემ ხალხის ნაამბობი მოისმინა და ბრძანება გასცა, რომ პატარძელში ციხე აეშენებინათ<sup>1</sup>.

პატარძელის აღმოსავლეთით, გზატკეცილის მახლობლად, მდებარეობს საკმაოდ ცნობილი სოფელი ნინოწმინდა; იგი ციე-გომბორის ქედის სამხრეთით დახრილ ფერდობზეა, მდ. ივრის ხეობაში მარჯვენა კიდიო.

ამ სოფლის დაარსებას უკავშირებენ ვახტანგ გორგასალის მეფობის იმ პერიოდს, როდესაც მან ამ ადგილზე ქრისტიანული ტაძარი ააგებინა და საეპისკოპოსო კათედრა დააარსა (V საუკუნის ბოლო); ამ ეპისკოპოსის ებარა სამწყსო სოფ. ხაშვიდან სიღნაღამდე.

„ამ ხეზე არს ნინოწმინდა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე

მწყემსი ამ ქვეყნისა ქიზიყამდე“<sup>2</sup>. ტაძარი მრავალჯერ გადაკეთებულია.

ნინოწმინდის კათედრალი (აგებული V — VI სს. მიჯნაზე) წარმოადგენს გართულებულ ტეტრაკონქს. არქიტექტორმა აქ მოგვცა ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა; მან შექმნა დიდი სივრცის შობაქვდილება, რომელიც მოცემულია ტაძრის შინაგან ფორმებში. ტაძრის გარეგანი სახის დამუშავების პრობლემა, როგორც ჩანს, არქიტექტორს ნაკლებად აინტერესებდა. მართლაც, ეს ძველი აშენებულია იმ ხანაში, როდესაც ფასადის საკითხი გუმბათოვან არქიტექტურაში გამომუშავებული არ იყო... ნინოწმინდის ტაძარში შენობის გარეგანი სახე ნაკარნახევია თვით ტაძრის შინაგანი ფორმით. იგი მთლიანად ექვემდებარება ამ ნორმებს და მათ განმეორებას წარმოადგენს<sup>3</sup>.

ნინოწმინდის ტაძრის გალავანი ძველად გარშემორტყმული ყოფილა ციხის ქონგურებიანი კედლებითა და კოშკებით.

ერთ-ერთ ამ კოშკთაგანზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ზარბაზანი მდგარა, რომელიც კოშკს ცხრაასიან წლებამდე შერჩენია.

1750 წელს ეპისკოპოს მიქელს განუზრახავს ტაძრის გადაკეთება და შელამაზება; ამიტომ ტაძრისათვის მალალი გუმბათი დაუშენებია; რომ დაამთავრა ო.ურმე სამუშაო ერეკლე მეფისათვის მოუხსენებია ეს ამბავი. ერეკლე მისულა და რომ დაუნახავს ეპისკოპოსის ნაღვაწი, გულსწყრომით მიუმართავს მიქელისათვის:

„მართალია, ტაძარი გაგიშენებია, მაგრამ მოგიკლავსო“... მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ ძლიერი მიწისძვრის დროს ამ ათასწლოვანმა კედელმა ვეღარ შეიმავრა მეტი ტვირთი და როგორც კედელი, ისე გუმბათი, საშინელი გრიალით ძირს წამოვიდა.

გუმბათი მხოლოდ 1847 წელს იქნა აღდგენილი.

სოფ. ნინოწმინდის მოსახლეობის ერთი ნაწილი შინამრეწველობასა და ხელოსნობას მისდევდა. სოფელი ძველთაგანვე განთქმული იყო მეჭურჭლეობით, ამისათვის მას სათანადო ნედლეული ჰქარბად მოეპოვებოდა საჭურჭლე თიხის სახით.

სოფ. ნინოწმინდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთისაკენ დახრილი მთის ფერდობზე, ულამაზესი ფოთლოვანი ტყით გარემოცულ მიდამოებში მდებარეობს სოფელი საგარეჯო. „საგარეჯო წარმოადგენს, ერთ მთლიან ბალ-ვენახს, გადაქიმულს 8 ოთხკუთხიან ვერსზე“<sup>4</sup>.

ეურნალი „მოგზაურის“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში მოთავსებული ეს სამართლიანი დახასიათება დღესაც მოძველებული არ არის; პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც საკოლმეურნეო წყობილებამ ფეხი მტკიცედ მოიკიდა, საგარეჯოს



მევენახეობა-მეხილეობა და საერთოდ სოფლის მეურნეობა, უახლესი ტექნიკით შეიარაღებული, განვითარების გზას დაადგა.

დღეს საგარეჯო საქართველოს დანარჩენ მოწინავე რაიონებს არ ჩამორჩება. საგარეჯო რაიონული ცენტრია, რომელიც აერთიანებს 15 სასოფლო საბჭოს 20 მსხვილი კოლმეურნეობით, ქ. თბილისთან დაკავშირებულია რკინიგზითა და გზატკეცილით. აქ თავმოყრილია რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოები, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობათა დაწესებულებანი.

საგარეჯოში თვალწარმტაცი ბუნებრივი პირობებია; ახლო მდებარე ტყეში მრავლად მოიპოვება ნაყოფის მომცემი ხეხილი: პანტა, მაქალო, ზღმარტლი, კვრინჩხი, ტყემალი, შვინდი, კუნელი, თხილი და სხვა; აქაური ტყეები მდიდარია ცაცხვის, მუხის, წიფლის საუკუნოვანი ხეებითა და ფასდაუდებელი თაფლოვანი მცენარეებით, რომლებიც მეფუტკრეობის განვითარებას საუკეთესო პირობებს უქმნიან.

საგარეჯოს რაიონის სოფლებში უძველესი დროიდან განვითარდა და დამკვიდრდა მეფუტკრეობა; საგარეჯოს თაფლმა სახელი გაითქვა საბჭოთა ბაზარზე.

რამდენიმე წლის წინათ საგარეჯოში დაარსდა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეფრინველეობის სახელმწიფო-საინკუბატორო სადგური, რომელმაც რესპუბლიკაში პირველმა გადაქარბებით შეასრულა წიწილების გამოყვანისა და მათი კოლმეურნეებსა და მეფრინველეობის მიმღევიარ მუშა-მოსამსახურეებზე განაწილების გეგმა. საკმარისია ითქვას, რომ ამ სადგურიდან გაყვანილ იქნა 700 000 ფრთა წიწილა. გასულ წელს კი ამ სადგურმა გამოაჩეკინა 119 ათასი ფრთა წიწილა. წიწილების გამოჩეკა წარმოებს მთელი წლის განმავლობაში.

საგარეჯო ერთ-ერთ წამყვან რაიონად ითვლება განზოგადობულ მესაქონლეობაში (მეძროხეობა, მეცხვარეობა).

ამჟამად წარმოებს რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა, აშენდა ადმინისტრაციული სახლი, კინოთეატრი და, რაც მთავარია, თვალხევეზე გაკეთდა რკინაბეტონის ხიდი, ხოლო მდინარის ნაპირები გამაგრდა საგანგებო ჯებირებით.

მოსახლეობა საესეებით უზრუნველყოფილია საუკეთესო სასმელი წყლით „სათავის“ წყაროებიდან. სოფელს ჩამოუდის საკმაოდ დიდი ხევი („თვალთ ხევი“), რომელიც მთლად არიყებულია. ჩუკულებრივ იგი უწყლოა, მაგრამ, წყალდიდობის დროს, ისეთი აზვირთება

იცის, რომ საშიში ხდება არამართო მის ნაპირებზე მდებარე ვენახ-ბაღებისათვის, არამედ თვით მოსახლეობისათვისაც.

საგარეჯოს რაიონში 1953 წელს დაარსდა რძის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სოფ. მუხროვანში ცხენთა საშენის ყოფილი მეურნეობის ბაზაზე მოეწყო; ამ საბჭოთა მეურნეობას, რომელიც დღითიდღე ვითარდება ჰყავს მეწველი ძროხები, ღორების და ცხენების ჯოგი.

საგარეჯო უწინ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისის მაზრის ერთ-ერთ უდიდეს სოფლად და გარე-კახეთის კულტურის ცენტრად ითვლებოდა.

უკვე 1874 წელს აქ საძირკველი ჩაეყარა „დაბალ საერო სასწავლებელს“, რომლის პირველ მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე ცხვედაძე. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე წელიწადი, რომ საგარეჯოში დაარსდა „იერის დამზღვევი ამხანაგობა“, რომლის წესდება შეიმუშავა საინიციატივო ჯგუფმა, ხოლო მის დამტკიცებაში უმაღლეს მთავრობის მიერ (ე. ი. გუბერნატორთან 1877 წ.) ქმედითი დახმარება აღმოუჩინა საზოგადოებას დიდმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ.

XX საუკუნის დამდეგისათვის (1901 წელი) ამ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 1.000 კომლს აღემატა 4.200 მცხოვრებით, რომელთა დიდი უმრავლესობა ქართველებისაგან შედგებოდა; მოსახლეობა ძირითადად მებაღეობა-მევენახეობას და მემინდვრეობას მისდევდა, მოსახლეობის მცირე ნაწილი კი ვაჭრობდა. მაშინ საგარეჯოში 10 საწვრილმანო, 9 ღვინის სავაჭრო, 1 სადურგლო, 7 სამკედლო, 2-3 პრიმიტიული აგურ-კრამიტის ქარხანა, თიხის ჭურჭლის სახელოსნო და ბორბლის მრავალი პატარა-პატარა წისქვილი მოქმედებდა.

გარდა ამისა სოფლის ცენტრში მოწყობილი იყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სოფლის სამკურნალო, ორკლასიანი სასწავლებელი 100 მოსწავლეთა და 2 მასწავლებლით, კერძო სამრეწველო სასწავლებელი 40 მოსწავლით. ორკლასიანი სკოლის გარდა, დანარჩენი სკოლები გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი ნიკო ავალიშვილი იყო და დროგამოშვებით, სამსახურიდან თავისუფალ დროს, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი, სოფ. საგარეჯოში ჩამოდიოდა.

1875 წელს ადგილობრივი სცენისმოყვარე ენთუზიასტების თაოსნობით, რომელთა შორის განსაკუთრებით განირჩეოდნენ ნიკო ავალიშვილი. ერეშია გულისაშვილი (მოზარდი), დ. მაისურაძე, ბლ.

ცხვედაძე, ლევან ჩერქეზიშვილი (თოხლიაურიდან), სამსონ მკედ-  
ლიშვილი, დიმიტრი ჯაბადარი, კოლა ქურდოვანიძე, ალექსანდრე  
ბურთიკაშვილი, ალექსანდრე ბედიანაშვილი და სხვები, სოფ. საგა-  
რეჯოში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა ძლიერი დასი<sup>5</sup>.

ამ დასმა 1876 წელს სოფ. საგარეჯოში გამართა პირველი წარ-  
მოდგენა, დადგა გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი“ და შემდეგ  
1878 წელს ალექსანდრე ცხვედაძის (საგარეჯოს სკოლის მასწავ-  
ლებლის — დასის ერთგული წევრის) პიესა „ბედნიერი ქორწილი“  
ლევან ჩერქეზიშვილის რეჟისორობით. ამავე წლის ბოლოს დასმა  
ვაიმეორა გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი“.

შალე ამ დასის მოღვაწეობა საგარეჯოს ფარგლებს გასცილდა  
და საქველმოქმედო ხასიათი მიიღო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ „დასელებს“ მაშინ უბინაობაც  
ქი არ აფერხებდა. წარმოდგენები იმართებოდა ბაზრის ეზოში, კა-  
ლოებზე, სახლის აივნებზე, სახლების ბანებზე, მეკომურთა ეზოებ-  
ში; ამ წარმოდგენებს მრავალი მაყურებელი ესწრებოდა<sup>6</sup>.

ფასიანი წარმოდგენებიდან შეგროვილი თანხებით და შეწირუ-  
ლებით 1910 წელს საგარეჯოში წამოწყებულ იქნა თეატრის შე-  
ნობის აგება, რომელიც ბევრი ვაი-ვაგლახისა და გაქირვების შემ-  
დეგ, 1914 წელს დაშთავრდა და მასში წარმოდგენებიც დაიწყო.

1923 წელს საგარეჯოს თეატრმა გამართა ცნობილი ქართველი  
დრამატურგის შალვა დადიანის მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი  
დიდი საზეიმო საღამო<sup>7</sup>.

1924 წლიდან დაიწყო საგარეჯოს თეატრის მოღვაწეობის ახა-  
ლი პერიოდი, როდესაც დრამატული დასის გარდა აქ, თეატრთან,  
დაარსდა „ახალგაზრდობის საოპერო დასი“ მსახიობი ვანო კობახი-  
ძის ხელმძღვანელობით. დასმა დიდი სიყვარული დაიმსახურა და  
მაყურებელიც მიიზიდა.

1925 წელს ძველი დასი დაიშალა და ახალმა დასმა განაგრძო  
ნაყოფიერი მუშაობა.

## საგარეჯოში პირველი კოლპერატივის ჩამოყალიბების ცდა

ამავე პერიოდში ნიკო ავალიშვილის, ალექსანდრე ცხვედაძის,  
ანდრია კაპანაძისა და დიმიტრი ციციშვილის თაოსნობით 1878 წელს  
სოფ. საგარეჯოში პირველად დაარსდა „საგარეჯოს მომხმარებელთა  
საზოგადოება“, რომლის წესდება შეიმუშავეს ნ. ავალიშვილმა და  
ალექსანდრე ცხვედაძემ, ხოლო დაამტკიცა თბილისის გუბერნა-  
ტორმა.

ამ საზოგადოებამ იმავე წელს გახსნა სავაჭრო ღუბანი (კოოპერატივი), რომელიც მალე საქონლითაც მომარაგდა.

სავაჭროს ნოქრად მიიწვიეს იმ ხანად ფერეიდანიდან (ირანიდან) საქართველოში ახლად ჩამოსული ალექსანდრე ონიკაშვილი, რომელმაც სანიმუშოდ დააყენა ამ კოოპერატიული სავაჭროს საქმიანობა.

ალ. ონიკაშვილი გულმოდგინედ მუშაობდა და თავისი სიფაქიზით და პატიოსნებით საუკეთესო სახელი დაიმსახურა საზოგადოებაში.

მაგრამ 1881 წელს, კასპიის ზღვის გადაღმა მხარეზე (Закспийская область) რუსეთის ცარიზმის მიერ წამოწყებულ გეოკრატებს სამხედრო ექსპედიციასთან დაკავშირებით, ნიკო ავალიშვილი, როგორც სამხედრო უწყების მოხელე, ხოლო კაპანაძე, როგორც მოხალისე, ჯარში გაიწვიეს და ფრონტზე გაამგზავრეს. მათი წასვლა საგარეჯოდან კოოპერატივისათვის საბედისწერო შეიქნა. მთელი მისი მართვა-გამგეობა დარჩა ციციშვილის ანაბარად, რომელმაც ამ საქმეს მარტომ თავი ვერ გაართვა. ამას კიდევ ისიც დაემატა, რომ ერთ მშვენიერ ღამეს, კოოპერატივს უცნობი პირები დაეცნენ, გატეხეს საღარო და მისი მთელი ნავაჭრი და სხვა თანხებიც გაიტაცეს. ამან ისე ძლიერ იმოქმედა ნოქარ ონიკაშვილზე, რომ მან, ნერვიულ ნიადაგზე, თავი მოიკლა; უპატრონოდ და უსახსროდ დარჩენილი კოოპერატივი მაშინვე დაიკეტა. ასე შეწყდა საგარეჯოს პირველი კოოპერატივის ხანმოკლე საქმიანობა<sup>8</sup>.

საგარეჯოს წინათ „თვალი“ ერქვა. აქედანვე დარქმევია მასზე ჩამომდინარე ხეცს „თვალთხევი“. ხალხი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამ სოფელს თვალ-საგარეჯოს ეძახდა.

„ეს სახელი, მგონია, მშვენიერის მღებარეობის გამო დარქმევია ამ სოფელს. შემდეგ როდესაც ათ-ცამეტთა წმინდათა მამათაგანი დავით მოსულა, ამ სოფლის უდაბურ მინდვრის ბოლოს, დაბინავებულა და გაუკეთებია მღვიმე და გამოქვაბული, დავითისათვის უწოდებიათ გ ა რ ე თ-მ ჯ დ ო მ ე ლ ი და მისი სახელი დ ა ვ ი თ გ ა რ ე თ ჯ დ ე ლ ი. ასე წარმომდგარა, თვით უდაბნოსაც აქნობამდინ ასე უწოდებენ. რასაკვირველია, სოფელ თვალსაც აქედან მიუღია სახელი ს ა გ ა რ ე ჯ ო და თანდათან, დროთა განმავლობაში, სახელწოდება „თვალი“ აღარავის უხმარია, მეორე სახელწოდება შემოსულა ხმარებაში“<sup>9</sup>.

დავით გარეჯის უდაბნოში საჰონასტრო ლავრის ისტორიიდან ირკვევა, რომ ეს მონასტერი, განსაზღვრულ პერიოდებში უძლიერეს ფეოდალს წარმოადგენდა, რომელიც ფლობდა გარე და შიდა

კახეთის მრავალ სოფელს ყმებით, სახნავ-სათესი მიწები და ვენახ-ბაღებით; ერთ-ერთი ასეთი სოფელთაგანი, რომელიც დავით გარეჯის მონასტერს შეუძენია, საგარეჯოც ყოფილა.

1712 წელს დავით გარეჯის სამონასტრო ლავრის ერთმა საკმაოდ გამოცდილმა მმართველმა ონოფრე მაქუტაძემ საგარეჯოს აუშენა პეტრე-პავლეს ეკლესია (სოფელში მაღალ გორაკზეა), რომლის კედლები მოუპირკეთებია ქართული ჩუქურთმით.

შუასოფელ საგარეჯოში „თვალ-ხევის“ ნაპირზე, ერთ დროს სოფლის დიდი ციხე-სიმაგრე მდგარა კომეებით გარშემორტყმული, რომლის შესახებ XIX საუკუნის პრესაში მოიპოვება ფრიად საყურადღებო აღწერა:

„ციხე მდებარეობდა შუაგულ საგარეჯოში ბაზრის თავში. სამხრეთით მას ქონია ერთი კარები, აღმოსავლეთითაც მეორე კარები, ჩრდილოეთით სადაც კედელია. საში მხრივ ციხე ისევ მთელია. ამ თხუთმეტ წელიწადში დაუქცევია თვალ-ხევის; ამ ციხეს ყველა კუთხეებში ბურჯები ქონდა აგრეთვე კარებებთან, სადაც საყარაულო და სათოფეები ჰქონია, ყოველ მტრის შემოსევის დროს მთლად თვალის მცხოვრები და ახლო-მახლო სოფლებიც ამ ციხეში მოიყრიდნენ თურმე თავს; შიგ გალავანის ამაღლებულ ადგილებზე დგებოდა ჯარი და სათოფურებიდან იგერიებდა მტერს“<sup>10</sup>.

ამავე ავტორის ცნობით ციხის ერთ-ერთ კედელზე წარწერა ყოფილა, რომლის მიხედვით შესაძლებელია დათარიღდეს ციხის აგებაო („ეს ციხე მე... შიგმყოფთ შენდობა მიზოძეთ, სარგის ქრეკ „უშე“). ციხის აგება ალბათ იმავე წლებში მომხდარა, როდესაც პეტრე-პავლეს ეკლესია აიგო, — ასკენის წერილის ავტორი, ე. ი. XVIII საუკუნის დამდეგს<sup>11</sup>.

საგარეჯოს მახლობლად სოფ. მანავი მდებარეობს. იგი გაშენებულია ტიტველა კლდიანი მთის ფერდობზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრამდე.

მანავის მაღალი მთის მწვერვალზე ამართულია ერთი ძველებური ციხე ქონგურებიანი კომეებით (ამჟამად ნანგრევებილია დარჩენილი), რომლის აგების დროს უკავშირებენ საქართველოს გაერთიანების ხანას, ე. ი. XI ს. დამდეგსა და XII ს. დამდეგს. „შეურყვეველ ბურჯად და დარაჯად ედგა მანავის ციხე წამებულ საქართველოს, ბევრჯელ შეხეთქებია მის კლდესა და კალთებს მტრის მკერდი, მრავლად დაღვრილა ქართველების სისხლიც მანავის ციხე უბე-კალთაშიო“<sup>12</sup>.

ვახუშტი შემდეგნაირად აგვიწერს ამ მიდამოს:

„ხოლო დამპალას აღმოსავლეთ-ჩრდილოთ არს, ჰერეთის მთის

ძირს, მ ა ნ ა ვ ი, სადაცა აღაშენა სასახლე იმან-ყულიხან. მთის ძირად არს ძველადი ციხე და აწ შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავას ქვევით ქიზიყამდე, ცივ გომბორის მთის კალთათა, არიან შენობა-დაბნევი ვენახ-ხილიანნი. უძეს იორისკენ სახვენელნი ველნი და უკან მთა ტყიანი, უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი. აღგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათვის შემპირნობს, თვინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინათგან არა აქვს მთას მდინარე, გერარით რწყვენ ველთა. არამედ არს აქა პირუტყყეთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენა, ძროხა, კამბეჩი, ვირი“<sup>13</sup>.

თანამედროვე მანავეში, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასთან დაკავშირებით, ფართო მასშტაბი მიიღო განზოგადებულმა მეცხოველეობამ. კოლმეურნეობის გარდა, აქ მოეწყო საკმაოდ მძლავრი მევენახეობა-მელენეობის საბჭოთა მეურნეობა.

სოფელ სართიქალის ჩრდილოეთით სოფელი ხ ა შ მ ი მდებარეობს. იგი გაშლილია მდ. იორის ხეობის მარცხენა ნაპირზე და თბილისიდან 38 კილომეტრითაა დაშორებული. ეს სოფელი პროფ. მელიქსეთბეგის აზრით, ძველად „მდებარეობდა აწინდელი ხაშმის ჩრდილოეთით, სწორედ იმ ალაგას, სადაც ე. წ. ლაფიანთ წყალი ერთვის იორს. აქ ამჟამად არაეინ ცხოვრობს. ოდესღაც არსებული სოფლის შესახებ კი მოწმობენ ჩვენამდე მოღწეული მრავალშენობათა ნანგრევები და მათ შორის ძველი (XVII ს.) ეკლესია, რომელსაც ხაშმელები „ყოვლადწმინდას“ უწოდებენ, ხოლო საისტორიო საბუთებში ჩვეულებრივ დედათა მონასტრად იხსენიება“.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სანამდე ძველი ხაშმი დაარსდებოდა, ყოფილა სოფელი კაწარეთი, რომელიც სოფ. სამებამ შეცვალა. მაგრამ შემდეგ მტრების შემოსევის შედეგად გამოდენილმა სამებლებმა დააარსეს ხაშმი (ე. ი. ძველი ხაშმი), ხოლო იქიდან კი ეხლანდელ ხაშმში გადმოსახლდნენ<sup>14</sup>.

ხაშმი ცნობილია საუკეთესო ვენახებით და ღვინოებით. თბილისის სირაჯებმა ტყუილად კი არ დაარქვეს მას „პატარა კახეთი“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაწყარების შემდეგ აქაურმა გლეხობამ, გაერთიანებულმა მძლავრ კოლმეურნეობებში, დიდი წარმატება მოიპოვა მევენახეობა-მელენეობისა და მემინდვრეობის (ხორბლეული კულტურების) დარგში.

ექვსი-შვიდი კილომეტრის მანძილზე, სოფ. ხაშმის ჩრდილოდასავლეთით, მდებარეობს უძველესი ტაძარი კაწარეთი ანუ „სამება“. ვახუშტის აღწერით სამებას ეკუთვნოდა გარეჯის უდაბნოც.

კაწარეთ-სამების ტაძარი უგუმბათოა. XIX საუკუნის პირველ

ნახევარში იგი კიდევ დაურღვეველი ყოფილა, ჰქონია გალავანი და მის ტერიტორიაზე მრავალ შენობათა ნანგრევები იყო. მონასტერს გაუქმებულა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1765 წელს) „რადგან ლეკებმა მოსვენება აღარ მისცეს და ბოლოს შოინელეს კიდევ სამებელთა ტახტი“<sup>15</sup>.

სახელწოდება „კაწარეთი“, როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აღარ იხსენიებოდა, რადგანაც ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამ ადგილს კაწარეთად არ იხსენიებს, არამედ სამებად, სადაც საეპისკოპოსო ტახტი იღვა „მწყემსი ამას ზეით ქვეყნის ერწომდე“. სამებელთა ტახტის ნაცვლად 1765 წლიდან დაარსებულა ორი საეპისკოპოსო— ერთი ნინოწმინდელის, მეორე— რუსთველ-მარტყოფის.

## გარეჯის უღაბნო

(გეობოტანიკური მიმოხილვა)

სოფ. სართიქალასა და იორის სამხრეთით მდებარეობს გარეჯის მთებით გარშემორტყმული უტყეო, უწყლო დავით გარეჯის უღაბნო.

იგი მდიდარია მხოლოდ მრავალსაუკუნოვან და მრავალფეროვან სახუროთმოძღვრო, სამხედრო მნიშვნელობის უძველესი ისტორიული ძეგლებით.

ამ მიღამოებს მრავალი საბჭოთა მეცნიერი იკვლევს — არქეოლოგები, ხუროთმოძღვრები, გეოლოგები. ბოტანიკოსები, ზოოლოგები.

გარეჯის უღაბნო წარმოადგენს ადამიანის წარმოშობისა და მისი ცხოვრების იმ უძველეს კერას, რომლის შესწავლით საბჭოთა მეცნიერებს საშუალება მიეცათ დაემტკიცებინათ, რომ ქვის ხანის ადამიანს საქართველოშიც უცხოვრია, და ამგვარად XIX საუკუნის უცხოური მეცნიერების უარყოფითი შეხედულება იმის შესახებ, ვითომდა „მთელ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში ქვის-ხანის ადამიანს არ უცხოვრია“, გაეჭარწყლებინათ.

საბჭოთა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანი შესაძლებელია წარმოშობილიყო იმ ადგილზე, სადაც საამისო პირობები მოიპოვებოდა და პირველ რიგში თბილი ჰავის პირობებში.

ცნობილია, რომ ადამიანი გამოეყო პირველად ცხოველთა სამყაროს მესამეულის დასასრულსა და მეოთხეულის დამდეგს, როდესაც ბუნებრივი პირობები მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს სახით მდიდრად იქნებოდა წარმოდგენილი, რაც ამ უღაბნოშიაც იქ-

ნებოდა. ეს ფაქტი იმითაც დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე აქ, ამ კუთხეში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურმა ექსპედიციამ მესამეულის დანალექებში აღმოაჩინა მაღალგანვითარებული ადამიანის მსგავსი მაიმუნების ნაშთები (მასალა დატულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის ააქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიურ გან-ბაში).

ამ ფრიად საყურადღებო კუთხეს საუკეთესოდ აღწერს ვახუშტი. იგი წერს: „არამედ იორსა და მტკვარსა შუა ასტყდების მცირემთა ხორანთიდანვე, რომელსა ეწოდების გძელტბა და გარეჯა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს: ხორაუგიდამ მწარე წყლამდე და მტკვარამდე კახეთისა, ხოლო მწარე წყალს იქით ნახევარი. აღმოსავლეთის კერძი, კახეთისა და ნახევარი, დასავლეთის კერძი, ქართლისა. ეს გარეჯის მთა მოადგების, სათის-ქალას კუხეთის მთას და მერეთ, ჩადიერის გორაებით, მიადგების ლილოს, და ლილოს მთა მიადგების ეგრეთვე კუხეთის მთას. მდებარეობს მთა ესე, ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყეო, თვინიერ ძუძუთა, და თუთუბუთა, და ეგგეთა სხვათა მრავალთა. არასდროს მდინარე და იშვიათ წყაროტბანი, არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და მწარენი, გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არჩეთა, მროწლეთა, ჯიგთა რემთა იმიერ და ამიერ. გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლებელი“. <sup>16</sup>

გარეჯის უღაბნოს შესახებ აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „... ვაცილებით უფრო მძიმე პირობები ყოფილა გარეჯის უღაბნოში, სადაც გაზაფხულზე „მდელიონი“ და სხვადასხვანაირი „მწუანილი“ უხვად იყო ხოლმე (ც-ად-თ გრ-ჯლს: საქ. სამ. 271), მაგრამ ზაფხულში ყველა მცენარეები მზისაგან „დამქნარნი და მწარენი“ იყვნენ (იქვე, 271) და ცხოვრების აღარავითარი სახსარი არ მოეძებნებოდა, ამას ზედ სრული უწყლობა ერთვოდა, მძიმე, შეიძლება ითქვას, ადამიანის მტანჯველ ტვირთად, ისე რომ წვიმის წყლის გარდა იქ სხვა არავითარი სასმელი წყალი არ მოიპოვებოდა. ზამთარი გარეჯაში ხშირად სუსხიანი იცოდა და იცის ახლაც, რაც ამ კუთხეს მართლაც ნამდვილ უღაბნოდ ხდის“ <sup>17</sup>.

ეს მხარე ერთ დროს ტყითა და მცენარეებით მდიდარი იყო. ეს ჩანს დღესდღეობით დარჩენილი ჯაგ-ეკლიანი ბუჩქნარიდან და ზოგიერთ ადგილზე — აქა-იქ შემორჩენილი ნათელი ტყეებიდან, რაც დამახასიათებელია ნახევარუღაბნოს მცენარეულობისათვის. „გარეჯის უღაბნო, სამგორის ველი, შირაქის დაბლობი და სხვა ეკუთვნიან ველების იმ ფორმაციას, რომელიც უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების გაყოლე-



ზაზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 250 — 750 მეტრ სიმაღლეზე; გამონაკლის შემთხვევაში კი 900 მეტრსაც აღწევს, როგორც ამას ადგილი აქვს გარეჯის უდაბნოში“.<sup>18</sup>

აქ მკაფიოდ არის წარმოდგენილი ბუჩქნარებიანი ქსეროფიტული მცენარეულობის ტიპები. „გარეჯის უდაბნოს ქსეროფიტებისათვის დამახასიათებელია მისი ენდემური სახეობა — *salvia garedgii* Troitzky (სალაბი, გარეჯის ტროიციკი, — ი. ა.). მის მიერ ხშირად დაფარულია საკმარისად მოზრდილი არეები, რისგანაც იქმნება ფრიად ეფექტური თარგი მისი ვარდისებური ყვავილების მეშვეობით მონაცრისფერო რუხ ფონზე. იგი განსაკუთრებით მრავლადაა გავრცელებული მთის ფერდობებზე; მეორე დამამშვენებელ ქსეროფიტული ტიპისა უეჭველად არის *Hedysarum ibericum* MB (კრიალოსანა), თავის მოწითალო დიდი თანაყვავილებით“.<sup>19</sup>

ქსეროფიტთა შორის აღსანიშნავია გლერძას 2 სახეობა — კრიალოსანა, უძრახელა, ზღარბა, სალბი. გაზაფხულით ამ მიდამოებში ლამაზ სანახაობას წარმოადგენს ბალბოვანი მცენარეები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სიმშვენიერით ქართული ზამბახი, ღვინა, მრავალნაირი ჩიტისთავა, ყაზახა; მარცვლოვანებიდან თვალს იპყრობს ვაცაწვერა მრავალნაირი, ჯანგა, ქუჩი; საკვები მცენარეებიდან კი საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი იონჯა; მოიპოვება აგრეთვე ბუჩქნარებიც: ღვია, წითელი ღვია, ეფედრას ორი სახეობა, ხორციფერა, თრიმლი, ბალამწარა, შვეჯაგა, კოწახური, დედაფუტკარა, გრაკლა.

როგორც ცნობილმა რუსმა ბოტანიკოსმა პროფ. ტროიციკიმ გამოარკვია, ასეთი ტიპის ველების შემდგომი განვითარება გაუდაბნოებისაკენ ყოფილა მიმართული და „სამწუხაროა ის, რომ ეს პროცესი საუკუნეთა და გეოლოგიურ ეპოქათა მანძილზე კი არ ხდება, — წერს პროფესორი ნ. ნ. კეცხოველი, — არამედ ფრიად დაჩქარებულია უმთავრესად იმითაც, რომ ადამიანის მოთხოვნილება ბუნებრივ საწარმოო ძალთა მიმართ გაიზარდა, ერთი მხრივ, საწვავი და საშენი მასალის მოთხოვნილება და, მეორე მხრივ, სათიბ-საძოვართა შემცირება სახნავ-ნაკვეთებად გამოყენების გამო და მათი ძლიერი ექსპლოატაცია; ამავე დროს მხედველობიდან გაშვებულ იქნა ბუნებაში წარმოებულნი ეს ფრიად არახელსაყრელი პროცესი, მას ყურადღება ან ნაკლებ მიექცა, ან უფრო სწორად, არ მიექცა“<sup>20</sup>.

სამგორის სარწყავი სისტემის მთლიანად განხორციელებისთანავე, გარეჯისა და სამგორის ტიპის ველების გაუდაბნოების პროცესი საფუძვლიანად შეიცვლება; ამ ღონისძიების საშუალებით მოხდება სამგორისა და გარეჯის მინდორ-ველების ბუნების ძირითადი გარ-

დაქმნა. უპირველეს ყოვლისა გაჩნდება წყალი, რომლის საშუალებით ნიადაგს საჭირო სინოტივე გაუჩნდება და ბუნებრივი განოყიერება მოჰყვება, მასთან ადამიანის მოთხოვნილება ბუნებრივ საწარმოო ძალთა გამოყენების საკითხში, კერძოდ კი სამგორის და თუ გინდ გარეჯის უდაბნოს ტიპის ველებში, საგრძნობლად შეიცვლება და დღევანდელი უდაბნო მოკლე ხანში გამოიცვლის თავის მცენარეულ საფარს და ნაყოფიერ მინდვრად, ტყე-წალკოტად, ბალ-ვენახად გადაიქცევა. ამასთან დაკავშირებით შეივსება აგრეთვე გარეული ცხოველების სამყაროც.

## უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობა

ფართოდ გადაჭიმული, თვალმიუწვდომელი უდაბნოს ველის ერთი ნაწილი დღეს უკვე ათვისებულია საქართველოს მეცხოველეობის ინსტიტუტის უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობის მიერ. იგი მდებარეობს სად. საგარეჯოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 35 კილომეტრის მანძილზე (სოფ. კრასნოგორკიდან კი 20 კილომეტრია) და 13 ათას ჰექტარიანი ფართობი უჭირავს.

მეურნეობაში მოწყობილია მეცხვარეობის საუკეთესო ფერმა, რომელშიაც ძირითადად წარმოებს ჯიშობრივი ცხვრის გამოყვანა; ცხვრის ახალი ე. წ. ქართული ჯიშის გამოყვანა ხდება მერინოსისა და თუშურის შეჯვარების საშუალებით.

მეცხვარეობის გარდა ამ მეურნეობაში მეთხეობის ფერმაც არის, სადაც ტარდება ცდები თხის ახალი ჯიშის გამოსაყვანად — ანგორისა და ადგილობრივი (ქართული) თხის შეჯვარების საშუალებით.

ამ საქმიანობის პარალელურად მეურნეობაში მოწოდების სიმძლავრეზე დგას მუშასაქონლის, როგორც დამხმარე გამწვევი ძალის, მოშენება ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებით.

საბჭოთა მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მესახედრეობას და ჯიშის გაუმჯობესება ამ მიმართულებით წარმოებს ადგილობრივი ჯიშის სახედრებთან ირანული ჯიშის სახედრების შეჯვარებით.

სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული მეცხენეობას, რაშიც მეურნეობამ კარგ შედეგებს მიაღწია განსაკუთრებით კი თუშური ჯიშის ცხენების ადგილობრივი ჯიშის ცხენებთან შეჯვარების საქმეში. მთავარი მიზანი ამ შეჯვარებისა ისაა, რომ გამოყვანილი იქნას უნივერსალური ჯიშის ცხენი, რომელიც ერთდროულად გამოსადეგი იქნება საჯდომად, ტვირთსაზიდად და ამავე დროს გამწვევ ძალად.

ამ მეურნეობაში უყურადღებოდ არ არის მიტოვებული მეძალ-

ლეობაც. ინტენსიური მუშაობა წარმოებს ახალი ძლიერი ძაღლის გამოსაყვანად, რომელიც სავსებით შეძლებს ნადირთან (უმთავრესად მგელთან) შებრძოლებას და მის დამარცხებას, ამავე დროს ძაღლს ექნება დიდი სისწრაფეც, რომ შეძლოს დაეწიოს და შეებრძოლოს გაქცეულ ნადირს. ამ მიზნით ხდება ადგილობრივი ნაგაზის (ცხვრის ძაღლის) რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოყვანილ ჯიშთან მწევიარ ძაღლებთან შეჯვარება.

მეფრინველეობისათვის მოწყობილია საგანგებო ფერმა, რომელშიც წარმოდგენილია მეურნეობაში გამოყვანილი ფრინველების საუკეთესო ჯიშები ქათმებისა, უმთავრესად კი ინდაურებისა; ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოყვანილია მაღალპროდუქტიული ინდაურების მრავალი ფრთა, რომელთაგან თვითეული 10 --- 12 კილოგრამ ხორცს იძლევა.

ამ ძირითადი ფერმების გარდა მეურნეობაში მთელი რიგი დამხმარე სახელოსნო არსებობს, აგებულია საცხოვრებელი სახლები მუშა-მოსამსახურეთათვის, კანტორის შენობა, ლაბორატორიები, სადაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს; მეურნეობა მისდევს აგრეთვე, ხენათესვას (პურისას, ქერისას), მებოსტნეობას, აქვს საკმაო რაოდენობით საძოვრები, სათიბები (ყორულები) და სხვა დამხმარე მეურნეობები, რომელთა პროდუქცია ხმარდება მეურნეობას. მინდვრად მუშაობა წარმოებს მანქანა-იარაღების გამოყენებით (ტრაქტორებით, კომბაინებით, სამკელი მანქანებითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით).

## გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები (VI—XIX ს ს.)

წარსულში V — VI სს. მიჯნაზე საქართველოს მმართველმა წრეებმა, ეტყობა, ერთი მხრივ, გარეჯის უდაბნოს ტერიტორიის ათვისებისა და, მეორე მხრივ, როგორც უცხოეთის სახელმწიფოსთან მოსაზღვრე ტერიტორიის გამაგრებისა და დაცვის მიზნით, მოხერხებულად გამოიყენეს იმ დროს საქართველოში ახლად შემოსული სამონასტრო ცხოვრება და ეს ადგილი საკულტო-სარწმუნოებრივი და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის დიდ ობიექტად გადააქციეს.

ალბათ სწორედ ამ მიზნით მდ. იორისა და მტკვრის აუზებს შორის წყალგამყოფ მორტიტლებულ, უდაბნოდ ქცეული მთების კალთებზე საკმაოდ ფართო მღვიმეებში ციხე-ზღუდეებით გარშემორტყმული მონასტერი მოეწყო <sup>21</sup>.

გარეჯის მღვიმე-მონასტრები დაუარსებიათ VI ს. პირველ წლებში, ე. ი. საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და სამონასტრო ცხოვრების დასაწყის ხანაში.

გადმოცემით, გარეჯის უდაბნოს პირველ მონასტერს საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთმა ცამეტ ასურელ მისიონერთაგანმა (მამათაგანმა) დავითმა, რომელსაც შემდეგში გარეჯელის სახელი ეწოდა<sup>22</sup>.

უკანასკნელი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ასურელი მამების რიცხვი 13. კი არ ყოფილა, არამედ არანაკლებ 17 კაცისა; ირკვევა ისიც, რომ ისინი ერთდროულად კი არ ჩამოსულან, არამედ ჯგუფებად ჩამოვიდნენ; დადასტურებულია ისიც, რომ ჩამოსულები ასურელები კი არ ყოფილან, არამედ ქართველები, რომლებსაც იქ, ასურეთში, სდევნიდნენ მართლმადიდებლობისათვის<sup>23</sup>. რიცხვი 13 სიმბოლური ყოფილა (ე. ი. 12 მოციქული და 1 მაცხოვარი).

ამ მისიონერების სამოღვაწეო ტერიტორიული განაწილება და აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების განლაგება ნათელყოფს იმ ამოცანას, რომელიც მისიონერების წინაშე დაუსახავთ ქართლ-კახეთის მმართველ წრეებს არა მარტო სარწმუნოებრივი და კულტურული, არამედ ეკონომიური, სამხედრო-სტრატეგიული და თავდაცვითი თვალსაზრისითაც.

საუკუნეთა მანძილზე დავით გარეჯის მრავალმთიანეთი გაფართოვდა. შეიქმნა რამდენიმე მონასტერი სხვადასხვა ტერიტორიული მიმართულებით. აღნიშნული მონასტრების არსებობა, როგორც ჩანს, იმ ხანებში მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფაქტორად გახდა.

ჯერ კიდევ დავით გარეჯელის დროს მონასტერი განშტოვდა — დო დ ო ს და შემდეგ ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს მონასტრების სახით; უფრო მოგვიანებით მეზობელ მთებზე გაჩნდა ამ მონასტრების გაგრძელებანი; დავითმა შექმნა აგრეთვე „დიდი უდაბნო“ და თვით გარეჯის მახლობლად განცალკევებული მთის ერთ-ერთ კალთაზე ააგო ჩ ი ჩ ხ ი ტ უ რ ი ს და ბ ე რ თ უ ბ ა ნ ი ს მონასტრები. ამ მონასტრების ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აშენდა აგრეთვე ცალკეული ტაძრები, მისალოცები, სატრაპეზოები, მეფე-მთავრების საცხოვრებლები, სხვადასხვა სამეურნეო სათავსო და ნაგებობა, აგრეთვე ციხის კედლები, მზვერავი კოშკები, თავდაცვითი ხასიათის სიმაგრეები, რომლებიც ამჟამად აქა-იქ ნანგრევების სახითღაა დაცული (დავით გარეჯის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსში).

ამ გამოქვამულ ლავრაში ადამიანი ცხოვრობდა თითქმის 13 საუკუნის განმავლობაში (VI საუკუნიდან — XIX საუკუნის დამლევამდე). შემდეგ იქ სიცოცხლე შეწყდა და იგი დარჩა მხოლოდ როგორც ძველი წარსულის, ქართული სამონასტრო ცხოვრებისა და თვალსაჩინო სახუროთმოძღვრო, მრავალსაუკუნოვანი ძეგლი, რომლის საფუძვლიანი შესწავლა-გამოკვლევა დაიწყო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დავით გარეჯის უდაბნო, მართალია, გარე-კახეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მაგრამ კახეთს ეკუთვნოდა. მისი დაარსება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს გაერთიანების ხანაში მოხდა (VI საუკუნეში). მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ კახეთი — საქართველოს ეს ნაწილი — „იმ პერიოდში თითქმის XII საუკუნემდე წარმოადგენდა საქართველოს უფრო გამოყოფილ ერთეულს, რომელსაც საკუთარი განვითარების ისტორია ჰქონდა; ხოლო შემდეგ, უფრო გვიან, ე. ი. XII საუკუნიდან იგი საქართველოს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა და წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურისა და ზელოვნების თვალსაზრისით“<sup>24</sup>.

მართალია, დავით გარეჯის უდაბნო კახეთს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი არა მარტო ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარეობდა, არამედ საქართველოს სამხრეთით მდებარე უცხოეთის სახელმწიფოების საზღვრების მახლობლადაც.

საქართველოს გაერთიანების ხანის დასაწყისში ამ სამონასტრო კომპლექსმა კახეთთან ერთად თურქ-სელჩუკთა ურდოების დიდი თავდასხმა-დარბევა განიცადა; ამის შედეგად ძველი სამონასტრო ქონების ნაწილი გატაცებულ იქნა. მაგრამ ამ დროისათვის გარეჯის მონასტერს ისეთი მძლავრი შეძლება ჰქონდა, რომ მას ეს დარბევა დიდად არ შეტყობია; იგი ფლობდა კახეთსა და გარე-კახეთში შეწირულ დიდ შემოსავლიან მრავალ მამულს; თელავის მახლობლად — აკურაში, აგრეთვე ნინოწმინდის, საგარეჯოს, ყვარლის მიდამოებში და სხვა სოფლების სახნავ-სათეს მინდვრებს, ვენახ-ბაღებსა და გლეხობას. მას ჰყავდა უფასო მუშახელი და სახელმწიფო გადასახადებიდან განთავისუფლებული მამულები.

გარეჯის ლავრამ მალე ისევ აღიდგინა თავისი უწინდელი ეკონომიური სიძლიერე.

XI საუკუნის ბოლოდან კი გარეჯის მრავალმთიანეთის სამონასტრო ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა — ლავრა აღორძინება-განვითარების გზას დაადგა. გამრავლდა სამონასტრო შენობების რიცხვი, რომლებიც შენდებოდა საქართველოში ერთობლივ საგრძნობლად გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისად; დაიდგა სულ ახალი ტაძრები, დიდად იმატა გარეჯის მოსახლეობამ — ბერებმა. ყურადღება მიექცა გამოქვაბულების კეთილმოწყობასა და მათ გამშვენიერება-შელამაზებას (გამოქვაბულთა შესასვლელების, კანკელების, კედლების მხატვრულად მოპირკეთებას), გაჩნდა ჩუქურთმა-ხვეულები, გვაზე საუკეთესოდ შესრულებული ფერწერა (წმინდანების ცხოვრებიდან), რომელსაც ბერები ასრულებდნენ; ამ ლო-

ნისიძეების გატარებასთან დაკავშირებით გაკეთდა გამოქვაბულ ნაგებობათა დღის შუქით გასანათებელი სარკმელები, რამაც შესამჩნევად გააუმჯობესა მთელი სამონასტრო კომპლექსი.

ამგვარად XI — XII სს. გარეჯის უდაბნოს ლავრის უმაღლესი განვითარების ხანად უნდა ჩაითვალოს, ამას მოწმობს ისეთი ნაგებობანი, როგორცაა დავით გარეჯის ეკლესია დავითისა და ლუკიანეს საფლავებით, ბერთუბანი, ნათლისმცემელი, უდაბნო, დოდოს-ჩქა, ღაღითის ლავრა, ფერისცვალების ეკლესია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში აქ გაიხსნა სამხატვრო სასწავლებელი, რომელმაც რამდენიმე საუკუნე იარსება და მრავალი კარგად დახელოვნებული და მომზადებული მხატვარი მისცა ქვეყანას.

სამონასტრო კომპლექსში დღემდე მოაღწია უძველესი ხანის წყალსადენის ნაშთებმა, რაც თავის დროზე ბერებმა გაიყვანეს. აქვე მნახველის თვალს ხვდება ქართლ-კახეთის მეფე-მთავრების საცხოვრებლები (კახეთის მეფის ალექსანდრესი XV საუკ., ქართ-კახეთის — გიორგი მეფის გამოქვაბული XVIII საუკუნის, აგრეთვე სხვებისა).

XIII ს. თემურ-ლენგმა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად დაარბია და გაძარცვა აგრეთვე დავით გარეჯის სამონასტრო ლავრა.

ამ დარბევის შედეგად ზოგიერთი მონასტერი მთლად მოისპო ან დაიხურა, „ბერთუბანი“ კი მტერმა მთლად მიწასთან გაასწორა.

თემურ-ლენგის განდევნისას დავით გარეჯის მონასტერი (XV ს.) ეკონომიურად იმდენად დაეცა, რომ სრულიად დაკარგა არსებობის უნარი. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ფეოდალებმა და მონასტრის მიწა-მამულები მიისაკუთრეს. მაგრამ შემდეგში კახეთის მეფე ალექსანდრემ (1412 — 1442 წწ.) სამონასტრო მამულებით სარგებლობა მოაწესრიგა.

დავით გარეჯაში სამონასტრო ცხოვრების ხელახალი აღდგენა მხოლოდ XVI საუკუნის დამლევს და XVII საუკუნის დამდეგს დაიწყო. მეფე-მთავრების გავლენით მსხვილი მემამულე-ფეოდალები ამ მონასტრებს სწირავდნენ სოფლებს, ბალებს, ვენახებს, სახნავ-სათეს მიწებს სარწყავი რუებით, ხორბალს, სურსათ-სანოვავებსა და ყველაფერს, რაც კი ესაჭიროებოდა მონასტერსა და მის აღსადგენ მეურნეობას<sup>25</sup>.

მონასტრის აღდგენასთან დაკავშირებით აიგო ახალი ციხე, აგრეთვე მზვერავი და საომარი კოშკები.

მზვერავი კოშკებიდან აღსანიშნავია ერთი მაღალი ოთხკუთხედი

კოშკი, რომლის ნანგრევები დღესაც მოჩანს გარდაბნის ველიდან. დავითას ლაერიდან ამ კოშკამდე. გაყვანილი ყოფილა გამოქვაბული დერეფანი შენიღბული შესასვლელით და თაღებიანი გვირაბით. ამ პრავალსართულიან კოშკს სასარდლო მალღობები ეკავა, რომლიდანაც დიდ მანძილზე, როგორც ხელის გულზე, მოჩანდა მთელი სამონასტრო კომპლექსის არემარე, აგრეთვე, მონასტრისაკენ მიმავალი გზა-ბილიკები.

ასეთივე, მხოლოდ მომრგვალო კოშკი, უფრო წინ, უდაბნოსაკენ წამოწეული, აგებული იყო ციხიტურშიც (ჩიხიტურში), იგი ამ ლაერის ფორპოსტის როლს ასრულებდა.

აშკარაა, რომ სამონასტრო ტერიტორიაზე ციხე-კოშკებს (XV--XVII სს.) სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, რადგან საქართველოს ეს მოსაზღვრე ტერიტორია მუდამ მტერთა შემოსევების შიშინაობას განიცდიდა.

ასეც მოხდა, 1615 წელს შაჰ-აბაზი საქართველოს მეორედ რომ შემოესია, იგი თავს დაესხა დავით გარეჯის ლავრას, დაიპყრო, დაარბია და გაძარცვა მისი ქონება, ხოლო ბერების დიდი ნაწილი (600 კაცამდე) დაბოცა.

ღარბეულ და ნაცარტუტად ქცეულ მონასტერში სიცოცხლე შეწყდა. სიკვდილს გადარჩენილი ზოგიერთი მსახური დიდ გაკირვებაში ჩავარდა, მაგრამ შემდეგ, 1651 წელს რუსთავის ეპისკოპოსის ზაქარიას (რომელიც იმხანად უკვე მარტყოფში იმყოფებოდა) შუამდგომლობით, როსტომ მეფემ სიგელით გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან სამონასტრო გლეხობა. მეფე თეიმურაზმა ნიეთიერი დახმარება გაუწია მონასტერს — შეწირა სახნავი მიწები, ბაღ-ვენახები სრფელ საგარეჯოში, ხაშმში და სხვაგან.

კახეთის მეფე არჩილმა უბრძანა თავის ეზოს მოძღვარს ყოველწლიურად ეძლია მონასტრისათვის როგორც ფული, ისე სურსათ-სანოვავე, წმინდა სანთელი 1/2 ლიტრი, საკმელი, ზეთი, 20 ცალი ღოში, 14 ლიტრა ხიზილალა, 30 ლიტრა ბრინჯი, 5 ლიტრა კარაქი, 20 ლიტრა ყველი, 96 კოდი პური და სხვა<sup>28</sup>.

მეფე არჩილის მიერ დანიშნულმა მონასტრის წინამძღოლმა პავლემ იმავე წელს შეუძინა მონასტერს სოფელ ნინოწმინდაში ბაღი და სახნავი მიწები, თვით არჩილმაც მისცა მონასტერს სახსრები შენობების ასაგებად და მონასტრის კეთილმოწყობისათვის.

XVII საუკუნის დამლევს დავით გარეჯის მთელი უდაბნოების ხელმძღვანელად დაინიშნა ერის კაცი ვინმე ოთარ მაჭუტაძე (მას ბეზობაში ონოფრე დაერქვა) — წარმოშობით გურული, რომელიც

ქართლში ჩამოვიდა თავის ძმასთან — მაქსიმესთან ერთად თავადის ახულ გურიელის ქალის ამალაში<sup>27</sup>.

1683 წელს მას ლევანმა სთხოვა მის სამსახურში შესვლა და სამწევრისში გადასახადების აკრეფა. 1690 წელს ეპისკოპოსთა საკრებულომ ოთარ მაქუტაძეს მიანდო გარეჯის უდაბნოს მმართველობა. მალე იგი ბერად აკურთხეს და სახელიც შეუცვალეს — ონოფრე დაარქვეს.

ონოფრე გამპკრიახი, მომზადებული და განათლებული ადამიანი, მასთან მეურნეობის კარგი მცოდნე გამოდგა. მან დავით გარეჯის უდაბნოს აღდგენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.<sup>28</sup> ტყუილად კი არ ამბობდნენ, რომ „ონოფრე მაქუტაძე გარეჯის უდაბნოს მონასტრების მეორე მშენებელია“.

ონოფრეს ხელმძღვანელობით სულ მალე უდაბნოში დიდი წესრიგი დამყარდა და სამონასტრო მეურნეობა მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი, განმტკიცდა მისი ეკონომიური ბაზა, შეიქმნა მძლავრი და შემოსავლიანი მეურნეობა, რომელიც არა მარტო ინახავდა მონასტრის მთელ შემადგენლობას, არამედ ამავე დროს მონასტრის შემდგომ გამშვენიერებისათვის დიდ შესაძლებლობას ქმნიდა.

ონოფრემ მონასტრისათვის დიდი მამულები შეიძინა საგარეჯოში, ხაშში, ნინოწმინდაში; მან მზრუნველობა გამოიჩინა აგრეთვე, სოფელ თვალ-საგარეჯოს კეთილმოწყობის საქმეში და იქ პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია ააგო (1712 წელს).<sup>29</sup>

ამგვარად ონოფრე მაქუტაძემ აღადგინა და გააძლიერა დავით გარეჯის მონასტერი, როგორც ამ მიდამოს ფეოდალი.

სწორედ ამ პერიოდში დავით-გარეჯაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნის ცნობილი ლექსიკოლოგი და რედაქტორი სულხან-საბა ორბელიანი (1698 — 1710). აქედან იგი 1710 წელს გაემგზავრა ხორასანში, 1712 წელს — ისპაჰანში, 1713 წელს — საფრანგეთში და რომში, ხოლო 1717 წელს კონსტანტინოპოლით ისევ საქართველოში დაბრუნდა<sup>30</sup>.

ონოფრე მაქუტაძის სიკვდილის შემდეგ, დავით-გარეჯის უდაბნომ მრავალი წინამძღოლი გამოიცვალა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შესწევდა ის უნარი და საქმის ცოდნა, რაც ონოფრეს ჰქონდა.

უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში აქ თითო-ორი ბერი ილა ცხოვრობდა, უდაბნოს სარწმუნოებრივი, კულტურული და სამხედრო თავდაცვითი როლი დროთა ვითარებაში თანდათან შენედა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე მთლად დაეკარგა. ამასთან დაკავშირებით ამ ადგილზე ადამიანის ცხოვრებაც შეწყდა.



## უჯარმა — საქართველოს უძველესი ციხე-ქალაქი

ახლა ისევ სართიქალას დაეუბრუნდეთ.

სართიქალიდან გზატყეცილი ჩრდილო-დასავლეთით მიემართება, იგი სკრის პატარა სოფელ მულანლოს, გადის სოფელ მუხროვანზე<sup>31</sup> და მდ. ივრის ხეობას მიადგება, რომლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი უჯარმა (საგარეჯოს რაიონი). სოფლის მახლობლად, გომბორისაკენ მიმავალი გზატყეცილიდან მარჯვნივ, საქართველოს უძველესი ციხე-ქალაქის უჯარმას ნანგრევები იხილება.

ამ ადგილს ვახუშტი შემდეგნაირად აღწერს:

„ხოლო კვალად ნინოწმინდას ზეით ერთვის იორს სამეხიხევი, ეგრეთვე გამოძინარე და მოძინარე, ვითარცა წინათნი ხეენი, და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა. ამას ზეით, ამ ხევზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, სამეხისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამის ზეითის ქვეყნისა ერწომდე (და იტყვის დავით გარეჯის უდაბნოს თვისად). ესევ ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა. ამ ხევზე არს ციხე ვერენისა. მაგარი, და გარდავალს გზაშიგნით-კახეთს შუა-მთაზე. კვალად ამ ხევს ზეით არს, იორსა ზედა, უჯარმა, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა, რომელი აღაშენა კგ მეფემან საურმაგ, ციხექალაქი, და კვალად განაახლა გორგასალ და ყო სიძაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა, რამეთუ განაყოფისა სამეფოთა მოოხრდა“<sup>32</sup>.

„ქართლის ცხოვრება“ (ანნა დედოფლისეული ნუსხა) მოკვითხრობს, რომ უჯარმას ციხე-ქალაქი აღაშენა სფაგურმა მირდატის ძემ — „და შემდგომად მირდატის მეფობდა ძე მისი ასფაგურ, და მან აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“<sup>33</sup>. ხოლო ვახტანგ გორგასალს უჯარმაში აუშენებია ეკლესია და დაუარსებია საეპისკოპოსო.

ქართლის ცხოვრების შემატყუანე ამბობს: „...და მოვიდეს და მეფემან მისცა ნიჭი დიდძალი (ლაპარაკია ანტიოქიის პატრიარქის მიერ ნაკურთხ 12 ეპისკოპოსზე და პეტრე ქათალიკოსზე, — ი. ა.), და ასული თუესი მისცა (ანტიოქიის მეფემ, — ი. ა.) მეფესა ვახტანგს, სახელით ელენე, და გამოავლინა იგი სპითა დიდით ვიდრე საზღვრამდე სომხეთისა. და მუნ მიეგება ვახტანგ მეფე და შეიქცეს სპანი ბერძენთანი, და წარმოვიდა ვახტანგ მცხეთად, ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი... და მუნ შინა დასხეს პეტრე ქათალიკოზად და... ერთი ეპისკოპოზად

კლარჯეთს... ერთი ნინო-წმინდას, უჯარმის კარსა, რომელი ვახტანგ ალაშენა...“<sup>34</sup>

მაშასადამე, უჯარმის ციხე-ქალაქში ეკლესია აუგიათ V საუკუნეში, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრების იმ ხანაში, როდესაც ქართული კულტურა წარმატებისა და აყვავების გზას დაადგა. „V საუკუნე, — წერს პროფ. შ. ამირანაშვილი, — რელიგიური ხელოვნების ისტორიაში, როგორც ირკვევა, წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიური ხელოვნების განმტკიცებისა და აყვავების ხანას, განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ჩანს საალმშენებლო ხელოვნების დარგში“<sup>35</sup>.

ეს აყვავება განსაკუთრებული სიცხადით და მკაფიოდანა მოცემული უჯარმის V საუკუნის ძეგლებში.

ციხე-ქალაქი უჯარმა, როგორც ეს ნიდაგის ზედაპირის ამჟამად არსებული ნანგრევებიდან ჩანს, აგებული იყო სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით საუკეთესო და ხელსაყრელ ადგილზე. იგი მთლიანად კეტავდა ცივ-გომბორის უღელტეხილიდან გადმოსასვლელ გზებს და მთელი ხეობა ხელში ეჭირა.

ზოგიერთი ისტორიკოსის დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ უძველესი ციხე-ქალაქი უჯარმა აშენდა მეფე საურმაგ მეორის დროს, III საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე, ხოლო შემდეგ იგი უკვე განახლებული და შელამაზებულ იქნა ვახტანგ გორგასალის მიერ V საუკუნეში.<sup>36</sup>

ვახტანგ გორგასალს აუგია კარის ტაძარი უჯარმაში და დაუარსებია კიდევ საეპისკოპოსო კათედრა, შემდეგ საგარძნობლად გაუფართოებია და გაუმშენებია ქალაქი, შეუმკია იგი მრავალი შენობით და თავის ადგილსამყოფელოდ გამოუცხადებია. ამ ფაქტს ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ მემკვიდრე „და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმოსა და ალაშენა იგი ნაშენებით უზომოთა“.<sup>37</sup>

ამგვარად, უჯარმა გადაიქცა ქართველ მეფეთა ადგილსამყოფელად; იქ ჩსხდნენ ვახტანგის ძის დაჩის მემკვიდრენი.<sup>38</sup>

როგორ იყო აგებული ქალაქი?

ძველი ქართული ადათ-ჩვევების მიხედვით ციხე-ქალაქი ორ ნაწილად იყო გაყოფილი; მისი უძველესი ნაწილი „შიდა ქალაქი“ მდებარეობს მთის წვერის გასწვრივ მდინარის ნაპირის დონიდან დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლეზე. „შიდაქალაქიდან“ ქვემოთ მთის კალთაზე მდინარისაკენ ეშვება ქალაქის ძველი ვალაყანი, თავის დროზე გამაგრებული ოთხკუთხი ფორმის ციხე-ბურჯებით. ამგვარად უჯარმის ორივე ნაწილს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს, რომელიც 8 ათას კვ. მეტრს უდრის. წინასწარი არქეოლოგიური

დაზვერვებიდან, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წამოიწყეს, ირკვევა, რომ „შიდა ქალაქის“ დაარსება და მისი ცალკე ნაწილებისა და უბნების აგება მომხდარა გაცილებით ადრე, ვიდრე ვახტანგ გორგასალი მას გააფართოებდა და თავის ადგილსამყოფელოდ გამოაცხადებდა.<sup>39</sup> ქალაქი მოქცეულია მთის დაქანებულ ფერდობზე; შემოფარგლულია ქვის დიდი გალავნითა და ოთხკუთხედი ბურჯებით, რომელთა წყობა და საერთო სახე საუკუნეთა განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა. უჯარმის ქალაქის მეორე ნაწილის არქიტექტურა ვახტანგ გორგასალის დროის ნაგებობას წარმოადგენს.

ვახტანგმა, როგორც ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ და მხედართმთავარმა, თავის დროზე გაითვალისწინა ქალაქის ადგილმდებარეობის უდიდესი სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობის თვალსაზრისით ძლიერ ხელსაყრელი პირობები, გაამაგრა გალავნით, ბურჯებით და გამოაცხადა ეს იმედიათი ციხე-ქალაქი მეფის საჯდომ ადგილად.<sup>40</sup>

„ყურადღებას იპყრობს ქალაქის გალავნისა და ციხე-ბურჯების წყობა. მათი კედლები აგებულია სწორი ჰორიზონტალური წყობის წესით კვადრების ფორმის ქვებიდან, რომელთა სიმაღლე 20 სანტიმეტრს უდრის. კედლის წყობის აღნიშნული წესი საქართველოს სხვა ციხე-ქალაქების მშენებლობაში დღემდე დადასტურებული არ არის. იგი არსებითად განსხვავდება შუასაუკუნეებში გავრცელებული წყობისაგან. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ოთხკუთხიანი ბურჯების არქიტექტურა. ხსენებული ფორმების ბურჯები საქართველოში დიდხნის მანძილზე, თითქმის XVIII ს. დასასრულამდე იყო გავრცელებული მშენებლობაში“,<sup>41</sup> მაგრამ უჯარმის ბურჯების შინაგან კონსტრუქციაში იმდენად საინტერესო თავისებურებანია, რომ მათი აღწერა საგანგებოდ არის მოცემული საბჭოთა მკვლევარ-მეცნიერების შრომებში.

უჯარმის ძეგლის დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამო იგი მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა შესწავლის ობიექტი გახდა, განსაკუთრებით კი 1950 წლიდან სამგორის სარწყავი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით.

1950 წელს აქ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და გამოიჩინა, რომ უჯარმის ციხე-ქალაქის ძეგლი კედლები ამოყვანილია დაბალი, თანაბარი სწორკუთხოვანი თლილი ქვებით და მცირე დულაბით, ხოლო მერმინდელი — უსწორო მოყვანილობის წყობითა და ბევრი დულაბით. კედელწყობის პირველი წესი ძალიან იშვიათად გვხვდება საქართველოში და სწორედ ის ჩაითვალია IV — VI სს.

ვახტანგ გორგასალის ხანის სააღმშენებლო ხელოვნების დამახასიათებელ თავისებურებად. იგი მიჩნეულია მონური შრომის გაძოყვნებაზე აღმოცენებულ ერთგვარი „საფუფუნებელი“ მშენებლობის წესად; კედელწიკების გარდა, გორგასალისა და მისი უშუალო წინამორბედების, თუ მემკვიდრეების ნაშენობას ახასიათებს დიდრონი კარ-სარკმელი, ნალისებრი მოყვანილობის თალები და სწორკუთხოვანი კოშკები, რაც, აგრეთვე, აშკარად უპირისპირდება ახალ ნაშენობათა სათანადო ნიმუშებს და მომრგვალო კონუსურ კოშკებს. ციხე-ქალაქის პირვანდელ არქიტექტურულ იერს თვალნათლივ წარმოგვიდგენს იერისპირა კალთაზე ჩამოყოლებული კედელ-კოშკები, რომელთაც მერმინდელი აღდგენა-შეკეთება არ შეხებია. ეს კოშკები დიდრონი კრამიტით ყოფილა დახურული. ამავე მიდამოებში გათხრების დროს აღმოჩნდა XI — XIII სს. დამახასიათებელი მოქიქული ჭურჭლის ნატეხები, იქვე მახლობლად თამარ მეფის დროინდელი სპილენძის კულები. შიდაციხის დასავლეთით შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის ქვააგურის კოშკებიც.<sup>42</sup>

უჯარმის შიდაქალაქში დაცულია აგრეთვე ძველი ეკლესია, რომლის არქიტექტურას სპეციალისტები ორ სხვადასხვა ხანის ფენად ჰყოფენ. ტაძარი მდებარეობს ქალაქის იმ ნაწილში, რომელმაც დიდი გადაკეთება განიცადა.

უჯარმამ, როგორც ციხე-ქალაქმა, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იარსება. როგორც თვით ქალაქი, ისე მისი მიდამოები სავესე იყო ხალხით, სადაც დიდი ვაჭრობა წარმოებდა და საქონელი საზღვარგარეთის ქვეყნებშიაც ვაჭონდით; ეს ფაქტი ნათლად არის აღნიშნული მთელ რიგ საინტერესო წყაროებში და მათ შორის „ქართლის ცხოვრებაში“.<sup>43</sup>

უჯარმის ციხეს ჰყავდა მუდმივი მეციხოვნე ჯარი, რიცხვით 300 კაცამდე. საქართველოს არაბები რომ შემოესიენ და უჯარმის ციხეს მოადგენენ, მეციხოვნე ჯარს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია მათთვის, მაგრამ მტერს დაუძლევია. ეტყობა, ეს ციხე იმდენად ჩაშორჩა უკვე იმ დროის საომარ ტექნიკას, რომ როდესაც არაბებს იგი აუღიათ, უთქვამთ „ბაკი ყოფილაო და უჯარმას ზღოღენი“ მოარღვიესო. შემდგომ გიორგი III ეს ქალაქი და ციხე აღუდგენია და უჯარმაში საქურძლე აუგია.

თამარის მეფობის პერიოდში საქართველოს ძლევამოსილი ომების შედეგად მომრავლებული დოვლათის დაცვის მიზნით უჯარმის ციხის აღდგენა-გამაგრებას ყურადღება მიექცა. დროთა ვითარებაში. განსაკუთრებით კი მონღოლების შემოსევის შემდეგ, ამ ციხე-ქალაქმა თანდათან დაკარგა თავისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული მნიშ-

ვნელობა როგორც ქალაქმა და მეფის საჯდომმა, სტრატეგიული და სამხედრო — როგორც ციხემ, ეკონომიური — როგორც ალებ-მიცემობის ცენტრმა.

ამ პერიოდიდან იგი უკვე აღარსად იხსენიება, როგორც თვალსაჩინო ან მნიშვნელოვანი ქალაქი.

ამ უძველესი დროის ციხე-ქალაქის და მთიან ვიწრო ბილიკებით დასერილ, დაბურული ტყის გასწვრივ, მდ. იორის ვიწრო ხეობაში, ერთი პატარა სოფელი — პ ა ლ დ ო მდებარეობს.

მის მახლობლად თანამედროვე რკინა-ბეტონის საგუბარია, რომელმაც გადაუღობა გზა მდინარე იორს.

ამ ადგილიდან პატარა მოშორებით იორის სარწყავი არხის მშენებელთა საცხოვრებელი ბინებია გაშენებული. აღნიშნული მუშათა დაბა რამდენჯერმე მეტია, ვიდრე უძველესი სოფელი პალდო.

## ხალხური თქმულებები

### „ხაზინის გორა“

ძველი უჯარმის მიდამოებში მდებარეობს ე. წ. „ხაზინის გორა“ (უფრო ბორცვია). ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით ხალხში დარჩენილია შემდეგი თქმულება:

„ერთ მონადირეს თოვლიან ზამთარში უჯარმის მიდამოებში უნადირია და კარგა მოზრდილი შავბეწვიანი მელა დაუნახავს. მონადირეს უცდია მისი მოკვლა, მაგრამ ამაოდ — მელა გაქცეულა; მაშინ მონადირემ მისდია კვალდაკვალ, და როგორც იქნა, მიაგნო მის სოროს.“

შავი მელიის სორო გორაკის ძირში იყო გათხრილი ტყე-ბუჩქნარით მოჭარებულ ერთ ღელეს მახლობლად.

მონადირე სოროს მიადგა, კარგად მოსინჯა გარემო, დაუკეტა მელას ყველა გასავლელი და შეუდგა სოროს შესასვლელის დანჯრევას.

მიწა რომ გათხარა, ნიადაგის ქვედა ფენიდან რაღაცამ დაიწკარუნა და რამდენიმე წუთის შემდეგ ოქროები გადმოცვივდა. მონადირე შეკრთა... წერაქვი ხელიდან გაუვარდა, ჩაფიქრდა. არ იცოდა, რა ექნა. გაეთხარა მიწა ბოლომდე — ვაი თუ რამე მოხდესო... და გადაწყვიტა ამხანაგების მოწვევა.

პატარა ხანს შემდეგ ყველა ერთად შედგომია გორაკის გათხარას და რა ნახა მათმა თვალებმა?! ამ გორაკის ძირში აღმოჩნდა ჩაფლული სამეფო ხაზინა, მრავალი ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით.

ამ ამბის შემდეგ გორაკს (ანუ ბორცვს) „ზახინის გორა“ დაერქვა“.

### „ურჯულო ეკლესია“

ამავე მიღამობებში, მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე, შარაგზიდან 50 მეტრამდე მანძილთ, ტყეში ძველი ნაეკლესიარია (ნანგრევები). ამ ეკლესიას ხალხი „ურჯულოს“ უწოდებს.

რატომ დაერქვა ეს სახელწოდება? ამაზე თქმულება მოგვითხრობს შემდეგს:

„ძველ დროში ქართველებმა ამ ადგილზე ქრისტიანული ეკლესია ააგეს; ის-ის იყო დაამთავრეს მშენებლობა და კურთხევისდღეც უნდა დაენიშნათ, რომ ამ დროს უჯარმის ციხეს ურჯულო მტერი შემოესია, ააწიოკა სოფლები, დაანგრია ციხე, დახოცა მრავალი ხალხი და ეკლესიაც უკურთხებელი დარჩა. ეს კი მოასწრო მისმა მშენებელმა, რომ ეკლესიის ერთ-ერთ კუთხის ქვაზე ამოკვეთა: „აღშენებული ვარ... წელს ურჯულოდ ვარ დარჩენილი“<sup>45</sup>.

### ცივ-გომბორის ქედის ბუნებრივი პირობები

მდ. იორი, სოფელ სიონს რომ გამოსცილდება, ქართლის და კახეთის წყალგამყოფი ქედების საკმაოდ მაღალი მთებით თანდათან შებორკილ ვიწრო ხეობაში მიედინება. მის მარჯვენა ნაპირზე სართიქალიდან მიმავალი შარაგზა გასდევს ხეობას სოფელ პალომდე, ხოლო შემდეგ, გადაჭრის მდ. იორს და ლამაზად მიიკლავნება ტყეებით გარემოცულ ადგილებზე სოფ. გომბორამდე.

გომბორიდან უკვე ეყრებიან ერთმანეთს ქართლისა და კახეთის (ანუ ცივ-გომბორის) ქედები, რომლებიც მნიშვნელოვანი წყალგამყოფებია — პირველი არაგვსა და იორს, ხოლო მეორე იორსა და ალაზანს შუა.

მდინარე იორსა და ალაზანს თითქმის ერთი სათავე აქვთ. მდ. ალაზანი იწყება დიდ-ბორბალოს მწვერვალთან (3297 მ. ზღვის დონიდან), ხოლო იორი კი მის მახლობლად ამავე მწვერვალის დასავლეთი კალთიდან. სათავიდანვე ორივე ვიწრო, ჩალრმავეებული კალაპოტით მიედინება და გზადაგზა საკმაოდ დასახლებულ სოფლებს ჩამოუდის, შემდეგ გადაჭრის თიანეთისა და ერწოს ფართოდ გადაჭიმულ ველებს და მრავალ შენაკადს ღებულობს, რომელთა შორის გამოირჩევიან მდ. სალაში, კუსნო და ეძები.

ამ ადგილზე იორის ნაპირები გაზაფხულიდან შემოდგომამდე განსაკუთრებულ სილამაზეს წარმოადგენენ: გარემო შემკულია ფოთლოვანი ტყეებით, რომელთა შუა, აქა-იქ გამოიყურება მწვანით შეკაზმული მდელოები, რამდენიმე ადგილას კი ამ ტყეებიდან ციცაბოდ დაქანებული კლდეები ღრმა თვალჩაუწვდომელ უფსკრულებად მოჩანს.

სოფ. უჯარმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. იორი უკვე ვიწრო კალაპოტიდან ფართო ველზე გამოდის, სადაც იგი მრავალ როტად იყოფა.

სოფ. მუხროვანის დაბლა, ივრის ველს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, სამგორისა და საგარეჯოს ქვაბულები საზღვრავს, რომელთაც მდ. იორი ჰყოფს სოფ. პაღოსა და ნინოწმინდას შორის.

საგარეჯოს ქვაბული ზღვის დონიდან 550 — 560 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სიგრძით დაახლოებით 30 — 32 კილომეტრზე, ხოლო სიგანით — 15 კილომეტრს აღწევს. დასავლეთის მხრიდან ამ ქვაბულს პატარძელის ქედი ემხრობა, რომელიც მას სამგორის ველისაგან ჰყოფს; ჩრდილოეთის მხრიდან საგარეჯოს ქვაბული ცივგომბორის მთას ეკვრის, აღმოსავლეთით კი ამავე ქედის კაკაბეთის განშტოებას, სამხრეთიდან მას ემიჯნება მოტიტველებული, გარეჯის გაუდაბნობებული ველი და მალღობები.

საგარეჯოს ქვაბულიდან იორი ქვემო-მუდანლოს ხეობით მიედინება, რომელიც მდინარეს ზეგანის თიხიან ფენებში გაუკაფავს; შემდეგ იგი ჩადის შირაქის ველის ნაპირზე, უელის ტარიბანის მინდორს და გამოდის ელდარის გადაჭიმულ ვაკეზე, რომლის ბოლოში მდ. ალაზანს ერთვის და ერთიანი შენაკადით უერთდება მდ. მტკვარს.

ვიდრე მდ. ალაზანი სათავედან ფართოდ გაშლილ თავისივე სახელობის, ველზე გამოვიდოდეს, დაბურული და საუკუნოვანი ტყეებით შემკულ, კავკასიონის მაღალი მთებით შებორკილ, პანკისის ვიწრო ხეობით მიედინება; დიდი დაქანების გამო (დასაწყისში მისი ღერძი 750 მეტრზეა ზღვის დონიდან, ხოლო დასასრულში კი 480 მეტრზე) მას ძლიერ ჩქარი დინება აქვს; მრავალ ადგილას იგი წყალვარდნილებად გადმოქუხს, ეხეთქება კლდოვან ნაპირებს და მათი ნამსხვრევ-ნამტვრევებით, ქვებითა და ხრეშით ავსებს თავის ისცდაც ვიწრო ფსკერს.

აქ, ამ ადგილზე, ალაზანი თავის შეუპოვრობით, სისწრაფით, განუწყვეტელი ხმაურითა და ღრიანცვლით საოცრად მიაგავს დარია-

ლის ხეობაში გიეურად მომდინარე მოუსვენარ და მყვირალა თერგს.

პანკისის ხეობა, რომლის სიგრძე 15-16 კილომეტრით იფარგლება განსაკუთრებელია თავისი სილამაზით განსაკუთრებით გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში, როდესაც მთელი ეს ხეობა აბიზინებულია ნაირსახოვანი მცენარეულით, ბარისა და მალალმთიანი ყვავილებით.

ამ მდიდარ ბუნებრივ პირობებთან ერთად აქაურობის შეუდარებლად შეზავებული კლიმატური პირობები, საუკეთესო და საღი ჰავა აცოცხლებს ადამიანს. ამას ისიც ემატება, რომ მოსავლის გამანადგურებელი სეტყვა, რომელიც ხშირი სტუმარია კახეთის ბარისა, აქ ძალიან იშვიათი მოვლენაა; გარედან შემოჭრილი ქარები-საგან პანკისის ხეობა, გარშემორტყმული მალალი მთებით, მთლიანად არის დაცული. ქარი აქ იშვიათად იცის და ისიც ადგილობრივი წარმოშობისაა, ხანმოკლე და მასთან სუსტი — ნიავის მსგავსი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი მეხილეობის და მევენახეობისათვის ამ ხეობაში ფრიალ ხელსაყრელი პირობებია, მით უფრო, რომ ნიადაგობრივი თვალსაზრისითაც მდიდარია იგი. აქ ქარბად არის წარმოდგენილი ალუვიური, არაკარბონატული, თიხნარი, მსუბუქი თიხნარები, და აგრეთვე ქვიშნარი, ძლიერ ჩონჩხიანი ნიადაგები, ხოლო მის გვერდზე მდებარე პატარა-პატარა ხეობებში კი დელუვიური ტყის ნიადაგებია გავრცელებული.

ამიტომ იყო, რომ ამ ხეობაში უძველესი დროიდან ქართველ ხალხს სოფლის მეურნეობისათვის საფუძვლიანად მოუკიდია ხელი და განუვითარებია კიდეც. განსაკუთრებით განთქმული იყო აქაურობა მევენახეობა-მეღვინეობით. ამას ადასტურებს კულტურის მრავალი ძეგლი: მარნების, საწნახლების, ქვევრების ნაშთები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა არქეოლოგიური დაზვერვების დროს ამ ხეობის სოფ. ჯოყოლოს, დუმასტურის, ხალიწის, წინუბნის უახლეს მდიდრობებში.

საუკუნეთა განმავლობაში გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად ამ მხარის ცალკეული კუთხეები გაუჟაცურდა; დროთა ვითარებაში ვენახ-ბაღები დაბურული და გაუჟალ ტყე-ჰალებით დაიფარა, უპატრონოდ მიტოვებული, ობლად დარჩენილი ვაზი ხეებს მოეხვია და განაგრძო არსებობა უადამიანოდ, — ველურ პირობებში. იმიტომაცაა, რომ პანკისის ხეობის დაბურულ ტყეებში დღესაც ხშირად გვხვდება მალალ ხეებზე ასული მრავალსაუკუნოვანი მსხმოიარე ვაზი, კაკლის მრავალი ხე და ზოგიერთ შემთხვევაში გაველურებული ხეხილიც.



პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის მრავალი დარგისათვის შესაფერისად ხელსაყრელ პირობებზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ხოლო ხეობა პანკისისა არს ვენახოვანი. თევზნი კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თვინიერ ბრინჯ — ბამბისა, პირუტყვი მრავალნი, გარნა ღორი უმრავლეს“ (აღწერა... გვ. 102).

პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულ ფშაველებს, ოსებსა და ქისტებს აღარ მიუტყვევიათ ყურადღება ვენახების გაშენება-მომრავლებისათვის და ხელი მოუკიდიათ მხოლოდ ხორბლეული კულტურებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პანკისის ხეობაში მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა; სულ მალე, უკვე 1930 წლიდან, სოფელ ხალაწანში პირველი ვენახი გაშენდა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო; შემდეგ მევენახეობამ აქ ფეხი მოიკიდა და ხეობის დაბლობ ადგილებში ვენახები გაჩნდა. ყურძნის ჯიშებიდან აქ უმთავრესად მოჰყავთ რქაწითელი, მწვანე და საფერავი, ხოლო 1949 წლიდან კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტმა პირველი ცდები ჩაატარა შამპანური ჯიშის ზოგიერთი ვაზის მოშენებაზე.

პანკისის ხეობა სოფელ მატანის ჩრდილო-აღმოსავლეთით თავდება და გადადის ფართოდ გადაჭიმულ ალაზნის ველზე, რომელზედაც მდ. ალაზანი უკვე წყნარად მოედინება. გზადაგზა მას უერთდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან ჩამომდინარე მრავალი შენაკადი: მდ. სტორი, ინწობა (ანუ გრემის ხევი), ჩელთა, დურუჯი, ბურსა, აბანოს ხევი, კაბალის ხევი, ანტილ-ორი, ყურმუხი, ხოლო მარჯვენა მხრიდან: ილტო, ხოლაშენი, თურდო, კისისხევი, ქერემის ხევი.

ცივ-გომბორის ქედი და მასთან დაკავშირებული ველები გეოლოგიური თვალსაზრისით ფრიალ საყურადღებო სურათს ქმნიან თავიანთი მრავალფეროვნებით. <sup>46</sup>

ცივ-გომბორის მთა შედგება დანალექი ქანებისაგან, ხოლო სოფ. გომბორიდან სამხრეთ ნაწილში კი კონგლომერატებ-საგან. <sup>47</sup>

კონგლომერატები შედგებიან უმთავრესად კი 'ქვების, ქვიშიანი ქანების, მერგელებისა და შავი თიხა ფიქალეების გან, ქედს მრავალი ციცაბო, ფრიალო უფსკრული, ნაპრალი და ვერტიკალურად დაქანებული ნაპირებიანი ხევი სჭრის. უმეტეს შემთხვევაში მათი გატიტვლებული ღია კონგლომერატებიანი ნიადაგებო ერთმანეთთან ძალიან ცუდად არიან დაკავშირებული.

ასეთი ფენების სისქე ზოგან მრავალ ათას მეტრს აღწევს. ამ კალთების ზეერვა მხოლოდ შორიდან არის შესაძლებელი, ვინაიდან ერთმანეთთან ცუდად შეკრულ-შემქვიდროებული კონგლომერატების მრავალი კენჭი და ქვა ზემოდან თითქმის განუწყვეტილ ცვივა, დრო-ვამოშვებით საკმაოდ დიდი მონატეხები და ზეავებიც კი ჩამოდის.

აქ, ამ ქედზე უხვად არის წარმოდგენილი მცენარეული საფარი, რომელიც დიდ ცვალებადობას განიცდის.

იყო დრო, როდესაც მრავალსაუკუნოვანი დაბურული ტყეებითა და ქალებით შემკულ ამ მთებზე საუკეთესო ცივი წყაროები ბლომად მოიპოვებოდა; დაცული იყო მდინარეთა დინების რეჟიმი, სათანადოდ იყო აგრეთვე შეზავებული კლიმატური პირობებიც.

გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, ზეავეებს და მეწყერებს იშვიათი ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ დროთა ვითარებაში ამ მიდამოების ხშირი მოსახლეობის მოთხოვნილებანი დღითიდღე იზრდებოდა და მზარდ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების პროცესში ტყეები ჭეჭემოდ იკაფებოდა; ამის შედეგად ყველა ტყემ თავისი პირვანდელი სახე დაკარგა, ბევრგან კი სულ განადგურდა და მოისპო.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ გარე-კახეთის და კახეთის ტყეების მოსპობაში შემოსეული მტრების — დამპყრობელების ავი ხელიც ერია. გარე კახეთის ტყეები გააკაფვინა ჯერ შაჰ-აბასმა, ხოლო შემდეგ ნადირ-შაჰმა; კახეთის დაბურული ტყეები კი გააკაფა შემოსეულმა ჩინგის ყაენმა, შემდეგ, XVII ს. დამდეგს, შაჰ-აბასმა, რომლის ველური ხელით ძირში გაიკაფა ვაზი, ხეხილის ხეები და მოისპო თუთის ყველა ხე.

მარტო ეს არ იყო მიზეზი, რასაკვირველია, გომბორის ტყეების ფართობის შემცირებისა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (XIX ს. განმავლობაში და XX ს. პირველ ოცეულში) ტყეების მთელი ფართობი განაწილებული იყო ხაზინასა და მემამულეებს შორის; მემამულეების მფლობელობაში შედიოდა მთელი ტყეების 44 — 45%. კერძო მესაკუთრე იმ დროში სრული ბატონ-პატრონი იყო მის მფლობელობაში შემავალი სატყეო მასივებისა და თავისი შეხედულებით და სურვილით შეუზღუდველად აწარმოებდა მათ ექსპლოატაციას, მით უფრო, რომ ტყის დაცვის იმდროინდელი კანონმდებლობა, როგორც აღნიშნა ერთმა რუსმა პროფესორმა: „სრულიადაც არ ზღუდავს იმას, ვისაც სურს ტყის განადგურება, და ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლის იმას, ვისაც სურს წესიერად მოაწყოს სატყეო მეურნეობა და ტყის მოშენებაც აწარმოოს“.

ასეთი უგეგმო ექსპლოატაციის შედეგად ცივ-გომბორის ქედზე (თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრების ფარგლებში) XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველი ოცეულის განმავლობაში მოიხსნა მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი ტყის მასივი; ზოგან ტყეები გამეჩხერდა და ამ გარემოებასთან დაკავშირებით ტყეების ზედაზონალობამ საგრძნობლად დაიწია.

სახაზინო ტყეების მახლობლად კერძო მესაკუთრეთა ტყეების განადგურება სახაზინო ტყეების მთლიანობას დიდი საშიშროების წინაშე აყენებდა და სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სატყეო მეურნეობის ასეთი კატასტროფიული მდგომარეობის გამო, 1908 და 1910 წლებში ორჯერ იქნა მოწვეული თბილისის გუბერნიის სატყეო მსახურთა ყრილობა, რომლებზედაც მთელი სერიოზულობით დაისვა საკითხი „კერძო მფლობელობაში მყოფი ტყეების შენარჩუნება-დაცვაზე მტაცებლობის წინააღმდეგ“. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა ტყეების ცუდი და საშიში მდგომარეობა; მთელი რიგი ღონისძიებები დაისახა სატყეო საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ ეს კარგი სურვილები მხოლოდ ქალაქებში დარჩა, რადგანაც იმ ხანად, სახელმწიფო რევიმის შესატყვისად, კერძო მესაკუთრეობის მუხრუჭებმა ხელი შეუშალეს ამ ღონისძიების განხორციელებას. არც ცარიშმის მთავრობამ მოინდომა ისეთი კანონის გამოცემა, რომელიც კერძო მესაკუთრეების უფლებებს შეზღუდავდა. 1901, 1902 და 1912 წწ. ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტმა დაიწყო ცივ-გომბორის ქედის, იორისა და ალაზნის მდინარეთა დაბლობის ტყეების შესწავლა, მაგრამ იგი ვერ დააბოლოვა.

ტყეების ასეთმა უმწეო მდგომარეობამ საქართველოში მიაღწია 1918 — 1921 წწ-მდე, ე. ი. საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდამდე, რომელიც უდავოდ უნდა ჩაითვალოს ტყეების მთლიანი განადგურების პერიოდად. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი ქართლის (იალნოს) და გომბორის ქედების ტყეები (საგურამო-გლდანის, მარტყოფ-იორის, გომბორის სატყეოების ტერიტორიაზე), სადაც კი ადამიანი მიუდგებოდა, ნახშირის გამოსაწვავ ორმოებით იყო გადათხრილი; ეს ხდებოდა ზამთარ-ზაფხულობით თითქმის განუწყვეტლივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ტყეების დაცვას და მათ დაგეგმვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ნახშირის ორმოების ჩადგმა ტყეებში სასტიკად აიკრძალა. ამავე დროს ტყეების ფართობი ზუსტად აღირიცხა, დაიგეგმა, განისაზღვრა ტყით სარგებლობის ნორმატივები და ჩატარდა საგანგებო ღონისძიებანი ხის დიდმნიშვნელოვანი ჯიშების დასაცა-

ვად. კახეთის ტერიტორიაზე ამ ღონისძიებათა განხორციელებას ამჟამად აწარმოებს შვიდი სატყეო მეურნეობა: ახმეტის, თელავის, გურჯაან-კაკრეთის, ყვარელის, ლაგოდხის, სიღნაღის, წითელწყაროსა და საგარეჯოსი.

ტყეების დაცვასთან ერთად 1926 წლიდან სატყეო მეურნეობები შეუდგნენ ტყის ახალი მასივების გაშენებას (კაკლის ხე, კორპის შუხა, თეთრი აკაცია, მსხალი, კადარი, ცაცხვი და სხვა ჯიშები).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ბუნებრივი საწარმოო ძალების საფუძვლიანი შესწავლისა და აღნუსხვის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო დაწესებულებების წინაშე წამოიჭრა ამოცანა შესწავლილი ყოფილიყო საქართველოს მცენარეულობა, როგორც უძვირფასესი განძი. ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქ. გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო ექსპედიციამ საგანგებოდ შეისწავლა ცივ-გომბორის, გარე-კახეთისა და კახეთის ბუნებრივი პირობები და ტყეები. ამ შესწავლასთან ერთად ყურადღება მიექცა აგრეთვე ცივ-გომბორის ტყეების ზონალობის შესწავლას (მარშრუტი: მღ. იორი, საგარეჯო, გომბორის ქედი-კოდა, ცივი, ბატონოშთა, თელავის ცივი, ალაზანი, შაქრიანი, დიდყურები, კახეთის კავკასიონი).<sup>48</sup>

გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გარე-კახეთშია (საგარეჯოს რაიონი), ხოლო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კი კახეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, ჭრის შირაქის ველს და ელდარის ვაკეზე მთავრდება.

ცივ-გომბორის ქედის როგორც სამხრეთ-დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით მდებარე მიდამოები მჭიდროდაა დასახლებული. ამიტომ ამ რაიონების (საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, კაკრეთის, წითელწყაროს) მცენარეული საფარის ტიპებზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მიერ გაშენებული კულტურები.

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნე-გლეხობის ვენახ-ბაღებში მასიურად გავრცელებულია ვაზის კულტურა, ხეხილის ხეები, როგორიცაა: კაკლას, თუთის, ბალის, ალუბლის, მსხლის, ვაშლის, ნუშის, ალუჩის, აგრეთვე ტირიფისა და ალვის ხეები: გარდა ამისა მრავლად მოიპოვება ლელვის, ბრწოეულის, უნაბის, ფშატის, შავი თუთის, ხართუთის, თხილის, მოცხარის, ურცხელის, ვაშლის მრავალი ჯიშის, მსხლის, ქანკურის, ხურმის, კომპის, გარგარის, ატმის, ალჯანაბადის და სხვა ხეხილის ხე-ბუჩქები.

საკმაოდ არის წარმოდგენილი აგრეთვე ბზა, რომლის ნარგავები ბევრ ადგილზე გვხვდება რაგორც ნაეკლესიარების მახლობლად. ისე ბალ-ვენახებში და საკარმიდამო ნაკვეთებზეც.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ ხის გავრცელებას უკავშირებენ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პერიოდს (IV საუკუნე); იგი ამჟამად უკვე მთლად შეეგუა რა ადგილობრივ ჰავას, კარგად ხარობს და ვითარდება.

კულტურულ მცენარეთა გასწვრივ იწყება ტყეები, რომლებიც ვერტიკალური ზონალობის მიხედვით 2000 მეტრამდე აღწევენ. შა: შემდეგ სუბალპური და ალპური მდელოები მოჰყვება.

დასახლებული ადგილების მახლობლად, ტყეებში გვხვდება კუნელის, ზღმარტლის, ნეკერჩხლის, ჯონჯოლის, მუხის, წიფლის, ქასმინის ხე-ბუჩქები, აგრეთვე ლეკის ხე, თეთრი ალვის ხე, ძეძვი, რაც დამახასიათებელია გომბორის მიდამოებისათვის.

გომბორის ქედის ტყე ზღვის დონიდან 1480 მეტრის სიმაღლეზე უკვე გამეჩხერებულია; აქ ხარობს წიფელი, რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი, პანტა, ბალბა, ტყემალი, ასკილი, ზღმარტლი.

ამ ზოლის ზემოთ საძოვრები იწყება (ე. წ. „კოდას საძოვრები“), სადაც გარეული ხეხილი ალაგ-ალაგდაა დარჩენილი. მართალია, ეს მიდამო ზოგან სუბალპური ველების ზოლშია, მაგრამ ბალახეულის ანალიზით გამოირკვა, რომ ეს საძოვრები ტყის ხარჯზეა განვითარებული, ვინაიდან აქ, ზონალობის მიხედვით, არ უნდა თავდებოდეს ზემო ტყის საზღვარი.

ქედის მაღალ ზონებში, ადამიანისათვის ზოგიერთ მიუდგომელ ადგილზე, მშვენიერად შემონახულა ფიჭვნარები, არყნარები და მუხნარები. ამ ქედის რაგორც პირაქეთა, ისე პირიქითა კალთებზე (აგრეთვე იალნოს მთებზედაც) აქა-იქ გაბნეულია ფიჭვნარი.

დამახასიათებელია, რომ ფიჭვნარები გავრცელებულია უმთავრესად გომბორის ქედის იმ ადგილებზე, სადაც კონგლომერატები წყლისაგან ჩამორეცხილია, გაჩენილია ფლატეები და ფრიალ მაღალი ჩამონახვავები; ზოგან ჩამოტანილ რიყეებზე ფიჭვნარი იმდენად გაძლიერდა, რომ რიყეები გაატყევა. მასთან გომბორის ტყეების ფიჭვი სხვა მთავარ ჯიშებზე უფრო ქსეროფიტულია, წყლის მიმართ მოთხოვნილება ნაკლები აქვს, რის გამოც იგი ამ ადგილზე გაბატონებულია.

• განცალკევებულ ეგზემპლარების გარდა ცივ-გომბორის ქედზე ფიჭვი მთლიან მასივადაც არის წარმოდგენილი მარიაამჯვარის ნაჩიყალის ვიწრო ხეობის მინელებულ ღვარცოფაზე.

მაჩიამჯვარის ფიჭვნარს სპეციალისტები დიდ სამეცნიერო და

პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ, მით უფრო, რომ ამგვარი ფიქვი მთლიან კონგლომერატებზედაც არის გავრცელებული.<sup>49</sup>

ცივის მწვერვალზე (ზღვის დონიდან 1630 მ) გადარჩენილია წიფლის ტყის ნაშთები და მდელოზე თითო ოროლა ეული ხე იზრდება.

გომბორის ცივიდან, რომელიც ზღვის დონიდან 1905 მეტრზეა ამაართული, პროფილის მიმართულება იცვლება თელავისაკენ; ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და „თელავის ცივამდე“ გვხვდება მრავალი მწვერვალი, კლდის თავები, მსხლიანი, ბატონიგორა და თვით ცივი, რომელიც კვლავ ძირითადად ტყიდან განთავისუფლებულ მდელის წარმოადგენს.<sup>50</sup>

ასეთია მოკლედ ცივ-გომბორის ქედის ბუნებრივი პირობები.

### კურორტი გომბორი

ცივ-გომბორის ქედის ტყითა და წარმტაცი მდელოებით შემკულ დასავლეთის ფერდობზე (ზღვის დონიდან 1150 მეტრი) მდებარეობს სოფ. გომბორი. მისი კოორდინატებია  $41^{\circ} 62'$  განედი და  $45^{\circ} 15'$  გრძედი (გრინვიჩით). სოფელზე გადას გზატყეცილი; თბილისიდან იგი დაშორებულია 64 კილომეტრით, ხოლო რაიონის ცენტრ საგარეჯოდან კი 45 კილომეტრით.

სოფლის მახლობლად ორი მდინარეა — რუსიანის ხევი და კილმახი, რომლებიც მდ. იორის შენაკადებს წარმოადგენენ.

გომბორი თბილისის კლიმატურ კურორტთა ზოლში და თბილისის მიდამოების ერთ-ერთ საუკეთესო და უახლოეს კურორტად ითვლება, რომელშიაც საზაფხულო სააგარაკო სეზონი მაისის თვის მეორე ნახევრიდან იწყება და სექტემბრის თვის შუა რიცხვებამდე გრძელდება.

ამ ადგილის ჰავა ცივ-გომბორის ქედის სამხრეთის მხრიდან მომდინარე ცივ ატმოსფერულ ნაკადთა გავლენის ქვეშ იმყოფება.

ამ მთის ძველთაგანვე შერქმეული სახელწოდება „ცივი“ სავსებით გამართლებულია.

გაზაფხული, ჩვეულებრივ, ძლიერ წვიმიანია, ხოლო ზაფხული კი შედარებით მშრალი.

ჰაერის ვენტილაცია საკმარისია. აქაური ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობენ მთა-ბარის ადგილობრივი ქარების წარმოშობას. განსაკუთრებით კი ზაფხულში.

კურორტ გომბორში საუკეთესოდ არის შეზავებული მთის სუფთა, გრილი ჰავა და მზის უხვი სხივადობა.

„გომბორში თავისუფლად და ეფექტურად შეიძლება დაისვენონ და იმკურნალონ, განსაკუთრებით ზაფხულობით მალარიით, მეორადი სისხლნაკლებობებით, ქრონიკული ბრონქიტით, ლიმფური ჯირკვლების ანთებისა და ნევროზის იოლი ფორმებით დავადებულ ბავშვებს“. <sup>51</sup>

## გომბორის ციხე-კოშკი და ხაღხური თქმულება

გომბორის გადაღმა მხარეს, მალა-გორაკზე ციხე-კოშკი „ვერე-ნა“ ამართული (ამჟამად ნანგრევებია), რომელთანაც დაკავშირებულია შემდეგი ხალხური თქმულება:

„ამ ციხეში ძველად მეფეს (ან მთავარს) უცხოვრია, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. იგი უებარი სილამაზისა იყო და ვინც კი ნახავდა მის მზესა ფიცავდაო.

მრავალ მეფე-მთავარს, დიდებულს სურდა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ არც მეფე იმეტებდა მას და არც ქალიშვილი თანხმდებოდა გათხოვებაზე.

ერთხელ, ადრე შემოდგომაზე, ამ გორაკის ძირში კახელი გლეხები მიწას ხნავენენ; გუთნის-დედად ერთი კოხტა ახალგაზრდა ქიზიყელი ჰყავდათ. მეფის ქალიშვილმა გადმოიხედა ციხიდან და დაუკვირდა ამ კაბუჯ გუთნის-დედას — მოეწონა... დიდხანს უმზერდა, სანამ ვაჟმაც არ ახედა...

გუთნის-დედას და მეფის ქალიშვილს ერთმანეთი მოეწონათ... გავიდა რამდენიმე დღე და მეფის ქალიშვილმა მოახერხა ამ ახალგაზრდის დაახლოება.

მალე ქალ-ვაჟი შეთანხმდნენ, რომ გუთნის-დედა ციხის გორაკს ძირს გამოუთხრიდა, გვირაბს გაიყვანდა მეფის ქალიშვილის ოთახამდე, საიდანაც გუთნის ალოების დამთავრებისას, ამ გვირაბის საშუალებით მოიტაცებდა ქალიშვილს და ცოლად ითხოვდა.

ასეც მოხდა... პირობის თანახმად, გუთნის-დედა, საღამო ეამს, გუთნის რომ გამოუშვებდნენ და ივახშმებდნენ, უკვე იწყებდა გვირაბის თხრას და მხოლოდ რიყრაყზე ანებებდა თავს საპუშაოს. მაგრამ გვირაბი ჯერ მზად არ იყო გუთანმა რომ ალოები მოათავა და უნდა დაშლილიყო, გუთნის-დედამ იმდენი ეცადა, რომ გუთანს ერთი დღი-

ური მეტი მოახნვეინა, რომ მისასვლელი გვირაბი იმ ღამეს მოეთავებინა.

ეს ამბავი მეფის ყურამდე მივიდა. იგი განრისხდა, თავისი ქალიშვილი სხვა ციხეში გადაიყვანა და იქ ჩამაწყვდია, ხოლო გუთნისდედას კი მოკლა დაუპირა; ჭაბუკმა ქიზიყელმა რომ შეიტყო ეს ამბავი, დაჰკრა ფეხი, ჯავახეთში გადიხვეწა და იქ თავისით მოკვდაო“.

ამ ამბავთან დაკავშირებით ხალხმა შემდეგი შაირი გამოთქვა:

„დღისით ვხნავდი, ვარალობდი,  
ღამით ვანგრევ შავსა კლდესა,  
ოცს ერთი გადავაქარბე  
ნულარ მომკლავ შენსა მზესა“.

სოფელ გომბორიდან გზატკეცილი ჭრის იორისა და ალაზნის წყალგამყოფ უღელტეხილს, გადის სოფ. თეთრი-წყლების მახლობლად (ზღვის დონიდან 1614 მეტრ სიმაღლეზე) და თელავისაკენ ეშვება.

აქედან უკვე ბუნებრივი სიუხვით შემკული მხარე — კახეთი იწყება, რომლის შესახებ პოეტი ამბობს:

„... აი ზვრებში და მწითე ყანებში  
კიდით კიდემდე ცურავს კახეთი“.




ნ ა ნ ი ლ ი

II

---

აღაზნისა და  
შირაქის ველებზე





## თავი I

### კახეთ-ჭერეთის ისტორიიდან

გომბორის გადაღმა მხარეს გეოგრაფიულად კახეთი ჰქვია, მაგრამ მისი ტერიტორიის მიჯნები, ძველი წყაროების მიხედვით, ზუსტად არ იყო განსაზღვრული. მრავალ შემთხვევაში „კახეთი“ ხან ფართო ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც, ცივ-გომბორის გადაღმა მდ. ალაზნისა და იორის შუა მდებარე ტერიტორიის გარდა, თანამედროვე ქართლისა და ერწო-თიანეთის ნაწილსაც შეიცავდა, ხან კი ისევ იზღუდებოდა ცივ-გომბორის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე მიდამოებით და ისიც სამ ნაწილად იყოფოდა: კახეთად, კუხეთად და ჰერეთად.<sup>1</sup>

ქართველი გეოგრაფი ვახუშტი კახეთის შესახებ შემდეგ ცნობას იძლევა:

„...შემდგომად განდგომილებისა, ქრისტესა ჩუჲვ, ქართ. რნდ, მრისპო სახელი ტერეთისაცა და იწოდებენ საკუთრად კახთ მეფედ; და ტერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მხარს, ელისენსა, შიგნით კახეთს, ქისიყს და გარე-კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამხრით დიდის ალაზნისა და პატარა ალაზნისა შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასიამდენ

გავლილი, და კვალად ბაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლეთით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისო; დასავლეთით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვწერეთ, და, მწარე-წყალს ქვევით, მტკვარი, და ჩრდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარეს ქუტყანა ესე სიგრძით ჩრდილო-დასავლეთს მუადამ აღმოსავლეთ-სამხრეთ შუა, და არის ქართლისა, რანისა, მოვანისა და ლეკეთის შუა მდებარე“. <sup>2</sup>

მთელი უზარმაზარი ტერიტორია „თბილისიდან ბარდავამდე და ივრის პირთა“ საუკეთესო საძოვარ ადგილებად ითვლებოდა... „შინა ზამთარსა, ვითარცა არესა გაზაფხულისას ითიბების თივა აქუს შეშა და წყალი უხუებით და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვითოფერთა და საშუებელი ყოველი“. <sup>3</sup>

„ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოველთა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროსს ტერეთი და უმეტესად ალაზანსა და იორის კიდენი, რამეთუ თვნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონსა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვწერენით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით და ხურმა, წაბლი იმერეთისაგან აქ უმჯობესი არს. გარნა არა სთესვენ აქ ღომს, და არცა არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი ვიეთნი აქა უმჯობეს არიან ქართლისაჲცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობე და უმრავლეს აქაურთა.

ხოლო კაცნი და ქალნი მშვენიერნი, პაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმტკმელნი, მეჩხუბარნი, შემმართველნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი“. <sup>4</sup>

გასაკვირველი არ არის, რომ ბუნებით ასეთნაირად შემკულ მხარეში მკიდრო მოსახლეობამ მოიყარა თავი და დროთა ვითარებაში ადამიანის საწარმოო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში კახეთის მრავალი შეუქცალი ტყე გაიკაფა, ხოლო იმ ადგილებზე კი გაჩნდა ადამიანის შრომით გაშენებული ვენახ-ბაღები, ხორბლეული კულტურების ნათესობანი და ფართოდ გადაჭიმული საძოვრები. ამგვარად კახეთის უდაბური, დაბურული, საუკუნოვანი ველური მცენარეულობის საფარი მრავალ ადგილას შეცვალა ადამიანის მიერ გაშენებულმა კულტურულმა მცენარეულობამ.

ბუნებრივი პირობებით და საწარმოო ძალთა მზრივ მდიდრად შემკულ ამ კუთხის დაპყრობას არათუ მრავალი გარეშე მტერი, არამედ თვით იმდროინდელი საქართველოს ცალკეული მეფე-მთავრებიც (VIII — XIII სს.) ლამობდნენ.

კახეთს სხვადასხვა დროს ესეოდნენ ირანელები, არაბები, მონ-  
ღოლები, სარკინოზები, ილხანები, თურქ-სელჩუკები და სხვები. მის  
ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს ფეო-  
დალები.

დავით აღმაშენებელმა, ისარგებლა რა თურქ-სელჩუკების სამხედ-  
რო მარცხით, რომელიც მათ ზედიზედ დაატყდათ ასურეთსა და პა-  
ლესტინაში დასავლეთ-ევროპის ჯვაროსანთა ლაშქრობისაგან, შეუ-  
წყვიტა ხარკის მიცემა, შემდეგ იგი შეუდგა საქართველოს ტერიტო-  
რიის გათავისუფლებას თურქ-სელჩუკთა მოხეტიალე ურდოებსა და  
ციხეებში დაბანაკებული მათი მეციხოვნეებისაგან. ამავე ხერხით მან  
კახეთის ყველა ციხე და მისი ტერიტორია დაიხსნა ამ ველური დაუ-  
პატიებელი სტუმრებისაგან.

დამორჩილებულ ციხეთა შორის აღსანიშნავია რუსთავის ციხე,  
რომელიც დავითმა 1115 წელს დაიპყრო და ჰერეთის ციხე გიში  
(ქალაქ ნუხის მახლობლად მდებარეობდა — ამჟამად აზერბაიჯანის  
სსრ). დიდი შეტაკება მოუხდა დავით მეფეს მტერთან დიდგორის  
მთების მახლობლად, ტყეში (მანგლისის მახლობლად). ქართველთა  
60-ათასიანი ლაშქარი დავითის სარდლობით 1121 წლის 15 აგვისტოს  
თავს დაესხა მტერს, გაანადგურა მისი საყრდენი პუნქტები და თურქ-  
სელჩუკთა და არაბთა უზარმაზარ ცხენოსან ლაშქარს თავზარი  
დასცა.

დიდგორის ომმა საბოლოოდ განამტკიცა ის შეხედულება, რომ  
საქართველო უძლიერესი სახელმწიფო გახდა მთელ მახლობელ აღ-  
მოსავლეთში.

მალე დავით აღმაშენებელმა თბილისსაც შეუტია, სადაც თურქ-  
სელჩუკთა მეციხოვნე ჯარი იყო დაბანაკებული, და იგიც აიღო. აქ  
ქუთაისიდან მან გადმოიტანა სამეფო ტახტი და თბილისის, როგორც  
სრულიად საქართველოს სატახტო ქალაქის, პრესტიჟი კვლავ  
ამაღლდა.<sup>5</sup>

თბილისის მცხოვრებლებს, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუ-  
ნოებისა, დავითმა დიდი უფლებები მისცა.

დავითის მეფობის პერიოდში ქვეყნის აღდგენა დაიწყო. შემ-  
დეგ გიორგი III და განსაკუთრებით თამარის მეფობის დრო აღი-  
ნიშნა მრავალი ღირსშესანიშნავი და თვალსაჩინო სახელმწიფოებრი-  
ვი ღონისძიებით, რომლებმაც განამტკიცეს საქართველოს პოლიტი-  
კური მდგომარეობა, შეუქმნეს მას მტკიცე ეკონომიური საფუძველი;  
ქართველი ხალხი დაუბრუნდა მიწას, სოფლები უწინდებურად ისევ  
ხალხით გაივსო, კახეთის გავლურებულმა ვენახ-ბაღებმა და მინ-  
დორ-ველებმა ისევ წამოიხედეს; აღამიანი მშვიდობიანი ცხოვრების

გზას დაადგა, ოჯახი ოჯახს დაემსგავსა; გაშენდა საცხოვრებელი სახლები, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, მონასტრები, ფართე ხასიათი მიიღო ხენა-თესვამ, ხორბლეული კულტურების მოყვანამ, მკვებნაობამ; აღდგენილ იქნა კახეთის სახელგანთქმული მეაბრეშუმეობა; ენდროს ნათესებით გაივსო კახეთის დაბლობები. ხელოსნებმა მოაკითხეს ქალაქებს, დაბა-სოფლების ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ეროვნულ სახელმწიფოებრივმა აღორძინებამ (XII — XIII სს.), ფეოდალიზმის პირობებში, თამარის მეფობის დროს, უმაღლეს წერტილს მიაღწია.

რას წარმოადგენდა ამ ხანის ფეოდალურ საქართველოში სოციალური წესწყობილება?<sup>6</sup>

ფეოდალების კლასი — მეფე, აზნაურები და ეკლესია (მონასტრებით). აზნაურებიც სხვადასხვა კატეგორიებისა იყვნენ. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეკირათ „დიდებულ აზნაურებს“ (ფეოდალური დროის უმაღლესი მოხელენი).

ფეოდალების ეს ეკონომიურად ძლიერი ფენა მიისწრაფოდა უფრო გაძლიერებულიყო და „მამულის“ სისტემის გამარჯვების ნიადაგზე აზნაურობიდან გამოყოფით, უმაღლესი ფეოდალური წოდება შეექმნა.

დიდებულებს მიჰყვებოდა აზნაურების სხვადასხვა კატეგორია, რომელთა სოციალური ფენა განისაზღვრებოდა მათი წარმოშობის, ეკონომიური და სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით.

აზნაურების შემდეგ უფრო დაბალ საფეხურზე იღვწენ მსახურები. ეს ფენა გარდამავალი იყო. მსასური — მიწათმოქმედი, რითაც იგი სოციალურად გლეხის მონათესავეა.

გლეხობა (ბატონის მოხარკე, მობეგრე, ყმა) წარმოადგენდა ფართო სოციალურ ფენას; იგი იზრდებოდა არა მარტო ბუნებრივი გამრავლებით, არამედ ამ ფენას ემატებოდა აგრეთვე მიწაზე დამჯდარი სამხედრო ტყვეები, ანუ მოკედლებული და შეხიზნული, გამოქცეული გლეხები, გადარიბებული მსახურნი; ყველა ესენი გლეხობას წარმოადგენდნენ.

სოციალურად გლეხობა ერთგვაროვანი კი არ იყო; მათში განირჩეოდნენ: ნასყიდი, შეწირული, ნაწყალობები, ნებიერი, გარეთ მოსული. ზოგადად გლეხობის, როგორც კლასისათვის, დამახასიათებელი იყო საბატონო ბეგარა და ღალა, რასაც ისინი მიწათმფლობელებს უხდიდნენ.

ეკონომიური თვალსაზრისით მონათმფლობელთა ფენაც დიფერენცირებულ იყო. გლეხურ ფუძეს<sup>7</sup> ხანდახან ზამდენიმე მეკომუ-

რი აჯდა; ამავე დროს ისეთი გლეხებიც მოიპოვებოდნენ, რომლებიც მეზობელი გლეხებისაგან იძენდნენ ან ფეოდალისაგან იჯარით იღებდნენ სხვა ფუძეს ან მის ნაწილს.

XIV ს. კანონმდებლობა ითვალისწინებდა აგრეთვე ისეთ გლეხობას, რომელიც გლეხებსავე ფლობდა.

დამოკიდებულთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ სახლეულნიც; ეს ის ფენაა არათავისუფალი ადამიანებისა, რომელსაც არ გააჩნდა პირადი მეურნეობა, ცხოვრობდა ფეოდალის კართან და მომსახურებას უწევდა მის სახლეულს.

ქალაქებში ცხოვრობდნენ უმთავრესად ვაჭრები, ხელოსნები და გლახაკები.

ვაჭრებიც, ისევე როგორც სხვა წოდებრივი ფენები, სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. დიდ ვაჭართა ფენა წარმოადგენდა შეძლებულ, ძლიერ და სოციალურად მეტი უპირატესობით აღჭურვილ პირთ. დიდ ვაჭრებს ხანდახან ანდობდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს უცხოურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხში; ისინი ხელმძღვანელობდნენ საქალაქო ცხოვრებას და პოლიტიკურადაც დიდ გავლენიან პირებად ითვლებოდნენ.

დიდვაჭართა გარდა საშუალო ფენის ვაჭრებიც იყვნენ ე. წ. მოქალაქეები. ქალაქებში ცხოვრობდნენ აგრეთვე მეფის, აზნაურებისა და ეკლესიების ყმა-ვაჭრები. მათ არაერთარი უპირატესობანი არ ჰქონდათ მინიჭებული, მათი გასაჩუქრება, შეწირვა და გაყიდვა შესაძლებელი იყო ისეთნაირადვე როგორც გლეხებისა.

იყვნენ, აგრეთვე, ხელოსნებიც,<sup>8</sup> რომლებიც საამქროების მიხედვით ნაწილდებოდნენ — ხელობის შესატყვისად.

უკვე XII — XIII სს. ქალაქთა რიცხვი საგრძნობლად გამრავლდა. XII ს. ფეოდალები ქალაქებში განმტკიცდნენ, ვინაიდან ქალაქების დიდი ნაწილი თანდათან მათ მფლობელობაში და საკუთრებაში გადავიდა.

საეკლესიო მსახურთა ფენა, თავის მხრივ, ორ კლასად იყოფოდა: აზნაურები — უმაღლესი სამღვდელოება, გლეხობა — დაბალი სამღვდელოება, ანუ სოფლის მღვდლები.

დაბოლოს ფეოდალურ წყობილებაში არსებობდა კიდევ ერთი ფენა — გლახაკების (უღარიბესი, „ბედშავი“ ადამიანებისა). ესენი იყვნენ კლასობრივ ბრძოლაში განადგურებული, დეკლასირებული, ცხოვრებიდან გარიყული ელემენტები, რომელთა არსებობის წყაროს მხოლოდ მოწყალება და „გაკიცხვლა“ შეადგენდა. XIII ს. დასაწყისისათვის მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად; დამახასიათებელია, რომ ამ „გლახაკების“ მოვ-

ლა-პატრონობის საკითხი ცენტრალური ხელისუფლების მზრუნველობის საგანს შეადგენდა.

ამ სოციალური სურათის შესატყვისად ვითარდებოდა ფეოდალური ეკონომიკაც. სოფლის მეურნეობა ამ საუკუნეებში მალალ დონეზე იდგა (დროისა და წყობილების შესაფერისად); ყმაგლეხობის უსაშინელესი ექსპლოატაციის საშუალებით ხორციელდებოდა მელიორაციული ღონისძიებანი საერთოდ საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში (იორ-სამგორის 20-კილომეტრიანი არხი, ალაზნის 119-კილომეტრიანი სარწყავი არხი, გრემის არხი და სხვა). გაითქვა სახელი მეცხოველეობამ, განსაკუთრებით მეცხვარეობამ და მეცხენეობამ ქიზიყში, ერწო-თიანეთში, ჰერეთში; კარგად იყო ცნობილი ალაზნისა და შირაქის ველების ხორბლეული კულტურები და საზამთრო საძოვრები. პირიქითა კახეთში ცნობილი იყო მეფუტკრეობა.

ისეთმა დარგმა კი, როგორც იყო მევენახეობა-მელვინეობა მთელ კახეთში სახელი გაითქვა. ამ დარგს კიდევ იმიტომაც მიენიჭა დიდი მნიშვნელობა, რომ აქაური ღვინო და ყურძენი ექსპორტის საგანს შეადგენდა.

სახელმწიფოს სათავეში მეფეთა მეფე იდგა. იგი წყვეტდა სახელმწიფო საქმეებს დიდებულთა თანდასწრებით და მათივე ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ე. ი. დარბაზის მონაწილეობით. ქვეყნის ცენტრალურ მმართველობას ახორციელებდა საეაზირო-მეფისა და ვაზირთა საბჭო, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა თამარ მეფის მამის — გიორგი III მიერ.

საეაზიროში შედიოდნენ მეფე, ექვსი ვაზირი და ორი მათი თანაშემწე. პროვინციებს მართავდნენ ერისთავთ-ერისთავები.

ასე ხორციელდებოდა ფეოდალური საქართველოს მართვა-გამგეობა.

1213 წელს გარდაიცვალა თამარ მეფე და ტახტზე ივიდა მისი შვილი გიორგი ლაშა.

მალე საქართველოს გაუჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის სრულიად უცნობი, ახალი მტერი — მონღოლები.

1235 წელს მონღოლებმა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები დაიპყრეს და მალე გარდაბანს, ქვემო ქართლს და თბილისს შემოესივნ.

საქართველომ, მართალია, დიდი წინააღმდეგობა გაუწია მათ, მაგრამ XIII საუკუნის 40-იან წლებისათვის მონღოლებმა ქვეყანა მთლად დაიმორჩილეს და 100 წლის განმავლობაში იბატონეს (XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-XIV საუკუნის პირველ მესამედამ-

დღე). ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკას მთლად გამოეთხარა ძირი, დაეცა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა.

საქართველოს სამეფოს დასუსტების მიზნით მონღოლებმა მოხერხებულად გამოიყენეს ფეოდალური სისტემა.

XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მონღოლების ზეგავლენით საქართველო ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ გაიყო; თამარ მეფის შვილიშვილებიდან დამკვიდრდა ბაგრატიონთა ორი დინასტია: ლიხთიმერთა (დასავლეთ საქართველო) და ლიხთამერთა (აღმოსავლეთი საქართველო). ამავე დროს მსხვილმა ფეოდალებმა (მთავრებმა), ისარგებლეს რა მონღოლების პოლიტიკით, თავიანთი სამთავროები ცალკე ერთეულებად გამოყვეს.

XIV საუკუნის 30-იან წლებში მონღოლები დასუსტდნენ და საქართველოდან განდევნილ იქნენ.

გიორგი V სიკვდილის შემდეგ ცოტა ხანს (1346 — 1360) იმეფა მისმა შვილმა დავით IX, ხოლო შემდეგ ბაგრატ მუხუთემ.

ამ უკანასკნელის მეფობის დროს საქართველოს დიდი უბედურების ხანა დაუდგა. მას შუა აზიიდან (სამარყანდიდან) შემოესია (1360 — 1370 წწ.) თემურლენგი (ე. ი. თემურ კოჩლი), რომელმაც ახალი ქვეყნების დამორჩილება განიზრახა თავისი სამფლობელოს გასამდიდრებლად.

შუა აზიიდან თემურ-ლენგი ირანს შეესია და იქ ილხანები დაიმორჩილა, შემდეგ ირანული აზერბაიჯანის ცენტრი ქალაქი თავრიზი აიღო და საქართველოს დაპყრობა მოინდომა, რომ ამით ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობის დროს მას ზურგი გამაგრებული ჰქონოდა.

თემურ-ლენგმა დაეგემა დარუბანდის და დარიალის ციხეების დაპყრობა, რომლებიც კავკასიის სავაჭრო გზის მთავარ პუნქტებს წარმოადგენდნენ.

იგი საქართველოში მოულოდნელად შემოიჭრა. მიადგა თბილისის მაგარ ციხეს. საგანგებოდ დაწნული ფარებით თემურ-ლენგის ჯარმა აიცილინა ქართველების ისრები და დიდი, ხანგრძლივი შეტევითი ბრძოლების შემდეგ აიღო ქალაქის ციხე; ბაგრატ მეფე თავისი ოჯახით ტყვედ ჩაეარდა (1387 წ.); თემურ-ლენგი თბილისში არ გაჩერებულა, იგი საჩქაროდ აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და დაარბია ის ტერიტორია, რომელიც ამჟამად საბჭოთა აზერბაიჯანს უკავია.

შემდეგში მან საქართველო ექვსჯერ ააოხრა (1387, 1393, 1394, 1398, 1400, 1401 წწ.). მეოთხე თავდასხმა თემურ-ლენგმა აღმოსავლეთის მხრიდან მოაწყო და თავისი ლაშქრით კახეთსა და ჰერეთში დალაშქრდა, რომლებსაც მაშინ ხიმშია ფლობდა. იმ დროს კახეთს დიდი ზამთარი დაუდგა და მთელი გარემო და დაბურული ტყეები



თოვლმა დათარა. დიდი თოვლიანობა ძლიერ აფერხებდა მონღოლთა ლაშქრობას. ამ მიზეზით თემურმა ჯარის სვლის მიმართულებით მთელი ტყეები გააკაფინა. ქართველი ლაშქარი თავგანწირულად და გმირულად შეებრძოლა ულმობელ მტერს. მაგრამ სამხედრო ძალების უთანასწორობის გამო ქართველები დამარცხდნენ, და მტერმა ქვეყანა დაიპყრო.

მიუხედავად ამისა თემურ-ლენგმა, საქართველოს მატერიალური ფუძის მოსაპობა მაინც ვერ მოახერხა; ხალხი სასტიკ ბრძოლას განაგრძობდა. ზამთარი გრძელდებოდა, მტრის ჯარები მძიმე ხანგრძლივი ზამთრის პირობებში დიდ გაკირვებას განიცდიდნენ; ცხენები შიმშილით იხოცებოდა. თემურ-ლენგი იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო. იგი ყარაბაღისაკენ გაემართა (1403 წელს) და იქიდან აღარ დაბრუნებულა. 1405 წელს თემურ-ლენგი მოკვდა.

მისმა შემოსევამ საქართველოს დიდი უბედურების დაღი დაასო; კახეთის და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ნაქალაქარი ნასოფლარი, პარტახტი. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლად შექმნილი ოსმალეთი და ძველი ირანი რიგრიგობით ესეოდნენ საქართველოს, ლამობდნენ მის დაპყრობასა და განადგურებას.

ამ დროისათვის საქართველო აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს. იგი პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო და რამდენიმე სამეფო-სამთავროსაგან შედგებოდა, მაგრამ მათ შორის XVI საუკუნეში ყველაზე ძლიერი კახეთი იყო.

კახეთის გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი მისმა სიახლოვემ მთავარ სავაჭრო გზასთან, რომლითაც იგი მეზობელ, მეაბრეშუმეობით განთქმულ, შექსა და შირვანს უკავშირდებოდა. ცნობილია, რომ მათი დასავლეთის რაიონები ერთ დროს საქართველოს მფლობელობაში შემოდრიოდნენ და მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევარში გამოეყვენ მას.

კახეთი ამ პერიოდში სავაჭრო ვაჭრობას აწარმოებდა ცხენებით, ღვინით, აბრეშუმით, ხალიჩებით, ოქროთი ნაკერი ფარჩებით, ენდროთი და სხვა საღებავი მცენარეულობით, რითაც საკმაოდ განთქმული იყო იმდროინდელი კახეთი.

ვაჭრობის, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შემდეგ კახეთში საგრძნობლად გაიზარდა ქალაქების რიცხვი (XV — XVI სს.), რომელთა მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა; ამ დროისათვის თელავი, ბაზარი, გრემი, თიანეთი სახელგანთქმულ ქალაქებად ითვლებოდა, სადაც ვაჭრობამ და ხელოსნობამ მტკიცე ნიადაგი ჰპოვა.

კახეთის ტერიტორიული ხელისუფლება ამ პერიოდში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საქართველოს დანარჩენი მხარეებისა. კახეთის მეფეები იმ ხანად, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სამხედრო ხასიათის თვალსაჩინო რეფორმებს ატარებდნენ, რომლებიც მთელი თავისი შინაარსით მიმართული იყო დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებისათვის. ცენტრალური ხელისუფლების მთავარ საყრდენ ძალას ფეოდალების საშუალო და დაბალი ფენა წარმოადგენდა.

XVI საუკუნეში კახეთში გატარდა რეფორმა, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა შუა საუკუნეებიდან არსებული ერისთავობის სისტემა. XV საუკუნის ბოლომდე კახეთი შვიდ საერისთავოსაგან შედგებოდა, რომლებიც უკანასკნელ დროს მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდნენ. ამ სისტემის გაუქმების შემდეგ კახეთი დაიყო წვრილ-წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — სამოურავოებად; მოურავები მართავდნენ პატარ-პატარა ტერიტორიებს, არ წარმოადგენდნენ ძლიერ სამხედრო ძალას და მეფეს ექვემდებარებოდნენ.

ამავე დროს კახეთში სამხედრო რეფორმა გატარდა. მანამდე ერისთავი მხედართსარდლად ითვლებოდა და თავისი დროშა კონდა მინიჭებული; ყველა საერისთავო დამოუკიდებელ სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა, რომლის სათავეში ერისთავი იდგა. რეფორმის შემდეგ კი კახეთის მთელი სამეფო დაიყო ოთხ სადროშოდ; ყოველი სადროშოს სათავეში კახეთის მეფემ თავადი კი არ დააყენა, როგორც ეს ქართლში იყო, არამედ ქორ-ეპისკოპოსი, რომელსაც მეფე ნიშნავდა. ეს ეპისკოპოსი მეტად იყო დამოკიდებული მეფისაგან, ვიდრე ერისთავი, და ამიტომ უფრო გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებოდა მას.

აღნიშნულ ღონისძიებას, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების გარდა, ის შედეგიც მოჰყვა, რომ მოწესრიგდა ცენტრალური ხელისუფლებისა და მის მოხელეთა მიმართ საგლეხო საბევრო გადასახადების სისტემა. ამავე დროს მოგვარდა საეკლესიო მფლობელობის საკითხიც.

ამავე პერიოდში კახეთის გლეხოზა ეკონომიური მაჩვენებლების თვალსაზრისით ოთხ ჯგუფად იყოფოდა.

პირველ ჯგუფს ეკუთვნოდა გლეხები, რომლებიც მოურავს მთლიან გადასახადს უხდიდნენ, მეორეს — ნახევარი გადასახადის გადამხდელნი შეადგენდნენ, მესამეს — მეოთხედის გადამხდელნი და უკანასკნელ, მეოთხე, ჯგუფს — „გლახაკნი“ წარმოადგენდნენ, რომელთაც არაფერი არ გააჩნდათ და არც არაფერს იხდიდნენ.

მაგრამ გართულებულმა საგარეო პოლიტიკურმა პირობებმა ხელი შეუშალეს ამ რეფორმების სრულად განხორციელებას და ამიტომ მისი დადებითი შედეგი ქვეყანას მაინცდამაინც არ დასტუბია.

XVI—XVIII სს. მიჯნაზე კახეთის მდგომარეობა გართულდა, რაც ოსმალეთის, ირანისა და მოსკოვის სახელმწიფოების პოლიტიკური წინააღმდეგობით იყო გამოწვეული. ირანი და ოსმალეთი იბრძოდნენ ამიერკავკასიის დასაპყრობად, ვინაიდან ყოველ მებრძოლ მხარისათვის ამ საკითხის დადებითად გადაკრა პირველხარისხოვანი ხდებოდა.

XVI ს. შუა წლებში მოსკოვის სახელმწიფომ, რომელმაც გაანადგურა მდ. ვოლგის მიდამოებში თათართა სახანოები, დაიკავა ვოლგის დიდი სავაჭრო გზა. მალე მან ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთი მხარე ხელთ იგდო და მის გასამაგრებლად მდ. თერგთან ციხე ააგო, რომელშიც თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამ მდგომარეობას კახეთის მეფე ლევანი კარგად იცნობდა. ის მოსკოვის სახელმწიფოს დაუკავშირდა და 1564 წელს მიაღწია იმას, რომ ივანე IV (მრისხანემ) იგი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და გაუგზავნა კიდეც ყაზახების დამხმარე რაზმი. ამ ამბავმა ააღელვა ოსმალეთი და ირანი. ოსმალეთმა რუსეთი აიძულა თერგის ციხიდან ჯარი გაეყენა, ხოლო შაჰ-თამაზმა კი მოსთხოვა ლევანს კახეთიდან რუსი ჯარის გაყენა; მისი მოთხოვნა ლევანმა დააკმაყოფილა.

1574 — 1605 წწ. კახეთი კვლავ გაძლიერდა. მისი ნაწარმი საზღვარგარეთ გადიოდა როგორც ევროპულ, ისე აზიის ქვეყნებში. მეფე ლევანი დიდ სახსრებს ხარჯავდა საქართველოს აღორძინებისა და ძლიერების ხანის (XII — XIII სს.) კულტურის ძეგლთა (ციხე-ქალაქების, ეკლესია-მონასტრების) აღსადგენად. იგი უხვ შეწირულებას გზავნიდა ათონის, იერუსალიმისა და სხვა ადგილებში ქართული და ბერძნული მონასტრების აღსადგენად და შესანახად. სამეფო ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში მტკიცე წესრიგი დაემყარებინა და ამიტომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალური მოხელეებისა და მოურავების ყოველგვარ თვითნებობას, რასაც ისინი იჩენდნენ გლეხებისა და ხელოსნების მიმართ. თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობების მტკიცე განსაზღვრით სამეფო ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა მათ ქცევასა და მოქმედებას.

მეფე ალექსანდრეს სამხედრო ძალა 15000 მეომრისაგან შედგებოდა (მათ შორის 3000 ცხენოსანი იყო), მაგრამ ამ ლაშქარს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: სასროლო იარაღის (თოფის) დიდ ნაკლებობას განიცდიდა (მხოლოდ 500 კაცს ჰქონდა თოფი, დანარჩენს კი — ცივი იარაღი), ზარბაზნები ხომ სრულებით არ მოეპოვებოდათ. ამიტომ ალექსანდრემ მიიღო ზომები, რომ კახეთში დაწყებულიყო თოფ-ია-

რალის კეთება. ამავე დროს საქართველოს მტერმა — შამხალ ტარკოვსკიმ, რომელმაც განიზრახა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა, ოსმალეთთან შეთანხმებით, დაღისტნელი სხვადასხვა ტომის რაზმებით გამოიყენა კახეთის განაპირა მიდამოების ასაწიოკებლად; მაგრამ კახეთის მეფე, გამოცდილი დიპლომატიური ხერხებით, დაუკავშირდა მოსკოვის სახელმწიფოს, აღითქვა მისი მხრით სუვერენიტეტი (1587 წ.) და ჩააბა იგი შამხალ ტარკოვსკისთან მძიმე ომში.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ყიზილბაშური ირანი და ხონთქარის ოსმალეთი ამიერკავკასიის კულტურულ ქვეყნებს და, მათ შორის, საქართველოს (გ:ნსაკუთრებით კახეთს), როგორც განვითარებული მეურნეობის, განთქმული მიწათმოქმედების, მეაბრეშუმეობის, აბრეშუმის დამზადებისა და ვაჭრობის ცენტრს განადგურება-ღარბევით ემუქრებოდნენ.

მტრებს თვალი ეპირათ აგრეთვე დასავლეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების დამაკავშირებელ მთავარ სატრანზიტო სავაჭრო გზის ხელში ჩაგდებისაკენ.

ამ დიდი ბოროტების განხორციელების საკითხში ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ექიშებოდნენ.

ამგვარად XVI საუკუნის ბოლოსათვის კახეთის საგარეო პოლიტიკა დიდი ნასკვით გადიხლართა. კახეთი ერთ და იმავე დროს სამი სახელმწიფოს ვასალი გახდა; ქართველი ხალხისადმი კეთილად განწყობილი, ერთმორწმუნე მოსკოვისა (ფეოდალური რუსეთი), ხარბი, გაუმადარი ოსმალეთისა და ყიზილბაშური ირანისა.

XVII საუკუნის დამდეგს საგარეო ურთიერთობის ეს ურთულესი ნასკვი მთელი თავისი სიმკაცრით გადასჭრა ირანში გამეფებულმა შაჰ-აბასმა, რაც კახეთისათვის საბედისწერო გახდა.

1603 წელს შაჰ-აბასი, რომელმაც გაანადგურა აზერბაიჯანში ოსმალეთის ჯარი, საქართველოსაკენ გამოემართა და 1605 წელს კახეთს დაეცა. კახეთის მეფე ალექსანდრე, შაჰ-აბასის წაქეზებით, მოკლულ იქნა მისი შვილის კონსტანტინეს (ირანში გაზრდილისა და გამუსლიმანებულის) მიერ, რომელსაც კახეთში გამეფება სურდა; მაგრამ მუსლიმანი კონსტანტინე კახეთის ფეოდალებმა არ მიიღეს, ხალხი აჯანყდა მუსლიმანების წინააღმდეგ. აჯანყებულებს მხარი დაუჭირა ქართლის მეფის ჯარმა; კონსტანტინე ბრძოლაში დაშარცხდა და დაიღუპა.

შაჰ-აბასი იძულებული გახდა კახეთში გაემეფებინა ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზ I (ქრისტიანი). მაგრამ მისი ზრახვები სულ სხვა იყო. ვერაგი შაჰი ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად და დასარბევად. მან მოხერხებული მელაქუდობით გადაიბირა ირანში

მყოფი ქართველი ფეოდალები (მეფე ლუარსაბისა და თეიმურაზის მოწინააღმდეგენი), აგრეთვე ზოგიერთი დიდგვაროვანი აზნაური და 1613 წელს დიდი ლაშქრით გამოემართა ქართლისა და კახეთის ასაკლებად.

მტრულად განწყობილი ფეოდალების გამცემლობის შედეგად შაჰმა კახეთი დაიკავა, ხოლო თეიმურაზმა კი მცირე ლაშქრით ქართლში შეათარა თავი. შაჰი ქართლისაკენ გაემართა. ამ დროს თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ.

კახეთში შაჰ-აბასმა პირველ რიგში დაანგრია ციხე-ქალაქი გრემი, წაბილწა კახეთის ეკლესია-მონასტრები (გრემი, ალავერდი) და სასტიკად დასაჯა თეიმურაზის ყველა მომხრე; ღვარძლიანად გაუსწორდა ერწო-თიანეთსა და საგურამოს. კახეთის მმართველად შაჰმა დანიშნა თეიმურაზის ნათესაეი და მისი მოწინააღმდეგე ისა-ხანი (მუსლიმანი).

ამ დროს იმერეთში მყოფი თეიმურაზ I ამზადებდა აჯანყებას ისა-ხანის წინააღმდეგ.

1615 წლის 15 სექტემბერს კახეთში აჯანყება დაიწყო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ისა-ხანის უახლოესი მრჩეველები — სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე და ვექილი დავით ასლანიშვილი (ჯანდიერი). მათი მიწვევით თეიმურაზი, რომელმაც გაანადგურა ყიზილბაშთა რაზმები. დაუბრუნდა კახეთის სამეფოს. კახეთის მაგალითით ალტაიელები ქართლიც აჯანყდა; აჯანყებულებმა გაუგზავნეს თეიმურაზს წინადადება, ქართლის ტახტიც მიეღო.

ამ დროს თეიმურაზი დაიძრა მეზობელ შექისა და არემის ოლქებში. იქ მან გაანადგურა ირანული გარნიზონი და ხალხი შაჰის წინააღმდეგ ააჯანყა.

აჯანყების ჩასაქრობად შაჰ-აბასმა საქართველოში გადმოისროლა 15 ათასი ჯარი ალი-ყული-ხანის სარდლობით, რომელსაც თეიმურაზის ცოცხლად შეპყრობა დაავალა. ალი-ყული-ხანმა, რომელმაც გადაწყვიტა კახეთის ჯარებისათვის უკან დასახევი სავალებანი გადაეჭრა. დაიკავა მდ. არაგვის ფონი. თეიმურაზის დაზვერვამ შეიტყო მტრის ბანაკის ადგილმდებარეობა და მისი მზადების ამბავიც. თეიმურაზი თავს დაესხა და დაამარცხა ალი-ყული-ხანის 15-ათასიანი ლაშქარი. ყიზილბაშების ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, დანარჩენი დაიღუპა ან ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს.

ამ ამბავმა შაჰ-აბასი გააცეცხლა. აჯანყება ჩაღდებოდა და მალე მთელ კავკასიას მოედებოდა. შაჰ-აბასმა სწრაფი ზომები მიიღო მის ჩასაქრობად.

1616 წლის გაზაფხულზე მრისხანებით აღსავსე შაჰ-აბასი მთე-

ლი თავისი ძალებით კახეთისაკენ გამოემართა; მას გადაწყვეტილი ჰქონდა კახეთის საბოლოო დაპყრობა და განადგურება. მტრის უეცარმა თავდასხმამ თავზარი დასცა აჯანყებულებს. იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო მისი თავდასხმა, რომ ვერც ოსმალებმა შეძლო დაპირებული დახმარება აღმოეჩინა ქართველებისათვის; აჯანყებული ქართველობა დაიქსაქსა და ვერ მოასწრო ძალების შეკრება. არც თეიმურაზს გააჩნდა სათანადო სამხედრო ძალა, რომ ძლიერ მტერს ღია ბრძოლაში გამკლავებოდა.

თეიმურაზი თავისი მომხრეებით კვლავ დასავლეთ საქართველოში გაიხიზნა, ხოლო ხალხი ციხეებს შეეფარა და თავდაცვისათვის მოემზადა. ციხეებში ჩაკეტილმა კახელებმა შაჰს შეწყალება სთხოვეს, მაგრამ მრისხანე შაჰ-აბასმა ყურად არ იღო მათი თხოვნა: ცეცხლით და მახვილით ნანგრევ-ნასადგომებად აქცია ეს მხარე. მრავალი ხალხი ბრძოლებში დაიღუპა, ვინც კი მთაში გაიხიზნა ვერ მოასწრო, დაიღუპა; ქართველი ტყვეებით გაივსო ირანი (ფერეიდანი, ზორასანი, მაზანდარანი).

შაჰის ბრძანებით დანგრეულ და განადგურებულ იქნა ყველა თვალსაჩინო ციხე-ქალაქი, სასახლე, ეკლესია-მონასტერი, აკადემია, არხები, სოფლები, რომელთა ნანგრევებს ცეცხლი წააქიდებინა. მტარვალმა ძირფესვიანად ამოაგდებინა თუთის ხეები, ხოლო ბადვენახები, ხეხილის და კაკლის ხეები ძირში გააკაფებინა, გაანადგურა აგრეთვე მუშა და მეწველი საქონელი და ცხენები.

ამ მოქმედებით შაჰს განზრახული ჰქონდა კახეთის ეკონომიური ბაზა მთლად გაენადგურებინა და ამითი ქართველი ხალხი ფიზიკური მოსპობის ვზაზე დაეყენებინა, ხოლო ამ მხარეში კი მომთაბარე თურქმანები (თარაქამები) დაესახლებინა. მაგრამ შაჰ-აბასს ამ ბოროტი განზრახვის განხორციელება არ დასცალდა; იგი 1629 წელს მოკვდა.

\* გადახვეწილი თეიმურაზი 1634 წელს დაუბრუნდა კახეთს და მაშინვე დაუწყო ბრძოლა ქართლის მეფე როსტომს (მუსლიმანს). მას განზრახული ჰქონდა ქართლის დამორჩილებაც და მისი ტახტის დაკავება.

თეიმურაზს გარეშე მტრებთან, განსაკუთრებით ირანთან, შებრძოლება სურდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მისი ბატონობისათვის ბოლო მოეღო. ამ მიზნით დაუკავშირდა ფეოდალურ რუსეთს. მან სცადა კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია შეერთებული ძალით გამოეყვანა საქართველოს გარეშე მტრის წინააღმდეგ, ქართლიდან სპარსეთი განედევნა და ეს მხარე კახეთთან შეეერთებინა. გარეშე ძალის დახმარების ძიების დროს თეიმურაზი მიმართავს

რომის პაპს, ოსმალეთის სულთანს და რუსეთის მეფესაც... „თეიმურაზ I პროგრამით რუსეთი მთელი საქართველოს პოლიტიკის იმდროინდელ ძირითად საკითხებში უნდა ჩაბმულიყო. თეიმურაზის აზრით, საქართველოს ცალკე ნაწილების მმართველთ — თვითონ, იმერეთის მეფეს, სამეგრელოსა და გურიის მფლობელ-მთავრებს, კახეთის, XVI საუკ. მეფეთა მსგავსად (ლევანის და ალექსანდრესი), უნდა დაეფიცათ მოსკოვის მეფის ერთგულებაზე და მისგან ფული და შეიარაღებული დახმარება ეთხოვათ. უმთავრესად ამაში გამოიხატება თეიმურაზისა და, ნაწილობრივ, საქართველოს სხვა მმართველების მოლაპარაკება რუსეთთან მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში“.<sup>9</sup>

პირველად ამ საკითხზე მოსკოვიდან თეიმურაზთან (კახეთში) ჩამოვიდნენ ელჩები თავადი თეოდორე ვოლკონსკი და დიაკი არტიმან ზვატოვი და მათთან ერთად დაბრუნდა რუსეთიდან თეიმურაზის მიერ გაგზავნილი ელჩი კონსტანტინოპოლის პატრიარქის პროტოსეინგელოზი ნიკიფორე. ამ ელჩების კახეთში ყოფნის დროს (1639 წელს), თეიმურაზმა მოსკოვის ერთგულებაზე დაიფიცა.

ამის შემდეგ უფრო ვრცელი მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო რუსეთთან და ამიტომ ნიკიფორე მეორედ იქნა გაგზავნილი მოსკოვში ვოლკონსკისა და ზვატოვთან ერთად. მოსკოვმა საპასუხო ელჩები გამოგზავნა (1640 — 1643 წწ.) თავად ეფთიმე მიშეცკისა და დიაკი ივანე კლუჩარევის სახით.

მაგრამ „სპარსეთთან კონფლიქტის შექმნა მიხეილ რომანოვის მთავრობის ანგარიშში არ შედიოდა, XVII საუკ. პირველ ნახევარის სეფევიდების სპარსეთი მსოფლიო მასშტაბით მსხვილი ფიგურა იყო, და არც ისე ადვილი საქმე იყო მისი ათვალისწინება. ეხლანაშინაური არეულობის შემდეგ უფრო მოსასვენებლად განწყობილი რუსეთისათვის.... სუფსიღია 20.000 ეფიმი და საგრძნობი რაოდენობა სამურის ტყაების, რომელიც გასაგავს პოულობდა კონსტანტინოპოლის ბაზარზე, გამოგზავნილი იყო რუსეთიდან მიშეცკისთან ერთად. შეიარაღებული დახმარების აღმოჩენა კახეთის მეფისათვის, რომლის გეგმები თანდათან ანტიისპარსული მოქმედების ელფერს ღებულობდა, მოსკოვს არ სურდა... ამგვარად, თეიმურაზის იმედები, რომელსაც იგი მოსკოვზე ამყარებდა, არ გამართლდა, რამაც შემდეგ ხანებში რუსეთთან ურთიერთობა შეანეა; მიუხედავად ამისა, თეიმურაზის პოლიტიკა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მომენტია. ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით იწყება რუსეთთან ურთიერთობა ქართველ სხვა მფლობელებისა“.<sup>10</sup>

ამ სიტუაციაში თეიმურაზის მომხრენიც დაიქსაქსნენ და საგრ-

ქნობლად შემციროდნენ. ქართლის მეფემ როსტომმა ამ დროს კახეთს შეუტია და აიძულა თეიმურაზი სამეფო დაეტოვებინა.

კახეთის მმართველად ირანის შაჰმა როსტომი (მუსლიმანი) დაამტკიცა და მასვე მიანდო საქართველოსადმი განსაკუთრებული „თავაზიანი დაყვავებით“ პოლიტიკის გატარება, რადგან დარწმუნდა, რომ ცეცხლითა და მახვილით იგი ქართველი ხალხის სულს ვერ გატეხდა და საქართველოს და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ეკონომიურად ძლიერ მხარეს — კახეთს ვერ დაიმორჩილებდა.

როსტომმა, როგორც დაკვირვებულმა ადამიანმა, პირველ ხანებში შეძლო ამ პოლიტიკის განხორციელება, რითაც მდგომარეობა განიმტკიცა; მან არ უარჰყო ძირითადად ქართული ადამიანობები; არ შეზღუდა ქართველი საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობილება (გარეგნულად), მაგრამ თანდათან დასცა ზნეობრივი მხარეები და გახრწნა საზოგადოება.

თეიმურაზის მომხრენი კახეთში დარჩნენ და ირანელებთან საბრძოლველად ემზადებოდნენ. ირანელების წინააღმდეგ დიდ შეურიგებლობასა და სიძულვილეს იჩენდნენ მთიელები, კერძოდ თუშები, ფშავლები და ხევსურები, რომლებიც მოსკოვის მეფისაგან მფარველობასა და სამხედრო დახმარებას მოელოდნენ. სწორედ ამავე პერიოდში ირანის შაჰის სასახლის კარზე მოაგონდათ, რომ შაჰ-აბასის გეგმა კახეთში თურქმანთა მომთაბარე თემების ჩასახლებისა შეუსრულებელი დარჩა. შაჰმა ამ საქმის განხორციელება დაავალა განჯის ხანს (და არა როსტომს, რომელსაც არ ენდობოდა). იგი ბეჯითად და სწრაფად შეუდგა ამ უგვანო გეგმას განხორციელებას და ორიოდ წლის განმავლობაში გადმოსახლა კიდევ აზერბაიჯანიდან კახეთში მომთაბარე თურქმანების (თარაქმანების) დიდი რიცხვი, რომლებიც ბახტრიონსა, ალავერდში და სხვა საუკეთესო ადგილებზე დაასახლა. ამის შემდგომ მან განიზრახა ასეთნაირადვე კახეთის ბარის „ათვისება“.

არ უსვენებდნენ კახეთს აგრეთვე სელიმ-ხანის მოკავშირე დიდესტნელები, თავს ესხმოდნენ ქართველთა სოფლებს, აწიოკებდნენ, არბევდნენ, მოსახლეობას ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ტყვეებს.

კახეთი განადგურების საფრთხის წინაშე იდგა.

თურქმანები ლამობდნენ მთელი თიანეთის დაქერას თავიანთი რქიანი და წვრილფეხა საქონლის საზამთრო ბინებისა და საზაფხულო იალალების მოსაწყობად.

მომთინებიდან გამოსული ქართველი ხალხი დაირაზმა შემოსეული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. აჯანყება დაიწყო ახმეტის მფლობელის ბიძინა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით, მისი



ბმის ელიზბარისა და ქსნის ერისთავის შალვას აქტიური მონაწილეობით. ერთ მშვენიერ დღეს კარგად დარაზმულმა და იარაღსხმულმა კახელებმა, თუშებმა, ხევსურებმა, ფშაველებმა და მთიულებმა ერთსულოვანი შეტევითა და მედგარი დარტყმით გაასუფთავეს მშობლიური მიწა-წყალი დაუპატიებელი და ძალად ჩასახლებული „სტუმრებისაგან“. ეს ამბავი მოხდა 1659 წელს. ბახტრიონში, ალავერდსა და სხვა სოფლებში მკვიდრი მოსახლეობა მთებიდან და ტყეებიდან ჩამოვიდა და კვლავ დაუბრუნდა თავის მიწა-წყალს. თავზარდაცემული სელიმი კი გაიქცა. ამ აჯანყების შემდეგ ირანის შაჰმა უარყო კახეთში თურქმანების გადმოსახლება-ჩასახლების გეგმის განხორციელება. მან სელიმხანიც კი შეცვალა, მაგრამ ნაცვლად მეტი და არა მასზე ნაკლები მტარვალი დააყენა. ეს იყო მურტუზ-ალი-ხანი, რომელიც დიდი ლაშქრით კახეთში შემოიჭრა „წესრიგის დასამყარებლად“.

მალე ირანიდან შაჰმა მოსთხოვა შაჰ-ნავაზს (ჩ. ი. ვახტანგ VI) იმ ვაქალების წარგზავნა მასთან დასაჯილდოვებლად, რომლებმაც ამ აჯანყებაში თავი იჩინეს; ეს ეხებოდა ბიძინა და ელიზბარ ჩოლოყაშვილებს და ქსნის ერისთავს შალვას. ეს სამი გმირი გამოცხადნენ შაჰთან, მაგრამ დანაპირის ნაცვლად მან ისინი ირანულ თურქმანებს გადასცა, რომლებმაც ისინი წამებით მოკლეს.

XVII საუკუნის 70-იან წლებში კახეთი ეკონომიურად მოლონიერდა. მტერი მას უკვე აღარ ესეოდა. კახეთის მთავრებმა როსტომმა და მისმა შვილმა პირველად შესძლეს დროებით შეეჩერებინათ ლეკების თავდასხმები.

1677 წლიდან თითქმის ამ საუკუნის დამლევამდე ირანის შაჰი ნიშნავდა კახეთის მთავრებად ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან ყიზილბაშების სხვა ხანებს. მან კიდევ რამდენჯერმე სცადა კახეთში თურქმანების ჩასახლება.

ამ პოლიტიკის შედეგად ხანებმა ქართველ მოსახლეობაში ავტორიტეტის მოპოვების ნაცვლად აიძვდრეს მთელი მოსახლეობა, მისი ყველა ფენა — თავადები, ეკლესია, გლეხობა და თავისუფალი მთიულებიც კი.

ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალას, გადმოსახლებულ თურქმანებსა და მოკავშირე ლეკებს ეყრდნობოდნენ, რომლებსაც ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთ კახეთში (ქარში) გადმოსახლებას, ამასთანავე არავითარ ზომებს არ იღებდნენ მათ დაღესტნელ თანამემამულეთა — ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ ქურდულ თავდასხმებს და საქართველოს სოფლების დარბევა-აწიოკებას განაგრძობდნენ.

ქარში ლეკები XVI საუკუნიდან ჩამოსახლდნენ კახეთის მეფეების ნებართვით და მათი ქვეშევრდომები გახდნენ. მაგრამ ლეკების ქარში გადმოსახლება XVII საუკუნეში გაძლიერდა; განსაკუთრებით კი შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ, როდესაც დაღესტნის ლეკებმა, იხწყლთეს შესაფერი დრო, დამკვიდრდნენ ომში დაღუპულ და ირანში გატაცებული ქართველი მოსახლეობის ნასადგომებში.

ციზილბაშთა ხანებმა ხელშეწყობით ქარელმა ლეკებმა დაიწვეს მეზობელი სოფლების ადგილმამულის მიტაცება, ამასთანავე ქარი ამ პერიოდში გადაიქცა კახეთზე დამცემ-მტაცებელთა საყაჩაღო ბუნებად. <sup>11</sup>

1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლეს. ამის შემდეგ ირანში დიდა არეულობა დაიწყო. საქართველომ, ისარგებლა რა ხელსაყრელი პირობებით, უკანასკნელად და სამუდამოდ გამოიხსნა თავი ირანის ბატონობისაგან.

1747 — 1789 წწ. ქართლ-კახეთს განსაკუთრებით ბედნიერი დრო დაუდგა. ამ დროის მონაკვეთს სამართლიანად დაერქვა ქართველი ხალხის „გამოხსნის პერიოდი“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოსათვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ქართველმა ხალხმა, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების ხელმძღვანელობით, რჩევითა და დახმარებით, ნაწილობრივ შაინც შესძლო აღედგინა თავისი მრავალსაუკუნოვანი მეურნეობა, რომელსაც ასე დაუნდობლად, მკლური ეინით, ყაჩაღური თავდასხმებით (XIV — XVII სს.) სპობდნენ შემოსეული მტრები — თემურ-ლენგი, თურქეთის ზონტქრები, ირანელი შაჰები და მათი წაქეზებით თარაქამები და დაღესტნელების სხვადასხვა ტომები.

კახელებს, ერეკლე II სარდლობით, მრავალი სამხედრო ლაშქრობა მოუხდათ გაკადნიერებული და თავაშეებული მტრების მოგერიება-ალაგმვისათვის, მათ დაამარცხეს და მოხარკედ გახადეს ერევანის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები, რითაც დიდი პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვება მოიპოვეს. ამიერიდან საქართველომ უპირველესი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის. მიუხედავად ამისა, საქართველოს, კერძოდ კახეთის მოსახლეობის შეწუხება-შევიწროებას კვლავ განაგრძობდნენ ლეკები და მათი მოგერიება-ალაგმვა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხად გადაიქცა.

კახეთზე თავდასხმებმა განსაკუთრებით მწვავე და ხშირი ხასიათი 1700 — 1755 წწ. მიიღო.

ძლიერი იერიში მიიტანა კახეთზე ხუნძახის ხანმა ნურსალბეგმა. იგი 1754 წელს თავისი ურდოებით შემოესია ქართლ-კახეთს. მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს ქართლ-კახელებმა თეიმურაზ II და ერეკლე II სარდლობით. ქართველების კონტრდარტყმების შედეგად მტერმა დაიხია მჰადი-ჯერის (დუშეთის მახლობლად) ციხემდე, სოდაც ერეკლეს ლაშქარმა გაფანტა და მოსპო მტერი. ლეკების ჯარი სასტიკად დაჰარცხდა და ამოწყვეტილ იქნა, ხოლო ხუნძახის ბატონი კი დარცხვნილი დაღესტანში გაიქცა.

მაგრამ არ გასულა მას შემდეგ ერთი წელი, რომ ხუნძახის ხანმა მრავალრიცხოვანი ჯარით გაიმეორა შემოტევა (1755 წელს). იგი მიადგა ყვარლის ციხეს. აქედან მან მოუწოდა ჭარს, შექს, კაკი-ენისელს და განჯის სახანოებს მიშველებოდნენ მას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათაც მხარი დაუჭირეს. მაგრამ ამ ომშიც ქართველებმა ერეკლეს მეთაურობით სძლიეს მტერს და მათი შეერთებული ძალები მთლად გაფანტეს და გაანადგურეს. ამგვარად, მტრის გეგმა კახეთის აწიოკებისა და საქართველოს დედაქალაქის—თბილისის დარბევა-აოხრებისა ჩაიშალა.

მტრებთან ბრძოლაში ხალხი დიდ სიფხიზლეს იჩენდა. ამ შემთხვევაში მამაკაცებს არც ქალები ჩამოუვარდებოდნენ. დაძაბული მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, სანამ კახეთი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, მთელ სამეფოსთან ერთად რუსეთს არ შეუერთდა.

## ზოგიერთი რამ ხალხის ძველი და ახალი ყოფიდან

ეთნოგრაფიულად კახეთი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ფრიად საყურადღებო, მეტად თავისებურ კუთხეს არა მარტო ადათ-ჩვევების, არამედ, რიგ შემთხვევაში, დიალექტის თვალსაზრისითაც.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით იცვლებოდა, აგრეთვე, ხალხის ყოფაც. ადათ-ჩვევები, რომლებიც ახასიათებდნენ საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას გვაროვნულ ან ფეოდალურ პერიოდებში, კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში (XIX საუკ.) ახალ ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით, შესამჩნევად შეიცვალა. შეიქმნა სულ სხვა, ფეოდალურ წყობილებიდან ძლიერ განსხვავებული, საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

მართალია, ძველი ადათ-ჩვევები ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში მაინც შიგადაშიგ რჩებოდა, მაგრამ უკვე როგორც წარსულის გადმონაშთები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალისტური მეურნეობისა და საბჭოთა კულტურის მძლავრი აღმავლობის ხანაში, საფუძვლიანად შეიცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობა, ძველი ყოფის გადმონაშთები მალე გაქრა და სამაგიეროდ ახალ ვითარებაში ჩქარი ტემპით შემოიჭრა და დაინერგა ხალხში სოციალისტური კულტურის შესაფერი ყოფა.

რამდენადაც ძველი ადათ-ჩვევების გადმონაშთებში მკაფიოდაა გამოხატული ხალხის თავგადასავალი. მისი კულტურული და ეკონომიური განვითარების ეტაპები, ვფიქრობთ, თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ძველი ყოფიდან ზოგიერთი ადათ-ჩვევების გაცნობა.

## ნიშნობა და ქორწილი

უწინ საქართველოს, კერძოდ, კახეთის სოფლის მოსახლეობაში ქალ-ვაჟის დაქორწინება მთლიანად მათ მშობლებზე იყო დამოკიდებული და მათივე გემოვნება-შეხედულებაზე დამყარებული. ვინც მშობლებს მოეწონებოდათ — ქალი იქნებოდა ეს, თუ ვაჟი, — ვისაც ისინი შეარჩევდნენ, ჯვარსაც იმაზე დაწერდნენ თავიანთ შვილს.

სანამ ახალგაზრდები დაინიშნებოდნენ, პირველყოვლისა დედამას უნდა გამოერკვია მათი (ქალის ან ვაჟის) მშობლების ვინაობა, ხასიათი, ჯანმრთელობა, შეძლება, მდგომარეობა, სოფლად მათდამი მეზობლებისა და საერთოდ სოფლის დამოკიდებულება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარე და შიდა კახეთის სოფლებში დავაქაცების პერიოდი შედარებით ადრე იწყება; 16 — 17 წლის ვაჟი უკვე საკმარის მომწიფებულია, და უწინ, ამ ასაკს მიღწეული ვაჟები უკვე ცოლშვილიანდებოდნენ.<sup>12</sup> ქალიშვილები კი უფრო ადრე თხოვდებოდნენ.

ხშირად 12 — 13 წლის ქალიშვილს, ჯერ კიდევ ბავშვს, ათხოვებდნენ 20 — 25 წლის ვაჟსაც; ამ უარყოფით მოვლენას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით მრავალშვილიან, დარბ, უსაქონლო გლეხურ ოჯახებში, სადაც ეკონომიური სივიწროე აიძულებდა ამ გზით ოჯახიდან ერთი მკამელი მაინც წასულიყო. მართალია, ამ ასაკში გათხოვებას სახელმწიფო კანონი კრძალავდა, მაგრამ ეკლესიის მსახურთა, სოფლების მამასახლისებისა და „მწერლების“ (კანცელარიის მოხელეების) დახმარებით (ბოქრთამვით) ამ უკანონობასაც ახერხებდნენ.

ქალის ან ვაჟის ოჯახში იგზავნებოდა შუაქაცი და მაჰანკალი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ქალის (ან ვაჟის) ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა. ჩვეულებრივად „შუაქაცად“ მამაკაცს ირჩევდნენ, ხოლო „მაჰანკალად“ კი დედაქაცს, რომლებიც ამ დავალებას ასრულებდნენ განსაკუთრებული გასამრჯელოს მიღებისას (საშუაქაცო, სამაჰანკლო). შუამავლები, რასაკვირველია, ყველა ძალ-ღონეს ხმარობდნენ, რომ დავალებული საქმე დადებითად გაეჩარხათ.

პირველ ყოვლისა შუამავალი მიმოიკვლევდა, ხომ არ არსებობს ქალიშვილისა და ვაჟიშვილს შორის ნათესაური კავშირი ან ნათესაური დამოკიდებულება; ამ შემთხვევაში ნათესაურ ახლო დამოკიდებულებად ითვლებოდა არა მარტო სისხლით ნათესაობა (ბიძა-შვილი, მამიდა-შვილი, ბიძაშვილის შვილი და სხვა), არამედ ნათელ-მირონობაც (ნათლია, ნათლის შვილი, ნათლის ძმა) და ერთი გვა-

რის პირდაპირი შტოს ჩამომავლობა მეოთხე, მეხუთე თაობამდე (პაპიდაშვილი, პაპიდაშვილიშვილი); ამ დამოკიდებულებაში მყოფი ქალ-ვაჟის შეუღლება სასტიკად იყო აკრძალული და დაგმობილი.

შუაეკაცი და მაქანკალი ყველა ხერხს მიმართავდნენ, რაც შეიძლება ზუსტად გაეგოთ ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ხერხებს იყენებდნენ. ისეც კი ხდებოდა, რომ მაქანკალი, რომ მიუახლოვდებოდა სამაქანკლო ოჯახს და დაინახავდა მის ეზოში მწოლიარე მყეფარს (ძალს), შეეცდებოდა, როგორმე ფეხზე აეყენებინა და გაეანჩხლებინა იგი: ზელს აუქნევდა, ქვას დასწვდებოდა, ან წკებლას მოუქნევდა; მყეფარი რომ ფეხზე წამოხტიბოდა და ღრენეასა და ყეფას დაიწყებდა, მაქანკალი ფიცხლავ მის ფერდებს დააქქერდებოდა: კარგად გამოიყურება თუ არაო, აკვირდებოდა მის ფერდებს ჩაეარდნილი ჰქონდა თუ არა და ძალის მოვლა-პატრონობის მიხედვით მაქანკალი უკვე ასკვნიდა მოსაკვლევ იჯახის შეძლების შესახებ.

ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის წინასწარი გამორკვევისათვის მეორე საშუალებად კატა იყო მიჩნეული.

მაქანკალი, ქალის (ან ვაჟის) ოჯახში რომ შევიდოდა მიმოიხედავდა, რომ სადმე კატისათვის შეესწრო თვალი; მოეფერებოდა, მიუალერსებდა მას, ჯიბიდან პურის ნატეხს ამოიღებდა და მიუგდებდა, ხელში აიყვანდა, ზურგზე და ფერდებზე ხელს გადაუსვამდა. თუ კატა კარგად იყო შენახული მაქანკალი ასკვნიდა, ოჯახი შეძლებულად ცხოვრობსო.

ამგვარი და სხვა ხერხებითა და საშუალებებით მაქანკალი და შუაეკაცი უკვე წინასწარ იგებდნენ მოსაკვლევ იჯახის ქონებრივ მდგომარეობას.

დაქორწინების საკითხში ზუსტად იყო დაცული ოჯახის უფროს-უმცროსობის რიგობითი წესი. პირველ ყოვლისა უნდა დაქორწინებულიყო უფროსი ვაჟი (ან ქალიშვილი), შემდეგ — მისი მომდევნო და ბოლოს ყველაზე უმცროსი (ან „პატარა“, როგორც სოფელში უწოდებენ).

გლეხური ოჯახები ცდილობდნენ ვაჟიშვილი რაც შეიძლება მალე დაქორწინებულიყო, რომ ოჯახს მუშა-ხელი მომატებოდა.

ვაჟის მშობლები, ქალის ოჯახის თანხმობას რომ შეიტყობდნენ. ვაჟი თავისი უახლოესი ნათესავების თანხლებით პატარძლის ოჯახში გაემგზავრებოდა და თანაც ნიშანს და საჩუქარს წაიღებდა.

უქრავლეს შემთხვევაში საჩუქარი აბრეშუმის ბალიდსა და ფულს (50 კაპიკიდან 5 მანეთამდე) წარმოადგენდა. აღმოსავლეთ

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ XIX საუკუნის 70-იან წლებიდან ბაღდადისა და ფულის გარდა, შეძლებულ ოჯახებში, შემოდებულ იქნა ოქროს ბეჭდის, ან ოქროს სამაჯურის, ან-და გულის ქინძისათვისა და „ბუზიკის“ (გარმონის) მირთმევა.

ამ ნიშანს (ანუ საჩუქარს) გარე კახეთში „ბელგა“ ერქვა, ხოლო შიდა კახეთში კი „ხელის დადებას“ უწოდებდნენ.

პატარძალი საჩუქრის მიღების დღიდან დანიშნულად ითვლებოდა და ნეფე-პატარძალს ნება არ ჰქონდათ ერთმანეთისათვის ელაღატათ და უარი განეცხადებინათ დაქორწინებაზე, ან სხვისათვის მიეცათ პირი.

პატარძლის „დაბევების“, ანუ „ხელის დადების“, დღიდან უკვე ნეფე-პატარძალს შეეძლოთ დაახლოვებოდნენ ერთმანეთს და ცოლქმრული ურთიერთობა დაეწყოთ (ფაქტიური ცხოვრება); თუ პატარძალი დაორსულდებოდა და დაქორწინების მეორე ან მესამე თვეზე შეიღი გაუჩნდებოდა ეს დასაძრახისად არ ითვლებოდა, პირიქით, ამ ამბავს ოჯახში სიხარულით ხედებოდნენ.

ამგვარად, დანიშნულთა ფაქტიურმა ცხოვრებამ ჯვრის-დაწერამდე, კახეთსა და გარე კახეთის სოფლებში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, როგორც სრულიად კანონიერმა ურთიერთობამ.

იმ მხარეს, რომელიც დაარღვევდა ამ ტრადიციას, განსაკუთრებით კი ვაჟიშვილს, თუ იგი მიატოვებდა ფეხმძიმე პატარძალს, სოფელი დაწყევლიდა და განდევნიდა კიდეც (სოფლის ყრილობის განაჩენით). ზოგიერთ შემთხვევაში ქალეურის ნათესაობა, გვარი (ოჯახის) შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს უხდიდა (ზოგიერთ შემთხვევაში ჰკლავდნენ კიდეც). მაგრამ საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათად ხდებოდა.

„ხელის დადებით“ არ ამოაწურებოდა ნეფის (ანუ მეფის) პატივისცემა. იგი ვალდებული იყო დაქორწინებამდე რამდენჯერმე დაესაჩუქრებინა პატარძალი. ამისათვის განკუთვინილი იყო საგანგებო (სადღესასწაულო) დღეები; მაგალითად, ზაფხულში პეტრე-პაელობას. ამ დღისათვის ნეფე საჩუქრებით უნდა ხლებოდა პატარძალს.

ნეფის დედ-მამა ცდილობდა ამ დღეს ოჯახი სირცხვილში არ ჩავარდნილიყო. დღესასწაულამდე ოჯახი უკვე ემზადებოდა: გამოაცხობდნენ გამტკიცულ შოთებს, ნაზუქებს, ხაქაპურებს, დაკლავდნენ საგანგებოდ ამ დღისათვის გასუქებულ ცხვარს (ყოჩს), „ქოსმენს“, შეიძენდნენ გუდის ყველს, გაავსებდნენ ტიკებს საუკეთესო, თავანკარი ღვინით. ნეფე კიდეე ნარჩევ ხილეულობას იშოვნიდა, შეიძენდა პატარძლისათვის ფეხსაცმელებს, ცხვირსახოცებს, დაირას,

გარმონს (საუკეთესო „ბუზიკას“) და ამ სურსათ-სანოვაგით, ფართლელულობით და საჩუქრებით გავსებული ურემი გაემართებოდა პატარძლიანთა.

პატარძლის დედ-მამა ნეფეს მოელოდა სრული იმედით, რომ იგი ყველაფრის თადარიგს დაიჭერს და საჭირო ხორაგს თან მოიტანს სტუმრების გასამსპინძლებლად. მათ მოვალეობას კი მხოლოდ სტუმრების (ნათესაუების, ნაცნობების, ნათლიების, მოკეთეების, მეზობლების) დაპატიება შეადგენდა.

პატარძლიანთა სტუმრები თავს რომ მოიყრიდნენ, მთელი ოჯახი, სტუმრებთან ერთად, ეკლესიაში წირვის მოსასმენად გაემგზავრებოდა. წირვა რომ გამოვიდოდა ყველა ისევე პატარძლიანთა ბრუნდებოდა ნეფე კი მღვდელს მიიწვევდა.

აკურთხებდა თუ არა მღვდელი სუფრას, მაშინათვე ქეიფი გაიშლებოდა.

აირჩევდნენ სუფრის ტოლუმბაშს, რომელაც მთელი ქეიფის განმავლობაში სუფრას უნდა გაძლოლოდა.

გაჩნდებოდა საკრავი, რომელიც საცეკვაოს დაუკრავდა: <sup>13</sup> „არიქა, ბიჭებო, გაუსვით ფეხი!“ წამოიძახებდა ტოლუმბაში და სუფრიდან წამოიშლებოდა ახალგაზრდობა. პირველყოელისა საცეკვაოდ გამოიწვევდნენ პატარძალს, შემდეგ მის მეგობრებს, ნეფის რაგიც მოვიდოდა. დინჯად გამოვიდოდა ნეფე, ერთს დაუვლიდა, მივიდოდა პატარძალთან, თავს დაუკრავდა და საცეკვაოდ გაიყვანდა, მაგრამ მალე შესწყვიტავდა ცეკვას და სუფრისაკენ გაემართებოდა, ხოლო პატარძალი კი ცეკვას განაგრძობდა მაყრებთან.

სუფრაზე პატარას რომ წაისაუზმებდნენ და ერთ-ორ ჯამ ღვინოს შესვამდნენ, დადგებოდა პატარძლის მილოცვის ყამი.

მას დამსწრე სტუმარ-მოკეთეები ულოცავდნენ ფულით (25 კაპ., 50 კაპ., 1-3 მანეთამდე), ფართლელულობითა და ძვირფასი ნივთებით (ბეჭდებით, სამაჯურებით. გულის ქინძისთავეებით, ბაღდალით, აბრეშუმის ან შალის კაბით, ფეხსაცმლით); პატარძლის ამ მილოცვას „პირის სანახავი“ ერქვა.

ნიშნობის დროსტარება ჩვეულებრივ ?—3 ღღეს გრძილდებოდა, ეს დამოკიდებული იყო ნეფის ქონებრივ მდგომარეობაზე.

საამურ და ბარაქიან შემოღგომაზე მაქრობა რომ მოთავდებოდა და ახალი ღვინოები დადუღდებოდა, გარე კახეთის და კახეთის სოფლებში საქორწილოდ გაფაციცებული მზადება მიმდინარეობდა.

ინკენისთვე და გიორგობისთვე (ე. ი. სექტემბერ-ოქტომბერი) გადაბმული ქორწილების თვე იყო. დანიშნულთა ორივე მხარე, როგორც ნეფის, ისე პატარძლის დედ-მამა ემზადებოდა საქორწილოდ. <sup>14</sup>



„პატარძლიანთა“ ყველაფერს რომ გაამზადებდნენ, აცნობებდნენ ამ ამბავს ნეფეს და დანიშნავდნენ საქორწილო დღეს.

ქორწილის დღეს ნეფე, მაყრებით გარშემორტყმული, მიემგზავრებოდა პატარძლის ოჯახში, რომ თავისი დანიშნული ეკლესიაში წაეყვანა ჯვარის დასაწერად.

როცა იგი თავისი ამალით სოფელს (ან პატარძლიანთ სახლს) მიუახლოვდებოდა, რამდენიმე მაყარი დაწინაურდებოდა, გააქენებდნენ ცხენებს, რომ პატარძლიანთა მახარობლებად მისულიყვნენ და შეეტყობინებინათ ნეფის შოაზლოვება. დაწინაურებული მაყრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უფრო ადრე მიასწრებს ამბის მიტანასო...

მიუახლოვდებოდა თუ არა პატარძლიანთ ოჯახს, მაყარი დამბაჩას (ან ფასტონიან თოფს) დასცლიდა და ხმამაღლა დაიძახებდა:

„მე ვარ მახარობელი  
სახლის გამხარებელი  
ამიხეიეთ მხარი,  
მტერს დაუღა თვალი!“

მახარობელს (მაყარს) ოჯახის დიასახლისი მიეგებებოდა და მარჯვენა მკლავზე მოახვევდა აბრეშუმის ბაღდადს (ზოგჯერ ცხენის ფაფარზეც კრელ ბაღდადს მოახვევდნენ), ხოლო ოჯახის მამასახლისი კი (პატარძლის მამა) მას ჯამით ღვინოს მიართმევდა.

მახარობელი გამოართმევდა ჯამს, დაილოცებოდა, დაცილიდა სასმისს, შემდეგ გადააბრუნებდა მას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაახეთქებდა მიწაზე და გატეხავდა ოჯახის შესასვლელ კარების წინ, თანაც მიიძახებდა: „ასე მტერი დაგელიოთო“.

შემდეგ შეაბრუნებდა ცხენს და ქენებით ისევ ნეფის ამაღას შეუერთდებოდა.

როდესაც ნეფე თავისი მაყრებით უკვე პატარძლიანთა მივიდოდა და ოჯახში შესვლას დაპირებდა, პატარძალს დაუმალავდნენ ისეთნაირად, რომ მაყრებმაც კი არ ნახონო და არ წაგვართვანო. გადამალულ პატარძალს მისი ტოლ-ამხანაგები საქორწილო ტანისამოსით მოსავდნენ, კაზმავდნენ ბეჭდებით, სამაჯურებითა და გულის ქინძისთავეებით. ამ დროს ეზოში გაისმოდა მაყრების ხმაური, — მოითხოვდნენ პატარძლის გამოყვანას, ქალები კი ჯიუტობდნენ.

მოლაპარაკების შემდეგ დათანხმდებოდნენ პატარძლის გამოყვანას იმ პირობით, რომ ნეფის მეჯვარეს 2 — 3 მანეთი გადაეხადა იმ ქალისათვის, რომელმაც პატარძალს ხელსაქმე შეასწავლა.

ეს ცერემონიალი რომ მოთავდებოდა, მაყრები მოჰკიდებდნენ ხელს პატარძალს და ნეფეს გადასცემდნენ.

ამ დროს პატარძლის დედა ხელში ღვინით სავსე ერთ პატარა ჯამს (ან ყანწს) აიღებდა, დაიჩოქებდა და თავის ქალიშვილს დაულოცავდა მომავალ ოჯახურ ცხოვრებას. ამ დალოცვის დროს ნეფე მიეპარებოდა სიღედრს ზურგიდან და ჯამში (ან ყანწში) ვერცხლის ფულს ჩაუგდებდა.

ამის შემდეგ ნეფე და პატარძალი ეკლესიაში გაემგზავრებოდნენ.

ეკლესიის შესასვლელ კარებთან გადაჯვარედინებულ ხმლი-ბით (ან ხანჯლებით) მათ მეჯვარეები დახვდებოდნენ (ერთი ნეფის, ხოლო მეორე დედოფლის მხრიდან), დანიშნულებს იარაღის ქვეშ უნდა გაევლოთ, რომ ავი სული ან ავი თვალი არიდებოდათ.

კახეთის სოფლებში ისეთი შეხედულება იყო, თითქოს რომელი მხარის მეჯვარეც უფრო მაღლა აიშვერდა ხმალს (ან ხანჯალს), ის მხარე იქნებოდა გაბატონებული ახალ ოჯახში. ამიტომ მეფის და დედოფლის მეჯვარეები ეკლესიის კარებთან ამ წესის შესრულების დროს ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ (ვინ უფრო მაღლა აიშვერს იარაღსო). ამ რიტუალს „ჯიმიითი“ ერქვა.

ასეთივე ამბავი მეორდებოდა ეკლესიიდან ოჯახში დაბრუნების შემდეგ — დედოფლიანთ და ნეფეანთ ოჯახის შესასვლელ კარებთან.

ჯვრისწერის შემდეგ ნეფე-პატარძალი ოჯახში ბრუნდებოდნენ: წესით, პატარა ხანს დარჩებოდნენ დედოფლიანთა (შესაძლებელია ერთ საღამოს), შემდეგ კი სტუმარ-მასპინძლიანა მიდიოდნენ ნეფის ოჯახში, სადაც ქორწილი იშლებოდა.

შესასვლელ კარებთან ნეფე-პატარძალს პირუტყლმა გადაბრუნებულ ჯამს ან საინს დაუდებდნენ გასატეხად, რომ ამით „მტერი“ ან „ავი თვალი“ დაემსხვრიათ, გაენადგურებინათ; თუ ამ რიტუალის შესრულებას ნეფეს პატარძალი დაასწრებდა და ფეხის ჩაკვრით ჯამს გატეხდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ „ოჯახში პირველობას პატარძალი დაიკავებდა“.

კარებში ნეფე-დედოფალს ნათლია<sup>15</sup> უნდა შეხვედროდა და მიგებებოდა ტკბილეულით (მაქარლამით, ფალუსტაკით, თაფლის ნამცხვარით, ან შარბათით), რომელიც ნეფე-დედოფლისათვის თავისი ხელით პირში უნდა ჩაეღო და დაელოცა: „ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ასე ტკბილად დაგაბერთოთ“. ხალხში ამ ადამ-ჩვევის შესახებ გავრცელებული იყო ასეთი შეხედულება, რომ თუ ტკბი-

ლელს მამაკაცი (ნათლია) მიაწვდიდა, პირველი შვილი ბიჭი უნდა დაბადებულიყო, თუ ქალი — მაშინ გოგო.

ნათლია დაიდგამდა თავზე ტკბილეულითა და ნაზუქებით გაესებულ თაბახს, მარჯვენა ხელში დაიკავებდა ხელადა ღვინოს, გაიყოლებდა წინ ნეფე-დედოფალს და მეჯვარეებისა და მაყრების თანხლებით საჩჯერ მოატარებდა მათ ოჯახის კერის გარშემო. ამ ტარების (სიარულის) დროს თანხლებელი მეჯვარეები და მაყრები ხანჯლის წვერებით (ან ხმლებით) ჩამოაგდებდნენ ხოლმე დედაბოძიდან ან ქერიდან ჩამოკიდებულ ხილს (ამ ადათის მოსახდელად დედოფლის ოჯახში დედაბოძზე ან ქერის ფიცრებზე წინასწარ ჩამოკიდებდნენ ხოლმე ხილის ჯაგნებს ან ყურძნის აკიდოებს), და თანაც მღეროდნენ:

„ჯვარი წინა,  
ჯვარი უკანა;  
ანგელოზო, შინ შემოდი.  
ნეტავი ნეფის დედასა;  
ვარდნი უსხედან კერასა;  
იუდის ნეფის დედასა  
თავნი უსხედან კერასა“.

ნეფე-დედოფალი რომ დააპირებდნენ სუფრასთან დაჯდომას, მათთვის წინასწარ გამზადებულ მომალლებულ საჯდომებზე დახვდებოდნენ წამოწოლილი პატარა ბიჭი (რომელსაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა), იგი სულს განაბავდა, ვითომ სძინავსო, არ ღებოდა, ადგილს არ უთმობდა, სანამ მეჯვარე არ დაასაჩუქრებდა ფულით ან ხილით. საჩუქრის მიღების შემდეგ ბიჭი წამოხტებოდა და ნეფე-დედოფალს ადგილს დაუცლიდა. ის იყო ნეფე-დედოფალი დასასხდომად მოეწყობოდნენ, რომ ამ დროს, უცბად, რომელიმე მახლობელი (ნათესავი) ნეფეს კალთაში ჩაუხვამდა ძუძუმწოვარა ბავშვს (ბიჭს) და თანაც მიაძახებდა: „ღმერთმა მოგცეთ ასეთი ბიჭი!“. ნეფე ხელში აიყვანდა ბავშვს, გადაჰკოცნიდა და გადასცემდა მას დედოფალს, რომელიც მოეხვეოდა, ჩაიხუტებდა ბავშვს და შემდეგ ბავშვის დედას დაუბრუნებდა.

დედოფლისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოებში ტოლუმბაში ყოველთვის ხაზს უსვამდა ქმრისადმი ერთგულებას, პატივისცემას, მის ნათესავეებისადმი სიყვარულს, შრომისმოყვარეობას.

პატარძალს უსურვებდნენ აგრეთვე, რომ იგი ოჯახის დამამშვენებელი და გამაერთიანებელი ყოფილიყო; არ დაენგრია ოჯახის მთლიანობა, არ გაეყარა მახლები (ე. ი. ქმრის ძმები), პატივისცემით

მოპყრობოდა დედამთილსა და მამამთილს და თავისი ბეჯითი და ერთგული შიომთი, აგრეთვე სამაგალითო დედობით გაეხარებინა ახალი ოჯახი და მტრისათვის თვალი დაეყენებინა. <sup>16</sup>

ქორწილშიაც, როგორც ნიშნობაში, მეორედბოდა დედოფლისათვის „პირის სანახავის“ („გადალოცვის“) შეგროვება სუფრაზე სადილის ან ვახშმის დროს მაყრებისა და პატარაქლის ამხანაგებს შორის. გარდა ამისა, ქორწილში დამსწრე ნათესაეები და სტუმრები სწირავდნენ ოჯახს „ოჯახის შესაწევარს“ — ფულით, პურით, საქონლით, ან სურსათ-სანოვაგით; ზოგჯერ ახლო ნათესაეი მეცხვარე ცხვრის ფარასაც შეაწევდა, ან ძროხას მიართმევდა „შესაწევარის“ სახით.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნიშნობასა და ქორწილს გლეხკაცისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნიშანი და ქორწილი გლეხური ოჯახისათვის სიხარულისა და მოლხენის დღედ ითვლებოდა და ამიტომაც იყო, რომ ყოფის ამ ორ მოვლუნას დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხი და განსაკუთრებული თეატრალით ატარებდა ცხოვრებაში. ყურადღების ღირსია ის მომენტიც, რომ ამ ადათების შესრულებაში ყველა მონაწილეს (დედოფალს, ნეფეს, მეჯვარეს, მაყარს, ნათლიას, მოკეთეს, სტუმარს, მეზობელს, სიმამრს, სიდედრს, აღმზრდელს, ხელსაქმის მასწავლებელს და სხვ.) თავთავისი ადგილი და როლი ჰქონდა განკუთვნილი დაწესებული ადათის (ეტიკეტის) ზუსტი დაცვით. სიტყვა-პასუხში, მიმართვასა და ცეკვა-თამაშშიც უფროს-უმცროსობას ექცეოდა ყურადღება; ნიშნობასა და ქორწილში ამ წესრიგის შესრულებიანა და დაცვისათვის საგანგებო პირი იყო ხოლმე გამოყოფილი, რომელიც თავიდან ბოლომდე წარმართავდა მთელ იმ თეატრალით მოსილ ცერემონიალს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მისი როლი შეეადართ „ღირიჟორს“, „რეჟისორს“ და ამავე დროს „სუფლიორს“ (მოკარნახეს).

ქორწილისათვის განკუთვნილი ორი ან სამი დღის განმავლობაში გლეხის ოჯახში მართლა ნამდვილი, პირუთენელი დროს ტარება, სიხარული და ლხენა იმართებოდა. გაისმოდა გადაბმული სიმღერები, შაირები, დიალოგური ფორმის ზმაკიდურები, უმთავრესად ნეფე-პატარაქლის შესახები, სტუმარ-მასპინძელი ოხუნჯობდა, ცეკვავდა, თამაშობდა; ხარობდა ყველა ქორწილში მყოფი.

დაქორწინებულებს „ნეფის“ (ანუ მეფის) და „დედოფლის“ სახელწოდება რჩებოდათ იმ დრომდე, სანამ მათ თავზე გვირგვინები ედგათ (3 დღე და ღამე).

ხალხური ადათ-ჩვევების მიხედვით ნეფეს და დედოფალს მთელი

ქორწილის განმჯელობაში დიდი და შეუზღუდველი უფლებები ენიჭებოდათ. ნეფეს, მაგალითად, უფლება ჰქონდა, ქორწილის პერიოდში, გაერჩია და გაესამართლებინა მყარებს შორის მომხდარი უთანხმოებანი, დაესაჯა დამნაშავე.

გაღმოცემით, სოფ. მარტყოფში XIX საუკ. 80-იან წლებში იყო შემთხვევა, როდესაც „ნეფის“ ბრძანებით მაყარი ოჯახის შეურაცხყოფისათვის ბოძე მიუყარავთ და მაყარებს უცემიათ, ვიდრე დამნაშავეს თავისი საქციელი არ მოუნანიებია და ოჯახის წინაშე ბოდიში არ მოუხდია.

სასჯელიდან გათავისუფლების უფლება და სასჯელის მოხსნა მხოლოდ „დედოფალს“ შეეძლო.

საქორწილო დროსტარების შემდეგ ახლად დაქორწინებულებს გვირგვინებს მოხსნიდნენ მხოლოდ მესამე დღის ბოლოს (მზის ჩასვლის შემდეგ); აღსანიშნავია, რომ გვირგვინების მოხსნა ხდებოდა ხანჯლის წვერით და არა ხელით.

როდესაც ქორწილის ბედნიერი დღეები მოთავდებოდა და ოჯახი შეუდგებოდა მომავალი ცხოვრების გზას, ახალ რძალს უკვე თავიდანვე შეხედებოდა ეკლიანი გზა.

ახლად დაქორწინებულ ქალს ერთ წლამდე აკრძალული ჰქონდა სახლიდან გარეთ — ქუჩაში, ვენახში ან წყაროზე გასვლა. მას არ უნდა ელაპარაკა არც მამამთილთან, არც მამლებთან, არც სხვა ვინმე მეზობლებთან. რასაც ეტყოდნენ, უჩუმრად უნდა შეესრულებინა; დედამთილი თუ რამეს შეეკითხებოდა, და ისიც სხვის დაუსწრებლად, ახალ რძალს შეეძლო პასუხი გაეცა ჩუმად, რომ მისი ხმა მეტს არავის გაეგონა.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში გამოთქმულია ახალი რძლის საყვედური დედამთილისადმი, რომელმაც ეს წესი დაარღვევინა რძალს:

„აკი ვითხარ, დედამთილო,  
ნუ გამგზავნი წისქვილშია,  
შემომხედებიან ბიკები,  
ჩაგვაგდებენ სირცხვილშია“.

წლისთავზე, ახალი რძალი გარეთ გამოსვლას რომ დააპირებდა, პირველად მას ვენახში ან წყაროზე დედამთილი გაიყვანდა. ამის შემდეგ ეს შეზღუდვა ეხსნებოდა; ამიერიდან უფლება ეძლეოდა დალაპარაკებოდა მეზობლებს, ოჯახის ყველა წევრს, ტოლ-ამხანაგს და მოკეთებშიც გასულიყო.

## სამიწათმოქმედო ხასიათის ზოგიერთი ადამ-ჩვევა

მიწათმოქმედება, კერძოდ, ხენა-თესვა, ძველთაგანვე მიწაზე დამ-ჯდარი ქართველი ხალხის მთავარ საარსებო წყაროს და ცხოვრე-ბის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით განთქმული იყო ქიზიყი და უკანა მხარი.<sup>17</sup>

წინა მხარეშიც,<sup>18</sup> სადაც უმთავრესად მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული, ხენა-თესვას მაინც საპატიო ადგილი ეკავა.

მჯერამ, უწინ ხალხი, რომელიც პრიმიტიულ მეურნეობას მის-დევდა მარტივი ტექნიკური იარაღებით, მოკლებული იყო საშუა-ლებას უზრუნველყო მოსავლის გადიდება და თავიდან აეცილებინა მოსავლის გამანადგურებელი მიზეზები და შებრძოლებოდა ბუნებ-რივ მოვლენებს; მას საამისო არც ცოდნა, არც მომზადება, არც კულტურული განვითარება ჰქონდა და არც შესაფერი ტექნიკური საშუალებანი მოეპოვებოდა.

ადამიანისათვის მაშინ, იმ პირველყოფილი არსებობის პირო-ბებში, გაუგებარი იყო ბუნების მოვლენების მიზეზები წვიმა-გვა-ლეა, ან ჰეჟა-ქუხილი, სეტყვა-ხორხოშელა, ნიაღვარი და მეწყერი, მოუსავლიანობა, ყანების გამანადგურებელი კალიის, ბოგანო-ჭიის, თაგვის გაჩენისა და შემოსევის და მათთან ბრძოლის საშუალებანი.

ხალხში დამკვიდრებული იყო შეხედულება, თითქოს რაღაცა იდუმალი, ზებუნებრივი ძალა ქმნის ამ პირობებს ადამიანის გასა-ნადგურებლად; ამიტომ ადამიანი ყოველგვარ ძალ-ლონეს ხმარობ-და, რომ ამ „ავი სულის“, ან „ღვთაების“ მისდამი კეთილი განწყო-ბილება მოეპოვებინა, მისი რისხვა აერიდებინა და თავისი ერთად-ერთი, საარსებო წყარო — მოსავალი გადაერჩინა, რათა ცოლ-შვილი შიმშილით არ ამოწყვეტოდა.

„ამ სხვადასხვა ყალბ წარმოდგენას ბუნებაზე, — ამბობს ფ. ენგელსი, — თვით ადამიანის არსებობაზე, სულელებზე, ჯადოსნურ ძალებზე — უმეტეს წილად მხოლოდ უარყოფითი ეკონომიური პი-რობები უღევთ საფუძვლად...“ (ჯ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტომი II, გვ. 600, 1950 წ.).

ამ ნიადაგზე გაჩნდა მრავალი ცრუმორწმუნოებრივი შეხედუ-ლება, რომელთა გაღრმავებაში სარწმუნოებრივი კულტის მსახურთ დიდი როლი მიუძღვით.<sup>19</sup>

„იდუმალი“ ძალის მომადლიერება ეწყობოდა გაზაფხულის დამ-ღევიდანვე.

პირველყოვლისა, მინდვრის სამუშაოებს რომ წარმატება მისცე-მოდა, ყველიერის ხუთშაბათს მიუძღენიდნენ „სამუშაო დღეს“. ხალ-

ზური შეხედულებით, რასაც კი ადამიანი ამ დღეს მოიმოქმედებდა, სწორედ ის სამუშაოები და ბარაქა მას დაებედებოდა მთელი წლი: განმავლობაში. ამ დღეს გლახი ცდილობდა ყველა იმ სამუშაოთა სახეობის ჩატარებას, რასაც იგი მთელი წლის განმავლობაში შეხედებოდა.

მეორე საზრუნავ საგნად გლახს ისიც ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მინდვრის ყოველი სამუშაოსათვის სათანადო ხელსაყრელი დრო შეერჩია.

ძველად ხალხის შეხედულებით მოსავალი დამოკიდებული იყო მთვარეზე და მის ცვალებადობაზე (ფაზებზე).

მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის საუკეთესო ჟამად აღიარებული იყო „ახალი მთვარე“; თესვა და რგვა უნდა ხდებოდეს „ახალ მთვარეზე“, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავალი კარგ ნაყოფს არ მოგვცემსო. ამას გაიძახოდნენ XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგსაც კი.

ამ შეხედულების მიხედვით, მოსავალი უნდა აეღოთ „ახალ მთვარეზე“; სხვა დროს მოკრეფილი ნაყოფი განადგურდება და ზამთრის განმავლობაში არ შეინახებაო.

ასეთი შეხედულება სოფელ ხალხში სუფევდა საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარებამდე, სანამ საბჭოთა კულტურამ და ტექნიკამ თავისი ნათელი გავლენა არ მოახდინა ხალხის შეგნებაზე.

## გუთნეულის მინდვრად გასვლა

გაზაფხულის ერთ-ერთი დღე მიძღვნილი იყო „სამღვთობისათვის“. ჩვეულებრივ მას უფარდებდნენ მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყებას.

თბილისის მაზრის ზოგიერთ სოფელში (ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, ხაშმო, პატარძეული) ეს დღე მაისის დამდეგს მოდიოდა (არა უგვიანეს 10 — 12 რიცხვისა ახალი სტილით), ე. ი. გუთნეულის მინდვრად გასვლის წინა დღეს. მაგალითად, სოფ. ნორიოსა და მარტყოფში დილით რომ სამღვთობა გაიმართებოდა, საღამო ჟამს გუთნეული უკვე მინდვრად გადიოდა.

დიდ სოფლებში, სადაც მრავალი ასეული კომლი ცხოვრობდა, სამღვთობა უბნების მიხედვით ეწყობოდა; ზოგ შემთხვევაში კი სამღვთობის მოწყობას საეკლესიო სამრევლოებს უფარდებდნენ. 20

„სამღვთობის“ სუფრა უთუოდ მღვდელს უნდა ეკუთარებინა. ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მამაკაცები,

ისე დედაკაცები (მხოლოდ ცალ-ცალკე, — ზოგჯერ მეორე დღეს). სუფრას ესწრებოდა უბნის (ან უბნების) განთქმული გუთნისდღეები, გუთნეულის ლამისა და დღის მეხრეები, მუშა საქონლისა და გუთნის ნაწილების პატრონები თავთავიანთი ფსონით.

ამავე სუფრაზე წყდებოდა რამდენიმე გუთნეულის განრიგი და ალოების საკითხი, სამუშაო დღეთა რაოდენობა, მინდვრების ნიადაგის მდგომარეობა, ხვნის წესი და ხერხი, გუთნეული საქონლის უღელთა რაოდენობა (ნიადაგის სიქვერივის მიხედვით), მსახურთა ალოების (ანუ სარგო დღიურების) რაოდენობა, ვის რამდენი დღიური უნდა მოუხნას გუთანმა და რაში; მაგალითად, გუთნისდღედან ოთხი ან ხუთი დღიური ჰქონდა განსაზღვრული, ლამის მეხრეს — ორი, დღის მეხრეს — ერთი, სახნისის პატრონს, ღვედის პატრონს, უღელა ხარს და ა. შ. თავთავიანთი ალოები ჰქონდათ განაწილებული.

საღმთოს სუფრას ხელმძღვანელობდა სუფრის მონაწილეთა მიერ არჩეული ტოლუმბაში, ერთ-ერთი სახელგანთქმული გუთნისდღეა, რომელიც თავიდან ბოლომდე უძღვებოდა სუფრას და ცდილობდა არაეინ დამფერალიყო (საღმთოს სუფრაზე დათრობა წესად არ იყო მიღებული).

ტოლუმბაში სადღევგრძელოებში აცხადებდა ხენა-თესვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, ამასთან საღმთოს მონაწილე გუთნისდღეებს მითითებებს აძლევდა, თუ როგორი დამუშავება ესაჭიროებოდა ამა თუ იმ მიწორს, რომ მოსავალი უკეთ მოსულიყო. აქვე გადაწყვეტდნენ საკითხს — უბნის ქვრივ-ობლები-სათვის სად რამდენი დღიური უნდა მოეხნა თითოეულ გუთანს.

ტოლუმბაში არ ივიწყებდა აგრეთვე მუშა საქონლის სადღევგრძელოს და იხსენიებდა „ხარის ქედს“, როგორც ძირითად შემსრულებელ ძალას. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს შემდეგნაირად წარმოთქმული სადღევგრძელო: „ეს ღმერთმა აკურთხოს და ადიდოს ადამიანის მარჯვენა, ხარის ქედი, ცის ნამი, ღედამიწის მოსავალი; ღმერთმა ბარაქა მისცეს ადამიანის ნამოქმედარს, აშოროს და არიდოს ავი თვალი და ღვთის რისხვაო“.

ბოლოს ტოლუმბაში „ყველა წმინდა ერთარსებას“ იხსენიებდა, დაულოცავდა კეთილ გზას გუთნებს და საღმეთობა ამით მოთავლებოდა; დამსწრენი დაიშლებოდნენ.

არ გავიდოდა ამის შემდეგ 1 — 2 საათი, რომ მინდვრებისაკენ მიმავალი გუთნების განუწყვეტელი ღირღიტი გაისმოდა მთელ მიდამოებში.



„არიქა, ხალხო, გავიდა გუთნეული, გზა დაულოცეთ!.. გაისმო-  
და სოფელში თახილი.

დიდ-პატარიანად ყველა გზას ულოცავდა გლეხი კაცის ბედის  
მონახევრე გუთნეულს...

გუთანში შებმული მუშა საქონლის რაოდენობა ცვალებადი იყო,  
ზოგან 4—5 უღელს არ აღემატებოდა, ზოგან კი 9—10 უღელს  
აღწევდა. ეს დამოკიდებული იყო პირველყოვლისა ნიადაგის შედ-  
გენილობაზე, იმაზეც, თუ როგორი იყო ადრე გაზაფხული—წვიმი-  
ანი თუ გვალვიანი. გუთნეულიდან გამომდინარე, განისაზღვრებოდა  
აგრეთვე მომსახურე პირთა რიცხვიც. რასაკვირველია, სოფლის  
მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საკუთარი გუთნეული არ ჰყავდა,  
გამონაკლისის გარდა (შეძლებული მემამულე, მესაქონლე-გლეხი;  
კულაკი, მეეახშე-ვაქარი) და ამიტომ გუთნეულის შედგენაში სოფ-  
ლის გლეხობა კოლექტიურ შრომას მიჰართავდა; ზოგი საკვებელს  
მორტანდა, ზოგი სახნისს, ჯამბარას, ზოგი უღელ ხარს შეაბამდა,  
ზოგი ღვედს შეაწვედა ან ღამის მეხრეობას, დღის მეხრეობას,  
გუთნისღედობას დაივალებდა ან სხვა რაიმე გუთანთან დაკავში-  
რებულ სამუშაოს იკისრებდა.

რუსეთის პირველ რევოლუციამდე უმეტეს შემთხვევაში ხის  
გუთნებით ხნავდნენ. დაახლოებით 1907—1910 წწ. თანდათან  
შემოიჭრა რუსეთიდან რკინის გუთანი (ე. წ. „რუსული გუთანი“);  
რომელსაც გარე და შიდა კახეთის ზოგიერთ სოფლებში ხმარობ-  
დნენ, მაგრამ იმის გამო, რომ შემოტანილი რკინის გუთნების კონ-  
სტრუქცია ზოჯერ ვერ აკმაყოფილებდა მთიან პირობებში მაგარი  
ნიადაგების წესიერ ხვნას, ამიტომ, ადგილობრივი პირობების მი-  
ხედვით. ზოგიერთ სოფელში მაინც უპირატესობას ისევ ხის გუ-  
თანს ანიჭებდნენ (მარტყოფი, ნორიო, ხაშმი, ყვარელი, ახმეტა,  
იყალთო).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სოფლის ხალხი დიდი პატივით  
ეპყრობოდა გუთნისღედას და ვუთანს და ამიტომაც მათ ხობტასაც  
უძღვნიდა:

„გუთანო, შენი კირინე,  
შენი მიყოლა მნელია,  
ვინც შენ მოგყვება, გუთანო,  
პური აქვს ძველისძველია“.

გუთანზე დღის მეხრეებად უმეტეს შემთხვევაში მოზარდები  
(ბიჭები) იყვნენ, ღამის მეხრეებად კი მოზრდილები ინიშნებო-  
დნენ.

რთულ და შიშიმე პირობებში უხდებოდა გლეხობას ლუკმაპუ-  
რის შოენა წარსულში.

## მოსავლის მოყვანა და დაცვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობის პატრიარქა-  
ლური და პრიმიტიული ფორმების პირობებში გლეხობას საშუა-  
ლება არ ჰქონდა ხელოვნური ან ტექნიკური დონისძიებებისათვის  
მიემართა; ამ მხრივ არც სახელმწიფო ეხმარებოდა მათ. ყველაფერი  
მხოლოდ ბუნებრივ პირობებზე იყო დამყარებული. „ღვთის ანაბა-  
რად“, რომ იტყვიან, ისე იყო მიგდებული ეს აყვავებული მხარე.

ამიტომ ხალხი ყოველგვარ ხერხებს მიმართავდა, რომ როგორ-  
მე მოსავლის დამლუპველი „იღუმალი ძალის“ გული მოეგო.

გვალვასთან დაკავშირებით მთელ აღმოსავლეთ საქართველოში  
გავრცელებული იყო თითქმის ერთი და იგივე ცრუმორწმუნეობ-  
რივი ადათ-ჩვევები, რომელთა გაღმონაშთებს შიგადაშიგ ადგილი  
ჰქონდა 1920-25 წლებშიაც კი.

გვალვასთან საბრძოლველად აწყობდნენ „დიდებას“, „გონჯაო-  
ბას“, „ქალქვის“ მომადლიერების ცერემონიას. ეს უკანასკნელი  
ქვის კულტის აშკარა გაღმონაშთია.

„უიოება“ — ხალხის მიმოსვლაა სოფლიდან სოფალში წვიმი-  
სადმი მიძღვნილი სიმღერებით, რომელშიაც აღიდებდნენ ღმერთს  
და ელია წინასწარმეტყველს: „აღარ გვიანდა გორახი, ღმერთო, მო-  
კვე ტალახი. დიდება და დიდება, ღმერთსა ჩვენსა დიდება“... და  
სხვა ამგვარი ლოცვა-ვედრებანი იყო ჩართული წვიმის გამოამუ-  
შვეი იღუმალი ძალის მადიდებელ სიმღერებში.

ძველად ქიზიყში, სოფელ ბოდბეში, ბარნაბიშვილების უბან-  
ში ამართული იყო ქალის მსგავსი ქვა, რომელსაც „ქალქვა“ ერქვა.

ამ ქვის შესახებ თქმულება არსებობს, თითქოს სწორედ ამ აღ-  
ვილზე ბარნაბიანთ ოჯახიდან „(ოდოიანი ქალი ომარომა ჰყად  
აქცია“. ამ ქვის კულტს დაუკავშირდა ცრუმორწმუნეობრივი  
გაღმონაშთი გვალვასთან ბრძოლის შესახებ.

ერთ დღეს შეკროვდებოდა ხალხი და „ბარნაბიანთ ქალქვისა-  
კენ“ გაემართებოდა; მაგრამ რადგანაც მასთან მისვლა და მისი შე-  
ხება მხოლოდ ბარნაბიანთ გარის კაცს შეეძლო და არა სხვა ვინ-  
მეს (წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი იმასაც ქედ აქცევს), ამ  
შეკრებულობიდან ბარნაბიანთ გვარის ერთი ვინმე გამოვიდოდა, და  
მიუახლოვდებოდა „ქალქვას“, შეაბრუნებდა მას პირუკულმა, თანაც

მიაძახებდა: „ამყე, მამიდა, ბარნაბიანთი ვარ“. ამ პროცედურის შემდეგ ქვის გამოსახულებას წყალს ასხამდნენ — ასველებდნენ სრული რწმენით, რომ თუ მან (ე. ი. ქალქვამ) ჩვენი ვედრება შეიწყნარა, ამას იქით ცას ღრუბელი მოეფინება და წვიმა წამოვაო.

სამღვდელოების იმდროინდელი ზოგიერთი მსახური სოფელში მარჯვედ იყენებდა ცრუმორწმუნეობის ასეთ ადათ-ჩვევებს თავის პირადი შემოსავლის გადიდებისათვის.

დედოფლის წყაროში (ამჟამად წითელწყარო) იყო ერთი საკმაოდ გაქნილი, ღრმად მოხუცი მღვდელი, რომელსაც მეტსახელად „ჯამბარა მღვდელს“ ეძახდნენ; მას თავის საცხოვრებელ ბინაში, კედელზე ბარომეტრი ჰქონდა ჩამოკიდებული, რომელსაც იგი „საქმეში“ ძალიან მარჯვედ იყენებდა.

გვალვის დროს, ბარომეტრის ისარი წვიმისაკენ რომ დაიხრებოდა. „ჯამბარა“ მღვდელი მოუყრიდა თავს ათიოდე მოხუცებულ ქალს, წერა-კითხვის არმცოდნეს ან მცირემცოდნეს და შედეგიან აღილოზე სიარულს გამართავდა... მალე წვიმაც წამოვიდოდა...

ამგვარი თვალთმაქცობით ფულს აკეთებდნენ და გაუნათლებელ ხალხს „ელიას წყალობით“ თვალის უხვევდნენ. ასეთ ჯამბაზობას XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც ხშირად ჰქონდა ადგილი არა მარტო დედოფლის წყაროში, არამედ მრავალ სხვა სოფელშიც.

დიდი გვალვიანობის დროს მოსავლის დალუპვის შიშით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, იმედგადაწყვეტილი გლეხობა „ელიასა“ და „ლაზარეს“ წყალობას მიმართავდა ხოლმე.

კახეთისა და გარე კახეთის ზოგიერთ სოფელში ამისათვის შემოღობული იყო ერთი უგვანო ჩაიყლება — ბაყაყების ხოცვა; შეგროვდებოდნენ სოფლის დედაკაცები და ბავშვები, ჩაივლიდნენ ხეზე ან რიყზე და „ლაზარეს“ წყველა-კრულვით დაიწყებდნენ ბაყაყების ხოცვას. ათასობით მკვდარი, ამ შემთხვევაში სრულიად უდანაშაულო, ცხოველი გულალმა ეყარა რიყის პირზე ან წყალს მიჰქონდა. რით ხსნიდნენ ცრუმორწმუნეობის ამ უსაძაგლეს ხერხს?

„ბაყაყი ლაზარეს მონა არის, მას ყოველდღე უმღერის, მისი ბატონი რომ შეხედავს გულალმა დაგდებულ მკვდარ ბაყაყებს, განრისხდება ადამიანზე და წვიმის ღრუბლებს მოუვლენს ქვეყანასო“.

მეორე უკიდურეს ადათად, და ისიც სოფლის დედაკაცების თაოსნობით, შემოღობული იყო ე. წ. „ავდრის მოხენა“.

შეგროვდებოდა უბნის ან სოფლის დედაკაცობა, დაავლებდნენ

ხელს ზის გუთანს და გაათრევდნენ მას რიყეზე (ან ხევეში), ჩააგ-  
ლებდნენ მას სახნისით რიყის ზროში და აღმა გაატარებდნენ ხელით,  
ე. ი. „ხნავდნენ წყალს“. გუთნისდღის როლს ასრულებდა ერთ-  
ერთი, ასაკით ყველაზე უფროსი, დედაკაცი, იგი მართავდა გუთანს,  
როგორც „გუთნისდღა“ და გულმოსული, გაანჩნლებული ხმით  
დამღერდა (დანარჩენი მონაწილეები ბანს აძლევდნენ):

ჩვენო წმინდა ელიაო,  
ჩაზედ მოგიწყენიაო?  
თეთრ ციკნებს მოგართმევ:  
თუ მოგვიყვან წვიმასაო  
შენ დაგიკლავთ ციკანსაო“

ცნობილია, რომ კახეთში ხორბლეული კულტურების, მევენა-  
ხეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ბუნებ-  
რივ პირობებთან ერთად მოსავლისათვის საზიანო ბუნებრივ მოვ-  
ლენებსაც აქვს ადგილი. ერთ-ერთი მოვლენათაგანია ხშირი სეტყვა,  
რომელიც ანადგურებს და სპობს არა მარტო ვენახებს, ყანებსა და  
ხეხილის ხეს, არამედ დიდად აზარალებს მეცხოველეობასაც.

სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლა და სეტყვის მოძყვანი „ღვთაების“  
მომადლიერება, კახელებში რელიგიურ დღესასწაულად იყო გადაქ-  
ცეული.

სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად კახეთის სოფლებში  
შემოღებული იყო ე. წ. „კოხიობა“. ანუ „კოხინჯრობა“, რომელიც  
აპრილის დამღევს ან მაისის დამღევს იმართებოდა<sup>21</sup>. იგი მიძღვ-  
ნილი იყო სეტყვის მოძყვანი ღვთაების „ელიასადმი“, რომ ამით  
მოემადლიერებიათ ეს მკაცრი და „ადამიანისადმი დაუნდობელი“  
ღვთაება, რათა მას სეტყვა არ მოეგლინა.

მართავდნენ აგრეთვე „ორშაბათობებს“; ამ დღეებში ხალხი  
მინდვრად არ უნდა გასულიყო სამუშაოდ, სანამ ქერების მომკას არ  
დაამთავრებდნენ. ორშაბათობით შეგროვდებოდნენ უბნის ქალები  
და კაცებთან ერთად ფეხშიშველები მინდვრად გადიოდნენ მღვდლის  
თანხლებით, რომელსაც მინდვრად „ელიასადმი“ მიძღვნილ პარაკ-  
ლისს გადაახდევინებდნენ. გარდა ამისა, მაისის თვის 7 — 8 რიცხვ-  
ში (ძ/ს) იწყებოდა „ელიას მომადლიერება“ კიდევ სხვა გზითაც,  
ე. ი. „კოხინჯრობის“ საშუალებით — ეხვეწებოდნენ ელიას ყანა და  
ვაზი გადაერჩინა სეტყვისაგან.

ამ რიტუალის შესრულებისათვის შეგროვდებოდნენ ერთი რო-  
მელიმე ეკლესიის სამრევლოს ქალები (უბნის ან უბნების) და კა-  
ცები, მოიწვევდნენ მღვდელს და ფეხშიშველები დაუელიდნენ

სოფელს, ამ პროცესიას ჯერით ხელში წინ მღვდელი მიუძღოდა. ეკლესიასთან მიახლოებისას ხალხი გაჩერდებოდა, მღვდელი კი პარაკლისს გადაიხდიდა, ამ დროს ყველას, ვინც კი შეუერთდებოდა პროცესიას, ფეხთ უნდა გაეხადა და ფეხშიშველი გაყოლოდა (1905 წლის შემდეგ მამაკაცები ფეხთ აღარ იხდიდნენ და ამ რიტუალს მთლიანად მხოლოდ სოფლის ქალები ასრულებდნენ).

პარაკლისის დამთავრებისას „კოხინჯრობა“ საუბნო სუფრით (სადილით) თავდებოდა; ეს საზეიმო სადილი ისეთივე წესების დაცვით ეწყობოდა, როგორც სამღვთობობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საღვთობები მიძღვნილი იყო სხვადასხვა ვარიანტით, ელიასადმი, მისი რისხვის აცილებისადმი, მოსავლის გადაარჩენისადმი.

აღწერილი მხარის ზოგიერთ სოფლებში (ნორიო, მარტყოფი, საგარეჯო, ყვარელი) მრისხანე ელიას „გულის მოსაგებად“ მიმართავდნენ კიდევ ერთ ხერხს: რთვლობას, ყურძენი რომ დაიწურებოდა და მანქრები დადუღდებოდა, მარანში ერთ მომცრო ქვევრს გამოჰყოფდნენ, გაავსებდნენ მას ახალი ღვინით და, როგორც ელია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილს, საგანგებოდ შეინახავდნენ მომავალი წლის ელიაობა დღისათვის (ე. ი. 20 ივლისისათვის); ამ დღეს ქვევრს სახურავს ახდიდნენ და ელიას განდიდებისადმი მიძღვნილ სადილზე ამ ღვინოს დალევდნენ, რომ „მოსავალი გადარჩენოდა ღვთის და ელიას რისხვას“.

ქიზიყში და უჯანა მხარში XIX საუკუნის 90-იან წლებამდე შერჩენილი იყო ერთი უცნაური ცრუმორწმუნეობრივი ადათი: ქალის უფლებების შეზღუდვა მოსავლის გამანადგურებელი ღვთაების „მომადლიერების“ მიზნით.

სოფელ ქალს (ეს ადათი ქალაქებშიაც იცოდნენ) არ ჰქონდა უფლება ეკლესიაში შესულიყო სააღდგომო ლიტანიის ან ცისკრის დროს, თორემ „ელია წინასწარმეტყველი განრისხდება და სეტყვის ღრუბლებს მოავლენს ქვეყანასო“.

XX საუკუნის დამდეგიდან (დაახლოებით 1901 — 1903 წწ.), როდესაც კახეთის ზოგიერთ საუფლისწულო მამულში (ე. წ. „უღვლებში“) სეტყვის საწინააღმდეგო საგანგებო მორტირები (ქვემეხები) მოაწყვეს, ზოგიერთი ცრუმორწმუნე გაიძახოდა, რომ რაც ეს ზარბაზნები შემოიღეს და ღმერთსა და ელიას სროლა დაუწყვეს, ისინი უფრო მეტად განრისხდნენ და სეტყვას მოუხშირესო. მართალია, ამ მორტირებით საუფლისწულო მამულებში დასახულ მიზანს სრულად ვერ აღწევდნენ, მაგრამ იგი მაინც დიდხანს შერჩა ამ მამულებში.

ამ დღესასწაულების გარდა, მთელი რიგი „მოსამადლიერებელი“

რიტუალები იმართებოდა მღრღნელების მოსამადლიერებლად, მაგალითად, „თევდორობა“, ანუ „თავვი-თავობა“, რომელიც მიძღვნილი იყო თავგებისადმი; იმადლიერებდნენ ფრინველებსაც, რათა მათ მოსავალი არ დაეღუპათ და ამისათვის „ჩიტიფაფობა“-ს მართავდნენ და სხვ.

მეთის მთავრობა და სამღვდლოება, ხოლო თებერვლის რევოლუციის შემდეგ — მენშევიკები არა თუ არ ებრძოდნენ ამ ცრუმორწმუნეობრივ გადმონაშთებს განათლებისა და კულტურის ხალხში დანერგვით, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდნენ მათ განმტკიცებას. ამიტომ იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღისათვის გალატაკებული, ნახევრად ტიტველი მშრომელი გლეხობა გააპრტახებული მეურნეობით, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე XIX საუკუნის დამლევსათვის მემამულეების გარდა ბოგანო ვაკრებისა და მევახშეების ხელში ჩაეარდა<sup>22</sup>, კიდევ განაგრძობდა თავის დაქსაქსულ-დაქუცმაცებულ მინდორ-ველებსა და ბღვენახებში მოუსავლიანობასა და სტიქიურ მოვლენებთან საბრძოლველად, ცრუმორწმუნეობაზე აგებული „საშუალებების“ გამოყენებას. მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ეკონომიური და ტექნიკური მრავალი ღონისძიების შედეგად ხალხის შეგნებაში დიდი გარდატეხა მოხდა.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ და საბოლოო გამარჯვებამ გაუგონარი, უსწრაფესი ტემპებით განავითარა, ძირფესვიანად გარდაქმნა, შეძლებული და კულტურული ცხოვრების საფეხურზე აიყვანა სოფელი.

უწინ ჩამორჩენილი და ყოველმხრივ დაჩაგრული სოფლები საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო წყობილების მეოხებით ფართო და მჩქეფარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა, დაბეჩავებული, უწიგნური გლეხები დაქვარტლული, სახურავახდილი ქონმახებიდან და მიწურებადან კეთილმოწყობილ სახლებში გადაიყვანა და საკოლმეურნეო ცხოვრების შეგნებულ მშენებლებად გახადა.

საბჭოთა ხელისუფლების ამ დიდმა პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიებებმა საბოლოოდ გაანადგურა ძველებური გლეხური კარჩაკეტილობა და ცრუმორწმუნეობა; შეუდარებლად გაათართოვა მათი მსოფლმხედველობა, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების პოზიტივიზმი, და სოციალისტური სამშობლოს თავდადებულ პატრიოტებად გადააქცია ისინი.

## ყანის შკა

მაისი რომ გაივლიდა და თიბათვე დადგებოდა გუთნები საგა-  
ზაფხულო ხენას მორჩებოდნენ, გლეხობა თიბევს შეუდგებოდა.  
თიბათვეც ამოიწურებოდა და ცხელი მკათათვე რომ ჩამოდგებო-  
და, პირველ რიგში ოქროსფრად მოლაპლაპე ქერები მოიქრებოდა.

ამის შემდეგ სოფელი პურების სამკელად ირაზმებოდა და კა-  
ლო-საბძლების მზადებას იწყებდა.

შუა ზაფხულში მკათათვის მზის ცხელი სხივები ამაყად აშოლ-  
ტილ ყანებს ყვითელფრად რომ ააპრილებდნენ, კალო-საბძლები  
უკვე შზად იყო მოსაელის მისალებად.

დიდატარიანა ყველა ყანაში გადიოდა. ოჯახებში თითო-ოროლა  
დედაბერილა რჩებოდა და ისინიც გაფაციცებით უმზადებდნენ ჯერს  
ყანაში გასულ ოჯახის წევრებსა და მომკელებს<sup>30</sup>.



მამითაღი (1903 წელი)

განსაკუთრებულ სილამაზეს წარმოადგენდა ამ დროს მინდორი.  
მაღალმოსაელიანობის წელს ოქროსფერად გადაჭიმულ ყანებში  
გლეხობა გაცხოველებით მუშაობდა.

მომკელები ყანას გაჩქარებულად მკიდნენ, რომ ამინდმა არ  
გვიღალატოსო, მათ დედაკაცები და მოზარდები მისდევდნენ, ხელე-  
ურებს ძნებად ჰკრავდნენ, ათეულებად აწყობდნენ და სოფელში

ვისაგზავნად იმზადდნენ; იქვე მახლობლად გაისმოდა სოფლიდან მომავალი ცარიელი საძნე ურმების და სოფელში მიმავალი ძნებით დატვირთული ურმების თვლების კრიალი.

მომკელების სიმღერა-შაირები მიდამოს აცოცხლებდნენ, ხოლო ფრინველთა განუწყვეტელი სტეენა-გალობა, კიკიკი, ამასთან კი აღუას დაუღალავი შრიამული თითქოს ბანს აძლევდა ამ სიმღერებსო.

ყანის მკასთან დაკავშირებით ზოგიერთ სოფელში (ნორიო, მარტყოფი, ხაშმი, პატარძელი, საგარეჯო) ფრად საყურადღებო ჩვეულება იყო შემონახული — ე. წ. „მამითადობა“.

მარტოხელა გლეხკაცისათვის ძნელი იყო ყანის მომკა, თუ მეტადრე მას ეს ყანა მომეტებულად მოეპოვებოდა (5—8 დღიური და მეტიც). ასეთ შემთხვევაში იგი „მამითადობას“ გამოაცხადებდა და ყანის მოსამკელად თავის მეზობლებს—უბნის ან სოფლის განთქმულ მომკელებს (15—25 კაცს) დაჰპატიებდა. ყანიდან დაბრუნებისას მოწვეულთათვის მას უსათუოდ პური და ღვინო უნდა მიერთმია თავის ოჯახში, ხოლო ყანაში კი სამხარი.

პური და ღვინო ეს იყო ერთგვარი მინიმუმი, რომელიც მამითადის მომწვევს, ე. ი. მასპინძელს, მომკელ სტუმრებისათვის უნდა მიერთმია, რომ სირცხვილში არ ჩავარდნილიყო.

მამითადის მომკელები შეგროვდებოდნენ და მასპინძელთან ერთად ყანას ეწვეოდნენ.

მკაში შეჯიბრი იმართებოდა. მომკელები ორ-სამ გუნდად გაიყოფოდნენ და ერთმანეთს მკაში ეჯიბრებოდნენ — ვინ უფრო ადრე მიაღწევს ნიშანსო. გახარებული მასპინძელიც ეხმარებოდა და ერთი გუნდიდან მეორეში გადადიოდა, რომ არავისთვის ეწყენინებინა.

საუზმის დრო რომ მოახლოვდებოდა, მომკელები მამითადის მასპინძელს შესაფერ სიმღერას მაუძღვნიდნენ:

„შენ ღვინო დაგვალეინე  
ყანაც მომკილი გეგონოს;  
თუკი წყალს დგვალეინებ  
ნულარც მომკილი გეგონოს“...

მკლავებს რომ გაშლიდნენ და მზის ცხელი სხივები მინდორს მოეფინებოდა, ერთი რომელიმე გუნდის მოშაირე-მომკელი ზარი-სებური ხმით წამოიძახებდა, ხოლო დანარჩენები ბანს აძლევდნენ შეძახილებით:

„ნამგალო, ჩემო ნამგალო,  
ნამგალო. ჩემო რკინაო;



გაგლესავ, ჩემო ნამგალო,  
გასკერ, გამიძებ წინაო...”

მას მეორე გუნდიდან უპასუხებდნენ:

„შენი კირიმი, ყანაუო  
შენ აქ ვინ მოგიყვანაო...“  
„ხარმა მხნა, კაცმა დამთესა,  
მეუფემ მომიყვანაო...“

მესამე გუნდიდან მოშაირე შესძახებდა:

„ბიკო, მოდი, ყანა მომკე,  
აბა ჩემი მკაცა ნახე,  
თუ ხელეურში ჩამოგარჩე,  
ქალაჩუნა დამიძახე...“

ჰერიო... ჰერიო... ჰერიო... აძლევდნენ ბანს დანარჩენები. არც მეზობელი ყანის ბიჭები ჩამოუვარდებოდნენ შაირობაში მამითადელებს.

აგერ გაისმოდა ახალგაზრდა მომკელების შეძახილები:

„ქალბატონმა გალიარა,  
ეს შინდორი ძენძულითა,  
თან სიტყვა გამოუყენე  
აბრეშუმის შურდულითა...“

ჰობ... ჰობ... ჰერიო... ჰერიო...

შაირობდნენ სხვებიც:

„ძირში მოუსვი ნამგალო,  
თორემ თავთავი ცვივაო  
პატარა გოგოს დაეხსენ,  
ცრემლები ჩამოსცვივაო...“

აგერ შორიდან შესაფერი შაირით უპასუხებდა მოხუცე ჰომკელი:

„გაუსვი და გამოუსვი,  
ვითომც კიანურიო;  
მეზობლის ქალს დაეხსენი,  
ისიც შინაურიო...“

მინდერის სამუშაოსთან დაკავშირებული სიმღერები, ლექსები, შაირები, შემოძახილები, თავიანთი წყობით და მელოდიითაც სავესებით შეესატყვისებოდნენ წარმოებულ სამუშაოთა რიტმს და არამც თუ ხელს უშლიდნენ, არამედ, პირიქით, უადვილებდნენ და ხელს უწყობდნენ სამუშაო პროცესების დაჩქარებას ისეთ მძიმე

სამუშაო პირობებშიც კი, როგორც ძველად ყანის მკა იყო ტრი-  
ალ მინდორში პაპანაქება სიცხის დროს.

სამხარზე მამითადის მასპინძელი თავს მოუყრიდა ყველა მომ-  
კელ სტუმარს, ერთი რომელიმე დიდი ხის (თელის, ცაცხვის, ან  
ვერხვის) ძირში გაშლიდა პატარა სუფრას, პირს მოუხსნიდა თაჯან-  
კარი თეთრი ღვინით გაესვებულ ტიქს, ჯერ თვითონ დაილოცებოდა,  
ხოლო შემდეგ ორჯამიანს სათითაოდ ყველა სტუმარს ჩაიოტრი-  
გებდა; კერძი უხვად იყო ველად გაშლილ სუფრაზე.

ბინდისას მამითადის ხალხი სიმღერით დაიძვრებოდა სოფლი-  
საკენ, მოიყრიდა თავს მასპინძლის ოჯახში და ვახშამს ტკბილად  
შეექცეოდა.

სულ სხვა მდგომარეობაში იყვნენ ქვრივ-ობლები, რომლებიც  
დიდ გაკირვებას განიცდიდნენ. სახელმწიფო მათზე არ ზრუნავდა,  
ნივთიერი დახმარება მათ არსაიდან არ ეძლეოდათ; თვით სოფელი  
თუ უვლიდა, თორემ მეტი გულშემატკივარი მათ არავინ ჰყავდათ.

ამიტომ სოფელში ქვრივ-ობლების ყანების მოსამკელად ერთი  
ან ორი დღე იყო გამოყოფილი. სოფლის ყრილობის გადაწყვეტი-  
ლებით მომკელები, თავიანთი საკუთარი ჯერით, მიდიოდნენ ქვრივ-  
ობლების მოუვლელი და ნარიანი ყანების მოსამკელად.

ქვემოთ მოყვანილ ხალხურ ლექსში ეს მომენტი საუკეთესოდ  
არის აღბეჭდილი:

იუუურე ობლის ყანასა,  
ჭობი და ჭობი უქნია,  
ბიკები მკიან ყანასა,  
ნარიანსა და ჩალასა.

ქვრივ-ობლებზედ ნაკლებად გაკირვებული არ იყო აგრეთვე  
უპირუტყვეო, უძროხო გლეხის ოჯახი, რომლის მეთაურს მხოლოდ  
მოჯამაგირეობით გაჰქონდა თავი. ზოგიერთ შემთხვევაში იგი ამ  
სამუშაოებსაც ვერ შოულობდა და დიდ გაკირვებასა და შიმშილს  
განიცდიდა.

უხარო გლეხის სულისკვეთება და დარდი საუკეთესოდ აქვს გა-  
მონატული ცნობილ ქართველ პოეტს რაფიელ ერისთავს ლექსში  
„თან დილას დარდი“.

მკა რომ მოთავდებოდა, უკანასკნელ თავთავებიდან მომკელები  
ჯვარს აკეთებდნენ. ამ ჯვრით, როგორც მკის დამთავრების ნიშ-  
ნით, ხელში ერთ-ერთი მომკელი — „მესვეური“ — მივიდოდა ყა-  
ნის პატრონის ოჯახში. ყანის პატრონი ჩამოართმევდა მას თავთავე-  
ბის ჯვარს და საჩუქრად ცოცხალ მამალს მიართმევდა, ხოლო და-  
ნარჩენ მომკელებს ჩითის ბაღდადებს აჩუქებდა. მამალს დაკლავ-

დნენ, რომ მასპინძლობა გაემართათ, მაგრამ რადგანაც ერთი მამალი 10—12 და მეტ კაცს არ გასწვდებოდა, ყანის პატრონი კლავდა ცხვარს, ამზადებდა ცხვრის თავფეხს და, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, „მესვეურს“ სუფრაზე მიართმევდა.

თავთაების ჯვარს ჩვეულებრივ სახლში დედაბოძვე ჩამოკიდებდნენ, ხოლო ხორბალს რომ დააბინავებდნენ ბელელში (ან ორმოში რომ ჩაყრიდნენ), ამ ჯვარს მას თავზე დაადებდნენ, „ავმა სულმა“ ხორბალი არ დააზიანოსო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ქალაქისა და სოფლის ცხოვრებამ სრულიად ახალი სახე მიიღო, მშრომელი ხალხის კეთილდღეობა და დოვლათიანობა მტკიცე და ურყევე გზას დაადგა, ხალხური სიმღერების, ლექსების, შაირების შინაარსიც საფუძვლიანად შეიცვალა.

საკოლმეურნეო სოფლის გლეხობამ ახალი, თანამედროვეობის შესაფერი ფოლკლორი შექმნა, რომელიც სოციალისტური სოფლის შრომას აქებს და აღიდებს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით ხალხმა შრომის ახალი მელოდიები, ახალი შაირები, ახალი შეძახილები შეთხზა, ახალი ცხოვრების, ახალი ტექნიკის შესატყვისი.

საკოლმეურნეო გლეხობის სულისკვეთებას საუკეთესოდ ახასიათებს სამუშაოდ მიმავალი კოლმეურნეების სიმღერა, რომელიც მინდვრებში გაისმის:

„კოლექტივო მე შენს მომგონს.  
ვენაცვალე ყელშია,  
გლეხკაცობა, ღარიბობა,  
შენ გამართე წელშია“.

უახლესი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილმა საკოლმეურნეო სოფელმა, რომელმაც თავი დააღწია მიწის დამუშავების პრიმიტიულ ფორმებს (8 — 10 უღელ ხარიან გუთნებს) და გადავიდა ტექნიკურად სრულყოფილ მანქანებზე — ტრაქტორებზე, ახალი ლექსიც მიუძღვნა ამ „რკინის ხარს“:

„ტრაქტორო, შენი ჰირიშე,  
რომ ძლიერი ხარ ღონითა,  
არც თივა-ქერი გკირდება,  
არცა ბალახი ძოვნიდა.  
ტრაქტორო, რკინის ლაბა ხარ,  
დაუღალავი შრომითა,  
არც დამღვობიხარ სახნავეში,  
არც ზარმაც გამყოლითი“ 28.

## კალოზა

საკალოე ადგილის გამზადება გარეკახეთში. საკალოე ადგილი ყოველთვის ცალკეა გამოყოფილი, იგი ან საკარმიდამო ნაკვეთზეა მოწყობილი ან მცირე მანძილით დაშორებულია კარმიდამოდან. საკალოე ადგილს შემოდგომისა და გაზაფხულის განმავლობაში მოერევა ხოლმე სარეველა ბალახი, უმთავრესად ბალბა და მისი თანამგზავრი ლურჯი ეკალი. ამიტომ უკვე თიბათვის დამლევს შეუდგებოდნენ ხოლმე კალოს წინასწარ მომზადებას. უმთავრესად ამ სამუშაოს დედაკაცები და მოზარდები ასრულებდნენ. ჯერ გათოხნიდნენ საკალოე ადგილს, შემდეგ აფხეკდნენ გათოხნილს არნადით, მოგვიდნენ ცოცხებით, მერე ერთი-ორჯერ მოაკაბდობდნენ (კაბდოთი, ულელი ხარით), მორწყავდნენ და მორწყულზე ცოტაოდენ ძველ ბზეს მოაყრიდნენ, შემდეგ დასტკეპნიდნენ. მორწყვა და ტკეპნა საჭირო იყო იმისათვის, რომ ჯერ ერთი, ლეწვის დროს ხორბალი (მარცვალი) არ გაქედილიყო კალოს დამსკდარი ნიადაგის პატარ-პატარა ნაპრალებში, მიწა არ აპყოლოდა ხორბალს გალეწვის შემდეგ და არ ამტვერებულებოდა ლეწვის დროს. პირველი გალეწვის შემდეგ, ბზე რომ ნიადაგს ჩაეკროდა, კალოს ზედათენა იმდენად გაისიპებოდა, რომ თუ არა ფეხშიშველი ფეხით, კალოზე არ გაისელებოდა — ფეხი ცურავდა.

ძნას რომ მოზიდავდნენ, მაშინვე შეუდგებოდნენ ლეწვას. სანამ ძნას კალოზე დაყრიდნენ. ოჯახის წევრები კარგად დანაყრდებოდნენ: მშიერ კუჭზე ძნის კალოში ჩაშლა ცოდვად მიაჩნდათ — „უბარაქობას, მოუსავლიანობას გამოიწვევსო“, ძნის გადატანაზედაც ცრუმორწმუნეობრივი შეხედულება იყო: „თუ ქალმა გაიტანა — მეწველ პირუტყვს საფურეები გაუჩნდება, თუ მამაკაცმა — სახარეებიო“.

საუზმეს რომ დაამთავრებდნენ, კალოზე გადიოდნენ და ძნის ჩაშლას იწყებდნენ. ერთი კაცი ძნას ჩამოყრიდა, სხვები ძნას ულოს ხელს ჩაავლებდნენ და კალოს პირთან გადაისროდნენ; შედეგ მოაბრუნებდნენ ძნას იმნაირად, რომ თავთავები გარეთ ყოფილიყო მიმართული, ხოლო ულოს ნასკვი ზემოთ მოქცეოდა და უცბად რომ გამოსწევდნენ ულოს ყუნწს, ძნას მთლიანად შემოატრიალებდნენ, მარჯვედ ჰკრავდნენ ხელს, გამოაძრობდნენ ულოს და ძნა კალოზე ჩაიშლებოდა, ულოს კი გადიდებდნენ მარცხენა ხელში და შეუდგებოდნენ მის გახსნას (ანუ დაშლას). ულოები რომ დაგროვდებოდა, კალოს პირთან მიიტანდნენ და ერთ ქუჩად დაპყრიდნენ.

ულომობდილი ძნა კალოზე ქუჩად ეყარა სანამ კევრებს შოაყენებდნენ. გამოვიდოდა ორი-სამი კაცი, ძნას კალოზე ფიწლით გაშლიდა შემდეგ ორთით (ან სამთით) მას დაბერტყავდნენ და ბოლოს უკვე კევრს შოაყენებდნენ.

ამ დროს ქუჩად დაყრილ ულოებს წალდით თავთაეებს დააკრიდნენ და შუა კალოზე გაიტანდნენ. კალოს ფართობსა და გასალეწი ძნის რაოდენობაზე, აგრეთვე ოჯახში მუშა პირუტყვის რიცხვზე დამოკიდებული იყო შებმულ კევრთა რიცხვი. უმეტეს შემთხვევაში კალოში ერთ უღელა ხარს ორ წყვილ კევრს მიაბამდნენ (ხარის შენაბამი კევრი ორი თანასწორი ნაწილისაგან შედგება, ამიტომ მას „წყვილი“ ქვია და არა „ცალი“. ცხენების შესაბამელი კევრი მოლიანია; ერთ ცხენს თითო მთლიან კევრს აბამდნენ), ზოგჯერ მესამე წყვილსაც უმატებდნენ (თუ ხარები კარგად იყვნენ შენახული და ძალაც შესწევდათ). ამ შემთხვევაში ორი წყვილი კევრი წინ ება ხარებს, ხოლო მესამე — უკან; ცოცხალი ბალასტი (ხალხი) იჯდა ან იდგა მწოლოდ ძირითად შენაბამ კევრებზე, ხოლო მესამე კევრზე სიმძიმისათვის ან ბავშვს დასვამდნენ, ან ქვებს დააწყობდნენ ხოლმე; მოზრდილები ამ კევრზე არ ჯდებოდნენ, რომ წონასწორობა არ დარღვეულიყო და საქონელს ძალა არ დასღვამოდა — „ცოდოა ხარები“-ო იტყოდნენ ხოლმე მეკალოეები. თუ კალოს ფართობი საკმარის იყო და კალოს პატრონს შესაფერი შექლება ჰქონდა, უღელა ხარის გარდა, კალოში ერთცხენიან კევრსაც უმატებდნენ, რომ უფრო მალე გაელეწათ. იმ ოჯახებში კი, სადაც მუშა პირუტყვი და ცხენი ბლომად მოიპოვებოდა — ორ კალოს მართავდნენ და თითო კალოში ორ-სამ უღელა ხარის შენაბამებთან ერთად ორ-სამ ცხენიანი კევრებითაც ლეწავდნენ.

რაც უფრო მეტ კევრს ატარებდნენ კალოში, მით უფრო მალე უა ადრე თავდებოდა ლეწვის პროცესი.

ცხენიან კალოში, რასაკვირველია, ლეწვა გაცილებით ადრე მთავრდებოდა, ვიდრე ხარებიან კალოში.

კალოობა სოფელში დიდი ზეიმი იყო. ერთი მხრივ, იგი მთავარი და საბოლოო აქტია პურის დამზადებისა და, მეორე მხრივ, — დიდი გასართობი ბავშვებისა და მოზარდებისათვის.



பெரிய நகரம்

კალობის დაწყების დღისათვის დიდ-პატარიანა ყველა გაფაციკებით ემზადებოდა.

სოფლის ბავშვებსა და მოზარდებს, განსაკუთრებით ბიჭებს, ცხენიანი კალო იზიდავდა. ცხენების გაძლოლა ან კევრზე ჯდომა ყოველი ბიჭისათვის სატრაბახო იყო. დიდ კალოებზე სამცხენიან კევრებს ბიჭები შემოუხსდებოდნენ (გამყოლი შუა კევრზე იდგა), გააქნებდნენ ცხენებს, და ძლიერი ინერციის გამო გაქანებულ განაპირა კევრზე მჯდომი ან მდგომი, კარგადაა რა წონასწორობას, კევრიანა სასაცილოდ გადაყირავდებოდა. ეს სიცილ-ხარხს იწვევდა და ამხიარულებდა ბავშვებს; ატყდებოდა ერთი ყიყინი, ძახილი, დაცინვა. იყო შემთხვევები, როდესაც ასეთნაირად კევრიდან გადმოვარდნილი ძლიერ დაზიანდებოდა.

კალოზე გაშლილი ძნა ოდნავ რომ გაილეწებოდა, მას უკვე ქცევას დაუწყებდნენ; უმერესად ამ სამუშაოს 2—3 მამაკაცი ასრულებდა, გამონაკლის შემთხვევაში (უმამაკაცი ოჯახში), დედაკაცებიც ასრულებდნენ. ჩვეულებრივ, კალოს ძნას ფიწლებით 3—4-ჯერ პირს უქცევდნენ და როდესაც საკმაოდ გაბზევდებოდა, ფიწალს ნიჩბით შეცვლიდნენ და 1—2-ჯერ კიდევ მოუქცევდნენ.

ლეწვის დროს გლეხები განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდნენ პირუტყვს: დაასვენებდნენ, წყალს დაალევიანებდნენ, თავზე საგანგებო საფარს გაუკეთებდნენ — მზემ არ დასიცხოსო. კალოში შემბმულ ცხენებს ქერით არ კვებავდნენ, — ქერი ახურებს და მუცელს ატკენსო; სამაგიეროდ, ახალ თივას, ბალახს და შვრიას აძლევდნენ — ჯანზე მოიყვანსო, კალოდან გადაყენებულ ცხენებს ერთბაშად წყალს არ ასმევდნენ — ქუში დაემართებო. ჯერ აკმევდნენ, კარგად დაასვენებდნენ და მხოლოდ შებმის წინ დაალევიანებდნენ წყალს. წყლის დალევინება დასაშვები იყო აგრეთვე კალოში ცხენის უწყვეტი ტარების დროსაც.

კალოს მუშები, დილის საუზმის გარდა, სადილობდნენ შუადღისას (10—11 საათზე), როდესაც მუშა საქონელს გადააყენებდნენ, შემდეგ სამხრობდნენ, ე. ი. ნაშუადღეის 2—3 საათზე, როდესაც მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტის ეამი იწყებოდა. ხარებს უღლებიდან გამოუშვებდნენ და აბალახებდნენ, ცხენებს მოსართავენას და შეკაზმულობას წააძრობდნენ და დაასვენებდნენ, თვით კალოს პატრონებიც საბძლის ძარში ან ჩარდახქვეშ მიიძინებდნენ. ბეჯით მეკალოეს პატარა კალოზე ამ დროს ლეწვა უკვე მოთავებული ჰქონდა და დასვენების შემდეგ იგი ხვეტას იწყებდა. დიდ კალოებ-

ზე სამხარის შემდეგაც წაიშუშავებდნენ 1—2 საათს, შემდეგ კი ხვეტას შეუდგებოდნენ.

შეხვეტა საგანგებოდ განკუთვნილი იარაღით წარმოებდა. ამისათვის დანიშნული იყო არნაღი, ნიჩაფი და ცოცხი. ამ იარაღით გალენილს ნიავის მიმართულებით დაზვიანავდნენ (დიდ კალოზე ორ ზვინსაც დგამდნენ, რომ უფრო სწრაფად გაენიავებიათ).

შუა ზაფხულში ხშირია ისეთი დღეები, როდესაც ნიავე სრულიად არ იძვრის.

გლეხისათვის ეს საშინელება იყო. შუაქალოზე ნიჩბებზე დაყრდნობილი მეკალოეები იდგნენ და უიმედოდ შეჰყურებდნენ ცას: „ღმერთო დაუბერეო“ გაიძახოდნენ.

დაუბერავდა თუ არა ნიავე, იმ წამსვე შეუდგებოდნენ განიავებას. ყოფილა ისეც, რომ მთვარიან ღამეში შუალამემდე ანიავებდნენ.

## გლეხის საცხოვრებელი და კარმიჯამო

მშრომელი გლეხის საცხოვრებელს უწინ ერთოთახიანი სახლი (ქოხი) წარმოადგენდა. იგი მშრალი ქვით ან ქვიტკირით იყო ნაგები და გადახურული მიწური ბანით ან წალმით.

სოფლებში შიგადაშიგ ერთოთახიანი, კრამიტით გადახურული, სახლებიც ერია. მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკუნის დამდეგს გარე კახეთისა და კახეთის დიდ სოფლებში, გამონაკლისა სახით, და ისიც შეძლებულმა ნაწილმა (უმთავრესად კულაკობამ) ორსართულიანი, ქვიტკირით ნაგები სახლები დაიდგა.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ქალაქის გავლენა სოფელზე უფრო გაძლიერდა, ორსართულიანი სახლების აგება დაიწყო. მიუხედავად ამისა, მაინც ასეთი სახლები სოფლის მოსახლეობის ძალიან მცირე და ისიც შეძლებულ ნაწილს (ბობოლებს, მედუქნეებს და სხვ.) ჰქონდა აშენებული. მაგალითისათვის მოვიყვანთ სოფელ ნორიოს, როგორც ერთ-ერთ დიდ სოფელს. 1911 — 1912 წწ. აქ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მხოლოდ 12 მოსახლე ოჯახს ჰქონდა (სოფ. ნორიო მაშინ 900 კომლისაგან შედგებოდა), აქედან ერთი სახლი ეკუთვნოდა ქალაქში მოსამსახურე რკინიგზელ მოხელეს, 1 — სამოქალაქო სკოლის ინსპექტორს, 1 — მოაჯარადრეს, 1 — სახლიც სამხედრო სამს. თავდანებებულ ოფიცერს. ქალაქში მცხოვრებს. ამგვარად, მიწაზე დამჯდარი შეძლებული



გლახების (მათ შორის 3 მედუქნე, 3 მეცხვარე) მხოლოდ 8 ორსართულიანი სახლი იდგა სოფელში, რაც მთელი გლახური მოსახლეობის 0,9% შეადგენდა.

ძველი (XVII — XVIII სს.) საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ტიპს დარბაზი წარმოადგენდა, რომელიც გარე და შიდა კახეთის ზოგიერთ დიდ სოფელში ნანგრევების სახით იყო შემორჩენილი. უმეტეს შემთხვევაში ეს დარბაზები სოფლების მკვიდრი და ძველი მოსახლეობის კუთვნილებას წარმოადგენდა. ასეთი ტიპის საცხოვრებელი დარბაზების ნაშთებს ჩვენ შევხვდით 1914 — 15 წწ. სოფელ მარტყოფში, ნორიოში და საგარეჯოში.

სოფელ ნორიოში მაშინ ასეთი ტიპის 3 დარბაზი იდგა, მათ შორის ორი მოუვლლობისა და უპატრონობის შედეგად ჩანგრეულიყო, ხოლო ერთი „კუდანთ არეთას დარბაზად“<sup>25</sup> წოდებული კიდევ არსებობდა, თუმცა ცალი, სამხრეთისაკენ მიმართული, კედელი მასაც ძლიერ დაზიანებოდა.

გლახის საცხოვრებელს ძირითადად ქოხი, ანუ ერთოთახიანი, ლიადრეფნიანი სახლი წარმოადგენდა (დრეფნის ერთ მხარეს თახჩა იყო გაჭრილი, მეორეში კი ბუხარი), რომელსაც წინ ერთი პატარა ეზო ეკრა. ამ ეზოს ფართობი არ აღემატებოდა დღიურის 1/5 — 1/6., ქოხიდან ათიოდე ნაბიჯზე იყო თონე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ფიცრული ან დაწნული ნახევრად ღია საფარი ჰქონდა გაკეთებული, რომ წვიმა-თოვლს არ გაეფუტებინა. ზოგიერთი სახლის გასწვრივ, 10—15 ნაბიჯის დაშორებით, საკალოე ადგილი მდებარეობდა, რომლის ბოლოში, ქარის მოპირდაპირე მხარეზე, პატარა საბძელი იდგა; მისი კარი ზედ კალოს ნაპირზე იყო გამართული ისეთნაირად, რომ კალოდან მიკაბდობეული ბზე პირდაპირ საბძელში ჩაყრილიყო. საბძლის მეზობლად იქვე (ზედმიკრული) პატარა მოღობილი ადგილი იყო დატოვებული, სადაც ზაფხულობით გასალეწი ძნა იდგმებოდა, ხოლო ლეწვის შემდეგ ამ ადგილს სხვა სამეურნეო საქიროებისათვის იყენებდნენ (ძროხის საწველად, ხბორების სამწყვდევად, წვრილფეხა საქონლის სადგომად).

საცხოვრებელი ქოხის (ანუ სახლის) მახლობლად—თხუთმეტოდე ნაბიჯის დაშორებით, გომური (პირუტყვის საზამთრო სადგომი) იყო მოწყობილი. უმეტეს შემთხვევაში გომური მიწურს წარმოადგენდა, რომლის ბანი (ზედა სარკმელით) ეზოს ზედაპირის სიმაღლეს ეფარდებოდა. გამონაკლის შემთხვევაში გომურის კედლები მშრალი ქვით ან ქვიტკირით იყო ამოყვანილი. მრავალი პირუტყვის პატრონს გომურის წინ ბაიცი ჰქონდა მოწყობილი (წნელით შემოღობილი ადგილი), რომელიც პირუტყვის საზაფხულო სადგომს წარ-

მოადგენდა. ზოგიერთ ოჯახში სათივესაც აწყობდნენ. ეს იყო ღია, ფართო ადგილი (თავლის ან ბაჟის მახლობლად) საკმაო მანძილით დაშორებული როგორც საცხოვრებელი სახლიდან, ისევე საბძლიდან. ღარიბი ოჯახები, რომლებსაც პატარა საკარმიდამო ადგილი ჰქონდათ, თივას საბძელში ინახავდნენ (ერთ-ერთ რომელიმე კუთხეში); ზოგ შემთხვევაში, როდესაც საკარმიდამო ადგილი ძლიერ შემქვიდროებული იყო მოსახლეების სადგომებით და სამეურნეო საქიროებისათვის ადგილი არ ყოფნიდათ, საკალოე და სასაბძლე ადგილები სოფლის ბოლოში ან სოფლის მახლობელ, ზენა-თესვისათვის გამოუსადეგარ, ქვიან, ხრიოკ ადგილებზე ჰქონდათ მიზომილი (სოფლიდან 1/3 — 1/5 კმ დაშორებით).

სულ სხვა მდგომარეობა იყო ქიზიყში.

იქ, მაგალითად, კალოები საცხოვრებელი სახლებიდან დიდი მანძილით იყო დაშორებული და განცალკევებულ ტერიტორიაზე ეწყობოდა, სადაც მაისის თვიდან დაწყებული წინამხრელი გლეხის „ჯალაბობა დედაბუდიანად მიდიოდა რამდენიმე თვით და იქ აგვისტოს თვემდე რჩებოდა — წელიწადის ყველაზე უფრო უცხელეს დროს, თავიანთი მიწა-წყლის ყველაზე უფრო ცხელსა და ციებ-ციხელებიან ადგილას“<sup>26</sup>.

ამგვარად, ქიზიყელი (სიღნაღის ყოფ. მაზრა) გლეხები კალოში მარტო მორგვალეებულ ადგილს კი არ გულისხმობდნენ, როგორც გარე-კახეთის და კახეთის სოფლების მოსახლეობა, „არამედ მინდორში არსებულ იმ შემოღობილ და დასაკუთრებულ ადგილს მთლიანად, სადაც მათ ზაფხულში მოსავლის ასადებად ყოფნა უხდებოდათ თავიანთი ცოლ-შვილითურთ“.

ქიზიყელები კალოებს მართავდნენ მინდორში, ცივ-გომბორის მთის ფერდობის დასასრულს.

ყოველ გლეხს მოღობილი ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომლის სიდიდე განსაზღვრული არ იყო (2—3 დღიურამდე)...

„ასე სათავისოდ განკუთვნილ და შემოღობილ მიწის ნაკვეთს მოღობილი ეწოდება. მოღობილი გადაღობილია ორ არათანასწორ ნაწილად, მეორე ნაწილში მოთავსებულია გლეხის საცხოვრებელი ქოხი“<sup>27</sup>.

ასეთი იყო უწინ გლეხის საკარმიდამო კახეთის სოფლებში.

სულ სხვა მდგომარეობაა ამჟამად. ყოველი კოლმეურნის ახლად აგებულმა, როგორც საცხოვრებელმა სახლებმა, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე აგებულმა სხვა დამხმარე სათავსოებმა, აგრეთვე მათმა გარეგნულმა გაფორმებამ და შიდა მოწყობამ დროის შესაფერი გამოხატულება მიიღო.

საკოლმეურნეო სოფლების ახალმა საცხოვრებელმა სახლებმა

საგრძობლად შეცვალა სოფლას სახე (საგარეჯო, კარდანახი, შილდა, საბუე, ენისელი, არბოშიკი, სოფელი გამარჯვება, მარტყოფი, სართიქალა, არხილოს კალო და სხვ.).

ამგვარად, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი გლეხური ქოხი, დაწნული სათავსოებით სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში, ქალაქურად გაფორმებულმა, მრავალსართულიანმა (უმეტეს შემთხვევაში ორსამ სართულიანმა) კეთილმოწყობილმა სახლებმა შეცვალა შესაფერისად გამოიყო და გაფორმდა სოფლას ცენტრები მათი აღმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ნაგებობებით.

## ოჩხარი

გარე და შიდა კახეთში (მათ შორის ქიზიყშიც), როგორც მეცხოველეობით ძველადვე განთქმულ მხარეში, მრავალ საუკუნეთა მანძილზე შემონახული იყო ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ფრიად საყურადღებო, რაინდული ტრადიციებით გაყვნილი, ადათი — დაზარალებული მესაქონლისადმი (მეცხვარისადმი ან მსხვილი რქოსანი პირუტყვის პატრონისადმი) მეზობლურ-მეგობრული, უსასყიდლო ხელის შეწყობა მეურნეობის აღსადგენად.

ეს იყო „ოჩხარი“ (ანუ, როგორც მას ქიზიყში უწოდებენ, „ოჩხი“).

რაში მდგომარეობს ოჩხარის შინაარსი?

პირუტყვის პატრონი გლეხი (უმეტეს შემთხვევაში მეცხვარე), ძალიან რომ დაზარალებოდა და ცხერის ფარა, მისგან დამოუკიდებელი მიზნით, გაუწყდებოდა (ქირი, უამინდობა მთაში, შიმშილი და სხვა), შეიკრიბებოდნენ სარქლები (მეცხვარეები) და ხელს შეუწყობდნენ დაზარალებულს, რათა მას თავისი მეურნეობა (ფარა) აღედგინა, ისევ დაბრუნებოდა ცხვარს და არ დაგლახავებულიყო. როგორც წესი, ოჩხარი ზაფხულობით მთაში, საძოვრებზე ეწყობოდა ან შემოდგომით, როცა ცხვარი მთიდან ბარში ბრუნდებოდა.

ჩვეულებრივ ოჩხარს თვით დაზარალებული აცხადებდა და აწყობდა მას მეცხვარეებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე; გაშლიდა სუფრას (უმეტეს შემთხვევაში მინდვრად), დაპატიებდა მეცხვარეებს, სარქლებს საპურმარილოდ (წესად იყო შემოღებული, რომ დაზარალებულ მასპინძელს ღვინო ან არაყი, ყველი, პური უნდა ჰქონოდა; კერძი, მწვადი ან სხვა რაიმე საკმელი სავალდებულო არ იყო).

დაპატიებული მეცხვარე (ან მესაქონლე) მივიდოდა სუფრასთან, აიღებდა ხელში სასმელით გაესებულ (ღვინით ან არყით) პატარა ჯამს (ან სარტყელიან ჭიქას), დაილოცებოდა, შეატანდა ლუქმა პურს და აღუთქვამდა მეოჩხარეს განსაზღვრული რაოდენობით წვრილფეხა პირუტყვის (ცხვრის, თხის) და პურის მირთმევას (მაგალითად, 2 — 3 ყოჩს, 1 — 2 ჭედილას, 2 — 3 ღვინოცხვარს ნამაქს, ან ბერწ ცხვარს, ან 5 — 10 ლიტრა ხორბალს და ა. შ.).

ამგვარად, რამდენიმე საათის განმავლობაში, დაზარალებული გლეხი — მეცხვარე აღიდგენდა ცხვრის ფარას და მასთან კირნახულსაც მიიღებდა.

მეორე შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არავითარი საშუალება არ გააჩნდა, ამავე დროს იგი წვრილშვილიანი იყო და საპატივემულო, დარბაისელი ადამიანი, მას თვით მეცხვარეები უწყობდნენ ოჩხარს და დაცემულ ადამიანს წელში გამართავენ ხოლმე.

ორივე შემთხვევაში ოჩხარის საშუალებით შეგროვილი ცხვრის ფარის გაყიდვა ან ფარიდან დაკვლა, ან სხვაზე გასაჩუქრება მის ახალ პატრონს არ შეეძლო — ადამით აკრძალული იყო, იმ დრომდე, სანამ ახალი ფარიდან მეცხვარე მეორე ნამატს არ მიიღებდა (ე. ი. ძირითად ფარიდან სანამ მეორე თაობა არ გაჩნდებოდა).

სწორედ ეს ხალხური ადათი იყო, ალბათ, ერთ-ერთი ხელის შემწყობი, რომ საქართველოში მეცხვარეობა ტრადიციულად ათასეული წლების მანძილზე შემოინახა.

## შინამრეწველობისა და ხეღოსნობის ზოგიერთი სახეობა

სახალხო მეურნეობის მრავალფეროვან დარგებს შორის ყურადღება ექცევა აგრეთვე შინამრეწველობისა და ხეღოსნობის განვითარებას. კახეთის რაიონების შინამრეწველნი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თვითეული რაიონის მიხედვით, გაერთიანდნენ კოოპერატიულ ორგანიზაციებში და გეგმიან მუშაობას შეუდგნენ.

კახეთში ძველთაგანვე განვითარებული იყო შინამრეწველობის მთელი რიგი დარგები (კერამიკის, აბრეშუმის, ბამბეული ქსოვილების ნაწარმი, ცხენების უნაგირებისა და მოსართავეების კეთება, ტყავეულის დამუშავება, კახური (თუშური) ნაბდის ქუდების კერვა, იარაღის კეთება და სხვა).

თელავისა და სიღნაღის რაიონები, როგორც მევენახეობა-მელვიწეობისა და ხორბლეული კულტურების მხარე, განთქმული იყო კე-

რამიკული ნაწარმით, რასაც ხელს უწყობდა ამ მიდამოებში არსებული მაღალხარისხოვანი საკურკლე თიხა-მიწის საბადოები.

თელავის რაიონის სოფლები შალაურა, ბუშატი, ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო განთქმული იყვნენ თავიანთი მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმით; აქ განვითარებული იყო მეკურკლეობა, მეთორნეობა, მეკრამიტეობა, მეაგურეობა, საკმაოდ კარგი სახელი გაითქვა ძველთაგანვე ქაშანურის კურკელმა, რომლის კეთებას ადგილობრივი ხელოსანი-გლეხები აწარმოებდნენ საამისოდ აგებულ საგანგებო ლუმელების მეშვეობით. საუკეთესო ხარისხის კოკები, თუნგნიანები, სურები, ჯამები გამოდიოდა ამ შინა-ხელოსნების მარჯვენიდან; საკმაოდ განვითარებული იყო აგრეთვე მექვევრობაც.

აღსანიშნავია ფრიად საყურადღებო კერამიკული ნაწარმი-ნაკეთობა (კურკელი), რომელსაც თელაველი შინამრეწველები ამზადებდნენ. ეს იყო „თალარა“, რასაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვენახის წამლის დასაყენებლად იყენებდნენ.

უწინ ზოგიერთ სოფელში ამგვარ კურკელს ცოტაოდენი ცვლილება-დამატებით ღვინის გადაღების დროს ხმარობდნენ, განსაკუთრებით რთველის შემდეგ, ახალი ღვინოების გადაწურვის პერიოდში.

ასეთ „თალარას“ წინ თავისი მილი ჰქონდა, მას დგამდნენ ქვევრის მახლობლად, ჩაასხამდნენ შიგ კაჭიან ღვინოს, შემდეგ მილის საშუალებით ღვინოს ქვევრში ჩაუშვებდნენ, ხოლო კაჭა კი თალარას ძირში დარჩებოდა (ასეთი „თალარა“ ამჟამად დატულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში)“<sup>28</sup>.

თელავის რაიონის ზოგიერთ სოფელში (თვით. თელავში, შალაურში) ცნობილი ხელოსნები კახურ საკრავებსაც აკეთებდნენ (ჩონგურს, დუდუკს, სტვირს, სალამურს).

განთქმული იყო თავისი კერამიკული ნაწარმით სიღნაღის ყოფმაზრაც (ქიზიყი). გამოირკვა, რომ ქიზიყში კურკლეულის მრავალსახეობათა შემცველი და მრავალგვარი დანიშნულების კურკელი ძველად უფრო ნაირსახოვანი ყოფილა, ვიდრე ამჟამად. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან დროთა ვითარებას მისთვის თავისი კვალი დაუმჩნევია და ჩვენამდე მას აღარ მოუღწევია. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ ხმარებაში იყო ძირგანიერი ხელადა და ჩარეჟა, საღვინე გოზაური და სადულარ-კოკობი, რაც ახლა უკვე აღარ კეთდება და ხმარებიდანაც გამოვიდა.

ამჟამად სოფ. ბოდბისხევში განაგრძობენ კოკების, ხელკოკურე-



შეკვერე (სოფ. ვარდისუბანი, თელავის რაიონი)

ბის, ჩაფის, ხელჩაფის, ჩაფურის, ლიტრის, ტოლჩის, ცალყურის, ძირის კილის, საბაშის, ქათმის საკრელის, ჯამ-ჯამფილების კეთებას.

XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთისა და ქიზიყის კერამიკულ ნაწარმებს მრავალი მომხმარებელი ჰყავდა, როგორც თვით კახეთის ქალაქებსა და სოფლებში, ისე გარე კახეთისა და ქართლის მოსახლეობაშიც.

ბოდბისხევის კერამიკული ნაწარმი წელიწადში 2—3-ჯერ ურემებით მიჰქონდათ საგარეჯოში, ხაშში, ახალსოფელში, პატარძელში, მარტყოფში, ნორიოში, ლილოში, სადაც იგი სწრაფად სალდებოდა. აქაურ კერამიკულ ნაწარმს დღესაც კარგი გასაუალო აქვს.

## სოფლის მეურნეობა და წიაღისეული სიმდიდრე

პრიმიტიული მამა-პაპური მეთოდებით აწარმოებდნენ თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრების გლეხები მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის სამუშაოებს. მიწის დამუშავების, მოსავლის მოვლა-პატრონობისა და დაცვის ასეთმა ჩამორჩენილმა, ცრუმორწმუნეობებზე აგებულმა, ფორმებმა დიდხანს იარსება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიაღწია.

ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა აფერხებდა ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებას. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა გლეხების ადგილობრივი კადრებიდან ინტელიგენციის ზრდისათვის; არ ზრუნავდა ქართველი, ისევე როგორც რუსი ხალხისა და მათ შორის სოფლის მწარმოებელი ძალის — გლეხობის განათლებასა და წინსვლაზე. ამის შედეგად XIX საუკუნის დამლევს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 21,9% იყო წერა-კითხვის მცოდნე; კახეთის სოფელი ამ მხრივ უფრო მეტად ჩამორჩებოდა, ხოლო მის მთიან რაიონებში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ მთიანეთში, წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი გაცილებით დაბალი იყო.

ამიტომ, თუმცა ძველ საქართველოში, კერძოდ, კახეთში სოფლის მეურნეობა, დროების შესატყვისად, იმდენად მაღალ საფეხურზე იდგა, რომ მასზე საბერძნეთის მწერლებიც მიუთითებდნენ, ხოლო შუა საუკუნეებში კი, მემკენარეობისა და მეცხოველეობის გაუმჯობესებელი კულტურები და დარგები, აგრეთვე მიწათმოქმედების ტექნიკის განვითარების დონე იმდენად მაღალი ყოფილა, რომ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები ბაძვდნენ და მისი გამოცდილება და ჩვევები თავის ქვეყნებში გადააქონდათ, XIX საუკუნის განმავლობაში იგი ამ დონეს აღარ გადაცილებია და არაერთი წინსვლა ან შესამჩნევი სიახლე არ დატყობია; საქართვე-



ლო ძირითადად დარჩა XVIII საუკუნის დამლევისათვის მიღწეულ დონეზე.

XIX საუკუნის დამდეგიდან, მართალია, კახეთის მოსახლეობამ, პირველ რიგში გლეხობამ, გარეშე მტრების ბარბაროსული თავდასხმების, მათი მრავალგზის შემოსევებისა და თარეშის, აგრეთვე გაუთავებელ ხოცვისა და ჟლეტისაგან იხსნა თავი, მაგრამ ერთი მხრივ, ცარიზმის მკაცრ პირობებს, პოლიტიკურ უუფლებობას და ეკონომიურ განადგურებას შეეფეთა (უქულტურო მოხელეების უსამართლობა, მიქრთამეობა, ცილისწამება, დაუსაბუთებელი ეკონომიური და სამხედრო დასჯითი მეთოდები, ეკზეკუციები და სხვა), ხოლო მეორე მხრივ კი თვით კახეთის „საკუთარი“ ფეოდალების — მემამულეების უგვანო მოქმედებას შეხვდა.

ასეთი მდგომარეობა კი ყველა პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ ხალხი აჯანყებულიყო. ასეც მოხდა: კახეთი და მის მეზობლად მდებარე მთიულეთი 1803 — 1804 წწ. აჯანყდნენ. მეორე აჯანყება მოხდა კახეთში 1812 წ., სადაც მრავალგზის ეკზეკუციებმა, სამხედრო, საგზაო ბეგარამ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, პურეულის სისტემატურმა მიტაცებამ გააჩანაგა ხალხი,<sup>29</sup> მით უფრო, რომ წინა წლების განმავლობაში, მოუსავლიანობის გამო, ხალხი დაღ ეკონომიურ შევიწროებასა და შიმშილს განიცდიდა. მისი შრომით შექმნილი სოფლის მეურნეობის ნაწარმი ჯერ ცარიზმის „ვოენშჩინას“, შემდეგ ადგილობრივ თავადაზნაურობასა და შეძლებულ ვაჭარ-მეევანშეებს მიჰქონდათ, ამათ ერთი ძლიერი მძარცველიც ემატებოდა — ეკლესია-მონასტრების მსახურნი.

XIX საუკუნის დამლევისათვის თელავისა და სიღნაღის მაზრების მშრომელი გლეხობა უკვე ეკონომიურად გამოიფიტა, ვინაიდან „...თბილისის გუბერნიაში რეფორმამდე საბატონო გლეხის ოჯახის სარგებლობაში იყო საერთო ჯამში 5,9 დესეტინა მიწა, ხოლო რეფორმის შემდეგ კი მას შერჩა მხოლოდ 3,7 დესეტინა და ისიც უარეს და მწირ ადგილზე“<sup>30</sup>. „კახეთში საბატონო გლეხებს მათ სარგებლობაში მყოფი მიწები „საგლეხო“ რეფორმის შემდეგ 18,90/0-ით შეუმცირეს, ნადელები გლეხებს გამოსყიდვით ეძლეოდათ. გამოსყიდვამდე გლეხი ძველებურად ასრულებდა ფეოდალურ ვალდებულებებს. 1903 წ. ყოფილ ყმა გლეხების 63,7% თავდაუხსნელი იყო, ნადელების 72% ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოსყიდული...“ 1904 წელს სიღნაღისა და თელავის მაზრებში მოსახლეობის 2,1 პროცენტს შეადგენდა თავადაზნაურობა, რომლის ხელში იყო კერძო მესაკუთრული მიწების თითქმის 84%. არათავადაზნაურული მესაკუთრეების განქარგულებაში იყო მიწების 16%, თავის მხრივ

არათავადაზნაურული მესაკუთრეების განკარგულებაში არსებულ მიწების უდიდესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს სოფლის კულაკურმა ელემენტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელი გლეხობა კახეთში (ლარიბი და საშუალო) მესაკუთრეთა 82,1% შეადგენდა, მის ხელში მიწების მხოლოდ 3,9% იყო<sup>31</sup>.

ჯერ კიდევ 1897 წელს დიდი პოეტი აკაკი წერეთელი წერდა: „კახეთში უკვე ყველამ შეიგნო ის ცუდი მდგომარეობა, რომელშიაც ყველა ერთად არის ჩაყარდნილი და სცდილობენ, რომ როგორმე თავი დააღწიონ ეკონომიურ გაქირვებას, მაგრამ ძნელია, თუ მიმშველი და მომხმარებ არ ეყოლათ. ცუდათ არიან ჩათრეულნი და შესაღებელი. მთელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებად არის გადაქცეული... არა თუ მარტო მამული, თვით მემამულეთა შრომაც კი; პატრონები მუშაობენ და მოსავალი კი მოვალეებს მიჰაქვთ... ვისაც კიდევ შერჩენიათ მამული, ისინიც ვერ ასაღებენ ღვინოს; ჩარჩებს პირობა აქვთ შეკრული და როგორც უნდათ ისე მიაქვთ“<sup>32</sup>.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი კახეთის მევენახეობის შესახებ წერდა: „... იყო დრო, როდესაც მევენახეობა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ამჟამად მან მოიპოვა მნიშვნელობა და წონა ვაჭრობის მხრივ და შეიქმნა ერთადერთ წყაროდ შინა სიმდიდრისა. კახეთის ღვინომ უნდა შეამციროს ფულის ფლანგვა, რაც უცხოეთში გადის რუსეთიდან ევროპული ღვინოების შესაძენად. დადგება დრო, — წერდა იოსელიანი, — როდესაც იგი მიაღწევს რეინული და ბურგუნული ღვინოების ხარისხსა და მნიშვნელობას“<sup>33</sup>. მაგრამ კახეთის მევენახეობა-მელღვინეობის განვითარება XIX საუკუნეში ისეთი გზით წავიდა, რომ მან ძალიან დიდი ზიანი და მატერიალური შევიწროება მიაყენა მშრომელ გლეხობას.

წასული საუკუნის 20 — 30-იანი წლებიდან დაიწყო კახეთში მელღვინეობის შინამრეწველური წარმოება. გაჩნდა წვირილ მწარმოებელთა მთელი ჯგუფები, რომლებმაც ხელი მიჰყვეს ღვინოების დაყენებას საბაზროდ. ამავე პერიოდში დაარსდა მევენახეობის მსხვილი მეურნეობები, მაგალითად, ივანე აბხაზისა სოფ. კარდანახში, რომელიც შემდეგ გრაფ შერემეტევმა შეიძინა, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა — წინანდალში და მუკუხანში (შემდეგში საუფლისწულო მამულზე გადასული, გაყიდული).

შინამრეწველური წესით დამზადებული ღვინოები ძირითადად თბილისის ბაზარზე გადიოდა. „რაც უფრო ფართოვდებოდა ღვინის

ბაზარი, მით უფრო ვრცელდებოდა მევენახეობა-მელვინეობა. ამავე დროს მცირემიწიანობა გლეხს აიძულებდა ხელი მოეკიდა მარცვლეულის მეურნეობასთან შედარებით უფრო შრომატევად და ინტენსიური ვაზის კულტურისათვის“<sup>34</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუთნეულის გამართვის სიძნელე სოფლის ღარიბ გლეხობას კულაკობის კაბალაში აქცევდა. თუ კახელი გლეხი თავის სახნავი მიწის მცირე ფართობზე ვენახს გააშენებდა, იგი ვითომდა თავისუფლდებოდა გუთნეულის დამოკიდებულებისაგან, რომელიც ამ გაერთიანებაში (გუთნეულის გაერთიანებაში) 30 დღის მუშაობისათვის მინდორზე მხოლოდ ერთი დღის ნახნავს მიიღებდა. პირველი შეხედვით მევენახე გლეხი თითქოს დამოუკიდებელი მწარმოებელი ხდებოდა, მაგრამ სულ მოკლე ხანში აშკარადებოდა ამ „დამოუკიდებლობის“ ნამდვილი არსი; მევენახე გლეხს უჩნდებოდა ბატონი შემსყიდველის ან სირაჯის სახით, რომლისაგანაც ღვინის ახალი მოსავალი უკვე წინდაწინვე იყო დაბევებული, ან „ვალის ანგარიშში ჩაგდებული“. ამგვარად, წვრილი მწარმოებელი უმეტეს შემთხვევაში სხვის ყურძენს კრეფდა „თავის საკუთარ ვენახში“<sup>35</sup>.

სირაჯები, მეტწილად ამქარში გაერთიანებულნი, მტკიცედ ორგანიზებული ღვინით ვაჭარ-მევენახეები იყვნენ; სირაჯთა მთავარ კონტიგენტს თბილისელი ღვინით მოვაკრენი შეადგენდნენ<sup>36</sup>.

სირაჯები მოეფინებოდნენ სოფელს, ეზო-ეზო მოუვლიდნენ მეკომურეებს, გაუსინჯავდნენ და შეათასებდნენ ღვინობეს; ამასთან უბრალოდ კი არ უვლიდნენ თითოეულ ეზოს, არამედ ზუსტ აღრიცხვას აწარმოებდნენ — აკეთებდნენ თავიანთთვის ჩანაწერებს, ვის რა ღვინო გაუსინჯეს და როგორ შეათასეს. თუ მელვინე მაღალ ფასს მოითხოვდა, მაშინ სხვა სირაჯები ერთიმეორეზე უფრო დაბალ ფასს შეაძლევდნენ და ამნაირად აიძულებდნენ ღვინის გამყიდველს სასურველ ღონემდე დაეწია ფასი.

უკვე XIX საუკუნის 90-იან წლებში შემსყიდველებმა (სირაჯებმა) და მელუქნეებმა დააწყეს გლეხებზე და მემამულეებზე სესხის გაცემა (დაბევება) და ამ სახით მომავალი მოსავალი (ღვინო) იყიდებოდა წინასწარ დანიშნულ ფასში, ანდა მისი უდიდესი ნაწილი პროგრესულად მზარდი მევენახური სარგებლის ანგარიშში მიჰქონდათ. შემსყიდველ-მევენახის ვალებში გაბმული და ამ გზით გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყარდნენ მწარმოებელი გლეხი, საწნახელისა და ქვევრების გაყიდვის შემდეგ („უკანასკნელი ოპერაცია“), ვენახს ავირავებდა. ამას მოსდევდა ვალის და სარგებლის

ზრდა და საბოლოოდ განადგურებულ სოფლის მეურნეს ბოლოს ეკარგებოდა მამული (ვეჩახი), ზოგჯერ სახლიც და მთელი კარმი-დამოც; მევენახე-მელვინე გლეხების პროლეტარიზაციის პროცესმა წლების მანძილზე უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ეს მდგომარეობა კი იწვევდა მძაფრ კლასობრივ ბრძოლას მემამულეების წინააღმდეგ. გლეხები იბრძოდნენ მათი მიწების ხელში ჩასაგდებად, ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციისათვის და მეფის რეჟიმის დამხობისათვის. ამავე დროს მშრომელი გლეხობა იბრძოდა კულაკობის, ე. ი. სოფლის შეძლებული ფენების წინააღმდეგ; მაგრამ ამ ბრძოლას დასაწყისში სუსტი, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, სანამ მას სათავეში არ ჩაუდგა 1903 წელს ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი რსდმ ბოლშევიკების პარტია. ამავე პერიოდიდან კახეთის თითქმის ყველა მოზრდილ სოფელში დაარსდა რსდმპ ორგანიზაციები, ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფები, წრეები ლენინურ-ისკრული მიმართულების, რომლებმაც დიდი მუშაობა გააჩაღეს. ამავე 1903 წელს ჩამოყალიბდა რსდმპ სიღნაღის და თელავის სამაზრო ხელმძღვანელი ორგანიზაციები, რომლებმაც თავიანთი მუშაობა თბილისისა და კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით გაშალეს. 1903 — 1905 წწ. კახეთის მთელ რიგ სოფელში და საუფლისწულო მამულებში დაიწყო მძლავრი მასობრივი გამოსვლები მშრომელი გლეხობის, საუფლისწულო მამულების მუშების და მოსამსახურეების მემამულეების უსაშინელესი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გლეხები ბოიკოტს უცხადებდნენ მემამულეებს, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სასამართლოს ორგანოებს<sup>37</sup>. მოითხოვდნენ მემამულეებისაგან სახნავ-სათეს მიწებს, მათი ტყეების სასოფლო საკუთრებად გამოცხადებას. საქმე იქამდის მივიდა, რომ 1903 წლის ნოემბრის თვეში სოფ. ჩალაუბნის გლეხებმა სასოფლო 'ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე მემამულე ვაჩნაძეებისა და აფხაზების ტყეები სასოფლო საკუთრებად გამოაცხადეს, გააძევეს ტყის მოხელეები და ტყის გაჩეხვა დაიწყეს.

რევოლუციის ტალღა მოედო მთელ შიდა და გარე კახეთს, თელავში და სიღნაღში 1905 წელს ეწყობოდა დიდი დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნის, საუფლისწულო მამულებისა და სხვა საწარმოების მუშები, შევირდები, ნოქრები, ხელოსნები, უახლოესი სოფლების გლეხები, მეეტლეები, მოსწავლეები და ქალაქის მცხოვრებნი. 1905 წლის სრულიად რუსეთის გაფიცვამ აქაც გამოხმაურება ჰპოვა და დაიწყო გაფიცვა; რომელმაც 3 — 4 დღეს გასტანა (23 — 25 ოქტომბერი

1905 წელი). მუშების და გლეხების რევოლუციურმა მოძრაობამ გამარევოლუციონერებელი გავლენა იქონია ჯარის ნაწილებზე, რომლებიც თელავის და სიღნაღის მაზრებში იდგნენ.

მშრომელი გლეხობის გაპირებებს კიდევ ისიც დაემატა, რომ XX საუკუნის დამდეგიდან (1906 — 1913 წწ.) საქართველოში, კერძოდ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (გარე და შიდა კახეთში), გაჩნდა ვაზის ახალი ავადმყოფობა ფილოქსერა, რომელმაც გააპარტახა და გაანადგურა ვენახები. უკვე 1913 წელს ფილოქსერის მიზეზით საგრძნობლად შემცირდა ვენახების ფართობი და მასთან ვენახების პატრონებიც<sup>38</sup>.

იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918 წწ.) და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მენშევიკების ბატონობის პერიოდში (1918 — 1921 წ.წ.), საქართველოს მთელი მეურნეობა და მათ შორის სოფლის მეურნეობა უსაშინელეს და აუწერელ გასაპირს განიცდიდა. დიდად შემცირდა ხვნა-თესვა; კაცი არ იყო სოფელში მიწის დამმუშავებელი, მოიშალა გზები და ტრანსპორტი, განადგურების გზაზე იდგა მევენახეობა-მელენეობა, ისედაც ჩამორჩენილი და პრიმატიული სასოფლო-სამეურნეო იარაღი გაცვდა და მისი შემცვლელი და განმაახლებელი არავინ იყო, მშრომელი გლეხობა ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, სიღატაკესა და სიღარიბეში ჩავარდა.

კახეთის სოფელს ველარც ქალაქი შველოდა, რადგანაც თვით ქალაქების მეურნეობაც დაცემის და ნგრევის პროცესში იმყოფებოდა.

1921 წლის 25 თებერვლიდან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, საქართველო, მეფის რუსეთის აგრარულად ჩამორჩენილი, განაპირა კოლონიიდან „რუსეთზე კიდევ უფრო მეტად გლეხურ ქვეყნიდან“ (ლენინი), ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს გაპარტახებული მხარიდან, დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-საკომმერსო რესპუბლიკად გადაიქცა. აშენდა მრავალი ახალი, მძლავრი ქარხანა, ფაბრიკა, ჰიდროელექტროსადგური; შეიქმნა მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები — მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურგია, საფეიქრო, ქიმიური, ნავთობის მომპოვებელი და გადასამუშავებელი მრეწველობა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური სოფლის მეურნეობა; საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა, კვების მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ფართო გასაქანი მიიღო გზათა და სარწყავ-საარხო მშენებლობებმა, განვითარდა კულტურა და მეცნიერება; 1941 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემია და მისი დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევითი ინსტიტუტები. გაიშალა და განვითარდა კვლევითი მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში, რამაც უდიდესი გავლენა იქონია კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების გაუმჯობესებაზე და მოსავლიანობის გადიდებაზე.

ჩვენ მიერ აღწერილი მხარე, ანუ მისი ეკონომიურ-გეოგრაფიული სახელწოდებით — გარე და შიდა კახეთი, რომელიც მოიცავს საგარეჯოს, კაკრეთის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს მევენახეობის, მარცვლეულ-ხორბლეულისა და მეცხოველეობის დარგების უმნიშვნელოვანეს მხარეს.

ამ რაიონების ვენახების ფართობი რესპუბლიკის მევენახეობის 32% შეადგენს, ხორბლეულ-მარცვლეული ნათესები — 42%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის — 13%, ცხვრის სულადობის მიხედვით კი 33%, თამბაქოს ნათესები 12%, მებაბრეშუმეობა — 11,7%.

ამ მხარეში სოციალისტური სოფლის მეურნეობის ძირითადი წამყვანი დარგებია მარცვლეულ-ხორბლეული კულტურები, მევენახეობა, მეცხოველეობა, მებაბრეშუმეობა აგრეთვე, შედარებით ახალი დარგები, მეთამბაქოეობა, ეთერზეთოვანი და მზისუმზირას კულტურები.

ამ მხარის ყველა რაიონი ბუნებრივი (მათ შორის ნიადაგობრივი) და ეკონომიური პირობების მიხედვით დიდ შესაძლებლობას შეიცავენ ტრადიციული მევენახეობის უფრო ფართო მასშტაბით განვითარება-აღმავლობისათვის.

ვაზი საქართველოს უძველესი და უმნიშვნელოვანესი კულტურათაგანია. ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება საქართველოში, ეს უძველესი მოსაქმეობის დანერგვის ისტორია იკარგება ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებში, იგი სამართლიანად ითვლება საქართველოს ეროვნულ კულტურად.

კახეთის რაიონების ხვედრითი წონა საქართველოს მევენახეობა-მელვინეობაში ძალიან დიდია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კახეთი მთლიანი მევენახეობის მხარეა, სადაც ვენახების განლაგების თვალსაზრისით წამყვანი რაიონებია: თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და ყვარლის. დღეისათვის კახეთის ვენახებს 17000 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. 1953 წელს ვენახების პროდუქციამ 33700 ტონას მიაღწია. მომავალი 12—15 წლის განმავლობაში გეგ-

მით გათვალისწინებულია ვენახის ფართობი 40.000 ჰექტარამდე გაიზარდოს და არანაკლები 150.000 ტონა პროდუქტია მისცეს ქვეყანას. ასეთია კახეთის მევენახეობის განვითარების პერსპექტივა უახლოესი 15 წლის მანძილზე.

ჩვენ წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ პირობები, რომლებიც უკან სწევდნენ და აფერხებდნენ მევენახეობა-მელვინეობის განვითარებას. მაგრამ აქ საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ მელვინეობის განვითარებას კახეთში ბევრად უშლიდა ხელს და საგრძნობლად აფერხებდა უგზოობაც; გლეხს საშუალება არ ჰქონდა მოკლე გზით თავისი პროდუქტია ქალაქში ან ბაზარზე გაეტანა. საკმარისია აღვნიშნოს, რომ თბილის—თელავის გზატკეცილი გომბორის მთით, ე. ი. უმოკლესი გზა, გაყვანილ იქნა მხოლოდ 1870 წელს და ისიც ამ სამხედრო მნიშვნელობის გზატკეცილით სიარული ურმებს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. შეეძლოთ ევლოთ მხოლოდ ეტლებს, დილიენებს, ფურგონებს, კარეტებს და ცხენიან „პოვოსკებს“ და არა ხარკამეჩიან ურმებს. ამგვარად, ახლადგაყვანილი გზატკეცილი გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებაში როლს არ თამაშობდა.

ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამთავრებული იქნა სამტრედია-ბათუმის რკინიგზა. (1883 წ.) და, ამგვარად, ქ. ბათუმი (რომელიც რუსეთს 1878 წ. გადაეცა რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ) დაუკავშირდა თბილისსა და ბაქოს, წამოიჭრა საკითხი რკინიგზით კახეთის თბილისთან და ამიერკავკასიის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებთან დაკავშირებისა.

XIX საუკუნის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა აქტუალურ საკითხად დააყენეს კახეთისაკენ რკინიგზის გაყვანის აუცილებლობა; იმ დროის ოფიციალურ პრესაშიც კი გაჩნდა მთელი რიგი საყურადღებო წერილი ამ საკითხზე. 1883 წელს მთავრობის ოფიციალურმა გაზეთ „კავკაზმა“ (№ 52) გამოაქვეყნა ცნობილი ისტორიკოსის, სრულიად რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის (1881 წ. თბილისში) ერთ-ერთი აქტიური მონაწილეთაგანის დ. პ. ფურცელაძის წერილი სათაურით: „Богатства Кахетии и необходимость проведения туда железнодорожной ветви“, რომელშიც ავტორმა ხაზი გაუსვა მევენახეობისათვის ალაზნის უღვევი ველის მნიშვნელობას, და აღნიშნა, რომ „კახეთის ველზე საუკეთესოდ ხარობს სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, მაგრამ, — განაგრძობს ავტორი, — ამავე დროს მატერიალურად გაჭირვებული მდგომარეობა მოსახლეობის, კაპიტალისა და ტექნიკის უქონლობა აფერხებს ამ განვითარებას, ხოლო უგზოობა კი საგრძნობლად აძნელებს პრო-

დუქციის გაზიდვას ბაზრებზე“; ამიტომ წერილის ავტორს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა რკინიგზის გაყვანა თბილისიდან კახეთისაკენ.

ეს საკითხი შემდეგშიც არ შენელებულა, მრავალი სტატია დაიწერა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში კახეთის რკინიგზის გაყვანის აუცილებლობაზე და, როგორც იქნა, 1910 — 1914 წწ. ეს გზა დიდი წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ დამთავრდა, მაგრამ მისი ნორმალური ექსპლოატაცია დაემთხვა სწორედ იმპერიალისტურ რეჟიმის პერიოდს, როდესაც სოფლად უმამაკაცო მეურნეობამ, ქვეყნის ეკონომიურმა შევიწროებამ უკვე დასცა გლეხური მეურნეობა და სრული გაპარტახების გზისაკენ მიაქანებდა მას. კახეთის კერძო (და არა სახელმწიფო) რკინიგზის მშენებლობას აწარმოებდა ქართული სათავადაზნაურო სასოფლო-სამეურნეო ბანკი, მაგრამ დამატებითი სუბსიდია სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რკინიგზის მშენებლობის (და მიმართულების) დაგეგმვის დროს მგეგმავი ორგანოები და შემსრულებლები, დაინტერესებულ თავადაზნაურულ და ვაჭარ-ბევანბური ფენის ზეგავლენით, გამომდინარეობდნენ არა მშრომელი მოსახლეობის, ან მხარის განვითარების ინტერესებიდან, ან გზის რენტაბელობიდან, არამედ, უმთავრესად, კერძო პირების — მემამულე თავადაზნაურების, ვაჭრებისა და ცალკეული კაპიტალისტების პირადი გამდიდრების ინტერესებიდან (რკინიგზის ლიანდაგის რომელიმე მამულზე გაყვანის შემთხვევაში მის პატრონს ეძლეოდა დიდი ფულადი კომპენსაცია — მამულის, ანუ ზოლის გამოსყიდვის წესით).

ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ კახეთის რკინიგზის ტრასის უცნაური მიმართულება დღესაც გაკვირვებას იწვევს, თორემ სხვა რითი უნდა აიხსნას ის, რომ რკინიგზა გაყვანილი იყო გაუღებლობებულ, უხალხო, უწყლო, უმცენარო, გახრიოკებულ ადგილებზე თბილისიდან — საგარეჯომდე, ხოლო შემდეგ კი მთავარიან, აღმართ-დაღმართიან, მიხვეულ-მოხვეულ, მოზვავებულ და მეწყერ ადგილებზე (ბადიაური — ჩალაუბანი — მელაანი) და ისიც სოფლებიდან დიდი მანძილით დაშორებული. ამ რკინიგზის ექსპლოატაციაში გაშვების დღიდანვე კარგა ძვირი უჯდებოდათ მის მშენებლებს ლიანდაგის თითქმის განუწყვეტელი და კაპიტალური შეკეთება ყოველ გაზაფხულზე და ზამთრის პერიოდებში ბადიაური — ჩალაუბანი — მელაანის უბანზე ჩამოსული ზვავებისა და მეწყერების გამო. მართალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ გზის ტრასა არ შეცვლილა, მაგრამ საგზაო



ფართო მშენებლობასთან დაკავშირებით მთელი ეს მხარე დაისერა მრავალი შარაგზით, გაჩნდა მექანიზებული ავტოტრანსპორტი, მომოსვლა და ტვირთზიდვაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემოდებული იქნა ამ მიმართულებით სარეისო სახალხო და საბარგო ავტომანქანების მიმოსვლა თბილისი — ნორიო, თბილისი — მარტყოფი, თბილისი — საგარეჯო, თბილისი — წნორი, თბილისი — წითელწყარო, თბილისი — თელავი და სხვ. მიმართულებით.

საქართველოში მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები დასახეს.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში განზოგადოებული ვენახების გაშენების წესი საგრძნობლად შეიცვალა.

ვაზის მრავალი ჯიშის (138 ჯიშის) ნაცვლად გაშენდა ყველაზე ძვირფასი, სამრეწველო მნიშვნელობის 16 ჯიში, მათ შორის რქაწითელი, საფერავი, მწვანე, კაბერნე, ხიხვი, ალიგოტე, პინო, მარდონე და სუფრის დანარჩენი ჯიშები. აქედან სამრეწველო გავრცელება აქვს მხოლოდ სამ ჯიშს — რქაწითელს, რომლის ფართობი 13,0 ათას ჰექტარს უდრის (78,0%), საფერავს — 1800 ჰა (10,6%), მწვანეს — 1150 ჰა (6,9%), დანარჩენ ჯიშებს 791 ჰა (4,5%).

ყურადღების ცენტრშია ვაზის კულტურის მოვლა-პატრონობა და მისი მოსავლიანობის განუხრელი ზრდა.

აგროტექნიკური ღონისძიებების ფართო დანერგვით მიღწეული იქნა ყურძნის საშუალო მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება ერთ ჰექტარზე სარწყავიდან 60—80, ხოლო ურწყავიდან 40 — 50 ცენტნერი ყურძენი (საშუალოდ).

მეურჩეობლივ იზრდება, ფართოვდება და უმჯობესდება ვენახების მოშენება და ღვინის დაყენების საქმე. ძველთაგანვე ცნობილი საღვინე ყურძნის ჯიშები და ღვინოები დღითიდღე უმჯობესდება და ემატება საბჭოთა კვების მრეწველობას.

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ღვინის დაყენება სულ ახალ ტექნიკურ ბაზაზე ააგეს. ღვინის დაყენების უწინდებური, მოძველებული მეთოდი (ხის საწინახელი ლასტებით, ყურძნის დაწურვა ფეხით და სხვა) დაიგმო და მის ნაცვლად მასობრივი წესით დაინერგა ღვინის დაწურვის, დაყენებისა და დამზადების გაუმჯობესებული ტექნიკა და ცალკეული პროცესების მექანიზაცია.



წინაღობის საბჭოთა მეურნეობა (ბარჯი)

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ყოველწლიურად აძლევენ ჩვენ ქვეყანას საუკეთესო ხარისხის ღვინოებს: რქაწითელს, საფერავს, თელიანს, წინანდალს, მუკუზანს, ჭინძმარაულს.


აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მეურნეობებმა მევენახეობა-მეღვინეობის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და ტექნიკის თვალსაზრისით, თანამედროვეობისათვის შესაფერ მალალ საფეხურზე აყვანის საქმეში, შესამჩნევი როლი შეასრულეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა მეურნეობების შექმნას, მათ შემდგომ მშენებლობას და მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-მეურნეობრივ განმტკიცებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ძველად გაშენებული საუფლისწულო მამულები: წინანდალის, 1881 წელს (ალ. ჭავჭავაძის ნაქონ მამულში), მუკუზანის — 1883 წ. და ნაფარეულის — 1884/5 წ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის, ძალზე ჩამორჩენილად გამოიყურებოდნენ, როგორც ტექნიკური შეიარაღების, ისე თვით საწარმოო პროცესების მხრივ; ამიტომ, როდესაც აქ საბჭოთა მეურნეობები მოეწყო, მათ საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და ტექნიკით შექურვა დასჭირდა: გარდა ამისა, გაშენდა მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობები კარდანახში, ჩუპლაყში, ანაგაში, ყუარელში, ხირსაში, თელიანში, მანავში, რომლებიც გააერთიანა „სამტრესტმა“. ყველა ეს საბჭოთა მეურნეობა და მათთან არსებული ღვინის ქარხნები უზრუნველყოფილია სათანადო მოწყობილობით, მანქანა-იარაღით და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით.

ამ საბჭოთა მეურნეობებმა, თავის დროზე, ფართო სამოქმედო ასპარეზისა და მტკიცე მატერიალური შესაძლებლობის მეოხებით, დახმარება აღმოუჩინეს კოლექტივიზაციისაკენ მომავალ სოფლებს და დღეს კი, გეცნიერულ და საწარმოო თანამეგობრობისა და შეფობის საფუძველზე, პრაქტიკულად ეხმარებიან მათ მეზობლად მდებარე ფართოდ გაშლილ კოლმეურნეობებს.

მევენახეობის რაიონებში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ღვინის შექანიზებული და მსხვილი მარნების ქსელი და სასარდაფო მეურნეობა<sup>30</sup>. წინანდალის საბჭოთა მეურნეობის ღვინის რეკონსტრუირებულ სარდაფში ერთდროული ტევადობა ღვინისათვის უკვე გადიდებულია მილიონ დეკალიტრამდე. გარდა ამისა, ახალი სარდაფები აშენდა — გურჯაანის რაიონთაშორისო, იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში მისი გამტარუნარიანობა 2 — 3-ჯერ გადიდდეს; აგებულია კარდანახის ქარხანა-სარდაფი, აგრეთვე მთელი რიგი ახალი მარან-სარდაფები და ღვინის ქარხნები სხვა ადგილებში.



ლენინის ხარისხისა და სტანდარტის გაუმჯობესებას დიდად შეუწყობდა ხელი ამ რამდენიმე წლის წინათ შემოღებულმა და მასობრივად გატარებულმა ყურძნის კრეფის მზადყოფნის (ტექნიკური სიმწიფის) საყოველთაო სავალდებულო ლაბორატორიულმა გამოცდებამ. დაინერგა ყურძნის ცალკე ტიპებისა და ხარისხის მიხედვით შერჩევითი კრეფა, დაწესდა ლენინის ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შენახვა (2—5 წლამდე) ხისა და შუშის ქურქულში.

მევენახეობის გარდა ყურადღების ცენტრშია აგრეთვე მემინდვრობა.

ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ალაზნისა და შირაქის თვალუწვდენელ ველებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის და მათ შორის სოფლის მეურნეობის წინაშე ამჟამად ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული, ამოცანები დაისახა.

მეექვსე ხუთწლედში სავსებით უნდა იქნას დაკმაყოფილებული რესპუბლიკის მოთხოვნილება მარცვლეულით.

საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში საერთოდ და კახეთის რაიონებში ყერძოდ, უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლეული კულტურების მოყვანა, იმ ვარაუდით, რომ უახლოეს დროში სავსებით შესრულებულ იქნას კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღირებულება; კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რამდენჯერმე გაზარდეს სათესი ფართობი; შეუნელებლივ გრძელდება, აგრეთვე პროდუქტიული პირუტყვის მოშენება და ხორცის, რძის, ერბო-კარაქის წარმოებათა გაფართოება-გადიდება.

ამ უდიდესი ამოცანების განხორციელებაში საპატიო როლი აქვს განკუთვნილი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს ისეთი თვალუწვდენი მასივების გამოყენებაში როგორცაა ალაზნის, შირაქის, სამგორის ველები, გარდა ამისა, მრავალი სარწყავი ყამირისა და ურწყავი მინდვრების ათვისებით თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარებას დიდად ეხმარება ის გარემოება, რომ მრავალი ურწყავი ადგილი ახლა, ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის დამთავრებასთან დაკავშირებით, უკვე ირწყვება; მალე ალაზნის სარწყავი სისტემა (№ 2) მორწყავს ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონების 24,0 ათას ჰექტარს, ხოლო სამგორის პირველი რიგის სარწყავის.

სისტემაში, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც ამუშავდა, საგრძნობ-  
ლად გაადიდა სარწყავი ფართობები საგარეჯოსა და თბილისის რა-  
იონებში.

ამ რაიონის გამსხვილებული კოლმეურნეობები ახორციელებ-  
ენ საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე  
დასმულ დიდ ამოცანებს. დღესდღეობით ცივ-გომბორის ქედის გა-  
დაღმა და გადმოღმა მხარეზე მდებარე კოლმეურნეობები სახელმწი-  
ფოს აბარებენ ათიათასობით ცენტნერ ხორბალს, სულ მოკლე ხანში  
ისინი თავიანთი მინდვრებიდან აიღებენ გაათვეცებულ მოსავალს.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე უკანასკნელი ორი  
წლის განმავლობაში ხორბლეულ კულტურათა ფართობი 20 ათასი  
ჰექტარზე მეტით გაზარდეს.



საკოლმეურნეო სხვაი ყვარლის მიდამოებში

ამჟამად ირწყვება ისეთი ყამირები, სადაც უწინ ძეძვის, მაყვლის  
და ბალახეულის მეტი არაფერი იზრდებოდა. უახლოესი წლების  
განმაკვლობაში ხორბლეული კულტურების ერთ-ერთ წამყვან —  
სიღნაღის რაიონში ათვისებული იქნება ამ კულტურებისათვის დამა-  
ტებით კიდევ 20 ათას ჰექტარამდე იმ ვარაუდით, რომ უახლოესი  
წლისათვის ამ რაიონის პურეული სათვისი ფართობი აყვანილი იქნას

44000 ჰექტარამდე, ხოლო მოსავალი არა ნაკლებ 27 ცენტ. ჰექტარ-  
რიდან.

ალაზნის ჰიდროელექტროენერჯით ამოძრავებული მექანიზებული  
წყალსაქაჩავები მორწყავენ ალაზნის არხის ზემოთ მდებარე  
ფართობებსაც.

ამოქმედდა ტიბაანის სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომ-  
ელსაც სიღნაღის რაიონის ყამირისა და გაყამირებული მინდორ-ვე-  
ლების ასათვისებლად 400-ზე მეტი ტრაქტორი, კომბაინი და სხვა  
მანქანა მოეპოვება.

სოფელ მალაროს კოლმეურნეობები „შრომა“ და „ლენინის გზით“,  
აგრეთვე ულიანოვკის, ბოდბისხევის, ძვ. ანაგის ი. ბ. სტალინის  
სახელობის და სხვა მძლავრი კოლმეურნეობები მიღწეულ წარმატე-  
ბებს არ ჯერდებიან და იბრძვიან მოსავლის კიდევ უფრო მეტად გა-  
დიდებისათვის.

საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი ხორბლეული ჯიშების  
შემდგომი გავრცელებისა და გაუმჯობესებისათვის სათანადო ცდებს  
დაუზარებლად ატარებენ წითელწყაროს რაიონის მთელი რიგი კოლ-  
მეურნეობები და კოლმეურნეები. მაგალითად, სოფ. გამარჯების  
(ყოფ. უზუნდარას) უღანოვის სახელობის, არბოშიკის, არხილოს კა-  
ლოს, ზემოქედისა და სხვა კოლმეურნეობები. საქართველოს სასე-  
ლექციო სადგურის ფილიალი, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის აკა-  
დემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის შირაქის სადგური (დიდი  
შირაქი) აქტიურად ეხმარებიან კოლმეურნეობებს ამ საქმიანობაში  
და ინტენსიურ საგამოკვლევო მუშაობას აწარმოებენ ისეთი ხორბ-  
ლის ახალი ჯიშების გამოსაყვანად, რომლებიც 1 — 1,5-ჯერ მეტ  
მოსავალს მისცემენ, ვიდრე დღემდე არსებული ჯიშები იძლეოდ-  
ნენ. სოფელ ულიანოვკის (სიღნაღის რაიონი) კ. ე. ვოროშილოვის  
სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრე-პრაქტიკოსებთან ერთად  
ჩატარებული ცდების შედეგად, გამოყვანილი იქნა ხორბლეულის  
საპერსპექტივო ჯიშები: „კახურა“, „კახი“, „შრომა“ და „კახურა  
დოლი“, რომლებიც საცდელი ფართობებიდან ალაზნის, შირაქისა  
და ივრის საკოლმეურნეო მინდორ-ველებზე გადადის. ამჟამად ნა-  
ტახტარის სასელექციო სადგურის მიერ გამოყვანილმა სამემოდგო-  
მო ხორბლის რთულმა გიბრიდმა (მასიური გადარჩევის მეთოდით)  
„მოწინავეს“ სახელწოდებით ფართო გავრცელება მიიღო შირაქი-  
სა და ალაზნის ველებზე. მან 1956 წელს სოფელ ზემოქედის  
სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მისცა ჰექტარიდან 42 ცენ-  
ტნერი მარცვალი.

მემინდვრეობის დარგში ყურადღებას იპყრობს ტექნიკური კულ-

ტურების მზარდი განვითარება. მათ შორის მეთამბაქოეობა და მზესუმზირას კულტურა.

ამ კულტურების რაციონალურ საფუძველზე აღორძინება-განვითარება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

თამბაქოს კულტურა საქართველოში გაჩნდა XVII საუკუნიდან. იგი ამჟამად კახეთში გავრცელებულია უმთავრესად ლაგოდეხის, ნაწილობრივ — გურჯაანის, სიღნაღისა და ყვარლის რაიონების განზოგადოებულ სექტორში.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა მეთამბაქოეობაში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს, როგორც მისი მოსავლიანობის ზრდის, ისე ხარისხის გაუმჯობესების მიხედვით.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამბაქოს საფერმენტაციო მრეწველობას, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს. პირველ ხუთწლედში ლაგოდეხში შექმნილი იყო თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, რომელიც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს კახეთში მოყვანილი თამბაქოს ფერმენტაციის საქმეში.

მზესუმზირას თესვა საქართველოში, კერძოდ, კახეთში დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთიდან გადმოსახლებულმა ოჯახებმა ეს კულტურა თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გააშენეს (თუქურშიშა, ამჟამად წითელწყარო, სვეჩინოვკა — ამჟამად ჯაფარიძე, ოლგინსკოე — ამჟამად წითელი უბანი, ულიანოვკა და სხვ.).

ტექნიკური კულტურის სახით იგი რევოლუციამდელ საქართველოში არ არსებობდა. სამრეწველო დანიშნულებით მისი გამოყენება დაიწყო საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი ამჟამად კარგად არის გავრცელებული სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანის, კაქრეთის, საგარეჯოს რაიონებში. ამ კულტურის ბაზაზე აშენდა ზეთის გადასამუშავებელი ქარხნები. მზესუმზირასაგან ხდიან საუკეთესო საქმელ ზეთს, ხოლო მისი კოპტონით კი კვებავენ შინაურ პირუტყვს (განსაკუთრებით მეწველ ძროხებს).

ტექნიკური თვისებებისა და გვალვის ამტანობის მეოხებით მზესუმზირას დიდი პერსპექტივები აქვს საქართველოს ურწყავ რაიონებში თესლბრუნჯის დანერგვასთან დაკავშირებით.

ამ მხარეში განთქმულია აგრეთვე მეცხოველეობა. რევოლუციამდელ და საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში მეცხოველეობა დაქსაქსული იყო წერილ-წერილ მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის მეტად ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა.



ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ყურადღება არ ექცეოდა მაღალ-ჯიშინანობასაც, ამიტომ თითქმის ყველა სახის შინაური ცხოველ (ძროხა, ხარი, ცხვარი, ცხენი) მდარე ჯიშინანობითა და დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებოდა. ამასთან, მშრომელი გლეხობის დიდ უმრავლესობას საერთოდ პირუტყვი არ ჰყავდა. 1917 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში გლეხურ მეურნეობათაგან 14,9 % არ ჰყავდა პირუტყვი, 39,2% — მუშა პირუტყვი, 37% — ძროხა.

ამავე დროს ეს მცირე რაოდენობის პირუტყვი მოქცეული იყო შემამულეთა, სოფლის ბობოლებისა და ვაქარ-მეევანშეების ხელში. ბევრ მათგანს ჰყავდა რამდენიმე ათასი სულისაგან შემდგარი ჯოგი, განსაკუთრებით ცხვრის ფარა. ამ ჯოგების მოსაველელად დაქირავებული ჰყავდათ უღარიბესი, უპირუტყვო გლეხი (მოჯამაგირე), რომელიც შემამულეთა, სოფლის ბობოლებისა და ვაქარ-მეევანშეების მხრივ უსაზღვრო ექსპლოატაციის სიმძიმეს განიცდიდა.

პირველი იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში თელავისა და სიღნაღის მაზრებში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, შინაური ცხოველების სულადობა მკვეთრად შემცირდა — რიგ სოფელში კი მთლად გააპარტახდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეცხოველეობის აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებას საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციეს და ყოველგვარი პირობა შექმნეს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მეცხოველეობის განვითარებას კახეთში რველთაგანვე ხელი შეუწყო მტკიცე საკვებმა ბაზამ. განთქმულია კახეთის მრავალფეროვანი საძოვრები და სათბებები, რომლებსაც მათი ზონალობის თვალსაზრისით ექვს ძირითად ტიპად ჰყოფენ: ამაღლებული ზეგანი, მდინარეთა ხეობების დაბლობი, მთიან კალთების დაბლობები, მთის საშუალო ზონა, სუბალპური და ალპური ველი.

მეცხოველეობა კახეთში სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია; ყოველგვარი პირობა შექმნილი მისი სწრაფი განვითარებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული დარგი — მეცხვარეობა. მას საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიან შემოსაყალში პირველი ადგილი უკავია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ახმეტის, შემდეგ წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოსა და კაქრეთის რაიონები.

ცხვარი, გემრიელ და ნოყიერ ხორციან ერთად, იძლევა საკმაო რაოდენობით ცხიმს, რძეს, მატყლსა და ტყავეულ-ბეწვეულს, რომ-

ლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კვებისა და გადამმუშავებელ მრეწველობაში.

ძირითადი ჯიში კახეთში თუშური ცხვარია, რომლის გაუმჯობესების მიზნით ახმეტის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობათა ჯიშიანი ცხვრის ფერმების ბაზაზე მოეწყო საჯიშე პუნქტები. გარდა ამისა, საგარეჯოს რაიონის უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობაში ჩატარდა ცდები „ქართული მერინოსის“ ჯიშიანი ცხვრის გამოსაყვანად, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო.

ამ ღონისძიების შედეგად დღეს კახეთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოყვანილია ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშის „ქართული ცხვარი“ და „ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკულიანი“ ჯიშები.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მსხვილი რქოსანი პირუტყვიცნობილია, რომ ერთ დროს სიღნაღის მაზრაში (ამჟამად სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები) XIX საუკუნიდან მომცრო ტანის ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი თანდათანობით შეცვალა სამხრეთ-რუსეთის სტეპის ნაცარა ტიპის ადგილობრივ ჯიშთან შეჯვარებულმა ძროხამ. მართალია, ეს უკანასკნელი კარგ მუშა პირუტყვს იძლეოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მცირე წველადობით ხასიათდებოდა. ამიტომ 1936 წლიდან ამ ჯიშის პირუტყვი, გაუმჯობესების მიზნით, შეჯვარებულ იქნა შვიცისა და სიმენტალს ველის წითელ ზროხეულის ბუღებისა და მათგან მიღებულ ჯიშთან; ახლა ამ რაიონების კოლმეურნეობებში ჰარბობს „ლებედინოს“, „წაბლა კარპატულის“, „კოსტრომულის“ ჯიშებთან შეჯვარების შედეგად გამოყვანილი ძროხის ჯიში.

მსხვილ რქოსან პირუტყვთა შორის ყურადღებას იპყრობს მეკამეჩეობა. კამეჩების მოშენება ქიზიყში უხსოვარი დროიდან დაიწყო, ამიტომაც იყო, რომ ქიზიყს „კაბიზენე“ ანუ „კამბეჩოვანი“ ერქვა. საამისო პირობები, ამ კუთხეს ძველთაგანვე ჰქონდა (დაბლობის საძოვრები, ჰაობები, თბილი ჰავა, მდინარეთა სიახლოვე).

ფურ-კამეჩის საშუალო წველადობა აღწევს 1000 ლიტრ რძეს 7% და მეტი ცხიმინობით. ყურადღებიანი მოვლა-პატრონობით, პირობების გაუმჯობესებით კოლმეურნეობაში შესაძლებელი გახდა როგორც ქართული კამეჩის წველადობის, ისე რძის ცხიმინობის გადიდება.

ამ უკანასკნელი 16 — 17 წლის მანძილზე სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებმა კამეჩების მოშენებას სერიოზული ყურადღება მიაქციეს და დიდი შედეგებიც მიიღეს. კარგად

არის დაყენებული მეცხოველეობის ეს ფრიად რენტაბელური დარგი წითელწყაროს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობაში: სოფ. ჯაფარიძის, სოფ. არბოშიკის, სოფ. არხილოსკალოს, ზემო მაჩხანის და სხვა კოლმეურნეობებში. სამაგალითოდ არის დაყენებული ეს საქმე სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეკამეჩეობის ფერმაში მდ. ალაზნის ნაპირის მახლობლად.

სოფ. ჯაფარიძის მეკამეჩეობის ფერმა წლითიწლობით აუმჯობესებს თავის მუშაობას, რითაც ხელს უწყობს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ზრდას და თითოეული კოლმეურნე ოჯახის დღე-ღათიანობის გაძლიერებას. საკოლმეურნეო მეცხენეობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი და საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა როგორც მუშა ცხენის, ისე საჯდომი ცხენის მოშენების მხრივ.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ძველთაგანვე მისდევდა მეაბრეშუმეობას. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების შემდეგ მეაბრეშუმეობამ კახეთში ფართო, სამრეწველო ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ახმეტის, თელავის და ლაგოდეხის რაიონებში. მეაბრეშუმეობის ხედრითი წონა სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელ მრეწველობაში 22,5% შეადგენს. აბრეშუმის პარკის წარმოებამ შექმნა ამ დარგში შრომის ახალი სოციალისტური ფორმები და წარმოშვა მთელი რიგი მოწინავე ოსტატი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე განსაზღვრული იქნა კახეთში მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმა და დაისახა ღონისძიებანი, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს შექმნიან აბრეშუმის პარკის წარმოების გაფართოებისათვის. შეიქმნა აბრეშუმის მრეწველობაც, მაგრამ ჯერჯერობით იგი წარმოდგენილია მხოლოდ თელავის ძაფსაღები ფაბრიკით და საგარეაეო ქარხნით, რომლებიც პირველ და მეორე ხუთწლედებში შეიქმნა.

კახეთში შალალ დონეზეა აყვანილი მეფუტკრეობაც, იგი ამ კუთხის ერთ-ერთი უძველესი დარგია. კახეთში თითქმის არ მოიპოვება არც ერთი რაიონი, სადაც მეფუტკრეობა ფეხმოკიდებული არ იყოს. განსაკუთრებით კი იგი განვითარდა და სამრეწველო ხასიათი მიიღო საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების შემდეგ იმ ადგილებში, სადაც ამისათვის დიდი საკვები და შალალალიანი ბაზა (მრავალბალახიანი ვილები, სათიბები, ტყე, ვენახები, ხეხილის ბაღები) მოიპოვება, უმთავრესად, ალაზნის ნაპირებზე მდებარე რაიონებში: ყვარლის, ლაგოდეხის და, ნაწილობრივ, თელავისა და ახმეტის რაიონებში; ამ უკანასკნელ 10 — 12 წლის განმავლობაში მეფუტკრეობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი აგრეთვე წითელწყაროს რაიონის

კოლმეურნეობებში. მზესუმზირას კულტურის განვითარებამ შირაქისა და მილარის ველებზე, აგრეთვე მევენახეობის გაშენებამ ალაზნის პირებზე, საგრძნობლად შეუწყო ხელი მეფუტკრეობის ფართო მასშტაბით დაყენების საქმეს განსაკუთრებით სოფ. წითელწყაროს, ჯაფარიძის და ქვემოქედის კოლმეურნეობებში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის მეფრინველეობა აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, კახეთში საკმაოდ განვითარებული იყო; იგი გლეხური მეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. პირველი იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში, ერთობლივ გლეხური მეურნეობის დაცემასთან ერთად, ეს დარგი საგრძნობლად გაპარტახდა. ისე რომ გადატაკებულ, უძროხო გლეხს ფრინველიც აღარ მოეპოვებოდა; საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასთან დაკავშირებით ყურადღება მიექცა აგრეთვე მეფრინველეობის განვითარებას და განსაკუთრებით მაღალპროდუქტიული საუკეთესო ჯიშის ფრინველის (ქათამი, ინდაური, იხვი, ბატი) მოშენებას.

1944 წლის დამლევს კოლმეურნეობებში უკვე 3154 ფერმა მოქმედებდა. 1951 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ფრინველის სულადობა აყვანილ იქნა 1650000 ფრთამდე, 1951 წლის განმავლობაში კი საქართველოს საინკუბატორო სადგურებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა (2900000 ფრთა ფრინველი).

კახეთის იმ კოლმეურნეობებმა, რომელთაც მარცვლეული კულტურების ნათესები აქვთ, მოაწყეს მეფრინველეობის ფერმები, განსაკუთრებით ქათმისა და ინდაურის მოსაშენებლად<sup>40</sup>, ხოლო იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც წყალსაცავი ადგილების მახლობლად იმყოფებიან, წყალმცურავ ფრინველთა (ბატი, იხვი) ფერმები<sup>41</sup>.

მეფრინველეობის განვითარების მხრივ საქართველოს მთელ რიგ მოწინავე რაიონების კოლმეურნეობათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს უჭირავთ, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია ქათმისა და ინდაურის მოშენება. სამაგალითო მაჩვენებლებს იძლევა სოფ. არხილოსკალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა, სადაც მოკლე დროის განმავლობაში დაბალპროდუქტიული ფრინველის სულადობა მთლიანად შეიცვალა მეკვერცხეული „ლეკპორნის“ ჯიშის ფრინველით — საინკუბატორო ერთწლიანი წიწილების გამოზრდის საშუალებით<sup>42</sup>, რამაც ხელი შეუწყო ამ კოლმეურნეობაში მეფრინველეობის მაღალ დონეზე აყვანას.

კახეთის ეკონომიური მნიშვნელობა, რასაკვირველია, მარტო სოფლის მეურნეობით არ განისაზღვრება. იგი მდიდარია აგრეთვე ბუ-

ნებრივი რესურსებითაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ აღწერილ რაიონებში მოიპოვება მრავალი წიაღისეული სიმდიდრე: ნავთობი, მარმარილო, საშენი მასალა, სახურავი ფიქლები, ასფალტის საბადოები, განსაკუთრებით განირჩევა თეთრი მონაცრო ფერის მარმარილოს საბადო, რომელიც მდ. ალაზნის მარცხენა შენაკად მდ. ლოპოტის ხეობაში მდებარეობს; ამჟამად გაშლილია მუშაობა მის დასამუშავებლად; მოეწყო მუშათა დაბა; კარიერების საშუალებით მიმდინარეობს მარმარილოს მოპოვებითი და წინასწარი დამუშავების სამუშაოები. ასეთივე საბადოები ცნობილია წითელწყაროს, ხალისწყლის და ენისელის შიდამოვებში. მოიპოვება საშენი მასალები მდ. ინწობას (ანუ გრემის ხევის), აგრეთვე ჩელთას ხეობაში საუკეთესო ხარისხის სახურავი ფიქალების სახით. გარდა ამისა, მთელი კახეთის ტერიტორიაზე ბლომად არის გავრცელებული კირქვები (წითელწყაროს და ივრისპირა საბადოები).

ფართო გასაქანი მიიღო ელექტროფიკაციამ. ამჟამად კახეთში უკვე 11 ჰიდროელექტროსადგურია, რომელთა სიმძლავრე 8200 კილოვატს აღემატება. ამ ელექტროსადგურთა შორის ყველაზე მძლავრი ალაზანქესია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიით თელავის, ახმეტის, სიღნაღის სოფლის მეურნეობას, სამრეწველო საწარმოებს, ქალაქებსა და სოფლებს.

ნაწილი

III

---

ღირსშესანიშნავი  
ადგილები





## თავი I

### აღაზნის გამოღმა

კახეთის რაიონებს, მდ. ალაზნის ორივე კილით მდებარე სოფლებსა და კოლმეურნეობებს, სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების (მარცვლეულ-მემინდვრეობის, მევენახეობა-მელვინეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობის) თვალსაზრისით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავთ.

აქ, ამ მხარეში ყველა მონაცემია იმისათვის, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეს წამყვანი დარგები უაღრესად განვითარდნენ და არა თუ საქართველოში, არამედ დიდ საბჭოთა კავშირის ოლქებსა და რაიონებს შორის საპატიო ადგილი დაიკავეს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში მევენახეობის მრავალსაუკუნოვან წარსულზე მეტყველებს ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი, როგორც შემთხვევით მიწის სამუშაოების დროს მოპოვებული, ისე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მდ. იორის და ალაზნის მიდამოებში.

მოკლედ შევეხებით იმ ბუნებრივ პირობებს, რომლებშიაც ქართველმა ხალხმა განავითარა სოფლის მეურნეობის ფრიად საყურად-

ლებო, დიდმნიშვნელოვანი და რენტაბელური დარგი — მევენახეობა და, მიუხედავად ქვეყნის წამლეკავი მრავალი ისტორიული ქარიშხლებისა, შენძლო მიეტანა იგი XX საუკუნის კარამდე, ხოლო დღეს კი არნახული აღმავლობის გზაზე დააყენა.

ცნობილია, რომ ცივ-გომბორის მთა კახეთს ყოფს ორ მიკრორაიონად, რომლებიც, როგორც გეომორფოლოგიური, ისე ეკოლოგიური პირობების მიხედვით, ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. ასეთი მიკრორაიონებია ცივ-გომბორის მთის გადმომლა (გარე კახეთი) და გადალმა (შიდა კახეთი) მხარეები.

ამ რაიონების სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, ვენახები, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, განლაგებულია სამ ზოლად: მთის ზოლი, შემდეგ მთების კალთებისა და ფერდობების ზოლი ალაზნის ვაკემდე და ვაკის (ანუ ველის) ზოლი.

ამ ზოლების სიმაღლე ზღვის დონიდან ცვალებადობს 300 მეტრიდან — 780 მეტრამდე.


ნიადაგობრივი თვალსაზრისით ცივ-გომბორის გადმომლა და გადალმა მხარეებს შორის დიდ სხვაობას აქვს ადგილი. გადმომლა მხარეზე, ქედის ფერდობებზე გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები, ხოლო მდინარე ივრის ვაკეზე — ალუვიური და შავმიწისებური, ჰუმუსით მდიდარი, თიხნარი და მძიმე თიხნარი შედგენილობის ნიადაგები. მდინარე ივრის მარცხენა ნაპირის ნიადაგები კი მეტწილად ნეშომპალა-კარბონატული თიხნარებია.

ცივ-გომბორის გადმომლა მხარეში და კერძოდ მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ნიადაგები ბევრ შემთხვევაში დამლაშებული და გაბიცობებულია, ხოლო ალაზნის მარცხენა ნაპირზე კი საკვები ნივთიერებით მდიდარი ტყის ალუვიური უკარბონატო ნიადაგები ქარბობს.

ამჟამად ცივ-გომბორის მთის გადალმა მხარეზე გაშენებულ ვენახებს უკირავთ 17 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, მათ შორის დიდი უმრავლესობა კოლმეურნეობათა სავენახე და კოლმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთებზეა გაშენებული, ხოლო მცირე ნაწილი კი (2,0 ათას ჰექტარამდე) საბჭოთა მეურნეობებს უკირავს. ვენახებში ვაზის ბევრი ჯიშია გაშენებული, მათ შორის სამრეწველო თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან: რქაწითელი, რომლის ფართობი ვენახის საერთო ნარგავების 78%, საფერავი 10%, მწვანე 6,9% შეადგენს, ხოლო დანარჩენ ჯიშებს კი (ქინძმარაული, ხიხვი, კაბერნე) საერთო ფართობის მხოლოდ 4,5% უკირავთ.

დღეს თელავის, ანშეტის, სიღნაღის, გურჯაანის, წითელწყაროს,





ალაზნის ეელის საეზოო ხედი სოფელ შაქრიანიდან


ყვარლის, კაქრეთის, საგარეჯოს რაიონების მევენახეობა და მეღვინეობა შემდგომი აყვავების გზაზეა. 1965 წლის ბოლოსათვის კახეთის ამ რაიონების ვენახებმა 40.000 ჰექტარამდე ფართობი უნდა დაიკაონ. ამ მიზნით ნავარაუდევია 25 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ახალი ვენახების გაშენება.

ცივ-გომბორის გადაღმა მხარეზე მთელი რიგი თვალსაჩინო ადგილია; ისინი ბუნებრივი პირობების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდებიან.

ქალაქი თელავი. მისი კოორდინატებია 41°, 51' ჩრდ. გან. და 45° 24' აღმოსავლ. გრძივ; ზღვის დონიდან იგი 738 მეტრის სიმაღლეზეა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თელავი სამაზრო ცენტრს წარმოადგენდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი რაიონული ცენტრი გახდა. <sup>1</sup>

თელავის რაიონის 23 კოლმეურნეობაში განვითარებულია უმთავრესად ხორბლეული კულტურები და მევენახეობა-მეღვინეობა; პარალელურად ამისა მისდევენ პროდუქტიულ მეცხოველეობას და ტექნიკური კულტურების მოშენებას, მათ შორის თვალს იპყრობს ყაზანლიყის ვარდის კულტურა, რომლის მექანიკური გადამუშავება საგანგებოდ მოწყობილ ნაფარეულის ქარხანაში წარმოებს. საკმაოდ განვითარებულია ამ რაიონში აგრეთვე ტრადიციული მებაბრე-შემეობაც.

ქალაქ თელავში და მის უახლოეს მიდამოებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ბევრი რამ გაკეთდა: ქალაქში აიგო სამსართულიანი სასტუმრო, აგურის მექანიზებული და მარმარილოფიქალების დამმუშავებელი ქარხნები, ხორცკომბინატის მაცივარი და მასთან არსებული ძეხვის მექანიზებული საწარმო, რძის გადასამუშავებელი ქარხანა (თელავში, ნაფარეულსა და ცივში), საგრენაჟო და აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკები, კურდღელაურის ღვინის ქარხანა, (კურდღელაური ამჟამად თელავის უბანია), არის სახელმწიფო დრამატიული თეატრი მუდმივი დასით; უკანასკნელი დროის მონაკვეთში დიდი სამუშაოები ტარდება ქალაქის კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის დარგში: საგრძნობლად გაფართოვდა და ბაღნარ-გაზონებით გაშვენიერდა ქალაქის ცენტრალური მოედნიდან მიმავალი ქუჩები, აგებულია ახალი მრავალსართულიანი და არქიტექტურულად საუკეთესოდ გაფორმებული საცხოვრებელი სახლები (მათ შორის ყურადღებას იპყრობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის), ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.




თელავის ძველი უბანი

ქალაქის ერთ-ერთ უღამაზეს უბანში „ნადიკვარზე“ გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც ამართულია მრავალი შენობა და მათ შორის ქართულ სტილზე კონსტად გაფორმებული საზოგადოებრივი თეატრი პავლიონით. ამ პარკიდან საუცხოო გადასახედიან თელავის თვალწარმტაც მიდამოებზე; განსაკუთრებით თვალს იპყრობს ჰორიზონტზე მედიდურად მოლაპლაპე კავკასიონის მთავარი ქედის თოვლით შემკული მწვერვალები.

ქალაქში გახსნილია რამოდენიმე სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი და ტექნიკუმი.

ქალაქის ცენტრში მოწყობილია კულტურის სახლი, მასწავლებელთა სახლი (1923 წლიდან), პროფკავშირული სამი კლუბი, ხუთი საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკა, კინოთეატრი (რომლისათვისაც ამჟამად ქალაქის ცენტრალურ უბანში აშენდა ახალი კაპიტალური შენობა), საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორიები, აფთიაქი, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები, უნივერსალი, მრავალი სავაჭრობი, მაღაზიები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. სადგურიდან ქალაქის მოედნამდე მისასვლელი ქუჩა, ისევე როგორც თვით მოედანი, მოპირკეთებულია ასფალტითა და მწვანე გაზონებით. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გამწვანებას, ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო 5000 მეტი ხე-ბუჩქი, ხოლო მოედნის მახლობლად კი, ქალაქის ბაღში, გაკეთდა ყვავილნარები. თელავი უზრუნველყოფილია საუკეთესო ხარისხის საამელი წყლით, რომლითაც იგი მარაგდება მრავალ წყაროდან.

1932 წლიდან თელავში დაარსდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ექვემდებარებოდა, ხოლო 1941 წლის მეორე ნახევრიდან კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა (1958 წლიდან იგი გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიას). ამ ინსტიტუტმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა, თავისი პროფილისა და დანიშნულების შესაბამისად, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, კერძოდ კახეთის რაიონების კოლმეურნეობებში, ვაზის გაშენებისა და ჯიშობრივი შერჩევის თვალსაზრისით. 1953 წლის სექტემბრიდან ინსტიტუტი ქ. თბილისში გადმოიტანეს, თელავში კი დარჩა მისი ზონალური სადგური, რომელიც განაგრძობს მუშაობას კახეთის რაიონების პირობებში.<sup>2</sup> თელავში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი — იაკობ გოგებაშვილის სახელობის (4-წლიანი) პედაგოგიური ინსტიტუტი, რამდენიმე ფაკულტეტით, ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს 1927 წლიდან თელავში დაარსებული მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი (რომელიც



თელავის ახალი საცხოვრებელი სახლები ლენინის ქუჩაზე

1946 წლიდან გადაკეთდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად); მისი შესწავლისა და გამოკვლევის საგანს შეადგენს მხარის ბუნებრივი რესურსები, არქეოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, სოციალისტური მშენებლობა და საწარმოო ძალები. მუზეუმს შეგროვილი აქვს მდიდარი კოლექციები და ფოლკლორული მასალა, როგორც საერთოდ კახეთისა, ისე ქალაქ თელავის, მისი ყოფ. მაზრისა და რაიონის წარსულზე და აწმყოზედაც. მას აქვს მოწყობილი ფრიად საყურადღებო გამოფენები, რომლებშიაც ასახულია რაიონის საბალხო მეურნეობის განვითარების ეტაპები, რაიონი მე-6 ხუთწლედში, აგრეთვე მასალები კახეთის ეთნოგრაფიისა და ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ.

მუზეუმი განაგრძობს კახეთის კულტურის დამახასიათებელი მასალების შექმნა-დაგროვებას. მან ამ ახლო ხანებში (1954 წელს) შეიძინა ფრიად საყურადღებო, ისტორიული მნიშვნელობის ნივთები: ოქროს მონეტა (4,3 გრამი), დათარიღებული 1059—1067 წწ., კერამიკული ჭურჭელი, უძველესი დროის ბრინჯაოს იარაღები, შემკულობა, რომელიც სცილდება ჩვენ წელთაღრიცხვამდელ პერიოდს.

როგორც ქალაქი თელავი, ისე მისი რაიონის სოფლებისა და კოლმეურნეობების დიდი ნაწილი, კოლმეურნეობის კანტორები, კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები უზრუნველყოფილია ელექტროდენით, რომელსაც მათ აწვდის მრავალათასძალიანი ალაზნაჰესი (მდებარეობს გურჯაანის რაიონში — მდ. ალაზნაზე).

თელავის რაიონში სატყეო მეურნეობა ყოველწლიურად აშენებს ტყის ახალახალ მასივებს; ალაზნის დაცვის ზოლში მან 1953—54 წწ. განმავლობაში გააშენა 25 ათას ძირზე მეტი ხე-ბუჩქი, 5 ჰექტარზე კაკლის ხე, ხოლო თელავის მახლობლად 9 ათასი ძირი ფიჭვი გადარგო, გარდა ამისა 1200 ცალ ველურ ხეზე ვაშლისა და მსხლის კულტურული ჯიში დაამყნო.

ამგვარად კახეთის უძველესი ცენტრი თელავი, რომელიც ცარიზმის პერიოდში უმნიშვნელო სამაზრო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს ჩამორჩენილი პროვინციული დარბეული და გაპარტახებული ქალაქი იყო, დღეს გადაიქცა კეთილმოწყობილ ქალაქად და მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრად არა მარტო თავისი რაიონის, არამედ თვალსაჩინო პუნქტად მთელ კახეთში.

## თელავის წარსულიდან

თელავი, როგორც ქალაქი, დაარსებულია II საუკუნეში (160 — 180 წწ.) ჩვენი წელთაღრიცხვით<sup>3</sup>, ხოლო ციხე-ქალაქად და მეფის ადგილსამყოფელად იგი იხსენიება IX საუკუნიდან — კვირიკეს მეფობის დროს.

ამ საკითხის შესახებ მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფი ვახუშტი წერს:

„ხოლო გულგულას (ამჟამად სოფელია თელავის მახლობლად — შენ. ჩვენია. — ი. ა.) ქვეით, თურდოს ხევის სამხრით, არს თელავი, რომელიმე პყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირთ (თ) მეფემან არჩილ და განაახლა აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა“.

IX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდი იყო კახეთის ისტორიაში, როდესაც არაბები შეეზავნენ კახელებს, უკანასკნელებმა კი პირობა დაუდეს, რომ მისცემენ მათ სამი ათას ფაშატ ცხენსა და ოცი ათას ცხვარს. უკვე საქონლის ეს რაოდენობა ცხადყოფს რაოდენ განვითარებული ყოფილა მაშინაც მეცხოველეობა, კერძოდ კი მეცხენეობა და მეცხვარეობა.

თელავი X საუკუნიდან კახეთის ქორეპისკოპოსთა საჯდომს, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ, დიდ ეკონომიურ პუნქტს წარმოადგენდა<sup>4</sup>.

შაჰ-აბასის უკანასკნელი შემოსევის შემდეგ, როდესაც მან, დაიპყრო კახეთი და მისი სატახტო ქალაქი გრემი, შეამტვერა, ათხარა, მთელი მისი მიდამოები და ნასადგომებად აქცია, სამეფო ტახტის დატოვება გრემში შეუძლებელი გახდა. ამიტომ არჩილ მეფემ 1672 წელს ტახტი გრემიდან თელავში გადმოიტანა, აქ დამკვიდრდა და სასახლეც ააგებინა, რომელზეც საგანგებო ციხე-გალავანი მოაგლებინა.

თელავი თავისი რაიონით განთქმულია მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლით. ყურადღების ღირსია ის მდგომარეობაც, რომ თელავი აღმოსავლეთ საქართველოს იმ ქალაქთაგანია, სადაც XVIII საუკუნის ბოლოს (1782 წელს) დაარსდა სასულიერო სემინარია, სადაც ლეთისმეტყველების საგნების გარდა, ისწავლებოდა ფილოსოფიური დისციპლინები და რიტორობა. ამ სემინარიის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა თეატრალურ საკმეინაობასაც (მეფის პალატებში „სასკოლო დრამებსა“ და შემდეგ „კომედიებსაც“ დგამდნენ).



თელავის კობეკლეჯი (XVII — XVIII სს.)



თეატრალური წარმოდგენების ორჯანიზატორთა (მმართველთა) რიგებს ეკუთვნოდნენ რუსეთის სასწავლებლებში აღზრდილი — ეპისკოპოსის გაიოზი (თელავის სემინარიის რექტორი) და გაბრიელ მაიორი. უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში კომედიებს სდგამდა. ამ თეატრალის წოდება და სახელი წარმოდგენებზე შესასვლელ ბარათებზე (ბილეთებზე) ეწერა:

„შური ორი  
გაბრიელ მაიორი“.

გაბრიელ მაიორი დააწლოებული ყოფილა სამეფო კართან, ბატონიშვილებთან. იგი კარგად იცნობდა და მეგობრობდა ბესიკ გაბაშვილსაც. ამიტომ იყო, რომ 1778 წელს ბესიკი მირიანისადმი (ბატონიშვილისადმი) მიწერილ სახუმარო წერილში იხსენიებდა მაიორსაც <sup>5</sup>.

თელავის შუაგულ ადგილზე არსებული ძეგლები და, მათ შორის, დიდი ციხის გალავანი, სადაც წარსული საუკუნეების (XVII — XVIII სს.) მრავალი შენობაა დარჩენილი, დღესაც იპყრობენ თვალს.

თელავის ციხე-გალავანი, რომელიც XVII საუკუნეში აიგო, XVIII საუკუნეში ერეკლე II გაამშვენიერებინა და გალავნის შუაგულში ახალი სასახლე და სამეფო მმართველობისათვის საჭირო შენობები ააგებინა (არსებობს ძველი ციხე-გალავანიც — ძველ უბანში).

ამ სასახლის ერთ-ერთ მხარეზე, მთავარი შესასვლელი კარების გასწვრივ, დაცულია ის ოთახი, რომელშიც 1798 წლის 11 იანვარს ღრმად მოხუცი ერეკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა.

ამჟამად ამ ოთახში მუზეუმს მოწყობილი აქვს მცირე გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ერეკლე II ღრობის კახეთისადმი.

აქვე დაცულია მარმარილოს დაფა, რომელზედაც, რუსეთის მეფის მთავრობის განკარგულებით, წარსული საუკუნის 50-იან წლებში ოქროს ასოებით გამოკვეთილი იქნა შემდეგი წარწერა:

„Здесь последовала кончина Грузинского царя Ираклия Теймуразовича 11 января 1798 года“.

სასახლის წინ, ციხის კედლებით გარშემორტყმული ეზოა, რომელშიც, თელავის მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა თაოსნობითა და მათივე მონაწილეობით, გაშენდა „ცოცხალი ბუნების კუთხე“, ჩაიყარა ხეხილი, გაიმართა ვაზის ხეივანი. აქვე, ამ გალავნის ბოლოს,

ქუჩისკენ მიჰქცეულ კედელთან ორი საფლავეია: ერთი XIX ს. სახელგანთქმული მგობანისა და საზოგადო მოღვაწის ჩაფიელ ერისთავისა (რომლის ნეშტი 1938 წელს გადმოსვენებულ იქნა შუამთის მონასტრიდან თელავში),<sup>6</sup> ხოლო მეორე ახალგაზრდა პოეტის იოსებ დავითაშვილისა.

ციხე-გალავნის ტერიტორიაზე, სასახლის მახლობლად, ქალაქის მოედნისაკენ გადაყურე კედლის ძირში, მუზეუმის მიერ 1938 წ. ჩატარებული გათხრების შედეგად, აღმოჩნდა ერეკლე II დროინდელი აბანო, რომელსაც გათბობის განსაკუთრებული სისტემა და თავისებური საბანებელი ჰქონდა მოწყობილი. საბანებელი დარბაზის იატაკი მარმარილოს ფიქალეებით იყო დაფენილი, ხოლო გათბობა: იმნაირად იყო მოწყობილი, რომ ღუმელის მეშვეობით ცხელი ჰაერი გარშემო უვლიდა აბანოს იატაკს. ამგვარად ბანაობის დროს აღდამიანი ყოველთვის ცხელ იატაკზე იდგა, ხოლო ფეხის გული რომ არ დაწოდა, მობანავე მალაღძირებიან საგანგებო ხის ქოშებს ხმა-რობდა.

ციხის გარეთ, მის მახლობლად (სასტუმროს პირდაპირ) თელავის რკინიგზის სადგურისაკენ ჩასასვლელი გზის მარცხენა მხარეზე, ამართულია ერთი უზარმაზარი ქვითკირით ნაშენი ბურჯი, რომლის აგების დროს უკავშირებენ ამ ციხე-გალავნის გაშენების თარიღს. ბურჯის თავზე გიგანტური საკოცონე იყო გამართული. მტრის შემოსევისა ან შიშინაობის შემთხვევაში თელავის ბურჯზე კოცონს რომ დაანთებდნენ, მის ალს შორს, ალაზნის ველზე მდებარე სოფლები ზედაედნენ და სათანადო თადარიგს იჭერდნენ მტრისაგან კახეთის ცენტრის — თელავის გადასარჩენად. ეს იყო ერთგვარი შუქურა გარემოსათვის.

გადმოცემით, ამ საკოცონეს ზედა ადგილი უკვე XVIII საუკუნის 80-იან წლებში გამოყენებულ იქნა როგორც თავდაცვითი ფორპოსტი. იგი შემოსეული მტრისაგან იცავდა როგორც ბატონის ციხეს, ისე მთელ ქალაქს.

ციხის გადღმა, გორაკზე ეახვანხევილების ცნობილი სასახლე მდებარეობს (მას „ვახვანხიანთ სასახლეს“ უწოდებენ), რომლის ძირში განთქმული სასამელი „ბატონის წყარო“ იყო, მაგრამ ამ ორიოდე წლის წინათ ქალაქში ჩატარებული ქუჩების რეკონსტრუქციის შედეგად იგი მიწაყრილის ქვეშ მოჰყვა და აღარ ჩანს (უდავოა, რომ ამ საკითხში დიდი დანაშაული მიუძღვის ამ ქუჩის რეკონსტრუქციის ჩამტარებელ სამუშაოთა უფროსს, რომელმაც ეტყობა ანგარიში არ გაუწია მას, როგორც საუკეთესო წყაროს და ამავე დროს ისტორიულ ძეგლს).

ვახეახიანთ სასახლის მახლობლად, გზის პირზე, ამართულია დიდებული, ათასწლოვანი ბუნებრივი ძეგლი — გიგანტური ქადრის ხე, რომლის დიამეტრი დაახლოებით 400 სანტიმეტრია; მისი ძირის დიამეტრი კი 15 მეტრს აღწევს.

ამ ხის ძირში მრავალი საუკუნის მანძილზე პერიოდულად იმართებოდა ნადიმები თელავში ჩამოსულ საპატიო სტუმრებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი ნადიში ქადრის ქვეშ აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა 1911 წლის ივლისში დიდ პოეტს აკაკი წერეთელს, რომელიც იმ ხანად, კახეთში მოგზაურობის დროს, თელავს ეწვია ილიაობა დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამართულ ილია ქავექავაძის მონებისადმი მიძღვნილ საღამოზე დასასწრებად.

პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია, აკაკის მიეძღვნა. აკაკიმ საპასუხო სიტყვაში თავისი დიდი ხნის გულის ნადები გამოთქვა. მან სხვათა შორის აღნიშნა შემდეგი:

„გულადობა და პურადობა ჯერ კიდევ გვაქვს შერჩენილი. გულადობას, — თქვა აკაკიმ, — ვამტიციებთ მითი, რომ დღეს, ამისთანა უკულმართ დროში (აკაკის მხედველობაში აქვს რუსეთის რეაქცია. — ი. ა.) ჯერ კიდევ გული არ გაგვტეხია და სასიცოცხლოთ ვფართხალობთ... და პურადობას კი დღევანდელი ნადიმი გვიმტიციებს... ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზრდა ქალებში, ისე ახალგაზრდა კაცებშიაც, მე-ვხედავ ნიშნებს... ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშვა ვასტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი. თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელი, პეტრიწი, რუსთაველი და სხვა მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელსაც თქვენ მოელით... მე ვეღარ მოვესწრები იმ მომავალი გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედით-კი ჩავალ საფლავეში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს, მეტი“.

აკაკის წინასწარმეტყველება, მართლაც, სულ მალე ასრულდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი წითელი დროშა აფრიალდა მთელ საბჭოთა კავშირში, დადგა მშრომელი ხალხის განთიადისა და აღორძინების უდიდესი ეპოქა.

თვალს ხიბლავს პანორამა, რომელიც თქვენ წინ იშლება ციხის გალავნის ჩრდილოეთის კედლის თავზე მოწყობილი ტალავრიდან (მუზეუმის ეზოში).

აქედან კარგ ამინდში, როდესაც ალაზნის ველს ბურუსი ან ნისლი არ ფარავს, მეტადრე საღამო უამს, მზე რომ ჩასასვლელად გადაიხრება, განსაკვირვებელი ხედი იშლება შორს წყნარად მიმდინ-

ნარე, მოლაპლაპე ალაზნზე, ზღვისებურად გადაჭიმულ, ყანებით, ვენახ-ბაღებითა და მრავალფეროვანი მცენარეულით უხვად შემოსილ, უღვეველ ალაზნის ველზე, რომელსაც მედიდურად დაჰყურებს ზემოდან კახეთისაკენ გადმოხრილი, თოვლით შემკული, დიდებული კავკასიონის მთავარი ქედი.

ამიტომაცაა, რომ ხალხი უმღერის კახეთს:

„მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიღო ალაზნის კალაო;  
იღემო იალაღზედა, იერის პირებზე ჩალაო;  
ბარდებში მძრომო ხობობო, ტურფაო ხარისთვალაო,  
შირაქო, ცხვრების დედაო, ზედ ჯეირნების ფარაო“.

აქაურობის ბუნების სილამაზე მრავალ პოეტს იტაცებდა და მათ შორის ვახტანგ ორბელიანიც<sup>7</sup> ვაიტაცა, რომელმაც ცივ-გომბორის მთას და ალაზნის ველს მრავალი ლექსი უძღვნა.

XIX საუკუნეში გერმანიიდან საქართველოში ჩამოსული, ილია ჭავჭავაძის გულითადი მეგობარი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი არტურ ლეისტი, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა საქართველოში ყოფნის დროს, თავის მიძღვნაში კახეთისადმი წერდა:

„ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენ მწვანე ველ-მინდორს. მზე და მთვარე შენი მეგობარია, მათი სინათლე და სიბრწყინვალე მომხიბლავად ამკობენ სურათს. — ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის აპოსელას უნდა უქვიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ბრწყინავს, როგორც ვერცხლისფერი ზონარი.“

ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსემთვარიან ღამეს თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს.

კეკელეო კახეთო! შენს სამოთხეში იშვა ორი პოეტი. ერთი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ეს მეთვარამეტე საუკუნის დაგვიანებული პოეტი, რომელიც უმღერდა ქალებს, ღვინოს და სიყვარულს, — ის იყო ნამდვილი სიცოცხლით სავსე კახელი, ის კახელი იყო; ხოლო მეორე — ილია ჭავჭავაძე — ქართველი, რომელიც მთელ საქართველოსათვის ფიქრობდა...

ძვირფასო კახეთო! შენ უშრეტი საღარო ხარ პოეზიის, სინათლის და სილამაზის. შენ ნაზ ქალთა სამშობლო ხარ და მოვი დრო, როდესაც შენ საუნჯეთა საღაროდან გაიშლება მაღალი პოეზიის და ხელოვნების ყვავილნი...“<sup>8</sup>

ძველი შუამთა. თელავის მახლობლად, მის დასავლეთის მხარეს (2 — 3 კილომეტრზე) ფოთლოვანი ტყით შემოსილ გომბორის მთის ტოტზე მდებარეობს მცხეთის „ჯვარის“ ტიპის და მისი თანამოასაკე (VI — VII სს.) უძველესი ძველი — ძველი შუამთის მონასტერი.<sup>9</sup>

იგი ამართულია იმ მთაზე, საიდანაც საუკეთესო ხედი იშლება ალაზნის ველზე, კავკასიონის თოვლით შემკულ მაღალმთიანეთზე, ვერცხლისებურად მოკამკავე მდინარე ალაზანზე, ალვანის ტრიალ მინდორზე ამაყად ამართულ მაღალგუმბათიან ალავერდის ტაძარზე და საქართველოს უძველესი კულტურისა და მეცნიერების კერაზე — იყალთოს აკადემიისა და მონასტრის ნანგრევებზე.

ძველი შუამთის გარშემო ნაეკლესიარი შენობების ნანგრევების მთელი კომპლექსია.<sup>10</sup> ეტყობა, ამ მონასტრის დაბრუნებამდე (XVII ს.) აქ ბერების საკმაო რიცხვს უცხოვრია და მეურნეობაც ჰქონიათ. ცნობილია, რომ აქ შევენახეობა-მელვინეობა სამონასტრო „ძმობის“ წამყვან კულტურას წარმოადგენდა, რაც აშკარად ჩანს დღესდღეობით ადგილზე შემორჩენილი მარნების, ქვევრების, საწნახელებისა და სხვა უტილიტარულ ნაგებობათა ნაშთებიდან. ამ ნანგრევების მახლობლად, იქვე ხევში საუკეთესო ანკარა წყაროა.

## შიოს მონასტერი

ძველი შუამთის მონასტრის მახლობლად (თელავიდან 3 — 3,5 კილომეტრზე) მდებარეობს უძველესი შიოს მონასტერი, რომლის აგებას უკავშირებენ აღმოსავლეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაწყისის ხანას, ე. ი. VI საუკუნეს. მისი დამაარსებელი შიო, ერთ-ერთი 13 ასურელ „მამათავანი“ ყოფილა.

მონასტერი გაშენებულია ცივ-გომბორის ქედის დაბურთული ტყით მოფენილ ერთ-ერთ მაღალ მთაზე „კაკაბურის“ სახელწოდებით, რომლის სამხრეთი გვერდობი ციცაბოდ დაქანებულ, მიუდგომელ ნაპირს წარმოადგენს, ხოლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან იგი თანდათანობით ალაზნის ველისაკენ ეშვება.

ამ მთასა და ველს შუა ფართო ხეობაა, რომელზედაც მოედინება მდ. თურდო.

მონასტრის უძველესი ეკლესია ბაზილიკური, უგუმბათო ტიპისაა; მისი კანკელი შიგნიდან მომრგვალოა; შენობა ხუთკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც დღის შუქისათვის დაყოლილი აქვს სამი მაღალი ფანჯარა. კანკელი, როგორც ეტყობა, ქვით იყო ნაშენი, ხოლო, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კარები ხისა ჰქონდა. ტაძარს სამი შესასვლელი კარი აქვს — სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან — და ორი ფანჯარა (სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში), კედლებზე ფერწერის ნიშნები ემჩნევა, რომლის დიდწილი დროთა ვითარებაში წაშლილა.

კანკელის მთავარ კედელზე მკრთალად ემჩნევა თორმეტი მოცი-  
ქულის პორტრეტი. აქვე, მარჯვენა ფანჯრის კედელზე პირველ-  
წამებული არქიდიაკონის სტეფანეს გამოსახულებაა, მის პირდა-  
პირ კი მთავარანგელოზის ხატია; კედლების ზედა ნაწილში სხვა  
წმიდანების პორტრეტული გამოსახულებანიც ემჩნევა<sup>11</sup>. ტაძრის  
შენობის შუა ნაწილი ქვითა და აგურით არის ნაგები, ხოლო ზედა  
ნაწილი და თალები მთლიანად აგურისაა. მონასტერს ციხის ქონ-  
გურებიანი კედლებით გარშემორტყმული მცირე გალავანი არტყია.  
ეს ტაძარი დავით აღმაშენებელს განუახლებია იმ პერიოდში, რო-  
დესაც იგი იყალთოს აკადემიაში ცნობილი მეცნიერისა და ფილო-  
სოფოსის არსენ იყალთოელის ხელმძღვანელობით სწავლობდა<sup>12</sup>.

XVIII საუკუნის დამლევს ამ მონასტერში მოღვაწეობდა ბერი  
ვინმე იოსტოსი (ანდრონიკაშვილების გვარეულობიდან), რომლის  
ერთ-ერთ თანამიმდევარს კიკნაქეს (ბერობაში ფილადელფოსად  
წოდებულს) შუამთის მონასტერში სასოფლო-სამეურნეო სკოლა  
დაუარსებია. ამ სკოლაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში  
(30 — 40-იანი წლები) უსწავლია ცნობილ ქართველ პოეტსა და  
საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს (1824 — 1901).

ფილადელფოს კიკნაქე თავისი დროისათვის დიდად განათლე-  
ბული ადამიანი ყოფილა — მწიგნობარი, რიტორი და მასთან პოე-  
ტიც. მის კალამს მრავალი ლექსი ეკუთვნის, იგი აქტიური მონაწი-  
ლე იყო 1832 წ. ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულებისა, რომე-  
ლიც ამავე წლის 9 დეკემბერს იასე ფალავანდიშვილმა გასცა და  
გამოააშკარავა. ამ შეთქმულების ყოველ წევრს, თავისი საიდუმლო  
ნიშნის გარდასხვადასხვა დავალებები ჰქონდათ მიცემული. მღვდელ-  
მონაზონ ფილადელფოსმა, დავალების შესაბამისად, შეადგინა „ფა-  
რული და განუწყვეტელი მეგობრობის აქტი“ და დაწერა „იერემიას  
გოდება ივერიის აწინდელი მდგომარეობის გამო“. ეტყობა ამავე  
პერიოდში მან შეთხზა ლექსი, რომელიც საქართველოს მიუძღვნა  
(ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ქვემოთ მოყვანილი ლექსი  
მისია, ზოგი კი ეჭვს გამოთქვამს). ეს ლექსი XIX ს. მეორე ნახე-  
ვარში ჯერ კიდევ აღბეჭდილი იყო შიოს მონასტრის კედელზე:

„საქართველომ სთქვა მეც ვიყავ,  
დრო მქონდა კეთილმოყფელი,  
ვაღიღნე ჩემნი მოსავნი,  
ვტანჯნი უარის მყოფელი,  
გყვაოდი სამოთხის გვარად,  
იზ ვიყავ გასაყოფელი,  
(და) ვინც ახლად მნაზოთ, გაშინჯეთ  
რა ამოა სოფელი...“

ამ ლექსის ბოლოში ვინმე ნიკიტორე ფირალოვის მიერ გვიანი ხანის (ჩ უ ლ ზ, ე. ი. 1637 წლის) შემდეგი მინაწერია გაკეთებული:

„ნეტაი დროსა, როჲელსა იკუ შენ აღშენებული,  
აღსილი მადლის წყაროთი და სიბრძნით განაუბელი  
შემკული ყოვლის წესითა და ესრეთ განბრწყინებული,  
ვინ არ გიტროს, რა გნახოს, აჲ ასე გაუღებული“<sup>13</sup>.

შიოს მონასტერში ერთ დროს 700-მდე ბერს უცხოვრია და დიდი მეურნეობაც ჰქონიათ. ბერები, მონასტრის გარშემო სახლებში და გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ.

### გამოქვაბული ქალაქი თელავის მახლობლად

შიოს მონასტრის მახლობლად (თელავიდან დაახლოებით 3—4 კმ) მიუდგომელი, მაღალი მთის — „შაქქვას“ — ფერდობზე, რომელიც ყვეთელი თიხა მიწისაგან და კონგლომერატებისაგან შედგება, მდებარეობს დაახლოებით ორი კმ. სიგრძის გამოქვაბული-ქალაქი.

გამოქვაბულები წარმოადგენდნენ ორ, ზოგან კი სამსართულიან მღვიმეებს.

მართალია, ეს მღვიმეები გაბნეულია სხვადასხვა სიმაღლის ბორცვებზე, მაგრამ პირველი შეხედვით, მიუხედავად მათი თითქოს განცალკევებული და ერთმანეთთან შეუკავშირებელი მდებარეობისა, სპეციალისტი-მკვლევარები მათ სისტემაში მოყვანილ გამოქვაბულ-ქალაქად სთვლიან.

თითოეულ გამოქვაბულთა სისტემა დაშორებულია ერთმანეთისაგან 0,5 — 0,75 კილომეტრით. გამოქვაბულთა ამ სისტემაში სამი ქალაქია.

პირველი ქალაქი თელავისაკენ დახრილ მთის ფერდობზეა გამოკვეთილი და შვიდი-ცხრა გამოქვაბულისაგან შედგება. აღსანიშნავია, რომ ამ გამოქვაბულებზე ასვლა, მთამსვლელთა საგანგებო საშუალებების გარეშე, შეუძლებელია მათი მიუდგომელ, ციცაბოდ დაქანებულ ადგილზე მდებარეობას გამო.

მეორე (შუა) ქალაქი ორი სართულისაგან შედგება. მეორე სართულზე გამოკვეთილია ცენტრალური გამოქვაბული, რომელიც მოთავსებულია ორ ბუნებრივ სვეტს შორის. ამ გამოქვაბულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია და მიკეტილია ზედ მიწოლილი, ზემოდან ჩამოზვავებული, ქვა-ლოდებით.

სამაგიეროდ მშვენივრად არის დაცული მეორე გამოქვაბულთა რიგი, რომელიც ცენტრალური გამოქვაბულის ქვეშ მდებარეობს.

ამ გამოქვაბულთა გაყოლებაზე კლდეში საწი-ოთხი ოთახია გამოკვეთილი, ეტყობა, ამ გამოქვაბულებს თავის დროზე ერთმანეთის დამაკავშირებელი დერეფნები ჰქონდათ <sup>14</sup>.

მეორე ქალაქის სისტემაში შედის დაახლოებით 15 გამოქვაბული.

მესამე გამოქვაბული — ქალაქი ოთხი ჯგუფისაგან შედგება, მათ ერთმანეთისაგან ყოფს მთის ჩაღრმავებული ადგილი, რომელზედაც საკმაოდ ფართო ბილიკი მიიკლავება.

გამოქვაბულთა ეს ჯგუფი თავისი გარეგნული ფორმით დანარჩენებისაგან განსხვავდება დამუშავების ტექნიკით და აგრეთვე მისასვლელიებითაც.

ხალხური გადმოცემით ერთ-ერთ გამოქვაბულთაგანში იმაღლებოდა XVII ს. იმერეთიდან გამოქცეული გ. ბაქრაძე — „ბაში-აჩუკი“, — რაც თათრულად ნიშნავს თავშიშველას, ამიტომ ამ გამოქვაბულს „ბაში-აჩუკის“ ხერელს უწოდებენ.

მისასვლელა ბილიკის მარჯვნივ მოთავსებულია საკმაოდ მოზრდილი და ფართო ტერიტორიაზე გაშლილი გამოქვაბულები. სამი მათგანი ძალიან დიდი ზომისაა — მოთავსებულია ორი გამოქვაბულის თავზე (მე-2 სართულზე), მათ მისდევს ხუთი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და, ალბათ, ერთ სისტემაში შემავალი გამოქვაბული, ბოლოს კიდევ ორი დიდი გამოქვაბულია, რომელაც ყველა დანარჩენ გამოქვაბულზე დაბლა მდებარეობს. ერთ მათგანს ლამაზად მოპირკეთებული ორი ხერელი აქვს გამოკვეთილი <sup>15</sup>.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს გამოქვაბული-ქალაქი პირველყოფილი (პრეისტორიული) ადამიანის საცხოვრებელს კი არ წარმოადგენდა, არამედ ისტორიული ხანის ადამიანის საცხოვრებელს, კერძოდ კი ამ გამოქვაბული ქალაქის კომპლექსის დაარსებას უკავშირებენ აღმოსავლეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაწყისის ხანას, როდესაც განვითარდა მონასტრების კულტურული და მეურნეობრივი ცხოვრება და მასთან დაკავშირებით საგრძნობლად გააზარდა მათში ბერების რიცხვიც <sup>16</sup>.

ამ მონასტერს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ სამონასტრო ლავრებსა და კომპლექსებს (დავით გარეჯა, ზედაზენი, მარტყოფის ღვთაება და სხვა), ზნეობრივ-იდეოლოგიური და ეკონომიური მნიშვნელობის გარდა, განსაზღვრულ ხანაში, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა; სწორედ ამიტომ დიდმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ დავით აღმაშენებელმა (XI საუკ.), საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის პირველსავე წლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მონასტ-



რის შენობებსა და გალავანს. მანვე შეაკეთებინა როგორც თვით მონასტერი და მის გარშემო მდებარე სამეურნეო შენობები, ისე მისი ციხე-გალავანი, რომელიც უფრო მეტად გაამაგრებინა და მთელი რიგი კოშკი ხელახლად ააგებინა.

შიოს მონასტრის მახლობლად, გადამა მხარეზე (მდ. თურდოს შუა ნაპირზე), ახალ შუამთის მონასტერს რომელიც დედოფალ თინათინს დაუარსებია 1524 წელს. ამ დედოფლის ნეშტი დაკრძალულია ამავე მონასტერში.

მონასტრის ეკლესიის შიდა კედლები შემკულია XVI საუკუნის შესანიშნავი მხატვრობით<sup>17</sup>, რომელსაც, ისევე როგორც გრემისას, ათონის მოგვიანო ხანის კედლის მხატვრობის გავლენა ეტყობა; იგი უმთავრესად სამოძღვრებო ხასიათისაა. ორივე კედლის მხატვრობის ფუძე ქართულია; XVII საუკუნის დასაწყისში აღნიშნული მხატვრობა რესტავრირებული იქნა მოსკოვიდან მოწვეული რუსეთის საეკლესიო მხატვრების მიერ<sup>18</sup>.

ვახუშტის გეოგრაფიაში ამ მონასტრის შესახებ შემდეგი ცნობა მოიპოვება:

„ამ ხევის (იგულისხმება თურდოს ხევი. შენ. ჩვენია, — ი. ა.) სათავეს ხევით, მთაში, არს შუა-მთის მონასტერი კეთილი გუმბათიანი, რომელიც აღაშენა მ მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე. ზის წინამძღვარი და უწოდებენ მოძღვართ-მოძღვარს“<sup>19</sup>.

შუამთის მონასტრის გალავანში მაღალი კოშკის მსგავსი სამრეკლო დგას, საიდანაც არაჩვეულებრივი პანორამა იშლება მდ. ალაზნის ორივე მხარის სოფლებზე, ტყიან ხეობებზე და კავკასიონის ქედიდან კახეთისაკენ გადმომყურე მწვერვალებსა და მთის კალთებზე.

ბუნებით მდიდრად შემკულ ამ ისტორიულ ადგილზე, მონასტრის გალავანში, XVI და XVII სს. უცხოვრიათ რუსეთის ელჩებს, რომლებიც კახეთის მეფესთან იყვნენ ჩამოსულნი საგანგებო მოლაპარაკებისათვის რუსეთ-კახეთის ურთიერთობის საკითხებზე.

ამავე მონასტერში დაკრძალულია ნეშტი რუსეთში ქართველი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის მარიამ (მაია) ივანეს ასული ავალიშვილი-ჭავჭავაძისა (რომელიც დაიბადა 1758 წ. და გარდაიცვალა 1836 წელს) და მისი შვილის, დიდი ქართველი პოეტის ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძისა (1786 — 1846 წწ.), რომელიც 1846 წ. ნოემბერს ტრალიკულად დაიღუპა თბილისში.

მისი სამარის ქვას შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა 6 წლისა 3 ნოემბერსა ჩემვ წელსა.

მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცის-  
კარსა სიხარულჰან<sup>1</sup>.

შუამთა წარმოადგენს ბუნებრივი გარემოცვით და ჰავით საუც-  
ხოოდ შეზავებულ ადგილს სახელგანთქმულ წყაროს წყალით. იგი  
სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო კლიმატურ სად-  
გურად.

ამჟამად შუამთაში მოწყობილია საბაქშევო სახლი. ეს ადგილი  
დაკავშირებულია თელავთან საუკეთესო გზატკეცილით (თელავიდან  
შუამთამდე 7 კილომეტრია).

სოფელი რუისპირი მდებარეობს თელავიდან სამხრეთით, იყალ-  
თოსაკენ მიმავალი გზის პირას. იგი 600 — 700 კომლისაგან შედგე-  
ბა და თელავის რაიონში საკმაოდ მოზრდილი სოფლის საბჭოდ  
ითვლება. 1949 წლამდე ამ სოფელში ოთხი კოლმეურნეობა იყო;  
კოლმეურნეობების გამსხვილების შემდეგ გაერთიანებულია ერთ  
ძლიერ და შეძლებულ კოლმეურნეობაში (სოფელ ახატელას მოსახ-  
ლეობაც ამავე კოლმეურნეობაში გაერთიანდა); ახალმა კოლმეურ-  
ნეობამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფელ რუისპირში სას. საშეურ-  
ნეო საწარმოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშე-  
ნებლობას, აკრუთვე სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს; მოკლე  
დროის განმავლობაში რუისპირში აიგო და ამუშავდა ზეთის სახდე-  
ლი ქარხანა, სახერხი ქარხანა, აშენდა აბანო, საშუალო სკოლა,  
კლუბი, ბიბლიოთეკა, გარდა ამისა სახელგანთქმული შუამთის წყა-  
როებიდან გამოყვანილი იქნა სოფელში წყალსადენი, ამჟამად მიმ-  
დინარეობს საბინაო მშენებლობა, სოფლის ქუჩების კეთილმოწყო-  
ბა და გამწვანება. ქარხნები, საწარმოები, საკოლმეურნეო წამოწყე-  
ბები და სოფლის მოსახლეობა მთლიანად უზრუნველყოფილია  
ელექტროენერჯით. ყველა კოლმეურნის ოჯახში გაყვანილია  
ელექტროსინათლე.

სოფელი იყალთო მდებარეობს რუისპირის მასლობლად  
(თელავიდან 8 კმ მანძილზე). მისი მოსახლეობა გაერთიანებულია  
შოთა რუსთაველის სახელობის ცნობილ მილიონერ კოლმეურნეო-  
ბაში. ეს სოფელი იმითაც არის საყურადღებო, რომ მის მიდამოებში  
დღესაც კიდევ დაცულია საქართველოს კულტურის უჩველესი  
კერა — სახელგანთქმული იყალთოს აკადემია და სამონასტრო  
კომპლექსი.

იყალთოს (ღვთაების) მონასტრის დაარსების თარიღს უკავშირე-  
ბენ აღმოსავლეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების საწყის  
ხანას, ე. ი. VI საუკუნის დამდეგს. მისი დამაარსებელი ყოფილა  
ასურეთიდან დაბრუნებული ერთ-ერთი „მამათაგანი“ — ზენონ

იყალთოელი, რომლის ნეშტი აქვე (სამების ეკლესიაში) საგანგებოდ მოწყობილ აკლდამაში ასაფლავია.

ვახუშტი ზაგრატიონი ამ მიდამოების შესახებ წერს: „ამ ხევზე (ე. ი. იყალთოს ხევზე, — შენ. ჩვ., — ი. ა.) კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილ შენ გუმბათიანი, ქმნული იგ მამათაგანის წმინდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმინდა არსენაცა, რომელი იყო ქვეყანაში კახი“<sup>20</sup>.

როგორც მონასტრის გარშემო მრავალ შენობათა ნანგრევებიდან ჩანს, აქ ერთ დროს სამონასტრო ცხოვრება განვითარებულა და „დიდი ძმობაც“ გამართულა. მონასტრის გარშემო 59 ძეგლი მოიპოვება, რომელთა დიდი უმრავლესობა საეკლესიო შენობებს, ზოგი საცხოვრებლებსა და საერო ხასიათის ნაგებობებს წარმოადგენენ.

ამ ძეგლთა შორის თვალს იპყრობს ერთი დიდი საერო ხასიათის ორსართულიანი შენობა, რომელშიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იყალთოს აკადემია იყო მოთავსებული (გადმოცემით, ამ აკადემიაში უსწავლია დიდ ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს).

ამ აკადემიის დაარსებას მკვლევარი ისტორიკოსები ცნობილ მეცნიერ-მწიგნობარს, ფილოსოფოსს არსენ იყალთოელს აკუთვნებენ.

არსენ იყალთოელს განათლება მიუღია კონსტანტინოპოლში — მანგანის წმ. გიორგის მონასტერთან არსებულ აკადემიაში; „მას ცნობილი მეცნიერის ეფრემ მცირეს (1025 — 1100 წ.) ხელმძღვანელობით „შავ მთაზე“ უმოღვაწია, შემდეგ, 1114 წელს, დაბრუნებულა საქართველოში და პირველად გელათის აკადემიაში განწესებულა დიდ ფილოსოფოს იოანე პეტრიწთან, შემდეგ კახეთში გადმოსულა და 1120 წელს იყალთოში აკადემია დაუარსებია. იყალთოდან იგი უშუალოდ მონასტერში გადასულა და იქ დამკვიდრებულა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იყალთოში დაუმარხავთ“<sup>21</sup>.

იყალთოს აკადემიის შენობების გარშემო თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დახმარებით და ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კონსულტაციითა და უშუალო მონაწილეობით, 1938-წლის ზაფხულში არქეოლოგიური დაზვერვები და ნაწილობრივი გათხრები ჩაატარა.

გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ XI — XII სს. მიჯნაზე აგებული შენობების გარდა, იქვე, მათ მეზობლად, იყო უფრო ად-

რინდელი ხანის ნაგებობანი, როგორც ეტყობა ამავე დანიშნულე-ბისა.

ნანგრევების შესწავლამ ცხადყო, რომ აკადემიის მთავარი შენობის ირგვლივ არსებობდა მრავალი სახელოსნო, მარანი, საჭურჭლე ქარხანა (გამოსაწვავი ქურებით), სამკედლო, სამეურნეო ნაგებობანი და სხვა დამხმარე საწარმოები და სახელოსნოები.

ცნობილია, რომ იყალთოს აკადემიაში ეუფლებოდნენ ყველა იმ დისციპლინას, რასაც ასწავლიდნენ ათონის, პალესტინის, კონსტანტინოპოლის აკადემიებში: ღვთისმეტყველებას, რიტორობას, ასტრონომიას, ფილოსოფიას, გეომეტრიას, არითმეტიკას, გალობას.

აღნიშნულ თეორიული დისციპლინების გარდა, ეტყობა, აკადემიის მსმენელები სწავლობდნენ ხელოსნობის დარგებს (წვედლობას, ლითონის დამუშავებას, კერამიკულ წარმოებას, მეჭურჭლეობას, მემინდვრეობას, მევენახეობა-მელვინეობას).

იყალთოს აკადემიამ დიდხანს იარსება და მრავალი თაობა გამო-წარდა.

მაგრამ, დროთა ვითარებაში, კახეთზე შაჰ-აბასის (XVII საუკ.) შემოსევის შედეგად ამ აკადემიის მთელი შენობა ცეცხლს გაუნადგურებია და, როგორც ჩანს, შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

ახმეტა მდებარეობს იყალთოდან ჩრდილო-დასავლეთით, გომბორის ქედის ერთ-ერთი მთის ძირში, მდინარე ალაზნის ხეობაში, იგი უწინ ერთ პატარა სოფელს წარმოადგენდა, ამჟამად კი რაიონის ცენტრია<sup>22</sup>.

XIX საუკუნის დამდეგს, საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში, როდესაც ადგილობრივი მემამულე-ფეოდალებს თავაშვებულ თარეშს გლეხების მიმართ ცარიზმის ჩინოვნიკურ-ოფიცრული „კაპიტან ისპრაჟნიკული“ მმართველობის თავხედობა და უგვანო მოქმედება დაერთო და გლეხები განუწყვეტელი ეგზეკუციებოთა და ძარცვა-რბევით გაბეზრდნენ, კახეთში სამი სახალხო აჯანყება მოხდა.

სოფ. ახმეტა კახეთის ცნობილი 1812 წლის დიდი აჯანყების პირველი მერცხალი გახდა.

„განთიადისას 31 იანვარს 1812 წ., — წერს ისტორიკოსი, — ახმეტაში მოულოდნელად ეკლესიის ზარი ჩამოჰკრეს. გულ-გახეთქილი ახმეტელები ეკლესიის ეზოს მიაწყდნენ და თქვენს მტერსა და ღუმ-მანს, რაც იმათ ამბავი შეიტყეს, — თელავიდან „ზეკუტია“ მოდის პურის მოსაკრეფადო“. წინა წელი (1811 წ.) და ის წელი (1812 წ.) დიდი უმოსავლობის წლები იყო მთელს კახეთსა და თიანეთისათვის; და ამ უმოსავლობის წელს, ხალხს ლუკმა პურის შოვნაში

არათუ არავინ არ ეხმარებოდა, პირიქით მებატონე-მემამულეს კიდევ ცარიზმის „კაპიტან-ისპრავნიკული“ მმართველობა დაემატა და გლახებისაგან პურის იძულებითი წართმევა გადასწყვიტა.

მთავრობა დიდად ეწურობოდა ჯარისათვის საკუთრო პურის შეგროვებას და რაკი თიანეთის სამოურაოდან მარცვალი ხორბალი არ შექქონდა ხალხს, ამის გამო თელავის კაპიტან-ისპრავნიკმა საეგზეკუციო კამანდები მიუსაა სამოურაოს. მოახლოებული კამანდა რომ დაინახეს, ახმეტელები კვარსავით აინთნენ, გონების თვალთ წარმოიდგინეს აწიოკება ჯალაბისა, აოხრება ოჯახისა და სახლ-კარისა და სიბრაზისაგან თვალთაგან სულ ცეცხლის ნაპერწკალი აკვესეს“<sup>23</sup>.

მარკიზ პაულუჩიმ, რომელიც ამ დროს საქართველოს მთავარ-მართებლის თანამდებობას ასრულებდა, თავის უქვეშევრდომილეს პატაკში რუსეთის მეფისადმი ამ ამბის შესახებ შემდეგი ცნობა მიაწოდა:

„...თელავის კაპიტან-ისპრავნიკის მიერ გამოგზავნილი საეგზეკუციო კამანდა მიუახლოვდა ს. ახმეტას 31 იანვარს 1812 წელს. ახმეტელებმა, თვალი მოჰკრეს თუ არა კამანდას, ჩამოჰკრეს ზარი, სოფელი ფეხზე დააყენეს, ეცნენ კამანდას, კარგად მიბევეს და გარეკეს. შეშფოთებულმა კაპიტან-ისპრავნიკმა „იეგერებისა“ და დრაგუნთა მცირე რაზმი გაგზავნა ახმეტას კამანდის საშველად და თვითონაც, ქართველ თავადიშვილთა თანხლებით, გაეშურა ახმეტისაკენ, რათა გამოეძია და გამოეკვლია, თუ რა ხდებოდა ახმეტაში, სულ რაღაცა თორმეტი ვერსი არც კი გაევილო კაპიტან-ისპრავნიკს თელავიდან, ამბავი მოუტანეს, — ახმეტელებმა, მატანთ-თიანელებმა და ფშავ-ხევსურებმა ალყა შემოარტყეს იეგერთა და დრაგუნთა რაზმსაო... მემამბოხეებმა თოფები დაახალეს კაპიტან-ისპრავნიკს და თავადიშვილებს. გულგახეთქილი კაპიტან-ისპრავნიკი ფიცხლავ დაბრუნდა თელავს და მოითხოვა ჯარები ამბოხების ჩასაქრობად. მემამბოხეთა ძალა თანდათან იზრდება, — ახმეტელებს, თიანელებს, მატანელებს და მარელისელებს, 3 თებერვალს მიემხრნენ ახლო-მახლო სოფლები და თავადიშვილები. 4 თებერვალს მემამბოხენი მიადგნენ თელავსა და თელაველი სომხების შემწობით და დახმარებით შეცვივდნენ ფორშტატში (ანუ გარეუბანში), აიკლეს რუსის ოფიცრებისა და მოხელეთა სადგურ-ბინები, რამდენიმე სალდათი მოჰკლეს და დაიტაცეს რაც სასურსათო ორ მალაზიაში პური შეეგროვებინათ“<sup>24</sup>.

ამბოხება მალე პოლიტიკურ ბრძოლაში გადიზარდა. იგი თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა და გავრცელდა ალაზნის პირიდან გომ-

ბორის მთით, ივრის ხეობას მოედო და თბილისის მიდამოების სოფლებსაც კი უწია. ამ ამბოხებით ისარგებლა თავადაზნაურობამ, ბატონიშვილებმა და ცარიზმის უკულმართი მმართველობისადმი ხალხის საჩუღილის განწყობილება, თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად და კახეთში სამეფოს აღსადგენად გამოიყენა. საშველად მოუხმეს ოთხი ათას ლეკს, ამოირჩიეს სარდლად თავადი ოთარ ქობულაშვილი მდივანი, ხოლო ქართლიდან მოიწვიეს ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე, რომელიც მეფედ გამოაცხადეს. ამ აჯანყების აქტიური მონაწილე იყო ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძეც, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტის დაკავებაზე ოცნებობდა.

ამბოხება 1813 წლის დამდეგს დამთავრდა მუამბოხეთა სრული განადგურებით. ორივე მხარემ საგრძნობი დანაკლისი განიცადა. ცარიზმის მმართველობამ კახელებს კვლავ გადაახდევინა კონტრიბუცია და უსასტიკესი რეპრესიებით გაუსწორდა ხალხს.

სოფ. ახმეტის გლეხობა სოფლის მეურნეობას მისდევდა ჩამორჩენილი მამაკაპური მეთოდებით. მემამულეებისა, სოფლის ვაჭარ-მევახშეებისა და კულაკობის მიერ შევიწროვებული მშრომელი უმრწო და უძროხო გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

ასეთმა ეკონომიურად შევიწროვებულმა მდგომარეობამ გასტანა XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ სოფლის ცხოვრებაში ცვლილებები მოხდა.

ახმეტის გლეხობა, რომელიც გაერთიანდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილ კოლმეურნეობებში, ურთულეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს დაეუფლა და დიდ წარმატებებს აღწევს, როგორც ხორბლელული კულტურების მოყვანაში, ისე ბალ-ვენახების, მესაქონლეობისა და მეაბრეშუმეობის დარგშიც. უკანასკნელ პერიოდში ახმეტაში კოლმეურნეობები გამსხვილდა; ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო და უფრო მეტად განამტკიცა და გააძლიერა კოლმეურნეობები და თვითიული კოლმეურნის დოვლათიანობა.

ბევრი ახალგაზრდა კოლმეურნე დაეუფლა დიდი რუსი მეცნიერის, მიჩურინის მოძღვრებას და თავის დარგში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. ასეთ მოწინავე კოლმეურნეთა რიგებშია ახმეტის რაიონის სოფელ ოეიოს კოლმეურნე თომა ნახუცრაშვილი. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა მეცმეწარეობა. თანდათან ინტერესი გაუფართოვდა; თომამ მიბაღეობა-ჩუბოსტნეობის შესწავლას მოკიდა ხელი. დააწყო დიდი სამამულე ომი. თომა ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ომის შემდეგ, როდესაც იგი დაუბრუნდა ოჯახს და მშვიდობიან ცხოვრებას მოჰკიდა ხელი, გადაწყვიტა კულტურული მება-

ლეობა განევითარებინა. პრაქტიკულად მან ეს საქმე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში შეისწავლა, წაიშუშავა, ავრეთვე, თბილისის ბოტანიკურ ბაღში, სადაც გაეცნო მემცენარეობის დარგში მთელ რიგ ფრიალ საყურადღებო და მისთვის სასარგებლო საკითხებს, შემდეგ გადავიდა ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში და, ამ დარგში უკვე საკმაოდ შეძენილი ცოდნით, დაუბრუნდა მშობლიურ სოფელ ოყიოს, სადაც იგი სწავლობდა და უკვირდებოდა მყნობის წესებს და ძუშაობდა მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანაზე.

სოფელ ოყიოს კოლმეურნეობამ გამოუყო მას ბაღის ხილ-საშენისათვის 14-ჰექტარიანი ნაკვეთი. თომა ნახუცრიშვილის დაკვირვებულმა მუშაობამ, მრავალმა ცდამ, მასთან მოთმინებამ და ხასიათის სიმტკიცემ დადებითი შედეგები გამოიღო.

თომა ნახუცრიშვილი შეუდგა ცდების ჩატარებას ქარგამძლე ვაშლის ჯიშის გამოსაყვანად და მოაღწია კიდეც მიზანს. გზის პირებზე მწყრივად გადმორგულია თუთის ხეები არაჩვეულებრივი ფოთლებით, იგი გამოყვანილია თომას მიერ. მან დაამყნო 6000 თუთის ხე. საკოლმეურნეო ზეხილის ბაღში 76 ჯიშის ხე გადმოირგო, მათ შორის თვალს იპყრობს უზარმაზარი მსხლის ხე, რომელზედაც დამყნობილია 21 ჯიშის ხილი, ბაღის მეორე კუთხეში მნახველს იზიდავს თვალწარმტაცი ჭილამაზის ვაზის ხეივანი. თომა ნახუცრიშვილის მიერ გამოყვანილი ვაზი გაცილებით მეტ ყურძნის მოსავალს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი ვაზი<sup>25</sup>.

საბჭოთა მაღალმა ტექნიკამ, რიგი წლების განმავლობაში ჩატარებულმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს ახმეტის საკოლმეურნეო მინდვრების მაღალი მოსავლიანობა. დღეს აქაური ყანა ჰექტარიდან 22 — 25 ცენტნერ ხორბალს იძლევა, ელექტროფიციერებულაა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა დიდი რაოდენობა, ელექტროენერგიაზეა გადაყვანილი მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები (კომბაინი, ტრიერი, სანიავებლები), რომლებსაც ახმეტის რაიონის კოლმეურნეები ამუშაუებენ. მოწინავეთა რიგებშია სოფ. ქისტაურის, ქვემო ალვანის ლენინის სახელობის, ზემო ხოდაშენის, ავრეთვე ახაშნის, ქორების, ხალიწნის და სხვა კოლმეურნეობები. მათმა ენერგიულმა და თავდადებულმა მუშაობამ უზრუნველყო უხვი მოსავლის მიღება და მისი უდანაქარგოდ აღება.

ახმეტის რაიონში, განსაკუთრებით კი მდ. ილტოსა და ორველის ხეობებში, უხვად არის მრავალსაუკუნოვანი ხელშეუხლებელი ტყეები, სადაც კარბად არის წარმოდგენილი ფასდაუღებელი მერქანი.

ყურადღებას იპყრობს აქაური წიფლის ხე, რომლის მერქანს

დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მას ფართოდ იყენებენ ავეჯეულობის წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში და მშენებლობაზედაც.

ცნობილია, რომ რევოლუციამდე საქართველოში ხე-ტყის მეურნეობა ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძვირფასი ჯიშების მერქანი ადგილობრივ არ მუშავდებოდა — იგი საზღვარგარეთ გაჰქონდათ. მაგრამ ეს მდგომარეობა დიამეტრალურად შეიცვალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ახმეტაში აშენდა საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის მძლავრი ქარხანა, რომლის აგება-მოწყობაზე დაბანდებული იქნა დიდი სახსრები.

ამჟამად ახმეტის საჩუყო მეურნეობა აწარმოებს წიფლის მერქანის დამზადებას და ნედლეულს გადასამუშავებლად აწვდის ახმეტის ქარხანას. ამგვარად, მთელი ეს დოვლათი საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სახელმწიფოს ხმარდება და ადგილობრივ მუშავდება. ახმეტის ქარხანა, რომელიც აღჭურვილია ახალი ტექნიკით, ერთ-ერთ წამყვან და საუკეთესო ხის გადამამუშავებელ ქარხნად ითვლება საქართველოს სს რესპუბლიკაში. იგი მრავალ ნაწარმს უშვებს; 1951 წლიდან ქარხანამ დაიწყო წიფლის პარკეტის დამზადება.

ახმეტის რაიონში გაიხსნა და ამუშავდა მრავალი სასწავლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება, საავადმყოფო, ამბულატორია, პოლიკლინიკა, რომლებიც მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან და მასთან მოსახლეობის მზარდ კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევი სამუშაოებია ჩატარებული ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კარმიდამოს კეთილმოწყობისათვის, აშენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სანიმუშო ფარდული, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავ-საცხები მასალების საუკეთესო საწყობით. რაიონის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს როგორც რაიონის ცენტრს, ისე სასოფლო საბჭოების კეთილმოწყობას. ახლახან რაიონის ცენტრში აიგო რაიონალური ახალი შენობა.

რაიონში მოიპოვება მადნეულობაც. სოფელ მატაანის მახლობლად 1926 წელს სამ ადგილას აღმოჩენილ იქნა ლითოგრაფიის ქვის ბუდობები, ამავე რაიონის ანის-ხევისა და სოფელ ზემო ხოდაშენის მიდამოებში მოიპოვება ქვანახშირის ნიშნები და მთის ბროლიც (მათი ნიმუშები გამოფენილია თელავის მუზეუმში).

ასეთია თანამედროვე ახმეტის ვითარება.



## რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი სოფ. ქისტაურში

ანმეტის მახლობლად მდებარეობს სოფელი ქისტაური, სადაც დაიბადა და აღიზარდა XIX საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტა და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი (1824 — 1901). მის სახლში მოწყობილია „რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი“. ამ მუზეუმში მოეწყო პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსანიშნავი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია საბუთები, მასალები, სურათები, წერილები, ხელნაწერები და სხვა ფრიად საყურადღებო ექსპონატები.

## ალაზნის ველის ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლები

ალაზნის ველზე გავრცელებულია ქართული ხოხობი, რომელიც ბინადრობს უმთავრესად ტყიან დაბლობებში.

დაბურულა ტყე-ბუჩქნარი ხოხობისათვის საიმედო თავშესაფარია.

ხოხობის განადგურებისაგან დაცვას დიდი ყურადღება ექცევა და დღეს იგი უკვე საკმაოდ არის მოშენებული.

1935 წელს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით ალაზნის ველზე დაარსდა „ქართული ხოხობის“ საგანგებო ნაკრძალი.

იგი მოიცავდა 9000 ჰექტარ ტერიტორიას, რომელსაც საზღვრავდა: აღმოსავლეთით მდ. ინწობა, იმ ადგილიდან, სადაც იგი მდ. ალაზნთან შეერთებამდე ჰრის შირაქის გზატკეცილს; ეს საზღვარი გრძელდებოდა კისის-ხევით (პარტენიანთ ხევით) პირუტყვის გამტარ რესპუბლიკურ მთავარ გზამდე. სამხრეთით, იმ ადგილიდან, სადაც პარტენიანთ ხევი გადაკვეთდა პირუტყვის გამტარ, მთავარ რესპუბლიკურ გზას, თოღნიანის ეკლესიის გასწვრივ, სოფელ კონდოლის ბოლომდე, შემდეგ გრძელდებოდა თელავის რაიკომბინატის ტერიტორიის ნაპირით, გადაჭრიდა რა მდ. ბელანა-პშას სოფელ გულგულას მახლობლად, მისი ვენახების თავზე გადადიოდა და პირდაპირ მდ. თურდოს ნაპირამდე მიდიოდა. დასავლეთიდან იგი მისდევდა მდ. თურდოს კალაპოტს მდ. ალაზნის შესართავამდე, შემდეგ გადაჭრიდა მდინარეს და ადიოდა მდ. ლოპოტოთი სოფელ ნაფარეულის ვენახებამდე; ჩრდილოეთის მხრიდან, სოფელ ნაფარეულისა და სამტრედიის ვენახების სამხრეთ ნაპირიდან გრძელდებოდა შაქრიანის ხიდამდე და აღწევდა იმ ადგილს, სადაც შარაგზა გადაჭრის მდ. ინწობას.

როგორც ამ საზღვრებიდან ჩანს, ნაკრძალის უდიდესი ნაწილი

ალანის ველზე მდებარეობდა, აქედან 70% წარმოადგესა და ნახნავეს და მხოლოდ 30% ტყე-ბუჩქნარს; იგი ვიწრო ხალით (1,5 — 2 კმ.) მიიქიმებოდა მდ. ალანის ორივე ნაპირით. ამ ტერიტორიაზე შიგადაშიგ ჩალა-წალმებით და ლერწმით დაფარული ადგილებია — ხოხობის საუკეთესო თავშესაფარი.

თავის დროზე ჩატარებულმა ამ დღმა ღონისძიებამ უზრუნველყო ქართული ხოხობის არათუ გადარჩენა, არამედ მისი მოშენებაც. მართალია, ამჟამად ნაკრძალი აღარ არსებობს, მაგრამ ამ ტერიტორიაზე ნადირობის მოწესრიგების საქმე სატყეო მეურნეობასა და მონადირეთა კავშირს აქვთ მინდობილი.

ტყე-ბუჩქნარი უმრავლეს შემთხვევაში გაველურებული ხეხილის ხეებს და კენკროვან ბუჩქნარს (ქაცვი, კვილო, მაყვალი, შინდი, ზღმარტლი, ასკილი, კუნელი), აგრეთვე მსხალს, მაქალოს, აღუჩას და სხვა ამგვარ ხეხილის ხეებს წარმოადგენს.

არახეხილის ხეებიდან აქ უმთავრესად გავრცელებულია მურყანი, თელა, მუნა, დაფნა.

ამ მცენარეებიდან ხოხობი ყველაზე მეტად ეტანება მაყვლის, ქაცვის, ლანცეტურ მრავალძარღვასა და სხვა ნაყოფს.

საზოგადოდ ხოხობის საკვები მრავალფეროვანია. იგი იკვებება როგორც კულტურული, ისე ველური მცენარეულის მარცვლეულით, გარდა ამისა, — ჭიაღუთით, სიამოვნებით დევნის თაგვებს, ბაყაყებსა და გველებსაც კი.

წყლის სიახლოვე ხოხობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ხოხობი თბილი ჰაერს ფრინველია. მაგრამ იგი ადვილად ეგუება ცივ ჰავასაც. რასაკვირველია, შესატყვის ბუნებრივ გარემოცვასა და პირობებში, როგორცაა: ტყე-ბუჩქნარის სიახლოვე, ხშირი ქვე-ტყე, შესაფერი საკვები ბაზა და საშუალებანი.

ალანის ველზე მრავალი სხვა ცხოველიც ბინადრობს: მგელი (მეირე რაოდენობით), ტურა, მაჩვი, მდინარის წავი, დედოფალა, კავკასიური გარეული კატა, ამიერკავკასიის კურდღელი, ციყვი, მძინარა ციყვი, გარეული ღორი (ახლა იშვიათად გვხვდება, უწინ კი მრავლად მოიპოვებოდა).

ფრინველებიდან ალანის ველზე გავრცელებულია ქათმები, ჩიბუნა, გარშეი. რომლებიც აქ ზამთარს ატარებენ, ძერები, ყვავები, ყორნები, ბელურა ჩიტები, ოფოფები, ქორი, წყალ-წყალა, ხეკაქუნა, ზაფხულობით მრავლად მოიპოვება: მტრედები (ჩვეულებრივი მტრედი, ქედანი, ცხრატყავა), აგრეთვე შავი და ჭრელი შაშვი (დროგამოშვებით), გვრიტი, მერცხალი, ჩიხვი და სხვ.<sup>26</sup>

## აღავერდის ისტორიული ძეგლი

თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით (18 კილომეტრამდე) მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, გაშლილ ვაკეზე, აღმართულია საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრების ძეგლაგანი — ალავეოდის ტაძარი.

შტორის ხევის ზემოთ, ალაზნის დასავლეთ, — წერს გეოგრაფი ვასუშტი — არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმან მიიღო სახელი ალონის გამო, რომელ ამას ალონ გვერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი. აღაშენა იგ მამათაგანმა წმინდამან იოსებ და ყო მონასტერი წმინდის გიორგისა, და დაფლულ არის მუნვე და იყო მონასტერი განდგომილუბისადმე, ქრისტესა ჩუფე, და ამით ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოს ხევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასიამდე, და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად. დაიქცა ძვრით როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა, კვალად დაიქცა ქრისტესა ჩლმა ძვირითე“ 27.

V როგორც ვახუშტის ცნობიდან ჩანს, ეს მონასტერი დაუარსებია VI საუკუნეში ერთ-ერთ ასურელ „მამათაგანს“ იოსებს, რომლის ნეშტი აქვე მარხია.

ამავე მონასტერში ასაფლავია კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელიც შემოსეულმა შაჰ-აბასმა 1624 წლის 13 სექტემბერს უსაშინელებსი წაშებით გამოასალმებინა წუთისოფელს.

ეს ტრადიცია აღწერილი აქვს დიმიტრი ბაგრატიონ მუხრან ბატონს ლექსად, რომელიც გამოიცა პეტერბურგში 1819 წელს. მოგვცავეს ნაწყვეტი:

„ქეთევანისა პატიეთა მე ვიტყვი ჩათდა მეტებით  
არეინ დასჯილა დედათგან მისებრივ გამოშეტებით;  
ხოც გლჯადენ გაზებით, ლურსმებით ჩხვლებდენ მწვეტებით  
მოქუფრით სისხლი სწთებოდა ძარღვების დასაწყვეტებით.

უხამს დაჯდეს ღირსი ვინმე მისთა ღე.წლთა აღსაწერად  
მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჰყვეს კალმის მკერად  
მოკლეს სიტყვით შეამწვევროს გრძელი ტანჯვა მრავალფერად  
მათ მოგვითხრონ შესაზარად, არ სასტიკონ გულსაგმერად.“

დღეს არსებული ალავერდის კათედრალი სპეციალისტების მიერ დათარიღებულია XI საუკუნის მეორე ნახევრით. დროთა ვითარებაში ეს შენობა მრავალჯერ დაზიანებულა, როგორც შემოსეულა

\* *Опись рукописей церковного музея, III, Тифлис, 1908 г., გვ. 207.*

მტრების ბოროტი ხელით, ისე მიწისძვრების მიზეზითაც. იგი აღდგენილი იყო რაზდენჯერამე: პირველად XVI საუკუნეში, ხოლო შემდეგ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II მეფობის ხანაში. შეკეთება უმთავრესად შეეხო ტაძრის საგუმბათო ნაწილს, რომელიც მიწისძვრამ ჩამოანგრია, ხოლო მისი ძირითადი ნაწილი, კედლები, თაღები და შენობის მთავარი სვეა ნაწილები იმდენად კარგად და დაუზიანებლად შემონახულა, რომ XI საუკუნის ქართული არქიტექტურის შესახებ სრული და სწორი წარმოდგენის საშუალებას იძლევა დღესაც.

ალავერდის, ისევე როგორც ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და „სვეტი-ცხოველის“ მცხეთაში, რომლებიდანაც პირველი აგებულია XI საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს აღმოსავლეთის ყველაზე განაპირა პროვინციაში — კახეთში, მეორე დამთავრებულია 1003 წელს დასავლეთ პროვინციაში — იმერეთში, მესამე 1029 წელს ცენტრალურ ქართლში (მცხეთაში) მთელი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანში, ქრონოლოგიურად ერთიმეორეს მიმდევნობებს, ქართული საშუალო საუკუნეების უდიდეს კათედრალებს წარმოადგენენ და გვევლინებიან, როგორც სიმწიფის ეპოქის ბრწყინვალე წარმომადგენლები; „ალავერდის ტაძრის გარეგან ფორმებში მიღებულია მყარი ნიმუში მასებისა და სახურავების გაწყობის იმ სისტემისა, რომელსაც ვიცნობთ, როგორც საშუალო საუკუნის ქართულისა (და აგრეთვე სომხურის) არქიტექტურის ტიპისა, — საცა გემის ცენტრში გვაქვს გუმბათი, შემდეგ მისგან გამოსული ძირითადი მაღალი ჯვარი და ნაკვეთებს შორის დაბალი ცალფერდობიანი სახურავები თვითონ ნაკვეთებისა“<sup>28</sup>.

ალავერდის ტაძრის კედლები შემკული იყო ქართული მხატვრობით; მაგრამ მტერთა ხშირი შემოსევების შედეგად იგი მრავალჯერ დაზიანებულა და ამიტომ მისი მხოლოდ ფრაგმენტებიღაა დარჩენილი. შესასვლელი კარების თავზე დასავლეთის მხრიდან შერჩენილია მხატვრობა წმინდა გიორგისა.

ტაძრის კედლებში, გუმბათზე, საიდუმლო ასასვლელია (ვერტიკალური დერეფნები კიბეებით). მონასტრის მთელი გალავანი შემოფარგლულია ციხის კედლებით, გალავნის ბოლოში რამდენიმე საერთო ხასიათის ნაგებობა და მათ შორის საკათალიკოსო და საეპისკოპოსო საცხოვრებელი სახლებია. ალავერდის კათედრალი, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თანამედროვეა მცხეთის „სვეტი-ცხოველის“ და თანამესაუკუნე ბაგრატის ტაძრისა ქუთაისში, საქართველოს ყველა დანარჩენ ტაძრებზე დიდი და მაღალი შენობაა.

საქართველოს შუასაუკუნეების მწიფობის ხანის ეს საუკეთესო ხეროთომოდერების ძეგლი ამჟამად სახელმწიფოს მიერ არის დაცული. მაგრამ უწინ ეს ასე არ იყო. საქართველოს მრავალი უძველესი ხანის ძეგლი XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ ოცეულში უპატრონობისა და უყურადღებობის შედეგად ინგრეოდა, ნადგურდებოდა.

ამ მდგომარეობას საუკეთესოდ ახასიათებს დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი თავის პატარა ნარკვევში „კახეთში მოგზაურობა“<sup>29</sup>, სადაც იგი წერს: „ბევრი რაი გამოიგონია ამ დიდებულ ტაძარზე და, სხვათა შორის, ისიც, რომ ალავერდა თათარს აუშენებია და ამიტომ დარქმევია „ალავერდიო“. ეს უქანასკნელი, რასაკვირველია ზღაპარია. ეს ტაძარი აგებულია საუცხოვო ალაგას. მის წინ გაშლილია ალვანის მინდვრები; ალვანის სოფლებიც მისი შენაწირი და მოხარკე იყვნენ და ამიტომაც ერქვა ამ ტაძარს „ალვან-ვედრი“ ე. ი. ალვანის სავედრებელი. ეს სიტყვა თათრებს გამოთქმის დროს გადაუკეთებიათ „ალავერდათ“ და იქიდან წარმომდგარა დღევანდელი სახელწოდება. ამისივე მიზეზი უნდა იყოს, რომ კახეთში მოსახლე თათრები დღესაც კიდევ თავყანს სცემენ ამ ტაძარს და შესაწირი მიაქვთ ისე, როგორც მართლმადიდებლებს, ეს ადრინდელი ალვან-ვერდი დღეს მართლა რომ „ალავერდიც“ გამხდარა და „იანშიოლიც“.

ძველებური ხელოვნება მოშლილია, ნახატები აღარ ჩანან და საყდარი შიგნით და გარეთ თეთრად არის შეფეთქილი. ზედ მისავალ კარებთან, სადაც ადრე „საქალებო“ უნდა ყოფილიყო, საყასბოა გამართული, იქ მიაქვთ ზეარაკის მზარ-ბეჭი და ცხვრის ტყაეები და აქვე ვაჭრობაა გახურებული. ადრე ამას ჰქონდა მნიშვნელობა; ღარიბ მლოცველებს ბერები უმასპინძლებოდნენ და თუ ამგვარი შესაწირი არ მიეღოთ რა უნდა ეჭამათ. მაშინ ის ადგილიც, სადაც საკლავი მიჰქონდათ, მოშორებით იყო ეკლესიაზე და დღეს ყველაფერი გადასხვაფერებულია. სახურავი გაფუჭებია ტაძარს, აღმოსავლეთის მხრით წვიმა ჩამოდის და შიგ ტაძარში ტბა დგება“.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არა მარტო ალავერდის, არამედ საქართველოს სხვა მრავალი ფრიად საყურადღებო და ფასდაუდებელი ისტორიული, სახუროთმოდერო ძეგლები და ხალხური ხელოვნების განუმეორებელი ნაკეთობანიც.

## თამარ მეფის დროინდელი (XIII ს.) არხი

ალავერდიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, სოფელ ალაზნის პირდაპირ. იწყებოდა თამარ მეფის დროინდელი (XII—XIII სს.) ალაზნის სარწყავი არხი, რომლის სიგრძე 119 კილომეტრს უდრის. იგი ერთ დროს რწყავდა 53.000 ჰექტარ მიწის ფართობს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. არხი მთავრდებოდა მთის მწვერვალის „არხილოსკალოს“ პირდაპირ.

ამ არხს საშუალო დაქანება ჰქონდა 1 მეტრი 1 კილომეტრზე. მისი გამტარუნარიანობა კი სათავეში — 24 კმ. მეტრ. წყალს წამში აღწევდა<sup>30</sup>.

## ურთხელას ტყე ბაწარაში

ურთხელას (*Caxus haccafaz*) ხე ფრიად საყურადღებო ჯიშია. მას მცენარეულის განვითარების ისტორიაში დიდად საპატიო ადგილი უჭირავს. ურთხელა უცვლელია და დიდი გამძლეობის ხეა; არ ლბება (აქედან წარმოსდგება ურთხელას რუსული სახელწოდება „Черный“ — „უღბობი“).

ხის ეს ჯიშში მესამეულის ეპოქაში ძლიერ იყო გავრცელებული მთელი ევროპის ტერიტორიაზე, ამჟამად კი იგი გადაგვარებისა და მოსპობის გზაზე დგას და მხოლოდ ცალკობითა მოიპოვება. ურთხელის ტყის მასივები დედამიწის ევროპულ ნაწილში იშვიათად გვხვდება.

ურთხელას ტყე 800-ჰექტარიანი ნაკვეთის სახით ამჟამად დაცულია, მდ. ალაზნის მარჯვენა კიდით, ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე, ამ ადგილთან მისასვლელი შარაგზა თელავიდან სოფ. ახმეტაზე გავლით მიდის პანკისის ხეობისაკენ, გადის სოფ. ჯოჯოლომდე, აქედან კი ტყემდე ბილიკით (ცხენის გზა) მიემართება. ტყეს უკავია მდ. ბაწარას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრის ფერდობი, რომლის ვერტიკალური ზონალობა ზღვის დონიდან 1050 — 1100 მეტრს, ხოლო დაქანება (აღმართი) 25° — 30° უდრის. ურთხელას გარდა, ამ ტყეში საკმაოდ რაოდენობით მოიპოვება აღმოსავლური წიფელი, ნაკერხხლები (*Acer lactum*), თელა-მუში მთის (*Ulmus montana*), იფანი (*Fraxinus exelcior*), ცაცხვი.

ურთხელას ხე თითო ჰექტარზე 80 — 100 ცალით ისაზღვრება: ხის სიმაღლე 25 — 26 მეტრს, დიამეტრი კი 80 — 120 სანტიმეტრს აღწევს. ზოგიერთი ხის ასაკი 1500 წელს სცილდება, უმეტეს შემთ-

ხვევაში კი 300 — 500 წელს არ აღემატება. ქვეტყეში სხვა მრავალი ჯიშიც მოაპოვება. ამ მიდამოს მცენარეულობის ხასიათი მეზოფი-ლურია.

ბაწარას ხეობის მოპირდაპირე მხარეზე, ე. ი. ამ ხეობის სამხრე-თით დახრილ ფერდობზე ურთხელას ხის ხსენებაც არ არის. ამ მოვ-ლენას სპეციალისტები ხსნიან თვით ურთხელას ხის ბიოლოგიით, რომელიც იზრდება და ვითარდება მხოლოდ ნოტიო და დაჩრდილულ ადგილებზე ჰაერის ტემპერატურის ნაკლები ცვალებადობის პირო-ბებში.

ბაწარაში ურთხელას ტყის არსებობას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება\*1.

### კისის-ხევი—თედიანი—წინანდალი

დაუბრუნდეთ ისევ თელავს და აქედან გავყვით გზატკეცილს დასავლეთის მიმართულებით.

გზა სოფელ კისის-ხევს გაუვლის, რომელიც ამავე სახელწოდების არიყებული მღინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, გადაჭრის ამ ხევს და აღის სოფელ წინანდალში (თელავიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული).

სოფელ კისის-ხევის მანლობად დატულია ქართველი ხალხის უძველესი კულტურის მრავალი ძეგლი, რომელთა შორის გამოირჩე-ვიან კისის-ხევის ნათლიმცემლის ეკლესია (VI — VIII სს.) და მისი თანამოასავე მთავარანგელოზის ტაძრის ნანგრევები.

მღ. კისის-ხევის მარცხენა ნაპირზე (წინანდლის პირდაპირ) მო-ეწყო თელიანის მევენახეობა-მელვინეობის ახალი საბჭოთა მეურნეო-ბა, ამასთან დაკავშირებით კისის-ხევის ნაპირები საგანგებო ჯებირე-ბით არის გამაგრებული, რომ გაზაფხულით და შემოდგომით ამ ხე-ვის აზვირთებელი ნიაღვრებისაგან სავსებით იყოს დატული მოსახ-ლეობა და მეურნეობა. მეურნეობას აქვს საუკეთესო მისასვლელი და კეთილმოწყობილი გზები, რომელთა მშენებლობა უკვე დამთავრ-და; იგება წყალსადენი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ახ-ლად დასახლებულ მუშათა დაბის მცხოვრებლებს, ისე საბჭოთა მე-ურნეობის მოთხოვნილებას. ამავე საბჭოთა მეურნეობის ტერიტორი-აზე აშენდა 9 ერთსართულიანი და 3 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთათვის. ამგვა-რად, კისის-ხევის მარჯვენა ნაპირზე ამოქმედდა დიდი საბჭოთა მეურნეობა.

სოფ. წინანდალში კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად

ჩამოყალიბდა ერთი დიდი და მძლავრი სტახანოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია წინანდალის გლეხობა.

კოლმეურნეობა მისდევს როგორც პურეული და მარცვლეული კულტურების მოშენებას, ისე მევენახეობას, მეღვინეობასა და მეცხოველეობასაც.

მოსახლეობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კოლმეურნეობამ ააგო მთელი რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

ამავე სოფელშია სახელგანთქმული წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დაარსდა 1881 წელს საუფლისწულო მამულის სახით ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი მემკვიდრის დავითის ნაქონ მამულში (ეს მამული სარდაფითა და საცხოვრებელი სახლ-კართი რუსეთის საშეფო კარის კანცელარიას დარჩა დავით ჭავჭავაძის ვალის ანგარიშში, რაც მან შამილის ტყვეობიდან თავისი ოჯახის გამოსახსნელად სახელმწიფო ხაზინიდან სესხად მიიღო 40.000 მანეთი ვერცხლით).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ მეურნეობის აღდგენას, გაფართოება-რეკონსტრუქციას, კეთილმოწყობასა და ტექნიკურ აღჭურვას დიდი ყურადღება მიექცა და დღეს იგი ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა მეურნეობათაგანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, არა მარტო სამტრედიის სისტემის, არამედ ამ დარგის თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობებს შორის საქართველოში. ამ საბჭოთა მეურნეობას მრავალსართულიანი საუკეთესო სარდაფები აქვს აშენებული (მიწის ქვეშ); ამ სასაწყობო მეურნეობას უკავია ტერიტორიალურად 2,0 ჰექტარზე მეტი ფართობი და იტევს 1.000.000 ლექალიტრ ღვინოს.

მეურნეობის სარდაფებს 40-ზე მეტი განყოფილება აქვთ; აქვე მოწყობილია ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს ღვინის ტექნიკურ და მიკრობიოლოგიურ კონტროლს, ამოწმებს მზაპროდუქციის გამოშვების ხარისხსაც.

ამ მეურნეობაში გადასამუშავებლად იგზავნება საღვინე მასალები მეზობელი საბჭოთა მეურნეობებიდან (მუკუზანის, ნაფარეულის, ყვარელის საბჭოთა მეურნეობებიდან).

წინანდლის საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად იტოვებს დასაძველებლად 80 — 120 ათას ლექალიტრ ღვინოს.

საბჭოთა მეურნეობის ვენახებს 570 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ, რომელთაგან 227 ჰექტარზე ძველი ვაზია, ხოლო დანარჩენ ფართობზე ვაზის ახალი სანერგეებია ჩაყრილი (მავთულზე აყვანით).



უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია კიდევ 200 ჰექტარით გაფართოვდა.

ათვისებულ იქნა ყამირი ნიადაგის ათეული ჰექტარი; ვაზის მყნობის დიდი გეგმა — ერთი მილიონი ცალი „კაბერნეს“ ჯიშის დამყნობისა საბჭოთა მეურნეობამ 1951 წლის დამლევისათვის შეასრულა.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში მრავალი ასეული მუშა, აგრონომ-სპეციალისტი და მოსამსახურე მუშაობს.

მეურნეობაში მუშებისა და მოსამსახურეების მზარდ კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განხორციელებულია მთელი რიგი თვალსაჩინო ღონისძიებანი, მათ შორის მოქმედებს პროფკავშირული კლუბი ხმოვანი კინოდანადგარით. მოწყობილია ბაბლიოთეკა, რომლის წიგნთა ფონდში მრავალი ათასი ტომი ფრიად საყურადღებო წიგნია როგორც ქართულ და რუსულ ენებზე, ისე უცხოურ ენებზედაც; მათში არის პოლიტიკური, ტექნიკური (სპეციალური), მხატვრული ლიტერატურა და ბელეტრისტიკა. მეურნეობაში მოწყობილია საკუთარი რადიოკვანძი და სატრანსლაციო ხაზზე 200-ზე მეტი აბონენტი. საუკეთესოდ არის მოწყობილი აგროლაბორატორია, რომლის ბაზაზე სისტემატურად ტარდება ლექციები სპეციალურ თემებზე, საუბრები, მოხსენებები. მეურნეობის ყველა დარგი და უბანი ტელეფონიზებულია; მეურნეობაში მოქმედებს საბავშვო ბაგა, ამბულატორია, სასადილო, აბანო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, აგრეთვე დამხმარე მეურნეობა მუშა-მოსამსახურეთათვის.

საბჭოთა მეურნეობის მომუშავეთა შორის 14 სოციალისტური შრომის გმირია, 27 ლენინის ორდენოსანი. დაჯილდოებულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან თელიანის აგროუბნის მოწინავე შრიგადა ამხ. გ. დათუნაშვილისა, რომელიც ორჯერ იქნა დაჯილდოებული ლენინის ორდენით, წარჩინებულად მუშაობენ აგრეთვე სოფ. ნასომხარის აგროუბნის ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სოციალისტური შრომის გმირები ამხ. ამხ. რ. სავანელი; ბ. ბათი-აშვილი, იასე გაგნიძე<sup>32</sup>.

საბჭოთა მეურნეობას გაშენებული აქვს თვალწარმტაცი, დეკორაციული პარკი, რომელიც მხატვრული მებაღეობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. „მას დიდი ესთეტიური და არქიტექტურული მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის. ამ პარკში იშლება ულამაზესი პეიზაჟები, შექმნილია ტურფა წალკოტი, მწვანე ანსამბლი, რომლის მომხიბლავი ადგილები იზიდავს და აჯადოებს მნახველის თვალს და გულს. ამავე დროს იგი დაუშრეტელი წყაროა, მუდამ საჭირო, ჯანსაღი და ზომიერი ჰავის სისუფთავისა და სიგრილისა“<sup>33</sup>.

პარკში აკლიმატიზაცია-ნატურალიზაცია ქმნილი უცხო და ფრიად საინტერესო მერქნიანი ჯიშები, რომლებსაც სახალხო მეურნეობის წარმადობის გასაძლიერებლად და ერთობლივ სატყეო და მწვანე მშენებლობის ინტენსიფიკაციის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვთ.

პარკს 12 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მასში დარგულია 300-მდე ნაირსახეობის დეკორაციული ფორმის და ბალის ჰიბრიდების მერქნიანი მცენარეულობა, აქედან 100-ზე მეტი ეკზოტია წარმომობით სამხრეთისა და შორეულ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან. მთლიანად კი პარკში 6000-მდე ხე და ბუჩქია, რომლებიც განლაგებულია განსაკუთრებული ზომიერებითა და გაანგარიშებით.

პარკის შუაგულ ადგილზე ორსართულიანი, ფართოაივნიანი სახლი დგას<sup>34</sup>.

პარკის აღმოსავლეთ ნაწილში, კისის-ხევისაკენ ციცაბოდ დაქანებული ფრიალო კლდის ნაპირზე ჰავჭავაძეების კარის ეკლესიის ნანგრევებია (კისის-ხევის აზვირთებულ ნიაღვარს გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩამოურეცხია პარკის ეს ნაწილი და წაუღევია ხეხილის ბალის დიდი ფართობი თავის ნათეს-ნარგავებით, აგრეთვე კარის ეკლესიის ნახევარიც).


გადმოცემით, ამ ეკლესიაში დიდმა რუსმა პოეტმა ა. ს. გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ალექსანდრე ჰავჭავაძის ქალიშვილ ნინოზე (მეორე ვერსიით, ჯვარისწერა თბილისში მოხდა).

წინანდალის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მადამოში საინტერესო განათხარი მასალებიც მოიპოვება. 1944 წლის 20 ივლისს აქ, სარდაფის ამოთხრის დროს, ქვაბულის ფსკერზე, 14 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი იქნა ეტრუსის მარტორქის ჩონჩხის ძვლები, რომლებიც განლაგებული იყო ოთხი ნეტრის სისქის ყვითელი ლიოსისებურ თიხნარში.

როგორც ცნობილია, ეტრუსის მარტორქა ზედაპლიოცენის დამახასიათებელი წარმომადგენელია და მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია ფიქსირებული მეოთხეული პერიოდის ძირეულ ფენებში. ამ აღმოჩენამ გარკვევით დაახასიათა ალაზნის ველის ასაკი, რომლის ფენებში ნაპოვნია ამ ცხოველის (მარტორქის) ჩონჩხი.

## ალექსანდრე ჰავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში

წინანდალის პარკში იქ, სადაც ამჟამად საბჭოთა მეურნეობის მთავარი სადარბაზო ოთახებია, ალ. ჰავჭავაძის სახლში მოწყობილია გამოფენა; მას საფუძველი ჩაეყარა 1946 წელს პოეტის 100 წ. გარდაცვალების თავთან დაკავშირებით. 1947 წ. აქვე, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით, ალ. ჰავჭავაძის სახლ-მუზეუმი დაარსდა.



წიანდალი. ალექსანდრე კვეციანის სახლ-მუზეუმი

ამ გამოფენაზე წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის ნაქონი მრავალი აქეჯი, ნივთი, ქურქელი, მათ შორის ერთი ქიქა, რომელიც რუსეთის დიდმა პოეტმა, ალ. ჭავჭავაძის სიძემ, ა. ს. გრიბოედოვმა, ძღვნად მიართვა თავის სიზამრს. სტენდებზე გამოფენილია აგრეთვე ძველი ქართული გამოცემანი ალ. ჭავჭავაძის ლექსებისა. საქართველოში მომხდარ 1832 წლის შეთქმულების ამბებმა, რომელთა გულსათვის დაისაჯა ალექსანდრე ჭავჭავაძე, თავისი გამოხატულება ჰპოვეს ამ გამოფენაზე. გამოფენაზე აღბეჭდილია აგრეთვე დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერპანტოვის, ა. ს. პუშკინის ჩამოსვლა საქართველოში და მათი დარბაზობა წინანდალში ალ. ჭავჭავაძისთან, პოეტ ა. ოლოვესკის, დ. ნ. რაევსკის (დეკაბრისტების) ყოფნა წინანდალში. გამოფენა, რომელშიც 700-ზე მეტი ექსპონატია, მთავრდება შუამთის მონასტრის სურათით, სადაც ასაფლავია ალ. ჭავჭავაძე<sup>35</sup>.

წინანდალის ჭავჭავაძიანთ სახლთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1854 წლის 4 ივლისს.

მაგრამ სანამ გადავიდოდეთ მის აღწერაზე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვმარტოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის (1853—1856 წწ.) კახეთის საომარი მდგომარეობა.

ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი რომ გამოცხადდა (1853—1856 წწ.) დაღისტან-ჩაჩნეთი ამ დროს შამილის დროშის ქვეშ თავს ესხმოდა რუსეთის ჯარს ამიერკავკასიაში<sup>36</sup>. შამილს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ თურქეთის ემისარები და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოებიც (ინგლისი, საფრანგეთი). მათ განზრახული ჰქონდათ ამიერკავკასია რუსეთისაგან მოეწყვიტათ, ამ მიზნით აბი-რებდნენ საქართველოს განადგურებას, ხოლო ჩაჩნეთ-დაღესტნის ოსმალეთის სამანდატო-ბუფერულ სახელმწიფოდ გამოცხადებას და ამით რუსეთისათვის სპარსეთისა და ინდოეთისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზის ჩაკეტვას.

მტერმა მთავარი ყურადღება კახეთს მიაპყრო და ჰარ-ბელაქნის მხრიდან უწინდებურად შემოუტია, რათა შირაქისა და ალაზნის უღვევლი მინდვრები ხელში ჩაეგდო და აღმოსავლეთიდან თბილისს შესეოდა.

ასეთი რთული გეგმის განხორციელება, რომელიც შამილს, ალბათ ინგლისის კარნახით თურქეთის ხონთქარმა ჩააგონა, მან სწორედ 1854 წლის ზაფხულში დაიწყო. შამილმა თავის ცხენოსან ჯარს უბრძანა ყარდაღსა და დედოფლის-წყაროსაკენ გაელაშქრა, ხოლო თუ მოსახერხებელი იქნებოდა, ყინვალის გზისათვის მოეგლო, თბილისს შემოსეოდა და აედო ოგი.

ამ ამბებთან დაკავშირებით რუსეთის სარდლობამ კავკასიაში გამაგრა კახეთის ფრონტი და შამილის გეგმის ჩაშლის მიზნით ჰარბელაქნისკენ მიმავალი გზა-ბილიკები შეკრა და ძველთაგანვე ცნობილი „ლეკეთის საკორდონო (მოსაზღვრე) ხაზი“ აღადგინა.

ამ ხაზზე იდგა რუსეთის ცხენოსანი ჯარი, არტილერია, ქართველთა ირეგულარული მოხალისე ცხენოსანთა მილიცია, აგრეთვე გრენადერთა პოლკები და სხვა სამხედრო ნაწილები<sup>37</sup>.

შამილის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ნაწილებში მრავალი ქართველი ოფიცერი იბრძოდა, კავალერიის ნაწილებში მარტო ჰავაძეების გვარიდან 5 მიმაცი მემოარი-ოფიცერი იყო წასული ფრონტზე. ყურადღებას იპყრობდა თავის გმირობით, სიმამაცითა და ვაჟკაცობით ქართული მილიციელების მე-5 ათასეულის უფროსი პოდპოლკოვნიკი დავით ჰავაძე (პოეტ ალექსანდრე ჰავაძეძის შვილი, გარსევანის შვილიშვილი).

ყირიმის ომთან დაკავშირებით, რუსეთს არ ჰქონდა საშუალება საკმაო ჯარი გადმოესროლა ამ ფრონტზე. ამის გამო დალისტნის საზღვრები კახეთის მხრიდან დროულად და ჯეროვნად არ იყო გამაგრებული.

შამილი ამ მდგომარეობას ძალიან კარგად იცნობდა და ამიტომ არ აკლებდა ლეკებისა და თავის ჯარების მოსევას კახეთზე; ამგვარად, „ჩვეულებრივ“ ქურდულ და მტაცებლურ თავდასხმებს, რასაც ლეკები შეუჩველებლივ განაგრძობდნენ ამ პერიოდში, დაემატა კიდევ უცხოურ, ევროპული სახელმწიფოების მიერ ზურგამაგრებული შამილს-გეგმიანი სამხედრო თავდასხმები კახეთის სოფლებზე. უმეტეს შემთხვევაში ასეთ თავდასხმებს შამილი ზაფხულში და შემოდგომით აწარმოებდა, როდესაც გლეხობა, მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, მინდვრად გადიოდა. ეს ფაქტი საუკეთესოდ არის აღბეჭდილი ერთ ხალხურ ლექსში, რომელსაც კახეთის მესტიერე-მეშაირეები მოთქვამდნენ; ამ ლექსში გამოხატულია შამილის და მასთან დაახლოებული პირების ვერაგობა ქართველი ხალხისადმი:

„შამილი გადმოერევა  
პირველ მკათათვის დღესაო,  
სახლებსა სწვავენ და დაგვენ,  
ვაჟკაცებს სჭრიან ყელსაო,  
ქალი და რძალი წაასხეს,  
გადაუყენეს მთებსაო...  
შერეკეს ხალხი საყდარში,  
გამოუკეტეს კარიო.  
ბელადი ეუბნებოდა:  
„მე ვიბელადებთ დღესაო,

სიბელადოს გამოგართმევთ,  
 შიგ ამოვარჩევ ერთსაო“,  
 შევიდა, გამოარჩია,  
 ლამეს ანათებს ბნელსაო.  
 შენი კირიმე, ლამაზო,  
 ნუ მოიგონებ ძმებსაო,  
 ყელთამდინ ფულით აგავსებ,  
 გარს შემოგაყრი ვერცხლსაო.  
 — შენ, წყეულო ლეკის შეილო,  
 ეგ რა სიტყვა მითახრიო,  
 აღარ დაინდევ ქვეყანა,  
 არც ბავშვი, არცა ქალიო,  
 ძმებსა დამიპერ ყელები,  
 მამას დამიკარ ხმალიო...  
 როგორ არ მამაგონდება  
 ვაჟაკი ჩემი ქმარიო...“<sup>38</sup>

1854 წლის 28 ივნისს შამილი დიდი ჯარით ჩავიდა სოფელ (აულ) კრატაში, საიდანაც დიდოეთის გზით კახეთს უნდა შესეოდა. 2 ივლისს მისი ჯარი შილდასა და ყვარელს მიაღდა და 3 ივლისს სოფელი შილდა დაარბია და გადასწევა; ამასთან ერთად არც სოფლები გრემი, ენისელი და ტურისციხე დაინდო — სულ ერთიანად შეამტვერა.

შილდას გმირულად და თავდადებულად იცავდა ქართველ მილიციელთა ათასეული, რომელსაც მეთაურობდა მამაცი პოდპოლკოვნიკი დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

შამილი ამ ბრძოლას თვალს ადევნებდა კავკასიონის ქედის „კახალის თავის“ მწვერვლიდან, სადაც მისი კარავი იყო გაშლილი. შამილის ბრძანებით 4 ივლისს ლეკების მრავალათასიანი რაზმი, რომელმაც გადალაზა მდ. ალაზანი, სოფელ წინანდალს შეესია, თავს დაესხა ჭავჭავაძეების სახლს, გაძარცვა იგი, კარმიდამო გადასწევა და ტყვედ წარიტაცა დავით ჭავჭავაძის მთელი ჯალაბობა (მისი მეუღლე ანა ბავშვებით, ბარბარე ორბელიანისა — გენერალ-მაიორი ილია ორბელიანის ქვრივი, გრიგოლ ორბელიანის რძალი პატარა ვაჟითურთ და ოჯახის სხვა წევრები; მოტაცებულთა შორის იმყოფებოდა აგრეთვე დავით ჭავჭავაძის შვილი მარიამი, შემდეგში, XIX საუკუნის ცნობილი სარდლის გენერალი ზ. გ. ჭავჭავაძის ცოლი და ბავშვების აღმზრდელი ფრანგი ქალი დრანსე, დაატყვევეს აგრეთვე წინანდლე-ლი 200 გლეხი)<sup>39</sup>.

ჭავჭავაძეების ოჯახები სახლელთით მიჰგვარეს შამილს ვედენოში (ჩაჩნეთში).

ამავე ხნიდან დაიწყო შამილთან მოლაპარაკება ტყვეების გამოსყიდვის თაობაზე, რომელშიც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს აგ-

რეთვე ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, ბარონ ნიკოლაიმ (ალ. ჭავჭავაძის სიძემ) და მეფის მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა. დიდი ვაჭრობისა და დავილარაბის შემდეგ, მხოლოდ მომჯენო წლის მარტში, როგორც იქნა, დაეით ჭავჭავაძემ ტყვეები გამოისყიდა 40.000 მანეთად (ვერცხლის ფულით), გარდა ამისა, შამილს რუსეთის მთავრობამ დაუბრუნა 16 ტყვე მთიელი და, რაც მთავარია, მისი უფროსი შვილი ჯემალ ედ-დინი, რომელიც რუსეთის სარდლობას მძევლად ჰყავდა წაყვანილი 1839 წელს, ახულგოს აღების შემდეგ<sup>40</sup> (ჯემალ ედ-დინის დაბრუნებით გახარებული შამილი მაღლიერი დარჩა გენერალი ნიკოლაისა, რომელიც გრიგოლ ორბელიანსა და დაეით ჭავჭავაძესთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში).

წინანდალის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთით მიმავალი გზა, რომელიც გადაჭრის ციე-გომბორის მთის ჩრდილო ფერდობის ძირში მდებარე საკმაოდ მოზრდილ სოფლებს — ქვემო ხოდაშენს, ბუშეთსა და ვანთას, შედის ფართოდ გადაჭიმულ სოფელ აკურაში.

ამ სოფლის გლეხობა გაერთიანებულია სახელგანთქპულ კოლმეურნეობა „მოწინავეში“, რომელიც მისდევს როგორც მევენახეობას, ისე ხორბლელული კულტურების გაშენებას. ამ კოლმეურნეობის მევენახეები ცნობილნი არიან თელავის რაიონში. თუ ადრე, სამაჟლო ომის დაწყებამდე, აქაურ კოლმეურნე-მევენახეებს ჰქეპტარიდან 20 ცენტნერი ყურძენი მოჰყავდათ, ომის შემდგომ პერიოდში, 1950 წელს, მათ 52 ცენტნერს მიაღწიეს, ხოლო 1953 წელს კი საკოლმეურნეო ვენახებში ყურძნის მოსავლიანობა ჰქეპტარზე 80 — 100 ცენტნერამდე გაიზარდა (1954 წელს თვითეული ჰქეპტარიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერისა მიღებული იქნა საშუალოდ 80 ცენტნერი, ცალკეულ რგოლებში კი 100 — 110 ცენტნერამდე).

მაღალმოსავლიანობისათვის ბრძოლაში 1954 წ. რთვლობას განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამხ. ს. ალუიშვილის ბრიგადამ, რომელმაც თითოეულ ჰქეპტარიდან 100 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა; საუკეთესოდ აქვს დამუშავებული ნაკვეთი გამოცდილ მევენახეს ამხ. ი. ყარციკანაშვილს, მის ნაკვეთზე მტევნების სიმძიმით ვაზი იღუნება და, აკი იმატომაცაა, რომ თითოეული ჰქეპტარიდან მისმა რგოლმა 110 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

მევენახე-კოლმეურნეებს ერთი ძირითადი ამოცანა აქვთ დასახული — მიაღწიონ რაც შეიძლება მეტ მოსავლიანობას და ამ მიმართულებით ისინი ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ, როგორც საკოლმეურნეო ვენახების წინასწარ დამუშავების, მათში შეზავებულად სა-

ხუჭის შეტანის, ისე მათ მოვლა-პატრონობის საქმეში. „მოწინავეს“ და მრავალი სხვა კოლმეურნეობის მერგოლურებს, ბრიგადებსა და კოლმეურნეებსაც კარგად აქვთ შესწავლილი და საკუთარი დაკვირვებებიდან შეგნებულნი, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრონომიულ ღონისძიებათა თანადროული და სრული გატარება. კოლმეურნეები მევენახეობაში მარჯვედ იყენებენ ამ მხრივ მეცნიერების მიღწევებს და ამიტომაც აღწევენ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას.

აკურას კოლმეურნე-მევენახეები საუკეთესოდ იყენებენ ვაზის მაქსიმალური დატვირთვის მეთოდს. საქმისადმი განსაკუთრებული ყურადღების შედეგად კოლმეურნეობა „მოწინავემ“ მიაღწია იმას, რომ მისი წევრები დღეს სავსებით უზრუნველყოფილნი არიან. კოლმეურნეობამ 1954 წლის 1 ნოემბრისათვის უკვე შესძლო ავანსად, შრომადღეების ანგარიშში დაერიგებინა 4 კილოგრამი ყურძენი შრომადღეებზე; ზოგიერთმა ოჯახმა ამ ავანსის მიხედვით მიიღო მრავალი ათასი კილოგრამი ყურძენი.

„მოწინავეში“ შექმნილია საკმაოდ დიდი სანერგე მეურნეობა, რომლის გადასარგავი პროდუქცია არა მარტო აკურელ კოლმეურნეებს აკმაყოფილებს, არამედ საშუალებას იძლევა, რომ მეზობელი კოლმეურნეობებიც სავსებით დააკმაყოფილოს; კოლმეურნეობას საერთოდ დიდი შემოსავალი აქვს სანერგე მეურნეობიდან.

კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ვენახი 200-300 ჰექტარიან ფართობზე; იგი საუკეთესოდ არის მოვლილი; საკმაო რაოდენობით გაჩნია მას სახნავ-სათესი მიწებიც, მოწყობილი აქვს ოთხი სასაქონლო ფერმა ჯიშიანი პირუტყვით და ცხენთა საშენი. კოლმეურნეობის მექანიზებული ტრანსპორტი 10 სატვირთო მანქანით არის წარმოდგენილი, საკუთარი ელექტროწისქვილი სავსებით აკმაყოფილებს როგორც კოლმეურნეობის სამეურნეო, ისე მისი ცალკეულ კოლწევრთა საოჯახო მოთხოვნილებას; საკუთარი ელექტროენერჯიის ბაზაზე მოქმედებს სახერხი ქარხანა.

არ ჩამორჩება „მოწინავეში“ კულტურულ-საგანმანათლებლო დარგიც. აქ აგებულია კულტურის სახლის საუკეთესო შენობა, რომლის ორსართულიანი დარბაზი 800 მაყურებელს იტევს. აქ ხშირად იმართება როგორც საკუთარი თვითმოქმედი ძალებით, ისე რესპუბლიკურ ცენტრალურ საკონცერტო და სათეატრო დაწესებულებებიდან ჩამოსული ვასტროლიორების კონცერტები, წარმოდგენები, სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საღამოები; კულტურის სახლის მახლობლად (გადაღმა მხარეზე) მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნით მომსახურებას უწევს საკოლმეურნეო მკითხველს.



აქურას კოლმეურნეობაში მრავალი წარჩინებული ადამიანი მუშაობს, მათ შორის კოლმეურნეობის აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი ანს. ს. ზ. პაატაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნე ანს. გაბო კურდულაშვილი, მიხა ლუცუბიძე, სიმონ ჯაქვაძე და სხვა მრავალი ენთუზიასტი, რომლებმაც თავდადებული მუშაობით და განსაკუთრებული შრომის უნარით დიდ წარმატებას მიაღწიეს საკოლმეურნეო მინდორ-ვენახებში მაღალი მოსავლის მოყვანის საქმეში.

სოფ. აქურას შემდეგ გზატკეცილი გაუვლის სოფლებს შრომას, კალაურს, ვაზის უბანს (ყოფ. ურიათუბანს), მუკუზანს (სადაც მევენახეობა-მელვინეობის ცნობილი საბჭოთა მეურნეობა და ღვინის ქარხანაა), ზეგანს, ახალშენს, ელისციხეს (იგი ვაზის გადაღმა მხარეზეა — მარცხენა კიდით; აქ 1700 წლამდე ციხე იყო ამართული, რომელიც დაღესტან-ლეკეთის მხრიდან შემოსეულ მტრებს იგერიებდა), ჩუმლაყს, შემდეგ გადაჭრის ფართოდ გადაჭიმულ „ფაფრის მინდორს“ და სოფელ კოტეხის (გურჯაანის ერთ-ერთი უბნის) მახლობლად პატარა შეღმართით რაიონის ცენტრ გურჯაანში შედის.

თელავიდან გურჯაანამდე 45 კილომეტრია; გზადაგზა გვხვდება ქართველი ხალხის უძველესი კულტურის დამახასიათებელი სხვადასხვა დროის (VI — VII სს.) ძეგლები ციხე-კოშკების, ეკლესიამონასტრებისა და მათი ნანგრევების სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ურიათუბნის ღვთისმშობლის ეკლესია VI საუკ., სოფ. შრომაში — ამადასტურის ეკლესია VI — VII სს., ვაჩნაძიანთ პალატი (სოფლის თავზე) IX საუკუნის, ბაზილიკა VI — VII სს., ვაჩნაძიანთ „ყოვლად წმინდა“ (მთაში), მუკუზანში ეკლესია VIII მარინესი V საუკ. და გალავანი — შუასაუკუნეების 41.

## გურჯაანი

დაბა გურჯაანი რაიონის ცენტრია; იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაშენდა. მანამდე კი აქ, ამ ადგილზე, მხოლოდ კახეთის რკინიგზის სადგური გურჯაანი და მის გარშემო გზისპირა დუქნები იყო გამწვარიებული, სადაც ღვინოს, არაყს ჰყიდდნენ და მგზავრებისათვის საკმელებს აყეთებდნენ.

გურჯაანის რაიონი დღეს წამყვანი რაიონია მევენახეობა-მელვინეობის დარგში 42.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან აიგო და ამოქმედ-  
და მთელი რიგი მნიშვნელოვანი საწარმო, მათ შორის საკმაოდ  
მოზრდილი საკონსერვო ქარხანა, სადაც კეთდება მურაბები, მზად-  
დება ჩირი, ჩურჩხელები. საგრძნობლად გაფართოვდა და უახლესი  
ტექნიკით აღიჭურვა ღვინის ქარხანა მთავარი ბაზით და ყველა საჭი-  
რო დამხმარე საწარმოთი.

1950 წელს გურჯაანში აიგო და ექსპლოატაციაში შევიდა ღვინის  
მთავარი სარდაფის 3 სექცია, რომლის ტევადობა 120 ათას ჰექტო-  
ლიტრს აღემატება. შემდეგ ამ სარდაფს მიემატა ახლად აგებული 4  
სექცია, რამაც საგრძნობლად გააღიდა ამ სარდაფის ტევადობა და  
გამტარიანობა<sup>43</sup>.

რაიონულ ცენტრში გაშენდა ქალაქის ბაღი, მწვანე ნარგავებითა  
და გაზონებით მოირთო ქუჩები, ზოგან, მოიკირწყლა, მოეწყო სავაჭ-  
რობები და ბაზარი. 1955 წლის ბოლოს აშენდა და გაიხსნა კულტურის  
ახალი სახლი.

მოწინავეთა რიგებში დგანან მთელი რიგი კოლმეურნეობები და  
მათ შორის კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელ-  
მაც 1953 წლის რთვლობას ჰექტარიდან საშუალოდ 70 — 80-ზე მეტი  
ცენტნერი ყურძენი მიიღო.

მას არ ჩამორჩება ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნე-  
ობა, სადაც გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად ჰექ-  
ტარიდან საშუალოდ 65 ცენტნერი ყურძენი მიიღეს; ბევრმა კოლ-  
მეურნემ სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა. თამა-  
რა მაისურაძის, ივანე ნაცვლიშვილის, დავით კუტიბაშვილის ბრიგა-  
დები წარჩინებულად მუშაობენ. სოფელ შაშიანის კოლმეურნეობა,  
რომლის მინდორ-ველებს და ბაღ-ვენახებს 1500 ჰექტარზე მეტი ფარ-  
თობი უკავია, დიდ ყურადღებას აქცევს ვენახის გაშენებისა და მისი  
მოსავლიანობის გადიდების საქმეს. კოლმეურნეობამ ამ მოკლე ხანში  
106 ჰექტარზე საუკეთესო ვენახი გააშენა და მის მოვლა-დამუშავე-  
ბას თავისი მზრუნველი ხელი არ მოაკლო; ასეთ ნაყოფიერ შ.რ.ამას  
შედევით კარგი მოჰყვა: კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა  
ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა<sup>44</sup>.

მოწინავეთა რიგებშია კარდანახის კოლმეურნეობა, რომელიც  
ყურძნის ჩაბარების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

გურჯაანის რაიონში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მუკუზანის  
მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის მახლობლად, უკანას-  
კნელ დროს აშენდა და სათანადოდ მოეწყო ღვინის ქარხანა. შესამ-  
ჩნევად გააუმჯობესა მუშაობა კარდანახის მევენახეობის საბჭოთა  
მეურნეობამ და ახლად აგებულმა ღვინის ქარხანამ, რომელიც ყო-

ველწლიურად გამოუშვებს 100 ათას დეკალიტრზე მეტ საუკეთესო მარკის ღვინოებს.

დიდი სამრეწველო და სამეურნეო მშენებლობა წარმოებს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში. რაიონის ცენტრის მახლობლად სოფ. გურჯაანის (რომელსაც ძველად ერქვა „კახთ-უბანი“) „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელობის კოლმეურნეობამ საკუთარი ელექტროსადგურის ბაზაზე დიდი სახერხი ქარხანა ააშენა; სოფელ კარდონახის კოლმეურნეობაში 1951 წელს აგებული იქნა აგურის მექანიზირებული ქარხანა, რომელიც ერთჯერად 24.000 ტალ აგურს უშვებს; გარდა ამისა, რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობამ ამჟამად ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროსადგურები, რომელთა საშუალებით ფართოდ ვითარდება სოციალისტური სოფლის ელექტროფიცირება.

გურჯაანში ძველთაგანვე სახელგანთქმულია კურორტი ახტალა, რომელიც ტერიტორიულად რაიონის ცენტრის მახლობლად (საკურორტო ზონას რაიონის ცენტრიდან 35 კმ-ს დასავლეთით), ცივ-გომბორის ქედის ერთ-ერთი მთის ფერდობის ძირში მდებარეობს. იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს გამგებლობაშია.

კურორტის გაშენება-გაფართოვებასა და კეთილმოწყობას, სამამულო ომის შემდგომ პერიოდიდან, დიდი ყურადღება მიექცა. ამჟამად საკურორტო ზონა შემოღობილია, შიგ გაშენებულია მწვანე პარკი, რომელიც დასერილია კეთილმოწყობილი გზა-ბილიკებითა და დასასვენებელი ხეივანებით.

ახტალა, ეს ერთ დროს გაშიშვლებული ადგილი, ამჟამად უკვე მთლად გამწვანებულია დეკორაციული მცენარეებით.

რას წარმოადგენდა ეს საკურორტო ადგილი XVIII საუკუნეში? ამაზედ ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს:

„კვალად ჭერემს-ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩრდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა, რომელსაც იტყვიან ნასოფლარს და რისხვით დათქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულარე აღმოაქვს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხისა“<sup>45</sup>.

ამ თქმულების გარდა, რომელსაც ვახუშტი დაეყრდნო თავის აღწერაში ახტალის წარმოქმნის შესახებ, არსებობს მრავალი სხვა თქმულებაც. ერთ-ერთი მათგანი თავისი შინაარსით მიაგავს ბიბლიურ თქმულებას სოდომ-გომორის დაღუპვისა და ლოტოს მეუღლის მარილის სვეტად გადაქცევის შესახებ:

„იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ახტალაა, ცხოვრობდა ხუცესი თა-

ვისი ოჯახით. ერთხელ, ფერისცვალება დღეს, მას კალო გაელეწა, გამოეცხადა ხუცესს ანგელოზი და შეეკითხა: „რატომ მუშობო? დღეს ხომ ფერისცვალობა არისო“. „მერუ რა?“ — მიუგო ხუცესმა; „ჩემმა ქალიშვილებმა ჯერ კიდევ დილით ადრე იცვალეს ფერიო!“ ამ პასუხის შემდეგ ანგელოზმა დაიხია... ხოლო ის ადგილი, სადაც ხუცესი იდგა, კალოსთან ერთად ჩაიძირა და იქ გაჩნდა ანტალა — სამკურნალო ტალახი“.

მეორე ვარიანტის მიხედვით კი: „იმ დროს ხუცესთან სტუმრად ყოფილა მისი ნათესავი ქალი უმცროსი ძმით; ანგელოზი, რომ გამოეცხადა ხუცესს და დაიხია, ხუცესს მოუმართავს თავისი ნათესავი ქალისათვის და უთქვამს — „გაიბარე, რომ უკან არ მოიხედოო“; მაგრამ ქალს გულმა ვერ გაუძლო... მოიხედა და... ქვედ იქცაო“.

ამ თქმულებასთან გადახლართულია „ქალქვას“ თქმულებაც (ქვის კულტის გადმონაშთი); ასეთი ქალქვა (სოფელ ბოდბეშიაც მოიპოვება), გდებულა ერთ დროს სოფ. გურჯაანის მახლობლად, გზატკეცილის ზემოდან — ტყეში<sup>46</sup>.

ქალის გაქვავების ამბავთან დაკავშირებით შემდეგი შინაარსის ლექსია გამოთქმული:

„გასწი ქალო, გაიარე,  
უკან აღარ მოიხედო,  
ძმით შეიქმენ განაწყვეტი!  
მობრუნდა, იქვე გაქვავდა,  
ჯერად მოდის დანაშრეტი“<sup>47</sup>.

ანტალის კურორტის კოორდინატებია 63°, 27' ჩრდ. სივანდის და 41° 45' აღმ. სივრძედისა, სიმაღლე ზღვის დონიდან 412 მეტრს უდრის, ტერიტორია 5 ჰექტარს აღწევს<sup>48</sup>.

ანტალა ძველთაგანვე ცნობილია სამკურნალო ტალახით. ხალხი უწინაეც სარგებლობდა ამ ტალახით, იცნობდა რა მის სამკურნალო თვისებებს.

ცნობილმა ქართველმა ჰიმიკოსმა პროფესორ პეტრე მელიქიშვილმა უწოდა ამ ტალახს „ანტალის ვულკანური ტალახი“, განსაზღვრა რა ამ სახელწოდებით ტალახის ვულკანური წარმოშობა. ხალხში ანტალას „ვეძასაც“ უწოდებენ, რაც მისი მლაშე გემოთი არის გამოწვეული. ანტალის ტალახს იხსენიებს აგრეთვე XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლ. იოსელიანი თავის ნარკვევში „კახეთში მოგზაურობანი“ (გამოცემული 1846 წელს).

ამ ტალახის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენების შესახებ



კურორტი ახტალა (სანატორიუმი)

პირველად წინადადება წამოაყენა სიღნაღის მაზრის ექიმმა ალექსი-მესხიშვილმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ორმოციან წლებში. მაგრამ, თბილისში მისი სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით, ამ წინადადების განხორციელებას შედგომია მის ადგილზე ახლად დანიშნული ექიმი ლისიციევი.

ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებების შესახებ მრავალი ნარკვევი, მიმოხილვა, საგანგებო გამოკვლევა, დაკვირვებათა შედეგები გამოიცა XIX საუკუნის ორმოციან წლებიდან უკანასკნელ დრომდე.

ახტალის ტალახის სამკურნალოდ გამოყენებას საექიმო თვალსაზრისით XIX საუკუნის სამოციან წლებში (1863—1864 წწ.) აწარმოებდა, აგრეთვე, დედოფლის წყაროში (ამჟამად წითელწყარო) დაბანაკებულ ტყერის დრაგუნთა პოლკის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმი ნეკრასოვი, რომელმაც ახტალაში გაახსენებინა დაავადებულ ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის საგანგებოდ მოწყობილი საჰოსპიტალო განყოფილება<sup>49</sup>.

უწინ ამ ტალახს გაბედულად ვერ იყენებდნენ, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ იგი კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებების გამოსაკვლევად და დასადგენად არც სახსრები და არც სხვა საშუალებები მოიპოვებოდა და, ბოლოს იმის გამო, რომ საამისო სამეცნიერო-საკვლევო ბაზა არ იყო შექმნილი.

დღეს ეს კურორტი ერთ-ერთი საუკეთესო სამკურნალო ადგილთაგანია რესპუბლიკაში.

ახტალის ტალახით მკურნალობა წარმოებს არა მარტო თვით კურორტის ფარგლებში, სადაც საგანგებო აბაზანებია მოწყობილი, არამედ მის გარეშეც — თბილისის კლინიკებსა და ბალნეოკურორტზე, აგრეთვე ბათუმის, ბორჯომისა და სხვა ქალაქების სანატორიუმებსა და სამკურნალო დაწესებულებებში, რომლებსაც ახტალის კურორტი ამარაგებს სამკურნალო ტალახით.

ახტალის ტალახი კარგად მოქმედებს სახსრების ქრონიკულ ანთების დროს მამოძრავებელ ორგანოებზე.

ეს კურორტი კიდევ იმითაცაა დიდმნიშვნელოვანი, რომ აქ ტალახით მკურნალობის გარდა, განსაკუთრებულ სეზონში (აგვისტო — ნოემბერი), შესაძლებელია ყურძნით მკურნალობის ჩატარებაც.

ჭერეში. ახტალის მახლობლად, მდინარე ჭერემისხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს უძველესი დროის ციხე-ქალაქი ჭერეში (ნაქალაქარი), რომელიც V საუკუნეში უკვე ქალაქად ყოფილა აღიარებული, ხოლო ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმ-

ბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოსი, მწყემსი შიგნით  
კახეთის და ზის დღესაც“<sup>50</sup>.

ვანტანგ გორგასალმა ეს ქალაქი, სხვა ქალაქებთან ერთად, თავის  
შვილს დაჩის მისცა, რასაც მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება: „ხო-  
ლო ძესა მისსა, პირმშოსა პირველი ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი  
ქერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხუარ-  
ნაბუჩი, და ყოველი ქვეყანა მტყვარსა აღმოსავლით...“<sup>51</sup>.

## კაქრეთი

სოფ. კაქრეთი, რომელიც კახეთის რკინიგზის ამავე სახელწოდე-  
ბის სადგურის მახლობლად (2 კილომეტრი) მდებარეობს, როგორც  
რაიონის ცენტრი დაარსდა 1945 წლიდან<sup>52</sup>.

წამყვან დარგად აქ უმთავრესად მეცხოველეობა და განსაკუთ-  
რებით მეცხვარეობაა მიჩნეული. კაქრეთის კოლმეურნეობები მეც-  
ხოველეობა-მარცვლეულის-მევენახეობის საწარმოო ტიპის კოლმე-  
ურნეობებად შეიძლება დახასიათდეს.

მეცხოველეობის დარგში იგი წამყვან რაიონად ით-  
ვლება. კაქრეთი განთქმულია ხორბლით; განსაკუთრებით კარგია  
აქაური „დოლის პური“, „გომბორულა“, ხოლო ახალ ჯიშებიდან  
კი აღსანიშნავია „ნოვოუკრაინკა“ და „ფერუგონეუმი“, აგრეთვე,  
„ლაგოდებური გრძელთავთა“.

კოლმეურნეობათა შორის სიმძლავრითა და დოვლათიანობით  
გამორჩევიან სოფელ ყანდაურას სტალინის სახელობის კოლმეურ-  
ნობა, რომელიც 800-ზე მეტ საკოლმეურნეო ოჯახს აერთიანებს,  
ედანოვისა და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები, მათ არ ჩა-  
მორჩება მელაანის ლენინიზმის სახელობის და სოფ. იორ-მულანლოს  
კოლმეურნეობები.

თვით სოფელ კაქრეთშიც ორი საკმაოდ მძლავრი კოლმეურ-  
ნობაა.

კაქრეთის რაიონი წლითიწლობით ვითარდება; რაიონში უკვე  
აიგო და გაიხსნა კულტსახლი, 3 სასოფლო კლუბი, 8 სამკითხველო,  
კინოდანადგარი, 4 სასოფლო ბიბლიოთეკა, სარაიონო ბიბლიოთეკა,  
სკოლები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები;  
შესამჩნევად იზრდება რაიონის ცენტრიც. მის კეთილმოწყობას სე-  
რიოზული ყურადღება ექცევა; ამ მოკლე ხანში რაიონს შეემატა მრავ-  
ალი ახალი შენობა: ადმინისტრაციული სახლი, მუშა-მოსამსახურ-  
ეების ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო. მაგ-

რამ კაქრეთი როგორც სულ ახალი რაიონის ცენტრი, ჯერჯერობით უფრო ნაკლებად არის მოწყობილი, ვიდრე მის მეზობლად მდებარე სხვა რაიონული ცენტრება.

კაქრეთის მახლობლად, ამავე რაიონში, ძველი სოფელი არაშენდა მდებარეობს.

საგულისხმოა ამ სოფლის თავგადასავალი და მისი აწმყო. წარსულში, „ლეკიანობის დროს“, სოფელს ხშირად ესეოდა მტერი, არბევდა, ანადგურებდა, აწიოებდა ხალხს. სამ-ოთხჯერ სოფელი დაუნგრევია მტერს, მაგრამ ხალხს ისევ აღუდგენია იგი. ამგვარად, ამ სოფელს მრავალი ასეული წლების განმავლობაში გაშენება-გათართობა ვერ ღირსებია და ამიტომაც დარქმევია მას „არ აშენდაო“. ასეთ თქმულებას გადმოსცემდნენ არაშენდელი მოხუცები ძველად.

სულ სხვანაირად წარიმართა სოფლის მდგომარეობა და ვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამჟამად არაშენდაში 400 საკოლმეურნეო ოჯახია; აქ გაიხსნა საშუალო სკოლა, რომელშიც მრავალი ასეული მოსწავლე სწავლობს, დაარსდა საავადმყოფო, მოეწყო აფთიაქი. მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდა ბიბლიოთეკები, კლუბები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა დაწესებულებები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში, რაშიაც დიდად ეხმარება მათ ადგილობრივი ინტელიგენცია; მათი თაოსნობით და სასოფლო საბჭოს მხარდაჭერით ახლო მდებარე წყაროებიდან სოფელ არაშენდაში გამოყვანილი იქნა წყალსადენი, აშენდა სოფლის მალაზიები. სოფელი სავსებით უზრუნველყოფილია ელექტროდენით, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა და გააადვილა არაშენდელი მოსახლეობის შრომა; თუ გინდ მარტო ის რად ღირს, რომ შუა სოფელში ამჟამად მოქმედებს ელექტროწისქვილი და არაშენდელ გლეხს აღარ უხდება ხორბალ-სიმინდის წალეხა დასაფქვევად 10 — 12 კილომეტრის მანძილზე.

თანამედროვე სოფელ არაშენდაში ორმოცამდე მასწავლებელ-აგრონომი და სხვა სპეციალისტი მუშაობს.

არაშენდაში ძველი დროის ძეგლებიდან აღსანიშნავია ერთი საყურადღებო საფლავი XIX საუკუნის ცნობილი მხედართსარდლისა და სამშობლოს დიდი პატრიოტის — ახალციხისა და ჩოლოკის ცნობილი გმირის ივანე ანდრონიკაშვილისა (ერეკლე II შვილიშვილი). საფლავი მდებარეობს კაკლისა და ხეხილის ხეებით შემკულ სკოლის ეზოს ერთ-ერთ კუთხეში. საფლავის ქვას რუსულ და ქართულ ენებ-



ზე მოკლე წარწერა აქვს ამოკვეთილი: „კავალერიის გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1793 წ. გარდაიცვალა 1868 წელს“.

საინტერესოა დამარხულის ვინაობა.

იგი XIX საუკუნის პირველ ნახევრის რუსეთის არმიის მხედართ-სარდალთა ერთ-ერთი იმ წარპომადგენელთაგანია, რომლებმაც თავიანთი სამხედრო ნიჭით, გპირობით, სამშობლოსათვის თავდადებით, თაობათათვის უკვდავეყვეს თავიანთი სახელი არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში და ღიდი რუსი ხალხის ლაშქრობის ისტორიის ფურცლებზე თავის დროზე საპატიო ადგილი დაიკავეს<sup>53</sup>.

## სიღნაღის რაიონი

კაჭრეთის მეზობლად სიღნაღის რაიონი მდებარეობს. სიღნაღს, როგორც კახეთ-ჰერეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს და მიღ ღირსშესანიშნავ მიდამოებს, ფრად საყურადღებო თავგადასავალი აქვს.

ძველად, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ტეოიტორია, რომელიც სიღნაღის მაზრამ მოიცვა (ამჟამად სიღნაღის, წითელწყაროსა და ნაწილობრივ გურჯაანის რაიონები) ქიზიყს წარმოდგენდა, უძველეს ხანაში კი ამ მხარეს „კამბეჩოვანი“ ერქვა (ბერძნები „კამბი-ზენეს“ უწოდებდნენ); როგორც თვით ამ სახელწოდებიდან ჩანს, ამ მხარეში მრავალი პირუტყვი, მათ შორის კამეჩი მოიპოვებოდა. ამ ფაქტს ვახუშტიც ადასტურებს, იგი წერს: „არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთი-დამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვის, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვის — „მქის იყო“. არამედ არიან კაცნი მბრძოლნი, მხენნი, ახოვანნი, შემართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამხრით—უფადარი და წინა მინდორი ხორანთა-ორამდე; ჩრდილოთ მთა ჰერეთისა. ხოლო მზღერის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკების-ხევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამხრით იორი ანუ მტკვარი; ჩრდილოთ მთა ცივისა, კარდანახსა და ქიზიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე“<sup>54</sup>.

მდიდარმა ბუნებრივმა პირობებმა, სასმელი და სარწყავი წყლის სიუხვემ ხელი შეუწყო ამ მხარეში დასაბაჰიდანვე მიწათმოქმედების, ხვნა-თესვის, მევენახეობისა და მესაქონლეობის მძლავრ განვითარებას.

უკანასკნელ დროს ამ მიდამოებში არქეოლოგიურმა გათხრებ-


მა ცხადყვეს, რომ ნაწამოქმედება და მესაქონლეობა აქ ძლიერ იყო განვითარებული, გათხრილ სამარხებში მიცვალბულთ ბლომად ჰქონდათ ჩატანებული ხორბლეული და შინაური ცხოველების ძვლები.

ამავე საფლავებში აღმოჩნდა საომარი და საყოფაცხოვრებო ნივთებიც (ხანჯლები, სამკაულები, ჭურჭელი, იარაღი, ტანსაცმლის ნაფლეთები და სხვ.). როგორც ირკვევა, ამ მხარეში საკმაოდ იყო განვითარებული მეჭურჭლეობა, რომელმაც, უძველესი დროიდანვე საუკეთესო ნიადაგი ჰპოვა.

ალაზნის ველზე როგორც შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენებმა, აგრეთვე, საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა დავალებით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, მთლიანად დაადასტურა ის ფაქტი, რომ „განათხარი მასალის მქონე ხალხს დიდი კავშირი ჰქონდა წინააზიის მცხოვრებლებთან და კერძოდ მცირე აზიასთან. ამას გვეუბნებიან, — აღნიშნავდა ალაზნის ველის მეცლევარი პროფ. გ. ნიორაძე, — არა მარტო კერამიკული ნაწარმი, არამედ სხვა ნივთებიც სამკაულების სახით, მაგალითად, ტოპაზის მძივები, ბრინჯაოს სამკაულები, რომელთა შემადგენლობაში დიდი რაოდენობითაა ანთიმონი და სხვა“.

„ახლა, თუ რომ ალაზნის ველის კერამიკას ჩვენ საერთოდ განვიხილავთ, — განაგრძობს პროფ. გ. ნიორაძე, — დავინახავთ, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ჰქონდათ განვითარებული მიწათმოქმედება, იცოდნენ ვაზის მოვლა, რაზედაც მიგვითითებს მთელი რიგი სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭელი. მიწათმოქმედებაზე მიგვითითებენ თიხის ჭურჭლის საკმაოდ შრავალრიცხოვანი ისეთი ფორმები, მაგალითად, მეტად გრძელნისკარტიანი ხელადები, სამფეხიანი თუფშები, მალაღფეხიანი ბარძიმები, მილნისკარტიანი თუნგულები და სხვა, რომლებსაც მეჯოგეობის მიმდევარი ხალხი ძნელად თუ გამოიყენებდა, ყოველ შემთხვევაში, მათთვის შეუფერებელი იქნებოდა ასეთი ჭურჭელი ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენების მიზნით. ...ჩვენ როდესაც ვამბობთ, ალაზნის ველის კერამიკის მქონე ხალხი იყო მიწათმოქმედი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მესაქონლეობასაც არ მისდევდნენ. საამისო პირობები, რასაკვირველია, მათ ჰქონდათ და ამის ნიშნებიც მოიპოვება. მაგრამ მიწათმოქმედება მაინც მათთვის იყო მთავარი საარსებო წყარო ცხოვრებისა, ამას ნათლად ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები ალაზნის ველის“<sup>55</sup>.

ქიზიყის ტერიტორიაზე ამ არქეოლოგიურ მონაპოვრების გარდა, საკმაოდ არის შემონახული აგრეთვე საერო, სამხედრო და



ქ. სიღნაღი ციხე-გალავნი

სარწმუნოებრივი ხასიათის სხვა ძეგლებიც. რომლებიც თავიანთი მაღალხელოვნური სიდიადით და საამშენებლო ტექნიკით, ადამიანის ყურადღებას იპყრობენ და აღიბეჭდებიან მათი მნახველის ხსოვნაში<sup>56</sup>.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლთაგანი ხორნაბუჯის ანუ „თამარის ციხე-ქალაქი“ა. იგი შესანიშნავი საერო და ამავე დროს სამხედრო თავდაცვითი ტიპის ძეგლია, რომელსაც მრავალ საუკუნეთა მანძილზე (XI — XIX სს.) არ დაჰკარგვია თავისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა<sup>57</sup>.

ამ თვალსაჩინო და ულამაზეს ადგილს აქვე მდებარე ციხე-ქალაქით საუკეთესოდ აღწერს ვახუშტი: „ხოლო ბოეთნის ჰირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყარაღაჯი, სასახლე, რომელიც ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსხალთა ამ ქაშთა ჰყვეს ციხე. და აწ ჯერეთ ოხერ არს. კვალად ყარაღაჯის სამხრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყდების კმოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე, და არს ალაზნისაკენ მცირეტყიანი და ბალახიანი, და აღესილი ნადირთა დიდ-მცირეთი. და კმოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისაყამდე, წოდებული კმოდეს ქვეით, ალაზნისაკენ, წინამძინდორი, ხოლო ზეით ყარაღაჯითურთ, უფადარი. და არს ესე სანადირო კეთილი... ხოლო ყარაღაჯის სამხრით, სადაცა ასტყდების ჰერეთის მთა, ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ქოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოფა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქასა გამოსვლასა მოოხრდა“<sup>58</sup>.

ეს ძლეერი ციხე მთავარი კლიტე იყო მთელი ქიზიყისა ალაზნის და შირაქის ველებს შორის. იგი გრძლად გადაჰიმულ ქედის ციხე-ბოდ დაქანებულ ფერდობის თხემზეა აშენებული (ხირსიდან წითელწყარომდე). ციხის მძლავრი კედლებით შემოფარგლულ გალავანზე გადაშლილი იყო ქალაქი.

ამ ციხე-ქალაქს თავისი სიდიადით, სილამაზითა და წარმტაცობით მთელ ამ მიდამოებში, ჯა თუ გინდ მთელ კახეთში, ტოლი არა ჰყავდა.

იმდროინდელ მშენებლებს საუცხოოდ გამოუყენებიათ ქოეთის მიუვალი ადგილი და აქ მაგარი და იმედიანი ციხე-ქალაქი გაუშენებიათ, რომელიც განიერი და მკვიდრი, ქვითკირის კედლებიანი გალავნით შემოუფარგლავთ.

ციხე-ქალაქში ერთ დროს მჯდარა ერისთავი, რომელიც ხორნაბუჯელად იწოდებოდა. მაშინ, იმ ხანებში, მთელი ქიზიყი ერთ საერისთავოს წარმოადგენდა და შედოდა ჰერეთის სამეფოში<sup>59</sup>.

ხორნაბუჯის ერისთავს დავალებული ჰქონდა აღმოსავლეთიდან საქართველოს საზღვრების დაცვა<sup>60</sup>.

ამ მხრიდან შემოსეული მტერი პირველყოვლისა ხორნაბუჯელ საერისთავოს უნდა შეფეთებოდა; აკი იმიტომაც ესხმოდნენ მას სპარსელები და მონღოლები.

მონღოლთა ურდოების შემოსევის შემდეგ ხორნაბუჯის საერისთავო XIII საუკუნეში ამოწყდა და მოისპო. გადარჩენილი მოსახლეობა აიყარა და გადასახლდა იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს — სიღნაღის გარშემო.

ხორნაბუჯის როლი სიღნაღმა დაიკავა. მონღოლებმა ხორნაბუჯი („თამარის ციხე“) რომ დასცეს და ააწიოკეს, მის შემდეგ „კამბეჩოვანის“ ველებზე დაბანაკებულმა მონღოლთა ურდოებმა დაარბიეს და ააოხრეს ეს აყვავებული ქვეყანა. გაპარტახებულ ხორნაბუჯში ველარც მტერმა მოკიდა ფეხი; ამიტომ ხორნაბუჯის მეზობლად, იქვე, ყარაღაჯში აგებული იქნა ფართოგალავნიანი და მაგარი ციხე-ქალაქი, რომელშიც XV საუკუნემდე დამკვიდრდნენ ილხანები. ამჟამად აქა-იქ შერჩენილია ციხე-გალავნის, კოშკებისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები; გარდა ამისა, ციხე-ქალაქის ხორნაბუჯის გარშემო, ტყეში, დღესაც მოიპოვება იმდროინდელი ეკლესია-მონასტრების ნაშთები; რომლებიც საამშენებლო ტექნიკის, ხუროთმოძღვრებისა და მათი გაფორმების თვალსაზრისით უძვირფასეს ძეგლებს წარმოადგენენ ქართველი ხალხის ძველი კულტურის ისტორიის დახასიათებისათვის<sup>61</sup>.

ძეგლთა შორის თვალს იპყრობს ტაძარი „ვაზიანის ამაღლება“, რომელსაც XI საუკუნით ათარიღებენ; იგი შესანიშნავად არის გაფორმებული, საუცხოო აგურის და მოჭიქული ფერადი, განსაკუთრებული ნაქეთობის კრამიტით (ზოგი მწვანე, ზოგი წაბლისფერი), რომელიც დაუფიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

ფრიად საყურადღებო ძეგლები მოიპოვება აგრეთვე ქიზიყის სხვა კუთხეებშიაც, განსაკუთრებით კი სამხრეთ-აღმოსავლეთით პღებარე ნაწილში მღ. ივრის და ალაზნის შესართავთან. აქ, უწინ დიდი ციხე-ქალაქი, ხალხით სავსე ცნობილი ხორანთა იყო გაშენებული. იგი ჰერეთის უმნიშვნელოვანეს და უძლიერეს ციხე-ქალაქად ითვლებოდა; მონღოლთა შემოსევაზე მჭიდროდ იყო დასახლებული, მაგრამ შემდეგ, მათი მეოხებით, იგი განადგურებულა. ეს ტერიტორია დღესაც ჯერ კიდევ დაუსახლებელია.

ამ ადგილს ვახუშტი შემდეგნაირად აღწერს:

„..... და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე აღაზნანთასა<sup>62</sup> და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი,

და მის გამო ჰქვიან ჰერეთისა ჰერეთი, და აწ მას ადგილსა ჰქვიან ზო რ ა ნ თ ა“ 63.

საკმაოდ მოზრდილი ციხე-ქალაქი მდებარეობდა აგრეთვე ალაზნის მოსაბრუნშიც, თანამედროვე სოფ. წითელ-საბაათლოს (წითელ-წყაროს რაიონი) მეზობლად. მაგრამ ღრთთა ვითარებაში, გარეშე მტრების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად, ეს აყვავებული დიდი ქალაქი მოიხსო და გაველურებულ ადგილზე აქა-იქ დარჩა მხოლოდ ნანგრევების ნაშთები.

სიღნაღი, ისევე როგორც თელავი, კახეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. იგი მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ, ლამაზად აღმართულ მთაზე, გარშემორტყპულია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1762 წ.) ერეკლე II მიერ აგებულ ციხე-გალაენის კედლებით, რომელთა სიგრძე 7,5 კილომეტრზე მეტს უდრის. (კედლის სიმაღლე 3,5 — 4,5 საყ. აღწევს). ამ ციხე-ქალაქს რთული და საპასუხისმგებლო როლი ჰქონდა დაკისრებული დაღესტნის მხრიდან შემოსეული მტრების მოგერიება-უკუგდების საქმეში.


სიღნაღის მთის, არწივის ბუდის მსგავსად, ამაღლებული ადგილიდან კარგ ამინდში განსაკვიფრებელი გადასახედიან ალაზნის ველზე. ერთმანეთზე გადაბმულ და გადაჯაჭვულ სოფლებზე, საკოლმეურნეო ბალ-ვენახებზე და ზაფხულის დღეებში ოქროსფრად მოლაპლაპე უღებულ ყანებზე.

სიღნაღის ციხეს ორი შემოსასვლელ-გასასვლელი კარი აქვს — აღმოსავლეთის და დასავლეთის.

XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, იგი სამაზრო ცენტრს წარმოადგენდა.

კახეთის რკინიგზის გაყვანამდე სიღნაღი იყო მთელი ქიზიყის ეკონომიური მაჯისცემის მაჩვენებელი, მაგრამ შემდეგ, ეკონომიური ცენტრის როლი მან თანდათან დაუთმო დაბა წნორს, რომელიც სიღნაღის ძირში რკინიგზის ლიანდაგთან მდებარეობს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სიღნაღი გახდა რაიონის ცენტრი, რომელიც აერთიანებს 12 სოფლის საბჭოს (ანაგის, ვაქირის, საქობოს, ქვემო-მაჩხაანის, ტიბაანის, ჯუგაანის, ძველანაგის, ბოდბისხევის, ბოდბეს, მაღაროს, ნუკარიანის, ულიანოვკის), გარდა ამისა, წნორის სადაბოსა და სიღნაღის საქალაქო საბჭოებს, აგრეთვე მევენახეობა-მელვინეობის ხირსის საბჭოთა მეურნეობას.



სოფ. წიფელწყარო XIX ს.

ამჟამად სიღნაღში თავმოყრილია რაიონული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი დაწესებულება-ორგანიზაციები, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოები (ლიმონათის ქარხანა, საშაქარლამო წარმოება და სხვ.), სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, კინოთეატრი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, საბავშვო დაწესებულებანი და სტამბა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია სიღნაღის (ქიზიყის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1949 წელს. მას ორსართულიანი საკუთარი შენობა აქვს, სადაც მრავალი შეკრებილი მასალების გარდა, მოწყობილია, აგრეთვე, გამოფენებიც. საბჭოთა პერიოდის გამოფენებზე ასახულია არა მარტო ამ რაიონის მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები, არამედ მეზობელი რაიონებისა — წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარელის, გურჯაანისა და თელავის.

მუზეუმი ამჟამადაც განაგრძობს მოსახლეობის ყოფის დამახასიათებელი კოლექციების შეგროვებას, შესწავლასა და საგამოფენოდ მომზადებას, რაც შემდეგში კიდევ უფრო გაამდიდრებს ამ მუზეუმის როგორც ფონდებს, ისე მის გამოფენებსაც.

სიღნაღის სამეურნეო და სასაწყობო მეურნეობა გადატანილია დაბლობზე — დაბა წნორისწყალზე, რომელიც დაკავშირებულია რაიონის ცენტრთან საავტომობილო გზით (17 კილომეტრით). დაბა წნორის მოსახლეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე თვით რაიონის ცენტრის. წნორზე, შედარებით მოკლე ხანში, აშენდა მრავალი თვალსაჩინო და კეთილმოწყობილი შენობა: სამსართულიანი სასტუმრო, სასადილოები, უნივერსალი, სახელმწიფო სავაჭროები, წყალთა მეურნეობისა და ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოების შენობები, საავადმყოფო, სამალარეო სადგური, ნავთის მრეწველობის სხვადასხვა სამეურნეო შენობა, საწარმოებები, სახელოსნოები.

დაბა წნორი დაკავშირებულია თბილისთან როგორც რკინიგზით, ისე საავტომობილო გზითაც (სპეციალური რეისიცი არის გახსნილი წნორი — თბილისი 150 კმ.), გარდა ამისა წნორიდან გადის ავტომანქანები ლაგოდეხამდე (38 კილომეტრი), წითელწყარომდე (27 კმ).

რაიონში 18 კოლმეურნეობაა, რომლებსაც მომსახურებას უწევს 4 მანქანა-ტრაქტორთა სადგური (წნორის, ტიბაანის, ულიანოვკისა და ალაზნის).



რაიონის სოფლებს შორის აღსანიშნავია:

სოფ. ბოდბისხევი მშობლიური სოფელია ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილის). აქ ახლახან საფუძველი ჩაეყარა იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმს, სადაც ჯერჯერობით მხოლოდ გააოფენაა მოწყობილი, რომელიც ასახავს პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას<sup>64</sup>.

სოფელი მაღარო (დაშორებულია სიღნაღს 4 კილომეტრით). იგი მდებარეობს მცენარეულით მდიდრად შემკულ მაღლობზე. რომელიც იერის წინამთიანეთის ველს სიღნაღიდან ჰყოფს. ეს სოფელი ცნობილია თავისი საუკეთესო ჰავით. იგი ძველად კახეთის მეფე-მთავრების საზაფხულო ადგილსამყოფელი იყო.

XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე მაღაროში არსებობდა სამეფო სასახლე (საზაფხულო), რომელიც გარშემორტყმული იყო ციხე-გალავნით. ეს სოფელი კიდევ იმითაც არის ცნობილი, რომ აქ დაიბადა და აღიზარდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწე-მეცნიერი სოლომონ დოდაშვილი, ანუ დოდაე-მაღარსკი (1805 — 1836) — პირველი ქართველი, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და უკვე 1827 წელს გამოვიდა რუსეთის ლიტერატურულ-სამეცნიერო ასპარეზზე. ამავე წელს პეტერბურგში გამოიცა მისი „ლოლიკა“ რუსულ ენაზე, რომელმაც იმ პერიოდში დიდი რუსი მეცნიერების მაღალი შეფასება მიიღო; 1830 წელს დოდაშვილმა გამოსცა თბილისში ქართული გრამატიკა (შემოკლებული); 1832 წელს მისი თაოსნობითა და მისივე რედაქციით გამოდიოდა „ლიტერატურული გაზეთი“ (ქართულ ენაზე). სოლომონ დოდაშვილი იმ ხანებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც შემდეგში თბილისის კლასიკურ პირველ გიმნაზიად გადაკეთდა.

1832 წელს ს. დოდაშვილმა მონაწილეობა მიიღო ფარულ შეთქმულებაში, რომლის მონაწილეებს მიზნად ჰქონდათ დასახული რუსეთის მეფის ჯარების საქართველოდან განდევნით, საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს აღდგენა. ამ საქმეში ბატონიშვილებთან და დიდგვაროვან ქართველ არისტოკრატიასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე-ლიტერატორები: გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები.

შეთქმულთა შორის სოლომონ დოდაშვილი პროგრესულ-

რადიკალურ იდეებს იზიარებდა ჯა, სარკებლობდა რა მისდამი შეთქმულების წევრის ოქროპირ ბატონიშვილის განსაკუთრებული განწყობილებით, შეთქმულთა შორის აგიტაციას ეწეოდა რესპუბლიკური წყობილების სასარგებლოდ რუსეთთან მკიდრო კავშირში; მაგრამ სოლომონ დოდაშვილის იდეებს შეთქმულთა ძალიან მცირე ნაწილი იზიარებდა<sup>65</sup>. მათი დიდი უმრავლესობა საქართველოში ძველი (ბაგრატიონთა) ფეოდალური მონარქიის აღდგენისა და რუსეთისაგან გამოყოფის მომხრე იყო. ამ ფეოდალური ნაციონალიზმის გამომხატველ ნოძრახობას საფუძვლად ედო ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაცია და საქართველოს სამეფოს აღდგენა, მხოლოდ იმისათვის, რომ გაბატონებულ კლასს არ დაეკარგა ის პრივილეგიები, რომელიც მას XIX საუკუნის დამდეგამდე ჰქონდა<sup>66</sup>.

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი (145 კაცი) და მათ შორის სოლომონ დოდაშვილი (დოდაევი) დააპატიმრეს, პასუხისგებაში მისცეს და გადაასახლეს.

სოფელი ვაქირი ალაზნის ველზე მდებარეობს (სიღნაღიდან 6 კმ დაშორებით), იგი ერთ-ერთი დიდი სოფელთაგანია.

სოფ. ვაქირის მოსახლეობა გაერთიანებულია სტალინის სახელობის მძლავრ კოლმეურნეობაში, რომელშიც დიდი წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი; მას საუკეთესოდ აქვს დაყენებული მემინდვრეობა, მაღალმოსავლიანი ხორბლეული კულტურები, ფართოდ განვითარებულია მევენახეობა, ყურძნის საუკეთესო ჯიშების მოშენება; ამ მოკლე ხანში ვაქირში გაშენდა ვაზის ახალი სანერგეები. 1955 წელს კოლმეურნეობამ ვენახების ფართობი 105 ჰექტარით გაზარდა, გარდა ამისა, უფრო მეტად გააღვივარა მეცხოველეობა და განსაკუთრებული ყურადღება მეცხვარეობას მიაქცია.

სოფ. ვაქირის ცენტრში მოწყობილია უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და მანქანებით აღჭურვილი „სამტრესტის“ ღვინის ქარხანა, რომელიც კოლმეურნეობისაგან გადასამუშავებლად ლებულობს ყურძენს. სოფლის მეურნეობის პროცესების უმრავლესობა როგორც მინდვრად, ისე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ელექტროფიციკრებულია. სოფელში მოწყობილია სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ მოსახლეობისა და საკოლმეურნეო გლეხობის კულტურული მომსახურების საქმეში.

საგულისხმოა აგრეთვე სოფ. ვაქირისა და მისი უახლოესი მიდამოების ისტორიული წარსული.

აქ, ამ სოფელში, მოკლე ხანს (1772 წელს) მუშაობდა ცნობილი

მეცნიერი, რუსეთის აკადემიის წევრი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც ერეკლე მეფესთან ერთად, კახეთი მოიარა (1772 წ. თებერვალ-მარტში). იგი უმთავრესად გეოლოგიურ გამოკვლევებს აწარმოებდა (მინერალური წყაროები, ნავთი, მადნეულობა), რაც მას დავალებული ჰქონდა ფეოდალური რუსეთის მთავრობის მიერ. ერეკლე II განიზრახა გიულდენშტედტის საქართველოში დატოვება სამთომადნო საქმის განსავეითარებლად, მაგრამ მკვლევარმა ერეკლეს წინადადება არ მიიღო.

ვაჭირში შეგროვილ მასალებსა და გეოლოგიურ ნიმუშებს გულდენშტედტი პეტერბურგში გზავნიდა<sup>67</sup>.

სოფ. ვაჭირში ფრიად საყურადღებო ძველი ქართული კულტურას ძეგლებიცაა — ვაჭირის კვირაცხოველის ფრესკებიანი და ნათლისმცემლის ეკლესიები.

ვაჭირელი იყო აგრეთვე იოანე ბატონიშვილის მიერ „კალმასობაში“ (1798 წ.) მოხსენებული ქვაბთახევის მონასტრის იპოდიაკვანი იოანე ხელაშვილი, რომელიც ამ საქმეს (კალმასობას) შესდგომია თავისი წინამძღვრის დოსითეოზ ფიცხელაურის ბრძანებით. „იოანე ხელაშვილმა მიიღო განათლება თელავის სემინარიაში, სადაც მიზარებულ იქნა. თვით იოანე ბატონიშვილის მიერ და რუსული ენაც იცოდა, რადგან რუსეთში დაჰყო მრავალი წელი“<sup>68</sup>.

სიღნაღის მახლობლად მდებარეობს აგრეთვე ცნობილი ისტორიული ძეგლი — ბოდბის დედათა მონასტერი, რომლის დაარსება დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდთან (ე. ი. IV საუკუნესთან); ბოდბეშია, აგრეთვე, წმ. ნინოს მონასტრის ფრესკებიანი ეკლესია (VI — VII სს.), ხოლო მის მახლობლად — წმ. ელიას ეკლესია. გადმოცემით, ბოდბის მონასტერში გარდაცვალა 338 წელს და დაიმარსა საქართველოს გამქრისტიანებელა ნინო, რომლის სახელობაზე შემდეგში უკვე ტაძარი აიგო<sup>69</sup>.

სოფელი ანაგა ერთ-ერთი უძველესი სოფელთაგანია. იგი ცნობილია მემინდვრეობით, მევენახეობითა და ღვინოებით. აჭაური მოსახლეობა გაერთიანებულია ორ მძლავრ კოლმეურნეობაში, რომლებსაც, მემინდვრეობის კულტურების გარდა, მაღალ დონეზე აქვთ აყვანილი მეცხოველეობა და მევენახეობა. ანაგაში „საპტრესტს“ მოწყობილი აქვს საკმაოდ მოზრდილი ღვინის ქარხანა, რომელიც ღებულობს ამ კოლმეურნეობებიდან გადასამუშაველად დიდძალ ყურძენს (ასეთივე ქარხანა არის სოფ. ტიზანშიც).

სოფ. ანაგაში ყურადღებას იპყრობს „ბიქიანთ ძველი ციხე-კოშკი“, ამ უბანში 1728 წელს დაიბადა და შემდეგ შუაპთის სამო-

ნასტრო სკოლის დამთავრებისას აქ ერისკაცად ცხოვრობდა ნიკოლოზ ბიგიაშვილი; მას XVII საუკუნის მეორე ნახევარში (1770 — 75 წწ.) წილად ხვდა ერეკლე II კარის მოძღვრობა და, მისივე დავალებით, დიპლომატიური ვეჭილის როლის შესრულება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებზე 1770 — 71 წწ., რის გამოც მივლინებული იყო პეტერბურგში, სადაც მან 8 — 9 თვე დაჰყო ეკატერინე II სასახლეში. რუსეთში გაგზავნამდე მან ერეკლე II და ანტონ კათოლიკოსის დავალებით მრავალი ქვეყანა მოაზრა: ათონი, იერუსალიმი, ეფესოსი და სხვა ქვეყნები, ხოლო რუსეთიდან დაბრუნებისას იგი წარგზავნილ იქნა სპარსეთში;

თვალს იპყრობს აგრეთვე სიღნაღის რაიონის სხვა სოფლები და კოლმეურნეობები. დიდ წარმატებებს მიაღწიეს მემინდვრეობის დარგში, განსაკუთრებით კი ხორბლეული კულტურების გაშენებაში, სოფელ ძველ-ანაგის სტალინის სახელობის, სოფელ ბოდბისხევის აგრეთვე სოფ. ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომელთაც თავდადებული შრომის შედეგად მაღალი მოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობებს დიდად ეხმარებიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კომბაინებით და მექანიზატორებით.

ამ რაიონშივე მდებარეობს ცნობილი მევენახეობა-მეღვინეობის ხირსის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გაშენებული აქვს 383 ჰექტარი ვენახი, ხოლო 40 ჰექტარზე — ხეხილის ბაღი; იგი წლების განმავლობაში უშვებს თავისი პირველადი გადამუშავების ქარხნიდან საბჭოთა კავშირის ბაზარზე მაღალ მარკიან ღვინოებს.

აქვე მახლობლად დაცულია ქართველი ხალხის უძველესი კულტურის ძეგლებიც. არქიტექტურული მონაცემებით სახელგანთქმულია ხირსის მონასტერი (გუმბათიანი ტაძარი VI საუკ.), რომლის კომპლექსში მრავალი ნაგებობა და ციხე-გალავანია შერჩენილი; ყურადღების ღირსია ფანაანის ამალეების ფრესკებიანი ეკლესია (ტყევი). ხუროთმოძღვრებით მას აო ჩამოუვარდება აფენის უძველესი ეკლესია, აგრეთვე ტიბაანის მაღალგუმბათიანი ტაძარი (შუასაუკუნე), ლელიანის, ცლუნკაანის ეკლესიები (ნანგრევები) და სხვა ძეგლები.

სიღნაღის მეზობლად წითელწყაროს რაიონი მდებარეობს, რომელიც მდიდარია როგორც სახალხო მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგებით და მათ შორის განვითარებული ნავთის მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, ისე ქართველი ხალხის უძველესი კულტურის თვალსაჩინო ძეგლებითაც.

წითელწყაროს რაიონი (ყოფ. „დედოფლის წყარო“ ანუ „მეფის


წყაროები“, ერთ დროს „თუქურმიშად“ წოდებული), საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ დარაიონებამდე, სიღნაღის მაზრაში შედიოდა (რაიონის ცენტრი წითელწყარო ქალაქის ტიპის დაბად ითვლება).

XIX საუკუნის დამდეგიდან დაბა წითელწყარო ყარაღაჯთან ერთად რუსეთის ჯარის კავალერიის დივიზიის პოლკთა „მტაბკვარტირად“ (ანუ სამხედრო სადგომად) ითვლებოდა. აქ, გასული საუკუნის 50-იან წლებამდე, ნიევეგოროდის დრაგუნთა პოლკი იდგა, ხოლო შემდეგ ტვერის დრაგუნთა პოლკი. ამ პოლკებში მრავალი თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდობა (волюнды) იყო გადმოსახლებული მეფის მთავრობის მიერ დასჯითი წესით: (აქ ერთ დროს ცხოვრობდნენ დეკაბრისტები ბესტუჟევი, ოდოევსკი, დიდი რუსი მწერალი ლერმონტოვი, როზენჰეიმი, ლ. ს. პუშკინი— დიდი პოეტის ძმა და სხვები).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის განზოგადოებულ სექტორში ხორბლეული კულტურების (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვი), აგრეთვე ტექნიკური კულტურებისა და მათ შორის მზის-უმზიარას განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შირაქისა და მილარის ველების ფართო გამოყენების საშუალებით; ტყუილად კი არ ჰქვია ამ მიდამოს „საქართველოს ბეღელი“. აქ ისეთი უხვი მოსავალი იცის, როგორც არსად საქართველოს დანარჩენ რაიონებში, თუკი სათანადო ხელის შეწყობა ექნა მინდვრებს და ამავე დროს ბუნებრივი მორწყვაც (წვიმა) არ დააკლდა. ჯერჯერობით ეს მიდამო ურწყავია, მაგრამ უახლოესი პერიოდის განმავლობაში ეს ტერიტორიაც მოირწყვის მდ. ალაზნიდან (ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მოსაზრადებელი სამუშაოების ჩატარება) <sup>70</sup>.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა შემდგომ განვითარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ რაიონს კიდევ ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგური მოემატა და ამგვარად დღეს უკვე 4 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია (წითელწყაროსი, გამარჯვების, ქედისა და შირაქის); გარდა ამისა, მემინდვრეობის საცდელი სადგური, აგრობიოლამორატორია და სხვა სამეცნიერო დამხმარე საწარმოო-დაწესებულებანი აქტიურად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მაღალხარისხოვანი მოსავლის უხვი რაოდენობით მოყვანაში.

შირაქის ველის <sup>71</sup> ნაწილი მეცხოველეობისათვის არის გამოყენებული, სადაც ეწყობა სახამთრო საძოვრები და საქონლის ბინები; აშენებულია მესაქონლეობის ფერმები როგორც მდ. ივრის ნაპირებთან გადაჭიმულ ტარიბანის მინდორზე <sup>72</sup>, ვაკეზე და მწარე



კომბაინით მოსავლის აღება შიპოქის ველზე

წყლების მახლობლად, ისე პატარა შირაქის გასწვრივ გაშლილ ველზე. ასეთივე სადგომებია ალაზნის პირებზედაც. მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა და მეძროხეობა აქ ფართოდ არის განვითარებული და დიდ წარმატებებსაც აღწევს; საკმარისია ითქვას, რომ რაიონში არსებული ყველა 13 კოლმეურნეობა პირუტყვის მოშენებას მისდევს.

მეცხოველეობის განვითარებას დიდად უწყობს ხელს აგრეთვე წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ელდარის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც უკავია 55 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი; უდიდესი ნაწილი საძოვრებია. საბჭოთა მეურნეობა მრავალა წლების განმავლობაში ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს ქართული ცხვრის ახალი ჯიშის მისაღებად (ნაზმატყლიანი ჯიში). მეურნეობის სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგი გამოიღო და დღეს მეურნეობას ნაზმატყლიანი მრავალი ათასი ცხვარი მოეპოვება.

კარგად მიმდინარეობს საკოლმეურნეო მეცხენეობა, რომელმაც ამ რაიონში ფართო განვითარების ნიადაგი ჰპოვა; უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული, ცხენების საუკეთესო ჯიშების მოშენებას.

წითელწყაროს რაიონის მემინდვრეობაში წამყვანი კულტურაა ხორბლეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო შემოსავალში მევენახეობასაც საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. რაიონის კოლმეურნეობათა შორის ბევრი მისდევს ამ ტრადიციული და რენტაბელური კულტურის მოშენებას განსაკუთრებით ალაზნის ველზე, სადაც მევენახეობის მიმდევარ კოლმეურნეობებს გამოყოფილი აქვთ სავსებით ადგილები. ერთ-ერთი ასეთი კოლმეურნეობათაგანია არბოშიკის კოლმეურნეობა, რომელსაც ხირსის მიდამოებში 75-ჰექტარიან ფართობზე 1935 წლიდან გაშენებული აქვს კულტურულად მოვლილი ვენახი. თავდადებული შრომის შედეგად კოლმეურნეებმა მიაღწიეს აქ ჰექტარიდან 93 ცენტ. ყურძნის მიღებას და მრავალმა კოლმეურნემ სოციალისტური შრომის გმირობაც მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წითელწყაროს რაიონში განვითარდა ნავთის მრეწველობა (შირაქის ნავთი), რომლის ბაზაზე წარმოიშვა და გაშენდა დაბა მირზაანი; იგი 1945 წლის ზაფხულში ქალაქის ტიპის დაბად გამოცხადდა. გარდა ამისა, წითელწყაროს რაიონის ცენტრში „საქნავთმა“ საგარეო მუშათა საბინაო მშენებლობა; აიგო საცხოვრებელი სახლები, დამხმარე საწარმოებები-სახელოსნოები, ქარხნები, გარაჟები; დიდი ყურად-

ლება მიექცა აგრეთვე კომუნალურ, კულტურულ და საყოფაცხოვრებო მშენებლობას.

ამ მოკლე ხანში დაბა წითელწყაროში აშენდა ორსართულიანი სასტუმრო, გაყვანილი და გამწვანებული იქნა ქუჩები, აიგო ახალი საცხოვრებელი სახლები; რაიცენტრი გამდიდრდა კეთილმოწყობილი კულტურისა და დასვენების პარკით, რეკონსტრუირებული კულტურის სახლის საკმაოდ მოზრდილი შენობით, რომლის მახლობლად ფართო მოედანზე აშენდა და მოეწყო საუკეთესო 2.000-ადგილიანი სტადიონი. წითელწყარო დაუკავშირდა დედაქალაქ თბილისს რკინიგზით, აშენდა სადგურის კოხტა შენობა; აიგო ადმინისტრაციული სახლი, სადაც მოთავსდა რაიონის ხელმძღვანელი დაწესებულება-ორგანიზაციები; საგრძნობი კულტურული საყოფაცხოვრებო სამუშაოებია ჩატარებული რაიონის სოფლებსა და კოლმეურნეობებში: სოფელ წითელწყაროში აიგო ქვითკირის ხიდი, რომელმაც გაღმა და გამოღმა მხარეები დააკავშირა უმოკლესი გზით, გამშვენდა სოფლის ქუჩები, კოლმეურნეობათა ფართო ეზოები. სოფ. გამარჯვებაში ედანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო სასკოლო შენობა, რომელშიაც მოეწყო და მოქმედებს საშუალო სკოლა, საავადმყოფო აფთიაქით.

რაიონში საგრძნობლად გაიშალა საკოლმეურნეო კლუბების და ბიბლიოთეკების მშენებლობა.

სოფ. გამარჯვების ედანოვის სახელობის, ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის და ზემოქედის კოლმეურნეობებმა სპეციალური შენობები ააგეს და შიგ ბიბლიოთეკები მოაწყვეს, სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობამ საგანგებოდ აგებულ შენობებში საკოლმეურნეო კლუბი და საავადმყოფო მოაწყო.

ამ რაიონში ბლომად მოიპოვება სხვადასხვა ხანის საყურადღებო მატერიალური კულტურის ძეგლებიც.

როგორც ცნობილია, ჩვენ წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში (66 — 65 წ. ჩ. წ. აღრ-მდე) საქართველოს რომაელები შემოესიენ.

შემოსული ჯარების მთავარსარდალმა პომპეოსმა, რომელმაც დაიპყრო სომხეთი, საქართველოს მოსაზღვრე ალბანეთი (ამჟამად აზერბაიჯანის სსრ ტერიტორია), გამოემართა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებისაკენ, მათ შორის იბერიის სატახტო ქალაქ მცხეთისაკენ. მან გამოიარა შირაქის ველით, რომელიც ცხენების კვების საუკეთესო ბაზას წარმოადგენდა, რაც რომის ცხენოსანთა ლეგიონ-



ნებისათვის მარჯვე და ხელსაყრელი იყო, მით უფრო, რომ ისინი დაზამთრებას საქართველოში აპირებდნენ.

ცნობილია, რომ რომაელებს ლაშქრობის დროს წესად ჰქონდათ შემოღებული, სადაც არ უნდა დამდგარიყვნენ ისინი, თუ გინდ ხანმოკლე დროის განმავლობაში, გამაგრებული ბანაკი უნდა აეგოთ. შირაქის ველზე რომაელთა ლაშქარს დაზამთრება მოუხდა.

დღევანდლამდე გამოურკვეველია, სახელდობრ სად დაზამთრა პომპეოსის ლაშქარმა (66 — 65 წ. წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). ამ საკითხის გარშემო მკვლევართა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს; რომაელთა ლაშქრის დაზამთრების ადგილი ნაპოვნი და დაზუსტებული არ ყოფილა.

„წითელწყაროს რაიონში ოზაან კალოებზე არსებობს ერთი წვერმოჭრილი სერი, რომელსაც ოზანელები „ტახტიფერდას“ ეძახიან<sup>73</sup>. ხალხური გადმოცემით, „ტახტიფერდაზე“ ურჯულო ხელმწიფე მდგარა ერთ ზამთარს, მასვე საქართველო აუოხრებიაო“<sup>74</sup>.

ტახტიფერდა წარმოადგენს თავმოკვეთილ და მოსჭორებულ სერს; გარშემო მას მოვლებული აქვს ნაყარი მიწისა და დიდრონი ლოდების ჯებირი; ლოდების ნაწილი აღებულია და მხოლოდ ალაგ-ალაგაა შერჩენილი. ჯებირი კი დღესაც ეტყობა, რომელიც სამ ადგილასაა გაწყვეტილი.

აღმოსავლეთის მხარეზე კალოები ყოფილა და ამიტომ ჯებირის ყოველგვარი კვალი წაშლილია.

იმდროინდელ საფორტიპიკაციო ლიტერატურულ წყაროებში (რომაელ ინჟინერ ვეგეციუმის აღწერილობა) მოყვანილია, თუ როგორი უნდა იყოს გამაგრებული სამხედრო ბანაკი. მისი აღწერით ასეთი ბანაკი ველზე ეწყობა, ტყიდან მოშორებით და მოსახლეობიდან შორს, მაგრამ წყლის, სურსათ-სანოვაგის და საძოვარ-საბაღაზე ადგილების მახლობლად.

ბანაკს ოთხი კარი უნდა ჰქონდეს მოწყობილი ჯარის სწრაფად გასასვლელ-შემოსასვლელად. „თუ ჩვენ ამ აღწერილობას შევეფარდებთ ტახტიფერდას, — ამბობს ს. ბ. მენტეშაშვილი, — ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ტახტიფერდა ნამდვილად რომაელთა დროის და შეიძლება თვითონ პომპეოსის სამხედრო-საველე გამაგრებული ბანაკი უნდა ყოფილიყო“.

პომპეოსს, როგორც ეტყობა, სამად ჰყავდა გაყოფილი ჯარი და სამივე ადგილას დაბანაკებული. „თუ ერთი ამ ბანაკთაგანი ტახტიფერდაა, მაშინ ორი კიდევ საძებარია“.

სოფელ არბოშიკის კალოების — „მიშმიშის“ მახლობლად, ერთი მალლობი მდებარეობს, რომელსაც „ქედმოჭრილას“ ეძახიან. თვით

ეს სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ ქედმოჭრილა ტანტიფერ-დასავით უნდა იყოს და თუ ასეა, მაშინ ეს ადგილი რომაელი ლეგიონების მეორე სალაშქრო სადგომად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, პირობით, ვინაიდან იმას კიდევ დამატებითი და ზუსტი შესწავლა ესაჭიროება.

„მესამე ადგილი, სადაც რომაელთა ჯარს შეეძლო დაბანაკება, წითელწყაროსა და კაპრეთის მახლობლად არის საძებარი“<sup>75</sup>.

თუ ეს წინასწარი მოსაზრებანი საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ ისტორიულ პრობლემას — პომპეოსის დაზამთრების ადგილს სწორი პასუხი გაცემა.

ამ მიდამოებში ყურადღების ღირსია აგრეთვე სოფ. ზემო-მაჩხაანის ბოსტაშვილების ციხე-კოშკი, გედიქის მზვერავი კოშკისმაგვარი ნაეკლესიარი სამი ხეობის შესართავთან ამალღებულ ადგილზე აშენებული, რომელსაც, ჩვენი შეხედულებით, უფრო სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი; სოფ. არბოშიკის მახლობლად, მის აღმოსავლეთით ბაზილიკური ტიპის ეკლესიის „დამბადებელის“ შენობა მდებარეობს; გარდა ამისა, გლიას ეკლესია — წითელწყაროს გასწვრივ (სამხრეთ-აღმოსავლეთით) ამართულია მალა-ლი მთის — „ნიკორას ციხის“ მწვერვალზე (1001 მეტრი ზღვის დონიდან); თვალს იპყრობს აგრეთვე წითელწყაროდან წნორისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეზე მდებარე ორი კლდოვანი (კონუსისებრი) მთა „ორი ძმის“ სახელწოდებით, რომლის მიდამოებში 1938 წლის მიწის სამუშაოებისა და ხენის დროს ადგალობრივი კოლმეურნეები ხშირად პოულობდნენ სამარხ-ქვევრებს (ჭურ-სამარხებს) ინვენტარით და მოჭიქული ჭურჭლით (ფრაგმენტებს)<sup>76</sup>.

საგანგებო არქეოლოგიურ დაზვერვებს, გათხრებსა და შესწავლას მოითხოვენ ისეთი ნიადაგისქვეშა ძეგლები, როგორც გეხვდება ზემო-ქედის საბჭოს, სამთაწყაროს, არხილოს-კალოს და დიდ-შირაქის გასწვრივ მდებარე მინდვრებში<sup>77</sup>, აგრეთვე ქვემო-ქედის და წითელ-საბათლოს უახლოეს მიდამოებში<sup>78</sup>.

საყურადღებოა სოფ. გამარჯვების მახლობლად მდებარე მინდორი „მწარე-წყლები“ და მისი სამკურნალო ტალახი „ზუმბუხები“ (ანტალის ტიპის). გარდა ამისა, „კალანდარას“ (ანუ კალადერესი) ქედის სამხრეთით, მდ. ივრის მარცხენა ნაპირისაკენ დაქანებული მინდორია, რომელზედაც უძველეს დროში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ქიზიყ-ჭერეთისაკენ მიმავალი გზა გადიოდა.

საინტერესო იყო დაბა წითელწყაროში (ყოფილი დედოფლისწყაროს ანუ თუქურმიშას)<sup>79</sup> XIX საუკუნის პერიოდი.

აქ, ამ გამილ ადგილზე, XIX საუკუნის პირველ ნახევარში

რუსეთის ჯარების საველე სადგომები იყო მოწყობილი. ყარაღაჯი-დედოფლის წყაროს მიმართულებას (ხაზს) იმ პერიოდში დიდი სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაღესტან-ლეკეთის და ქარ-ბელაქნის მხრიდან შემოსეული ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>80</sup>.

ზაქათალა-კახი-ბელაქანი-ლაგოდეხი-ყვარელი-შილადა-თელავი-წინანდალი-ყარაღაჯი-დედოფლის წყარო ეს ის პუნქტებია, რომლებსაც უმთავრესად აწყდებოდა მტერი; ამიტომ სწორედ ამ მიმართულებას რუსეთის სარდლობა დიდ ყურადღებას აქცევდა. მას „ლეკეთის საკორდონე ხაზი“ (Лезгинская кордонная линия), ანუ მოსაზღვრე ფრონტი დაერქვა. ამ ფრონტზე აელენდნენ განსაკუთრებული გვირაობით, მამაცობითა და გულადობით სახელგანთქმულ მეომრებს; ამავე დროს საქართველოს ეს კუთხე (ეს ფრონტი), როგორც ზემოთ ვთქვით, რუსეთის მეფემ ნიკოლოზ I მარჯვედ გამოიყენა რუსეთის მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენციის, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეების დასასჯელ ადგილად; თუ ციხიბირში არა, დამნაშავედ ცნობილს აქ, ამ ფრონტზე აგზავნიდნენ.

პეტერბურგში 1825 წლის 10 დეკემბერს მომხდარ აშბებთან („დეკაბრისტების“ აჯანყება) დაკავშირებით ყარაღაჯ-დედოფლის წყაროში იძულებით გადმოსახლებულ იქნა მრავალი ახალგაზრდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ცნობილი დეკაბრისტი ბეატუჟევი (უმცროსი), ოდოევსკი, რომლებიც ნიკოლოზ I ბრძანებით ჩამოყენებული იქნენ გვარდიის ოფიცრობიდან რიგით ჯარისკაცებად და გასახლებულნი სატახტო ქალაქიდან „ლეკეთის საკორდონო ხაზზე“ ნიჟეგოროდსკის პოლკში, ასეთივე წესით გადმოსახლებული იქნა ოფიცერი დეჟებური, რომელსაც შეურაცხყოფითი კარიკატურა დაეხატა იმდროინდელ ფინანსთა მინისტრზე გრაფ კანკრინზეო. მალე აქვე ჩამოვიდა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ძმა ლევ სერგეის ძე პუშკინი, 1837 წელს გვარდიიდან გადმოსახლეს, ნიჟეგოროდსკის პოლკში გამწესებით, დიდი რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი, ხოლო მას მოჰყვა მისი გულითადი მეგობარი პ. სტოლიპინი, რომელსაც ლერმონტოვი მეტ სახელად „მონგოს“ ეძახდა, გასული საუკუნის 40-იან წლებში, ამავე მიზეზით, დედოფლის წყაროში გადმოსახლებული იქნა აგრეთვე გვარდიის არტილერიის ოფიცრობიდან ჯარისკაცად ჩამოყენებული რუსი პოეტი მ. დ. როზენჰეიმი და სხვები.

ბრძოლებიდან თავისუფალ დროს ეს ახალგაზრდობა იყრიდა თავს ნიჟეგოროდსკის პოლკის გადამდგარი მსცოვანი ოფიცრის, დი-

დი რუსი მხედართმთავრის სუვოროვის თანამოლაშქრის, გრ. ნეჩოლოდოვის ოჯახში, რომელიც იმ დროს დედოფლის წყაროში ცხოვრობდა<sup>81</sup>.

პოეტმა როზენჰეიმმა პეტერბურგიდან (ამჟამად ლენინგრადი) ორმოცი წლის შემდეგ, გადმოუგზავნა გრ. ნეჩოლოდოვის ღრმად მოხუც ქვრივს ეკატერინა ნეჩოლოდოვას მისი ოჯახისადმი მიძღვნილი შემდეგი ლექსი (მოვიყვანთ ნაწყვეტს):

...„Да, помню я ваш дом — радушьем знаменитый  
Приют гонимых всех суровою судьбой  
Для всех изгнанников приветливо открыт  
С его прекрасной хозяйкой молодой,  
С его хозяином, суворовским служакой,  
Живой хроникой о тех великих днях  
Отважным Платова соратником рубакой,  
Покрытым ранами в бесчисленных боях...“

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის და კოლმეურნეობის კანტორის მახლობლად გრ. ნეჩოლოდოვის სახლი წითელწყაროში დღესაც არსებობს ხეხილის ბაღით, სადაც წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში სასჯელდადებული, მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე რუსი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და მათ შორის დიდი რუსი პოეტი მ. ლერმონტოვი, ბესტუჟევი, ოდოევსკი, როზენჰეიმი და სხვები თავს იყრიდნენ.

## თავი II

### ალაზნის გაღმა

თელავიდან ჩრდილოეთით, სოფელ კურდღელაურის გასწვრივ, შაქრიანის ხიდისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე, მდებარეობს უძველესი ისტორიული ადგილი, რომელსაც უწინ გოლგოლა ერქვა, ამჟამად კი სოფელს გულგულას უწოდებენ. იგი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ჰეროსის სარგო ქვეყანა: „...ხოლო ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილოთ, რომელსა აწ ჰქვიან გოლგოლაო“<sup>82</sup>.

მდინარე ალაზნის გაღმა, სოფელ შაქრიანის მახლობლად (ხიდის გაღმა მარცხენა მხრით, მთის ძირში, მდებარეობს სოფელი შაქრიანი) გზა ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი მიდის სოფ. ნაფარეულისაკენ, სადაც მოწყობილია ნაფარეულის მევენახეობა-მეღვინეობის ცნობილი საბჭოთა მეურნეობა და ეთერ-ზეთის ქარხანა, რომელშიც ყაზანლიყის ვარდის ტექნიკური გადამუშავება წარმოებს, ხოლო გზის მეორე ტოტი ყვარლისაკენ მიიმართება.

სოფ. ნაფარეულიდან<sup>83</sup> აღმოსავლეთის მიმართულებით, მდ. ლობოტას<sup>84</sup> და დიდ-ხევის გაღმა, ფოთლოვანი ტყით შემოქული მთებით გარემოცული, სოფელი ფშაველი მდებარეობს (ნაფარეულიდან ამ სოფლამდე გაყვანილია გაუმჯობესებული სოფლის გზა). ამ სოფლის მახლობლად კავკასიონიდან მდ. სტორი მოედინება და ალაზნისაკენ მიემართება.

ხეობის აღმა მხარეს, ჩრდილოეთისაკენ, სოფლის გზას .საურმე გზა ცვლის, რომელიც თანდათან ვიწროვდება და შემდეგ დაბურულ ტყეში, მთის ბილიკად ქცეული, ჯერ ფართო ვაკეზე, ხოლო შემდეგ ვიწრო ხეობაში ციცაბოდ დაქანებული ფერდობით ხელეჩურამდე მიიკლავება. ამ სოფლიდან 6 კილომეტრის მანძილზე მდ. სტორს უერთდება მთებიდან სწრაფად მომდინარე, კალმახით განთქმული, ანკარა შენაკადი სვიანა; იქვე ახლოს „სვიანას“ პატარა ველია; ველის გასწვრივ შეღმართი თანდათან მატულობს და მდი-

ნარე სტორი, დარიალის ხეობაში მიმდინარე თერგისებურად ქაფადქცეული საშინელი სისწრაფითა და ხმაურით მიაქანებს თავის აზვირთებულ ტალღებს დინჯად მიმდინარე ალაზნისაკენ; გზა-ბილიკი აღის მდ. სტორის სათავემდე. ამ ადგილის მახლობლად, ე. წ. „აბანოს ხევზე“, მდებარეობს ხალხში დიდად ცნობილი და სახელგანთქმული „თორღვას აბანო“ და თორღვას ციხე.

„მხოლოდ თორღვას ციხე კი,  
ამბობენ, დანგრეულია,  
სულ მუდამ ნამით ბანილსა  
ნისლი აქვს დახვეულია“.

„თორღის ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი“, ასე აგვიწერს ამ მილამოს XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი ვახუშტი (...„აღწერა“ გვ. 101).

ამ „აბანოს“ მინერალური ცხელი წყაროები, რომლებიც ქარების, იარებისა და სხვა სნეულებათა უებარი წამალია რამდენიმე ნაკადებიდან შედგება. მათი ტემპერატურა სხვადასხვანაირია (37,3°; 36,5°; 34,5°; 34°); დღე-ღამის დებეტი 2,500 ათას ლიტრს აღწევს, წყალი რადიოაქტიურია, შეიცავს 2,19 ერთეულს (მახეთი)<sup>85</sup>.

უწინ ამ „აბანოთი“ სარგებლობდნენ უმთავრესად თუშები და ფშავლები, რომლებიც მის დასაცავად ლეკეთ-ქისტებთან ბრძოლებს აწარმოებდნენ, იგერიებდნენ და უკუაგდებდნენ ამ დაუპატიებელ „სტუმრებს“.

ამ აბანოში მკურნალობდნენ არა მარტო სხვადასხვა სნეულებებს, არამედ კრილობებსაც.

მაგრამ მარტო თუშ-ფშავლებით როდი განსაზღვრებოდა ამ „აბანოს“ ავადმყოფები. აქ მოდიოდნენ სამკურნალოდ საქართველოს ყველა კუთხიდან აგრეთვე სომხები, ქისტები, ებრაელები.

ხალხურ ლექსებში მისი სამკურნალო თვისებები განსაკუთრებული სიმახვილით არის დახასიათებული:

„...დღესაც თორღვას აბანო  
ზედ ჩარხად აგებულია,  
აქ მოდის ყველა სნეული:  
თუშ, ქისტი, ქართველ, ურია,  
ვინცა სვამს, ანუ იბანებს,  
წამოვა განკურნულია“.

ამ აბანოს სახელწოდება, როგორც ეტყობა, თუშების ერთ-ერთი უმამაცესი გმირი მეომრის თორღას სახელთან არის დაკავშირებული, რაზედაც ხალხური ლექსიც მიგვითითებს.

ეს ლექსი ხალხმა მიუძღვნა თავის გმირს, თორღას, რომლის სახელი დღესაც კიდევ იხსენიება მთათუშეთში.

(მტერთან ბრძოლაში თორღა დაიჭრა და ამბავს თვითონ ყვება).

„მჯობი ყოფილა ეს წყარო  
ყოველთა ექიმებზედა,  
მომთელებოდეს წყლულები,  
ეიგრძნობდი დღითი დღეზედა,  
აბანოდ გამოვაკეთე,  
სახელ დავარქვი ჩემზედა.

აღარ მოუშვათ ურჯულო,  
უნდა ავიღოთ ხელზედა.  
ეს წყარო უნდა დაეცუათ,  
მანამ ხმალ გვარტყა; წელზედა,  
აქ მოვალთ, წყლულებს მოვირჩენთ  
განალაშქრები მტერზედა“<sup>38</sup>.

არა მარტო „თორღას“ დროში, არამედ შემდეგშიაც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ხალხის ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ, საექიმო დახმარებას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა; ამის შედეგად, თელავის ე. მაზრის მთელი რიგი ადგილების, განსაკუთრებით კი ბარის სოფლების მოსახლეობა მალარიით დაავადების შედეგად სწულდებოდა. ისეთი სოფლების მკვიდრთ კი როგორცაა ფშაველი, ლეჩუჩი, ლალისყური თითქმის 50 — 60 კილომეტრზე უხდებოდათ წასვლა ექიმისათვის; წამლის შოვნა ხომ შეუძლებელი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ხალხის კეთილდღეობისა და დოგოთარიოზის საერთო აღმავლობასთან ერთად უდიდესი ყურადღება მიექცა მისი ჯანმრთელობის დაცვასაც. სამკურნალო დაწესებულებათა ქსელით დაიფარა არა მარტო რაიონის ცენტრები, არამედ შორეული „მივარდნილი“ სოფლებიც. დღეს სოფელ ფშაველში, ლალისყურში და სხვაგან არსებობს საექიმო უბნები გამოცდილი ექიმებით.

სოფ. ფშაველში მოეწყო 10-საწოლიანი საავადმყოფო, სამშობიართი და აფთიაქი, სოფელ ლეჩუჩში გაიხსნა საბებიო-საფერწლო

პუნქტი, ლალისყურში კი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი და პროფილაქტიური პუნქტი; მალარიის დაავადებათა წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა წარმოებს; ისპობა ჭაობები, გაყვანილი იქნა სარწყავი არხები, ხოლო იქ, სადაც ჯერ კიდევ ჭაობები და დაჭაობებული გუბეები დარჩა, მათ ნაპირებსა და წყლის სარკეს შესაფერ-ნივთიერებას ასხურებენ, რითაც მალარიის გადამტან კოლოს სპობენ და გაერცელების საშუალებას არ აძლევენ; 1951 წლიდან ფშაველში საავადმყოფოს გარდა, მოეწყო ამბულატორია, რენტგენის კაბინეტი და სანიტარული გამტარი. ყველა ამ ღონისძიებამ საგრძნობლად გამოაჯანსაღა მოსახლეობა და ბოლო მოუღო ადამიანის მტერს — მალარიას.

## ისტორიული ძეგლები

თელავის და ახმეტის რაიონებში, როგორც კახეთის ცენტრალურ პუნქტებში, მატერიალური კულტურის ფრიად საყურადღებო მრავალი ძეგლია. თვალს იპყრობს როგორც სამხედრო მნიშვნელობის, ისე საერო ხასიათის ნაგებობათა ნანგრევები, აგრეთვე უძველესი ეკლესია-მონასტრები, რომლებიც უმთავრესად მთათუშეთის მიმართულებით, დაბურული ტყეებით მოფენილ მთებსა და ხეობებში მდებარეობენ (პანკისის, ლობოტას, დიდხევის, სამყურას-წყალის, ილტოსა და სხვა პატარ-პატარა ხეობებში).

ამ ძეგლთა შორის გამოირჩევიან: ფშაველის წმიდა გიორგის წყაროს ეკლესია, მალრანის ციხე-გალავანი, მალრანის თავზე მდგომი დიდი ციხე-გალავანი თავისივე ეკლესიით, ლალისყურის ციხე-გალავანი მასში აშენებული ეკლესიით, ფიჩხოვანის ნათლისმცემლის ფრესკებიანი ეკლესიის ნანგრევები; ძველებური ციხე-გალავნით; გურამიანთ ციხე, ღვთაების ეკლესია მის მახლობლად „მაყვლის წყაროს“ შენობებით; ჩხიტარას გორაკის ეკლესია, ალვანის „კაკლიანის ნასაყდრალების სასახლე“ ეკლესია და სხვა შენობები (ალაზნის პირას); ნათლისმცემლის ფრესკებიანი ეკლესია ცხრა კარათი, ალვანის სამების ეკლესია; ბახტრიონის ციხე-გალავანი, მატნის ცხრაკარა — ფრესკებიანი ეკლესია (VI საუკუნის), ციხე-გალავანი, წმ. ნიკოლოზის ძველი ეკლესია; კვეტერის ციხე თავისი ეკლესიით და XI საუკუნის ნანგრევებით; ახმეტის ციხე სოფლის ზედა უბანში, ღომისის ფრესკებიანი ეკლესია (ტყეში), ჟალერის ციხე<sup>87</sup>.



## ყვარლის რაიონი

### შაქრიანიდან ყვარლისაკენ

დაეუბრუნდეთ ისევ შაქრიანის მიდამოს და განვაგრძოთ გზა ყვარლის მიმართულებით. გზის ეს ტოტი მიდის ალაზნის ხეობის მარცხენა ნაპირით, რომელიც მდიდარია მრავალფეროვანი მცენარეულობით. თვალს იპყრობს მცენარეულობის რელიქტური ჯგუფები, კერძოდ კი ლეშამბიანი ტყეები, მათ შერჩენას ამ მიდამოებში ხელო შეუწყო ფრიად ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა.

„კახეთის ამ დაბლობს ჩრდილოეთიდან უშუალოდ საზღვრავს კავკასიონის მაღალი, უცბად დაქანებული ქედი და ჩრდილოეთიდან და ჩრდილოეთ-დასავლეთიდან კი კახეთის ქედი, რომელიც შემდეგ ცივ-გომბორის ქედზე გადადის... ამის გამო კახეთში ბატონობენ სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის ქარები. ამ ქარებს მოაქვთ კასპიის ზღვის ანატორტკლი, რომელსაც მთების მიერ შექმნილი სამკუთხედი შორს აღარ უშვებს, ცივდება მათ მწვერვალებზე და დანალექების სახით ჩამოდის; ამ მხრივ კახეთი ორ ნაწილად იყოფა — ალაზნის მარცხენა და მარჯვენა ნაპირი. იმ დროს, როდესაც მარჯვენა ნაპირის მხარე შედარებით ნაკლებ ნალექებიანია, მარცხენა ნაპირი, წინააღმდეგ, ნალექებით მდიდარია, სადაც მათი რაოდენობა წლიურად 800 — 1000 მ/მ უდრის, კახეთის ნალექების მაქსიმუმი მაისზე მოდის და მინიმუმი კი იანუარზე. მაშასადამე, გვალვიანი პერიოდი ზამთარია, ზაფხული კი შედარებით ნესტიანი“<sup>88</sup>.

შაქრიანი-ყვარლის და ზაქათალას მიმართულება, ე. ი. ალაზნის ხეობის მთელი მარცხენა მხარე, ნესტიანი ტყეების ზოლის ფარგლებშია მოქცეული; ნალექების სიუხვე და დროის მანძილზე მათი ისეთნაირი განაწილება, როგორც ეს მცენარის ვეგეტაციისათვის არის ხელსაყრელი, თვით მცენარეულის დაჯგუფებაზე დადებით გავლენას ახდენს და ხელს უწყობს მის შენარჩუნება-განვითარებას, რაც ასე ნათლად არის წარმოდგენილი შაქრიანი-ყვარლის და ლაგოდენის მიმართულებით მდებარე მიდამოებში.

აღამიანისათვის ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შედეგად ამ მიდამოში ქართველმა ხალხმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ალაზნის მარცხენა ნაპირი უძველესი დროიდანვე მკიდროდ დასახლდა. დაარსდა სოფლები, დაბები, ქალაქები, ბაზრები, აიგო ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები, სასახლეები. ამიტომ არის, რომ ამ მიდამოებში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მრავალი მატერია-

ლური კულტურის უძველესი ძეგლი: ნაქალაქარები, ნასოფლარები, უძველესი ხანის წყალსადენების, ციხე-კოშკების, ეკლესია-მონასტრების ნაშთები, რომლებიც მკვერმეტყველოვრად ახასიათებენ და ამტკიცებენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან მალალ კულტურას და მოგვითხრობენ იმ დიდ და გმირულ ბრძოლებზე, რომლებსაც ქართველი ხალხი ეწეოდა შემოსეული მტრების წინააღმდეგ თავისი მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად.

მდინარე ინწობას (გრემის წყლის) მარჯვენა ნაპირზე, მდინარისაკენ გადმოხრილ, ციცაბოდ დაქანებულ ერთი მთის მოკვეთილ მწვერვალზე აღმართულია მალალგუმბათიანი ძველებური ტაძარი, ვარშემორტყმული ციხე-გალანით; ამ ადგილს გრემი ჰქვია.

XV საუკუნეში, როდესაც საქართველო პოლიტიკურად დაქუტმაცდა და ერთ მთლიან, ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოდან დაიყო სამეფოებად და სამთავროებად, კახეთიც კვლავ ცალკე სამეფოდ გამოიყო და იმ პერიოდიდან გრემი გამოცხადდა კახეთის მეფეთა მთავარ ადგილსამყოფელად — სატახტო ქალაქად იქცა. V


გრემის ნაქალაქარი დღეს ნანგრევებსლა წარმოადგენს. ერთ დროს გრემი ლამაზი, კეთილმოწყობილი, მასთან საკმოდ მოზრდილი ქალაქი იყო დიდად განვითარებული საქალაქო ცხოვრებით. იგი გაკიმული იყო 2 კილომეტრის სიგრძეზე. აქ დიდი აღებ-მიცემობა წარმოებდა როგორც საქართველოს სხვა ქალაქებთან, ისე მეზობელ ქვეყნებთანაც; ერთ-ერთი ავტორი ამბობს: „იყო დრო, როდესაც გრემში დღეში 100 აქლემით შემოდიოდა საქონელი“<sup>89</sup>.

გრემი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიისაც, საამისოდ მას ყველა მონაცემი გააჩნდა; პირველ რიგში მის განვითარებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა მდებარეობამ კახეთისა და შირვანის დამაკავშირებელ სამიმოსვლო და სავაჭრო მთავარ მაგისტრალურ გზაზე, მაგრამ გრემის ვაჭრობა ხშირად ამიერკავკასიის ფარგლებსაც ცილდებოდა და რუსეთამდე აღწევდა.

გრემის, როგორც დასახლებული პუნქტის, დაარსება ან მისი ქალაქად გადაქცევა ჯერჯერობით ზუსტად არ არის დათარიღებული. იგი კახეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია, მისი დაარსების თარიღი ჩვენ წელთაღრიცხვამდე პერიოდში აკარგება.

უნდა ვიფიქროთ, რომ გრემის როგორც განვითარებულ საქალაქო ცხოვრების ცენტრის შექმნა მოხდა XV საუკუნის ბოლოს XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც აქ კახეთის სამეფოს ტახტი დაიდგა.

გრემი, რომ კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად გამოცხადებულა, ლეონ მეფეს (1520 — 1574 წწ.) აქ კოხტა სასახლე და მასთან



გრემი — ნაქალაქარი

ხეხილის ბალი გაუშენებია, სადაც ინდოეთიდან მოტანილი და კახეთის ჰავის პირობებთან შეგუებული მრავალი საუკეთესო ნაყოფის მომცემი ხეხილის ხე იქნა დარგული. ასეთივე ყოფილა მეფის კარმიდამო და ქალაქი ალექსანდრე II (1574 — 1605 წწ.) და თეიმურაზ I მეფობის დროსაც. გრემის სასახლის კედლები მხატვრობით იყო შემკული, რომელიც სალონიკელ ბერ-მონაზონს გაუკეთებია 1577 წელს<sup>90</sup>.

აქ ძველთაგანვე დაარსებულა უმაღლესი ფილოსოფიური სკოლა (აკადემია), რომელსაც სახელი ჰქონდა გავარდნილი არა მარტო საქართველოში, არამედ იმ დროის ყველა კულტურულ ქვეყანაში. ვინც კი გრემის აკადემიას დაამთავრებდა, მას სიამოვნებით იღებდნენ საბერძნეთში, სადაც იგი განაგრძობდა ფილოსოფიური ცოდნის განმტკიცებას ბერძენთა ცნობილ ფილოსოფოსებთან.

ქალაქ გრემის მოსახლეობა უმთავრესად ქართველებისაგან შედგებოდა, მაგრამ შიგადაშიგ სომხები და ებრაელებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ. ამის მიხედვით სასაფლაოც სამი ყოფილა, ქართველების, სომხებისა და ებრაელების.

მდ. ინწობას ნაპირზე კიდევ ერთი უძველესი სასაფლაოა, სადაც აკლდამური ტიპის სამარხებია შერჩენილი უზარმაზარი ქვის ლოდებით გადახურული, უწარწერებოდ.

ერთ-ერთ ამ აკლდამის თავზე მრავალსაუკუნოვანი მუხა დგას, რომლის დიამეტრი 5 არშინა და 13 გოჯს აღწევს. ერთი ამ აკლდამათაგანი XIX ს. მეორე ნახევარში გაუთხრიათ და შიგ ადამიანის ჩონჩხი უნახავთ, რომელიც მაშინათვე დაშლილა. სამარხში აღმოჩენილა თიხის კურკლის ფრაგმენტები, ნახშირი და ჟანგისაგან შექმული რკინის ნაკეთობანიც<sup>91</sup>.

სამარხებიდან დასავლეთით (დაახლოებით 150 მეტრის მანძილზე) მაღალი მთის ერთ-ერთ სერზე აღმართულია ციხე-კოშკი, რომლის გალავანში ქვიტკირით ნაშენი საეაქრო დარაბები, ფარდულები და სარდაფების ნაშთებია.

საეაქროების მახლობლად ქვით ნაშენი ძველებური ციხეა, რომლის კედლებს ქონგურები არ გააჩნია.

ქალაქის ფარგლებში მრავალი ტაძარია, ამ ტაძრებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკმაოდ მოზრდილი სამი ტაძარი: „მთავარანგელოზის“, რომელიც მდინარე ინწობას გადაწყურე მთაზეა აგებული და გარშემორტყმულია ციხე-გალავნით, მეორე, მის მახლობლად — „ღვთისმშობლის“; ხოლო მესამე, აქედან ცოტა მოშორებში, დასავლეთის მხრისაკენ, „მთავარანგელოზის“. ტაძარი, აგებული იყო კახეთის მეფე ლეონის მიერ 1565 წელს.

საყურადღებო ძეგლია გრემის ნაქალაქარის ღვთისმშობლის კარის ეკლესიის ნანგრევები, რომლის დასაელეთი კარის თავზე აგურის კედლებში, ჩაშენებულია ერთ მთლიან ქვაზე გამოკვეთილი სამონოვანი (ქართულ, სომხურ და სპარსულ ენაზე) წარწერა.

სამივე წარწერა ერთი და იგივე შინაარსისაა.

„სამსავე წარწერას საერთოდ შემოხაზული აქვს ჩარჩოს გამომხატველი ხაზები, შუაში ჩასმული ქართული წარწერა კი გამოყოფილია მარჯვნივ — სომხურისა და მარცხნივ სპარსული წარწერებისაგან 2 სწორი ხაზით, რომლებიც აგრეთვე ჩარჩოს უნდა გამოხატავდნენ. სამივე წარწერა ამობურცულადაა მოჭრილი, ამასთანავე სომხურსა და სპარსულში სტრიქონებს შუა დატოვებულია მოუჭრელად ქვის სწორი ზოლები. ქართულში სტრიქონები ნაკლები სიზუსტით არის გამოყვანილი, მეთერთმეტე კი უსწორ-მასწოროდაა გავლებული. მეთორმეტე სტრიქონი ძალზე შემოკლებული, ჩართულია მეთორმეტესა და მეცამეტე სტრიქონებს შუა დარჩენილ ცარიელ ადგილზე, ეტყობა, აქ ამოპკრელს ვარაუდი შეშლია და იმის შიშით, რომ შეიძლება ადგილი აღარ მეყოსო, მოუნდომებია სტრიქონების შემკიდროება“ 82.

ამ წარწერის ტექსტი შემდეგია:

„მე ფრიად ცოდვილმან მათარსი აღვაშენე კარის ეკლესია ესე ყოვლად წმინდისა ბრძანებითა და შეწევნითა ძისა მისისა და ჟამსა შენისა მეფობასა მისისა პატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდა სამესა ქ—ქსა. სპა და შეეწირეთ კინი შესაწირავი ესე სამი კუამლი კაცი, ერთი წისკვილი, ერთი ვენახი და ორი ქულბაქი სახსრად სულისა ჩემისა, რამანცა ადამის მონათესავემან ამა ეკლესიაზედა მჯდომს კაც ზ და ნასად ხელი დაღვას ან ეს არ გაუთაოს, ღმერთმან მას ნურა გაუთაოს რა. ამნ. კირიალესონ“ 83.

## გრემის უძველესი სარწყავი არხი

გრემის ძველი კულტურა, რასაკვირველია, მარტო ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლით არ განისაზღვრება. აქ სხვა მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლიც მოიპოვება, მაგრამ მათი მთლიანი აღწერა ამ პატარა შრომაში შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ერთ მათგანს მოვიხსენიებთ — ეს არის სამელიორაციო ღონისძიებათა ერთ-ერთი უდიდესი ძეგლი, რომელიც საუკეთესოდ ნათელყოფს შუასაუკუნეებში ქართველი ხალხის მაღალ კულტურას არა მარტო ფილოსოფიის,

ლიტერატურის, ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და მწიგნობრობის, არამედ საინჟინერო-ტექნიკის დარგშიც.

ცნობილია, რომ საქართველოში X — XII სს. დიდი სამელო-რაციო ღონისძიებანი ტარდებოდა და კახეთი, როგორც საქართველოს აღმოსავლეთი მხრის უფრო მცირენალექებიანი მხარე, საირიგაციო ქსელით საქმაოდ იყო დაფარული (XII საუკ. ალაზნის — 119 კმ. სიგრძის არხი, სამგორის და სხვა არხები). სწორედ ასეთი ტიპის სარწყავი არხი გრემშიც იყო გაყვანილი იმავე ხანაში. ამ არხის გამოკვლევა სპეციალურად აწარმოვა 1938 წლის ზაფხულში თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელმაც ამ საქმეში თბილისიდან მოწვეული სპეციალისტებიც ჩააბა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ არხს (ამჟამად ნაარხალს) „თამარ მეფის არხს“ უწოდებს. იგი იწყება სოფ. ნაფარეულიდან 11 კილომეტრის, ხოლო სოფ. ლაფანყურიდან კი 4 კილომეტრის მანძილზე. ზევით, მდ. ლოპოტის მიდამოებში, სადაც ამ მდინარეს გონჯახევი ერთვის, დღესაც კიდევ არის არხის ჯებირის ნაშთები; გონჯახევის მახლობლად, მის მარჯვენა მხრიდან, ამ არხს გადასაშვები პკონია წყლის დინების მოწესრიგებისათვის<sup>94</sup>.

არხის დასაცავად შემოსეული მტრისაგან მის დასაწყისთან (სათავესთან), მალღობზე (40 მეტრის ზევით) დღესაც კიდევ შერჩენილია ციხე-სიმაგრე თავისივე კოშკით, საიდანაც ზეერავდნენ არხის სათავესთან მდებარე მიდამოებს, აგრეთვე თვალყურს ადევნებდნენ გადასაშვებს. იქვე მახლობლად ნასოფლარია, სადაც მრავალი ნანგრევი მოიპოვება და მათ შორას საწნახელების ნაშთებიც.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს ნასოფლარი წარმოადგენს გრემის სარწყავი არხის ქუქანების (ე. ი. იმ დროინდელ ჰიდრო-ტექნიკოსების) დამცველი რაზმის საცხოვრებელი დაბის ნანგრევებს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ნანგრევებს დღესაც „გონჯახევის ნასოფლარს“ ეძახის. არხის სათავიდან ლაფანყურამდე არხი ჭრის ტყეს, ალაგ-ალაგ ძლიერ დაქანებული ფერდობით გადმოდის, შემდეგ ნორმალური კალაპოტით მიედინება, ტორნისის ხევთან იგი აღმა უხვევს და შემდეგ 20-მეტრიანი აკვედუკის საშუალებით გადადის ამ ხევის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე, აქედან კი გადმოდის და ეშვება სოფ. ლაფანყურისაკენ.

ამ სოფლიდან არხი უკვე მიდის კავკასიონის პირველი ქედის — „დიდშარას“ უკან. ეს ქედი იწყება სოფ. ნაფარეულთან და თავდება გრემთან. მის ბოლოზე მთავარანგელოზის ეკლესიაა. ბოლოს არხი სოფ. მერქნისცერის მახლობლად ხელოვნური კვეთიდან ბუნებრივ კვეთზე გადადის და „ღრმა ხევის“ უერთდება, რომელსაც გზადაგზა

მრავალი პატარა-პატარა ხეხეები ერთვის; აქედან იგი „მასხარახევთან“ ერთად მდინარე ინწობას უერთდება მთავარანგელოზის ეკლესიის გასწვრივ და მის მახლობლად (მთის ძირში).

აქედან არხი კვლავ ხელოვნური კვეთით გრემის მინდვრისაკენ მიემართება, რომელსაც რწყავდა მდ. ინწობამდე (250 ჰექტარს). არხის წყალს, სპეციალისტების გამოანგარიშებით, შეეძლო მოერწყა 4000 ჰექტარი.

ამჟამად, რომ ამ სიგრძე არხს მარტო გრემისა და ლაფანყურის მინდვრების მოსარწყავად არ გამოიყვანდნენ; ამ საშუალებით ირწყვებოდა დიდი ფართობები.

უკანასკნელ დროს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ გრემის არხის წყლით განზრახული იყო დიდშარას ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გრემის მინდვრების გარდა, სამხრეთ-დასავლეთით, ალაზნის პირამდე გადაჭიმული ურწყავი ველის მორწყვაც (ამ ველს აღმოსავლეთიდან მდ. ინწობა ფარგლავს, სამხრეთიდან ალაზანი და დასავლეთიდან კი შაქრიანის ქაობები), რომლის ფართობი 2500 ჰექტარს აღწევს. ამგვარად, გრემის არხი გამოყვანილი იყო 2900-ჰექტარიან უწყლო ფართობის მოსარწყავად, აგრეთვე ხალხით სავსე ქალაქ გრემის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გრემის არხის გაუქმება, ანუ, უფრო სწორად, მისი დანგრევა-განადგურება, მომხდარა იმავე პერიოდში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში შემოსეული შაჰ-აბასის ბარბაროსულმა ხელმა ველური ენით მოსპო და მიწასთან გაასწორა კახეთის მთელი მეურნეობა, დაანგრია ქალაქები და სოფლები — მათ შორის გრემი, მოაოხრა ქალაქის ყველა თვალსაჩინო ნაგებობა, ძირიანად გააქაფვინა ვენახები, ძირფესვიანად ამოაგდებინა თუთის ხეები და მრავალი ათასეული მცხოვრები ირანში (ფერეიდანსა და მაზანდარანში) გადაასახლა.

უწყლოდ დარჩენილი გრემის ნაქალაქარი თანდათან ხალხისაგან დაიცალა და, დროთა ვითარებაში, ჩვეულებრივ სოფლად გადაიქცა.

გრემი, როგორც კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი, XV საუკუნე-დან ზაინც დარჩა 1672 წლამდე. ამ წელს არჩილ მეფე გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ თელავში და სამეფო ტახტიც იქ გადაიტანა.

ამ გარემოების შემდეგ გრემი დაკნინდა, შეწყდა წყალის დინება ქართველი ხალხის ნაამაგარი გრემის დიდებული არხითაც.

ამ არხთან დაკავშირებით ხალხში შემონახულია მრავალი თქმულება; მოვიყვანთ ერთ მათგანს:

„ენისლის მთავარანგელოზის ციხე-გალავანი მტრისათვის ძნელად

ასაღები იყო. იგი ალყაშემორტყმულ მტრებს კიდევ დიდხანს გაუმაგრდებოდა, რადგანაც არც სურსათი და არც წყალი არ აკლდათ მეციხოვნეთ. წყალს საიდუმლო გვირაბით გალავნის ქვეშ მიმდინარე არხიდან იღებდნენ დამდამობით.

მტრის ბელადი ლეკი (სპარსელი) მეციხოვნე ჯარის უფროსის ქალს ძალიან მოეწონა და გადასწყვიტა ბელადის გულის მოგება, შემირთავსო. ამ მიზნით მან დაიჭირა ეკლესიის მტრედი, ფრთები დააქრა და ფეხები შეუკრა, შეაბა ფეხზე ბარათი და ჩუმად ბელადს გადაუგდო. ბარათში ეწერა: „თუ ციხის აღება გინდა, ამ წყალს აპყეე და სათავე გააფუჭეო“.

ბელადმა ეს შეასრულა. უწყლობით შეწუხებული ციხე მტერს ადვილად დანებდა.

გახარებული ქალი პირველი მიეგება ბელადს, ეგონა მადლობის ნიშნად მისთვის სასიამოვნო ჯილდოს მიიღებდა, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა: ბელადმა იგი პირველი მოჰკლა: „შენ რომ შენიანებს ღალატობ, მე როგორღა გენდოო...“

რუსეთის ელჩი თავადი თედორე თედორეს ძე ვოლკონსკი, რომელმაც ინახულა გრემი (ანუ როგორც მის 1638 წელს რუსულ მოხსენებაშია აღნიშნული „კ რ ი მ ი“), დაწვრილებით აღწერს მთავარანგელოზის მონასტერს, სადაც რუსეთის საელჩოს უცხოვრია და აღნიშნავს, რომ „ამ მონასტრისა და სამეფო კარის გარშემო ათი ეკლესია მდებარეობს“<sup>95</sup>.

მთავარანგელოზის მონასტრის გალავანში მარხია კახეთის მეფის ლეონ მეორის (1520 — 1574 წ.) ნეშტი.

გრემიდან ჩრდილოეთით, მდ. ინწობას ხეობით, აღმა მიემართება საურმე გზა, რომელიც გადაჭრის მუშათა დაბა ფიქლებს (სოფ. საბუესთან), სოფ. ინწობას შემდეგ ვიწროვდება და მალალმთიანი ბილიკის სახით აღწევს მდინარის სათავეს, რომლის თავზე ცნობილი ყოდორის უღელტეხილია; მის გადაღმა უკვე დაღესტანი იწყება.

ამ ხეობაში დღემდე კიდევ შემორჩენილია ქართველი ხალხის უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ნათლისმცემელის „მისალოცი“ კოშკით, ყოდორის უღელტეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე კოხტად ამართული, ქვითიერთ ნაშენი, მაღალი, საზვერავე მოსაზღვრე კოშკი, რომელიც დაღესტინიდან კახეთისაკენ მიმავალ გზა-ბილიკებს იცავდა. ამ ციხე-კოშკის მცველებს მინდობილი ჰქონდათ ამ ადგილიდან კახეთის სახელმწიფო საზღვრების მტკიცე დაცვა, რომ იქიდან უცაბედად მტერი არ შემოპარულიყო.



## ნეკრესის უძველესი ძეგლები

გრემის მახლობლად ისტორიულად ცნობილი სოფლები — ენი-სელი და შილდა მდებარეობენ.

ამ სოფლების გასწვრივ, მდ. ღურუჯის ხეობაში (ყვარლამდე 5 — 6 კილომეტრის მანძილზე) საუკუნოვანი, ფოთლოვანი ტყეებით შემკული მთის ფერდობზე, მდებარეობს საქართველოს უძველესი და უიშვიათესი არქიტექტურული ძეგლი, ციხის გალავნით შემოფარგლული ნეკრესის ნაქალაქარი, რომლის დაარსებას II და III საუკუნეებით საზღვრავენ, აგრეთვე, ფეოდალური ფორმაციის ჩამოყალიბების დროის სამონასტრო კომპლექსი.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში დაცულია (ნანგრევების საბით) მრავალი ძველი ხანის შენობა; ზოგი მათგანი IV — V საუკუნით არის დათარიღებული, ე. ი. იმ ხანით, როდესაც საქართველოში გავრცელებულმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თანდათანობით შეცვალა ქართული კულტურის სახე, მისცა მას ახალი მიმართულება და შინაარსი, ჩამოაყალიბა ქართული ხელოვნების ახალი მხატვრული ფორმები.


საგულისხმოა, რომ ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელება და დამკვიდრება ისტორიულად მოხდა ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში.

ცნობილია, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული. ამ ფაქტს შემდეგში დიდი გავლენა მოუხდენია საქართველოს თავდასაყალზე<sup>96</sup>.

ნეკრესში ისეთი ძეგლებიცაა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაწყის პერიოდს ახასიათებენ (IV — VI სს.), იქვე VIII — IX საუკუნეების ძეგლებიც მოიპოვება.

ნეკრესის უძველესი ტაძარი „წარმოადგენს სრულებით თავისებურ შენობას, როგორც ფორმით, ისე ზომით; ტაძრის ორიენტაცია ემორჩილება იმ საზოგადო კანონს, რომლის მიხედვით ტაძრის საკურთხეველის ნაწილი აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული. თავისი გეგმით ეს შენობა სამ ნაწილად იყოფა, ტაძრის შუა ნაწილს უფრო მაღალია, ვიდრე განაპირა ნაწილები, იგი დაახლოებით ორჯერ მეტია და ამასთანავე მეტად ვიწრო და გარედან კოშკს მოგვაგონებს. ეკლესიას შესავალი კქონდა გვერდის ნაგებიდან, ტაძარი ვადახურულია გაუთლელი ქვის ფილებით“<sup>97</sup>.

ამ ტაძარს სპეციალისტები IV საუკუნით ათარიღებენ. ისტორიუ-



ნეკროლის ნანგრევები

ლი საბუთებიდან ჩანს, რომ ნეკრესის მონასტერი დაუარსებია ერთ-ერთ ცამეტ „მამათაგანს“ აბიბოს VI საუკუნეში და აქვე საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია, რომლის მეშვეობით ქრისტიანობას ავრცელებდნენ მთიულებში დიდოეთის ჩათვლით. ეს კათედრა XVIII საუკუნის დამლევამდე არსებობდა და მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან გაუქმებულა, ხოლო ნეკრესელი ეპისკოპოსის საცხოვრებელ ადგილს უკვე XVIII საუკუნეში სოფ. შილდა წარმოადგენდა.

ნეკრესის ძეგლთა შესახებ ვახუშტი შემდეგ ცნობას იძლევა:

„ამ წყალზე ყვარელს ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი. დ მეფის ფარნაჯობისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. აქ დაადგრა წმ. აბიბოს, იგი მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ მწყემსი გაღმა-მხრისა დიდოითურთ. ამან მოაქციენა უმრავლესნი მთიულნი; ესეც ეწაშა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტარფასი, და დაფლულ არს სამთავროს. და არს აწცა საეპისკოპოზო და ზის ეპისკოპოზი, არამედ არლარა არს ქალაქი. ამასვე აქვს დროშა სასპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მხარნი ელისენით და მემარჯვენე“<sup>98</sup>.

ამგვარად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ნეკრესის ეპისკოპოსს განსაზღვრულ ხანაში მინდობილი ჰქონდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება არაქრისტიანულ მოსახლეობას შორის (მთიულეები, დიდოელები), ხოლო უკანასკნელ საუკუნეებში კი, კახეთში საერისთავოების გაუქმების შემდეგ (XVI საუკუნიდან), მისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ ნეკრესელმა ეპისკოპოსმა მთელი გაღმა მხრის სასპასპეტო დროშა ჩაიბარა და მემარჯვენე ბრძოლასაც მეთაურობდა; ვახუშტის აღწერილობიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ნეკრესის მონასტრის დამაარსებელი აბიბო ირანელებმა წამებით მოკლეს.

რამ გამოიწვია ადამიანის ასეთი უსასტიკესი დასჯა?

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ კახეთში IV საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა უმთავრესად ქართული საზოგადოების ზედაფენებში, ხოლო შემდეგ თანდათან უფრო ფართო სოციალურ ფენებს მოედო და ამ პროცესში იგი შეეჯახა, ერთი მხრივ, ადგილობრივ ქართულ, უძველეს დროიდან დამკვიდრებულ, წარმართულ სარწმუნოებრივ მიმართულებას, ხოლო, მეორე მხრივ, სპარსულ მაზდეიანობას — ცეცხლთაყვანისმცემლობას.

მაზდეიანობის წინააღმდეგ ქრისტიანობას დიდი ბრძოლა მო-

უხდა; მან მწვავე ხასიათი მიიღო, ბოლოს პოლიტიკურ ბრძოლაშიც გაღიზარდა და კარგა ხანს გასტანა.

სპარსეთი ცდილობდა საქართველოში გაეგრძელებინა სპარსული მაზდეიანობა, რომ ამითი გაეძლიერებინა თავისი პოლიტიკური ჰეგემონია, რადგან ვრძნობდა, რომ ახლოვდება ის ხანა, როდესაც საქართველო თავს დაადრწევს სპარსელთა გავლენას. -

სწორედ ამ ნიადაგზე მრავალი ქართველი მოღვაწე, ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელი, მისი განმტკიცებისათვის მებრძოლი, სპარსელებმა ტანჯვა-ვაებით გამოასალმეს წუთისოფელს. მათ შორის ნეკრესელი აბიბოც<sup>99</sup>.

ნეკრესის ისტორიული ნაქალაქარის ნაცვლად, დროთა ვითარებაში, ახალი დასახლებული პუნქტი დაარსდა, რომელმაც მრავალი მოსახლეობა მიიზიდა და თვალსაჩინო სოფლად იქცა ძველადღე. ეს არის სოფელი შილდა.

ამ სოფლის დაარსების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

„ხოლო ნეკრესი კახეთისა ქალაქჲ იყო; ლეონტი მროველი ამბობს, მაგ.: „კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“-ო, მას ციხე ჰქონია და... „ზღუდენი ქალაქისა ნეკრესისანი“; ესლა იქ სოფელიდა და შილდას უწოდებენ; იქ შენახულია შესანიშნავი ტაძარი ძველის საისტორიო მხატვრობით“ 100.

ამ ისტორიული სოფლის მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე გატანჯული იყო გარეშე მტრების თითქმის განუწყვეტელი თავდასხმებით, რასაც მოსდევდა ხოლმე ოჯახების აწიოკება, ბავშვების, ქალებისა და ახალგაზრდობის გატაცება-დატყვევება. გატაცებულები მიჰყავდათ სპარსეთსა, ოსმალეთსა და ეგვიპტისაკენ. ასეთი შიშინანობის შემდგომ პერიოდში, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველმა ხალხმა გარეშე მტრების დამპყრობელების მრავალი ურდოები მოიგერა და მშვიდობიანი ცხოვრების გზაზე უნდა დამდგარიყო, შილდელ გლეხობას ახალი მტერი მებატონე-მემამულეები გაუჩნდნენ, რომლებიც გლეხობის ექსპლოატაციაზე თავიანთ დოვლათიანობას და უზრუნველობას ქმნიდნენ. ასე გასტანა XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ ოციუღშიაც. საქართველოში ქართველი მენშევიკების ბატონობის ხანმოკლე, მაგრამ უმძიმეს პერიოდში (1918 — 1921 წწ.), შილდაში, ისე როგორც სხვა სოფლებში, გაბატონდა უუფლებობა, მშრომელი ხალხის ჩაგვრა-შევიწროება, ამას მოყვა მწარმოებელი გლეხის სიღატაკე და ეკონომიური გაპარტახება. შილდელი გლეხობის ცხოვრება აუტანელი და სავალალო გახდა.

გავიდა დრო და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგ, როგორც შილდელი, ისე კახეთის დანარჩენი სოფლების გლეხობის მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა.

სოფელი ახალი ცხოვრების გზას დაადგა. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით და დახმარებით გლეხობა თანდათან ეკონომიურად გამაგრდა და დოვლათიანი ცხოვრების გზას დაადგა.

შილდელი გლეხობა დღეს, კუბიშევის სახელობის მძლავრ კოლმეურნეობაში გაერთიანებული, წელში გასწორდა და ახალი ცხოვრება შექმნა.

შილდელმა გლეხობამ უსასყიდლოდ და უფადო (სამუდამო) სარგებლობაში მიიღო მიწა, რომელიც ამჟამად 4000 ჰექტარს აღწევს. მიწის ფართობის უდიდესი ნაწილი სახნავ-სათესისათვის არის განკუთვნილი, დანარჩენი ვენახ-ბაღებს და საკარმიდამოებს უჭირავს.

შილდას ბევრი რამ შეემატა: აიგო ქალაქის ტიპის ახალი სახლები, ქვითკირის ორსართულიანმა კანტორამ დაამშვენა სოფელი, სოფელში დაარსდა და გაშალა მუშაობა 3 ბიბლიოთეკა-სამკითხველომ, კულტურის სახლმა, რომელშიაც ეწყობა წარმოდგენები, კონცერტები, კინოსურათების ჩვენება; აიგო საწყობები, გაიხსნა კოოპერატიული სავაჭროები, მოეწყო ფარდულები, მარნები, სასაქონლო 8 ფერმა, აშენდა და მოქმედებს რძის გადამამუშავებელი ქარხანა, სპირტაახდელი და კონიაკის ქარხანა, აგურ-კრამიტის ქარხნები, აგროკაბინეტი, სამკვდლო-საზეინკლოები; აშენდა საშუალო სკოლის ახალი შენობა, რომელშიაც 1000 ბავშვზე მეტი სწავლობს, გახსნილია საავადმყოფო, საექიმო პუნქტები, სამშობიარო, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია და მრავალი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. სოფელში გაყვანილია ტელეფონი, შილდელმა კოლმეურნეებმა ააგეს საკუთარი ელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერჯიას აწვდის ძრავის წისქვილს, კოლმეურნეობას და მთელ მოსახლეობას, რადიოფიცირებულია როგორც სოფელი, ისე მრავალი კოლმეურნის საცხოვრებელი ბინა.

სოფელ შილდის მოსახლეობა მთლიანად წერა-კითხვის მცოდნეა. ზაფხულობით ამ სოფლის მოსახლეობა კულტურულად ატარებს დროს ჩელთის მდინარის პირას გაშენებულ კულტურის და დასვენების პარკში.

ამჟამად სოფელში გამოყვანილია საუკეთესო წყალი. ათი წლის განმავლობაში შილდელი კოლმეურნეობა დიდი განვითარების გზას დაადგა და მიღწევებიც მოიპოვა. ისიც საკმარისია ითქვას, რომ 1500-კომლიან კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1953 წლისა-

თვის აყვანილი იქნა ორ მილიონ მანეთამდე, შრომადღის ღირებულება, ომის წინა პერიოდთან შედარებით, გადიდებულია 100-ზე მეტი პროცენტით, ხორბლის მოსავლიანობა 100 პროცენტით, ყურძნის — 80 პროცენტით, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის 50-მდე პროცენტით; კოლმეურნეობას მოწყობილი აქვს 6 სახის ფერმა, სადაც 8000-მდე სული პირუტყვი ითვლება; ამ კოლმეურნეობას ყოველწლიურად სამუშაო მდგომარეობაში ჰყავს 150-მდე ხარი, 40-მდე ცხენი; საწარმოო ბრიგადებისათვის კოლმეურნეობას აქვს 50 გუთანა, 10 ფარცხი, 70 ურემი, 1000-ზე მეტი თოხი, მრავლად საოში, კულტივატორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები<sup>101</sup>.

დაუზარებელ, გპირულ მუშაობასთან ერთად შილდელი კოლმეურნეები დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ საწარმოო კვალიფიკაციას და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამავე დროს დიდი ინტერესით ეპყრობიან მშობლიური მხარის შესწავლის საკითხებსაც. შილდელი ახალგაზრდები, ადგილობრივი ინტელიგენციის (60-ზე მეტი მასწავლებელია, გარდა ამისა ექიმები, აგრონომები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები) დახმარებით და თაოსნობით, ყოველ ზაფხულს აწყობენ ექსკურსიებს ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, რაც ბლომად მოეპოვება, როგორც შილდა — ენისელის, ისე მთელი ამ რაიონის მიდამოებს.

ისტორიულ ადგილებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ შემდეგი უძველესი ძეგლები: სოფ. ენისელის მახლობლად — ენისელის მთავარანგელოზის ეკლესია ფრესკებითა და მის გარშემო მდებარე შენობათა ნანგრევები; ენისელის ღვთისმშობლის ეკლესია; საბაყეს ნათლისმცემლის ეკლესია (მთის ღვლეში. სოფლიდან ჩრდილოეთის მხრისაკენ); ყოდორის ციხე და „აღდგომის“ ფრესკებიანი ძველი ეკლესია ნანგრევებით (საბაყეს ასწვრივ ჩრდილო მიმართულებით, ჰალალი მთის მწვერვალზე). შილდას მახლობლად დიდი ციხე-გალავანია; ტურის ციხე-კოშკებითა და გალავნით; ნეკრესის ძეგლები: ნაქალაქარი, ციხის ნანგრევებით (II — III სს.), სამონასტრო კომპლექსი — IV, V, VIII და IX საუკუნეების შენობებით.

ყ ვ ა რ ე ლ ი დიდი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძისა და ქართული საბჭოთა თეატრის დამაარსებლის, ხელოვნების ცნობილი მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის მშობლიური სოფელია.

იგი მდებარეობს მდ. დურუჯის მარცხენა ნაპირზე, კავკასიონის ფერდობის ძირში დაბურული ტყეებით შემოკლულ მთებს შორის კონტად გადაშლილ ველზე; დასავლეთის მხრიდან ამ სოფლის მახლობლად კავკასიონის ქედიდან გამოწვეალი მდ. ბურსა მოედინება და ალაზნის უერთდება.

მდ. დურუჯი სამ ტოტად იყოფა: პირველ ტოტს დურუჯი ჰქვია, მეორეს „ხევი“, ხოლო მესამეს კი „არისხული“, რომელსაც ერთვის საკმაოდ მოზრდილი მთის მდინარე „ჩაგურგულა“ და ყველა ერთად ალაზნის შენაკადს წარმოადგენს.

მდ. დურუჯმა გაზაფხულსა და შემოდგომაზე ისეთი აზვირთება იცის, რომ სრულიად გაუვალი ხდება მგზავრთათვის და ხშირად გარშემო სოფლებსაც აზიანებდა.

ამ სტიქიურ მოვლენებთან საბრძოლველად მდინარე დურუჯის ნაპირებზე 1950 — 1951 წლებში აგებული იქნა ასარიდებელი კაპიტალური ჯებირები, რომელთა საშუალებით მდინარე დურუჯის ნიაღვრების გამანადგურებელი ძალა შენელებულია. დურუჯის გადაღმა მხარეზე შარაგზა ყვარელში მიემართება; სოფლის შესასვლელთან გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ყვარლის ცნობილი ციხე-გალავანი, რომლის კედლებთან ქართულ ხალხს მრავალჯერ დაუმარცხებია შემოსეული მტერი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1755 წელს) ხუნძახის ხანმა (ავარიისამ) ნურსალ ბეგმა, რომელიც 1754 წელს მკალიჯერის ციხესთან ქართველებმა დაამარცხეს, ხელახლა შეაგროვა 20.000-იანი ჯარი და მიაღვა ყვარლის ციხეს.

ერეკლე II ბრძანებით მოსახლეობა ციხეებს შეეხიზნა. ყვარლის ციხეში თავი შეაფარა ალაზნის გადაღმა მხარის მოსახლეობამ მთელი თავისი ჯალაბობითა და ჭირნახულით.

თეიმურაზ II და ერეკლე II მოხერხებული და გააზრებული მოქმედებით, შედარებით მოკლე ხანში, მტრის ჯარი ნაწილობრივ განადგურებულ იქნა, ხოლო ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს.

ყვარლის ციხის მდგომარეობა XVIII საუკუნის დაბლევს აღწერილი აქვს იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“:

„იოანე წარვიდა ციხისაკენ, და თან გაჰყვა ალავერდის სახლთუხუცესი, რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა გალავანი შემორტყმული და გალავანს გარე არხი.

იოანეს დია მოეწონა ეს სიმაგრე და ჰკითხა სახლუხუცესს: ეს სიმაგრე ვინ გაგიკეთაო. მან უთხრა იოანე ბატონის შეილმან...

ოდეს ომარხან მოვიდოდა ოცდა ხუთი ათასის კაცით ამ ყუარელზედ, მაშინ ეს სიმაგრე გაგვიკეთა ბატონისშვილმან, შიგნით გალავანში, დედაკაცნი და ყმაწვილნი, დააყენა, და ბურჯებში თოფიანი, და მუთოფენი, და თვითონ ჩვენ აქ ვედექით, და ესრე მაგრად ვიყავით, რომ მოვიდნენ მტრის ჯარნი გორას ვერღა გასცილდნენ, და ორჯელ აქედან გვესწრო ჩვენს გაჭირვების დღეს, და ღმერთს გარდა იმან დაგვისხნა იმ მტერთ ტყვეობისაგან, და ახლა ქიზიყს ბრძანდება კიდევ ომარხანის პირდაპირ“ 102.

## ხალხური თქმულებები

ყვარელში შემონახულია მრავალი თქმულება ძველი წარსულიდან. ზოგიერთი ამ თქმულებათაგანი ყვარლის დაარსებისა და მისი სახელწოდების წარმოშობის ისტორიას ეხება, ზოგი წყაროს სახელწოდების შერქმევის, ზოგი კი — მტრებთან ბრძოლის ამბებს.

ერთ მათგანში ნააშობია „ფატმასურის“ წყაროს სახელწოდების ამბავი.

ყვარლის მოსახლეობა სასმელად მხოლოდ წყაროს წყალს ხმარობს. XVIII საუკ. კახეთში „ძნელბედობის ხანა“ რომ დადგა და ლეკები თითქმის განუწყვეტლივ აწუხებდნენ მოსახლეობას, მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ გლეხს სახლიდან გარეთ გამოსვლისა ეშინოდა არა მარტო სალამობით და ღამეობით, არამედ დღისითაც კი. ყველა ცდილობდა ციხის გალავანში თავი შეეფარებინა. განსაკუთრებული იერიში მტერმა ქალებსა და ბავშვებზე მიიტანა და დაუნდობლად მიჰყო ხელი მათ გატაცება-დატყვევებას.

ზაფხულის ერთ დღეს, როდესაც აზვირთებულმა დურუჯმა თავისი ნაპირები მოანგრია და წყაროებისაკენ მიმავალი ბილიკი ჩამორეცხა, ერთადერთი წყარო დარჩა ყვარლის მახლობლად, რომელსაც დამთხვეული დურუჯის ტალღები ვერ მისწვდნენ. იმ დღეს ყვარლის ახალგაზრდა ქალებმა თავი მოიყარეს და ამ წყაროსაკენ კოკებით გაემართნენ; ის-ის იყო მიუახლოვდნენ წყაროს და დააპირეს კოკების გავსება, რომ ტყიდან უცბად გამოვარდა შეიარაღებული ლეკთა ცხენოსანი ჯგუფი და წყაროსთან თავმოყრილი დედაკაცების დანახვაზე შესძახეს „ფატმა სურიო“ („ფატმა“ — ქალია, „სური“ — წყალი — შენ. ჩვ. ი. ა.), თავს დაესხნენ თურმე ქალებს, შეუტრეს ხელ-ფეხი, დაისვეს ცხენებზე და გაიტაცესო.



ამ სურათის შემხედვემა მეცხვარეებმა მაშინვე აცნობეს სოფელს. სოფელმა იარალი აისხა და მტაცებლებს მღევარი გააყოლა, მაგრამ ველარ დაეწივნენ. ამ ამბის შემდეგ წყაროს „ფატმასური“ დაერქვა<sup>103</sup>.

ფრიად საყურადღებო თქმულებაა თვით „ყვარელის“ სახელწოდების წარმოშობაზეც.

„რომელიღაც მეფე-მთავარი თავისი ამალით ნადირობდა კავკასიონის მთების კახეთისაკენ გადმოხრილ ტყიან ფერდობებზე.

ნადირობით მეფე კმაყოფილი დარჩა; იმ დღეს მისმა მხლებლებმა მრავალი ნანადირევი ჩამოიტანეს. ნადირობის შემდეგ მეფემ მდ. დურუჯის მარცხენა კილით, ტყით გარემოცულ, ბარზე დაისვენა; მალე მან საუზმეც მოინდომა. მხლებლებმა ნაბდები გაშალეს და მეფეს შესაფერი სუფრა გაუწყვეს, შეწვეს მწვადები, ჩააყაურმეს ნანადირევი ხორცი. საუზმის შემდეგ მეფემ ამ მიდამოს დათვალიერება ინება და იქვე მახლობლად ერთ ტყიან ღელეს აპყვა, გაჩერდა და სმენად გადაიქცა: ტყიდან ფრინველთა დამატკობელი გალობა ისმოდა. „ეს რა საყვარელი ადგილია“, — წამოიძახა თურმე მეფემ. ეს ადგილი ისე მოეწონა მას, რომ მალე სოფელი დააარსა, რომელსაც მანვე დაარქვა „ყვარელი“, ე. ი. საყვარელი ადგილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფ. ყვარელი თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა, მაშინ იგი 900 კომლისგან შედგებოდა. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა, რომელიც ხენა-თესვას, მევენახეობას, მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას მისდევდა; მაგრამ იმ პერიოდში განცალკევებულ გლეხურ მეურნეობებს, რომელთა უმეტესობას საკუთარი მიწის ნაკვეთები არ გააჩნდათ; არავითარი აგროტექნიკური დახმარება არ ეწეოდა, გარდა ამისა საუკეთესო სარწყავი მიწის ნაკვეთები მაშინ მემამულე თავადაზნაურობის, ან ახალ მებატონე — ჩარჩ-ვაჭრების (XIX საუკ. მეორე ნახევრიდან) ხელში იყო. მშრომელი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი დიდ გაჭირვებასა და განოუველ სიღარიბეს განიცდიდა.

1891 წლის აღწერილობის მიხედვით ადგილობრივი მემამულეების, ბობოლეებისა და ვაჭრების ხელში იყო 17 საფქვავეი წისქვილი, 8 არყის სახდელი ქარხანა, 6 ღვინის საეპკრო, ფართლელის 3 მაღაზია, 3 საწვრიმალო ღუქანი.

ხელოსნები ყვარელში ძალიან ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი; მთელ ყვარელში მაშინ ითვლებოდა ურმების მკეთებელი 3 ხელოსანი, 4 დურგალი, 5 კალატოზი, 4 მეჩუსტე, 2 მეჩექმე. 2 მკერავი და 5 ნალბანდი. ეს ხელოსნებიც დიდი გაჭირვებით არსებობ-

დნენ. საშუალოდ თითოეული მათგანის წლიური ნამუშევარი 120 — 150 მანეთს არ აღემატებოდა.

თუ რამდენად პრიმიტიული და უსუსური იყო მაშინ ყვარლის მეღვინეობა იქიდანაც ჩანს, რომ არყის სახდელი 8 ქარხნის პროდუქცია წლიურად 150 ვედრო არაყს შეადგენდა (40° — 50°), ჩამორჩენილი იყო მეფუტკრეობაც. საეკარისია აღინიშნოს, რომ თავლის მთელი წლიური შემოსავალი (ყველა საფუტკრეში) 330 ფუტს ძლივს აღწევდა და ისიც დიდი ღალიანობის წელს (აღებულია 1890 წელი) <sup>104</sup>.

ამჟამად ყვარელი რაიონის ცენტრია <sup>105</sup>, სადაც თავმოყრილია რაიონული პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სკოლები, სტამბა-რედაქცია, მუზეუმი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბავშვო დაწესებულებანი, სანახაობათა დაწესებულებანი (კულტსახლი, კინოთეატრი) და სამეურნეო ორგანიზაციები, არის საავადმყოფო, აფთიაქი, პოლიკლინიკა, საბავშვო კონსულტაციები, საბავშვო ბაღი, ბაგა. ყვარელის რაიონს თავისი საკუთარი ორგანო აქვს რაიონული გაზეტის სახით.


ხორბლეული კულტურებისა და მევენახეობა-მეღვინეობის დარგში იგი ერთ-ერთ წამყვან რაიონად ითვლება რესპუბლიკაში.

რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებს დიდ აგროტექნიკურ მომსახურებას უწევენ ყვარლისა და ენისელის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც აღჭურვილია ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით (ელექტროფიცირებული კომბაინებით, ძრავებით, სალექს-სათესი მანქანებით, ტრაქტორებით, ტრიერებითა და სხვა მანქანა-იარაღით).

მოწინავეთა რიგებშია სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, მას არ ჩამორჩება აგრეთვე ახალსოფლის, შილდის კუიბიშევის სახელობის, სოფ. საბუეს კიროვის სახელობის, სოფ. გავაზის ვოროშილოვის სახელობის, სოფ. ენისელის ქდანოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები.

ყვარლის დასავლეთით, მდ. ბურსას მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის ვენახი გაშენებულია 200 ჰექტარ ნაკვეთზე. მეურნეობა უზრუნველყოფილია უახლესი საბჭოთა ტექნიკის იარაღ-მანქანებითა და აპარატურით. იგი მევენახეობაში ერთ-ერთ მოწინავე საბჭოთა მეურნეობად ითვლება მაღალი პროდუქციულობის თვალსაზრისით.

ყვარელი იმითაც ამაყობს, რომ აქ, ამ სოფელში, 1837 წლის 8 ნოემბერს დაიბადა, აღიზარდა, ჭაბუკობა გაატარა დიდმა ქართველმა პოეტმა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვ-



კვარცხელი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მემორიალი

ნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეურმა ხელმძღვანელმა და სულისჩამდგმელმა, საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ.

1927 წლის ნოემბრის თვეში, პოეტის დაბადებიდან 100 წლის და გარდაცვალებიდან 30 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით დაარსდა დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი, რომელიც მოეწყო მის მშობლიურ სახლში (ყვარელში) <sup>106</sup>.

იმ სახლზე, სადაც ილია დაიბადა, გარეთა კედელზე (შესასვლელთან) მარმარილოს მემორიალური დაფაა მიკრული წარწერით:

„1837 წლის 8 ნოემბერს აქ დაიბადა ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“.

მეორე სახლზე, სადაც პოეტი აღიზარდა, მიკრულ მარმარილოს დაფას აწერია:

„აქ გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა ილია ჭავჭავაძემ“.

1943 წელს შეკეთდა მუზეუმის შენობა და ამის შემდეგ მუზეუმის საკარმიდამო ადგილის გამშვენიერებასა და კეთილმოწყობას მუზეუმის დირექტორის და მთელი კოლექტივის მზრუნველი ხელი არ მოკლებია.

1947 წლის 8 ნოემბერს პოეტის დაბადებიდან 110 წლისთავზე ყვარლის სახლ-მუზეუმში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფრიად საყურადღებო და შინაარსიანი გამოფენა, რომელიც ყოველწლიურად ივსება ახალ-ახალი მასალებითა და საბუთებით პოეტის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

გამოფენა მოწყობილია ილიას დედ-მამისეული სახლის ერთ დროს ციხის კედლებით შემოფარგულულ გალავნის ცენტრში მდებარე კოშკის 2-სართულიან შენობაში (რომელიც საფუძვლიანად იქნა შეკეთებული და შელამაზებული). ძირითადად გამოფენაზე ასახულია: ჭავჭავაძეების გენეალოგია XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ილია ჭავჭავაძის დრომდე; ილიას მამის, გრიგოლის სახლი; სოფ. ყვარელი XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მისი ისტორიული მიდამოები; ილიას ბავშვობა და ყრმობა, ილია სკოლაში, ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში და იმდროინდელი პეტერბურგის მოწინავე რუსი საზოგადოება, ილიას ურთიერთობა მათთან, ილია ჭავჭავაძის შეხედულება XIX საუკუნის საქართველოზე რუსეთის კულტურის გავლენის შესახებ, ილიას დაბრუნება საქართველოში და მისი მისწრაფებანი („მგზავრის წერილები“); ილია ჭავჭავაძის როლი ბატონყმობიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხში; ილიას ქონებრივი სივიწროვე და გაჭირვება, სამსახურის დაწყება;

1837 წელს 8 ნოემბერს

აქ

დაიბადა

ილია გრიგორიძის-ძე

ჭიშჭიშველიძე

ЗДЕСЬ

РОДИЛСЯ

ИЛЪЯ ГРИГОРИЕВИЧ

ЧАВЧАВАДЗЕ

1837 — 1907

ილიას მოღვაწეობა: მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, პოეტური ნაწარმოები, პუბლიცისტიკა; ილია როგორც რედაქტორ-გამომცემელი და ახალი ქართული ენის შემქმნელი; ბრძოლა ძველი და ახალი თაობისა „თერგდალეულები“, ილია და ქართული თეატრი; ილია და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879/1904 წწ.); ილია საგურამოში; მისი რევოლუციამდელი მოღვაწეობა; ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა; იუბილესათვის მზადება და მისი ჩაშლა (1898 წ.) ცარიზმის მმართველი წრეების მიერ, ილია ჭავჭავაძე და 1905 წელი; ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფო საბჭო; ილია და აკაკი, ილია და ვაჟა-ფშაველა; ილია და მისი ლიტერატურული გარემოცვა; ილია ჭავჭავაძის მოკვლა მეფის „ოხრანკის“ მიერ წინამართან 1907 წლის 30 აგვისტოს; მისი ნეშტის თბილისში გადმოსვენება 1907 წლის 7 სექტემბერს და დაკრძალვა მთაწმინდაზე — 9 სექტემბერს 1907 წელს; ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა თანამედროვე ხანაში; ილია ჭავჭავაძე სცენაზე, ილიასადმი მიძღვნილი პოეტური ნაწარმოებები, ილიას მთარგმნელები, ილია და თანამედროვეობა.

წარმოდგენილი ექსპონატების გარდა მუზეუმის კოლექტივი აქტიურ მუშაობას განაგრძობს ილიას შესახებ და მასთან დაკავშირებული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში. მუზეუმს მოწყობილი აქვს საუკეთესო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი მრავალ ათას წიგნს აღწევს, სეიფში დაცულია ფრიალ საყურადღებო საბუთები და ილიას ავტოგრაფები მოპოვებული და შექმნილი მუზეუმის მიერ.

ილია ჭავჭავაძის კარმიდამო ყვარელში სოფლის ცენტრალურ და საუკეთესო ადგილზე მდებარეობს. იგი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეთაგანია არა მარტო ყვარელის რაიონში, არამედ მთელ ამ მხარეში.

ადამიანს აქ, წარმტაცი ბუნებრივი სილამაზისა და სიკეკლუტის გარდა, ხიბლავს ისიც, რომ ყოველ ნაბიჯზედ ცხოვლად თვალწინ გიდგათ ილიას სახე, უფრო ჩაგესმით, ამ წარმტაცი გარემოცვით შთაგონებული, პოეტის სიტყვები:

„დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან-ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი...“.

ყვარელს საუკეთესო მიდამოები აკრავს: ჩრდილოეთის მხრიდან მას ფარავს ტყეებით დაბურული მაღალი მთები, რომელთა ჩეობე-

ბი დასერილია დაღესტინისაკენ იამავალ მაღალმთიანი ვიწრო ბილიკებით. მთელი დღის განმავლობაში ტყეებიდან მოისმის გარეულ ფრინველთა განუწყვეტელი გალობა, ქიქიკი და სტვენა, ხოლო მწვანით მორთული დედეებიდან კი — ანკარა ნაკადულების განუწყვეტელი ჩხრიალი.

ამაყად ამართული ყვარლის მთების მწვერვალებიდან თვალწარმტაცი გადასახედიი თელიაიდან სიღნაღამღი და შორს ქიზიყამდე გადაჰიმულ, უღვეელ და უხვი ნაყოფის მომცემ ალაზნის ველზე.

დიდი პოეტი ილია, ბუნების ამ სიღიადით აღტაცებული, მრავალ სიუჟეტს ღებულობდა თავისი ნაწარმოებებისათვის; ყვარლის მთებს მან საგანგებო ლექსი უძღვნა რუსეთში გამგზავრების წინ:

..სამშობლა მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,  
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დაიწყებასა;  
თქვენ ჩემთან იელით, განუკრელად, ვით ჩემი გული,  
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!..“

ყვარელში და მის უახლოეს მიდამოებში დაცულია მრავალი ფრიად საყურადღებო ისტორიული ძეგლი, რომლებიც ქართველი ხალხის გმირული. მაგრამ შევბნელი და გაუხარელი წარსულის უსიტყუო მოწმეა. |

ერთ-ერთი ამ ძეგლთაგანი ცნობილი ყვარლის ციხეა, რომელიც შუასაოფელში მდებარეობს.

სოფ. ყვარელს და მის ციხე-სიმაგრეს უწინ, XVIII საუკუნის დამლევამდე, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ყვარლის ციხის შენარჩუნების აუცილებლობა მთავარ საზრჯნავ საგანს შეადგენდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, არამედ სამეფო ხელისუფლებისათვისაც, თეიმურაზ II და მისი შვილი ერეკლე ყოველთვის ამაზე ფიქრობდნენ, ამაზე ზრუნავდნენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გახშირდა მთიელი ტომების (პარ-ბელაქნელი ლეკების) შემოსევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შაჰი-მირანის ხანმა ჰაჯი-ჩალაბმა მაჰმადიანური სახანოები ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ააშხედრა და შექმნა მაჰმადიანური ბირთვი ქრისტიანების წინააღმდეგ. ჰაჯი-ჩალაბმა მოაწყო ქართველების წინააღმდეგ ორი დიდი ლაშქრობა. მისი სიკედილის შემდეგ იგივე პოლიტიკა განაგრძო მისმა თანამოაზრე ნურსალ-ბეგმა — ხუნძახის ბატონმა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლები ხელთ ჩაეგდო, განმტკიცებულიყო და კახეთის დანარჩენი ნაწილიც დაემონებინა.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა მან მალე დაიწყო და დიდი ლაშქრით შემოუტია ყვარელს. ყვარლის მთელი მოსახლეობა და მეციხოვნე ჯარი ციხის კედლებს შეეფარნენ.

ბევრი იწვალა ნურსალმა, მაგრამ ყვარლის ციხე მაინც ვერ აიღო და ამიტომ მას ალყა შემოარტყა. ალყამ დიდი ხანი გასტანა; მეციხოვნე ჯარი და შიგ ჩაკეტილი მოსახლეობა შეწუხდა, მეციხოვნეები გმირულად და თავგანწირულად იბრძოდნენ. საკირო იყო გარედან შველა, რომ ალყა გაერღვიათ და მეციხოვნე ჯართან ქვეითა და ცხენოსანი ჯარი შეკრებილიყო, რათა საერთო ძალებით მტერი (20.000 კაცი) დაემარცხებინათ.

ერეკლემ, რომელიც ამდროს ჯარებს სარდლობდა, გადაწყვიტა მაშველი რაზმის შექმნა და დიდ ჯილდოებსა და შეღავათებს შეპირდა იმათ, ვინც ამ ძნელ საქმეში მონაწილეობას მიიღებდა.

მალე 200-კაციანი რაზმი შეიქმნა, რომელმაც ქიზიყიდან ალაზანი გაცურა, შეეფეთა ლექთა ყარაულს და ხმალდახმალ გაიკათა გზა ციხის კედლებისაკენ.

ყვარლის ციხეში მაშველი რაზმი რომ შეიჭრა, ამავე დროს ერეკლეს ბრძანებით გულადი ქიზიყელები მტერს დაერივნენ. ნურსალ-ბეგის ჯარი დამარცხდა, დატოვა ყვარლის ციხე და სამშობლოში დაბრუნდა.

ამ გამარჯვების შემდეგ კახეთიდან თბილისში ჩავიდნენ თეიმურაზი და ერეკლე და უხვად დააჯილდოვეს ყვარლის ციხის მაშველი ლაშქრის მონაწილენი „უბოძეს წყალობა ქართველთა და კახთა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, რომელნი შევიდნენ ციხესა ყვარლისასა და დიდათ შემწე ექმნეს, რომელსა დაპირებოდნენ აღუთქვა მამული, სახელონი ანუ აზატობანი გლეხთანი და თეთრი ინამად“ („ქალმასობა“, ნაწ. II).

ყვარლის ციხის გარდა, თვალს იპყრობს ილია ჭავჭავაძის კარმიდამოს მახლობლად მდებარე იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. ეს ის ადგილია, რომელსაც ილია იგონებდა თავის პატარა მოთხრობაში „ნიკოლოზ ვოსტაშაბიშვილი“, რომელიც 1880 წელს დაიწერა. ამ ეკლესიის გალავანში, როგორც პოეტი წერს „... მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ახლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და მასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაც, ესე იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის ღღეში არ მომიბრუნდება“.

მუზეუმის მახლობლად, ყვარლის ერთ-ერთ ქუჩაზე, სოლომონ ჭავჭავაძის სახლია. ამ სახლში გაიზარდა მისი ქალიშვილი ელისაბედი, რომელიც შემდეგ მარჯანიშვილს მისთხოვდა. მისი შვილი



კოტე მარჯანიშვილი ამ სახლში გაიზარდა, აქ გაატარა მან თავისი ბავშვობა და ქაბუკობა, ამავე სახლის მარანში იგი შინაურ წარმოდგენებს სდგამდა... „ამავე სახლთანაა დაკავშირებული XIX საუკუნის ქართული თეატრის ბრწყინვალე ვარსკვლავის მაკო საფაროვის სახელიც. მისი მემუარების საგრძნობი ნაწილი მიძღვნილია სწორედ ამ სახლში გატარებული დღეებისადმი“\*.

ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის ყვარლის რაიონში აღსანიშნავია დიდი სამების ეკლესია, უსანეთის ეკლესია, ცხრაკარა (სამხრეთით 2 — 3 კილომეტრზე), ძველი გავაზის ფარგალში „მონარას ციხე“, „ბეჟანის ციხე“ თავისი გალავნით (ნანგრევები), და ჭიკაიანის კვირაცხოვლის ეკლესია (XVI საუკუნის), უძველესი დროის ძეგლებიდან თვალსაჩინოა ძველი გავაზის ტაძარი, რომლის აგებას V ს. პირველი ნახევრით ათარიღებდნენ<sup>107</sup>; ამ ტაძარს რესტავრაცია განუცდია VIII — IX სს., მისთვის მაშინ დაუმატებიათ მაღალყელიანი გუმბათი, რომელსაც დაურღვევია შენობის პროპორცია და ძლიერ დაწოლია შენობას, გარდა ამისა, ამავე ხანში ტაძრისათვის სტოა სამივე გვერდიდან მიუშენებიათ.

## ყვარლიდან ლაგოდეხისაკენ

(46 კილომეტრი)

ყვარლიდან შარაგზა კავკასიონის სამხრეთი კალთების ტყიანი ფერდობის ძირში მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადაქრის მთებიდან სწრაფმომდინარე ექვს მთავარ და მრავალრიცხვებულ მდინარეს და ხევს, გვერდში ჩაუვლის სოფლებს ოქტომბერს, ახალსოფელს, მთისძირს, და რომ გასცილდება კაპუჩის, ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე ვადივლის.

ლაგოდეხამდე გზა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებზე ვადის. აქ ზედიზედ გადაბმულია საკმაოდ მოზრდილი სოფლები: კაბალი, არეშსპერანი, მახალგორი, ორჯონიკიძე, ბაისუბანი, ბუდიონოვკა, შრომა, კალინოვკა. ამ უკანასკნელის გასწვრივ უკვე იწყება დაბა ლაგოდეხის ბაღები და მალე (1 — 2 კმ) თვით დაბა ლაგოდეხიც.

ლაგოდეხი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან შემოფარგლულ, ტყეებით შემკულ მაღალ მთებს შუა ფართოდ გაშლილ ზეგანზე.

უწინ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,

\* ლევან ასათიანი — ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბილისი, საბჭოთა მწერალი, 1955, გვ. 40.

იგი წარმოადგენდა რუსეთის სამხედრო ნაწილების ჩვეულებრივ „შტაბ-კვარტირულ“ დასახლებულ პუნქტს (სადაბო ტიპისას) და სიღნაღის მაზრაში შედიოდა.

XVII საუკუნეში, როდესაც მრისხანე შაჰ-აბასმა კახეთი ააწიო-კა და დაარბია, მან ლაგოდეხიც მიიტაცა და ჭარ-ბელაქნის სახანოს დაუმორჩილა. ამ მხრიდან ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“, რომლებიც შაჰ-აბასის წყალობით იყვნენ შექმნილნი, თავიანთ „ბატონობას“ ავრცელებდნენ. აოხრებულ და აწიოკებულ კახეთში ლაგოდეხი ჭარ-ბელაქანში შედიოდა იმ დრომდე, სანამ ერეკლე II თაოსნობით და მისივე სარდლობით აღმოსავლეთ საქართველომ და, მათ შორის კახეთმა, არ დაიხსნა თავი სპარსელების ბატონობიდან.

ჭარ-ბელაქნის მდგომარეობა XVIII საუკუნეშიც უცვლელი დარჩა იმ მხრივ, რომ საქართველოდან ეს მიტაცებული მხარე ვერც ერეკლე II დაიბრუნა.

საქართველო რომ რუსეთს შეუერთდა რუსეთის ჯარმა გენერალ პავლე ციციანოვის (ციციშვილის) სარდლობით 1803 წელს ჭარ-ბელაქნის სახონთქრო დაიპყრო, შემოუერთა იმპერიას, ხონთქრობა მოსპო, ხოლო ჭარ-ბელაქნის ოლქი ზაქათალას დაუქვემდებარა, სადაც ციხე-სიმაგრე ააგო და ქალაქად გამოაცხადა. ამრიგად, ჭარ-ბელაქნის სახონთქროს ზაქათალის ოლქი უწოდა და იგი უშუალოდ კავკასიის სამეფისნაცვლოს დაუქვემდებარა ისევე, როგორც კავკასიის დანარჩენი გუბერნიები.

ვახუშტის გეოგრაფიაში ლაგოდეხი და მისი მიდამოები შემდეგნაირად არის აღწერილი: „ხოლო კვალად ბელაქნის-წყლის შესართავს ზეით მიერთვის ალაზანს მ ა წ ი ს-წყ ა ლ ი, გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის ჩრდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით-სამხრეთს შუა. ამ ხევზე არს, მთასა შინა, თ ო ლ ა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენივარე ზაფხულს. ამას ეწოდა მ ა ქ ი. აქ ეყრების ხევი სხვა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე მისევე კავკასიიდან. ამ ხეობათა ზედა ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომად შააბაზის ლეკთა მიერ ოხერ არიან. ამ მაქის-წყლის ჩრდილოეთ არს ველსა ზედა ც ი ხ ე ტ რ ა წ ა-ყ ა ლ ი ს ა და აწ უქმი. ამას ზეით, ჩრდილოეთ კერძ, ველსა ზედა, ც ი ხ ე ლ ა კ ე ა თ ი ს ა, მდ. მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული, მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოხერი. ამან მეფე-მანვე აღაშენა ს ა ძ მ ო რ ი ს ც ი ხ ე და ეკლესია“ (ვახუშტი, აღწერა, გვ. 98).

„ქართლის ცხოვრება“ ამ მიდამოებზე შემდეგს მოგვითხრობს:


„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად (და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და) აზნაურ ყუნა ივინი, აღაშენა ეკლესია სამგორს, შეირთო ცოლი, ასული გურამ კურაპალატისა რომელი იყო შეილთავან ვახტანგ მეფისაჲთა, ბერძნის ცოლის ნაშობთა. დაჯდა (წუქეთს) და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუსტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი რომელთა და მიებოძა მეფეს წუქეთი, და იყო მამინ რომელი ერისთაობდა თუმთა და ხუნძთა ზედა“ 108.

ამგვარად, თანამედროვე სახელწოდება „ლაგოდეხი“, ეტყობა, მოგვიანო ხანაში (ჩვენი აზრით საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე პირველსავე წლებში 1803—1806 წწ.) ლაგოეთიდან გადაკეთდა. ლაგოდეხის მახლობლად, V—VI სს. საიმედო და დიდი ციხე იყო აშენებული „ლაკუსტის“ სახელწოდებით.

თანამედროვე ლაგოდეხი ქალაქის ტიპის დაბაა. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რესპუბლიკის ღარაიონებისთანავე, რაიონის ცენტრად გამოცხადდა 109.

რაიონის მოსახლეობას მომსახურებას უწევს საავადმყოფო, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, საბავშვო სამკურნალო დაწესებულებანი, აფთიაქები, საეკიმო პუნქტები, 42 სკოლა (მათ შორის საშუალო 8, პედსასწავლებელი 1, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), პრავალი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება (კულტსახლი, აქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები, 4 სასოფლო ბიბლიოთეკა, 13 სასოფლო კლუბი, 6 სასოფლო სამკითხველო), 1 კინოთეატრი, 4 კინომოდრაეი, გარდა ამისა, მთელი რიგი საკოლმეურნეო კლუბი და ბიბლიოთეკები, რომელთა მეშვეობით დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ-აღმზრდევლობითი მუშაობა წარმოებს რაიონის მოსახლეობაში. რაიონის ცენტრში რაიონული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების გარდა, არსებობს აგრეთვე მთელი რიგი სამრეწველო ხასიათის საწარმოები: თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა; თამბაქოს საცდელი სადგური. ყაზანლიყის (დამასკოს) 110 ვარდის გადასამუშავებელი ქარხანა და აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სხვა საწარმოები.

რაიონში ამ უკანასკნელ დროს აიგო და 1953 წლიდან შევიდა ექსპლოატაციაში ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგური მდ. კაბალზე — კაბალქესი. — რომელმაც რაიონის მოსახლეობა, სოფლები, კოლმეურნეობები და მტს უზრუნველყო ელექტროენერგიით და უფრო მეტად შეუწყო ხელი სოფლის ელექტროფიციირებას. დიდი ყურადღება ექცევა როგორც რაიონის ცენტრს, ისე სოფლის საბჭოებისა და კოლმეურნეობათა კეთილმოწყობას.



ლაგოდების რაიონის კოლმეურნეობები მისდევნენ უმთავრესად მემინდვრობას (ხორბლეული კულტურები); განვითარებულია ტექნიკური კულტურებიც, მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს მეთამბაქოეობას, ეთერზეთის კულტურების გაშენებას, რომელთაც საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი, აგრეთვე ლაგოდების თამბაქომ კარგი სახელი დაიმსახურა საბჭოთა კავშირში კვების მრეწველობის ხაზით<sup>111</sup>. დიდი ხვედრითი წონა აქვს რაიონში საკოლმეურნეო მეაბრეშუმეობას. არ ჩამორჩება ამ მხრივ მეფუტკრეობაც, რომელსაც საუკეთესო საკვები — მრავალღალიანი — ბაზა მოეპოვება მუშაობს ეთერზეთის ქარხანა, რომელიც კახეთის ამ ტიპის ყველა დანარჩენ ქარხნებს შორის ყველაზე ძლიერია. ლაგოდების რაიონში საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ორმოცდაათზე მეტ კოლმეურნეს და სოფლის მეურნეობის მუშაკს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გარდა ამისა, მრავალმა ასეულმა მუშაკმა საბჭოთა კავშირის ორდენები და მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები მიიღო. მუშაობაში მოწინავე მეთოდების დანერგვის შედეგად მოწინავეთა რიგებშია ლაგოდების და აფენის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, სოფელ შრომას კოლმეურნეობა „შრომა“, სოფ. ცოდნას ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. ცოდნის-კარის ძერეინსკის სახელობის, სოფ. ჭაბუკიანის ილია ჭავჭავაძის სახელობის, სოფ. ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობები და წარჩინებული კოლმეურნეები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომუშავეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დახმარებით ლაგოდებელი კოლმეურნეობები ყოველწლიურად მაღალმოსავლიანობას აღწევენ.


საუკეთესო შედეგებია მიღებული „ლაგოდების გრძელთავთავას“ ყანის მოყვანაში.

ლაგოდების მოწინავე კოლმეურნეობების „ლენინის ანდერძის“ და კალინინის სახელობის კოლმეურნეობათა ტექნიკური და ზეთოვანი, აგრეთვე მეთამბაქოეობის საუკეთესო პროდუქცია ამშვენებდა 1954 წ. მოსკოვში გახსნილ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის მრავალ სტენდს<sup>112</sup>.

### ღაგოდების კომპლექსური ნაკრძალი

ლაგოდების მიდამოებში, კავკასიონის სამხრეთ კალთების ფერდობებზე მდებარეობს დიდმნიშვნელოვანი, შესანიშნავი ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი, რომელსაც უკავია 13.000 ჰექტარი მიწის ფართობი (მისი შესავალი იწყება დაბა ლაგოდების მახლობლად 1/2 კილომეტრის მანძილზე).

ნაკრძალის ტერიტორია შემდეგი ადგილებით ისაზღვრება: სამხრეთ-დასავლეთით — შრომის ნაზვავის ნინიგორის შტო, ნინიგორის ზურგით დაღესტანის ასსრ საზღვრამდე და ანწალის მწვერვალამდე; ჩრდილოეთით — ანწალის მთიდან კავკასიონის ქედზე გაველით, ზაქათალის ნაკრძალთან დაკავშირებით არსებულ სარეს-პუბლიკო საზღვრამდე; აღმოსავლეთით — მდინარე მაწიმით და მის ბილიკამდე; სამხრეთით — მაწიმის ბილიკი სოფ. ცოდნას ზევით



პანკისის შიღამოები

მთის ძირით აგურის გორაკის ბოლომდე, შემდეგ სწორი ხაზით მონასტრის გორაკამდე. (მონასტრის ნანგრევები), საიდანაც სატყეო ფონდის საზღვრით ნინიგორის მთის ქვევით — შრომის ნაზვავამდე. საერთო ფართობიდან ტყეს უჭირავს 9000 ჰექტარი, რომელშიც წარმოდგენილია ხე-ბუჩქების მრავალი ჯიში და სახესხვაობანი (80 ჯიშზე მეტი).

ამ ტყის უბეტესი ნაწილი წიფლის ხეებს შეადგენს, წარმოდგენილია აგრეთვე მუხა, რცხილა, ცაცხვი, წაბლი, თელა, ბოყვი, კაქლის ხეები, ქვეტყე და მრავალფეროვანი ბუჩქნარი. ტყის ასეთი მასივი საგრძნობლად მოქმედებს აზვირთებულ ჩქარ მდინარეთა რეჟიმის მოწესრიგებაზე და მათი ასეთი დინების შენელებაზე.

ნაკრძალის დანარჩენი ტერიტორია უკავია მინდორ-ველებს. მდელოებს, ხეობებს, ხევებს, მდინარეებს, რიყეებს, ციცაბოდ დაქანებულ მთის ფერდობებს, კლდეებს, ნაპრალებს, მინერალურ ნაკადებს, წყაროებსა და აგრეთვე ბუნებრივ, საკმაოდ მოზრდილ ორ ტბას.

#### მდ. სტორი

ნაკრძალი მდინარია აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი. აქ მრავლად მოიპოვება: კავკასიური ჯიხვი, არჩვი, ირემი, შველი, ფსიტი, გარეული ღორი, დათვი, კვერნა, ფოცხვერი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი, მაჩვი და სხვა გარეული ცხოველები.

ნაკრძალში მრავლად არის წარმოდგენილი ფრინველებიც; მათ შორის გამოირჩევიან: ხოხობი, გარეული ქათამი, კაკაბი, შურთხი, გუგული, ქედანი, არწივი, ორბი.

საკმაო რაოდენობით მოიპოვება თევზებიც და მათ შორის მთის სწრაფმომდინარე ანკარა ნაკადულებში ბინადრობს კალმახი.

ამ ნაკრძალის მოშენება-განვითარებას, მის კეთილმოწყობასა და მოვლა-პატრონობას დიდი ყურადღება ექცევა. ნაკრძალის ტყის მასივში გაყვანილია გზები, ბილიკები; ტყის ზონაში მრავალ ადგილას აგებულია საჯიხვეები (10 — 20 სულისათვის); ამ სადგომების მახლობლად ხელოვნურად მოწყობილია ქვამარილის საგანგებო სალოკავები, რომლებსაც პირუტყვი, განსაკუთრებით კი ჩლიქიანი ლოკავს დღისით, დასვენების უამს.

ნაკრძალის მთელ ტერიტორიაზე უხვად მოიპოვება საუკეთესო ცივი სასმელი წყაროები.



თორღვას აბანო

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ირმების, ჯიხვებისა და ჯეირნების საყვარელი ადგილები — ვეძები და გოგირდოვანი მინერალური წყალი, რომელიც 7 — 8 ადგილას მიწიდან ამოჩუხჩუხებს. ლაგოდენის ნაკრძალის გაყოლებაზე ზაქათალას სახელმწიფო



ნაკრძალი მდებარეობს (აზერბაიჯანის სსრ). ორივე ნაკრძალი წარმოადგენს ერთ მთლიან 41.500-ჰექტარიან ფართობს თანაგვარ ველურ მცენარეებისა და გარეული ცხოველების შემადგენლობით.

ცნობილია, რომ ნაკრძალების დაარსებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. როდენაც ვ. ი. ლენინმა ეს ღონისძიება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნია და 1921 წლის 16 სექტემბერს საგანგებო ბრძანებულება გამოსცა ბუნების ძეგლების დაცვის შესახებ.

ამ დღიდან ნაკრძალებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და მათი გაფართოება-განვითარების საქმემ მტკიცე ნიადაგი ჰპოვა.

ლაგოდეხის ნაკრძალი აბსოლუტურ (ანუ სრულ) ნაკრძალად ითვლება, ვინაიდან იგი უაღრესად დიდ ბუნებრივ კომპლექსურ ძეგლს წარმოადგენს და დაცულია მთლიანად მთელი თავისი კომპლექსური შინაარსით, ე. ი. ხელშეუხებლად, მთელი თავისი ფლორით და ფაუნით. ნაკრძალი განსაკუთრებული სამეცნიერო-კულტურული და დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ბუნებრივი ადგილია. სწორედ ამიტომ კანონი კრძალავს მის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას და არსებულ ბუნებრივი მდგომარეობის შეცვლადარღვევას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი.

საერთოდ ნაკრძალები საბჭოთა კავშირში წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის დაქვემდებარებულ ნაწილს, რომლებიც აწარმოებენ არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივ შესწავლასა და გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.


ნაკრძალის ტერიტორიის რელიეფი მრავალსახოვანია და ამის შესატყვისად მრავალფეროვანია მისი მცენარეული საფარი და გარეულ ცხოველთა სამყაროც.

ნაკრძალის დასავლეთ მხარეზე გადაჭიმულია ნინიგორის ქედი, რომელიც წყალგამყოფია მდ. ჩართის ხევისა და ანცალორს შორის, შემდეგ მიდის კუდიგორის მთა (შუა გორაკი), აღმოსავლეთით კი ქოჩალოს გორა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3486 მეტრს აღწევს.

ნაკრძალის ტერიტორია დასერილია მრავალი ხეობითა და მდინარით. ტყის მთლიან მასივებს, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. უჭირავთ ნაკვეთები 500 — 2300 მეტრი სიმაღლისა ზღვის დონიდან. მისი მდინარეთა უმრავლესობა ალაზნის მარცხენა შენაკადებს წარმოადგენენ და ლაგოდეხის რაიონის მინდორ-ველებზე მიედინებიან, რაც მოსახლეობას ფართო შესაძლებლობას აძლევს

ზაფხულის პერიოდში გამოიყენოს ისინი თავიანთი ნათესების და ვენახ-ბაღების სარწყავად. ნაკრძალის მცენარეული საფარი ვერტიკალური ზონალობის თვალსაზრისით შემდეგ სარტყელებს წარმოადგენს:

ტყის სარტყელი 450—1900 მეტრამდე ზღვის დონიდან; სუბალპური ტყე-მდელო, მეჩხერი ტყეები მდელოს მრავალბალახეულობით 1800—2400 მეტრამდე; ალპური სარტყელი—მდელოებითა და ხალებით—2200—3000 მეტრამდე; სუბალპური სარტყელი კლდეებით—3500 მეტრამდე და სუბნივალური სარტყე-



თორღვას აბანოს მიდამოები

ლი კლდეებით, ნაპრალებითა და ნაშალებით 300—3500 მეტრამდე. იმის გამო, რომ ნაკრძალის ტერიტორია დაკულია ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარებისაგან, მისი კლიმატური პირობები არაჩვეულებრივად არის შეზავებული. ნაკრძალის ზედაზონაში წლიური საშუალო ტემპერატურა  $+10^{\circ}\text{C}$ -ზე მეტია, აბსოლუტური მაქსიმუმი  $+35,5^{\circ}\text{C}$  უდრის (აგვისტოს თვეში), ხოლო მინიმუმი კი  $-7,6^{\circ}\text{C}$  ჩამოდის (იანვრის თვე), საშუალო მაქსიმუმი  $+17,6^{\circ}\text{C}$ , საშუალო მინიმუმი  $+8,1^{\circ}\text{C}$ .

მდიდარ ნალექებიან პერიოდს ზაფხულობით მაისი და ივნისითვლება, ხოლო შემოდგომით კი სექტემბერი და ოქტომბერი.

ქარები აქ იშვიათად იცის და ისიც ძალიან სუსტი. ნაკრძალის ქვედა ზონა, რომელიც თავისი კლიმატური პირობებით ალაზნის ველის ჰავას უახლოვდება, სპეციალისტების (ი. ვ. ფიგუროვსკი) დასკვნით მშრალ სუბტროპიკულ კლიმატს მიაგავს.

ნაკრძალის სიღრმეში რომ შედის ადამიანი, მის თვალს იპყრობს თავისი სილამაზითა და სიდიდით ბუნების მთელი გარემო. თვალწარმტაცია და მნახველისათვის დაუვიწყარი მაღალ მთებიდან სწრაფ მომდინარე, დამთხვეული მდინარეები, რომლებიც ზოგიერთგან წყალგარდნილებად გადმოდიან ციცაბოდ დაქანებულ, მოტიტვლებულ კლდოვან ნაპრალებზე და ქმნიან ქაფმორეულ ახმაურებულ ჩანჩქერებს. თვალწინ აგურ მოუსვენარი მდ. შრომის ხევის ჩანჩქერია, რომელიც 10 მეტრის სიმალიდან კლდესე გადმოჩქეფს, მეორე მისივე ჩანჩქერი 80 მეტრის სიმალიდან ვარდება ალპური ზონისა და ტყის საზღვარის მახლობლად, მას თითქოს ექაშება ლაგოდენის ხევის ერთ-ერთი შენაკადი, რომელიც ნაკრძალში ჩანჩქერად არის ქცეული, იგი 100-მეტრიან სიმალიდან გადმოჩქეფს და ლაგოდენის ხევისაკენ მიაქანებს აქაფებულ ტალღებს.

ლამაზ სანახაობას წარმოადგენენ კლდის გამოქვაბულები, რომლებსაც საუკეთესო თავშესაფრებად იყენებენ არა მარტო გარეული ცხოველები, არამედ ადამიანიც, განსაკუთრებით ცუდ ამინდში.

ცნობილია ე. წ. „კაზარმა“ (ლაგოდენიდან 6 კილომეტრით არის დაშორებული), შემდეგ „მღვიმე“, რომელიც ტყის ზონის ასწვრივ, სუბალპურ ველზე მდებარეობს; საყურადღებოა აგრეთვე გოგირდოვანი წყაროების მახლობლად, მდ. ლაგოდენის, ხეობაში 1700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ბუნებრივი თავშესაფარი. ამ თავშესაფრებით უამინდობის დროს ან ზაფხულის ცხელ დღეებში სარგებლობენ ჯიხვები, შვლები, ირმები, ფსიტები, აგრეთვე ადამიანიც, რომელიც შესაძლებელია ამ დროს ტყეში მოხვდეს.

გოგირდოვან წყაროებს სასმელად უხვად იყენებენ ნაკრძალის ორჩლოქიანი გარეული ცხოველები (ირემი, ჯიხვი, ფსიტი, შველი), ამავე წყაროებს სამკურნალოდ იყენებს, აგრეთვე, ლაგოდენის რაიონის მოსახლეობაც.

ნაკრძალში ამჟამად დიდი საქეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს პირველყოფილი ბუნებრივი პირობების შესწავლისა და ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის დარგში, ჯერ გამოუყენებელი ბუნების სიმდიდრეთა სამეურნეო მონხარების თვალსაზრისით, აგრეთვე სამეურნეო თვალსაზრისით მცენარეებისა და ცხო-

ველებს აკლიმატიზაციის დარგში; ინტენსიურ დაკვირვებებს აწარმოებენ ნაკრძალის მეცნიერი მუშაკები ნაკრძალის პირობებში ტყის ექსპლოატაციის, აგრეთვე სანადირო მეურნეობის რაციონალური მოწყობის საქმეში და სხვა მრავალ კვლევით მუშაობას.

ნაკრძალის შესასვლელთან (იქვე მახლობლად) ნაკრძალის სამართველოს სახლია აგებული, სადაც მოწყობილია ნაკრძალის პირობების ამსახველი გამოფენა და მუზეუმი. გარდა ამისა, ნაკრძალს კარგი დენდრარიუმი აქვს, რომელშიაც წარმოდგენილია უიშვიოთესი, რელიქტური, აგრეთვე ძვირფასი და სასარგებლო ხეების მრავალი ჯიში, რომელთა შორის თვალს იპყრობენ: გინ-კგო (ჩინეთის მცენარე, სადაც იგი ღეთაებრივ ხედ იყო მიჩნეული), ცხენის წაბლი, პაკლოვნია, ქალაღის ხე, სტერკულია, ალვის ხე, კაკლის ხე, ქაობის კვიპაროსი, წაბლი, აღმოსავლეთის ქაღარი (ამ ჯიშის ქაღარის 1000 წლოვანი ეგზემპლარი თელავშია დაცული „ვახვანიანთ ციხე-კოშკის“ მახლობლად), ქრისტეს გვირგვინა, ბამბუკი, იაპონური ხურმა, ჰიმალაის კეღარი, მაკლურა და სხვ.

ნაკრძალის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მეცნიერები, აგრეთვე ადგილობრივი მუშები, მოწინავე კოლმეურნეები, ახალგაზრდობა, მოსწავლეები და მასწავლებლები.

ლაგოდების ნაკრძალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში<sup>118</sup>.

ასეთია მოკლედ უმდიდრესი ბუნების სიუხვით დაჯილდოებული ეს კუთხე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ნაკრძალად გამოაცხადა.

ერთი კი ნათელია ჩვენთვის, რომ წარსულში მონღოლებისა, თემურ-ლენგის და სპარსელი შაჰების — აბასისა და ნადირის შემოსევამდე ასეთივე, თუ მეტეც არა, ბუნების წიაღით შემკული იყო მთელი კახეთი.

---

შენიშვნები და  
განმარტებანი

## მ ა წ ი ლ ი . I

### თ ა ვ ი I

1. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ. — ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში. საქ. კურორტთა და ფიზოტერაპევტ. ინსტიტუტის გამოცემა, 1935 წ. გვ. 9.

2. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXXVIII, 1908, стр. 88—89.

3. ამირა — არაბთა სახალიფოში ნიშნავდა ხალიფას სარდალს; იგი სამხედრო ხელისუფლებისა და შიიტების ადგილების გუბერნატორად (მმართველად) ითვლებოდა. ამ უფლებებით ამირები სარგებლობდნენ იმ დრომდე, სანამ ზოგიერთმა მათგანმა დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. არაბთა ამირობა საქართველოში თითქმის 2 საუკ. მანძილზე დარჩა. VI საუკ. ამირა უკვე ქართველ ხელისუფალსაც ეწოდა. (იხ. მ. ლორთქიფანიძე ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. მასალ. საქ. და კავკას. ისტორიისათვის. ნაკვ. 30. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბილისი, 1951 წ. გვ. 143—146).

4. ქართლის ცხოვრება — ანასეული ნუსხა, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. 1942 წ. გვ. 63.

5. ქართლის ცხოვრება იგივე... გვ. 21828.

6. 1231 წელს ჯელალ ედდინი მოკლულ იქნა ერთი ქურთის მიერ; მისი პოეზიით ხვარაზმელთა თარეშს საქართველოში ბოლო მოეღო.

7. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ. — ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს. ეურნალი „პრომეთე“, 1918, № 1, გვ. 44—47.

8. ჯარის ასელი გარდაქმნა ერეკლე II განაპოტიელმა თავისი შვილის, ცნობილი მხედარსარდალის ლევანის უშუალო და ცხოველი მონაწილეობით.

C. Зсадзе — Очерк сношений России с единоверной Грузией и приходах русских войск в Иверию. Тифлис, 1899, გვ. 9 (აღწერილია მედალის მოჭრის ამბავი).

10. ერეკლეს ასეთი მძიმე მდგომარეობა საუკეთესოდ არის გამოხატული ერთ ხალხურ ლექსში (იხ. ეურნალი „ივერია“, 1881, № 8).

11. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ახალი ისტორია. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 24.

21. ივ. არჯევანიძე

12. ხალხური ლექსი — იხ. „აქაის კრებული“, 1898 წ., № 7, გვ. 13 — 14.

13. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აქაი გაწერელის რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, ფედერაცია, 1936, გვ. 175.

14. ნიახურასთან ბრძოლაში მონაწილე რუსეთის სამხედრო ნაწილებიდან ჯმარობით და მამაცობით განსაკუთრებით ისახელა თავი „კაპარდინოროთა“ (მემღვეში შირვანის) პოლკმა, რომელიც რუსეთის მეფე პავლე I დააჯილდოვა „მალტიური“ დროშებით, შემდეგი წარწერით: „აეარიელ ჯარებისაგან დროშის წართმევისათვის, 1800 წლის 7 ნოემბერს მღ. იორთან“ (იხ. Служба Ширванца 1726 — 1909 წწ. გვ. 7 — 8 პოლკის საიუბილეო კრებული, რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემული 1909 წელს).

15. კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი ს და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს თხზულება — ტომი X, მოსკოვი, 1933, გვ. 555 (რუსული გამოცემა).

16. ჩ ს ე ტ ი ა შ. — თბილისის ისტორიისათვის, თბილისის მე-19 საუკუნის ისტორიის სქემა. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამოც. ნაკვ. 1. თბილისი, 1938, გვ. 32 — 42.

17. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ 1801 წლიდან, ვიდრე 1845 წლამდე შემოღებული იქნა მთავარსარდლის თანამდებობა; მასთან არსებობდა საქართველოს ე. წ. „უზენაესი მთავრობა“, რომლის შემადგენლობაში, უმთავრესად. რუსეთის დიდი მოხელეები შედიოდნენ, მათ შორის ქართველებიც იყვნენ. მართვა-გამგეობის ამ სტრუქტურაში გადამწყვეტი როლი (ბრძანებლობა) მთავარსარდალს ეკუთვნოდა, რომელიც ერთბაშად წყვეტდა საკითხებს, ხოლო „უზენაესი მთავრობა“ კი ამ შემთხვევაში (მხოლოდ სახელწოდებით) სათათბირო როლში გამოდიოდა.

1845 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა მეფის მოადგილის ანუ მეფის-ნაცვლის თანამდებობა, მაგრამ, ვინაიდან ამ დროისათვის რუსეთმა უკვე ამიერკავკასიის თითქმის ყველა წერილ-წერილი სამეფო-სამთავროების და სახანების ინკორპორაცია მოახდინა, მეფისნაცვალს, განსაკუთრებული დებულებით მთელი კავკასიის მართვა-გამგეობის განხორციელება დაევა; მეფისნაცვალი შეუზღუდვი უფლებებით იყო აღჭურვილი; იგი ექვემდებარებოდა და ანგარიშმგებელი იყო მხოლოდ რუსეთის იმპერატორის წინაშე.

1845 წ. პირველად მეფისნაცვლად დაინიშნა მ. ს. ვორონოვი, რომელმაც კავკასიაში დაყო 1854 წლამდე; შემდეგ გენერალი მურავიოვი 1856 წლამდე, — ბარიატინსკი 1856 — 62 წლამდე, ხოლო 1863 წლიდან — დიდ. მთავარი მ. ნ. რომანოვი (ალექსანდრე II ძმა).

1840 — 65 წწ. კ. თბილისის მმართველობაში მრავალი ცვლილება მოხდა. XVIII ს. ქალაქის სათავეში მოურავები იდგნენ. მათ, უმთავრესად, სამართლისა და დასჯის უფლებები ჰქონდათ მინიჭებული, ექვემდებარებოდნენ სამეფო ხელისუფლებას. ასეთი წესი პატარა ცვლილებებით დარჩა 1840 წლამდე. შემდეგ შემუშავდა დებულება „ქალაქ თბილისის საზოგადო საქალაქო მმართველობის შესახებ“, იგი რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა. ამ დებულების თანახმად დაარსდა „ექვსი ხმოსნის სათათბირო“, რომლის სათავეში იდგა ქალაქის თავი (ორს ირჩევდნენ მესაკუთრენი, სახლის პატრონები, ორს — ვაჭრები და ორს — ხელისნები ანუ ამქრები).

ქალაქის თავს „ირჩევდა“ მთელი მოსახლეობა. ფაქტიურად კი მას ნიშნავდა მთავარმართველი ან თბილისის გენერალ-გუბერნატორი.

1865 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. თბილისის ამქრების აჯანყების შემდეგ

მათრობამ გადაწყვიტა ქალაქის მმართველობის შეცვლა. მეფისნაცვლის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაეველა ამ საკითხთან დაკავშირებით საქარო მასალების შეგროვება; შედგა ახალი „დებულემა ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ“ (დამტკიცდა რუსეთის მეფის მიერ 1855 წლის 11 აგვისტოს, ხოლო განხორციელდა მხოლოდ 1867 წლის 1 იანვრიდან).

ამ დებულების თანახმად ქალაქ თბილისის ბატონ-პატრონი ფაქტიურად ზურჯუაზია გახდა (ე. წ. „მესამე წოდება“); თუმცა იგი იმავე ხელისუფლებას ემორჩილებოდა, რომელიც ამ დროს მთელ კავკასიას და თბილისის გუბერნიასაც განაგებდა. თვითმპყრობელური და კოლონიალური პოლიტიკის პრინციპი ქალაქის მმართველობაშიც ისევე, როგორც სხვა დაწესებულებებში ურყევად ტარდებოდა.

18. Ленин В. И. — Развитие капитализма в России. Собрание сочинений, том III, стр. 463—464.

19. ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის პირველი პროექტი 1857 წელს შეადგინა ინჟინერ-კაპიტანმა ბ. ი. სტატკოვსკიმ (საქ. სამხედრო გზის რეკონსტრუქციის ერთ-ერთმა ავტორთაგანმა). ამ პროექტით განზრახული იყო თბილისიდან მდ. მტკვარის გაყოლებაზე რკინიგზის 180 კილომეტრის მანძილზე გაყვანა ამ ადგილამდე, საიდანაც მდ. მტკვარით შესაძლებელი ხდებოდა ნაოსნობის მოწყობა. ამავე დროს შემუშავდა პროექტი თბილისის ფოთთან რკ. გზით დაკავშირების, ზანგრძლივი მიმოწერისა და მოლაპარაკების შედეგად, როგორც იქნა, კავკასიის მეფისნაცვალმა 1867 წელს სამშობაო შესრულება დაავალა უცხოელ კაპიტალისტებს (ბარონეტ პარკინს და ფრედერიკ შაუფერს), რომლებმაც ამ გზის მშენებლობის სააქციო საზ-ბა შექმნეს და, რუსეთის უმაღლესი მთავრობის მიერ 1867 წლის 20 ივნისის დამტკიცებული პროექტის მიხედვით, შეუდგნენ მოიჯარადრული წესით გზის მშენებლობას. რკინიგზის პირველი რიგის უბანი ფოთი — ყვირილა (ამჟამად ზესტაფონი) გაიხსნა 1871 წ. 14 აგვისტოს, მეორე უბანზე — ფოთი — თბილისი გაწყვეტილი იქნა მატარებელი 1872 წ. 10 ოქტომბერს (ხოლო სურამის, ანუ წითის, გვირაბის გათხრა და მისი ექსპლოატაციაში შესვლა კი მოხდა მხოლოდ 1890 წლის 16 სექტემბერს). ბათუმამდე რკინიგზის გაყვანა დაიწყო 1880 წელს და ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ 1883 წლის 21 მაისს. ამავე წლის 8 მაისს გაიხსნა რკინიგზის მოძრაობა თბილისისა და ბაქოს შორის.

იხ. ამიერკავკასიის რკ. გზ. ისტორიკობული ვზამკვლევი, ინე. ბ. ა. ბუტენკოს რედაქციით ნაწ. I ბათუმიდან — თბილისამდე, განუ. II ა/კავკ. რკ. გზების აგება თბილისი, 1911 წ. გვ. 133 — 152 (რუსულ ენაზე).

20. Чхетия Ш. проф. — Тбилиси в XIX столетии (1865—1869). Из-во Акад. наук Груз. ССР, Тбилиси, 1942, стр. 77.

21. არჯევანიძე ივ. — აკაკი წერეთელი რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე. გაზეთი „კომუნისტი“ 1939, № 28, Труды V Археологического съезда в Тифлисе, Москва, 1888 г.

22. „მადათოვის კუნძულის“ ტერიტორია XIX ს. 30-იან წლებამდე ეკუთვნოდა თავად ჯამბაკურ ორბელიანებს. სარდალ დავით ორბელიანს ეს კუნძული ხელოვნურად მიუწყვიდა და თავის სასახლის პირდაპირ მტკვრის ტოტი გაულრმავებია XVIII საუკუნის დამლევს ამ კუნძულზე ჯერ ფართოდ ყოფილა გაშენებული ეკნახები და ხეხილის ბაღი; დროგამოშვებით ორბელიანი ბოსტნეულსაც ათესინებდა. XIX საუკ. 25 — 30-იან წწ. ორბელიანის სასახლეს მახლობლად მიწის ნაკვეთი დავით ორბელიანის ერთ-ერთმა მემკვიდრემ, კავკასიის მეფისნაცვლის თხოვნით, კავკასიის ომის მონაწილე გენერალ თავად მადათოვს მიჰყიდა, და კუნძულის ნაწილით სარგებლობის უფლება მისცა; შემდეგში დ. ორბელიანის მემკვიდრეებს აღარ



მიუქცევიათ ყურადღება ამ კუნძულსა და მისი შეურნეობისათვის და ეს იდგია ნაგვისა და ყოველგვარი უსუფთაობის ბუდედ გადაქცეულა. უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღემდე და შემდეგშიც ამ კუნძულს მთლიანად უფრო „მადათოვის“ კუნძულად იხსენიებდნენ, ვიდრე ორბელიანების კუნძულად.

23. იმ ადგილზე სადაც ბოტანიკური ბაღი მდებარეობს, ე. ი. სეიდაბადის ციხის მახლობლად, XVI საუკუნეში აუგიათ ქართველ მეფეთა სასახლე, მასთან არსებული ბაღით. ხალხური გადმოცემებიდან ჩანს, რომ ამ ადგილზე მანამდე — არაბების ბატონობის პერიოდში — ხეხილის ბაღი ყოფილა, რომლის მოსარწყავად გამოუყენებიათ საგანგებო სარწყავი რუ (არხი), რომელსაც არაბულად „სულუ-ლანი“ რქმევია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით აქედან წარმოსდგა სახელწოდება „სოლოლაკი“, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ახლო მდებარე უბანს და მთას დაერქვა. მეფეთა სასახლე 1795 წელს თბილისში შემოსეულ აღა-ბაჰმად-ხანს დაუზღვრევენება, სასახლის ბაღი კი გადარჩენილა და შემდეგ, უკვე XIX საუკ. მეორე ნახევრიდან (70-იანი წლები), მას ბოტანიკური ბაღი დაერქვა და მის მოსაგეღლად თანხებიც იქნა გაღებული.

## თავი II

1. ვ ა ხ უ შ ტ ი — აღწერა სამეფოსა საქართველოს. თბილისი, 1941, გვ. 54.

2. ვ ა ხ უ შ ტ ი — ციტ. შრ. გვ. 54.

3. სოფელ დიდ-ლილოს მახლობლად (მის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ე. წ. წილუნის ქედის მიდამოებში მდებარეობს წყარო, საიდანაც ერეკლე II მეფობის პერიოდში თიხის მიღებით გამოყვანილ იქნა წყალი სოფელ დიდ-ლილომდე. ამ წყაროს დღესაც ერეკლეს წყაროს ეძახიან.

4. 1903 წელს სოფ. მარტყოფში ითვლებოდა 1200, ნორიოში კი 900 კომლი მცხოვრები (ქართველები). 1895—1902 წწ. ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ სოფ. მარტყოფში 4716 მცხოვრები იყო, ხოლო ნორიოში 3403 (ორივე სქესის). იხ. „კ ა ვ კ ა ს ი ის კ ა ლ ე ნ დ ა რ ი“ 1895 წ. და 1902 წ. რუსულ ენაზე.

5. საცხენისი პატარა სოფელია მარტყოფის მახლობლად (4—5 კილომეტრზე). იგი ადრე თბილისის გარეუბნის რაიონში შედიოდა, უკანასკნელი დაყოფით კი საგარეჯოს რაიონს მიეკუთვნა.

6. ვ ა ხ უ შ ტ ი — ციტ. შრ., გვ. 95.

7. ყურადღების ღირსია ერთი გარემოება. რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) თითქმის ყველა იმ დროის მონასტრის ადგილმდებარეობას ახასიათებს. ასურელ „მამებს“ მონასტრების დიდი უმრავლესობისათვის საფუძველი ჩაუყრიათ ტოპოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილებზე. — მცენარეულობით, განსაკუთრებით კი ტყე-ბუჩქებით, საუკეთესოდ შენიღბულ მაღალმთიან მიდამოებში, რომელთაც ჩრდილოეთისა და დასავლეთის მონაბერი ქარებისაგან იცავს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაშურე მყუდრო ხეობები, მათ გასწვრივ კი ფართო პორიზონტი იხსნება მთელ ახლო-მახლო მიდამოებზე. როგორც წესი, ამ მონასტრების მახლობლად ცივი წყაროებიც მოიპოვება. გამონაკლის შემთხვევაში მონასტრები ბარში იყო ამენებული (ალაზნის ველი — ალავერდის ტაძარი და ისიც უსათუოდ გზაჯვარედინებზე (ე. ი. მთავარ საკომუნისკაციო პუნქტებზე).

მონასტრების დაარსება და მათთვის ადგილმდებარეობის შერჩევა ხდებოდა უშუალოდ საქართველოს მმართველ წრეებთან (მეფე-მთავრებთან) წინასწარი შე-

თანხმების საფუძველზე და მათი უშუალო შემწეობით. მონასტრის აშენებას უმრავლეს შემთხვევაში მოსდევდა მის გარშემო კეთილმოცემის ცხენ-გალაუნების აგება უველა საკირო სამხედრო თავდაცვითი მნიშვნელობის დეტალების გათვალისწინებით (ზედაზნი, მცხეთის სვეტიცხოველი, შიომღვიმე, მამა-ანტონი, ალავერდის ტაძარი, შუამთა, ნეკრესი და სხვა). ეს უკვე ცხადყოფს, რომ მონასტრებს, რომლებიც აიგო V—VII საუკუნეებში და უფრო გვიან ხანებში—VIII—XII საუკუნეებში მართო სარწმუნოებრივი მნიშვნელობა კი არ ჰქონდათ, არამედ უფრო სამხედრო-სტრატეგიული, მით უფრო, რომ თითქმის ყველა სამონასტრო შენობას ეკავა უაღრესად მნიშვნელოვანი სასარდლო მატარებელი ან გზების კომუნიკაციები. მონასტრების გალანები, შემოზღუდული ციხის ქონგურებიან კედლებით, მშვერავი ან თავდაცვითი მნიშვნელობის კომპლექსით, სვეტებით, შიგ ღატანებელი საისრავებით ან სათოფურებით, გალანის შიგნიდან საიდუმლო გასასვლელებით, გარდა ამისა კედლებში დაყოლილი გუმბათზე ასასვლელებით, თვით გუმბათზე კი საიდუმლო სათავსოებით, საკმაოდ ნათელყოფენ ამ ნაგებობათა სამხედრო მნიშვნელობას და დანიშნულებას.

თუ თვალს გადავავლებთ მონასტრების მახლობლად აგებულ კომპლექსებურ სამრეკლოების არქიტექტურას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მათი აგება, უმეტეს შემთხვევაში, ემთხვევა იმ ხანას, როდესაც კახეთის სამეფო ხელისუფლებამ ერისთავობა მოსპო (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) და მის ნაცულად სამხედრო მნიშვნელობის ოთხი სადროშო დააარსა, რომელთა ხელმძღვანელობა ქორეუსსკოპოსებს დააკისრა. ცნობილია, რომ ამ ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდა, მათ სადროშოში შემაჯავლი ყველა ფეოდალი და მოურავი. ასეთი სამრეკლოები აიგო XVI—XVII საუკუნეების განმავლობაში მამა ანტონის მონასტერში (მარტყოფი), ნინოწმინდაში (საგარეჯო), ცნობილია აგრეთვე, რომ ახალი შუამთის მონასტერი და სამრეკლო აგებულ იქნა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. ანალოგიური მაგალითები სხვა სადროშოების ტენტრებშიც გვხვდება.

აქედან ჩვენ ვასკენით, რომ სამონასტრო კომპლექსებში სამრეკლოების აგებით მათ მშენებლებს გააზრებული ჰქონდათ ჯვარით შენილბული სადაზვერვო და სასიგნალო სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობების ჩადგმა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში.

ამგვარად სამრეკლოების აგება, მათი გარეგნული ფორმის დაცვით, მიზანი კი არ იქნებოდა, არამედ საშუალება შემოსეული მტრის თვალის ასახვევად და მის მოგერიებისათვის დროული თადარიგის დასაქერად.

8. ეს ამბავი ცნობილი იყო ხალხში ძველთაგანვე. ჩვენ იგი გადმოგვცა ჯერ კიდევ 1915 წელს ს. ნორიოს მცხოვრებმა, ღრმად მოხუცმა კუდაშვილმა.

ნახევარ მთვარის არსებობა ჯერის ფუძესთან (მცირე ეკლესიის გუმბათის თებზე) ჩვენ უკანასკნელად შევაიმწმეთ 1948 წლის ზაფხულს—ამ მონასტრის მიღამოებში ექსკურსიაზე ყოფნისას.

9. შემდეგში რა ბედი ეწვია ამ ქვაყუთების დაცვას ან შესწავლას ჩვენთვის დღემდე გაურკვეველი რჩება; ეს ძეგლები არსად ჩანს.

10. ტაკაანი ანუ ტაკაშვილები ნორიოს მკვიდრნი არიან. გადმოცემით შაჰაბასის შემოსევის დროს ტაკაანი გახიზნულან ერწო-თიანეთის მთებში. შაჰაბასის სიკვდილის შემდეგ, როცა ქვეყანა ცოტა დაწყნარდა, გახიზნულმა ტაკაანთ გვარეულობამ ისევ სოფელს მოაკითხა, მაგრამ იმ ადგილას ნასოფლარია დახვდათ. ნორიოს გადარჩენილი მოსახლეობა კი ბარში ჩამოსულიყო (ე. ი. იმ ადგილზე, სადაც უკვე შემდეგში, გაშენდა სოფელი და დღესაც არსებობს). ტაკა-

ნიც აქ დასახლებულან ციხის მახლობლად. ახალი სოფელი გაფართოვდა, მიწდორიც ახლო ჰქონიათ (ეს ამბავი ჩვენ მიერ ჩაწერილი იქნა მოხუც ნორიელ მეცხვარეების სოსია და მიხა ძიძიაშვილების ნაამბობიდან 1912 წელს).

11. ჩვენი პირადი ჩანაწერი პირველად გამოქვეყნეთ 1948 წელს.

12. ცოფურაანი ანუ ცოფურაშვილები — შერქმეული გვარია. მეტსახელიდან წარმომდგარი. მათი ნამდვილი გვარია მანსვეტოვი. ნორიელ მანსვეტოვების წინაპრები რუსი ხელოსნები ყოფილან, რომლებიც რუსეთიდან თბილისში თეიმურაზის და ერეკლე დროს მოუწვევიათ მეფის სასახლის მოსართავად. სამუშაოები რომ დაუმთავრებიათ, მანსვეტოვებს (თავიანთ ოჯახებით) სურვილი გამოეთქვათ საქართველოში დარჩენისა. ერეკლე II ისინი სოფ. ნორიოში, ციხის მახლობლად, ქვედა უბანში, დაუსახლებია, სასახლქარო ადგილი და მიწდორიც უჩუქებია; ამგვარად მანსვეტოვების რამდენიმე ოჯახი სოფ. ნორიოში დასახლებულა. ფრიად საყურადღებოა მანსვეტოვების გვარის შეცვლის ისტორია, რომელიც ჩვენ გაგებული გვექნა ამა 40 — 45 წლის წინათ. სოფ. ნორიოში ახლად დასახლებულმა მანსვეტოვებმა ოთხთვალა „პოეოსკები“ გაიწყვეს (ქართული ურმბის ნაცვალად). გაიჩინეს მწველი და მუშა საქონელი. ხარების გარეკვის დროს მანსვეტოვები ქართულ შეძახილს „თვრიო“, „თვრიოს“ კი არ ხმარობდნენ, არამედ, ჩვეულებრივ, რუსულ შეძახილს „კოპ-კოპს“-ს. ამ შეძახილის მიხედვით მოიხუნჯო ნორიელებს მათთვის მეტ სახელად „ცოპეები“ შეურქმევიათ. ამ „ცოპეებიდან“ შემდეგში წარმომდგარი „ცოპურაშვილი“. ანუ ადგილობრივი გამოთქმით „ცოფურაშვილი“. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში (1859 წელს), კამერალური აღწერის დროს, სოფლის მწერალს ამ ოჯახების ბოღგმა მანსვეტოვებად კი არ ჩაუწერია, არამედ ცოფურაშვილებად (რადგანაც ამ დროისათვის შერქმეულმა გვარმა მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა ამ სოფელში და ამ ოჯახებს უკვე ცოფურაშვილებს ეძახდა ყველა). ამგვარად, ნორიელ მანსვეტოვებს დაუკანონეს ცოფურაშვილების გვარი, ზოლო მათ ალალ, განაყარ ბიძაშვილებს, რომლებიც ქალაქად ცხოვრობდნენ (ნორიოში დრო გამოშვებითა ჩამოდიოდნენ) ისევ მანსვეტოვების გვარი შერჩათ. შემდეგში უკვე ზოგიერთმა მანსვეტოვმა გადაიკეთა გვარი მანსვეტაშვილად.

ეს ამბავი გადმოგვცა აწ განსვენებულმა იაკინთე და სოსიკო მანსვეტოვებმა და მათ ღრმად მოხუცმა ბიძამ თედორე იაკობის ძე მანსვეტოვმა (1914 — 1915 წწ.).

13. იოანე ბატონიშვილი — კალმასობა, ნაწ. 2, თბილისი; კერესელიძის ტბა, 1867. გვ. 130 — 152.

14. Пуццеладзе Д. П. — Грузинские дворянские грамоты, Тифлис. 1881, стр. 33 — 34. ჩვენ მიერ ტექსტში მოყვანილი გუჯარაი ფურცელაძის წიგნში გამოქვეყნებულია რუსულად; რადგანაც ამ გუჯარის ქართული ტექსტი ხელთ არ გვექნა, მოგვიხდა მისი გადმოთარგმნა ქართულად (თარგმანი თავისუფალია).

15. ისტორია ქართული სტამბის და წიგნების ბეჭდვის 1626 — 1900 წწ. გამოცემა ზ. კვიციანიძის, თბილისი, 1900, გვ. 14 — 16. იოანე ბატონიშვილი — კალმასობა. გვ. 130. ფურცელაძე დ. პ. — ციტ. შრ. გვ. 33.

16. საპიროდ მიგვანჩია შეეჩერდეთ ერთი ისტორიკოსის მკლარ შეხედულე-ბაზე ქართული სტამბის მოწყობის შესახებ: ნ. დუბროვინი თავის შრომაში „ამიერკავკასია 1803 — 1806 წლებში“ (გვ. 129 — 130) აღნიშნავს, რომ ერეკლე II, ისუ-რვა რა სტამბის დიარსება თბილისში, კონსტანტინოპოლიდან გამოიწვია ხელოსანიო, რომელმაც თან ჩამოიტანა ზოგიერთი საპირო იარაღ-მასალა და სხვა.. — დუბროვინი ეტყობა მაშინ არ იყო გაცნობილი გუჯარებს (რომელიც 1881 წელს გამოსცა დ. ფურცელაძემ). კონსტანტინოპოლიდან ერეკლე II არავეს არ გამოუწ-

ვევია და არც მიუშრთავს. ერეკლე მეორეს, როგორც გიორგი XII გუჯრიდან ჩანს, თეთონ მიუვლონება ქართული მღვდელი ქრ. ბაღრიძე იერუსალიმში, სადაც ამ დროს ქართველი მონასტრები იყო, სასტამბო საქმის შესასწავლად.

17. აშკაეთის შის (ჭელს) წინათ „აშქარეთი“ ერქვა. ამ ქელზე მდებარე წყარო ძველთაგანვე განთქმული იყო აღმოსავლეთ საქართველოში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე I განუზრახავს „აშქარეთის“ წყარობიდან წყალღენის გამოყვანა თბილისში, სადაც მამინ კარგი ხარისხის წყალი არ მოიპოვებოდა. მაგრამ ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ამავე ქელზე შუელი რიგის ხევა წყარობიც არის: „ნამგალის წყარო“, „მზუნახავი“ (ტყეში), „წილუნის“, „ტინის წყარო“ და სხვ.

18. მ. ნ. ო. ი. ა. — თბილისის კურორტები და საგარეო ადგილები. საქმედგამი, 1954 წ.

19. Иосифини Платон — Описание Марткобского монастыря. 1847. стр. 6—7.

20. ქ ე ლ ი ძ ე ა მ ბ ა კ ო — ფერეიდნელი ქართველები. საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1951, გვ. 5—15.

21. დავით ბატონიშვილი — ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა. საქმედგამი. ვაშლი. თბილისი, 1941, გვ. 14.

22. აპარანის მინდვრის ბოლოს (აპარანსა და ლაღანს შუა) ერთი მალლობია, რომელსაც ძველთაგანვე „სააკანთ“ ანუ „სააკაძიანთ“ მალლობი ჰქვია; აპარანის მინდვრის სამხრეთ-დასავლეთისაკენ ერთი დაცემული მინდორია, რომელსაც „უღვეველი“ ჰქვია.

23. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯგავინიშვილი, ს. ჯანაშია. — საქართველოს ისტორია — გვ. 303.

24. ფ რ ი ე ლ ი (ყიფშიძე) ალექსანდრე — ამბობება კახეთის (1812 წ.) ისტორიული ამბავი, თბილისი, 1907 წ. გვ. 119.

25. ფრონელი ალ. — ციტ. შრ. გვ. 119.

26. მეოცე საუკუნის დამდევისათვის თბილისის მარა სამ უბნად იყო დაყოფილი: 1) ს ა რ თ ი ჰ ა ლ ი ს უ ბ ა ნ შ ი შედიოდა 22 სოფელი (37 დასახლებული პუნქტით), მ/შ ვოზბორის მთის ყველა გადმოღმა მდებარე სოფლებით, მოსახლეობით 30.373 მცხოვრებით; 2) თბილისის უბანში (სოფ. ელისავეტინსკოე) 88 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 25 სოფლით და 3) ყ ა რ ა ი ს უ ბ ა ნ შ ი (სოფ. კარა-ტეპი) 9 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 4 სოფლით. თბილისის მარაში მაშინ 134 დასახლებული პუნქტი შედიოდა. იხ. „კავკასიის კალენდარი“ (რუს. ენაზე) 1903 წ.

27. სამგორის გარშემო მრავალი თქმულება არსებობს და მათ შორის ორი მეტყვარისა (მშების) და ერთი დის შესახებ. ერთ-ერთი ვარიანტი, ჩვენს მყერ იყო ჩაწერილი 1915 წელს ზაფხულში, მაგრამ რადგანაც იგი, დიდ სხვაობას არ წარმოადგენს თქმულებათა დანარჩენ ვარიანტებიდან ჩვენ არ ვაქვეყნებთ მას.

28. არქეოლოგიური გათხრები სამგორის სარწყავი არხის დიდ მშენებლობასთან დაკავშირებით წამოიწყო საქ. სსრ მეცნიერ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, რომელმაც 1950 წელს საგანგებო ექსპედიცია მოაწყო პროფ. გ. ყ. ნიორაძის ხელმძღვანელობით.

29. ი. რ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი „სამგორის არქეოლოგია“, ქურონალი „დროშა“, 1951, № 4, გვ. 18.

30. ი ქ ვ ე — ციტირებ. შრომა.

31. Самгори в шестой пятилетке. Беседа с министром водного хозяй-

32. სამგორის სარწყავი არხის მშენებლობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღო 50.000 კოლმეურნემ საქართველოს 25 რაიონიდან, მათ შეასრულეს 600.000 კუბ. მეტრი მიწის სამუშაო. კოლმეურნეები ვახდენ საუკეთესო მებეტონეები, ტრაქტორისტება, მძღოლები, მეექვსკავატორეები, სკრაპერისტები, ბუღლოზერისა და სხვა მექანიზმების შესანიშნავი მმართველები, ზეიწყლები, დურგლები, ბევრი მათგანი ბრიგადირად დაწინაურდა (იხ. სამგორის სარწყ. სისტ. მშენებლ. უფროსის ანდრო გაბუნიას წერილი სათაურით „იორი მოღის“, ყურნალი „დროშა“, № 4, 1951, გვ. 5).

### თავი III

1. ზ. კიკინაძე — „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, მეორე გამოცემა, ბათუმი, 1902, გვ. 7 — 8.

2. ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 90. ამჟამად ს. ნინოწმინდის ხეზე აგებულია პირობულექტროსადგური, რომელიც გარემომდებარე სოფლებსა და კოლმეურნეობებს ელექტროენერჯიას აწვდის. გარდა ამისა, ამ მოქალე ხანში პატარბუღშიაც აიგო 200-ცხენისძალიანი ელექტროსადგური.

3. შ. ამირანაშვილი — პროფ. — ქართული ხელოვნების ისტორია. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, ტ. I, თბილისი, 1944, გვ. 159 — 162.

4. საგარეჯო დაშორებულია თავისივე სახელწოდების რკინიგზის სადგურს 4 კილომეტრით (აქ დადიან ავტომანქანები და გადახურული ეტლები, ე. წ. „ლიწიეკები“).

თბილისთან საგარეჯო რკინიგზის გარდა დაკავშირებულია ავტორტანსპორტითაც (სარკისო მანქანები). მანძილი 58 კილომეტრია. საგარეჯოს რაიონს 1066 კვ. კილომეტრი ფართობი ტერიტორია უკირავს. რაიონში 15 სოფლის საბჭოა: საგარეჯოს, ჩაილურის, მანაეის, თობლიაურის, გიორგეწმინდის, ნინოწმინდის, პატარბუღის, ზაშუმის, კრასნოგორსკის (ყ. აზამბური), სართიქალის, უჯარმის, ახალსოფლის, გომბორის, ბოკორმის, მუდანლოსი.

5. „50 წელიწადი საგარეჯოს თეატრის“. 1876 — 1926. თბილისი, 1926 წ.

6. საგარეჯოს თეატრალური დასის დადგამათა დაზუსტებაში კონსულტაცია გაგვიწია საქ. თეატრალური მუზეუმის უფრ. მეცნ. მუშაკმა ს. ლ. გერსამიამ.

7. 50 წელი საგარეჯოს თეატრის.

8. ნიკო ავალიშვილი, რომელიც მსახურობდა თბილისში ყოველ შაბათ-კვირას საგარეჯოში აღიოდა. კაპანაძე საგარეჯოს მუდმივი მცხოვრები იყო და დროგამოშვებით საგარეჯოს გარეშეც საკვლევო სამუშაოებს ატარებდა მინერალოგიის დარგში (პროფესიით მკერავი იყო).

9. აღნიშნული ცნობები მოგვაწოდა, ნიკო ავალიშვილის საოჯახო არქივში დატული საბუთების მიხედვით, მისმა შვილმა არჩილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილმა.

10. კავთელი ა. — საგარეჯო. გაზეთი „ივერია“, 1886, № 164.

11. ცნობილია, რომ სოფ. საგარეჯოს თვალთხევი ჩამოუღდის, რომელმაც 68—70 წლის წინათ, როდესაც ციე-გომბორის ტყეები უზომოდ და უგეგმოდ გაიკაფა, ძლიერი აღიდება იწყო და ამას მრავალი ღვარცოფა მოჰყვა. მაგალითად, 1893 წელს ერთ მშვენიერ მზიან დღეს ციე-გომბორის ქედს შავი ღრუბელი გა-

დაეფარა, მთაში ღიდი აედარი წამოვიდა, ხოლო თვით საგარეჯოში კი პატარა წამონამა; აედრის შემდეგ არ გასულა ერთი საათი, რომ გამშრალ თვალთხევე ღიდი ნიაღვარი წამოვიდა და არნახული წყალდიდობა დაიწყო, რომელმაც აუწერელი ზარალი მიაყენა სოფელს, დაანგრია სახლები, წაიღო გლეხების კირნახელი, დახოცა წვრილფეხა საქონელი, დაარბია 100 კომლზე მეტი მოსახლე ისეთნაირად, რომ მხოლოდ ნანგრევები და ნასახლარებიღა დარჩა. ასეთივე სიძლიერის წყალდიდობა განმეორდა 1902 და 1903 წწ. ამ ნიაღვრების და წყალდიდობის შედეგად დაინგრა, აგრეთვე, საგარეჯოს მრავალსაუკუნოვანი და უძველესი ციხის კედლებიც.

[იხ. Записки Ново-Александрійского Инст. с/хоз. и лесоп. том. XXIII, вып. I, стр. 106—107 СПб, 1913 г.].

12. ა ლ. ფ რ ა ნ ე ლ ი — ამბობება კახეთის, ციტ. შრ. გვ. 215.

13. ვ ა ხ უ შ ტ ი — აღწერა. გვ. 89 — 90.

14. ა ლ. ფ რ ა ნ ე ლ ი — ციტ. შრ. გვ. 150; მელიქეთ-ბეგი—კაწარეთი, „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1924, გვ. 159 — 172; ნახუტრიშვილი დ. — საღ წაიღნენ კაწარელნი (ისტორიული გადმოცემა) „ივერია“, 1904, 237.

Пурцладзе Д. П. — Грузинские церковные грамоты. გვ. 29—30.

[Мурзавьев] — Грузия и Армения. СПб, 1848, т. I, стр. 206.

ჯაეახიშვილი ივ. — ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1913, გვ. 308;

Пурцладзе Д. П. — Катцаретский самобытный (Тронцкий) монастырь „Новое Обозрение“, 1877, № 247.

15. ვ ა ხ უ შ ტ ი — აღწერა, გვ. 89.

16. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — საქ. ეკონომიური ისტორია, წიგნი I, გამოც. „ქართული წიგნი“, თბილისი, 1930 წ. გვ. 148.

17. ნ. ნ. კ ე ტ ხ ი ვ ე ლ ი — საქართველოს მეცნარეულობის ძირითადი ტიპები. თბილისი, სახ. უნივერსიტეტის გამოც. 1935. გვ. 3.

18. ნ. კეცხოველი — ციტ. შრ. გვ. 57.

19. ნ. კეცხოველი — ციტ. შრ. გვ. 60.

20. ნ. კეცხოველი — ციტ. შრ. გვ. 60 — 61.

21. ეს ადგილი დაშორებულია ქ. თბილისიდან 60 — 70 კილომეტრით და გ.შ. ლილია 25 კვ. კილომეტრ ფართობზე.

22. გ. ბ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი — საქართველოს სამოთხე. ს. პეტერბურგი 1887.

23. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — (გაპოცემა) ასურულ შამათა ცხოვრებათა არქეტები, საისტორიო კრებული, ნაწ. I — დამატება, თბილისი, 1928, გვ. 36 — 42.

24. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი — პრდფ. — დავით გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, საქ. ხელოვნების ისტორ. ინსტიტუტის ნარკვევები (რუსულ ენაზე) საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1948, თბილისი.

შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — ქართული ხელოვნების ისტორია, საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომც. ტომი I, 1944, თბილისი, გვ. 135.

25. დ. პ. ფ უ რ ტ ე ლ ა ძ ე — ქართ. საეკლესიო გუჯრები (რუსულ ენაზე). თბილისი, 1881, გვ. 67 — 71.

26. დ. ფ უ რ ტ ე ლ ა ძ ე — ქართული საეკლესიო გუჯრები, გვ. 67 — 75 (რუსულ ენაზე).

27. გურიელის ქალი ეახტანგ VI მამას (1670 — 1673 წწ.) მიათხოვეს.

28. დავით გარეჯის უდაბნოს იმ პერიოდში ეკონომიურ გაძლიერებაზე მრავალი იმდროინდელი საბუთი არსებობს და მათ შორის აღსანიშნავია აგრეთვე: „სათარხნის განახლების წიგნი მიცემული ერეკლე I შიერ დავით გარეჯის

წინამძღვარი მაკუტაძისადმი (1692 წლია დათარიღება), წისკვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ესაია მკედლის-შვილის მიერ დავით გარეჯის მონასტრის წინამძღოლის ონოფრისადმი (თარიღით 1719 წ.), ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჟია, თანია და შიოს მიერ წინამძღვარ ონოფრისადმი და სხვა საბუთები": იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალ. ისტორიიდან 1 ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. სსრ აკადემიის საქართველოს ფილიალის ენციკლის გამოცემა, თბილისი, 1940 წელი, გვ. 372, 389, 394 და ა. შ. 426-მდე.

29. ამ ეკლესიის შენობა დღესაც კარგად შენახული, ამართულია ს. საგარეჯოს ერთ-ერთ მალღობზე (იხ. ზევით).

30. Джанашивили М. — Описание рукописей церковного музея духовенства грузинской епархии. Кн. III. Из-ние церк. музея № 13, Тифлис, 1908 г., стр. 123.

31. სოფ. მუზროვანში (თბილისის მახრა) XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, სამხედრო საარტილერიო ნაწილში, იუნკრად მსახურობდა დიდი რუსი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი. აქ, ამ ბატარეაში, რომლის სარდალად მაშინ პოდპოლკოვნიკი დ. ი. მუსხელიშვილი (მუსხელიოვი) იყო, ლეე ტოლსტოიმ ოფიცრის წოდების მისაღებად ჩააბარა შესაფერო გამოცემა და ოფიცრის პირველი ჩინი მიიღო.

32. ვახუშტი — ციტ. შრ. გვ. 90.

33. ქართლის ცხოვრება — ანნა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამოც. თბილ. 1942 წ., გვ. 36.

34. ქართლის ცხოვრება — ციტ. შრ. გვ. 135.

35. შ. ამირანაშვილი პროფ. — ციტ. შრ. გვ. 153.

36. Иоселиани Платон — Путевые записки по Кахетии. Тифлис, 1846, стр. 18—19.

37. ქლის ცბა, — ციტ. შრ. გვ. 136.

38. ი გ ი ე — გვ. 143.

39. უჯარმაში არქეოლოგიურა დაზვერვები და ციხე-ქალაქის უძველესი კომპლექსის შესწავლა წამოიწყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებაში და ხელოვნების ისტორიის მუზეუმმა „მეტეხმა“ ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე (იხ. ამირანაშვილი შ. საქართველოს ხელოვნების ისტორია, ნაწ. 1, გვ. 154 — 155).

40. ივრის სარწყავი არხის გაყვანასთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა პროფ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ამ მხარეში არქეოლოგიურ გათხრებს და დღე კვლევით მუშაობას აწარმოებდა. გათხრები დაიწყო 1951 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. გ. სიორაძის ხელმძღვანელობით.

41. შ. ამირანაშვილი — ციტ. შრ. გვ. 154 — 156.

42. გ. ლომთათიძე — წინაპართა ნაკვალევი, საბლიტგამი, 1952, გვ. 177—178.

